

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი



ახსენ სებასტიანი

თუშუბი ერის თინჯუკა ღ თინ თლითუა

მონოგრაფია შეიქმნა სამეცნიერო პროექტის –
„აულის ენები – კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმები –
გლობალიზაციის პირობებში (წოვათუშურ-ქართული ორენოვნების
მასალების მიხედვით)“ –
ფარგლებში

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი მაყვალა მიქელაძე
პროექტის მენეჯერი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან გიგაშვილი

თბილისი
2 0 1 2

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში ეს არის პირველი შესაძლებლობაც და პირველი მცდელობაც, წარმოვადგინოთ თუშური ენის ფონეტიკისა თუ ფონოლოგიის მეტ-ნაკლებად სრული სურათი. კერძოდ, აქ, საკვლევი ენის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიასთან ერთად, განხილულია ისეთი სამეცნიერო საკითხები, როგორცაა: თუშური ენის ფონეტიკის რამდენიმე კერძო საკითხი, თავკიდურ ხმოვანთა ბუნების ორი ასპექტი (ანლაუტის ხმოვანთა როგორც მაგარი, ისე თავისუფალი შემართვა – არა მხოლოდ თუშურ ენაში), თუშური ენის ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემები, ფონეტიკური (ინტერფერენტული) პროცესები თუშურ ენაში და ა. შ.

ნაშრომი გათვალისწინებულია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ანალოგიური საკითხებით დაინტერესული მკითხველი საზოგადოებისთვის.


- რედაქტორები – ფილოლოგიის დოქტორი **ლატავრა სანიკიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ქეთევან გიგაშვილი**
- რეცენზენტები – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის **წევრ-კორესპონდენტი**,
პროფესორი **ვაჟა შენგელია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მაცვალა მიქელაძე**

ქვეყნებს დიდ წვდომას ელ აზიის რეგიონში,

კადრების ანგარიშს შეიქმნის

„...სამეტყველო ბგერათა ზოგადი ფონეტიკური აღწერის დროს არ უნდა შემოვიფარგლოთ ისეთი ბგერების დახასიათებით, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ენებში. არ უნდა უგულებელვყოთ ის ბგერები, რომლებიც მეტად იშვიათად გვხვდება. ზოგადი ფონეტიკის ამოცანაა, დაახასიათოს ყველა ის ბგერა, რომელთა წარმოქმნა შეუძლია ადამიანის სამეტყველო აპარატს და აღწეროს ისეთი ბგერითი ერთეულებიც, რომლებიც რეალურად შეიძლება არც კი იყოს დადასტურებული აქამდე ცნობილ ენებში... მოულოდნელი არ უნდა იყოს რომელიმე ენაში ახალი, მანამდე უცნობი ბგერის აღმოჩენა.”

თამაზ ცაქუტლიძე



წინასიტყვაობა

როგორც ს. მაკალათია ბრძანებს (მაკალათია, 1933, 3)¹, კავკასიონის აღმოსავლეთის ჩრდილოეთ მხარეზე, საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილში, არის ლამაზი კუთხე ამ ქვეყნისა ასევე ლამაზი სახელით – თუშეთი. მის ნაწილს წარმოადგენს წოვათა – წოვების, ანუ წოვათუშების არცთუ დიდი ხნის წინანდელი საცხოვრისი. სწორედ აქედან მოიპოვა პირველი ცნობები ლინგვისტურმა საზოგადოებამ თავისი სტრუქტურით ერთობ საინტერესო მეტყველებების შესახებ, რომლის მატარებლებიც არიან წოვათუშები (წოვები) და რომლის ანალიზიც არის გათვალისწინებული წინამდებარე ნაშრომში.

¹ არის ამ მონოგრაფიის მეორე – 1983 წლის – გამოცემაც, მაგრამ ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ და უმთავრესად ვეყრდნობით პირველ გამოცემას, რადგან ბოლომდე არ ვიზიარებთ მეორე გამოცემაში გაკეთებულ შესწორებებს, თუმცა საჭიროებისამებრ მივმართავთ ამ უკანასკნელსაც.

ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ, შესაძლოა, სწორედ ეს პატარა – ქართულისგან განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე – ხალხი იგულისხმებოდეს ჩვ. წ. II საუკუნის 20-60-იანი წლების დიდი ბერძენი გეოგრაფისა და მოგზაურის, კლავდიოს პტოლემეაიოსის მიერ ტუსკოდად მოხსენიებულ ეთნოსში (ლომოური, 1955, 39), რომელშიც ივ. ჯავახიშვილმა უკვე ივარაუდა თუშების ზოგადად. როგორც ჩანს, ძველად ამ ენით სარგებლობდნენ არა მარტო წოგები, არამედ დანარჩენი თუშებიც, რაზეც ოდნავ ქვემოთ იქნება საუბარი. წოგების ეს უმწერლობო მეტყველება მთის კავკასიური ენების ნახურ ჯგუფს მიეკუთვნება. როგორც ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაც გვიდასტურებს, ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს, როცა ჯერ არ იყო აღმოცენებული ერი, როგორც ერთიანი ორგანიზმი და ჯერ კიდევ არ არსებობდა ეთნიკური ერთიანობის შეგნება, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო ეწოდა, დაღესტურ-ვეინახური ტომებიც მოსახლეობდნენ, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე დამოუკიდებელ ეთნიკურ-კულტურულ სახეს ინარჩუნებდნენ (ქსე, 1986, 459). ამაზე უნდა მეტყველებდეს აქ მიმოვანტული ტოპონიმებიც.

სხვადასხვა მიზეზთა გამო, „XIX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით 30-იან წლებში“ (ჯალაბაძე, 1967, 27), წოვათუშებმა იწყეს ჩამოსახლება საქართველოს ბარში – კახეთში – და ამჟამად ცხოვრობენ ახმეტის რაიონში, დაკავებული აქვთ მათ მიერვე დაარსებული სოფლის – ალენის (დღეს – ზემო ალენი) მხოლოდ ერთი ნაწილი², შეიძლება ასეც ითქვას: უკავიათ ნახევარი აული.

აღსანიშნავია, რომ უამრავი ადამიანი გადაჰყვა ამ ჩამოსახლებას. გარემოს შეცვლას ეწირებოდა სამეტყველო ფსიქოლო-

² აქ არ გვაინტერესებს რა მათი ბარში ჩამოსახლების ზუსტი დრო, მას მიუვითი-თებთ პირობით – დასახლებულ წყაროზე დაყრდნობით.

გია. მოვიხმობთ ერთ ლექსიკურ თვალსაზრისს: ‘ხინკალი’ თუ-
შურ ენაზე ყოფილა წიპ (ქადაგიძე, 1984, 765). ერთ ღროს ეს სიტ-
ყვა ყველა სამეტყველო უფლებით სარგებლობდა ცოცხალ მეტ-
ყველებაში. მიუხედავად იმისა, რომელი ენიდან რომელში შეიძ-
ლება იყოს გადაადგილებული წიპ- ფუძე-სიტყვა, სრულიად ცხა-
დია ერთი რამ: მას მერე, რაც ბარში ჩამოსახლებისთანავე ქართუ-
ლენოვანი მეტყველება მათთვის იქცა ყოველდღიურ მოთხოვნი-
ლებად, თუშური ენის მატარებლებმა უარი თქვეს მასზე.

ნახევარი აულის ენა – ასე გამოიყურება თუშური ენა დღეს.
მთიდან ბარში მიგრირებული ეს ენა განსაკუთრებულია იმ გაგე-
ბითაც, რომ სხვაგან არსად მთელ მსოფლიოში მასზე არ ლაპარა-
კობენ.

უმწერლობასთან და მთიდან ბარში გადმოადგილებასთან
ერთად, ამ ენის მატარებლები სისტემატურად ეწეოდნენ და ნაწი-
ლობრივ დღესაც ეწევიან ტიპურ მომთაბარეობას. აქედან გამომ-
დინარე, აღნიშნული ენისთვის შეიძლება მიგვეჩვენებინა მოხე-
ტიალე ენის კვალიფიკაციაც, ეს კი ყოველთვის ამცირებდა მის
უსაფრთხოობას გაქრობის თვალსაზრისით. თუმცა, ასეა თუ ისე,
ამ ენამ XXI საუკუნის კარიბჭემდე მოაღწია და იმ პირობებში, რო-
ცა „ენა ერთადერთი ისტორიაა, რომლის გაყალბებაც შეუძლებე-
ლია“ (ავგუსტ შლაიხერი), „რა თქმა უნდა, ყველაფერი ის (მატე-
რიალური, სოციალური თუ კულტურული), რაც იყო, ვერ აღდგე-
ბა, თუ ის სიტყვად არ შემორჩენილა“, აღნიშნული უმწერლობა
ენის კვლევა-ძიებასთან მიმართებაში კიდევ უფრო იზრდება „ჩვე-
ნი, კავკასიელი ლინგვისტების“ ვალდებულება – ერთად გავია-
როთ „გზა ჩვენი საერთო წინაპრების შესაცნობად“ (ქურდიანი,
2009, 20).

ამ რთული და საინტერესო გზის ერთ მცირე მონაკვეთს წო-
ვათუშთა მეტყველებაც წარმოადგენს. დღეს ცოტანილა თუ ლა-

პარაკობენ მასზე. გარდა ცალკეული ოჯახების სტიქიური ენთუზიაზმისა, არავითარი დაცვითი მექანიზმი არ (ალარ) მუშაობს მის შესანარჩუნებლად, რის გამოც იგი დაღუპვის ზღვარზეა მისული. ამ თვალსაზრისითაც იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას „ოდესღაც დიდად გაგრცელებული“ (ა. შანიძე) ენის შესწავლა. არ უნდა იყოს გადაჭარბებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ თუმეური ენის ფონეტიკური თავისებურებების საფუძვლიანმა შესწავლამ, შესაძლოა, მიგვიყვანოს როგორც ამა თუ იმ ახალი ნიშან-თვისებების გამოვლენამდე მსოფლიო სამეცნიერო პრაქტიკაში, ისე მათი განზოგადების შესაძლებლობამდე. ეს კი, თავის მხრივ, გაგვიყვანს ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალ გზაზე, რასაც არცთუ მცირე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ძველი და უძველესი საზოგადოებების ისტორიის შესწავლის საქმეში. დღეს, მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან, თუმეურმა ენამ შემოინახა საკმაოდ არქაული არტიკულაცია, რომელშიც უთუოდ ძვეს ახალი ფურცლების გადაშლის პოტენციური შანსი.

წინასიტყვაობას წინ უძღვის საქართველოს ფიზიკური რუკის სპეციალურად მომზადებული ვერსია, რომელიც, გვიჩვენებს რა წოვათის მდებარეობასაც და წოვათუშების გადაადგილებასაც თუშეთიდან (წოვათიდან) კახეთში, ალონის ველზე, უთუოდ შეიტანს ერთგვარ სიცხადეს როგორც ეთნოგრაფიულ, ისე ლინგვისტურ სფეროებში.

წოვათუშები (წოვები), ქართველი მთიელების – თუშების – შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. მათთან ერთად, თუშებს შეადგენენ ჩაღმათუშებიც: პირიქითლები, გომეწრელები და საკუთრივ ჩაღმები (ამათგან პირიქითლები დღესაც ცხოვრობენ წოვათუშებთან ერთად – ზემო ალვანში).

დღემდე არ არის მოძიებული არც ერთი და არანაირი წერილობითი ცნობა იმის შესახებ, თუ ვისი სახელი იყო თავდაპირვე-

ლად თუში (თუშები): წოვეებისა, პირიქითლებისა, გომეწრელებისა თუ ჩაღმებისა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ეთნონიმების, ისე ლინგონიმების³ თუ დიალექტონიმების⁴ გადანაწილებაში თუშობის შიგნით და, მაშასადამე, საკვლევი ობიექტის განსაზღვრაშიც. მით უფრო, იმ პირობებში, როცა ბევრი რამ, ამ თვალსაზრისით, დღემდე თითქოსდა გაურკვეველია. ყურად საღებია აგრეთვე ის მომენტი, რომ ამ ოთხივე საზოგადოებას დღემდე საერთო აქვს: მელოდიები, სრულიად თუშეთის ტონონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი, არქიარქაული მკვეთრი ლარინგალური არტიკულაცია, ც ლარინგალით მიღებული მორფოლოგიური წარმოებანი, ზოგიერთი სინტაქსური აქსესუარი და ა. შ.

სასურველია, მკითხველმა გააცნობიეროს, რომ წოვათუშების აქ წარმოდგენილ და განსახილველ მეტყველებას სულ პირველად – თვით კავკასიოლოგიის გარიჟრაჟზე – ეწოდა თუშური ენა.

შემდგომში ეს ტერმინი არცთუ მართებულად იქნა განდევნილი სუროგატული ტერმინებით: ბაცბური ენა, წოგური ენა, წოვათუშური ენა.

ამ ენის სწორი სახელი მაინც რომ შერჩეს ისტორიას, უთუოდ საჭიროა გარკვეული ადგილის დათმობა მისი აღმნიშვნელი ტერმინოლოგიისთვის.

ამ საკითხის ირგვლივ კამათი ერთხელაც არ მისულა ბოლომდე. მეტიც: არათუ საქმის მოგვარება – ხშირად თვით საუბარიც კი თითქმის ტაბუირებულია. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ ლინგვისტური საკითხი ამ შემთხვევაში უმჭიდროეს, ორგანულ კავშირშია ეთნიკურთან (ისტორიოგრაფიულთან), რაც თავისთავად ითრევს და ამწვაგებს ეთნოსის ღირსებისა თუ უფლებების საკითხსაც.

³ ლინგონიმი – ენის აღმნიშვნელი ტერმინი (ა. ბ.).

⁴ დიალექტონიმი – დიალექტის აღმნიშვნელი ტერმინი (ა. ბ.).

დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ რა ამ ენის შექმნელი და მატარებელი ხალხის წინაშე და ვიტოვებთ რა საავტორო უფლებას, საკვლევი ენის აღმნიშვნელად ვიყენებთ ტერმინს **თუშური ენა**: ავტორს სრული უფლება აქვს მანამდე არსებული ტერმინებიდან შეარჩიოს და გამოიყენოს ნებისმიერი – საკუთარი შეხედულებისამებრ, მით უფრო, თუ ეს ენა მისთვის მშობლიურიცაა. გარდა ამისა, ეს მონოგრაფია ეძღვნება დიდი გერმანელი ორიენტალისტის, აკადემიკოს **ანტონ შიფნერის** სახელს, ვინც აღნიშნული ენისთვის დაამკვიდრა სატერმინო კომპონენტი **თუშური**. ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვავალდებულებს, პატივისცემით მოვეკიდოთ კავკასიოლოგიურ მემკვიდრეობას.

ტრანსკრიფცია

ჩვენი ხელმძღვანელობით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის **IT** ჯგუფის ქსელისა და სისტემის ადმინისტრატორის, **ლევან ჯაშიაშვილის** მიერ **GEO-Gorda**-ს ბაზაზე სპეციალურად იქნა შემუშავებული ფონტი პირობითი სახელწოდებით **berTlangorda**, რომელიც ასევე გამოყენებულია ამავე პროექტით გათვალისწინებულ თუშურენოვან ტექსტებსა და ლექსიკონში. რაც შეეხება დიაკრიტიკას, სულ მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, როგორც ქართულენოვანი, ისე ლათინური ტრანსკრიფციისთვის გამოყენებულია ის დამატებითი ნიშნები, რომლებიც ენათმეცნიერების თბილისური სკოლის მიერაა გამოყენებული და შემოთავაზებული იბერიულ-კავკასიური ენებისათვის (ქურდიანი, 2007). საანალიზო მასალა საჭიროებისამებრ წარმოდგენილია რუსული გრაფიკითაც.

იმ გრაფემებს, რომელთა ადეკვატური ფონემებიც არ მოგვეპოვება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, აქ წარმოდგენილი სატრანსკრიფციო ცხრილით ეძლევა შესაბამისი განმარტებები, ხოლო ქართულენოვანი მკითხველისთვის ცნობილი (ნაცნობი) გრაფემები წარმოდგენილია განმარტებით „ჩვეულებრივი (მარტივი)“.

გრაფემების რიგი შეესაბამება ქართულ ანბანურ რიგს. გრაფემები, რომლებიც ქართულ ანბანს არ გააჩნია, განთავსებულია ქართული ანბანური რიგის მიმყოფ.

	ქართული ტრანსკრიფცია Грузинская транскрипция Georgian Transcription	ლათინური ტრანსკრიფცია Латинская транскрипция Latin Transcription	კვალიფიკაცია Квалификация Qualification	
			ჩვეულებრივი (მარტივი) ბგერები Обычные (простые) Звуки Common (simple) sounds	სპეციფიკური ბგერები Специфические звуки Specific sounds
№	სულ: Всего: Total: 82	სულ: Всего: Total: 82	სულ: Всего: Total: 33	სულ: Всего: Total: 49

1	2	3	4	5
1.	ა	^{TNR} A a	1. ა	
2.	ა	Ă ă		1. მოკლე Краткий } Short } ა
3.	ა	â		2. ირაციონალური Иррацион. } Irrational } ა
4.	ა	Ā ā		3. გრძელი Долгий } Long } ა
5.	ა	ā		4. ზეგრძელი Сверхдолгий } Hyper long } ა
6.	ა	Ã ã		5. ნაზალიზებული Назализов. } Nasal } ა
7.	ა	Ă ă		6. გრძ. ნაზალ. Долг. назал. } Long nasal } ა
8.	ა	А а		7. თავისუფალი Свободный } Free } ა
9.	ა	Ã ã		8. თავისუფ. ნაზ. Своб. назал. } Free Nasal } ა
10.	ბ	^{TNR} B b	2. ბ	
11.	გ	^{TNR} G g	3. გ	
12.	დ	^{TNR} D d	4. დ	
13.	ე	^{TNR} E e	5. ე	

14.	ქ	ě		9. მოკლე Краткий } Short } ქე
15.	ქ	ê		10. ირაც. Иррац. } Irrational } ქე
16.	ქ	Ě ě		11. გრძელი Долгий } Long } ქე
17.	ქ	Ě ě		12. ნაზალ. Назал. } Nasal } ქე
18.	ქ	Ě ě		13. გრძ. ნაზალ. Долг. назал. } Long nasal } ქე
19.	ქ	Ě		14. თავისუფ. გრძ. Своб. долг. } Free long } ქე
20.	ვ	^{TNR} V v	6. ვ	
21.	ზ	^{TNR} Z z	7. ზ	
22.	თ	^{TNR} T t	8. თ	
23.	ტ	t		15. ინტენსიური Интенсивный } Intensive } ქთ
24.	ი	^{TNR} I i	9. ი	
25.	ი	î		16. ირაც. Иррац. } Irrational } ქი
26.	ი	Ī ī		17. გრძელი Долгий } Long } ქი

27.	ა ^ნ	ĩ ĩ		18. ნაზალ. Назал. } Nasal } ნაზალ.
28.	ა ^ნ			19. გრძ. ნაზალ. Долг. назал. } Long nasal } გრძ. ნაზალ.
29.	ა	ī ī		20. თავისუფ. Свободн. } Free } თავისუფ.
30.	ღ	^{TNR} J j		21. ძვ. ქართული Древн. груз. } Old Georgian } ძვ. ქართული
31.	ა ^ნ	ǰ		21. ნაზალ. Назал. } Nasal } ნაზალ.
32.	კ	Ɔ Ɔ	10. კ	
33.	ლ	^{TNR} L l	11. ლ	
34.	ლ	ł		23. ინტენს. Интенс. } Intensive } ინტენს.
35.	ლ	ł'		24. უხმო Глухой } Voiceless } უხმო
36.	მ	^{TNR} M m	12. მ	
37.	ნ	^{TNR} N n	13. ნ	
38.	ო	^{TNR} O o	14. ო	
39.	ა ^ნ	ǒ		25. მოკლე Кратк. } Short } მოკლე

40.	ჲ	ô		26. ირაც. Иррац. } Irrational
41.	ჳ	Ō ō		27. გრძელი Долгий } Long
42.	ჴ	ō		28. ზეგრძელი Сверхдолг. } Hyper long
43.	ჵ	Õ õ		29. ნაზალ. Назал. } Nasal
44.	ჶ	Ŏ ŏ		30. გრძ. ნაზალ. Долг. назал. } Long nasal
45.	ჷ	Ō ō		31. თავისუფ. Свободн. } Free
46.	პ	P p	15. პ	
47.	ჟ	Ž ž	16. ჟ	
48.	რ	^{TNR} R r	17. რ	
49.	რ'	r'		32. ყრუ Глух. } Voiceless
50.	ს	^{TNR} S s	18. ს	
51.	ს	s		33. ინტენს. Интенс. } Intensive
52.	ტ	T t	19. ტ	

53.	ტ	ṭ		34. ინტენს. Интенс. ṭ Intensive
54.	უ	^{TNR} U u	20. უ	
55.	უ	Ů ů		35. მოკლე Кратк. ṽ Short
56.	უ	û		36. ირაც. Иррац. ṽ Irrational
57.	უ	Ū ū		37. გრძელი Долг. ṽ Long
58.	უ	Ů ů		38. ნაზალ. Назал. ṽ Nasal
59.	უ	U u		39. თავისუფ. Свободн. ṽ Free
60.	უ	Ů ů		40. თავისუფ. ნაზ. Своб. назал. ṽ Free nasal
61.	ფ	^{TNR} P p	21. ფ	
62.	ქ	^{TNR} K k	22. ქ	
63.	ღ	ɣ ɣ	23. ღ	
64.	ყ	Q q	24. ყ	
65.	ყ	q		41. ინტენს. Интенс. ṽ Intensive
66.	შ	Š š	25. შ	

67.	ა	ჰ		42. ინტენს. Интенс. ჰ Intensive
68.	ბ	ჭ	26. ბ	
69.	ც	^{TNR} ც	27. ც	
70.	ძ	ჯ	28. ძ	
71.	წ	ჭ	29. წ	
72.	ჭ	ჭ	30. ჭ	
73.	ხ	^{TNR} ხ	31. ხ	
74.	გ	გ		43. ინტენს. Интенс. გ Intensive
75.	დ	^{TNR} დ		44. ძვ. ქართული Древн. груз. დ Old Georgian
76.	დე	დე		45. ინტენს. Интенс. დ Intensive
77.	ჯ	ჯ	32. ჯ	
78.	ჟ	^{TNR} ჟ	33. ჟ	
79.	ჩ	ჩ		46. ფარინგალური Фарингальный ჩ Pharyngeal
80.	ც	^{TNR} ც		47. ლარინგალური Ларингальный ც Laryngeal

81.	ჭ	ფ		48. ფარინგ. Фаринг. }ჭ Pharyng.
82.	ღ	ტ		49. ლარ.-ფარ. Ларинг.-фаринг. }ღ Laryng.-pharyng.

შესავალი

§ 1. კვლევის ისტორიიდან

ჩვენი პროექტის ფარგლებში პირველად იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში ტარდება თუშური ენის აღწერა ფონეტიკისა და მორფოლოგიის დონეზე, თუმცა ამას წინ უძღოდა როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებთან მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევითი შრომა ამ ენის სხვადასხვა პრობლემებზე.

როგორც ჩვენამდე მოღწეული წერილობითი მასალების მიხედვით, ისე საკვლევაძიებო ღირებულებათა თვალსაზრისით, პირველი უნდა დავასახელოთ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გერმანელი ორიენტალისტი ანტონ შიფნერი (1817-1879).

თუშური ენის ბგერათა სისტემა პირველად სწორედ ა. შიფნერის მიერ იყო მეცნიერულად შესწავლილი. რ. გაგუას აზრით, აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ა. შიფნერმა ფაქტობრივად ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებში გამოიკვლია ბგერათა დისტრიბუცია (Гаря, 1983, 175), რასთან დაკავშირებითაც არნ. ჩიქობავა ბრძანებს, ეს იყო შემთხვევა, როცა ცნებამ გაუსწრო ტერმინსო (ჩიქობავა, 1965, 186). იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში პირველი ბილიკები სწორედ ა. შიფნერმა გაკვალა თავისი ცნობილი მონოგრაფიით „*Verzuch über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien*“ („ცდა თუშური ენის, ანუ ქისტური დიალექტის შესწავლისა...“), რომელიც გერმანულ ენაზე დაწერა 1856 წელს და გამოაქვეყნა 1859 წელს პეტერბურგში. ეს ფუნდამენტური ნაშრომი, როგორც არნ. ჩიქობავა ბრძანებს, წარმოადგენს „პირველ მეცნიერულ აღწერით გრა-

მატიკას“ „იბერიულ-კავკასიურ ენათათვის“ და „ასეთ დონეზე შესრულებული შრომა იმ ხანად“ არ მოგვეხოვება – „არათუ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, არამედ ქართულისათვის“ (ჩიქობავა, 1965, 176). მანამდე – 1855 წელს – პეტერბურგის აკადემიის გამომცემლობაში მას უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული სტატია სათაურით (რუსულ ენაზე) „თუშური ენის მოკლე დახასიათება“. ამგვარად, ა. შიფნერი გვევლინება „მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის პიონერად“ (ჩიქობავა, 1965, 177). ა. შიფნერის დეაწლი, როგორც არნ. ჩიქობავაც ბრძანებს, მით უფრო დასაფასებელია, რომ მკვლევარმა ისე შექმნა ეს მართლაც ძალიან ღირებული ნაშრომი, კავკასიაში არასოდეს ყოფილა (ჩიქობავა, 1965, 176), თუმცა კონსულტაციებს მიმოწერის სახით იღებდა იობ ცისკაროვისგან (ცისკარიშვილისგან), რესპონდენტად კი ჰყავდა ი. ცისკარიშვილის უმცროსი ძმა – გიორგი ცისკარიშვილი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტი.

მისი ნაშრომი ხელნაწერის სახით რომ არ დარჩენილიყო, ქრონოლოგიურად პირველი, ალბათ, უნდა დაგვესახელებინა წოვათუში, ა. შიფნერის რესპონდენტი, ალვანის თუშთა სამების საღვთო მსახური იობ ცისკაროვი, იგივე ცისკარიშვილი (.... -1877): პირველი, რაც თუშური ენის კვლევის ისტორიაში არის გაკეთებული, გახლავთ სწორედ იობ ცისკაროვის 1848 წლის ნაშრომი „მოკლე თუშურ-წოვაური გრამატიკა, შედგენილი ალვანის სამების თუშთა ეკლესიის მღვდლის, იობ ცისკაროვის მიერ“ («Краткая тушино-цовская грамматика...»), რომელიც ხელნაწერის სახით ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივში (Цискаров, 1848). გამოდის, რომ ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლთა შორის ეს პირველია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაშიც. მასში მოცემულია თუშური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკით-

ნები. სწორედ მისი ამ უნიკალური ხელნაწერიდან აიგო ა. შიფნერის ცნობილი მონოგრაფიაც. ი. ცისკარიშვილსავე ეკუთვნის და აქვე ინახება „რუსულ-წოვა-თუშური ლექსიკონის“ ხელნაწერი, აგრეთვე მისი წერილები ა. შიფნერისადმი, რომელშიც ზოგიერთ ენობრივ საკითხზეცაა საუბარი.

როგორც ა. შიფნერის, ისე ი. ცისკაროვის შემკვიდრეობას დიდი ხნით უსწრებს წინ ასევე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745-1781), დანატოვარი, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისუბრებით, აქ კი შევნიშნავთ, რომ მეცნიერსა და მოგზაურს სამეცნიერო კვლევა არ უწარმოებია, თუმცა პირველმა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში შეადგინა კავკასიური ენების სიტყვათა კონები და ფაქტობრივად მოახდინა მათი ლექსიკის შედარება, რითაც ერთი მხრივ, დაადასტურა თუშური ენის არსებობა, მეორე მხრივ, ეს ენა მოაქცია მკვლევართა ყურადღების არეალში, ხოლო, მესამე მხრივ, მეცნიერებს მიაწოდა საკვლევადი მასალა, რომელიც დღემდე მაღალღირებულია. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად ი. გიულდენშტედტის ჩანაწერები იქცა ერთ-ერთ წინაპირობად ბაცბოლოგიური კვლევითი საქმიანობისათვის.

გვინდა კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას იმას, რომ, ჩვენი აზრით, გერმანელმა მეცნიერებმა, აკად. ი. გიულდენშტედტმა და აკად. ა. შიფნერმა ჩაინიშნეს თუშური ენის ისეთი ფონეტიკური ფაქტებიც, რომლებსაც მიეყაფართ გერმანული და თუშური ენების ტაბოლოგიამდეც ფონეტიკაში, რასაც ერთგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს როგორც იბერიულ-კავკასიური, ისე ზოგადი ენათმეცნიერებისთვის, კერძოდ, ზოგადი ფონეტიკისთვის. ეს მეცნიერები ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდნენ თუშური ენის იმ ზოგიერთი ფონეტიკური თუ ფონოლოგიური თავისებურებით, რომელთა არსიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასე თუ

ისე ეხმაურება გერმანული ენის თავისებურებებსაც.

თუმცა ვცადეთ ერთგვარ ქრონოლოგიურ სამანებში მოგვექცია ბაცბოლოგის საწყისი ეტაპი, მაგრამ იმდენად დიდი აღმოჩნდა თუშური ენით დაინტერესებულ მკვლევართა აქტიურობა კავკასიოლოგიის განვითარების გარიჟრაჟზე, რომ ჭირს მათი განსხვავება პირველობის თვალსაზრისით. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ აქ, პირველ რიგში, ისევე როგორც ეს კოტე ჭრელაშვილმა გააკეთა, იქნებ უნდა დაგვესახელებინა ფრანგი ორიენტალისტი, აკადემიკოსი მარი ბროსე (1802-1880), ვის შესახებაც სრულიად სამართლიანად ითქვა: რატომღაც ჩრდილში რჩება მისი დამსახურება მთის კავკასიურ ენათა მეცნიერულ შესწავლაში (ჭრელაშვილი, 2002, 27). „ჩვენი ღრმა რწმენით, თუ არა მარი ბროსეს ინიციატივა, არ დაიწერებოდა აკად. ანტ. შიფნერის ცნობილი გამოკვლევა“ (ჭრელაშვილი, 2002, 27-29).

საყურადღებო და სასარგებლო ცნობებს გვაწვდის როგორც თუშურ ენაზე, ისე მის მატარებლებზე პირველი კავკასიოლოგი პეტრე უსლარი (1816-1875). მეტიც, შეიძლება ვთქვათ, რომ თუშური ენის ღირსება ყველაზე გულუხვად სწორედ პ. უსლარმა შეათასა სიტყვებით, რომლებითაც წინამდებარე ნაშრომი იხურება: თუშური ენა „არაჩვეულებრივად მდიდარია გრამატიკული ფორმებით, რომლებიც აზრის ყველაზე ნატივ ელფრთა გამოხატვის შანსს იძლევიან“.

ასე რომ, ამ დიდი სახელების წყალობით, როგორც კ. ჭრელაშვილი ბრძანებს, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ყველაზე სვებედნიერი სწორედ თუშური ენა აღმოჩნდა (ჭრელაშვილი, 2002, 7).

თუ ამ ენის კვლევაში ქრონოლოგიურად პირველი ადგილი მივაკუთვნეთ ი. ცისკარიშვილის გრამატიკასა (1848 წ.) და აკად. ა. შიფნერის მეცნიერულ გამოკვლევას (1856 წ.), თავისი მონუმენ-

ტურობით, მიუხედავად მასში არსებული ჭარბი უწყესტობებისა, დღემდე პირველ ადგილზე რჩება იუნუს (დუნუს) დეშერიევის კაპიტალური ნაშრომი «Бацбийский язык» (1953 წ.). ამ მკვლევართა მეცნიერულ მემკვიდრეობებს შორის დრო სწორედ ერთ საუკუნეს ითვლის.

საკითხის შესწავლის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა კანონზომიერებამ: სულ რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ პ. უსლარი – 1875 წ., ი. ცისკაროვი – 1877 წ., ა. შიფნერი – 1879 წ., მ. ბროსე – 1880 წ., რამაც შეგვიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ამ ერთ გუნდად შეკრულმა თანავარსკვლავედმა სწორედ იმისთვის გამოანათა თუნდაც მცირე ხნით, რათა წარმოეჩინა ის უმწერლობო ენა, რომელიც, როგორც კ. ჭრელაშვილი ბრძანებს და როგორც მ. ბროსე თვლიდა, „დღეს თუ ხვალე გაქრებოდა“ (ჭრელაშვილი, 2002, 29). მართლაც: ამის შემდეგ კარგა ხნით ჩაკვდა ამ მკვლევართა მაგვარი დაინტერესებაც თუშური ენით და მისი კვლევა-ძიებაც.

შემდგომ – ნიკო მარიდან (1864–1937) – თუშური ენის შესწავლის საქმეში ჩნდება ახალი იმპულსი, თუმცა მანამდელმა პაუზამ უსათუოდ დაასვა ერთგვარი დაღი ამ კეთილშობილურ საქმიანობას, განსაკუთრებით კი თუშური ენისა და მის მატარებელთა აღმნიშველ ტერმინოლოგიას.

მათ შორის, ვინც ჩვენ მიერ თანავარსკვლავედად წოდებული მკვლევარების შემდეგ თუშური ენის სტრუქტურის ესა თუ ის პრობლემა გააშუქა და ამით ასე თუ ისე წვლილი შეიტანა ამ ენის ბეგრათა სისტემის კვლევაში, უნდა დავასახელოთ ისეთი ცნობილი ავტორები, როგორებიც არიან: ნ. მარი, ნ. ტრუბეცკოი, ა. დირი, ა. სომერფელტი და სხვ.

კ. ჭრელაშვილის ცნობით (ჭრელაშვილი, 2002, 13) 1914 წ. თელავის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა, წოვათუშმა დ.

ცისკარიშვილმა ნ. მარი ჩაიყვანა ალვანში⁵, სადაც გააცნო თავისი ნათესავი – ლევა ცისკარიშვილი. მის ბინაში მოეწყო მეცნიერი, რათა შესდგომოდა, ნ. მარისავე ტერმინოლოგიით (sic!), თუშური ენის შესწავლას. ლევას შვილიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი დ. ცისკარიშვილი იხსენებს თავისი მამის ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორი მონდომებით შეუდგა ნ. მარი თუშური ენის შესწავლას: იმდენად ექსკლუზიური აღმოჩნდა დიდი მეცნიერის განწყობა თუ მისწრაფება შესასწავლი ენისადმი, რომ ერთ თვეში უნებლიეთ დაშვებულ შეცდომებს უსწორებდა თვით ენის მატარებლებს. უკვე ამ უნარის მიხედვით შეიძლება შეფასდეს ნ. მარის ადგილი ბაცბოლოგიაში.

თუშური ენის ბგერათა კვლევის ნ. მარის შემდგომდროინდელი ისტორია ქრონოლოგიურად დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ 1924 წელს გამოაქვეყნა შრომა (უცხო ენაზე) „ჩრდილოკავკასიური ენები“, სადაც საუბარია ჩეჩნური (ნახური) ჯგუფის ენებზეც და, მამასადამე, თუშურ ენაზეც.

1928 წელს შრომაში (უცხო ენაზე) „შესავალი კურსი ენათა შესწავლაში“ ადოლფ დირი ეხება თუშური ენის ლატერალებს და ვოკალთა მიდრეკილებას ნაზალობისადმი.

1933 წელს ერთ-ერთ თავის ნაშრომში ალფ სომერფელტმა, ჩეჩნურსა და ინგუშურთან ერთად, წარმოადგინა თუშური ენის ხმოვნები და თანხმოვნები.

1943 წლიდან თუშური ენის კვლევა-ძიების კეთილშობილურ საქმიანობაში ერთვებიან ჩვენი თანამემამულეებიც, რომელთა შო-

⁵ დღეს ორი ალვანია – ზემო და ქვემო; იმხანად ერთი ალვანი იყო, რომელშიც მხოლოდ წოვები ცხოვრობდნენ და რომელსაც დღეს ჰქვია ზემო ალვანი (ამჟამად, როგორც ზემოთაც ითქვა, იქ ცხოვრობენ თუშთა წოვისა და პირიქითის წარმომადგენლები).

რისაც პირველი გახლავთ რუსუდან გაგუა. 1955 წელს იგი აქვეყნებს თეზისებს, ხოლო 1956 წელს – სტატიას სახელწოდებით „ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში“.

1953 წელს გამოდის **ი. დეშერიევის** ზემოთ დასახელებული მონოგრაფია (რუსულ ენაზე) „ბაცბური ენა“, სადაც საკუთრივ ამ ენის ბგერათა სისტემაზე არის გაშუქებული.

1962 წელს **დ. იმნაიშვილი** აქვეყნებს შრომას სათაურით „ხმოვანთა ასიმილაციის ზოგი სახე ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენებში“, სადაც, ბუნებრივად, თუშური ენის ხმოვნებზეც არის საუბარი.

1963 წელს **ი. დეშერიევი** თავის მონოგრაფიაში (რუსულ ენაზე) „ნახური ენების შედარებითი ისტორიული გრამატიკა და მთის იბერიულ-კავკასიური ხალხების ისტორიული განვითარება“, თავისთავად, საუბრობს თუშური ენის ბგერებზეც.

1966 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“ ნახური ენების გავლენის ფონზე ქართული ენის მთის კილოებზე **თ. უთურგაიძე** საუბრობს თუშური ენის როგორც კონსონანტთა, ისე ვოკალთა ზოგიერთ თავისებურებაზე, ასევე იძლევა თუშური ენის ცლარინგალის ერთობ საინტერესო ინტერპრეტაციას თუშური კილოს ეკვივალენტურ ბგერასთან მიმართებაში.

1975 წელს ქვეყნდება **კ. ჭრელაშვილის** მონოგრაფია „ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა“, სადაც, თუმცა თანხმოვნებზეა საუბარი, მაგრამ წარმოდგენილია ამ ენის თანხმოვანთა დისტრიბუციული ანალიზიც, რაც, თავისთავად, წარმოადგენს ძვირფას მასალას ხმოვანთა შესწავლისთვისაც, რადგან თანხმოვნები დისტრიბუციულ მიმართებაში არიან ხმოვნებთანაც (ასეთი ანალიზი გვეხმარება, მაგალითად, ხმოვანთა ნახალიზაციის ზოგიერთი ნიშნის დადგენაში).

1977 წელს გამოდის დავით იმნაიშვილის მონოგრაფია (რუსულ ენაზე) „ნახური ენების ფონეტიკის შედარებითი ისტორიული ანალიზი“, სადაც ავტორი სათანადო ადგილს უთმობს თუშური ენის ბგერათა სისტემასაც.

1978 წელს მაცვალა მიქელაძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „ინტერფერენტული პროცესები ბაცბურ ენაში (ბაცბურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)“, სადაც, თემიდან გამომდინარე, უსათუოდ გვხვდება ლალიანი მასალა ამ ენის სამეტყველო ბგერათა ანალიზის გასამდიდრებლად.

1978 წელს იზა ჯოლბორდი აქვეყნებს შრომას „ა. შიფნერი და წოვა-თუშური ენის ფონეტიკის საკითხები“.

ამავე წელს ი. ჯოლბორდი იცავს დისერტაციას თემაზე „ანტონ შიფნერი და წოვა-თუშური (ბაცბური) ენის ფონეტიკისა და ლექსიკოგრაფიის ძირითადი საკითხები“, რომელიც ასევე საუკეთესო მასალას წარმოადგენს თუშური ენის ფონეტიკითა თუ ფონოლოგიით დაინტერესებულ პირთათვის.

1983 წელს ქვეყნდება რ. გაგუას შრომა (რუსულ ენაზე) „ბაცბური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები“, სადაც, თავისთავად, თუშური ენის ბგერებზეა საუბარი.

დიდი წვლილი შეიტანეს თუშური ენის კვლევის საქმეში დ. და ნ. ქადაგიძეებმა, ლ. სანიკიძემ, თ. გონიაშვილმა, ბ. შავხელიშვილმა, მ. ცისკარიშვილმა და სხვ.

უზარმაზარი შრომა აქვს ჩადებული ელენე ქადაგიძეს დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“ კალიგრაფიულად გადაწერის საქმეში ოფსეტური ბეჭდვისათვის.

რაც შეეხება თუშური ენის შესწავლას უახლოეს წლებში:

კ. ჭრელაშვილი აქვეყნებს მონოგრაფიებს: 2002 წელს – „წოვა-თუშური ენა“, 2006 წელს – „ნახური ენების თანხმომავნათა სისტემის პარადიგმატული და დისტრიბუციული ანალიზი“, 2007

წელს – «Цова-тушинский (бацкий) язык».

2008 წელს მ. შიქელაძე აქვეყნებს მონოგრაფიას სახელწოდებით „ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში (წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)“.

მთელი ეს შემკვიდრება ძვირფას საგანძურს წარმოადგენს თუშური ენის მეცნიერული კვლევის ისტორიისათვის. აქ დასახელებულ და აგრეთვე სხვა მკვლევართა უდავოდ სასარგებლო მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით გზადაგზა იქნება წარმოდგენილი და გამოყენებული.

§ 2. კვლევის მეთოდი, მიზანი და მნიშვნელობა

წინამდებარე მონოგრაფიას წამძღვარებული აქვს თ. გამყრელიძის სიტყვები, რომელიც დროული და ზედამოჭრილი აღმოჩნდა რა აქ გასაანალიზებელი მეტყველებისთვის (ენისთვის), ჯერ კიდევ რომ არაა სრულყოფილად შესწავლილი, კიდევ ერთხელ გვათამამებს, სამსჯავროზე გამოვიტანოთ მცირე მიგნებები ამ ენის ფონეტიკასა და ფონოლოგიაში.

ძნელია, კიდევ ერთხელ არ გაგვახსენდეს პ. უსლარის სიტყვები იბერიულ-კავკასიურ ენებთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ არ გავიმეოროთ ისინი: „სრულიად მცდარია აზრი ამ ენათა უკიდურეს უბადრუკობაზე. ამას ქადაგებენ ადამიანები, რომელთაც არაფითარი წარმოდგენა არა აქვთ მათზე. პირიქით, ეს ენები არაჩვეულებრივად მდიდარია გრამატიკული ფორმებით, რომლებიც აზრის ყველაზე ნატივ ელფერთა გამოხატვის შესაძლებლობას იძლევიან“ (Услар, 1887, 28).

დიდი მოაზროვნე ვ. ჰუმბოლდტი კი გვასწავლის, რომ „ენა ყოველთვის განასახიერებს მთელი ხალხის თავისებურებას“, რომ

„მსოფლიოს ენების შესწავლა ამავე დროს არის კაცობრიობის აზრებისა და გრძნობების მსოფლიო ისტორია“, რომელიც „უნდა აღწერდეს ყველა ქვეყნისა და კუტურული განვითარების ნებისმიერი დონის ადამიანებს“, და რომ ენა უნდა ვაქციოთ კვლევის იმ საგნად, „რომელიც უნდა გახდეს ადამიანის შეცნობის საშუალება მისი კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე“ (Гумбольдт, 1985, 349), ვინაიდან სხვადასხვა ენების შესწავლისას ნებისმიერ მათგანში თავისთავად და მოულოდნელად მკვადანდება ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც თითქოსდა ცხოველი შექმთ აცის-კროვნებს ირგვლივ ყოველივეს (Гумбольдт, 1985, 347). ვ. ჰუმბოლდტი გაუმართლებლად თვლის იმას, როცა ენის მნიშვნელობას აფასებენ ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურის სრულყოფილების შესაბამისად, ხოლო სრულებით უგულვებელყოფენ ენებს, რომლებზედაც ლიტერატურა სულაც არ შექმნილა. ენა, – წერს იგი, – „თვით ყველაზე ღარიბი და უხეშიც კი, თავისთავად და თავისთვის არის საგანი, რომელიც იმსახურებს ყველაზე მხეწრჩაციბულ გააზრებას“ (Гумбольдт, 1985, 348).

ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ საინტერესო და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ ენად იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის უსათუოდ უნდა მივიჩნიოთ თუშური ენა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თუშური ენის ბგერათა სისტემის შესწავლისა და გაანალიზების კიდევ ერთ ცდას (*Veruch*).

რით შეიძლება იყოს გამართლებული (დასაბუთებული) ასეთი კვლევა-ძიების აუცილებლობა, ან თუნდაც საჭიროება?

ვ. ჰუმბოლდტისა და პ. უსლარის ზოგად თეორიულ შეფასებებს, რომლებიც თავისთავად უკვე იწვევენ და ამართლებენ ასეთ დანტერესებას, შეიძლება დაემატოს შემდეგი:

თუ, ერთი მხრივ, „ბაცბური ვოკალიზმი“ უფრო რთულია, ვინემ ინგუშური და – შედარებით ჩაჩნურთან – უფრო მარტივი“ (ჩიქობავა, 1979, 46), მეორე მხრივ, „ნახურ ენათა ვოკალიზმი უფრო ძველი სახით ბაცბურსა და ინგუშურში ჩანს შემორჩენილი, ვიდრე ჩაჩნურში“ (ჩიქობავა, 1979, 49). ისე რომ, სამი ნახური ენის ვოკალიზმიდან ყველაზე საინტერესო მაინც თუშური ენის ვოკალიზმი ჩანს – როგორც სირთულის, ისე სიძველის თვალსაზრისით. ამანაც განაპირობა წინამდებარე შრომის ავტორის დაინტერესება ამ საკითხით.

„...ბევრი რამ არის გასარკვევი იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიასა თუ ფონეტიკაში, კერძოდ, ამ ენათა ფონემატური შედგენილობის დადგენისა და ფონემათა იდენტიფიკაციის მხრივ“, – წერდა არნ. ჩიქობავა 1979 წელს (ჩიქობავა, 1979, 58). ამ 30 წლის მანძილზე, ცხადია, ბევრი გაკეთდა და გაიკვვა, მაგრამ გასაკეთებელი და გასარკვევი, მით უმეტეს, დასაზუსტებელი კიდევ უფრო მეტი ჩნდება თუშური ენის ფონეტიკასა თუ ფონოლოგიაში.

„დღემდე აზრთა სხვადასხვაობის საგანია მკვლევართა შორის ამ ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის რიგი კარდინალური საკითხი, – სამართლიანად შენიშნავდა მ. მიქელაძე 1993 წლის ერთ კერძო (ხელნაწერ) რეცენზიაში. – შესწავლას საჭიროებს ბევრითი მხარეც. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკას აქვს რაციონალური მეთოდები ფონემატურ სტრატემათა კვლევისა, არაა დღემდე საბოლოოდ დადგენილი წოვათუშური ენის ფონემათა რაოდენობისა და დისტრიბუციის საკითხები“ (მიქელაძე,

⁶ აქ უკვე გამოჩნდა (და კვლავაც გამოჩნდება) საკვლევი ენის აღმნიშვნელი ტერმინების სიჭრელესთან დაკავშირებული ერთგვარი უხერხულობა თუ გაუგებრობა, რაც კიდევ ერთხელ უნდა მიგვანიშნებდეს ტერმინოლოგიური წესრიგის აუცილებლობაზე, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

1993, 1). მიუხედავად იმისა, რომ ამ რეცენზიის დაწერიდან ორ ათეულ წლამდეა გასული, ხარვეზები მაინც რჩება, რომელთა შევსებასაც ემსახურება წინამდებარე შრომა.

იცავს რა ფონეტიკური და ფონოლოგიური ასპექტების მკაცრი დიფერენციაციის პრინციპს და ლაპარაკობს რა ზ. უსლა-რისა და ა. დირის მიერ წარმოდგენილ წერილობით მასალებში არსებულ წინააღმდეგობებსა თუ არათანმიმდევრულობაზე აღმოსავლეთკავკასიური ენების სპეციფიკური ბგერების გადმოცემისას, რაც, მისი აზრით, ართულებს ამ ბგერათა სწორ სისტემატიზაციას, ნ. ტრუბეცკოი შენიშნავს, რომ „ფონეტიკური აღწერა მოითხოვს საგულდაგულო კვლევა-ძიებებს, რომლებიც უნდა ხორციელდებოდეს იმ კავკასიოლოგთა მიერ, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ, იმუშაონ შესაბამის ინფორმანტებთან“, რადგან „ამ სფეროში შეიძლება განვჭვრიტოთ ჯერ კიდევ არცთუ ცოტა მოულოდნელობები“ (Трубецкой, 1987, 284). აღმოსავლეთ კავკასიური ენების ფონეტიკური მხარის შეფასებისას, – განაგრძობს ენათმეცნიერი, – „ჩვენ ჯერჯერობით უნდა დავკმაყოფილდეთ ოდენ ფრთხილი ზოგადი მტკიცებებით. და პირიქით, აღმოსავლეთ კავკასიურ ბგერათა სისტემების ფონოლოგიური მხარე შეიძლება გამოკვლევას დაექვემდებაროს დღესვე (ენის – ა. ბ.) მატარებელთა წარმოთქმაზე უშუალო დაკვირვების გარეშე“ (Трубецкой, 1987, 284).

ამ თვალსაზრისით, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ თუშური ენის ფონეტიკის სფეროში გადავეყაროთ ამა თუ იმ მოულოდნელობებს და ზოგიერთი საკითხის მეტაანალიზის („გადაანალიზების“) აუცილებლობის წინაშე დავდგეთ.

გარდა ამისა, რაკი, ანტიკური ფილოსოფიის თანახმად, შემცენების წრეწირის გაფართოებასთან ერთად, იზრდება შეუცნობელთან შეხების წერტილთა რაოდენობა, უნდა ითქვას ისიც, რომ

პრობორციულად იზრდება შეცნობის სურვილიც.

ბგერა (მარცვალთან ერთად) მეტყველების ბირთვია, მისი ხელუხლებელი სიდიდე, იმდენად ხელუხლებელი, რომ ერთი ენიდან მეორეზე შეიძლება ვთარგმნოთ (ითარგმნება კიდევაც) მთელი ტექსტი, აბზაცი, წინადადება, სინტაგმა, შესიტყვება, სიტყვა, ძირიც კი, მაგრამ ბგერა (ან მარცვალი) – თითქოს უმარტივესი რამ – არა: ამა თუ იმ ენისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის ბგერა ან არსებობს მეორე ენაში (სხვა ენებში), ან არა. და როცა თარგმნასთან გვაქვს საქმე, ბგერას, რომელიც არ გააჩნია მეორე ენას, მაგრამ შედის, დაფუშვით, ანთროპონიმებში, ანდა ტოპონიმებში, თითქოს ერთგვარი ტაბუ აძევს და ჭირს მასთან შეხებაც კი: მოცემული ენის გენია მასში კოდირებული, როგორც უდიდესი ენერგია – ატომის ბირთვში.

შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების საწყისთა საწყისი ბგერაა და ამა თუ იმ მეტყველების (ენის) თავისებურების კოდი ძევს სწორედ ამ ენის ბგერებში, ბგერათა სისტემებში, მათ ჰარადიგმატიკასა თუ დისტრიბუციასში, სინქრონიასა თუ დიაქრონიასში. ენათა უზარმაზარ მრავალფეროვნებაში წამყვანი და საერთო როლი სწორედ ბგერებს ეკისრებათ: ერთი ენა მეორისგან უპირველესად განსხვავდება არა იმდენად ლექსიკით, მორფოლოგიითა თუ სინტაქსით, როგორც ასეთით, რამდენადაც – ბგერათა ამა თუ იმ სახის კომბინაციებით (შეერთებებით), რომლებსაც, ამგვარად ყალიბდებიან რა ჯერ მორფოლოგიურ (ლექსიკურ), მერე კი სინტაქსურ სიდიდეებად, ბოლოს მივეყვართ კომუნიკაციამდე – სოციალურ ღირებულებებამდე მოცემული ენის შიგნით, აქედან კი ამ ენის გარეთ – კვლავ ბგერების წყალობით. გზა ორ სამეტყველო საშუალებას შორის – შინაარსის პლანსა და გამონატულების პლანს შორის – ძევს ბგერებზე. დაწერილი სიტყვა – ეს არის არა უბრალოდ ასოთა მწყობრი რიგი, როგორც შეიძლება ხოლმე

მოგვეჩვენოს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, „ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს“ (ქეგლ, 1990, 892).

სწორედ ბგერებიდან და ბგერებით დაიწყო ადამიანმა მეტყველება, ისევე როგორც ბგერებიდან და ბგერებით – მათი კანონზომიერი და რეგულარული ცვლილებებით – იწყება ყოველი მოცემული მეტყველების (ენის) განშტოებაც ჯერ დიალექტებად, მერე კი დამოუკიდებელ ენებად. როცა ჩვენს სიახლოვეს ჩვენთვის გაუგებარ – თუნდაც ჩვენივე ენის მონათესავე – ენაზე ლაპარაკობენ, ჩვენ გვესმის არა სინტაქსი, მოფოლოგია, სემანტიკა, სტილისტიკა და ბოლოს ლექსემები, არამედ, პირველ რიგში, ბგერები. ამიტომაც დაისახა პიველი რიგის ამოცანად **მ. ქურდიანმა** კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემების დადგენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიის შესათვალად (ქურდიანი, 2007). ბგერა არის მონათესავე ენების წყალგამყოფიც და გამაერთიანებელიც.

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, თუშური ენის კვლევა-ძიება თავისი მოცულობით ჯერაც არ გამოსულა დესკრიფციული ეტაპიდან. ამიტომაც ვიწყებთ თუშური ენის ფონეტიკით და თავად ნაშრომიც ამიტომ ატარებს ძირითადად დესკრიფციულ ხასიათს.

აზრის მშენებლობისა თუ მისი გადმოცემისათვის, რაც ენის (მეტყველების) უმთავრესი და ძირითადი ფუნქციაა, „პირველად ელემენტს“ წარმოადგენს ბგერა (Гумбольдт, 1984, 73). ბგერა არის „ენის ნამდვილი მატერია“ (Гумбольдт, 1984, 73). „ბგერები... ქმნიან ყოველგვარი მეტყველების საფუძველსა და არსს“ (Гумбольдт, 1984, 84). სამეტყველო ბგერები – ეს ის მატერიაა, რომლის გადმოცემასაც „პირუტყვიც შეძლებდა“, თუკი, ადამიანის მსგავსად, ექნებოდა შესაბამისი სულიერი შემართების უნარი, რითაც „თავის ორგანოებს აიძულებდა გამოეცა ისინი“ (Гумбольдт, 1984, 84).

თუმცა ჩვენ მიერ მისი მისამართით წარმოთქმულ ამა თუ სიტყვაში – ბგერათა ჯგუფში – პირუტყვი, ადამიანისგან განსხვავებით, ვერ აცნობიერებს ვერაფრთა ლექსიკურ მნიშვნელობას (სემანტიკას) იმ გაგებით, რა გაგებითაც ვაცნობიერებთ ჩვენ, ადამიანები (თანამოსაუბრენი), მაგრამ სამეტყველო ბგერა ის მატერიალურია, რომლის წყალობითაც ადამიანს ასე თუ ისე ძალუძს კომუნიკაციის დამყარება მასთან – პირუტყვთან. მაშ, ბგერა იმაზე უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს სამეტყველო სივრცეში, ვიდრე კონკრეტული სემანტიკის მატარებელი სიტყვა (სიტყვები), ანუ ყოველი ბგერა იმაზე უფრო მეტ მისიას ასრულებს, ვიდრე თვით ადამიანური მეტყველება, როგორც ასეთი.

გარდა უკვე თქმულისა, დღეს ადამიანის მეტყველების (ენის) რეალიზაცია ძირითადად ხდება ორი – საწარმოთქმო, ბგერითი და სამწერლობო, გრაფიკული – ფორმით. ამ კონტექსტში ბგერით ფორმას შეიძლება ფონეტიკურიც ვუწოდოთ. თუმცა, ერთი მხრივ, უდავოდ „დამწერლობა კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება“ და თავისი მნიშვნელობით მისი წარმოშობა „ცეცხლის აღმოჩენას თუ შეიძლება გაუტოლოთ“, „დამწერლობას სამართლიანად ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა კაცობრიობის კულტურის განვითარების ისტორიაში“, „დამწერლობას ახასიათებს ისეთი თვისებები, რაც მას ბგერითი ენისაგან განასხვავებს და რაც მას კაცობრიობის ისტორიაში განუმეორებელ მნიშვნელობას ანიჭებს“ და თუმცა „ბგერითი ენა შეზღუდულია დროსა და სივრცეში“ (ნებიერიძე, 1991, 120), მაგრამ, მეორე მხრივ, მთლიანად ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს „ზეპირ (ე. ი. ბგერით – ა. ბ.) მეტყველებას ისტორია არ ჰქონდეს და მისი ისტორია წარმოთქმისთანავე მთავრდებოდეს“ (ნებიერიძე, 1991, 120). ისიც მართალია, რომ „ბგერითი მეტყველება ვერ იქნება ინფორმაციის შენახვისა და თაობიდან თაობაში გადაცემის კარგი

საშუალება“: „დამწერლობისათვის დამახასიათებელ უძვირფასეს თვისებას, მართლაც, კარგად გამოხატავს ლათინური ანდაზა – „ნათქვამი დაფრენს, ნაწერი რჩება“ (ნებიერიძე, 1991, 120). მაგრამ თუკი „ისტორიას“ შევხვდებით არა ვიწროდ, არა როგორც მეცნიერებას, რომელიც სწავლობს განვითარებას (ქეგელ, 1990, 546), არამედ – უფრო ფართოდ, როგორც განვილი გზას, წარსულის (ქეგელ, 1990, 546), მაშინ მივალთ იმ აზრამდე, რომ ბგერით მეტყველებას უფრო დიდი და შორეული ისტორია აქვს, ვიდრე დამწერლობას, ანდა ცეცხლის აღმოჩენას; ბგერითი მეტყველება ისეთივე უძველესი ისტორიული კატეგორიაა, როგორც თავად ადამიანი, რომლის ისტორიაშიც ვგულისხმობთ მის წარსულს არა ისტორიოგრაფიის, ანდა თუნდაც დამწერლობის დაარსებიდან, არამედ თვით მისი ბგერითი მეტყველების ჩამოყალიბებიდან.

საწარმოთქმოდან იშვა სამწერლო.

გარდა ამისა, მართალია, „ნაწერი რჩება“, მაგრამ ის უტყვი, მკვდარი და არაფრის მომცემია ბგერითი რეალიზაციის გარეშე. დაწერილ სიტყვას მძუჯ თავისთავად არა აქვს და არც მიეცემა რაიმე საკომუნიკაციო (სამეტყველო) ღირებულება, თუ ჩვენთვის უცნობი დარჩება ამ სიტყვაში ჩართული სამწერლო ნიშნებით (ასოებით) აღნიშნული ბგერების რაობა. ჩვენ შეგვიძლია იეროგლიფები საგულდაგულოდ გადავიტანოთ ერთი სიბრტყიდან (ქალაქიდან) მეორეზე, მეორედან მესამეზე და ა. შ., მაგრამ ისინი მკვდარ სურათებად დარჩებიან, ვიდრე არ ჩავწვდებით მათ პირველსახეს – ბგერებს. მათი ბგერებად გადაამუშავების მომენტიდან ამეტყველდება თვით მათი ისტორიაც.

მეტყველების გადმოცემა ასოებით, ანუ წერილობით მეორადი მოვლენაა, ისევე როგორც ხალხში ზეპირად შექმნილი მელოდიის გადმოცემა სამუსიკო ნიშნებით. წერა წარმოადგენს ბგერითი (ზეპირი) მეტყველების დამატებით საშუალებას (Розен-

талъ, ..., 1976, 284).

საბოლოოდ საქმე გვაქვს მკაცრად თანმიმდევრულ კანონ-ზომიერებასთან: ბგერა (საწარმოთქმო) – ასო (სამწერლო) – ბგერა (საწარმოთქმო). პროცესუალურად ეს პრინციპი დღესაც ყოველ ნაბიჯზე ძალაშია: ნაუბარი ან ნაფიქრალი (შინაგანი მეტყველება, რომელიც აგრეთვე ბგერით პრინციპებს ეყრდნობა) გადაგვაქვს ქალაღზე, რათა იგი კვლავ ბგერით რეალიებად იქცეს. ამ თვალსაზრისითაც, ბგერითი მეტყველება, ბგერა, მისი შესწავლა პირველ რიგში იმსახურებს ყურადღებას. ენათა სხვა შრეების (ლექსიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის) შესწავლის დროსაც უნდა გვანსოვდეს ბგერის, როგორც ენობრივი ფაქტის პრიმატი.

შეუცნობლად, სწორედ ხმის ბგერათა გამოყენებით განავითარა ადამიანის მეტყველება მისმა ინტელექტმა, – ამბობს **ლ. მორგანი** (*Морган*, 1933, 6), ხოლო **ვ. ჰუმბოლდტის** აზრით, ენა – ეს არის ხალხის გაერთიანებული სულიერი ენერგია, რომელიც საოცარი სახით აღბეჭდილა განსაზღვრულ ბგერებში (*Гумбольдт*, 1985, 349).

ასე რომ, პირველი სიტყვა სწორედ ბგერას ეკუთვნის. აქედან გამომდინარეობს წინამდებარე შრომის ავტორის დაინტერესება ბგერათა სისტემებით მის მშობლიურ ენაში.

სამეტყველო ბგერებიდან თუშური ენის თანხმავანთა სისტემა დღეისათვის რამდენადმე უკეთ არის შესწავლილი. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა (და იქნებ კიდევ უფრო საინტერესოც) ამ ენის ვოკალიზმი თავისი მრავალფეროვნებითა და დღეს უკვე აშკარად ცვალებადი ხასიათით – განსაკუთრებით სიგრძე-სიძოკლის (ბგერათრაოდნობის, კვანტიტეტის) მხრივ, რის გამოც ხმოვანთა ამ ნიშნის დაფიქსირება და შესწავლა არცთუ იშვიათად საკმაოდ გაძნელებულია. როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად ერთობ ფაქიზი და მდიდარია თუშური ენის ხმოვანთა სისტე-

მა, მაგრამ კიდევ უფრო მასშტაბურად გამოიყურება იგი, თუკი შევადარებთ, დაფუძვით, ქართული ან რუსული ენების ხმოვანთა სისტემებს. ამასთანავე ჩანს, რომ ოდესღაც კიდევ უფრო მდიდარი ვოკალიზმი თუშური ენისა დღეს გაორებისა და გამარტივების რთულ და მძიმე გზაზე დგას, რაც კიდევ უფრო აცხოველებს მის-
დამი ინტერესს.

იქ, სადაც თანხმოვნებია, უსათუოდ ხმოვნებიცაა. და გარ-
კვეულად სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ თუშური (და არა
მარტო თუშური) ენის ბგერათა სამყაროზე, სასურველია, ხმოვან-
თა შესწავლის დონე ასე თუ ისე მივუახლოვოთ უკვე საკმაოდ
კარგად შესწავლილი თანხმოვნების დონეს. ამ თვალსაზრისით,
უფრო მეტი ყურადღება აქ სწორედ ხმოვანთა სისტემას დაეთმო-
ბა.

წინამდებარე ნაშრომში საკმაოდ სერიოზული ყურადღებაა
გამახვილებული ინტერფერენტულ ზეწოლაზე, რასაც ასე მტკივ-
ნეულად განიცდის თუშური ენა და რაც ერთ-ერთი მიზეზია გაქ-
რობის იმ საშიშროებისა, რომლის ქვეშაც აღმოჩნდა დღეს ეს ენა.

ვფიქრობთ აგრეთვე, რომ როგორმე უნდა გავარღვიოთ საბ-
ჭოური მეცნიერული კლასიციზმის ჯერ კიდევ არსებული ჩარჩო-
ები და საჭიროების შემთხვევაში მოვიშველიოთ მასალა ცოცხალი
– ექსტრალინგვისტური – შრეებიდანაც, თუკი ეს დაგვეხმარება
თუნდაც მცირედის გამოვლენაში. თუმცა ნებისმიერი უძწერლო-
ბო ენა, სადაც არ მოქმედებს არანაირი ოფიციალური ენობრივი
ნორმატივები, თავისი არსით ისედაც ექსტრალინგვისტურია.

კვლევის მეთოდი ძირითადად ატარებს ბგერათა სისტემა-
სტრუქტურების დესკრიფციული (აღწერითი) ანალიზის ხასიათს,
რადგან, პირველ რიგში, საშურია სწორედ აღწერა ბგერებისა. სა-
ჭიროების შემთხვევაში მოშველიებულია ისტორიული მასალა.
გამოყენებულია აგრეთვე სტრუქტურულ-ტაბლოგიური შედა-

რების მეთოდი. ცნობილია, რომ ტიპოლოგიური შედარება იწყება იქ, სადაც მთავრდება აღწერითი კვლევა, რომლის ბუნებრივ გაგრძელებადაც იქცევა ტიპოლოგია. საჭიროება-შექლებისდაგვარად, თუშური ენის ბგერათა ესა თუ ის ნიშან-თვისება შედარებულია ავტორისთვის მეტ-ნაკლებად მისაწვდომი ენების შესაბამის ნიშან-თვისებასთან, რათა მსჯელობას მისცემოდა ზოგადენათმეცნიერული მიმართულება და ამით თუშური ენის ფონეტიკა წარმოჩენილიყო ზოგადი ფონეტიკის მხრივაც. ამისათვის გამოყენებულია მაგალითები ქართული, რუსული, ზოგჯერ სხვა ენებიდან, რამაც, ზოგადი ენათმეცნიერების (ზოგადი ფონეტიკის) თვალსაზრისით, ერთგვარი კონსტატაცია უნდა გაუკეთოს თუშური ენის ფონეტიკის ამა თუ იმ ფაქტს.

რაკი თუშური ენა, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ-ერთი შექმდგენელი ნაწილი, განთავსებულია იმ ქართულენოვან სამყაროში, რომელშიც ბილინგვი (ორენოვანი) წოვათუშები უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ, მიუხედავად იმისა, რომ ის უმწერლობა (და იქნებ სწორედ ამიტომაც), მისი ბგერითი სისტემა უმთავრესად წარმოდგენილია ქართულ ბგერით სისტემასთან მიმართებაში. თუ არ ზრდის ინტერესს, არც უნდა ანელეგდეს ისიც, რომ თუშურ ენასთან შეხებისას, როგორც უკვე ითქვა, საქმე გვაქვს ბილინგვიზმის (ორენოვნების) არცთუ ფართოდ გავრცელებულ ფაქტთან, რაც საბჭოური იდეოლოგიზმის პირობებში, როცა ლინგვისტიკაც იდეოლოგიზირებული იყო, ლამის ტრილინგვიზმში გადაიზარდა. ამიტომაც არის საინტერესო თუშური ენის ფონეტიკის ტიპოლოგიური მიმართების გამოვლენაც ქართული ენის ფონეტიკასთან, კერძოდ, ბგერათა რაობისა თუ რაოდენობის მომენტის იდენტიფიკაცია ორივე ამ ენაში. ამის გარეშე ბგერათა ანალიზი არ იქნებოდა სრული. თუ თუშური ენის ბგერათა სისტემა როგორღაც ქართული ენის ბგერათა სისტემის მსგავსი გამოდგა,

შესაძლებლობა მოგვეცემა, ვივარაუდოთ ამ ენების გენეალოგიური ნათესაობა თუ არა (რაც უამისოდაც არის უკვე ნავარაუდევი), ერთი ცის ქვეშ თანაარსებობა მაინც უძველესი დროიდან.

საჭირო შემთხვევაში მოხმობილია დისტრიბუციული ანალიზის ელემენტებიც, ხოლო ყოველი ბგერის ანალიზის დასასრულ შემთავაზებულია პარადიგმატიკის ელემენტებიც.

კვლევის პროცესში შესწავლილი და დამუშავებულია შემდეგი ენობრივი მასალა (წყაროები): **ა. შიფნერის** მიერ მის მონოგრაფიაში (**Schiefner, 1859**) წარმოდგენილი ლექსიკა, **ი. გიულდენშტედტის** „კავკასიაში ხმარებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები“ (გიულდენშტედტი, 1964), **ს. მაკალათას** მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული ერთი ტექსტი (27), **ი. დეშერიევის** საილუსტრაციო მასალა და ტექსტები (**Дешериев, 1953**), **ივ. ბუქურაულის** მხატვრული ტექსტის („კაწკაწ ღუჯ“ – ‘პატარა მწყემსი’) ავტორისეული ხელნაწერი, **დ. ქადაგიძისა** და **ნ. ქადაგიძის** „წოვათუშური-ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (ქადაგიძე, ..., 1984), **თ. უთურგაიძისეული** საილუსტრაციო მასალა (უთურგაიძე, 1966), **კ. ჭრელაშვილის** მონოგრაფიების საილუსტრაციო მასალა (ჭრელაშვილი, 1975; ჭრელაშვილი, 2002; **Чрелашвили, 2007**), **ა. ალვანელის** (**ბობღიაშვილის**) ქართულენოვანი მხატვრული ტექსტები, რომლებშიც ჩართულია თუშურენოვანი ფრაგმენტები (ალვანელი, 1993), **კ. ჭრელაშვილის** ხელთ არსებული ხელნაწერი ტექსტები, წოვათუშური ტექსტები (2011), აგრეთვე **მ. მიქელაძის**, **ა. ბერთლანის**, **მ. ბუქურაულისა** და სხვათა მიერ სხვადასხვა დროს მოძიებული ხელნაწერი ტექსტები და **ა. შ. აქ** დასახელებულმა წერილობითმა წყაროებმა, შესაბამის სამეცნიერო გამოკვლევებთან ერთად, დიდად შეუწყეს ხელი წინამდებარე მონოგრაფიის დასრულებას.

რაც შეეხება ზეპირ თუშურენოვან მეტყველებას, მისი ანა-

ლიზი ხდებოდა ყოველგვარი აპარატურის გარეშე და აბსოლუტურად ემყარებოდა როგორც ცოცხალ მეტყველებაზე, ისე სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებულ აუდიომასალაზე უშუალო დაკვირვების შედეგად მიღებულ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას. ალბათ, მტკიცებას აღარ მოითხოვს ის, რომ ყველაზე მეტ ეფექტს მაინც იძლევა სწორედ ცოცხალ, ზეპირ მეტყველებაზე სისტემატური და უშუალო სმენითი დაკვირვება, სადაც შეუზღუდავია ინფორმანტების ასაკი და სქესი, სოციალური მდგომარეობა, საქმიანობა თუ სხვა ნიშნები.

როცა ლაპარაკობს, მაგალითად, ნახური ჯგუფის ენებში ხმოვანთა შესატყვისობებისა და ხმოვანთა ცვლის საკითხების გაშუქებაზე, **დ. იმნაიშვილი** შენიშნავს, რომ **ა. სომერფელტს** არ უწარმოებია დაკვირვება ცოცხალ მეტყველებაზე, რის გამოც მისი შრომები შეიცავს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს და რომ სადავოა ზოგი ფაქტის კვალიფიკაცია (იმნაიშვილი, 1962, 237). აქ თავისთავად გვახსენდება **ნ. ტრუბეტკოის** გამონათქვამი ინფორმანტებთან უშუალო მუშაობასთან დაკავშირებით.

როგორც თუშურენოვანი ტექსტების, ისე ბაცბოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალის ზერეღე დათვალიერებაც კი ცხადყოფს, რომ არცთუ იშვიათად შეიძლება ადგილი ჰქონდეს სუბიექტური თუ ობიექტური ხასიათის სხვადასხვა სახის სერიოზულ უზუსტობებს.

მაგალითისთვის: რუსულენოვანი ლიტერატურიდან თუშურენოვანი ვალრ ლექსემის შესწავლისას რუსული თარგმანით *'udëm'* თუშური ენის არმცოდნე ქართულენოვანმა (ან სხვაენოვანმა) მკვლევარმა, შესაძლოა, ეს სიტყვა გაიგოს და თარგმნოს *'მიღის'* ფორმით, ნაცვლად ფორმისა *'მოღის'* – სწორედ იქ, სადაც საუბარი ეხება ზმნის ფორმათა წარმოებას, და ამით თავად მკვლევარსაც და მკითხველსაც გამოჩნეთ ამ თუშურენოვანი

ზმნის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება, რომელიც, ქართულის მსგავსად და რუსულისგან განსხვავებით, გადმოსცემს სივრცეში საგანთა მიმართულების დიფერენცირებული ხედვის უზარს.

იმ შემთხვევაში, როცა ენას იკვლევს უცხოელი, არ არის გამორიცხული, მხედველობიდან გამორჩეს და შეუსწავლელი დარჩეს უამრავი მომენტი, აუხსნელი – ასევე უამრავი ფაქტი, ცალკეული ფაქტები კი იზოლირებულად წარმოაჩინოს იქ, სადაც „სინამდვილეში ცოცხალი კავშირი აერთიანებს მათ“ (Гумбольдт, 1984, 72), და ბოლოს, როგორც ივ. ჯაახიშვილი ბრძანებს ა. შიფნერის მონოგრაფიასთან დაკავშირებით, არაერთი შეცდომა გაეპაროს (ჯაახიშვილი, 1937, 32), თუმცა ა. შიფნერის მოღვაწეობის დროისა თუ პირობების შედარება არაფრით არ შეიძლება, მაგალითად, ი. დეშერიევის მოღვაწეობის დროსა თუ პირობებთან.

საკვლევი ობიექტიდან ბუნებრივად გამომდინარეობს კვლევის მიზანი და მნიშვნელობა.

რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი ანალიზი ?

„იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას, – შენიშნავს არნ. ჩიქობავა, – ჯერ კიდევ არ მიუღწევია ისეთი დონისათვის, რომ მეცნიერული ისტორია კონკრეტული ფაქტებისა – ფონეტიკა იქნება თუ მორფოლოგია, ანდა ლექსიკა – მთლიანი სახით წარმოგიდგეს. ეს შემდგომი საქმეა. ამჟამად მიზნად ის გვექნება, რომ განვითარების ძირითადი საკითხები გავარკვიოთ“ (ჩიქობავა, 1979, 41). ასეთ საკითხად, სხვა საკითხებთან ერთად, არნ. ჩიქობავა თვლის ბგერათა სისტემასაც (ჩიქობავა, 1979, 41).

კვლევის მიზანია, შეავსოს ბაცბოლოგიაში დღემდე უკვე გაკეთებული საქმე და შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს თუშუ-რენოვანი მეტყველების, კერძოდ, მისი ფონეტიკის ზოგიერთი საინტერესო წახნაგი, რაც საბოლოოდ შეიძლება წაადგეს ბგერათა კვლევის შემდგომი დახვეწის საქმეს – არა მარტო კავკასიოლო-

გიის, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

არ შეიძლება ჭეშმარიტების რაღაც წილი არ იდოს ი. დეშე-რიევის მოსაზრებაში: „ბაცბური ენაში ნასესხობის, შერევისა და შეჯჯვარების მოვლენები შედეგია ბაცბური და ქართული ენების ახალი (ხელახალი – ა. ბ.) შეხვედრისა ახალ ისტორიულ პირობებში, შესაძლოა ფუძე-ენის თავდაპირველი დაშლის მომენტიდან რამდენიმე ათასწლეულის გავლის შემდეგ“ (Дешериев, 1953, 20).

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომის მიზანია:

ა) თავი მოუყაროს და სისტემატიზაცია გაუკეთოს სამეცნი-ერო ლიტერატურაში დაგროვილ მასალას თუშური ენის ბგერათა სისტემებზე;

ბ) იქ, სადაც ეს შესაძლებელია, რეინტერპრეტაცია გაუკე-თოს შესაბამის ფაქტებს;

გ) ახალი ინფორმაციით შეავსოს თუშური ენის ბგერებზე დღემდე შემუშავებული მასალა.

რამდენადაც ძველია თვით ენათმეცნიერება, იმდენადვე ხან-მოკლეა თუშური ენის კვლევის ისტორია. მისი სერიოზული, მეცნი-ერული შესწავლის პირველ ცდებს, როგორც დავინახეთ, XIX საუ-კუნის 50-იან წლებშილა ეხვდებით გერმანელ მკვლევართან, აკად. ა. შიფნერთან. გამოდის, რომ, თუ სხვა ენების შესწავლას ათასწლო-ბითი ისტორია აქვს (და მათ კვლავაც შეისწავლიან და, მაშასადამე, ისინი კვლავაც შესასწავლია), ეს-ესაა, რაც თუშური ენა გამოჩნდა ლინგვისტთა დაინტერესებისა თუ კვლევის არეალში.

ჩვენი პლანეტის ენობრივი სტრუქტურები იზომორფულია (ერთნაირი ფორმისაა), მსოფლიოს ენები ერთი და იმავე ფონდით სარგებლობენ და ამ ფონდიდან (უნივერსალური გრამატიკის ფონ-დიდან) აშენებენ თავიანთ სრუქტურებს; ამიტომ ენებს შორის არ-სებული განსხვავება ნავარაუდევია თვით უნივერსალური გრამატი-კის მიხედვით: ესა თუ ის კონკრეტული ენა ახდენს არა მთელი უნი-

ვერსალური ლინგვისტური სრტუქტურის, არამედ ოდენ მისი ერთ-ერთი ვარიანტის რეალიზაციას; აქედან გამომდინარე, პლანეტაზე არსებული ენები შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი – უნივერსალური – ლინგვისტური სრტუქტურის სხვადასხვა ვარიანტები და მათში არ შეიძლება იყოს რაიმე ისეთი მოვლენა, რომელიც უნივერსალური გრამატიკით არ იქნება სანქცირებული, ანუ დადასტურებული (ნებიერიძე, 1991, 310–316). მოსწრებულად აქვს შენიშნული ამასთან დაკავშირებით ვ. ჰუმბოლდტს: „ისე საოცრადაა შეწყვეტილი ენაში ინდივიდუალური საყოველთაოსთან, რომ ერთნაირად სწორია ვთქვათ: კაცობრიობის მთელი მოდგმა ერთ ენაზე ლაპარაკობს და, ამავე დროს, თითოეულ ადამიანს საკუთარი ენა აქვს“ (Гумбольдт, 1984, 74).

ამ თვალსაზრისით, თუშური ენის, როგორც მსოფლიო სამეტყველო გენოფონდის ერთ-ერთი შემაღვენილი ნაწილის, შემდგომი კვლევა-ძიება უთუოდ უნდა წაადგეს ენათა კვლევას საერთოდ: თუშური ენის ბგერებზე დაკვირვებამ შეიძლება საშუალება მოგვცეს, რამდენადმე ახლებურად შევხედოთ, მაგალითად, დღემდე მიღებულ იმ ზოგადენათმეცნიერულ დებულებებს, რომელთა საფუძველზეც ხდება, დაეუშვათ, ხმოვნებისა და თანხმოვნების დახასიათება თუ განდასება.

ამ ნაშრომში წარმოდგენილი და აღწერილი ფაქტების კვალიფიკაცია, შესაძლოა, ზოგჯერ ნაკლებდამაჯერებელი, ანდა სულაც საკამათო იყოს. მაგრამ თვით მათი კონსტატაცია ხანგრძლივი და ღრმა, სკრუპულოზური დაკვირვების შედეგია.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ განსხვავებული მოსაზრებები ამ გამოკვლევაში, თუ ასეთი მოიპოვება მასში, დღემდე არსებული მოსაზრებების იგნორირების მიზნით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ნაკარხახევია ბაცბოლოგიისთვის რაიმე ახლის შემატების პროფესიული სურვილით.

§ 3. კვლევის მეცნიერული სიახლე

პირველად თუშური ენის კვლევის ისტორიაში:

1) შემოთავაზებულია ქართული ანბანის ახალი მოდელი როგორც თუშური ენის, ისე სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ქართულენოვანი საკვლევაძიებო საჭიროებისათვის.

2) გამოვლენილია ფუძისეული მოკლე ხმოვნები.

3) ხმოვნებიდან გამოყოფილია ირაციონალური ხმოვნები.

4) გამოვლენილია: ახალი გრძელი ხმოვნები, ზეგრძელი ხმოვნები, ნაზალიზებული გრძელი ხმოვნები, ე. წ. თავისუფალი ხმოვნები, თავისუფალი ნაზალიზებული ხმოვნები, თავისუფალი გრძელი ხმოვანი.

5) ტიპოლოგიურ დონეზე შემუშავებულია იდეა ხმოვანთა კვანტიტატიური განსხვავების შესახებ სალიტერატურო ქართულში.

6) შემუშავებულია თუშური ენის ხმოვანთა პერსპექტიული (სივრცობრივი) პარადიგმატიკა.

7) თუშური ენისთვის დადგენილია ხმოვანი ფონემების განსხვავებული რაოდენობა: 37.

8) გამოვლენილია ნახევარხმოვანი 2 ფონემის ნაზალიზებული 2 კორელატი, რის წყალობითაც ნახევარხმოვანი ფონემების რაოდენობა განისაზღვრა რიცხვით 2.

9) თუშური ენისთვის დადგენილია თანხმოვანი ფონემების განსხვავებული რაოდენობა: 43.

10) ამრიგად, დადგენილია თუშური ენის ფონემათა საერთო რაოდენობა: 82.

11) გამოვლენილია თუშური ენის ზოგიერთი ფონოლოგიური სიდიდის ახალი სინტაქსური ფუნქციები.

12) შემჩნეულია, ჩვენი აზრით, კლასის მახვენებლებიანი პირ-

ველი არსებითი სახელები.

13) შემოთავაზებულია იდეა ახალი ხელსაწყოს შემუშავების საჭიროებისა თუ აუცილებლობის შესახებ სამეცნიერო ბეგრათა ლაბორატორიული კვლევისათვის.

14) შემუშავებულია არააპარატურული ხერხები სამეცნიერო ბეგრათა შიზოფონიისთვის („გახლეჩისათვის“).

15) შიზოფონიის გზით თუშური ენის 9 თანხმონიდან გამოყოფილია ფონეტიკური 6 და 7 ელემენტები.

16) ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნებიდან ტიპოლოგიურ პლანში ასევე შიზოფონიის დონეზე გამოყოფილია შემართვისეული ლარინგალური 6 ელემენტი – არა მხოლოდ თუშურ ენაში.

17) ტიპოლოგიურ პლანში გამოვლენილია ანლაუტის ხმოვანთა ე. წ. თავისუფალი შემართვა – ასევე არა მხოლოდ თუშურ ენაში.

18) აღწერილია როგორც თუშურენოვანი, ისე ქართულენოვანი ექსტრალინგვისტური წარმონაქმნები; წარმოდგენილია, მაგალითად, ე. წ. II არხის ბეგრები, აგრეთვე ინსპირაციული ბეგრები და სხვა საარტიკულაციო თავისებურებანი.

19) შეძლებისდაგვარად გადამოწმებული და ჩასწორებულია როგორც თეორიული, ისე ფაქტობრივი ხასიათის უზუსტობები, შემჩნეული ბაცბოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

20) მსჯელობის პროცედურაში ჩართულია სხვადასხვა სახის ახალი – განსხვავებული – მოსაზრებები.

21) ყოველივე ეს ასე თუ ისე გვაახლოვებს ხმოვნებიდან თანხმონებამდე მიმავალ იმ გზასთან, რომელიც შეძღვრულ გამოკვლევებში შეიძლება მოიხაზოს.

22) თუშურ-ქართული ორენოვნების ფონზე დეტალურად არის აღწერილი ინტერფერენტული პროცესების ის შედეგები, რომლებმაც განსაზღვრეს ამ ენის ბედი.

23) ერთ-ერთ საინტერესო ფაქტორად მცირე ენების შესწავლის პროცესში დღევანდელი ენათმეცნიერება მიიჩნევს მანამდე უცნობი ენობრივი ფენომენის აღმოჩენის შესაძლებლობას (გიგაშვილი, 2010, 42). ამ თვალსაზრისითაც მოიტანს უთუოდ გარკვეულ სარგებლობას წინამდებარე მონოგრაფია.

24) თავისი ხანგრძლივი და ღირსეული არსებობის ბოლო წუთებს თუ არა, ბოლო დღეებს ითვლის თუშური ენა, რის ერთ-ერთ მიზეზსაც წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერის არარსებობა საუკუნეთა მანძილზე. ჩვენ ვეთანხმებით იუნესკოს იმ მოსაზრებას (გიგაშვილი, 2010, 34), რომ ენის კვდომის „პროცესი შეიძლება შეჩერდეს, თუ ქმედითი ღონისძიება განხორციელდება“ მთავრობის მხრიდანაც. ვიმედოვნებთ, რომ შემუშავდება სახელმწიფო პროგრამა ამ უნიკალური ენის გადასარჩენად, ან თუნდაც სიცოცხლის რამდენადმე გასახანგრძლივებლად. იგი უმწერლობის პირობებშიც კი ბოლო დრომდე ავლენს გასაოცარ სიცოცხლისუნარიანობას.

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს თუშური ენის ბგერათა სისტემების კვალიფიცირებისა თუ კლასიფიცირების გარკვეულ მცდელობას თეორიული ენათმეცნიერების უახლესი მიღწევების გათვლისწინებით. თუმცა ბევრ შემთხვევაში, მაგალითად, უახლესი საერთაშორისო სატრანსკრიფციო ნიშნების გამოყენების ნაწილში შენარჩუნებულია მანამდელი – ტრადიციული – ფონეტიკური სწავლების სტილი, რის საბაზადაც გულწრფელად შეიძლება მივანიშნოთ როგორც თვით მონოგრაფიის ავტორის, ისე მკითხველი საზოგადოების გარკვეულ, მაგრამ აშკარა მოუშხადებლობაზე: ჩანს, ამ სიახლესაც, ისევე როგორც ყველაფერს, ერთგვარი ადაპტაცია სჭირდება.

თავი I
რამდენიმე კერძო საკითხი
თუშური ენის ფონეტიკასთან მიმართებაში

§ 1. ქართული ანბანის ახალი მოდელის საჭიროების შესახებ

სამეცნიერო კვლევა-ძიებების დროს საილუსტრაციო მასალის წარმოსადგენად კავკასიურ ბგერებს, ჩვეულებრივ, გადმოსცემენ სხვადასხვა (ქართული, ლათინური, რუსული და ა. შ.) ანბანით. პ. უსლარის მიხედვით, ქართულ ანბანს ყველა სხვა ანბანზე უკეთ შეუძლია გამოხატოს კავკასიური ბგერები (Услар, 1887, 45-60). დავეუმატებდით: ქართულ ანბანს შეუძლია გამოხატოს არა მარტო კავკასიური ბგერები.

ქართული ანბანი, უპირველესად, დასაფასებელია იმ ნიშნით, რომელსაც ი. დეშერიევი უწოდებს „ნებისმიერი ენის ანბანის შექმნის იდეალურ პრინციპს“ და რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ყოველი ფონემის აღნიშვნა შეიძლება ერთი საგანგებო გრაფემით, ანუ ასოთი (Дешериев, 1992, 96). ამ მხრივ ი. დეშერიევი ქართულ ანბანს (სომხურთან ერთად) უწოდებს ყველაზე უფრო სრულყოფილს (Дешериев, 1992, 96). მაშ: ქართული ანბანის შესაძლებლობები მარტო იბერიულ-კავკასიური არეალით არ განისაზღვრება.

ი. დეშერიევის მიხედვით, ანბანის სრულყოფილებას განაპირობებს გრაფიკის ხარისხი (დიზაინის მოთხოვნები), მისი ე. წ. გარნიტურული თავისებურებანი: ყოველი ასოს მიერ დაკავებული ადგილი, მისი ესთეტიკური ღირსებები, მოხერხებულობა, წერისა და დახსომების სიადვილე და ა. შ. (Дешериев, 1992, 96).

და კიდევ: ანბანის სრულყოფილებას განაპირობებს გრაფიკული გამოსახულების ვიზუალური აღქმისათვის საჭირო თუ დახარჯული დროის ფაქტორიც. ასო უნდა იყოს არა მონაკვეთებად

დანაწევრებული და, ამის გამო, „შესაგროვებელი“ რამ, არამედ ისეთივე მონოლითური აგებულებისა, როგორც ბგერაა. გრაფიკისადმი ამგვარი მიდგომა, ალბათ, უხერხულია სამწერლობო ტრადიციების მქონე ენებთან მიმართებაში, მაგრამ უმწერლობო ენების კვლევისათვის, ვფიქრობთ, ზედგამოჭრილია.

ამჟამად სხვადასხვა ოდენობის ენერგია (ყურადღების დახარჯვა), სხვადასხვა დრო და ფართი სჭირდება იმას, რათა დავინახოთ, ასევე დავინახოთ და დავწეროთ, ერთი მხრივ, მაგალითად, ჩეჩნური [კ] ბგერის აღმნიშვნელი რუსული **к** ასო მისი მომდევნო რომანული **l** გრაფემითურთ – **kl**, ფრანგული **o** ბგერის აღმნიშვნელი ფრანგულივე ტრადიციული **eau** ასოთა ჯგუფი, ანდა გერმანული **ჩ** ბგერის აღმნიშვნელი გერმანულივე მრავალნიშნა **tsch** კომპლექსი, მეორე მხრივ კი – ჩეჩნურ-ქართული კ ბგერის, ფრანგულ-ქართული **o** ბგერის, ანდა გერმანულ-ქართული **ჩ** ბგერის აღმნიშვნელი ქართული კ, **o**, **ჩ** ასოები.

შ. რევიშვილი „მისაღმების ღირსად“ სამართლიანად მიიჩნევს იმ გამარტივებას, რომლისთვისაც „ადგილის მოსაგებად და კითხვის გასაადვილებლად“ მიუმართავთ „მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონის“ გერმანულ ავტორებს ჯერ კიდევ 1963 წელს (რევიშვილი, 1968, 144).

და მაინც: მიუხედავად თავისი ამ შესაძლებლობებისა, ქართული ანბანი, ჩანს, იდეალურია არა საერთოდ, არამედ სხვა ანბანებთან მიმართებაში, რადგან მთის კავკასიურ ენებში (და არა მართო აქ) ბგერების რაოდენობა იმაზე გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ქართული ანბანის 33 ასო-ბგერაა. ამას განაპირობებს სპეციფიკური ბგერების არსებობა ამ ენებში. მაგალითად, თუშთა წოვის თემის ქართულისგან განსხვავებულ ენაში, ერთ-ერთი ბოლო გამოკვლევის მიხედვით (ბართიშვილი, 1995₂), მარტო ხმოვანთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 28-ს შეადგენს, თავი რომ

ვანებოთ თანხმობებს, რომელთა შორისაც ასევე უხვად არის სპეციფიკური ბეგრები. თუკი ხმოვანთა დასახელებულ რიცხვს მივუმატებთ სულ ბოლო ხანს მიკვლეულ (ბარტიშვილი, 1995₃; ბარტიშვილი, 1993; ბარტიშვილი, 1995₂; **ბარტიშვილი, 1998₂**) ე. წ. თავისუფალ ხმოვნებსაც მათი კორელატებითურთ და კიდევ უფრო გვიანდელ მიგნებებსაც, მათი რიცხვი თავისთავად გაიზრდება. როგორც ჩანს, ფონემათა კიდევ უფრო მეტ რაოდენობას შემოგვთავაზებს წინამდებარე მონოგრაფია. შეუძლებელია თუშური ენის სპეციფიკური ბეგრების უბრალო ჩამოთვლაც კი, არათუ დახასიათება მათი აღმნიშვნელი გრაფემების მოდერნიზაციის თვალსაზრისით. ამიტომ შემოვიფარგლებით სულ რამდენიმე ფონეტიკური შტრიხის წარმოდგენით, რაც, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე საკმარისი იქნება შემოთავაზებული იდეის კონტურების მოსახაზად.

დღეისათვის შემუშავებულია სამეტყველო ბეგრათა გრაფიკულად გადმოცემის მთელი სისტემები (ანბანები) – როგორც ენების შიგნით, ისე მათ გარეთ (გარეთ ამ სისტემებს ამუშავებს **ISO „სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია“**, სადაც სადღეისოდ შემოთავაზებულია, მაგალითად, „ინტერნაციონალური ფონეტიკური ანბანი“ – **IPA**).

ამ – საანბანო – სისტემების შიგნით იქმნება დიაკრიტიკული ნიშანთა ქვესისტემები. მაგალითად, გრძელი ხმოვანი (ანუ გრძელი ხმოვნის ბეგრათრაოდენობა) გადმოიცემა – დიაკრიტიკული ნიშნით ასოს თავზე, ნახალური ა ხმოვანი კი, მაგალითად, გადმოიცემა დიაკრიტიკული ნიშნით (ასევე ასოს თავზე), ანდა ა⁵ (უკეთეს შემთხვევაში ზ) სახით და ა. შ.

მაგრამ დიაკრიტიკას კვლავ მიყვარებთ დინამიკის პრობლემებთან. ეს პრობლემები კიდევ უფრო ღრმავდება, როცა ამა თუ იმ ენის ამა თუ იმ ბეგრაში თავს იყრის ორი (ერთზე მეტი) სპეციფი-

კური ნიშანი. თუშურ ენაში, მაგალითად, შეიძლება შეგვხვდეს გრძელი ნაზალიზებული ხმოვანი (ე. ი. ხმოვანი ერთდროულად შეიძლება იყოს გრძელიც, ნაზალიზებულიც) (ბართიშვილი, 1995², 20). ასეთ შემთხვევაში ვიღებთ გრაფიკულ სურათს (მაგალითისათვის მოგუხმით ა ხმოვნის შესაფერის კორელატს): ზ.

ხოლო, თუ მეცნიერული ანალიზისთვის გრძელი ა ხმოვანი გადმოვეცით, დავეშვათ, 5 სახით, ზეგრძელი კი – 5 სახით, მახვილიანი ზეგრძელი, ანდა მახვილიანი გრძელი ნაზალიზებული კორელატის/კორელატების აღნიშვნის საჭიროების შემთხვევაში ვერაფრით ვერ ავცდებით დიაკრიტიკული ნიშნების „დაშტაბელებას“: 5', ანდა 5'.

როგორც ვხედავთ, სახეზეა გრაფიკული ნიშნების (თავად ასოც ხომ გრაფიკული ნიშანია) აშკარა გადატვირთვა, რაც დამატრულად ეწინააღმდეგება ანბანის დიზაინს.

დიზაინი, რომელიც აღმოცენდა ჯერ კიდევ XXს. დასაწყისში და რომელსაც ჩვენ, საბჭოეთის ადამიანები, რიგიანად დღემდეც კი არ ვიცნობთ, იყო „რეაქცია ადამიანის საგნობრივი გარემოს ვიზუალური და ფუნქციური თვისებების სტიქიურ ფორმირებაზე“ (ქსე, 1978, 547). თუკი გრაფემას ფონემის ხატად მივიჩნევთ, მაშინ გრაფიკის დიზაინის პრობლემა იმაზე უფრო მაღალ ელერადობას იძენს, ვიდრე, მაგალითად, ავტომობილის, ანდა ავეჯის დიზაინია. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ვ. კოტეტიშვილის წუხილი, ვთქვათ, ეთერ თათარაიძის თუშურკილოვანი ლექსების კრებულთან დაკავშირებით (რასაც სხვა კონტექსტში კიდევ დავეუბრუნდებით), კერძოდ, „დღესდღეობით მიღებული ქართული ანბანი, – წერს იგი, – ნამდვილად არ აღმოჩნდა საკმარისი ყოველი ნიუანსის გადმოსაცემად“ (კოტეტიშვილი, 1979, 5–6).

მოკლედ, საჭირო დიაკრიტიკა, რომლის გარეშეც, უბრალოდ, სხვა გზა არ არის, ისეთნაირად უნდა გამოვიყენოთ, რომ,

რაც შეიძლება სრულად პასუხობდეს სამეტყველო ბგერათა სპეციფიკასაც, თანამედროვე დიზაინის მოთხოვნებსაც და, ამავე დროს, ზიანი არ მიაყენოს ტრადიციულ ზღუდეებს. თანამედროვე კომპიუტერიზაციის ბირობებში ეს საქმე არ წარმოადგენს რაიმე სერიოზულ სიძნელეს.

გრაფიკის სპეციალისტებს ვთავაზობთ ასოს გარეთ მდებარე დიაკრიტიკული ნიშნების, ანდა მათი ელემენტების „შეტანას“, განთავსებას თვით ასოს მოხაზულობაში და ამასთანავე ისე, რომ ასოს მოხაზვა შეიძლებოდეს საწერი საშუალების ერთი გატარებით – აულებლად. ასეთი ასო ერთ მთლიანობად იქცევა დიაკრიტიკულ ნიშანთან/ნიშნებთან ერთად. ასეთ „აპერაციას“, ავტორის აზრით, სრულიად უმტკივნეულოდ გადაიტანს ქართული ანბანი.

წარმოვადგინოთ შემოთავაზებული დიზაინის შტრიხები ა ხმოვნისთვის. ამ ხმოვნის გრძელი ნაზალიზებული კორელატი, მაგალითად, რომელიც დღეისათვის გადმოიცემა

წ, ანდა წ

აღნაგობის სახით, ჩვენი იდეის შესაბამისად შეიძლება გადმოიცეს დაახლოებით ასე⁷:

წ

ამავე პრინციპით გაფორმდება სხვა სპეციფიკური კავკასიური ბგერების – როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების – აღმნიშვნელი ასოები.

⁷ ბოლო ორივე მოდელი გრაფიკულად შეიმუშავა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის IT ჯგუფის ქსელისა და სისტემის ადმინისტრატორმა ლევან ჯაშიაშვილმა.

§ 2. ხმოვანთა და თანხმოვანთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის

ხეთური ენის არქაულობაზე საუბრისას განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს სპეციფიკური ბგერების, კერძოდ, ლარინგალური არტიკულაციის შენარჩუნებას მასში (БСЭ, 1978, 246). მისი წყალობით გახდა შესაძლებელი ენათმეცნიერების იმ მთელი რიგი თეორიული დებულებების დადასტურება, რომლებიც ცნობილია ლარინგალური თეორიის სახელით (БСЭ, 1973, 167).

თუკი გავიხსენებთ, რომ ხეთური ენა ფუნქციონირებდა II ათასწლეულში ჩვენს ერამდე (XVIII-XII სს.), მაშინ კიდევ უფრო არქაულად უნდა მივიჩნიოთ ის ლარინგალური არტიკულაცია, რომელიც, თავისი ვიწრო გაგებით, გულისხმობს ხშულ-მსკდომ ც ხმოვანს⁸ და რომელიც ფუნქციონირებს ჯერ კიდევ ცოცხალ თუშურ ენაში. ამ უკანასკნელს ხეთური ენისგან თითქმის მთელი 4 ათასწლეული აშორებს.

ლარინგალური ც იმდენად არქაული და თავისებური ბგერაა, რომ კიდევ ბევრჯერ მოუწევთ ლინგვისტებს მასზე ფიქრი. და როცა ვგეგმავთ ხმოვნებისა და თანხმოვნების რაობისა და ურთიერთმიმართების გარკვევას, ვერ ავირიდებთ საუბარს მასზე.

ლარინგალური ც დგას ორი სამყაროს – თავისუფალი და ჩვეულებრივი ხმოვნების – საზღვარზე. ამიტომ: თუკი მიზნად დავიხსანავს რაიმის თქმა თვით ჩვეულებრივ ხმოვნებზეც კი, ვერ ავცდებით ამ თანხმოვნის ანალიზს, თუშცა არც თუ ცოტა მასზე თქმული ლინგვისტიკაში.

მსჯელობის დაწყებამდე ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავების, ანუ მათი ურთიერთმიმართების, შესახებ საყრდენად

⁸ ფართო გაგებით ჰ ლარინგალი იგულისხმება.

უნდა ავიღოთ ა. მეიეს თეზა, რომელსაც დღემდე ყველაზე სწორად მიიჩნევენ ლინგვისტიკაში: „ხმოვანსა და თანხმოვანს შორის ის განსხვავებაა ჩვეულებრივ ხმამაღალ მეტყველებაში, რომ ხმოვანი იწარმოება ხმის გამოღებით საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას (იგულისხმება სტატიკა – ა. ბ.), ხოლო თანხმოვანი – ხმის ან ჩქამის გამოღებით საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობისას (იგულისხმება დინამიკა – ა. ბ.) (ახვლედიანი, 1949, 388).

სამეტყველო ბგერებად წოდებული ცალკეული არტიკულაციურ-აკუსტიკური, ანუ ფონეტიკური სიდიდეები იზოლირებულად არ ფუნქციონირებენ ცოცხალ მეტყველებაში, ანდა ფუნქციონირებენ უკიდურესად სუსტად: თავიანთ საბოლოო, სოციალურ დანიშნულებას ისინი აღწევენ ოდენ სიტყვაში – ფონემების სახით. ამასთანავე, სიტყვის ქსოვილი, ჩვეულებრივ, იქმნება ხმოვანთა და თანხმოვანთა ურთიერთჩაქსოვის შედეგად. მეტიც: როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი ფონემების ხასიათიც და დანიშნულებაც ყალიბდება მათ ერთმანეთთან მეზობლობაში (დისტრიბუციაში).

როცა სამეტყველო ბგერებს ვმიჯნავთ ხმოვნებად და თანხმოვნებად და ცალ-ცალკე ვიკვლევთ მათ, არ უნდა გვავიწყდებოდეს ისიც, რომ ერთნიც და მეორენიც, უპირველეს ყოვლისა, ერთი საერთო სუბსტანციის (თავის ტვინის) პროდუქტია და ხმოვნები შეიძლება იმაზე მეტად არც განსხვავდებოდნენ თანხმოვნებისგან, ვიდრე ერთი ბგერა განსხვავდება მეორისგან. ამიტომაც: არ არის გამორიცხული ბგერების გადაადგილება ერთი სისტემიდან (სიბრტყიდან, კლასიდან) მეორეში.

ბუნებაში არ არსებობს რა მკაცრი მიჯნები, სინამდვილის განუყოფელ თვისებას წარმოადგენს გადასვლები (გადაადგილებები) ერთი კლასიდან მეორეში (БСЭ, 1973, XII, 269). მაგალითად,

ქართულში გვაქვს ფონეტიკური პროცესი $o > \text{ჟ} / \text{ზ} > \text{გ}^9$: მთოვარე > მთოარე (ანუ მთჟარე / მთჰარე) > მთვარე, ცხოვარი > ცხუარი (ანუ ცხჟარი / ცხჰარი) > ცხვარი (სარჯველაძე, 1975, 69). რუსულში გვაქვს **завтра** (< **утро** ზდილა) > **завтра** ზვალ, **два** < ლათ. **duo** ორი) და სხვ. ამიტომაც, რომ სრულიად სერიოზული პრობლემები გვაქვს ხმოვნებთან და თანხმოვნებთან მიმართებაში, რადგან დღემდე ვერაფრით დაგვიზუსტებია მათი განმარტებელი თუ განსაზღვრებელი ნიშნები (ამასთან დაკავშირებით დამატებით იხ. **Бертлани**, 2006, 149–150; **Бертлани**, 2007, 58–59).

ქართველი ფილოლოგი და მუსიკათმცოდნე **ნ. ანდლულაძე** ყურადღებას ამახვილებს ერთ არსებით საკითხზე, კერძოდ: **გეორგ ჰეგელი**, გეთავაზობს რა ბგერის როგორც მუსიკის მატერიალის (მასალის) ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას, განმარტავს, რომ ხმის (როგორც წმინდა ტონის) წმინდა ჟღერადობას თავისთავად აქვს უსასრულოდ სასიამოვნო და მიმზიდველი თვისება, უსუფთაო ხმა კი გვაიძულებს, ვისძინოთ სახმო ორგანოს ჟღერადი (როგორც ჟღერადობა) და არ გვაძლევს ბგერას თავის თავთან მის მიმართებაში, რადგან ტონი გადაიხრება თავისი ჯეროვანი

⁹ ქართულ გრაფიკულ სივრცეში მოკლე (უმარცვლო) ხმოვანი, როგორც წესი, აღინიშნება $\hat{}$ დიაკრიტიკული ნიშნით. თუშურ ენაში მოკლე ხმოვნებს შორის, რომლებიც წესისამებრ აღინიშნება \sim სიმბოლოთი, ვარჩევთ, ერთი მხრივ, როგორც არადიფთონგისეულ მარცვალმომცემ, ისე დიფთონგისეულ უმარცვლო მოკლე ხმოვნებს (რომლებიც ერთიანდებიან საკუთრივ მოკლე ხმოვნებში), ხოლო მეორე მხრივ, უმარცვლო – ირაციონალურ (მოკლეზე მოკლე) – ხმოვნებს, რომლებიც, გვხვდებიან რა მხოლოდ მათთვის განკუთვნილ პოზიციაში, ავლენენ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ასეთ პირობებში, ვდგებით რა დიაკრიტიკის გადახაწილების საჭიროების წინაშე, სჯობდა ქართული მოკლე ხმოვნები გადმოგვეცა \sim დიაკრიტიკული ნიშნით – ისე როგორც სხვა ენებისთვისაა მოღებული. მაგრამ, წყაროს სიზუსტის დაცვის მიზნით, მოკლე ხმოვნისთვის აქ ადგილზე ვტოვებთ $\hat{}$ სიმბოლოს, რომელიც გათვალისწინებული გვაქვს თუშურ ენის ირაციონალური (მოკლეზე მოკლე) ხმოვნებისთვის.

გარკვეულობიდან (წიგნში: ანდლულაძე, 1997, 73). ამ კონტექსტში ფილოსოფოსი არაწმინდა, შერეულ ბგერებად მიიჩნევს თვით ხმოვნებსაც კი (**ä, ö, ü**) – მხოლოდ იმ თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო მიზეზით, რომ ისინი, ექვემდებარებიან ერთგვარ გადახმოვნებას (მეტაფონიას), არიან უმლაუტრებულნი, ანუ ერთგვარად შეცვლილი ტემბრისანი, რითაც იძენენ გარკვეული ოდენობით შეცვლილ ტონს. აქ ჯერ არ არის საუბარი ხმოვანთა ნაზალიზაციაზე, ფარინგალიზაციაზე, სხვადასხვა მოდიფიკაციებზე (არტიკულაციის ინდივიდუალურ თავისებურებებზე) და სხვ.

გამოდის, ხმოვნები და თანხმოვნები არა მხოლოდ გარეგნულ (დისტრიბუციულ) ურთიერთობაში არიან, არამედ, შესაძლოა, ნებისმიერ ხმოვანში იმთავითვე იყოს ჩადებული თანხმოვნის კოდიც. იქნებ ამიტომაც: თუმცა სამეცნიერო ბგერათა კლასიფიკაციას (განდასებას), ანუ მათ დაყოფას ხმოვნებად და თანხმოვნებად უძველესი ისტორია აქვს, ხოლო XIX–XX სს. ფონეტიკამ მოგვცა მისი (ამ კლასიფიკაციის) პრინციპების „მეცნიერულად დამუშავება“ (ახვლედიანი, 1949, 55–56; ახვლედიანი, 1966, 59–60), მაგრამ დღესაც კი ზოგჯერ თითქმის ჭირს ხმოვნებისა და თანხმოვნების განსაზღვრა. ამ კუთხით საკმარისია გავიხსენოთ დიდი ქართველი ფონოლოგის, **გ. ახვლედიანის** დებულება, რომლის მიხედვითაც „ტერმინი **ხმოვანი** თავისთავად მართებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიუთითებს ხმის უპირატესობას ნორმალურ ხმოვანთა წარმოებაში, მაგრამ საკვალიფიკაციო საფუძვლად იგი ვერ გამოდგება, თუ არ პირობითად“ (ახვლედიანი, 1949, 62). და თუმცა ტერმინები **ხმოვანი** და **თანხმოვანი** დატოვებულია მეცნიერულ ფონეტიკაში, ისინი არაა ზუსტი (ახვლედიანი, 1949, 62–63). და კიდევ: „უნდა გვახსოვდეს ამ ტერმინების პირობითობა: მათ ვხმარობთ სხვა უფრო ზუსტი ტერმინების უქონლობის გამო“ (ახვლედიანი, 1949, 63).

ამ დებულებების ჩამოყალიბებიდან (ახვლედიანი, 1942) დღემდე ამ მხრივ თითქმის არაფერი შეცვლილა: ის ნიშან-თვისებები, რომელთა მიხედვითაც მიღებულია ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავება, ჯერაც „არ არის აბსოლუტური“ (JDC, 1990, 105).

რატომ?

იმიტომ ხომ არა, რომ მეტყველებაში, რომელიც შენდება ბგერით და მხოლოდ ბგერით საწყისებზე, ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის ხდება მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ერთგვარი ურთიერთბალანსირება? იმიტომვე ხომ არ არის, რომ, მაგალითად, თანხმოვანთა თანაგანლაგება (დისტრიბუცია) ხმოვანთა მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია (ჭრელაშვილი, 1975, 226) და, პირიქით?

სხვადასხვა ენაში ხმოვნებისა და თანხმოვნების სხვადასხვა ოდენობრივი თანაფარდობაა, რაც სრულებით არ უშლის ხელს, თითოეულმა ენამ უმაღლეს დონეზე აწარმოოს სამეტყველო კომუნიკაცია. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის ფუნქციები, რომლებსაც მოცემულ ენაში თავის თავზე იღებენ ერთი კლასის ბგერები (მაგ., ხმოვნები), სხვა ენაში გადანაწილებულია მეორე კლასის ბგერებზე (თანხმოვნებზე). აღარაფერს ვამბობთ მარცვლის წარმოების ფუნქციების სხვადასხვაგვარი განაწილების ფაქტზე სხვადასხვა ენაში (ახვლედიანი, 1966, 151). იმდენად შევეგუეთ, მაგალითად, ერთ უნიკალურ მომენტს, რომ ლამის აღარც გვაოცებს: ზოგიერთ ენაში ხმოვნებისთვის დამახასიათებელ მარცვალმწარმოებლურ ფუნქციას ასრულებენ (და ძალიან კარგად) სონანტები. მეტიც: სონორობის თეორიის თანახმად, რომელიც როგორც ჩანს, ყველაზე უფრო მისაღებია მარცვალმწარმოქმნის საკითხების გასარკვევად, „ყოველი ბგერა (მათ შორის თვით

არასონორული თანხმოვანიც – ა.ბ.) შეიძლება იყოს მარცვლოვანი მასზე ნაკლებ“ მქლერთა გარემოცვაში (ახვლედიანი, 1966, 115).

თუშური (და არა მარტო თუშური) ენის ხმოვნების ნაზალიზაციის შემთხვევაში ხელთა გვაქვს იმის ცოცხალი მაგალითი, როცა ხმოვნები და თანხმოვნები ერთმანეთისგან „შორს არ (ვერ) მიდიან“, პირიქით, ტოვებენ შთაბეჭდილებას, თითქოს ერთი (საერთო) გენეტიკური ფუძე ჰქონდეთ: ხმოვნის ნაზალიზაციის აქტი იმაში გამოიხატება, რომ მისი მიმყოფი თანხმოვანი თავის ფონეტიკურ უფლებამოსილებას თითქმის მთლიანად (ხოლო ფონოლოგიურს – მთლიანად) გადასცემს წინამაგალ ხმოვანს. აქ იმდენად აშკარაა ხმოვნებისა და თანხმოვნების დიფერენცია, იმდენად მასშტაბურია თანხმოვნის „ექსპანსია“ ხმოვნის ფუნქციათა სფეროში, რომ ჭირს განსაზღვრა: ფონეტიკურად რომელ მათგანთან გვაქვს საქმე – ორალურ ხმოვანთან თუ ნაზალურ თანხმოვანთან? ანუ ძნელდება იმის განსაზღვრა, ხმოვანთა კონსონანტიზაციაზე უნდა ვილაპარაკოთ თუ, პირიქით, თანხმოვანთა ვოკალიზაციაზე? იქნებ, ამ მიზეზითაც იყო გამოწვეული ისეთი ავტორიტეტული მეცნიერის დაბნეულობა თუშური ენის ხმოვანთა ნაზალიზაციასთან დაკავშირებით, როგორც ნ. მარია (Mapp, 1922, 7)? ცხვირის ღრუ ერთ-ერთია იმ წინაღობათაგან, რომელთა არსებობის გამოც თანხმოვნებს განასხვავებენ ხმოვნებისგან. მაშ, რატომ არის, რომ ხმოვანი (ამ შემთხვევაში – ნაზალიზებული) მიიღება ცხვირის ღრუს, ანუ სამეტყველო წინაღობის, მონაწილეობის წყალობით?

თითქმის ასეთსავე კითხვებს იწვევს აკომოდაცია (მაგ., რუსულ ენაში).

მსგავს ფიქრებს გვგვრის ე. წ. ნახევარხმოვანი ბგერების სინქრონია ენებში: ნახევარხმოვანი (*semi-vocalis*), ასრულებს რა როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის ფუნქციებს, „არ ეკუთვნის არც ხმოვანს, არც თანხმოვანს“ (ახვლედიანი, 1949, 62), მაგრამ მანც

წარმოადგენს სამეტყველო ბგერას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ხმოვანიცაა და თანხმოვანიც – ერთსა და იმავე დროს.

ამიტომაც არ ითვლება შემთხვევითობად ის გარემოება, რომ იმ ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც მიღებულია ხმოვნების განსხვავება თანხმოვნებისგან, სამეცნიერო ლიტერატურა არ მიიჩნევს აბსოლუტურ ნიშნებად (ЛЭС, 1990, 105).

თანხმოვნებისგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ასეთ ნიშნად ხმოვნებისთვის ითვლება „რაიმე წინალობის უქონლობა ხორხის ზემოთა (ხახა-ცხვირ-პირის – ა. ბ.) ღრუებში“ (ЛЭС, 1990, 105), ანუ ზესადგამ მილში. სხვანაირად: ხმოვნებისთვის აუცილებელ პირობად ითვლება „ჰაერნაკადის (საფონაციო ჰაერის, ანუ სამეტყველო ხმის – ა. ბ.) თავისუფალი გავლა პირში“ (Розенталь, ..., 1976, 77), ანუ პირის ღრუში (Розенталь, ..., 437), თუნდაც ასე ვთქვათ – სამეტყველო ტრაქტში (ЛЭС, 1990, 477).

ხმოვნების დახასიათებისას ამა თუ იმ დაბრკოლების უქონლობის ნიშნით ყურადღებას ამახვილებენ ხოლმე სწორედ ზესადგამ მილზე, ანუ ხორხის ზემოთ მდებარე ხახა-ცხვირ-პირის ღრუებზე (ЛЭС, 1990, 105; Розенталь, ..., 1976, 77). აქედან რჩება შთაბეჭდილება, თითქოს სამეტყველო წინალობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ხორხისზედა არეში, მაგრამ არა თვით ხორხში, თუმცა გვაქვს ხორხისმიერი – ლარინგალური – თანხმოვნებიც, რომლებიც იწარმოებიან წინალობის წყალობით სწორედ აქ, ლარინქსში. მეტიც: თუკი სალიტერატურო გერმანული ენის ანლაუტისეული ხმოვნები მაგარშემართვიანია (ახვლედიანი, 1966, 105), მაშინ გამოდის, რომ ისინი უსათუოდ იწარმოებიან წინალობის წყალობით ლარინქსში, რადგან მაგარი შემართვა პირდაპირ კავშირშია სახმო სიმების ხშვა-განხშვასთან (ახვლედიანი, 1966, 104), ანუ ქ ლარინგალთან.

აქედან გამომდინარე, დაბრკოლებათა ქონისა თუ უქონლობის თვალსაზრისით, მართალია, ზოგჯერ დახასიათება ეძლევა სამეტყველო ტრაქტსაც მთლიანად, მაგრამ უსათუოდ მოგვიწევს ყურადღების გამახვილება იმაზე, საბოლოოა თუ არა (აბსოლუტურია თუ არა) ის დებულება, რომლის თანახმადაც, ხმოვანთა არტიკულირების დროს ადგილი არა აქვს რაიმე დაბრკოლებას სამეტყველო ტრაქტის (აპარატის) ამა თუ იმ უბანში, თუნდაც, დაუშვათ, ლარინქსის სექტორში (იგულისხმება პოზიციები ანლაუტშიც, ინლაუტშიც, აუსლაუტშიც)?

ასეთ კითხვებამდე მივყავართ დაკვირვებებს, ერთი მხრივ, თუშური ენის ე. წ. თავისუფალ ხმოვნებზე, მეორე მხრივ, ლარინგალურ ც-ზე, ხოლო, მესამე მხრივ, თვით ჩვეულებრივ ხმოვნებზე. ამიტომაც: რაკი სამეცნიერო ფონეტიკის მიერ ხმოვნებისა და თანხმოვნების განსახვავებლად გამოვლენილი ნიშნები აბსოლუტური არ ყოფილა, ხმოვნების დახასიათებისას არაფერი გვიშლის ხელს, ეჭვქვეშ დავაყენოთ სწორედ საარტიკულაციო წინაღობის ქონა-არქონა, რასაც ამ მსჯელობისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

თანხმოვნებისგან განსხვავებით, ხმოვანთა არტიკულაციის დროს არა აქვს ადგილი რაიმე წინაღობას პირის ღრუში. ალბათ, ამიტომაც: აღარ ვფიქრობთ, ვეძებთ რაიმე წინაღობა, დაუშვათ, ლარინქსში, რომელიც პირის ღრუს არ მიეკუთვნება, მაგრამ მიეკუთვნება სამეტყველო აპარატს (სამეტყველო ტრაქტს).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასახვეწი ჩანს კლასიკური ფონეტიკის წარმოდგენა ფონემის (ბგერის) არტიკულაციაში სამი ფაზის – ექსკურსიის (ანუ შემართვის), დაყოვნების (ანუ მწვერვალის, პლატოს) და რეკურსიის (ანუ დამართვის) – უსათუოდ არსებობის შესახებ: ასეთი წარმოდგენა მისი აბსოლუტური გაგებით გამართლებულია ოდენ იზოლირებულად წარმოთქმული ბგე-

რების მიმართ და ნაკლებად ესადაგება რწყმულ მეტყველებას, სადაც სახეზე გვაქვს მიმდებარე (ერთმანეთთან დამეზობლებული) ბგერების ნიშან-თვისებათა „ურთიერთდამრევება“ და არტიკულაციის თითქმის უწყვეტი გარდაქმნა მეტყველების პროცესში (ЛЭС, 1990, 46). თუმცა კვლევის ობიექტად შეიძლება იქცეს ხმოვნის ისეთი შემარტვაც (ექსკურსია), სადაც, წინამავალი ბგერის უქონლობის პირობებში, არ გვიხდება საუბარი არც ნიშან-თვისებათა „ურთიერთდამრევებაზე“, არც არტიკულაციის გარდაქმნაზე. ამასთანავე, უნდა გავიხსენოთ, რომ იზოლირებული სახით არ წარმოითქმინან, არ ფუნქციონირებენ, მაგალითად, თუ შური ენის ირაციონალური („პრიმიტიული“, „სუსტი“) ხმოვნები (ბართიშვილი, 1995, 101-103): ისინი წარმოითქმინან, თუ ამას შეიძლება წარმოთქმა ეწოდოს, მოცემულ სიტყვასთან (უკიდურეს შემთხვევაში – მოცემულ მარცვალთან) ერთ მთლიანობაში, თუმცა ფონემურ დატვირთვას უსათუოდ ატარებენ. მეტიც: ისინი წარმოითქმინან წინამავალი ბგერის – უსათუოდ თანხმოვნის – საარტიკულაციო ენერჯისა და ინერჯის წყალობით მოცემული სიტყვისა თუ მარცვლის შემადგენლობაში (პარამეტრებში), ანუ ისინი წარმოადგენენ თითქმის მხოლოდ „ხმის გამოღებას“ საწარმოთქმო ორგანოების თითქმის ინდიფერენტულ მდგომარეობაში. აქედან ნათელი ხდება, რატომ არ ფუნქციონირებენ ირაციონალური ანლაუტში, ანდა განცალკევებით. ისინი ფონეტიკურ ინლაუტშიც კი არ ფიგურირებენ:¹⁰ ასეთ შემთხვევაში, მომდევნო ბგერის არსებობის წყალობით, ირაციონალური ხმოვნები იკარგებიან საერთოდ, სწორედ ისევე, როგორც პატარა ენები – დიდი ენების

¹⁰ ფონეტიკურ ინლაუტში ვგულისხმობთ საზღვარს შესიტყვების (ან სინტაგმის) წევრებს შორის (მაგ.: ქორთო ‘თავი’ – ქორთ ბილნას ‘თავი დავიბანე’, ასე ‘ხბო’ – ათავ ას დიქ ‘ძრინამ ხბო მოივო’).

კონკურენციის პირობებში (ფიშმანი, წიგნში: გიგაშვილი, 2010, 38).

მოკლედ, ბეგრას ვცნობილობთ სიტყვაში, იგი ფონემობას იძენს, ანუ სამეტყველო ბეგრად იქცევა მხოლოდ სიტყვაში და სიტყვისთვის; ფონემა არის ბეგრა სიტყვაში. დიახ, ადგილი აქვს განცალკევებული ბეგრების ხმარებასაც (მდრ. რუს. **ა, ი, ო, უ, ჰ, ნ, ჯ, კ, ლხ, ც**), მაგრამ, როგორც წესი, ისინიც წარმოითქმიან მიმდებარე ბეგრებთან ერთ მთლიანობაში.

თავისთავად: ბეგრის ფონოლოგიური (დისტინქტური) ხასიათი მკლავნდება თანაგანლაგებაში – მიმდებარე ბეგრებთან ფიზიკურ (გარეგნულ) ურთიერთობაში, რაც იმავდროულად შინაგან ურთიერთობაში გადაიზრდება ხოლმე. და ბეგრების ფონეტიკური (არტიკულაციური და აკუსტიკური) არსის შეცნობაში ზოგჯერ, როგორც ჩანს, არც საპირისპირო (ხმოვნებისთვის – თანხმოვანი, ხოლო თანხმოვნებისთვის – ხმოვანი) ბეგრების მოხმობა უნდა გვიშლიდეს ხელს, პირიქით.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბუნდოვნად გამოიყურება, მაგალითად, დახასიათება იმ ხმოვნებისა, რომლებიც ცნობილია „ფარინგალიზებული“, „ველარიზებული“, „გლოტიზებული“ ხმოვნების სახელწოდებით; მიუთითებენ რა მათზე, ზოგჯერ „პალატალიზებულ ხმოვანთა ნიშნით“ გადმოსცემენ (ჩიქობავა, 1979, 51). და რაც ყველაზე უფრო საჭოჭმანია: ფარინგალიზებული ხმოვნების საკითხს, ჩვეულებრივ, უბრუნდებიან ხოლმე ფარინგალიზებული თანხმოვნების საკითხთან დაკავშირებით (ჩიქობავა, 1979, 52-62). ცხადია, ამ ბუნდოვნებას იმიტომ აქვს ადგილი, რომ „ფარინგალიზაციის საკითხი გარკვევას მოითხოვს: ხმოვნის თვისებაა ეს თუ თანხმოვნისა?“ (ჩიქობავა, 1979, 51). და ეს საკითხი/საკითხები დღემდე ღიაა (ЛЭС, 1990, 541). მაშასადამე, გასარკვევია: „ფარინგალიზებული ხმოვნები გვაქვს თუ თანხმოვნებია ფარინგა-

ლიწებულო და ესაა ხმოვანთა ფარინგალიზაციის წყარო“ (ჩიქობავა, 1979, 61)?

არნ. ჩიქობავას აზრით, ნიკ. ტრუბეცკოი ხმოვანთა ფარინგალიზაციის მიზეზს ხელაფს ე. წ. „ემთატიკურ დარბილებულ თანხმოვნებში“ (ჩიქობავა, 1979, 61). ამავე აზრისაა ალ. მაჰომეტოვი (ჩიქობავა, 1979, 61). საბოლოოდ, ფარინგალიზაციისთვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურება ერთნაირად წარმოდგენია იმათაც, ვინც ფარინგალიზებულ ხმოვნებს დამოუკიდებელ ფონემებად მიიჩნევს (და ამბობს, თანხმოვნები აქ არაფერ შუაშიაო) და იმათაც, ვინც ხმოვანთა ფარინგალიზაციას სპეციფიკურ (აინიზირებულ) თანხმოვნებს მიაწერს, ე. ი. თანხმოვანთა ფარინგალიზაცია მიაჩნია ამოსავლად (ჩიქობავა, 1979, 62).

როგორც აღრეც გვაქვს ნათქვამი (Бертлиани, 2006, 149-150), ვერც თუშური ენის (და არა მარტო თუშური ენის) ნაზალიზებულ ხმოვნებზე ვიმსჯელებთ მათი მეზობელი (მიმყოლი) ცხვირისმიერი ნ თანხმოვნის ბუნების გათვალისწინების გარეშე. ასევე ურთიერთგადანასკვულია ხმოვანთა თუ თანხმოვანთა შემარტვა-დამართვის საკითხები (ახვლედიანი, 1966, 103-105), რომლებიც, ჩვეულებრივ, განიხილება ბგერათშეერთების წესებში (ახვლედიანი, 1966, 103-105). მაგრამ ბგერათშეერთებას თავისთავად მიყვარებთ ბგერის/ბგერების პოზიციურ დახასიათებასთან: მაგალითად, ნახევარხმოვანს სწორედ მარცვალში მის მდებარეობასთან (ადგილთან, პოზიციასთან – ა. ბ.) დამოკიდებულებაში შეუძლია წარმოგვიდგეს, „როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის ფუნქციით“ (Март, 1922, 297).

და, საბოლოოდ, რომელ ბგერას უნდა მივაწეროთ ჩვენთვის საინტერესო ნიშანი – ხმოვანს თუ თანხმოვანს? რატომ არის, რომ ძლიერშემარტვიანს (ან ძლიერდამართვიანს) ვუწოდებთ ხმოვანს, რომელსაც წინ მიუძღვის (ანდა მოსდევს) თანხმოვანი ც?

საინტერესოა ისიც, რომ, თუკი სალიტერატურო გერმანულ ენაში, სადაც ანლაუტის ხმოვანი უსათუოდ ძლიერ- ანდა ფშვინ- ვიერშემართვიანია და მეორე შემთხვევაში (ფშვინვიერობისას) „ხმოვნის წინ იწერება ყოველთვის **h** – ჰ“ (ახვლედიანი, 1949, 222; ახვლედიანი, 1966, 176), რატომ პირველი შემთხვევაც – ხმოვნის ძლიერი შემართვის – არ საჭიროებს რაიმე გრაფიკულ ნიშანს, დავუშვათ, ’-ს (*resp.* **ϕ**), რომელიც გრაფიკულად აღნიშნავდა ხმოვნის ძლიერ შემართვას, ისევე როგორც **h** აღნიშნავს ხმოვნის ფშვინვიერ შემართვას?

ϕ-სგან (’-სგან) განსხვავებით, გერმანული ენის **h** წარმოადგენს ფონემას (**Mapp**, 1922, 59). თუნდაც ამიტომ: საორჭოფოა ოდენ ხმოვნის ფშვინვიერი შემართვის კვალიფიკაციის მინიჭება **h**-სთვის ხმოვნისწინა თავკიდურში. გარდა ამისა, თუკი გერმანული **haben** [**habn**] ‘ქონა’ ფორმის ნაცვლად რუსი წარმთქვამს [**хабн**]-ს (ახვლედიანი, 1949, 105; ახვლედიანი, 1966, 103), მაშინ როგორად უნდა ვცნოთ ხმოვნის შემართვა ამ რუსულ წარმთქვაში, სადაც **x**-ს, გამოიყენება რა გერმანული **h**-ს ნაცვლად და მიმყოლი ხმოვნის შემართვას უკარგავს რა ფშვინვიერობის შესაძლებლობას, რუსული სამეტყველო ცნობიერებისთვის დაკარგული აქვს კუთვნილი სტატუსი (ასევეა გერმანული **Hände hoch!** ფრაზის რუსულად გამოთქმის შემთხვევაში: **Хенде хох!**)? როგორად უნდა ვცნოთ ხმოვნის შემართვა რუსულ წარმთქვაში **гантель** ‘ჰანტელი’ (<გერმ. **Hantel**), სადაც იგივე სურათი მეორდება, ოღონდ ამჯერად **r**-სთან მიმართებაში? როგორად უნდა ვცნოთ **a** ხმოვნის შემართვა გერმანული **haben** ‘ქონა’ ფორმის ფრანგულ წარმთქვაში, სადაც ის დარჩენილია რაიმე სახის წინამავალი ბგერითი სიდიდისგან – [**abn**] (ახვლედიანი, 1949, 105; ახვლედიანი, 1966, 103)?

მეორე მხრივ, ერთგვარად ჭირს გაგება იმისა, თუ რატომ უნდა მიეწეროს ფშვინვეიერი შემართვის კვალიფიკაცია ქართულ ა ხმოვანს სიტყვაში **ჰანგი** (ახვლედიანი, 1949, 105; ახვლედიანი, 1966, 104), რადგან, ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს არა ოდენ ა ხმოვნის ფშვინვეიერ შემართვასთან (ამასთანაც, რა თქმა უნდა), ანუ საქმე გვაქვს არა ა ხმოვნის ამა თუ იმ ნიშან-თვისებასთან, არამედ, პირველ რიგში, სრულიად დამოუკიდებელ ანლაუტისეულ ლარინგალურ ჰ თანხმოვანთან, რომელიც ამ სიტყვაში გვევლინება ტიპურ, დამოუკიდებელ ფონემად; **შდრ. ბანგი – ზანგი – ჟანგი – ჩანგი – ჰანგი** და ა. შ. თუ **ჰანგი** სიტყვაში წინამავალი ფშვინვეიერი ჰ თანხმოვნის არსებობის მიზეზით მიეწერება ა ხმოვანს ფშვინვეიერი შემართვა, მაშინ როგორი იქნება ა ხმოვნის შემართვა აქ წარმოდგენილ სხვა სიტყვებში, სადაც ასევე საქმე გვაქვს წინამავალ და ამა თუ იმ ნიშნის/ნიშნების მატარებელ **ბ, ზ, ჟ, ჩ** და ა. შ. თანხმოვნებთან? რატომ ვაგრცელებთ **ჰ თანხმოვნის** კვალიფიკაციას მის მომდევნო ა ხმოვანზე?

როცა ვლაპარაკობთ არა ერთი და ორი მეტყველების – გნებავთ ენის, გნებავთ კილოს – **ხმოვნების ხშულ** (ძლიერ, მაგარ, მკვეთრ) **შემართვაზე** თუნდაც ანლაუტის პირობებში (ახვლედიანი, 1949, 106; ახვლედიანი, 1966, 105), შეიძლება განა იმის თქმა, რომ ხმოვნები და თანხმოვნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან საარტიკულაციო წინალობათა ქონა-არქონის, მათი არსებობა-არარსებობის ნიშნით (ЛЭС, 1990, 165; Розенталь, ..., 77-436), ან თუნდაც იმის თქმა, რომ „...**ხმოვანსა** და **თანხმოვანს** შორის პრინციპული განსხვავება მხოლოდ მაშინაა, როცა **თანხმოვანი ხშულია**“ (ახვლედიანი, 1949, 63)?

„რადგან არა გვაქვს ისეთი ენა, რომელშიც იქნებოდა ან მხოლოდ ხმოვანთა, ან მხოლოდ თანხმოვანთა სისტემა“, ფონემების დაყოფა თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემებად მართლაც

უნივერსალურია (ნებიერიძე, 1991, 85): რაკი მეტყველება არის დი-
ალექტიკურად ერთიანი, მთლიანი მოვლენა, შეუძლებელიც კია
მისი წარმოდგენა ერთმანეთის მაწონასწორებელი და, ამავე
დროს, ერთმანეთის გამომრიცხავი მხარეების გარეშე. და რაკი
მეტყველება, უპირველეს ყოვლისა, ბგერითი სიგნალების სისტე-
მას წარმოადგენს, ეს განმასხვავებელი თვისებები, პირველ რიგში,
სწორედ ბგერებზე მოდის.

მაგრამ: დიდია თუ არა ეს განსხვავება ხმოვნებსა და თან-
ხმოვნებს შორის?

ეს კითხვა დაგტოვოთ სხვა დროისთვის და გავხსენოთ
გ. ახვლედიანის სიტყვები, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ნათ-
ქვამი: დღესაც კი – „ზოგადისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის
მძლავრი განვითარების ხანაში“ – „არ არსებობს საყოველთაოდ
მიღებული აზრი იმის შესახებ, თუ რა ჰქმნის განსხვავებას ხმოვან-
სა და თანხმოვანს შორის და, მაშასადამე, რას უნდა ემყარებო-
დეს“ სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაცია ხმოვნებად და თან-
ხმოვნებად (ახვლედიანი, 1949, 388). და ამ სიტყვების თქმის
დროიდან დღემდე ბევრი არაფერი შეცვლილა ამ სფეროში, თუმ-
ცა კიდევ უფრო განვითარდა როგორც ზოგადი, ისე ექსპერიმენ-
ტული ფონეტიკა: ის ნიშან-თვისებები, რომელთა მიხედვითაც
არის მიღებული ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავება, კვლავ-
ც არ არის აბსოლუტური (ЛЭС, 1990, 105).

ხმოვნებისა და თანხმოვნების ერთ-ერთ განმასხვავებელ
(განსადასებელ) მომენტად, როგორც ითქვა, ზოგადი ფონეტიკა
თვლის: სტატიკას – ხმოვნებისთვის, დინამიკას – თანხმოვნების-
თვის. ამ დებულების საწინააღმდეგო ჯერ არაფერი თქმულა.

მეორე განმასხვავებელ მომენტად მიჩნეულია: საარტიკუ-
ლაციო წინალობათა არსებობა – თანხმოვნებისთვის (რასაც, რო-
გორც ჩანს, კვლავ დინამიკასთან მივყავართ), ხოლო წინალობათა

არარსებობა – ხმოვნებისთვის (რაც, როგორც ჩანს, ისევე სტატუ-
კასთან არის პირდაპირ კავშირში). არც ამ დებულების საწინააღ-
მდეგო თქმულა რამე დღემდე.

მაშ რაღა უნდა გვიშლიდეს ხელს, ხმოვნებისა და თან-
ხმოვნების უპრობლემოდ განდასებაში უძველესი ეპოქებიდან
დღემდე? თვით ამ სარტიკულაციო მომენტების განსაზღვრაშია
პრობლემა თუ სხვა მიზეზებია დასადგენი? ოდესმე მაინც დაექ-
ვემდებარებიან ხმოვნები და თანხმოვნები საბოლოო კლასიფიკა-
ციას, თუ თვით მცდელობაც კი მათი განდასებისა ეწინააღმდეგე-
ბა საენათმეცნიერო ლოგიკას?

ამრიგად, ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავების საკით-
ხი დღემდე ისევე ითვლება ერთ-ერთ კარდინალურ საკითხად (ახ-
ვლედიანი, 1949, 389), როგორც გ. ახვლედიანის დროს. ნათქვამი-
დან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

1. როგორც **ხმოვანი**, ისე **თანხმოვანი** ბგერების ამა თუ იმ
ნიშნებში, ჰომოგენურ საწყისთან ერთად, უნდა დაფინახოთ ჰეტე-
როგენურიც.

2. სამეტყველო ბგერების ერთი სისტემის (ერთი კლასის)
დახასიათებისას არ უნდა შევუშინდეთ მეორე სისტემის (მეორე
კლასის) ნიშან-თვისებების მოშველიებას.

3. ამ თვალსაზრისით, ლარინგალურ **ც** თანხმოვანთან მიმარ-
თებაში უფრო თამამად შეიძლება მოვუხმოთ **ხმოვანთა** ნიშან-
თვისებებს და, პირიქით, ლარინგალური **ც** თანხმოვნის ნიშნები გა-
მოვიყენოთ როგორც თუშური ენის ე. წ. თავისუფალი ხმოვნების,
ისე თვით ჩვეულებრივი ა, ე, ი, ო, უ (**a, e, i, o, u**) ხმოვნების დასახა-
სიათებლად, რომლებიც ლინგვისტურ უნივერსალიებს მიეკუთ-
ვნებიან.

4. სამეტყველო ბგერათა ესა თუ ის ნიშან-თვისებები უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ მათში ზოგადად, არამედ მათ შემართვა-შიც/შემართვებშიც.

5. ადამიანთა სამეტყველო (საარტიკულაციო) მოღვაწეობის სამ უბანში – ე. წ. თავისუფალ ხმოვნებში, ლარინგალურ ცთანხმოვანში და ჩვეულებრივ ხმოვნებში – ინახება, ჩვენი აზრით, ის გასაღები, რომელიც უნდა დაგვეხმაროს ჭეშმარიტების კარის შესწავლაში სამეტყველო ბგერების გენეზისის კვლევისას.

თავი II

თავკიდურ ხმოვანთა ბუნების ორი ასპექტის შესახებ – არა მხოლოდ თუშურ ენაში

§ 1. უფრო დეტალურად ოკლუზიის შესახებ

თუშური ენის ფონეტიკის ზოგად განხილვასთან ერთად, პირველ რიგში, გვინდოდა გვეჩვენებინა ე. წ. თავისუფალი შემართვის მქონე ვოკალთა ფუნქციონირებაც. თუმცა მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ამ თავისებურების საჩვენებლად ჯერ საჭიროა საუბარი ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვის შესახებ – არა მხოლოდ თუშურ ენაში.

ხმოვანთა ეს ორი ნიშანი – მაგარი და თავისუფალი შემართვები – პირველად ჩვენ მიერ არის გამოვლენილი და ამიტომ ჩვეთვალეთ საჭიროდ ცალკე საუბარი მათზე. თუმცა ამ ნიშანთა არსში ჩასაწვდომად ჯერ ოკლუზიაზე უნდა ვისაუბროთ უფრო დეტალურად.

ჩვენი მოსაზრებები ანლაუტის ხმოვანთა როგორც თავისუფალი, ისე მაგარი შემართვების შესახებ აპრობაციის რეჟიმშია

უკვე 1993 წლიდან (იხ. მაგალითად: ბართიშვილი, 1993; ბართიშვილი, 1995; ბართიშვილი, 1995₂; ბართიშვილი, 1998; ბართიშვილი, 1998₂; ბერტლანი (ბართიშვილი), 1998; ბერტლანი (ბართიშვილი); **Бартишвили**, 1998; **Бартишвили**, 1998₂; ბერტლანი (ბართიშვილი), 1999; ბერტლანი, 2002; ბერტლანი, 2004; **Бертлани**, 2005; **Бертлани**, 2006; ბერტლანი, 2008; ბერტლანი, 2009; **Бертлани**, 2009; **Bertlani**, 2010).

ანლაუტის ხმოვანთა როგორც მაგარ, ისე თავისუფალ (უპირატესად კი – მაგარ) შემართვებზე მუშაობისას ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა ისეთი საშუალებები, მიდგომები, რომლებიც, გავაერთიანეთ რა საერთო სახელწოდების – **შიზოფონიის**¹¹ – ქვეშ, სპეციალური აპარატურის გარეშე გვეხმარება შემართვების ამ სახეობათა გამოვლენასა თუ დადასტურებაში ცოცხალ მეტყველებასზე უშუალო დაკვირვების დონეზე. ამ საშუალებებიდან ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინოებრივი აღმოჩნდა **ოკლუზია**, უფრო ზუსტად, **დისტანციური გემინირებული ოკლუზია**.

ოკლუზია საერთოდ – ეს არის სამეტყველო ორგანოთა მცირე ხნით შეჩერება, „ჩაკეტვა“, ხშვა ხშული (ხშულ-მსკდომი) თანხმონის არტიკულირებისას (ლათ. **occlusio** ‘ჩაკეტვა/დახშვა’), რის გამოც წარმოიქმნება ერთგვარი მეყსეული საარტიკულაციო ვაკუუმი (ლათ. **vacuum**), ბგერითი სიცარიელე, პაუზა, ანუ, როგორც **გ. ახვლედიანი** იტყობდა, უბგერო მდგომარეობა (ახვლედიანი, 1949, 123). ეს არის ხშული თანხმონის მეორე საარტიკულაციო მომენტი (მწვერვალი, ანუ დაყოვნება) ფონოლოგიაში ცნობილი სამი საწარმოთქმო მომენტიდან (ახვლედიანი, 1966, 37). აქედან გამომდინარე, ოკლუზიის გრაფიკულად (სქემატურად) გადმოცემა შეიძლება **v**-თი (პირველი ასოთი ლათ. სიტყვისა

¹¹ ბერძ. **schizo** ‘ვხლეჩ/ვჩეხავ’ და **phone** ‘ხმა/ბგერა’.

vacuum), მაგრამ, რაკი ამ სიმბოლოთი, ჩვეულებრივ, აღვნიშნავთ ხმოვნებს (ლათ. **vocalis**), მოგვიწვეს მისი ამობრუნება: **Λ**¹².

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ხშირი (რომელიც იწვევს ოკლუზიას) წარმოითქმის და ისმის ოკლუზიის მიმყოფ. ამიტომ: ტრანსკრიბირებისას **Λ** სიმბოლო უნდა განვათავსოთ ხშირი თანხმოვნის წინ. მაგალითები ქართული და რუსული ენებიდან: მათი [მა^ათი], იმათ [იმა^ათ], მეტი [მე^ატი]; **ветхий** – **в[ε]лт[х]ий** ‘ძველი’, **закись** – **з[а]кл[и]сь** ‘ქვეყანვი’, **лук** – **л[у]кл** ‘ხახვი; ქვიცილი’.

ასეთ ოკლუზიას შეიძლება ვუწოდოთ მარტივი (ცალმაგი).

მაგალითები თუშური ენიდან ხშირი ხ თანხმოვნისთვის: აუსლაუტში – დაყ [და^აყ] ‘მოიტა/მოძეცია’, ლეყ [ლე^აყ] ‘სურს’, ხიყ [ხი^აყ] ‘ჯდება’; ინლაუტში – ლაყარ [ლა^აყარ] ‘სურვილი/ნდობა’, ხაყარ [ხა^აყარ] ‘დაჯდობა’, ხოყარ ‘ეტეოდა’ და სხვ.

სურათი ქართული არაყ (ახვლედიანი, 1966, 105) ლექსემისთვის ასეთი იქნება: არ[ა^აყ].

ხშირი თანხმოვნების „დაყოვნების მომენტი არ იძლევა ბგერითს ეფექტს და, ამდენად, წარმოადგენს უბგერობას, ანუ აკუსტიკურ პაუზას, მიუხედავად სათანადო ორგანოთა მოქმედების უწყვეტელობისა (დაძაბულობით გამოხატული სამეტყველო დატვირთვისა – ა. ბ.)... მათი ხშვის (დაყოვნების) მომენტში საწარმოთქმო ორგანოები მოქმედებენ: პაერნაკადს... ერთხანს გზას უკეტავენ; მაშასადამე, არტიკულაციას (სამეტყველო ორგანოთა მუშაობას – ა. ბ.) ადგილი აქვს, მაგრამ ბგერა არ აღიქმება. ეს „აუცილებელი აკუსტიკური პაუზა ბგერათწარმოთქმაში“ (ახვლედიანი, 1949, 54), ანუ ოკლუზია, ჯერ კიდევ არ არის ის, რაც გვინდა,

¹² რუსულ ტრანსკრიპციაში **Λ** სიმბოლო აღნიშნავს უმახვილო **a** და **o** ხმოვნების რედუქციას გარკვეულ პოზიციაში, რაშიც არ უნდა აგვერიოს ხშირი თანხმოვნისთვის დამახასიათებელი ოკლუზია.

დავახასიათოთ და გამოვიყენოთ აქ: აღწერილი ოკლუზია თავის- თავად გააჩნია ნებისმიერ ხშულს, მათ შორის, *ც-საც*, რასაც არსე- ბითი მნიშვნელობა აქვს ხმოვნების განხვავებულად დანახვისათ- ვის. თუმიცა აქ საუბარია თანხმოვნებზე და მივუბრუნდეთ მათ.

ფორმათწარმოებისა თუ შესიტყვებათა მშენებლობის წყა- ლობით, მეტყველებაში ადგილი აქვს ხოლმე ერთგვაროვანი (სავ- სებით ერთნაირი), ანდა ერთმანეთის მსგავსი თანხმოვნების შეერ- თებას (ზედიზედ მისვლას), რის შედეგადაც, მივდივართ რა კვან- ტიტატიურ სხვაობამდე, ვიღებთ გრძელ თანხმოვანს/თანხმოვნებს: მოგვეგრის [მოგვერის], მეღდა, ბურთთან [ბურთან], მოკვრავს [მოკ- კრავს], ბედთან [ბეთთან/ბეტთან] და ა. შ. ბგერათწარმოებაში ამ გზით მიღებულ თანხმოვანს, ჩვეულებრივ, ეძახიან გემინატს, ანუ გემინირებულ თანხმოვანს (ლათ. **geminare** ‘შეუღლება; გაორკე- ცება’), ხოლო თანხმოვნების ასეთ შეერთებას ვეძახით გემინაციას. გემინირებულია თ, მაგალითად, ფორმაში მათთან [მათან] (ახვლე- დიანი, 1966, 100). ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ოკლუზიას (ახვლე- დიანი, 1966, 123).

მართალია, სამეტყველო ორგანოთა ხშვა ამ დროს ხდება ვა- კუუმამდე (სწორედ ამ ხშვით იწყება საწარმოთქმო ვაკუუმი), მაგრამ, რაკი განხშვა ჯერაც არ მომხდარა, ჩვენთვის საინტერესო ბგერა არ ისმის არც ვაკუუმამდე და არც მის დროს. ამ დროს „ის- მის“ უბგერობა და, მაშასადამე, ბგერა ჯერ არ არის ნაწარმოები – ის ჯერ მხოლოდ წარმოების სტადიაშია: ეს არის უბგერო (და- ყოვნების) მდგომარეობა, რომელიც კარგა ხანს („რამდენიც გეინ- და“ – ახვლედიანი, 1966, 123) შეიძლება გაგრძელდეს, თუმიცა ამით სათქმელი სემანტიკას არ კარგავს. გრძელი, ანუ გემინირებული თანხმოვანი, რომელიც გემინირებულ ოკლუზიას იწვევს, ისევე როგორც მარტივი (ცალფა) ოკლუზიის დროს, წარმოითქმის ვა- კუუმის (უბგერო მომენტის) დასრულების შემდეგ – როგორც

კი შესრულდება დახშული სამეტყველო ორგანოების მყისიერი განხშვა.

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ორი (გაორმაგებული) ხშული თანხმოვნიდან ისმის მხოლოდ მეორე, რადგან პირველი ხშულის დრო მიაქვს სიჩუმეს. რაც შეეხება მეორე ხშულს, გარეგნულად (არტიკულაციურად) ის წარმოითქმის და ისმის თავიდან (საკუთარი შეძარტიდან) ბოლომდე, ანუ საკუთარ დამართვამდე (ჩათვლით) და გამოდის ისე, რომ „სწორედ ის არ გაიგონება“, „რის განხგრძლივებაცაა შესაძლებელი“ (ახვლედიანი, 1966, 123) და აუცილებელიც რიგითობის მიხედვით.

ესე იგი: ბგერათმეერთების პირველი წესის თანახმად, ორივე ხშულის საზიარო არტიკულაცია წარმოებს არა ცალ-ცალკე თითოეულისთვის, არამედ „მხოლოდ ერთხელ“ (ახვლედიანი, 1949, 100; ახვლედიანი, 1966, 99-100): ხშვა ხდება პირველისთვის, განხშვა – მეორისთვის, რაშიც უთვალსაზიაროდ გამოიხატება სამეტყველო დროისა და ენერჯის ეკონომიის პრინციპიც. მოკლედ: ერთნაირი ხშული თანხმოვნების ზედიზედ მისვლის შემთხვევაში უსათუოდ აქვს ადგილი ოკლუზიას (ახვლედიანი, 1949, 123; ახვლედიანი, 1966, 123), რაც ლინგვისტიკაში ნიშნავს სამეტყველო ორგანოთა ხშვას ბგერის არტიკულაციის, ანუ წარმოთქმის, პროცესში. ეს დებულება ლინგვისტიკაში დიდი ხანია, დამკვიდრებულია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ცალკე აღებული (ცალფა) ხშულისგან განსხვავებით, ოკლუზია კიდევ უფრო თვალსაზიარო და გამოკვეთილია ორი ერთნაირი ხშულის ზედიზედ მისვლის შემთხვევაში: თუ ჩვეულებრივი (ცალფა) ხშულის საწარმოთქმო ხანგრძლივობა არის საშუალოდ წამის 10-15/100, გრძელისა ორჯერ მეტია (ახვლედიანი, 1966, 123). მაშ, აქ ორჯერ მეტია ოკლუზიაც. სწორედ ასეთს ვუწოდებთ გემინირებულ (გაორმაგებულ) ოკლუზიას და მისი გრაფიკულად აღ-

ნიშვნის მიზნით პირობით ვაერთიანებთ **v** და **Λ** სიმბოლოებს: **X**. მა-
შასადაძვე, თ-ს წარმოთქმისას გვაქვს არაგემინირებული, ჩვეუ-
ლებრივი, ცალფა ოკლუზია (**Λ**), ხოლო თთ-ს წარმოთქმისას – გე-
მინირებული, გარძმავებული (**X**); შდრ. მათი [მა Λ თი] – მათთან
[მა**X**თან]¹³.

ა ხმოვნის მომდევნო თთ₂ თანხმოვნების წარმოსათქმელად
მოწესრიგებულ ამ მზადყოფნას ყური (აკუსტიკა) ჯერჯერობით
„ისმენს“ და აღიქვამს, როგორც ბგერით სიცარიელეს, ვაკუუმს.
მხოლოდ ამის შემდეგ წარმოვთქვამთ ერთ – მეორე – ხშულს, ანუ,
რაც იგივეა, ორივეს „გავივონებთ და ვიცნობთ“ ერთი ხშულის სა-
ხით მისი „გათავებისას, ექსპლოზიაში“ (ახვლედიანი, 1966, 57):
[მა**X**თან]. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა წარმოგვეთქვა ორივე
ხშულიდან თითოეული – [მათ₁თან].

დავაზუსტოთ: ზედიზედ მისული ორი ერთნაირი ხშული
თანხმოვიდან პირველის ადგილს (და დროს) მთლიანად იკავებს
(ითვისებს) ოკლუზია, ანუ უბგერო მომენტი. ამიტომაც განვათავ-
სებთ გემინირებული ოკლუზიის აღმნიშვნელ **X** სიმბოლოს პირვე-
ლი ხშულის ადგილას: მათ₁თან [მა**X**თან].

გემინირებული ოკლუზიის მაგალითები ქართული, თუ შუბრი
და რუსული ენებიდან: ჯვალათთან [ჯვალა**X**თან], მედღახმარება
[მე**X**ღახმარება]; ბადღალარ [ბა**X**ღალარ] ‘დაობღება (დაობღდე-
ბა)’, ჰედღარ [ჰე**X**ღარ] ‘დაგვიანება (დაავგვიანებს ის მას)’;
оттепель [oXt’]eპель¹⁴ ‘ღვებლის დაკვრა (ზამთარში ან აღრე გა-

¹³ სხვა შემთხვევაში – თუკი ამას არ ითვალისწინებს მისივე ფონეტიკა თუ
მორფოლოგია, ქართული ენა (ისევე როგორც თუ შუბრი) თანხმოვანთა
გემინაციას არ ითვალისწინებს; შდრ. აღენდუმი < ლათ. **addo**, აკომოდაცია <
ლათ. **accomodatio**, ასოციაცია < ლათ. **associo**, კლასი < ლათ. **classis**, ესე <
ფრანგ. **essai**, ირაციონალური < ლათ. **irrationalis**.

¹⁴ აქ ’ სიმბოლო აღნიშნავს თანხმოვნის – ამ შემთხვევაში **t**-ს – სილბოს რუსულ
ენაში.

ზაფხულზე დათბობა)', **подданство** [поХд]анство 'ქვე შევრდო-
მობა' და ა. შ.

მეტიც: თუკი, მაგალითად, ერთმანეთის მიმყოლ აღმოჩნდე-
ბიან მეწყვილე (ჰომორგანული) ყრუ და მქლერი (ან მქლერი და
ყრუ) ხშულები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასე თუ ისე სხვადას-
ხვა სოციალური დატვირთვის ბეგრებია, გემინირებული ოკლუზი-
ის წყალობით, ორიდან პირველი, წესისამებრ, საერთოდ ითიშება
არტიკულაციიდან – თვით მქლერიც კი, ფონეტიკურ სტატუსს
ინარჩუნებს რა ყრუ: კეთდება > [კედღეება] > [კეXღეება], კაბი-
ნეტან > [კაბინეთთან] > [კაბინეXთან], გიულდენშტედტი
> [გიულდენშტეტღი] > [გიულდენშტეXღი], მიეკონდა
> [მიქქონდა] > [მიXქონდა], გადაგვიდა > [გადაკვიდა] > [გა-
დაXვიდა] და ა. შ. ასევეა სხვა ენებშიც, თუკი მსგავს დისტრიბუ-
ციას აქვს ადგილი.

როგორც ვხედავთ, ოკლუზიას (გემინირებულს) ადგილი
აქვს თვით მქლერი ხშულების თავმოყრის შემთხვევაშიც კი (ან-
ვლედანი, 1966, 123), რაც არ ხდება, დაუშვათ, ზოგიერთი ცალ-
კეული – სრული მქლერობის მქონე – ხშულის წარმოთქმისას (ან-
ვლედანი, 1949, 54): მათი „ხშვის დროს სახმო სიმების ვიბრაციუ-
ლი მოქმედება (ყდერა) არ წყდება და გვესმის გაუფორმებელი
ხმა, „ლალანი“, რომელსაც გერმანულად **Blählaut** ეწოდება“ (ან-
ვლედანი, 1949, 54).

ფონეტიკური (არტიკულაციურ-აკუსტიკური) თვალსაზრი-
სით, გარკვეულად გემინირებული თანხმოვნების ხასიათს ავლენს
თუშური ენის ინტენსიური თანხმოვნები; შდრ. ქართ. (მაგალითები
თ-სთვის): ათთან [აXთან] – თუშ. ენ. ათან [აXთან] 'ძროხას', ერ-
თან [ერXთან] – დეოსა [დეXთსა] 'ძროხასავით' და ა. შ.

ყველაზე საინტერესო და წინამდებარე კვლევებისთვის სასარ-
გებლო აღმოჩნდა ის, რომ რწყული (ბმული) მეტყველების დროს

გემინირებულ ოკლუზიას ადგილი აქვს ერთ სინტაგმად (ერთ შე-სიტყვებად) შეერთებული ცალკეული სიტყვების შეპირაპირების, ანუ სიტყვების ზედიზედ მისვლის ადგილასაც (БСЭ, 1970, 15), რომლის ფარგლებშიც ბგერათა კოარტიკულაციისა და სახის ცვლის (ვარიანების) წესები ხორციელდება ისევე, როგორც ნების-მიერი მარტივი სიტყვის ფარგლებში. კერძოდ, სიტყვების შეპირა-პირების ადგილას ხორციელდება პოზიციურად განპირობებული ის ცვლილებები ბგერებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან **სანდჰის** (სანსკრ. **sandhi** ‘კავ შირი/შეერთება’; ეს არის ბგერების ცვლილე-ბა მორფემების ნაკერებსა თუ ორი სიტყვის საზღვარზე – ЛЭС, 1990, 432). და შემთხვევით არ განსაზღვრა **ლევ შჩერბამ** სინტაგმა, როგორც ის „ფონეტიკური მთლიანობა, რომელიც მეტყველება-აზროვნების პროცესში ერთ აზრობრივ მთლიანობას გამოხატავს“ (ЛЭС, 1990, 447): **ლამაზად დაჯექი! რარივ გიხდება! ერთ თვეში** და ა. შ. ოღონდ ასეთ შემთხვევაში გემინირებული ოკლუზია არის **არაკონტაქტური**, ანუ **დისტანციური** (ლათ. **distantia** ‘დის-ტანცია’), რაშიც იგულისხმება გრაფიკული (ვიზუალური) და წარმოსახვითი მანძილი, ანუ დაშორება როგორც ოკლუზიის გამომწვევი თანხმობების შემცველ ლექსემებს შორის, ისე ოკ-ლუზიის გამომწვევი ბგერების აღმნიშვნელ გრაფემებს შორის და რაც იმასაც გვახსენებს, რომ ამ ბგერებიდან პირველი განთავსე-ბულია შესიტყვების პირველი წევრის აუსლაუტში, მორე კი – მო-რე წევრის ანლაუტში. თუკი დისტანციას აღვნიშნავთ **D** სიმბო-ლოთი (პირველი ასომთავრული გრაფემაა ლათ. სიტყვისა **Distantia**), ვიღებთ: **DX**¹⁵. მაგალითები ქართული სალიტერატურო

¹⁵ მართალია, აქ **X** სიმბოლოს შინაარსობრივად არაფერი აქვს საერთო ლათ. ანბა-ნის 22-ე ‘*იქს*’ ასოსთან, მაგრამ, გარეგნულ მსგავსებაზე დაყრდნობით, **DX** სიმ-ბოლოები შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ‘*დე იქს*’.

არტიკულაციიდან: ლამაზად დაჯექი! > [ლამაზა**DX**დაჯექი], რა-
რიგ გინდება! > [რა**რიDX**გინდება], და სხვ.

სწორედ ეს არის დისტანციური გემინირებული (გაორმაგე-
ბული) ოკლუზია, რომელიც მრავალგზის იქნება მოშველიებული
ამ ნაშრომში. აქ ეს მოვლენა, ერთი მხრივ, შედეგია ხშული დ და
დ, გ და გ, თ და თ, ქ (> გ) და გ თანხმოვნების თავმოყრისა (ზედი-
ზედ მისვლისა), ხოლო, მეორე მხრივ, თავადვე გვკარნახობს, რომ
აქ თავმოყრილია ხშული დ და დ, გ და გ, თ და თ, ქ (> გ) და გ თან-
ხმოვნები.

ასეთივე სურათი გვექნება ნებისმიერ ენაში, სადაც კი თავს
მოიყრის ერთნაირი ხშულ-მსკდომი თანხმოვნები.

ამრიგად, გარდა იმისა, რომ თავად ბგერათა – ამ შემთხვევაში
ხშულთა – გარკვეული დისტრიბუციის შედეგს წარმოადგენს, ოკ-
ლუზია, თავის მხრივ, გვეხმარება თვით ამ დისტრიბუციის ამოცნო-
ბასა თუ გამოვლენაში, რაც შეიძლება გამოვიყენოთ შემდგომ საკ-
ვლევადობებო საქმიანობაში, კერძოდ, ანლაუტის ხმოვანთა მაგარი
შემართვის გამოვლენაში, ეს კი, თავის მხრივ, მიგვიყვანს ანლაუტის
ხმოვანთა თავისუფალი შემართვის გამოვლენასთან.

§ 2. მოკლედ ანლაუტის ხმოვანთა ძლიერ (მაგარ, ხშულ, მკვეთრ) შემართვაზე

საუბარი გვექნება ანლაუტის არტიკულაციაზე – როგორც ე.
წ. თავისუფალზე, ისე მაგარშემართვიანზე თუშურ ენაში და არა
მარტო აქ. არსებობს თეორიული მოსაზრება ანლაუტის ხმოვანთა
მაგარი შემართვის შესახებ თუშურ ენაში (უთურგაძიძე, 1966, 42-
44 და ა. შ.), მაგრამ დღემდე არ გაგვაჩნია თვალსაჩინოებრივი რამ
ამის დასადასტურებლად.

ხანგრძლივმა დაკვირვებამ სამეტყველო არტიკულაციაზე მიგვიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ თუშურ ენაში, მაგალითად, ანლაუტისეული, ანდა განცალკევებული ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვნის შემართვა, შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, ძლიერი (მაგარი, მკვეთრი, ხშული), ხოლო მეორე მხრივ, თავისუფალი. ტიპოლოგიური ანალიზი კი გვიყალიბებს იმ მოსაზრებას, რომ ანალოგიური სურათი იკვეთება არა მხოლოდ თუშურ ენაში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წამოგწიოთ თუშური ენის 16 თანხმოვანი, რომელიც საენათმეცნიერო წყაროებში ცნობილი ბგერაა. მისი დახასიათება შეიძლება დავიწყოთ გ. ახვლედიანის სიტყვებით: „სახმო სიმების მჭიდროდ დახშული მდგომარეობა სწრაფად იცვლება მათი გაზობით, რის შედეგადაც გვესმის ერთგვარი ძლიერი კვნესისებრი ჩქამი“ (ახვლედიანი, 1949, 106; ახვლედიანი, 1966, 104). ამ დროს ბუნებრივად აქვს ადგილი ექსპლოზიას (სკდომას), რომელიც დამახასიათებელია ხშული (ხშულ-მსკდომი) თანხმოვნების არტიკულაციისთვის. მაშასადამე, 16 თანხმოვანი ისეთივე ხშულ-მსკდომი ბგერაა, როგორც, მაგალითად, ბ, გ, დ და ა. შ., ოღონდ აქ განსხვავებულია როგორც ხშვა-სკდომის ადგილი, ისე მისი რაგვარობა.

საერთაშორისო ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში ' ნიშნით (აპოსტროფით) აღნიშნავენ (ნებიერიძე, 1991, 67) 16 ლარინგალს. ლარინგალური ბგერაა [ჰ]-ც, ოღონდ, 16-სგან განსხვავებით, სპირანტა (ჭრელაშვილი, 1975, 38-39). ე. ი. თუშური ენის კონსონანტთა ფონეტიკურ სისტემაში ორი ლარინგალია – 16 და 17 (ჭრელაშვილი, 1975, 35).

ფონეტიკური თვალსაზრისით, სწორედ 16 ბგერას წარმოთქვამს ჯერ კიდევ უმეტყველო ბავშვი, როცა ხელის გაწვდენით რაიმეს ითხოვს დაჟინებით, ოღონდ – ერთგვარი ფშვინვის (ასპირაციის) დართვით: 16ჰ, 16ჰ, 16ჰ... ამ ბგერას წარმოთქვამს ავად-

მყოფიც, როცა კვენისის – აქაც იმავე ფშეინგის დართვით, ოღონდ ამჯერად, ბუნებრივია, განსხვავებული, ვიდრე ბავშვის შემთხვევაშია, ინტონირებით: **ცჰ, ცჰ, ცჰ...**

საანალიზო ბგერის ამ დახასიათების სრულყოფის მიზნით, არათუშურენოვან მკითხველს ვთავაზობთ აგრეთვე ქართული **აჰ, ეჰ, იჰ, ოჰ, უჰ** შორისდებულების წარმოთქმას მოკუშიული ბაგეებით, ანუ ცხვირით. ამ შემთხვევაში ხმოვანი, რა თქმა უნდა, არ წარმოითქმის (და ვერც ვცნობილობთ) იმ უბრალო და ნათელი მიზეზით, რომ პირი (ბაგეები) დახშულია და ვერ ვაღწევთ სამეტყველო ორგანოთა სათანადო კონფიგურაციას. სამაგიეროდ სრულიად ცხადად წარმოითქმის და არცთუ ძნელად ამოიცნობა ფშეინგეირი **ჰ**, ოღონდ ფშეინგა წარმოიქმნება არა ლარინქსში (როგორც სხვა შემთხვევაში იქნებოდა), არამედ – ნაზუსში (ცხვირის ღრუში), კერძოდ, ნესტოებთან. და რაც მთავარია, ამ **ჰ**-ს წარმოთქმამდე წარმოითქმის და ასევე ნათლად ამოიცნობა ლარინგალური **ც** („კვენესა“), რომელიც იწარმოება იქ, სადაც მისი საწარმოთქმო ადგილია – ლარინქსში („მეორე არხის“ არტიკულაციის ადგილზე) ინდექსით წინ და მალლა): **“ცჰ. გამოდის, რომ აჰ, ეჰ, იჰ, ოჰ, უჰ შორისდებულების „მეორე არხით“ არტიკულირებისას ხუთივე ხმოვნის (ა, ე, ი, ო, უ) ადგილს ფაქტობრივად იკავებს (ავსებს) ლარინგალური ც თანხმოვანი. რატომ? ეს ერთობ საინტერესო და საყურადღებო ფაქტია, რომელიც სკრუპულოზურ ანალიზს ელის.**

ამავე – **“ცჰ** – სიდიდეს ვაწარმოებთ, როცა თანამოსაუბრეს დახშული ბაგეებით, ანდა საჭმლით სავსე პირით (ანუ „მეორე არხით“) გვინდა გავაგებინოთ, რომ ერთობ გემრიელია ის, რასაც მივირთმევთ, ოღონდ ამ შემთხვევაში გვაქვს სულ სხვა ინტონაცია, ვიდრე „მეორე არხის“ **აჰ, ეჰ, იჰ, ოჰ, უჰ** შორისდებულების შემთხვევაში, დასახელებული სიდიდე კი მიჯრით გამეორებადია: **“ცჰ-ცჰ-ცჰ-**

ცხ... (ეს შედარებებიც ცნობისათვის კეთდება, თორემ თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ლარინგალი ორალური ბგერაა).

ეს მსჯელობა ერთგვარად უკვე უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ხმოვნისა და ლარინგალური ც თანხმოვნის ფონეტიკაში (არტიკულაციისა და აკუსტიკაში) რაღაცა უნდა იყოს საერთო, სხვადასხვა კლასის ამ ორ ბგერას – ხმოვნისა და თანხმოვნის – რაღაცა უნდა აკავშირებდეს ერთმანეთთან. ასეთ მოსაზრებამდე მისვლისათვის მასთან მიახლოების საშუალებას იძლევა დაკვირვება თუშური ენის სწორედ ამ საინტერესო ბგერაზე – ც ლარინგალზე: ზოგიერთ რამეში ვერ დავეთანხმებით თ. უთურგაიძეს, როცა საუბრობს ც ლარინგალზე, მაგრამ ჩვენთვის ერთობ ღირებულია მისი ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, კონფიგურაციულად ც ლარინგალი ჰგავს მომდევნო ან წინამდებელ ხმოვანს (უთურგაიძე, 1966, 21).

ლარინგალური ც თანხმოვანი არ არის მარტო თუშური ენის „მონაპოვარი“: ის გვხვდება მსოფლიოს სხვა ენებშიც. თუმცა, მეორე მხრივ, თუშური ენისთვის ის მაინც რჩება სპეციფიკურ ბგერად (ფონემად).

დავიწყეთ ქართული ენით, რომელიც იდეალური ბილინგვიზმის პირობებში ასევე მშობლიურია თუშური ენის მატარებელთათვის. გ. ახვლედიანი გვიდასტურებს ც-ს არსებობას ისეთ ქართულენოვან ნაწილაკებში, როგორიცაა აკრძალვის გამომხატველი (ასეც შეიძლებოდა გვეთქვა, უარყოფის გამომხატველი – ა. ბ.) არაჲ და სამწუხარო გაკვირვების გამომხატველი აჲ (ახვლედიანი, 1966, 105).

მკვლევართა აზრით, ც შეიძლება გამოჩნდეს დაქინებულად თქმული არა ნაწილაკის ანლაუტშიც: **ცარა!** (ახვლედიანი, 1966, 105). მაშ, ამავე ნაწილაკს ც ლარინგალი ერთდროულად შეიძლება აღმოაჩნდეს ანლაუტშიც, აუსლაუტშიც: **ცარაჲ!**

საინტერესო და საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ **ც** ბგერა დასტურდება ვაოცებისა და ვაკვირების გამომხატველი და ექსპრესიულად წარმოთქმული ქართულ-თუშური ვა შორისდებულის ანლაუტშიც – **ცვა!** ამის საშუალებას, ჩანს, იძლევა მომდევნო სონორული გ.

ამავე შორისდებულში **ც** ლარინგალი ერთდროულად შეიძლება გაჩნდეს ანლაუტშიც, აუსლაუტშიც: **ცვაც!**

ქართულ ყოფით მეტყველებაში ვხვდებით **ჰო** მტკიცებითი ნაწილაკის **ჰოც** ფორმასაც აუსლაუტის **ც**-თი, რომელიც **თ. უთურგაიძეს** თუშურ კილოშიც აქვს დადასტურებული (უთურგაიძე, 1966, 23). ვხვდება აგრეთვე ამ ნაწილაკის კეთილგანწყობილი თანხმობით ნათქვამი გამეორებადი **ჰოც, ჰოც, ჰოც** ფორმაც.

თუშური კილო, რომელსაც „ასეული წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა“ ჰქონდა თუშურ ენასთან (უთურგაიძე, 1960, 15) და რომლისთვისაც, როგორც **ა. შანიძემ** შენიშნა, თუშური ენა სუბსტრატს წარმოადგენს (უთურგაიძე, 1960, 06), საკმაოდ ფართოდ იყენებს **ც** ბგერას – არა მარტო იმ შემთხვევებში, რომლებიც ახლახან მოვიშველიეთ ქართული ენისთვისაც. მაგალითად, **მემრეც, გარეც** ის **მამა ცნცქ გუწწწირავის...** (უთურგაიძე, 1960, 95) **შერე ის მამა კვლავ აქ დაუტოვებია...; მძინარ-მღვიძარაც** **ბომს მოხვედრიც დაც გაგორებულიც** (უთურგაიძე, 1960, 104) **‘ბილმღვიძარე ბომს დასჯახებოდა და წაქცეულიყო’**.

ქართული ენის კილოებიდან **ც** ბგერა მიგნებულია ხევსურულშიც (აქ ბოლოკიდური ხმოვანი მახვილიანიცაა): **მეია’ც?** **‘ვანა მარტო მე?’**; **ერთ ძროხაია’ც?** **‘ვანა მარტო ერთი ძროხა?’**; **ორნია’ც?** **‘ვანა მარტო ორნი?’** (ჭინჭარაული, 1960, 191)¹⁶.

¹⁶ ამავე – ‘მარტო/მხოლოდ’ ნაწილაკის – როლში თუშური ენა **ც** ხშულის ნაცვლად იყენებს კ ხშულს. შლრ. სო ‘**მე**’ – სოი? ‘**მე?**’ – სოკი? ‘**მარტო მე?**’, ავო ‘**ძროხა**’ – ავოი? ‘**ძროხა?**’ – ავოაკი? ‘**მარტო ძროხა?**’, ში ‘**ორი**’ – შიი? ‘**ორი?**’ –

კახურკილოვან მეტყველებაშიც ბგერით შეიძლება მთავრდებოდეს ემთატიკურსმოვნინი მაგრამ კავშირი: მაგრამაც.

საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ც ბგერა ქართველური ენებიდან გააჩნია, მაგალითად, ზანურს (მეგრულსა და ჭანურს, ანუ ლაზურს): ცუჯი 'ყური', ცონა 'ყანა' (ახვლედიანი, 1966, 105) და ა. შ.

დანარჩენი იბერიულ-კავკასიური ენებიდან ც ბგერის მატარებელია, მაგალითად, ჩეჩნური – ხაც 'ცოდნა', ლაქამ 'სურვილი', მეც 'ვარია', თოხალ 'საკმარისი', აგრეთვე ინგუშური – შიყ 'ორი', ფიყ 'კვერცხი' (ჭრელაშვილი, 1975).

ც ბგერის სულ რამდენიმე მაგალითი თვით თუშური ენიდან: ხაც 'დაჯექი!', ლიყ 'სურს', ლაქარ 'სურვილი', დახიყ 'იმიტომ', დში აყ 'ნაიარევი', დში იყ 'დარჩი!' და ა. შ. როგორც ვხედავთ, აქ ც ბგერა ერთობ მდიდარ და საინტერესო სპექტრს იძლევა როგორც ლექსიკური, ისე დისტრიბუციული თვალსაზრისით¹⁷.

ევროპული ენებიდან ც ბგერა, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ახასიათებს, მაგალითად, სალიტერატურო გერმანულს, რადგან, როგორც ცნობილია, აქ თავკიდურის (ანლაუტის) ყოველი ხმოვანი, თუ ის ფშენვიერშემართვიანი არ არის, ძლიერშემართვიანია (ახვლედიანი, 1966, 105-176), ოღონდ აქ ეს მაგარი შემართვა გრაფიკულად არ აღინიშნება: **aber** ['aber] 'თუძცა', **immer** ['immer] 'შუღამ', **ober** ['ober] 'უმაღლესი', **erste** ['erste] 'პირველი' (ახვლედიანი, 1966; Немецко-русский словарь, М., 1962).

შივი? 'მარტო ორი?' და სხვ. ჩვენ ცალკეც გვექნება საუბარი კ თანხმოვანზე, აქ კი გვინდა გამოვთქვათ ვარაუდი ამ ნაწილაკების შესაძლო გენეალოგიური კავშირის შესახებ მათი რაგვარობის თვალსაზრისით.

¹⁷ ც დისტრიბუციასთან დაკავშირებით იხ.: ჭრელაშვილი, 1975.

რუსულ სასაუბრო მეტყველებაში ц გვხვდება ქართული არაჲ ფორმის შესატყვისში¹⁸: **не-а**, ანუ **н[е'ъ] > н[е']**. ძლიერი შემაბრუნებელი ფორმდება სტილიზებულიად არტიკულირებული რუსული **хорош** სიტყვის აუსლაუტისეული ხმოვანი (სტილიზაციას ეხმარება გაომავებული, შეიძლება ასეც ითქვას, გრძელი **ш-ც**): **хорошо'**.

გ. ახვლედიანმა დიდი რუდუნებით მოიძია, დაათქსირა და შემოგვინახა ორად ორი ლექსიკური ერთეული ექტრალინგვისტური პლასტებიდან – **აჲ**, **არაჲ** (ახვლედიანი, 1949, 106)¹⁹, ხოლო **ა. შანიძემ**, არ შეუშინდა რა მის სკაბრეზულ ელფერს, ძლიერი შემაბრუნებელი ყველაზე უფრო ზუსტი განსაზღვრის საფასურად გამოიყენა ლექსემა **ჭინთვა**. ჩვენ ეს ყველაფერი დაგვჭირდება და გამოგადგება მსჯელობის საწარმოებლად.

ხმოვნის მაგარი შემაბრუნების გამოსავლენად ჩვენ მიერ შემოთავაზებული ყველა ხერხი გულისხმობს არააპარატურულ – უბრალო, უშუალო – დაკვირვებას ცოცხალ არტიკულაციასა თუ აკუსტიკაზე.

მაგარი შემაბრუნების გამოვლენა, რაც ფიზიოლოგიურად გამოიხატება მანამდე დახშული სახმო სიმების (ყის) მკვეთრ განხშვაში, და რაც, თავის მხრივ, ერთგვარი აფეთქების შთაბეჭდილებას ტოვებს, შეიძლება იმ ხერხითაც, რომელსაც ზოგადი ფონეტიკა გვთავაზობს სახმო სიმების ჟღერის გამოსავლენად: ეს არის „ყურების დაცობა თითებით“ (ახვლედიანი, 1949, 57). თუმცა ჩვენი მხრიდან დაფუძნებული, რომ ეფექტის ასამაღლებლად ამ დროს მოკუმული უნდა გექონდეს ტუჩებიც (რითაც უზრუნველყოფთ მდგომარეობას, რომელსაც „ი არხის“ არტიკულაცია ვუ-

¹⁸ რუსული ენისთვის გამოვიყენეთ ц -ს სატრანსკრიფციო 'ნიშანი, რომელიც არ უნდა ავკერიოს რუსული თანხმოვნების სილობს აღმნიშვნელ '-ში.

¹⁹ **გ. ახვლედიანთან** წარმოდგენილია **ა'**, **არა'** გრაფიკული სახით.

წოდეთ და რომელსაც უსათუოდ მიგუბრუნდებით), ხოლო ეფექტის კიდევ უფრო ასამაღლებლად შეიძლება თითებით მჭიდროდ ჩავკეტოთ ნესტოებიც. სრულიად საკმარისია ამ მდგომარეობით წარმოვთქვათ ნებისმიერი განცალკევებული ჩვეულებრივი ხმოვანი²⁰, რათა გავიგონოთ აფეთქებისმაგვარი გრგვინვა, რაც უტყუარი ნიშანია მაგარი შემართვისა, ანუ ლარინგალური ც-ს წამოქმნისა ხმოვნის შემართვაში: სამეტყველო აპარატის ამ მდგომარეობით ჩვენ ფაქტობრივად ვახდენთ არა ხმოვნის სრულ არტიკულაციას როგორც ასეთს, არამედ ოდენ მისი შემართვითი ნაწილის როგორმე რეალიზაციას. ადამიანები მიმართავენ ამგვარ არტიკულაციას – სხვადასხვა ყოფითი ხასიათის მიზეზთა თუ გარემოებათა გამო (თუ, მაგალითად, პირში ესა თუ ის სითხე გვიყენია). სულ ახლახან პროექტის ფარგლებში მოპოვებულ აუდიომასალაში გვაქვს ამ თვალსაზრისით ერთობ თვალსაჩინო და საინტერესო ხანაწერი (რესპონდენტი თეკო ბართიშვილი). ვცადოთ, წერილობით გადმოვცეთ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტები, იმ ტიპის სიდიდე კი, რომლის გრაფიკულად გადმოცემის სირთულეებზე საუბრობენ, მაგალითად, გ. ახვლედიანი და ა. შანიძე (ახვლედიანი, 1949, 26; შანიძე, 1976, 622), ჯერჯერობით მრავალწერტილით აღვნიშნოთ:

უძრე (შირქილქ – ა. ბ.) მუჟმ ჰალ ვოყვიენ (სქ დად – ა. ბ.), ჩუჰ დაჰ ვალო...

ასა, სქ ვაშ კოტქ დათხდანოროთხე, ნანას ადლონორ (დადეგო – ა. ბ.):

– ჰალ წე დადლოდო ჰაგარხ, მარა მოყ დათხ, ხუმ ცო ებე ჰონანო?!.

²⁰ ამ შემთხვევაში ვერ წარმოვთქვამთ სიტყვაში ჩართულ ხმოვანს, როგორც ასეთს, რადგან არ გაგვაჩნია დანარჩენი ბგერების წარმოთქმის ფონაციური საშუალება.

–ენბრ!²¹ – გაჯარბადგადღონორ ო სქ დად (გუხ ცო ლეგმაკერ, მოტ ბარ თასბალინოქ), გაჯარბადგადღონორ, – მა ჯარბალა ის ბად-რასანბრ!

შიკეუ აკვანე დიფშდანიორათხ...

ე ო ში აკვან ფენიხ ოთდიქი ნანეგო შირქილქ ჰალ ვოყვიქი გალღიქ დენი მარ დაჰან ვალბ...

‘იქიდან (შირაქიდან – ა. ბ.) ცუდად [გამხდარი] ამოიყვანეს (მამა-ჩემი – ა. ბ.) და, შინ მოკვდა...’

მე და ჩემი ძმა კოტე ვტბროდით თურმე და დედას უთქვამს (მამას-თვის – ა. ბ.):

– ცეცხლი მოეკიდოთ ამათ, რა ძალიან ტირიან, არ თუ ვსიამოვ-ნებსო?! და:

–ო! – გაუჯავრდა თურმე ის მამაჩემი (ხმას ვერ იღებდა, ენა ჰქონდა ჩაფარდნილი და), გაუჯავრდა თურმე, – ნუ უჯავრდები მაგ ბავ-შეებსო!

ორივენი აკვანში ვიწქით თურმე...

და გვერდზე იმ ორაკვანდადგმულ დედას შირაქიდან ამოყვანდან მესამე დღეს ქმარი მოუკვდა...’

სწორედ ექსტრალინგვისტიკის სფეროდანაა მრავალ-წერტილით აქ მონიშნული სიდიდე, რომელიც პირდაპირ კავ-შირშია ანლაუტის ხმოვნის მაგარ შემართვისთან და რომელსაც კვლავ დაფუძრუბებით ექსტრალინგვისტიკაზე საუბრისას. ამჯერ-რად მივანიშნებთ მხოლოდ, რომ, წარმოითქმის რა მოკუშული ბა-გეებით, ამ სიდიდის წერილობით გადმოცემა შეუძლებელია სპე-ციალური გრაფიკული საშუალებების მოფიქრებისა და შემოთა-ვაზების გარეშე.

ჩვენ მიერ ანალიზისთვის შემუშავებული ხერხებიდან, რომ-მელთა ერთობლიობასაც შიზოფონია ვუწოდეთ, აქ წარმოვა-დგენთ ერთ-ერთს – ოკლუზიას, უფრო სწორედ, დისტანციურ

²¹ – ენბრ – მესამე პირის ნათქვამის აღმნიშვნელი ფორმანტი.

გემინირებულ ოკლუზიას (**DX**), რომელიც ასევე დაგვეხმარება თუშური ენის ξ კომპოზიტის დაშლაში მის შემადგენელ ξ და θ კომპონენტებად.

ამჯერად მოგვიწევს ძლიერი შეპართვის (ფონეტიკური ξ ლარინგალის) გამოვლენა თუშური ენის ანლაუტის ხმოვნებში. ამისათვის ავიღოთ თუშურენოვანი სიტყვები ათრ ‘ნათლია’, ეგრკა ‘კალთა’, ისკამპ ‘წიაურტი’, ორკულ ‘გორგალი (დართული ძათისა)’, უთხ²² ‘ნაჭერი’.

ამგვარი სიტყვები ანლაუტისეული ხმოვნით შეიძლება აღმოჩნდნენ ξ -ზე დაბოლოებული სიტყვების მიმყოფ და მათთან ერთად ჩამოაყალიბონ შესიტყვებები (სინტაგმები): ვშიფხ ათრ ‘ოთხი ნათლია’ (გ კლასი) და სხვ.

ის, ვინც ფლობს ξ -ს არტიკულაციას, უსათუოდ შეამჩნევდა უკვე, რომ შესიტყვებების წევრთა საზღვარზე, ოღონდ (sic!) ξ -ს წარმოთქმამდე, აშკარად აქვს ადგილი დისტანციურ გემინირებულ ოკლუზიას, რაც ამოიცნობა იმით, რომ იქმნება უბგერო მდგომარეობა, ანუ არტიკულაციური დაყოვნება. ტრანსკრიფციაში ეს მიიღებს ასეთ სახეს (დისტანციური გემინირებული ოკლუზია ჩვენ უკვე გადმოვეცით **DX** სიმბოლიკით): ვშიფხ ათრ [ვშიფხ_{DX}ათრ] ‘ოთხი ნათლია’ და სხვ.

აქ, რწყმული მეტყველების არსიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს წარმოთქმასთან ერთი მთლიანი ნაკადის სახით, ანუ, რაც იგივეა, წარმოთქმასთან ერთი ფონეტიკური სიტყვის სახით. და სწორედ ამიტომ და სწორედ აქ წარმოიქმნება **DX** სიტუაციაც. **DX**-ს კი ადგილი აქვს ერთადერთ – ორი ერთნაირი ხშულ-მსკდომის ზედიზედ მისვლის – შემთხვევაში: შემთხვევაში (ანგლედინი,

²² ჩვენ მიერ აღწერილი კვანტიტატიური სირთულეებიდან გამომდინარე, სახელები, მათ შორის, ეს სახელიც სხვადასხვა წყაროში შეტანილია ბოლოკიდური ირაციონალური ხმოვითაც და მის გარეშეც.

1966, 123). მაშ: აქ **DX**-ს იწვევს შესიტყვების | წევრის აუსლაუტი-სეული **ც**-ს დამეზობლება შესიტყვების || წევრის ანლაუტისეულ **ც**-სთან.

არც ერთ სხვა შემთხვევაში აღნიშნული ტიპის ოკლოზიას ადგილი არ შეიძლება ჰქონოდა (არ უნდა ჰქონოდა).

ამრიგად, ამ შესიტყვებათა შეპირაპირების ადგილში თავს იყრის ორი **ც** (ანუ **ცც**). ამათგან ის, რომელიც ფონოლოგიური სიდიდეა, არის ხილვადი და, როგორც დავინახეთ, განთავსებულია შესიტყვების | წევრის აუსლაუტში (ვშიფც, მშიფც, ბშიფც, ღშიფც ‘ოთხი’), ხოლო მეორე, რომელიც ოდენ ფონეტიკური სიდიდეა, ვიზუალურ განზომილებაში არ ფიგურირებს და შესიტყვების || წევრის ანლაუტში ფუნქციონირებს, რაც ტრანსკრიფციაში ასე შეიძლება გადმოვცეთ (**DX** სიმბოლიკას ადგილდგინოთ მისი რეალური ღირებულება): ვშიფც ათრ [ვშიფცსათრ] ‘ოთხი ნათლია’ და სხვ.

ახლა საშუალება გვეძლევა ცალკე ამოვწეროთ შესიტყვებების მეორე წევრები მათში გამოვლენილი ფონეტიკური სიდიდეებითურთ: ათრ [სათრ] ‘ნათლია’ და სხვ.

სხვა მაგალითები (**DX** სიმბოლიკის ნაცვლად ტრანს-კრიფციაში ახლა უკვე ჩავწეროთ **ცც** გრაფემები; ანლაუტში წარმოვადგინოთ ხუთივე მარტივი ხმოვანი: ლეც აბა [ლეცსაბა] ‘უნდა [შეკერვა’, თხაც ალ! [თხაცსალ] ‘დღესვე უთხარი!’, სოგ მოც ალარ [სოგმოცსალარ] ‘მე მაინც მეტყობი’, სოც ეჭდებ! [სოცეეჭდებ] ‘ისევ გამოავდე!’, ჰალოც ეც! [ჰალოცეეც] ‘ისევ აიღე!’, დაჰაც ეტე [დაჰაცეეტე] ‘ისევ სკდება’, სოც ეცრ [სოცეეცრ] ‘ისევ იყიდა / გადმოიღო’, ხეც იშტ [ხეცეეშტ] ‘იცის ეგრე’, ჰალოც იხქ [ჰალოცეეხქ] ‘ისევ იბაკა’, ჰალოც ითრ [ჰალოცეეითრ] ‘ისევ დგება’, ჰალოც უმთრ [ჰალოცეეუმთრ] ‘ისევ ადგება’, ლეც უმშტ და

[ლუცსუმიტლან] 'სურს ისე გაკეთება', ლუც უმსთხ ეცა [ლუცსუმიტლან] 'სურს ნერბის ყიდვა' და ა. შ.

გამოდის, ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნები ფონეტიკურად მაგარშემართვიანია ქართულენოვანი 'შეკერვა', 'უთხარია', 'მეტყობი მინც', 'გამოავდე', 'აილე', 'სკდება', 'ყიდა', 'ვერე', 'იმაკა', 'დგება', 'ადგება', 'იქ', 'ნერბი' და ა. შ. სიტყვების თუშურენოვან ეკვივალენტებში: აბა [ცაბა], ალა [ცალ], ალარ [ცალარ], ეტლებ [ცეტლებ], ეც [ცეც], ეტმ [ცეტმ], ეცა [ცეცა], იშტ [ციშტ], ინქ [ცინქ], ითრ [ცითრ], უთრ [ცუთრ], უშტ [ცუშტ], უმსთხ [ცუმსთხ] და ა. შ. ანუ: აქ მაგარშემართვიანია ანლაუტის ყველა ხმოვანი.

ძველ ჩანაწერებში დაფიქსირებული გვაქვს ასეთი წინადადება – ჰაყე, ო ყურბა ხანე-დროჰლოლჰ ჰალოც აბარგბადვალჰ ლაჰმჰ შადრ ფსტუბადრევაყ 'ჰო-და, ის ყურბანა რაღაც დროის მერე ისე აბარგდა მთაში თავის ცოლ შეილიანად'. აქ ყურადსაღებია შესიტყვება ჰალოც აბარგბადვალჰ [ჰალოცყაბარგბადვალჰ] 'ისე აბარგდა', სადაც შესიტყვების მეორე წევრის პირველი ნაწილი აბარგბ- მომდინარეობს ქართული სიტყვიდან 'აბარგება', რაც ნაწილობრივ უმგვი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართულ აბარგება სიტყვაშიც თავკიდური ხმოვანი ისევეა მაგარშემართვიანი, როგორც თუშურ ენაში – [ცაბარგება], რის კენაც ნელ-ნელა მივყავართ აქ წარმოებულ მსჯელობას.

თუკი აქ მოხმობილი შესიტყვებების საზღვარზე მონაწილეობას არ მიიღებდა ზედიზედ მისული ორი ცუ, არავითარ შემთხვევაში არ წარმოიშობოდა **DX**. ამას ისიც გვიდასტურებს კიდევ ერთხელ, რომ შესიტყვების მეორე წევრის დაწყების შემთხვევაში სხვა ნებისმიერი ხმოვლით **DX** არა გვაქვს: ვშიყც კნათ [ვშიყცკნათ] 'ოთხი ბიჭი' და სხვ.

ამ ბოლო მაგალითებში ცალკეული სმულებისთვის – ც-სთვის და კ-სთვის (I შესიტყვებაში), ც-სთვის და გ-სთვის (II შესიტყვებაში), ც-სთვის და ჳ-სთვის (III შესიტყვებაში), ც-სთვის და ქ-სთვის (IV შესიტყვებაში) – გვაქვს მათი კუთვნილი ცალფა ოკლუზიები, მაგრამ არა გემინირებული (მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში თვით ეს ოკლუზიები ზედიზედ არის მისული).


კიდევ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია ერთი რამ: მეტყველების რწყემლობის წყალობით, აუსლაუტისეული ც-ს არმქონე სიტყვასთან ფონეტიკური შეკავშირებისას შესიტყვეების მეორე წევრის თავკიდურმა ხმოვანმა უმტკივნეულოდ შეიძლება დაკარგოს მისი კუთვნილი და ჩვენ მიერ აქ გამოვლენილი ფონეტიკური მაგარი შექართვა და ამით შეიძლება ვილაპარაკოთ ფორმების ვარიანტულობაზე, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა სამეტყველო ფაქტორებზე, მაგალითად, იმაზე, მოსაუბრე გააკეთებს თუ არა პაუზას შესიტყვეების წევრებს შორის (ძლიერი შემართვის არქონა აღვნიშნოთ ლეგატოთი – \sim): ფხი ათრ [ფხი \sim ათრ] / [ფხი \sim ათრ] ‘ხუთი ნათლია’, ფხი ემრკან [ფხი \sim ემრკან] / [ფხი \sim ემრკან] ‘ხუთი კალთა’, ფხი ისკამხ [ფხი \sim ისკამხ] / [ფხი \sim ისკამხ] ‘ხუთი წკაპურტი’, ფხი ორკულ [ფხი \sim ორკულ] / [ფხი \sim ორკულ] ‘ხუთი ვორკალი’, ფხი უთხ [ფხი \sim უთხ] / [ფხი \sim უთხ] ‘ხუთი ნაჭერი’.

მაგრამ ც-ს არსებობისას შესიტყვეების პირველი წევრის ბოლოკიდურში, როგორც დავინახეთ, მეორე წევრის ანლაუტისეული ხმოვანი არაფრით არ თმობს მაგარ შექართვას, ანუ ხელშეუხებელი რჩება **DX** (მზიფც ემრკან [მზიფ**DX**ემრკან], ანუ [მზიფცემრკან] ‘ოთხი კალთა’ და ა. შ.). ხოლო თუ მაინც უარვეყოფთ **DX**-ს, ანუ ზედიზედ მისული ორი ცუც-დან ამოვადგებთ ერთ-ერთს, სულ ერთია, რომელს, გარდაუვალია სიტყვისა თუ ფორმის სემანტიკური რღვევა, სემანტიკის შეცვლა ანდა მთლიანად დაკარგვა. რატომ?


ერთი მხრივ, მართალია, ზეპირმეტყველების ფონეტიკური მოთხოვნილებების შესაბამისად, შესიტყვებაში შემავალ წევრებს

წარმოეთქვამთ ერთი ფონეტიკური სიტყვის სახით, მაგრამ, მეორე მხრივ, ზეპირმეტყველებისავე, კერძოდ, სუნთქვითი პროცესების მოთხოვნილებათა შესაბამისად, სიტყვას და, მათსადაძვე, შესიტყვებასაც წარმოეთქვამთ არა ერთბაშად, არამედ უმცირესი და ბუნებრივი საწარმოთქმო ელემენტების – მარცვლების – სახით (როგორც, მაგალითად, ავტომატის ჯერია). დამარცვლისას ორ ხმოვანს შორის მოყოლილი *ც*, როგორც წესი, გადადის მეორე (მიმყოლი) მარცვლის მხარეზე მაშინაც კი, როცა, მორფოლოგიური თვალსაზრისით, ეს *ც* მანამდე იყო პირველი (წინამავალი) მარცვლის „კუთვნილება“. სწორედ იმის წყალობით, რომ ფორმისა თუ მნიშვნელობის შემცველი (აღმნიშვნელი) *ც* გადაადგილდება საწარმოთქმო მოთხოვნილებათა მიხედვით, ხდება მორფოლოგიური სემანტიკის „გადაადგილება“ თვით მარცვლებში²³. შდრ. (მარცვლები გამოვეყოთ დეფისებით, საანალიზო სიდიდის არასწორი არტიკულაცია კი აღვნიშნოთ ვარსკვლავით): **ლეყარ** [ლე-ყარ] ‘სურვილის ქონა’, მაგრამ **ლეყდანორ** [ლეყ-და-ნორ] ‘თურმე სურდა’; **ვაყარ** [ვა-ყარ] ‘მოსვლა’, მაგრამ **ვეყნორ** [ვეყ-ნორ] ‘მოსულობა’; **დშიყარ** [დში-ყარ] ‘დარჩენა’, მაგრამ **დშიყნორ** [დშიყ-ნორ] ‘დარჩენილობა’.

ახლა ვნახოთ, როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ შესიტყვებებში:



²³ ამავე მიზეზით ხდება ანალოგიური რამ, როცა, მაგალითად, მივმართავთ ამა თუ იმ სიდიდის (ნაწილის) „ამოკვეთას“ სიტყვიდან: ხაყ! ‘დაჯექი!’ – ხაყტ (ხა-ყტ) ‘დაჯდა აკი’, სადაც ხაყტ სიტყვა-ფორმიდან „ამოკვეთილი“ ფონეტიკური [ყტ] (გრაფიკულად ტტ) ნაწილი ატარებს მნიშვნელობას ‘ახლა’.



ანუ: ორი ყყ-ს არტიკულირება აქ გვაძლევს სწორ შედეგებს, ერთი ყ-ს არტიკულირება კი – არასწორს.

კიდევ მაგალითები (უკვე შეიძლება ჩავრთოთ ხმოვანთა ნაწახლობაც და ცალკე აღებული ხმოვნებიც): დაყ აბჟოტ [დაყყა-ბჟოტ] 'მომე უზანვი' > [დაყაბჟოტ] 'არის უზანვი' და სხვ.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ, როცა ვლაპარაკობთ ანლაუტის ხმოვანთა მაგარ შემართვაზე თუშურ ენაში, ერთნაირად იგულისხმება როგორც ჩვეულებრივი (მარტივი, სადა) ხმოვნები, ისე სადღეისოდ გამოვლენილი მათი კორელატები, რადგან შემართვის სხვადასხვაობა, არათფერი აქვს რა საერთო არც, დაუშვათ, კვანტიტეტთან, არც ნაწახლობასთან, არც ორალობასთან, წარმოადგენს უშუალოდ სახმო სიმების პრეროგატივას. წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს ნაწახლიზებული ხმოვნებისთვისაც: ბაყყ ზ

²⁴ ზედმიწ. 'გამოა-კვლავ-გღე!'

და სოგო! 'მართლაც ჭკვალი მაქვს!' – (ბაყეც ზ და! [ბაყეცცადა])
'მართლაც ჭკვალია!') და სხვ.

მოკლედ, ოკლუზიური მაგალითები გვიჩვენებენ, რომ თუ-
შური ენის ანლაუტში ჩვეულებრივი ხმოვნებიც და მათი კორელა-
ტებიც მაგარი (ძლიერი, ხშირი, მკვეთრი) შემართვისანი არიან.
სხვა რამ მიზეზი **DX**-ს არ შეიძლება გააჩნდეს აქ, გარდა საწარ-
მოთქმო პათოლოგიისა, რაც ჩვენი ანალიზის სფეროს სცილდება.
ოღონდ გაზგასმით გავიმეოროთ: ეს შემართვა აქ არის არა ფონო-
ლოგიური, არამედ ოდენ ფონეტიკური მოვლენა.

ოკლუზიას არ ექნებოდა თუნდაც რამენაირი ღირებულება,
მარტო თუშური ენის ანლაუტის ხმოვანთა ხასიათის განსნაში რომ
გვეხმარებოდეს.

მაგარი შემართვა თუშური ენის ანლაუტისეული ხმოვნების-
თვის თავის დროზე უკვე აქვს დადასტურებული **თ. უთურგაიძეს**,
თუმცა ეს შემართვა მკვლევარს მიჩნეული აქვს ფონოლოგიურ
ღირებულებად (უთურგაიძე, 1966, 44-45), რასაც, **კ. ჭრელაშვი-
ლის** კვალდაკვალ (ჭრელაშვილი, 1975, 37; ჭრელაშვილი, 2002,
65), ჩვენ ვერ დავეთანხმებით, თუმცა აქ ამ თემის განვრცობა ჩვენი
საუბრის მიზანს არ წარმოადგენს. ასეა თუ ისე, ჩვენამდე უკვე
წარმოადგენდა რა მსჯელობის საგანს თუშური ენის ანლაუტისე-
ული ხმოვნების მაგარი შემართვა, საჭიროდ ვთვლით საუბრის გა-
დადტანას ქართული ენის ხმოვნებზე.

თუ ამა თუ იმ ენაში/ენებში არ მოიპოვება აუსლაუტისეული
ძლიერდამართვიანი თუნდაც ერთი ხმოვანი თუნდაც ერთ რომე-
ლიძე სიტყვაში, მაშინ ანალიზის დონეზე ღირს ენაში შეტანა ასე-
თი სიდიდისა – სიტყვისა, რომელიც, ლაკმუსის ქალაქის მსგავ-
სად, დაგვეხმარება ანლაუტის ხმოვანთა ძლიერი შემართვის
ამოცნობაში. სხვა შემთხვევაში სრულიად საკმარისია, თუკი ამა

თუ იმ ენაში მოიძებნება თუნდაც ერთი ამგვარი სიტყვა თუნდაც ყველაზე ექსტრალინგვისტური შრეებიდან.

ანლაუტისეული (ანდა იზოლირებული) ხმოვნის მაგარშე-მართვიანობის დასადასტურებლად (გნებავთ – უარსაყოფად) ქართულ ენაში მოგვიწევს თუნდაც ერთი სიტყვის დაძებნა მაგარ-დამართვიანი ხმოვნით, ანუ დაძებნა სიტყვისა (ან ფორმისა) ბო-ლო კიდური ც-თი. და ეს ერთი სიტყვა ეთდროულად იქნება აუცი-ლებელიც და სრულიად საკმარისიც იმისათვის, რათა ქართულ ხმოვნებთან მიმართებაში ვილაპარაკოთ ამ საინტერესო ნიშანზე – მაგარ (ძლიერ, ხშირ, მკვეთრ) შემართვაზე.

ცოცხალი ქართულენოვანი მეტყველების ექსტრალინ-გვისტურ შრეებში, მართალია, გვხვდება სიტყვები აუსლაუტისე-ული ძლიერდამართვიანი ხმოვნით/ხმოვნებით, მაგრამ სულ სხვა რამეა, როცა ასეთ ფაქტს გვიდასტურებს სამეცნიერო ლიტერა-ტურა და ისიც – მაღალი კლასისა. პირველ რიგში, ასეთ წყაროს მივმართოთ.

როგორც ზემოთაც გამოჩნდა, დიდ ქართველ ფონოლოგს გ. ახვლედიანს ქართული ენისთვის დაფიქსირებული აქვს ორიოდე ასეთი სიტყვა, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიშუშაოთ ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვის გამოვლენაზე. ეს სიტყვებია სამწუ-ხარო გაკვირვების გამოხატველი აჟ და აკრძალვის გამოხატვე-ლი არაჟ (ახვლედიანი, 1949, 106; ახვლედიანი, 1966, 105). ამ და სხვა ამგვარი ლექსემების შემონახვა სამეცნიერო ლიტერატურაში დი-დი მეცნიერის დიდ წინდახედულობაზე მიგვანიშნებს.

ჩვენ ისლა დაგვჩენია – ამ სიტყვებიდან რომელიმე (ანდა ორივე) მარცხენა მხრიდან დაფუძნობლობით ნებისმიერი ხმოვნით დაწყებულ ქართულენოვანსავე ნებისმიერ სიტყვას, რომელიც კი კონტექსტუალურად უნისონში მოვა ჩვენს ხელთ არსებულ ამ ორ სიტყვასთან. დაფუძნობლობით და წარმოთქვით რწყმულად – ერთ

სინტაგმად. და თუკი ადგილი ექნება **DX**-ს, რომლის აღქმა და გაცნობიერებაც უშუალო დაკვირვების დონეზეც კი არ არის ძნელი, მაშასადამე, სინტაგმის მეორე (მარჯვენა) წევრის ანლაუტისეული ხმოვანი აღჭურვილია მაგარი შემართვით. სხვა შემთხვევაში არაფრით არ უნდა ჰქონოდა ადგილი არათუ ოკლუზიას (ამ შემთხვევაში – დისტანციურსა და გემინირებულს), არამედ ამის მსგავსსაც კი.

ვიდრე მაგალითებზე გადავიდოდეთ, გავინსენოთ ერთი არსებითი პირობა.

როგორც ირკვევა, ბევრჯერ სინტაგმატიკური „ალიანსის“ (მთლიანობის) ჩამოყალიბებას ხელ არ/ვერ უშლის სიტყვებს შორის არსებული ის ლინგვისტური საზღვარი, რომელიც წერილ-მეტყველებაში პუნქტუაციურად გამოიხატება, ზეპირმეტყველებაში კი პაუზით უნდა გადმოცემულიყო. მაგალითად, ხშირად ერთ სინტაგმატიკურ მთლიანობად წარმოითქმის ქართული სიტყვები კი და მაგრამ, რომლებსაც გრაფიკულად სრულიად არაორაზროვნად განვაცალკევებთ მძიმით: კი, მაგრამ [კიმაგრამ] ეს როგორ მოხდა?!. ასევეა რუსულშიც: **Да, но [дано] как это случилось?!** აქ მძიმე – სასვენი ნიშანი – ხელს არ გვიშლის მის მარცხენა და მარჯვენა მხარეებზე განთავსებული სიტყვების ერთ ფონეტიკურ მთლიანობად (პაუზის გარეშე) წარმოთქმაში, რადგან: ყოველთვის როდი „იკითხება“ მძიმე, ანუ, სხვანაირად, ყველა მძიმესთან როდი კეთდება პაუზა (ПКРЯ, 1980, 94), თუმცა სინამდვილეში ის (პაუზა – ა. ბ.) წარმოადგენს სინტაგმის მთლიანობისა და მისი საზღვრების გასაფორმებელ ერთ-ერთ საშუალებას, აზრობრივ (ლოგიკურ) მახვილთან, ასევე მელოდიკასთან და ტემპთან ერთად (იქვე, 88), რომელთაგან ამჯერად გვიანტერესებს მხოლოდ პაუზა, რომელიც ამ საანალიზო შემთხვევაში იგნორირებულია.

ხშირად იმდენად არის წაშლილი პაუზის კვალიც კი, რომ, როცა ბგერათცვალებადობაზე საუბრობს სიტყვათშეკვეცის მაგალითზე, გ. ახვლედიანი საჭიროდაც აღარ თვლის მძიმის/მძიმეების დასმას ისეთ კონსტრუქციებში, როგორცაა **ღია ღმერთო** (< **ღიაღ/ღიან, ღმერთო**) > **ღიაღ/ღიან; ბიჭო სცან** (< **ბიჭო, სცან**) > **ბიჭოს; კაცო სცან** (< **კაცო, სცან**) > **კაცოს** (ახვლედიანი, 1966, 200). ამგვარადვე – პაუზის უგულვებელყოფის ხარჯზე – არის ჩამოყალიბებული **спасибо ‘გმადლობ’** (< **Спаси, боже!** ‘*ღამითარე, უფალო!*’) ტიპის ზოგიერთი რუსულენოვანი ფორმულაც.

ამასთანავე, ჩვენს შემთხვევაში – ორი ერთნაირი ხშულის, ორი **ცც**-ს ზედიზედ მისვლის შემთხვევაში, როგორც უკვე ვიცით, პაუზას ისედაც აქვს ადგილი უბგერო მდგომარეობის სახით.

ახლა მოვუხმით **DX**-ის ამსახველ მაგალითებს (სიტუაციებს), რომლებმაც უნდა დაგვანახოს მაგარი შეპართვის არსებობა ქართული ენის ხუთივე ანლაუტისეულ ხმოვანში.

თუკი შეტყვევებაში ჩავრთავთ გ. ახვლედიანის მიერ დადასტურებულ უარყოფის გამომხატველ **არაჲ** სიტყვას, კითხვაზე (მაგალითად, ბავშვისთვის დასმულზე) **ეს რა დახატე – დათვი?** პასუხი შეიძლება იყოს სხვადასხვა: **არაჲ, ადამიანი** და სხვ.

თუკი ვფლობთ **ც**-ს არტიკულაციის ტექნიკასა თუ ჩვევებს და თუ ამ **ც**-ს ვცნობილობთ აკუსტიკურად, უსათუოდ შევამჩნევთ, რომ ყველა ამ პასუხში სახეზე გვაქვს **DX** (გავიხსენოთ სიმბოლიკის სახელი: **დისტანციური გემინირებული ოკლუზია**): **არაჲ, ადამიანი** [არა**DX**ადამიანი] და სხვ.

ამგვარი ოკლუზია კი, როგორც მრავალჯერის ითქვა, შედეგია იმისა, რომ პირაპირზე (ორი სიტყვის ფონეტიკურ შესაყარში) თავს იყრის ორი ერთნაირი ხშულ-მსკდომი – ამ შემთხვევაში ორი **ცც**, რომელთაგან პირველი გვაქვს პირველი (**არაჲ**) სიტყვის ბოლოკიდურში, მეორე კი, იგულისხმება, მეორე (**ადამიანი** და ა. შ.)

სიტყვის ანლაუტი. თუკი ანლაუტისეული ხმოვნის მაგარ შემართვას თავის სტატუსს მივანიჭებთ არა მხოლოდ ამ ხუთ სიტყვაში, არამედ ნებისმიერში, მაშინ ვიღებთ ფორმულებს: არაყ, ადამიანი [არაყყადამიანი] და სხვ.

DX-ის, ანუ ზედიზედ მისული ორი ცუც-ს გამორიცხვის შემთხვევაში, ისევე როგორც თუშურენოვანი დაყ აბჟოტ [დაყყაბჟოტ] 'ძომე უზანგი' > [დაყაბჟოტ] 'არის უზანგი' შემთხვევაში, აქაც ვიღებთ სატრანსკრიციო ფორმებს²⁵ [არაყყადამიანი], [არაყენძელა] და ა. შ., რაც ტოლფარდია შესიტყვევებისა არა, ადამიანი ან არა, ენძელა და ა. შ. ჩვენ კი გვანტერესებდა სწორედ არაყ, ადამიანი და ა. შ. ტიპის მონაცემთა ფონეტიკური არსი, რაც, ვფიქრობთ ასე თუ ისე გაინსნა.

ბოლოს, ქართული ენისთვის გამოდის: ადამიანი [ყადამიანი] და სხვ.

არაყ სიტყვის მიმყოლ შეიძლება წარმოვიდგინოთ ნებისმიერი სხვა სიტყვა, ხუთი ხმოვიდან ნებისმიერზე დაწყებული: ყველგან იგივე მდგომარეობა გვექნება.

იდენტური სურათი გვაქვს ქართულივე აყ ნაწილაკის შემთხვევაში, მით უმეტეს, რომ აქ არ წარმოიშობა პაუზასთან დაკავშირებული ეჭვი: აყ ადამიანი [ყადამიანი] და სხვ. ანუ: აყ ადამიანი [ყაყყადამიანი] და სხვ. კვლავ მივიღეთ ქართულენოვანი: ადამიანი [ყადამიანი] და სხვ.

თუ უხვად მოვეყრით თავს იდენტურ ქართულენოვან შესიტყვევებს და ზედიზედ (მიჯრით) შევუდგებით მათ კითხვას, სულ მალე აღმოვჩნდებით სუნთქვით პროცესთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემის წინაშე – დაგვეწყება სულის შეგუება (შეხუთვა), რაც უალტერნატივოდ მეტყველებს ანლაუტის ხმოვ-

²⁵ აქ ნულარ გავითვალისწინებთ არაყ სიტყვის თავკიდური ხმოვნის მაგარ შემართვას.

ნის/ხმოვანთა მაგარშემართვიანობაზე ქართულში: აქ უბგერო მომენტი იგივე მჭიდროდ დახშული ყია, ანუ სახმო სიმებია, რაც შეჩერებული, შეკუბებული სუნთქვის ფარდია. ეს ფაქტი გვათამამებს, **გ. ახვლედიანის** მიერ უბგერო მდგომარეობის გაგრძელებასთან დაკავშირებით გამოყენებული „რამდენიც გვინდა“ ფორმულის (ახვლედიანი, 1966, 123) პარალელურად შემოვიტანოთ ფორმულა „რამდენიც შეგვიძლია“. აქ გვახსენდება **ა. შანიძის** მიერ აღწერილი ერთი უალტერნატივო თუშურკილოვანი სამეტყველო სიტუაცია, სადაც საუბარია **ც** ლარინგალზე, რომელიც იქ დამკვიდრებულია თუშური ენის გავლენით (უთურგაძე, 1960, 15): „კახელმა რომ თუშის ლაპარაკს ყური დაუგდო და ხორხისმიერი ბგერების ხშირი ხმარება შენიშნა, ჰკითხა: თუშო, რას იხრჩობიო?“ (შანიძე, 1970, 105)²⁶.

მაშ: ქართულენოვანი **აყ** და **არაყ** სიტყვები, მათში აუსლაუტისეული **ყ**-ს ფუნქციონირების წყალობით, რაც, თავის მხრივ, **DX**-ის ერთადერთი წყაროა, საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი ხმოვნით დაწყებული ნებისმიერი ქათულენოვანი სიტყვის ანლაუტში გამოვავლინოთ და დავადასტუროთ ამ ხმოვნის – ანლაუტის ხმოვნის – მაგარი (ძლიერი, ხშირი, მკვეთრი) შემართვა, რაც განპირობებულია ხმოვნის არტიკულაციის საწყის ფაზაში ფონეტიკური **ყ** სიდიდის, ანუ **ყ** ლარინგალის უტყუარი არსებობით²⁷.

ამგვარივე საუბარი შეიძლება ვაწარმოოთ დასტურის გამოხატველ **ჰოყ** ნაწილაკზე, რომელიც „უცხო არაა საერთოდ

²⁶ „არა, თუში არ იხრჩობა, – დაურთავს იქვე ენათმეცნიერი სრულიად ლოგიკურად, – იგი თავისუფლად გამოთქვამს თავისი კილოს ბგერებს, მათ შორის ხორხისმიერ ბგერებსაც. როგორც ჩვენ არ გვიჭირს „ბაყაყის“ გამოთქმა, ისე ჩაღმათუშს არ უჭირს „მეტაყ“ სიტყვის გამოთქმა“ (შანიძე, 1970, 105).

²⁷ როცა ვსაუბრობთ ანლაუტისეულ ხმოვნებზე, ფრჩხილებში მივუთითებთ ხოლმე იზოლირებულ (განცალკევებით ხმარებულ) ხმოვნებსაც.

ქართულისთვისაც“ (უთურგაიძე, 1960, 14), და რომელიც სემანტიკურად, ერთი მხრივ, ტიპოლოგიურ შესაბამისობაშია თუ შერენოვან (ასევე თუ შერკილოვან) ჰაპ ‘კი/ჰო/ღიან’ ნაწილაკთან, მეორე მხრივ, უპირისპირდება ქართულსავე არაჰ ნაწილაკს. ძალდაუტანებელ ქართულენოვან მეტყველებაში ხმარებაშია ჰო ნაწილაკის გამეორებული ჰო, ჰო ფორმის ჰოჰ, ჰოჰ ეკვივალენტიც.

ენათმეცნიერი ლ. შჩერბა, ვის სახელსაც შემთხვევით არ უძღვნა გ. ახვლედიანმა თავისი ცნობილი მონოგრაფია („ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“), ლინგვისტური მოვლენების ზუსტად ახსნის მიზნით, აუდიტორიაში შეკრებილთ პირობითად სთავაზობს თავის მიერვე მოფიქრებულ და ლექსიკურად აბსოლუტურად გაუგებარ წინადადებას – **Глокая куздра будланула бокра** (Успенский, 1962, 327-328), რომელშიც არც ერთი სიტყვა არ წარმოადგენს სიტყვას (არც ერთ ენაზე!).

კვლავ გვიხსენებდა გავიმეოროთ, რომ ამ ყოველივეში გასარკვევად არ არის აუცილებელი არც რაიმე სპეციალური აპარატურა, არც განსაკუთრებული უნარი, არამედ სრულიად საკმარისია ვიცოდეთ: რა არის **ოკლუზია** და რა არის თუშური ენის **ჰ**? მანამდე კი შევნიშნოთ, რომ, თუკი ცალკეულ სიტყვებს – ზოგს გადატანის წესების დაცვით, ზოგსაც უამისოდ (რაც დღეს ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს) – გადავიტანთ სტრიქონიდან სტრიქონზე და გადატანილ ფრაგმენტებს წავიკითხავთ მათივე შემადგენელი წინა ნაწილებისგან დამოუკიდებლად, ბევრ შემთხვევაში ვიღებთ იმდენად დამოუკიდებელსა და იმდენად სრულყოფილი სემანტიკის მატარებელ ლექსიკურ სიდიდეებს, რომ შეიძლება აღარც დავინტერესდეთ პირველ სტრიქონებზე დარჩენილი (დატოვებული) ფრაგმენტებით:

..... არა-
 გველებო
 სა-
 ქართველო
 არა-
 ჩვეულებრივი

უნდა ითქვას, რომ არც ჩვენ მიერ საერთო სახელწოდების – შიზოფონიის – ქვეშ გაერთიანებული მეთოდების (ხერხების) მოფიქრებასა თუ, მით უფრო, მათ განხორციელებას სჭირდება განსაკუთრებული ინტელექტუალური მონაცემები თუ ძალისხმევა. აქ უფრო მნიშვნელოვანია რუდუნება, ხოლო ეფექტურობისთვის უმჯობესია, არ დაგვაფიწყდეს ყურების დაცობა თითებით. მაგალითად, ერთ-ერთი სხვა ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ ხმით უნდა წავიკითხოთ სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანილი სიტყვის ისეთი გადატანილი ნაწილი, რომელიც ხმოვნით იწყება. ამის შემდეგ კი ამ ნაწილის არტიკულაცია შევადაროთ ამავე ნაწილის არტიკულაციას უკვე სიტყვის მთლიან მოცულობაში, რათა ის ხმოვანი, რომელიც დაკვირვების ობიექტია და რომელიც თავდაპირველად ანლაუტისეული გვეგონა, მოექცეს თავის კუთვნილ გარემოში – ინლაუტში. ამ ორ წაკითხვაში როგორც არტიკულაციურად, ისე აკუსტიკურად უთუოდ გავაცნობიერებთ აშკარა სხვაობას ერთი და იმავე ხმოვნის შემართვაში ორ სხვადასხვა გარემოში: ანლაუტში და ინლაუტში. და ის სხვაობა, რომელსაც „დავიჯეროთ“ ანლაუტში, იქნება სწორედ ხმოვნის მაგარი (ძლიერი, ხშული, მკვეთრი) შემართვა აბსოლუტურად ყველა ენაში თუ არა, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ენებში მაინც, ოღონდ ამ – ქართულენოვან –

შემთხვევაში ეს შეეძარტვა, რა თქმა უნდა, არის ოდენ ფონეტიკური და არა ფონოლოგიური ღირებულებისა. ვნახოთ მაგალითი.

ამ წყენას არ იმჩნევს, – ვკითხულობთ გ. ჩოხელის მოთხრობათა კრებულის ერთ-ერთ სტრიქონში (ჩოხელი, 2007, 220):

ამ წყენას არ იმჩნევს

სტრიქონის პირველი სიტყვა-ფორმა ამ სინამდვილეში წარმოდგენს არცთუ სწორად გადატანილ ნაწილს სიტყვისა მაგრამ (ჩოხელი, 2007, 220):

..... მაგრამ
ამ წყენას არ იმჩნევს

ეს მაგალითი საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევადაროთ ანლაუტისეული და ინლაუტისეული, მაგრამ ერთნაირ პოზიციასა თუ მიკროდისტრიბუციაში (ერთნაირ პირობებში) განთავსებული ერთი და იმავე ხმოვნის შეძარტვები, რომელთა განსხვავება მკითხველისთვის ძნელი აღარ უნდა იყოს²⁸:

მაგრამ [მაგრამ]
| |
ამ [სამ]

²⁸ დაპირისპირებული (ოპოზიციური) წყვილების წევრებისთვის, ვფიქრობთ, შეიძლება ვერტიკალური განლაგებაც: ამგვარი გაფორმება გარკვეულწილად გაზრდის ვიზუალურ ეფექტს.

ის, ია, ადი ვკითხულობთ მომდევნო გვერდის ერთი და იმავე აბნაცის სტრიქონების თავში (ჩოხელი, 2007, 221). ესენიც ნაწილებია ასევე არასწორად გადატანილი სიტყვებისა თუ ფორმებისა **წელიწადის, რიტუალა, წელიწადი**²⁹. აქაც აშკარაა ანლაუტისეული და ინლაუტისეული (არაანლაუტისეული) ხმოვნების შექმნათა ფონეტიკური სხვადასხვაობა. ამაში ვრწმუნდებით სხვა ანალოგიურ სიტუაციებზე დაკვირვებისას.

არათუშურენოვანი მკითხველისთვის გარკვეული მნიშვნელობა ექნება, ალბათ, ერთ განმარტებასაც ანლაუტისეული ხმოვნების მაგარი შექმნათვის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებით.

თუკი ქართული (ანდა სხვა რომელიმე) ენის მატარებელს ვიზუალურად წარვუდგენთ თუშურენოვან **ცა, ცე, ცი, ცო, ცუ** გრაფიკულ სიდიდეებს და ვთხოვთ, თავის მშობლიურ ენაშიც დაგვიძებნოს ამგვარად დაწყებული სიტყვები, უკეთეს შემთხვევაში ის ამ თხოვნას მიიღებს უადგილო ხუმრობად.

მაგრამ, თუკი ქართული (ანდა სხვა რომელიმე) ენის მატარებელს ტელეფონით ვთხოვთ ამავე – **ცა, ცე, ცი, ცო, ცუ** – სიდიდეების დაძებნას ქართულენოვან ანლაუტში, რაც არ უნდა უცნაურად გამოიყურებოდეს ეს, თხოვნის ადრესატი უპრობლემოდ შემოგვთავაზებს, მაგალითად, სიტყვებს **აღამიანი, ენძელა, ირემი, ორძელი, უთო**, რადგან როცა ტელეფონში წარმოვთქვით **ცა, ცე, ცი, ცო, ცუ** სიდიდეები, ფაქტობრივად წარმოვთქვით **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნები და ქართული ენის მატარებელმაც გაიგონა **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნები, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ქართული (ან

²⁹ არ არის აუცილებელი სიტყვა არასწორად იყოს გადატანილი; ამ შემთხვევაში, უბრალოდ, წავაწყდით ამგვარი უზუსტობების სიუხვეს, რასაც არ იმსახურებდა **გ. ჩოხელის** მაღალი სახელი, მაგრამ რამაც ერთგვარად გაგვიადვილა მაგალითების მოძიება.

რომელიმე სხვა) ენის ნებისმიერი ანლაუტისეული ხმოვანი მაგარ-შემარტვიანია.

თავისი მონოგრაფიის სალექსიკონო ნაწილში **თ. უთურგაიძე** ანლაუტისეული მაგარშემარტვიანი ხმოვნებისთვის თუშურ კილოში წარმოგვიდგენს სიტყვა-ფორმების უკიდურესად შეზღუდულ რაოდენობას – სულ 12-ს, რომელთაგან ანლაუტის მაგარშემარტვიანი ცა-სთვის გათვალისწინებულია 2 ლექსიკური სიდიდე, ცუ-სთვის – 2, ცი-სთვის – 8, ცო-სთვის და ცუ-სთვის – არც ერთი. ხმოვანზე/ხმოვნებზე დაწყებული დანარჩენი 102 ლექსიკური ერთეული მონოგრაფიის სიტყვარში შეტანილია ანლაუტისეული მაგარი შემარტვის გარეშე: ა-სთვის – 58 ერთეული, ე-სთვის – 12, ი-სთვის – 12, ო-სთვის – 6, უ-სთვის – 14. ამით ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემარტვა თუშური კილოსთვის ფაქტობრივად დაყვანილია ნულამდე (უთურგაიძე, 1960, 189-223).

თუშურკილოვანივე ფონეტიკური გარემოს გამოყენებით კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ კილოს ანლაუტისეულ ხმოვნებს სხადასხვა სიტყვებსა თუ ფორმებში. ამისათვის **თ. უთურგაიძის** ავე მონოგრაფიიდან ხუთივე ანლაუტისეული ხმოვნისთვის ავიღოთ შემდეგი ლექსიკური სიდიდეები: **ამბავი, ერთი, იხო, ოქვალაყები, უნდ.**

ახლა ვნახოთ ისინი ცოცხალ მეტყველებაში – ძირითადად, იმავე მონოგრაფიიდან: **ორას წლის წინ იყო ასთაყ ამბავი ‘ორასი წლის წინ იყო ასეთი ამბავი’** (უთურგაიძე, 1960, 80); **თავდაყ ერთ სახლ მდგარიყო ‘ერთადერთი სახლი მდგარიყო’** (იქვე, 113); **დადენილიყო თავდაყ იხო ‘დადენილიყო მარტო/კა/იხო’** (იქვე, 89); **მეავ რაყ უნდ გიხავ ‘მე რა უნდა გიყო?’** (იქვე, 117).

ჩვენთვის ამჯერად საჭირო ოკლუზიურ მოთხონილებათა ნიშნით პრობლემური აღმოჩნდა მაგალითის დაქებნა **ო** ხმოვნისთვის, მაგრამ ის შეიძლება ჩვენც შევადგინოთ. ამისათვის ავი-

ღოთ სიტყვა ოჟგალაყებ[ი] ‘კანჭები/მუხლები’ (იქვე, 207), რომელსაც მონოგრაფიის ლექსიკონში ვხვდებით და რომელიც გამოყენებულია მონოგრაფიისავე თუშურკილოვან ტექსტებში: ქალმან ჭალაყს ჩამიტყუა: ჩიტის ბუდე ვიცე მეაჲ. ოჟგალაყებ ამჩქნიაჲ, ამის მეტიც³⁰ არ ვიცე მეაჲ... (იქვე, 164); კითხვაზე ოჟგალაყები ამოიქნია?³¹ ‘კანჭები/მუხლები ამოიქნია?’ პასუხი უთუოდ იქნება ასეთი: ჰოჲ, ოჟგალაყებ ამოიქნია ‘ჰო, კანჭები/მუხლები ამოიქნია’.

ახლა შეგვიძლია ხუთივე მარტივი ხმოვნისთვის ამოგვიბოთ სათვალთვალო სინტაგმები (შესიტყვებები): ასთაჲ ამბაჲგ ‘ასეთი ამბაჲგ’ და სხვ.

ამ შესიტყვებების სამანებზე აშკარაა და უდავო **DX**: ასთაჲ ამბაჲგ [ასთა**DX**სამბაჲგ] და სხვ.

გამოდის, რომ თუშურკილოვან სიტყვებში ამბაჲგ, ერთ[ი], იჩოჲ, ოჟგალაყებ[ი], უნდ და, მაშასადამე, სხვა ნებისმიერ სიტყვაში ნებისმიერი ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვანი ისევეა მაგარშემარტვიანი, როგორც, ჩვენი აზრით, ნებისმიერ ენაში: ამბაჲგ [სამბაჲგ] ‘ამბაჲგ’ და სხვ.

ამავე გზით გვაქვს გამოვლენილი ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემარტვა, მაგალითად, რუსულ ენაში, რაზეც სხვა დროს გვექნება საუბარი.

ახლა კი შეიძლება გადავიდეთ ანლაუტისეული (ანდა განცალკევებული) ხმოვნების თავისუფალ არტიკულაციაზე – თავისუფალ შემარტვაზე.

³⁰ აქ შესაძლოა უნდა ყოფილიყო –წ ‘აკი; ხოშ’ ნაწილაკიანი ფორმა მეტიწ.

³¹ კითხვაც და პასუხიც რამდენადმე ადაპტირებულია ქართულენოვანი მკითხველისთვის, რაც არაფერს ცვლის ჩვენთვის საინტერესო ანლაუტში.

§ 3. მოკლედ ანლაუტის ხმოვანთა თავისუფალ შემართვაზე

ი. დეშერიევთან (XX ს.) ქართული ‘რა?’ კითხვითი ნაცვალ-სახელის შესატყვისის სტატუსით წარმოდგენილია ვუხ? სიდიდე თავკიდური ვ თანხმოვნით, რასაც ვერ გავიზიარებთ: თუშური ენის ფლობის კვალობაზე ამ სიდიდეში ჩვენთვის არაბუნებრივად გამოიყურება თავკიდური ვ თანხმოვანი.

ლინგვისტური – ფონეტიკური, ასევე ფონოლოგიური – თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ამ ნაცვალსახელის ანლაუტი, კერძოდ, ანლაუტის ხმოვნის არტიკულაცია მის ექსკურსიაში (შემართვაში).

ამგვარადვე აქვს გადმოცემული ი. დეშერიევს ასევე ჩვენთვის მიუღებელი ვუმ, ვუნახ, ვუნდა? და ა. შ. სიდიდეებიც, რომლებშიც იგულისხმება ქართული (შესაბამისად) ‘რამე’, ‘რღაცა’, ‘რატომ?’ და ა. შ. ლექსემების ეკვივალენტები.

როგორც ჩანს, ი. დეშერიევის მონოგრაფიის გამოქვეყნებიდან დღემდე ეს სიდიდეები ამ სახით გადადის ერთი სამეცნიერო ნაშრომიდან მეორეში, მეორიდან მესამეში... ანუ არჩეული ქნა ყველაზე იოლი – ი. დეშერიევისეული – გზა, ი. გიულდენშტედტის გაკვალული პირველი ბილიკები კი – უგულვებელყოფილი.

ძიების პროცესში აღმოჩნდა, რომ ი. გიულდენშტედტს (XVIII ს.) ნაცვლად ვუხ? ფორმისა დაფიქსირებული ჰქონდა უხ? ფორმა (გიულდენშტედტი, 1964, 341). თუმცა ჩვენ მიერ თავკიდური უ ხმოვანიც იმთავითვე იქნა გამოორიცხული, რადგან ის იმაზე უფრო არაბუნებრივია აქ, ვიდრე თავკიდური ვ თანხმოვანი, რადგან ასეთი სიტყვა თუშურ ენას, უბრალოდ, არ გააჩნია.

ახლა, როცა შევისწავლეთ ოკლოზიაც და ანლაუტის თანხმოვანთა მაგარი (ძლიერი) შემართვაც, უნდა გაგრძელდეს საკითხის შესწავლა თავკიდური უ-ს მიმართულებით.

საკითხის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ი. გიულდენშტედტიდან ბოლო პერიოდამდე სხვადასხვა ავტორთან აღნიშნულ თავკიდურში ფიგურირებდა ხან ვ თანხმომავანი, ხანაც უ ხმომავანი, რაც ქვემოთ უკეთ გამოჩნდება.

ამ მდგომარეობამ წარმოშვა ახალი კითხვები:

- 1) რატომ არის დაფიქსირებული სხვადასხვაგვარად სხვადასხვა ავტორთან ერთი და იგივე ლექსიკური მონაცემი?
- 2) რის საფუძველზე იქნა შეტყვევებული ერთი ფორმა მეორით?
- 3) რომელი მათგანი შეიძლება იყოს უფრო სწორი?

საკვლევაძიებო საქმიანობას კიდევ უფრო ამძიმებს ენის უმწერლობა.

სწორედ პასუხების ძიებისას ამ კითხვებზე პირველი დადებითი იმპულსი თვით თუშურენოვანი რესპონდენტების მხრიდან წამოვიდა, რაც დაახლოებით ასეთი კითხვა-პასუხის სახით შეიძლება აღვწეროთ:

- რა წარმოითქმის ამ სიტყვების თავკიდურში - ვ თუ უ?
- ორივე...
- უფრო რომელი?
- უფრო უ.

საკვლევაძიებო კეთილსინდისიერების საფასურად შევნიშნავთ, რომ პასუხები აქ ნაწილდებოდა არა, დავუშვათ, უსათუოდ უ-ს სასარგებლოდ, არამედ მიახლოებით პროპორციით 50:50. მაგრამ, ჩვენ უფრო მეტად ი. გიულდენშტედტისეული თავკიდური უ-ს სტატუსი გვინტერესებდა რა, კითხვა-პასუხი გრძელდებოდა სწორედ უ-ს მიმართულებით:

- რას ნიშნავს „უფრო უ“, შეგვიძლია უ დავწეროთ კიდევ?
- არა, აქ უ-ს ნამდვილად ვერ დავწეროთ?
- ხომ შევთანხმდით, რომ აქ უ ისმის?
- აქ სხვანაირი უ გვაქვს.

– როგორი „სხვანაირი“?

და რესპონდენტები მეტ-ნაკლები შესაძლებლობების ფარგლებში მთელი მონდომებით ცდილობდნენ „სხვანაირი“ უ-ს არტიკულაციას, რაშიც არ შეიძლებოდა მსმენელს არ/ვერ ამოეცნო იმისგან მართლაც საკმაოდ განსხვავებული ფონეტიკური პორტრეტი, ვიდრე ყველასთვის ნაცნობ ჩვეულებრივ უ-ს გააჩნია, მაგალითად, ქართულ ენაში იდენტური დისტრიბუციით: უხვი, უმი, უნახავი, უნდა...

მოკლედ, ზეპირ სამეტყველო ნაკადში რესპონდენტები უმეტესწილად წარმოთქვამდნენ კიდევ „სხვანაირ“ უ-ს, თუმცა, როგორც კი საკითხი შეეხებოდა საძიებო ბეგრის დაწერილობას, ბევრჯერ გ-სკენ იხრებოდნენ, ქვეცნობიერად თვლიდნენ რა, რომ ის თავკიდური არტიკულაცია, რომელიც თავადვე ჰქონდათ წარმოდგენილი და რომლისკენაც ჩვენც მივიწვევდით, ბევრჯერ მართლაც უფრო გ-ს მოგვაგონებს, ვიდრე ჩვეულებრივ უ-ს.

აღმოჩნდა აგრეთვე, რომ „სხვანაირი“ უ-ს დეფინიცია ვერ მოხერხდებოდა, ვიდრე კიდევ ერთხელ არ შევისწავლიდით ჩვეულებრივ (სადა, მარტივ) ხმოვნებს მათი ფონეტიკის თვალსაზრისით. სწორედ მათმა ფონეტიკურმა ანალიზმა მიგვიყვანა მაგარი შემართვის არსებობის იდეამდე ანლაუტისეულ (ასევე განმარტებულ, იზოლირებულ) ხმოვნებში, რაზეც ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ.

ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ჩვეულებრივი ხმოვნების მაგარი შემართვის დაკავშირება „სხვანაირი“ უ-ს ბუნებასთან – სწორედ შემართვის (ექსკურსიის) ნაწილში, რაც, თავის მხრივ, უნდა დაგვხმარებოდა ამ უ-ს (და, შესაძლოა, მისი სხვა ანალოგების) კვალიფიცირებაში.

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745–1781) პირველია, ვინც უშუალო ურთიერთობაში შევიდა თუშურენოვან სამეტყველო

კულტურასთან, აგრეთვე ერთმანეთს შეადარა კავკასიური ენების ლექსიკა, რითაც საფუძველი მოუშადა ამ ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას.

1787-1791 წწ. პეტერბურგში ორ ტომად დაიბეჭდა **ი. გიულდენშტედტის** „მოგზაურობა“, ხოლო 1962-1964 წწ. თბილისში ასევე ორ ტომად გამოიცა მასალების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ცნობებს 1771-1772 წწ. მისი საქართველოში მოგზაურობის შესახებ (გიულდენშტედტი, 1962; გიულდენშტედტი, 1964).

ი. გიულდენშტედტის ეს მონოგრაფია, რომელსაც სპეციალისტები დღემდე მაღალ შეფასებას აძლევენ, შეიცავს უხვ მასალას კავკასიელი ხალხების ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა მისი შრომის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება თუშურ ენას. კერძოდ, **ი. გიულდენშტედტისეული** სამოგზაურო დღიურების საქართველოს ამსახველ ნაწილში გვხვდება ისეთი დეტალები, რომლებიც მეცნიერულ განმარტებას საჭიროებს.

თავის ჩანაწერებში – „კავკასიაში ხმარებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები“, რომლებიც შეტანილია მის „მოგზაურობაში“, **ი. გიულდენშტედტმა**, სხვა სიტყვებთან ერთად, სვეტში „Tuschetisch“ (‘თუშური’) გერმანულად დაათქმინა **uxta?** და გერმანულადვე თარგმნა, როგორც ‘was?’ (გიულდენშტედტი, 1964, 341).

მაშ: განვიხილავთ **ი. გიულდენშტედტის** მიერ ჩაწერილ უხტა სიდიდეს³², რომელიც შესატყვისებულია ‘რა?’ (‘was?’) კითხვით ნაცვალსახელთან და წარმოდგენილია თავკიდური უ ხმოვნით.

³² აქ ვახდენთ **ი. გიულდენშტედტისეული** ჩანაწერის უკუტრანსლიტერაციას (ტრანსლიტერაციას თვით **ი. გიულდენშტედტმა** მიმართა).

გარდა იმისა, რომ უხტა დაწერილობაში ტ გრაფემა წარმოადგენს თუშურენოვანი აკუსტიკის დამახინჯების შედეგს (სინამდვილეში უნდა იყოს გრაფემა დ), სახეზე გვაქვს ის შემთხვევაც, როცა ენის უცოდინრობის გამო შესიტყვებას ვერ ვყოფთ სიტყვებად.

აქ საქმე გვაქვს ორ ლექსემასთან, რომელთაგან პირველი – უხ? – არის „რა?“ კითხვითი ნაცვალსახელი (გერმ. 'was?'), ხოლო მეორე – და, რომელიც შეიცავს გრამატიკულ კლასის დ მაჩვენებელს – შეესაბამება მნიშვნელობას 'არის' (გერმ. 'ist'). ვიღებთ შესიტყვებას უხ და? 'რა არის?' (გერმ. 'Was ist das?').

ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიშველიოთ არნ. ჩიქობავას სიტყვები: „გასაკვირი ასეთი შეცდომები კი არ არის, არამედ ის, რომ მეტი უზუსტობა არ დასტურდება: ეს უთუოდ ი. გიულდენშტედტის, როგორც მეცნიერის, დაკვირვების საფუძვლიანობას მოწმობს“ (ჩიქობავა, 1965, 111). და აგრეთვე: „...ამდენი სიტყვა პირველად იყო ფიქსირებული – ამ მხრივ გიულდენშტედტის ლექსიკური ჩანაწერები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში დიდი შემეცნებითი ღირებულების დოკუმენტაციას წარმოადგენს“ (ჩიქობავა, 1965, 111). ჩვენი მხრიდან დაუერთავდით, რომ ვახდენთ არა დაწერილობის დაზუსტებას, არამედ ჩვენთვის საინტერესო სიდიდის გამოყოფას მისი შემდგომი ანალიზის მიზნით.

ლინგვისტური თვალსაზრისით, მოცემულ შესიტყვებაში ჩვენს ყურადღებას იქცევს კითხვითი ნაცვალსახელი უხ? 'რა?', კერძოდ კი – მისი ანლაუტი.

ი. გიულდენშტედტის გარდა, საანალიზო სიტყვა – ასევე თავკიდური უ ხმოვნით – დააფიქსირა ქართველმა გეოგრაფმა ს. მაკალათიამ – აგრეთვე ზოგიერთი ორთოგრაფიული ხარვეზით (მაკალათია, 1933, 104).

უნდა ითქვას, რომ გრაფიკული აღნიშვნა უხ? არ შეესატყვისება თუშური ენის არც ფონოლოგიურ, არც ფონეტიკურ, არც ლექსიკურ და არც სემანტიკურ სინამდვილეს. ასეთი ფორმის დაუშვებლობის სასარგებლოდ უკვე უნდა მეტყველებდეს თუნდაც თ. უთურგაიძის ის დებულება, რომლის მიხედვითაც, თუშური ენის „ანლაუტში ყველა ხმოვანი, თუ მას ფშვინვიერი შემართვა არა აქვს, იწყება ძლიერი შემართვით: ამ ხმოვნის წინ ც ბგერა უთუოდ არის“ (უთურგაიძე, 1966, 42).

ანლაუტის ჩვეულებრივი (ა, ე, ი, ო, უ) ხმოვნები, აგრეთვე მათი ნაზალიზებული, გრძელი, მოკლე და ა. შ. კორელატები უსათუოდ ძლიერი (მაგარი, მკვეთრი, ხშული) შემართვისანი არიან არა მხოლოდ თუშურ, არამედ ქართულ, რუსულ და ა. შ. ენებშიც (Бартишвили, 1998, 14-16), რაზეც უკვე ვისაუბრეთ. აქედან გამომდინარე, ასეთი – უხ? – ფორმა, თავისთავად გულისხმობს რა ანლაუტის ხმოვნის ძლიერ შემართვას, თუშურ ენაში არ არის და უთუოდ არც ი. გიულდენშტედტისა თუ ს. მაკალათიას დროს უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას გვიდასტურებს ის ფაქტიც, რომ შემდგომში, თუცა რაიმე მოტივაციის გარეშე, მაგრამ მანაც იქნა შეტანილი გარკვეული ცვლილებები მოცემულ ორთოგრაფიაში, კერძოდ, ანალოგიური სიტყვების წარმოდგენა (ანლაუტის თვალსაზრისით) დაიწყეს უ-ს წინამავალი თავკიდური ვ-თი – ვუხ? რა? (უთურგაიძე, 1966, 90; ქადაგიძე, ..., 1984, 256 და სხვ.; ჭრელაშვილი, 1975, 235 და სხვ.; Дешериев, 1953, 178-180 და სხვ.).

ამგვარად ჩამოყალიბდა რა? კითხვითი ნაცვალსახელის თუშურენოვანი შესატყვისის გრაფიკული (ორთოგრაფიული) ვარიანტული ფორმები უხ? / ვუხ?, ანუ მივიღეთ დიაქრონია უხ? > ვუხ?

უხ? ფორმის შეცვლის შემთხვევაში ვუხ? ფორმით ერთგვარ მიღწევად ჩაითვლება არა ის, რომ ანლაუტში ლაბიალური უ ხმოვნის ადგილი მიუჩინეს ლაბიოდენტალურ ვ თანხმოვანს, არამედ ის,

რომ ანლაუტში ლაბიალური უ ხმოვანი მექანიკურად არ/აღარ იქნა გამეორებული. თუმცა: მიღწევად უნდა ჩაგვეთვალო ისიც, თუკი აქ ექნებოდა შეცვლილი უ-თი. პარადოქსია, მაგრამ ასეა: აქ საქმე გვაქვს ბგერითი სტატუსის ერთგვარ სინატიფესთან, რომელიც, როგორც ჩანს, მეტაფორა არა მარტო თუშური ენის ანლაუტში.

თუშური ენის ხმოვანთა ე. წ. თავისუფალი არტიკულაციის პრეზენტაციის (Бартишвили, 1998₂, 16-19) მომზადებისას, აგრეთვე ტიპოლოგიური დაკვირვებების ჩატარებისას თუშური და ზოგიერთი ევროპული ენის ფონეტიკურ ანალოგიებზე მსჯელობის საფუძვლად ვთვლიდით და კვლავაც ვთვლით უძველეს თუშური ენის წერილობით მასალებში შემჩნეულ ამ სიტყვებს (იგულისხმება უხ? / ვუხ? ვარიანტული დაწერილობა). ჯერ კიდევ ე. ჰუმბოლდტმა მიგვითითა ენის თვით ყველაზე წვრილმანი მოვლენების სკრუპულოზური შესწავლის აუცილებლობაზე და, ამასთანავე, თვლიდა რა, რომ ენა ოდენ ფორმა და მეტი არაფერი, თავადვე სწავლობდა და ერთმანეთს ადარებდა განსხვავებული ენების ფორმებს. გერმანელი ენათმეცნიერის ამ ხედვამ გავგათამაშა, ჩაგვეტარებინა დასავლეთევროპული და თუშური ენების ერთგვარი ტიპოლოგიური შედარება ფონეტიკის სფეროში.

თუშური ენის ტიპოლოგიამ ევროპულ ენებთან შეიძლება საშუალება მოგვცეს ახლებური კვალიფიკაცია მივცეთ თვით ამ კავკასიური ენის ბგერებს, კერძოდ, ვილაპარაკოთ ანლაუტის ხმოვნის/ხმოვნების თავისუფალ არტიკულაციაზე. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება მიგვიყვანოს ანლაუტის ხმოვნის მაგარი შეპართვის აღიარებამდე ენებში საერთოდ.

საინტერესო შედეგს გვაძლევს ფრანგული და თუშური ენების ტიპოლოგიური შედარება ხმოვანთა ნაზალიზაციის თვალსაზრისით. ამჯერად ყურადღება მახვილდება თუშური ენის ანლა-

უტის ხმოვანთა შექმნაზე, რაც საშუალებას გვაძლევს, თუშუ-
რი ენა შევადაროთ სხვა დასავლეთეუროპულ ენას – ინგლისურს.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: იქნებ მოცემული ალოფორმები
(ჩვენი ხედვით უხნ?/ვუნ? ანდა ვუნ?/-უხნ? ვარიანტები) შედეგია
ვუნ? ფორმიდან ანლაუტის გ თანხმონის დაკარგვისა შესაძლო
ვუნ? > უხნ? პროცესის შედეგად, იმ თანხმონისა, რომელიც დრო-
დადრო უბრუნდება თავის ადგილსამყოფელს?

აქედან თავისთავად ჩნდება მეორე კითხვაც, რომელსაც ბეგ-
რჯვერ გავიმეორებთ: ასეთ შემთხვევაში როგორია თავკიდურში
მყოფი – ინლაუტიდან ანლაუტში გამოსული – ხმოვნის შექმნა?

თუმიცა აქ მოგვიწევს ყურადღების გადატანა ლიგაზე და მის
აღმნიშვნელ ნიშანზე და, საერთოდ, მუსიკის ელემენტებზე,
რათა არათუ შერჩენოვანი მკითხველი სათანადოდ ჩასწვდეს იმას,
თუ რას ვგულისხმობთ თუშური ენის ე. წ. თავისუფალ ხმოვნებში,
ანუ ხმოვანთა შექმნის ე. წ. თავისუფალ არტიკულაციაში. ეს კი,
თავის მხრივ, დაგვეხმარება როგორც ი. გიულდენშტედტის მიერ
ჩაწერილი უხნ? ფორმის, ისე თავისუფალი ხმოვნებისა თუ თვით
ძლიერი შექმნის გაცნობიერებაშიც.

შეიძლება დავიწყოთ იმით, რომ მბგერ იოგებში, ანუ სახმო
სიმებში ზოგადი ფონეტიკა ხედავს „ხორხის ფრიად მნიშვნელო-
ვან ნაწილს“ არა მხოლოდ წარმოთქმისათვის (ანუ ჩვეულებრივი
მეტყველებისათვის), არამედ სიმღერისთვისაც (ახვლედიანი, 1966,
27). ეს კონსტატაცია ისე აახლოებს, ამეზობლებს ენათმეცნიერე-
ბასა და მუსიკათმცოდნეობას, როგორც ერთი მეცნიერების ორ
დარგს. ამიტომაც არის, რომ ზოგადი ფონეტიკა სამეტყველო
ბგერით ნიშნებს, ანუ ბგერებს, რომლებიც დროში განუფინებან,
იმავე კლასს მიაკუთვნებენ, რომელსაც მუსიკა მიეკუთვნება (გამ-
ყრელიძე, ..., 2003, 59).

მუსიკალურ სამყაროში გამოიყენება ტერმინები **staccato** 'სტაკატო' და **legato** 'ლეგატო'. ესენი სამუსიკო – როგორც ინსტრუმენტული, ისე ვოკალური – არტიკულაციის (ბგერის გამოღებინების, მისი გამოცემინების) ძირითადი, მთავარი სახეებია. სტაკატოც და ლეგატოც, განსაზღვრავენ რა არტიკულაციას მუსიკაში (Mჟ, 1973, 229), მოიცავენ განუფენილობას ლეგატისიმოდან (**legatissimo**) სტაკატისიმომდე (**staccatissimo**). აქ ნუ ჩავეკიდებით ამ ტერმინთა დიფერენცირებულ სიღრმეებს და შემოვიფარგლოთ ლეგატოთი და სტაკატოთი, რომლებიც უნდა ვიგულისხმოთ ლეგატისიმოსა და სტაკატისიმოს შორის. ამათგან **staccato** შეიძლება დაფუკავშიროთ მნიშვნელობებს 'მოწყვეტა, მოკლეკვა'; ხოლო **legato** – მნიშვნელობებს 'ბმულად, ნარნარად, მწყობრად; კავშირი, შეკავშირება'.

სამუსიკო ლიტერატურის მიხედვით (ჩხიკვაძე, 1939; Mჟ, 1973; Mჟ, 1976; Mჟ, 1981), **staccato** ითვალისწინებს ბგერების (მარცვლების) ისეთ – მოკლე-მოკლე, დანაწევრებულ (დისკრეტულ), ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მოკვეთით – შესრულებას პაუზებით თითოეული ნოტის (მარცვლის ან ბგერის) შემდეგ, რომელიც კაფიოდ, მკვეთრად გამოყოფს მათ ერთმანეთისგან. გრაფიკულად აღინიშნება ხან თვით სიტყვით **staccato**, ხანაც წერტილით თითოეული ნოტის თავზე ანდა ქვეშ. და რაც ყველაზე მთავარია ამჯერად: სიმღერის დროს **staccato** მიიღწევა სახმო ნაპრალის, ანუ ყიის, ე. ი. სახმო ქორდების ხშვით (იგულისხმება, მისი მიმყოლი განხშვით) ყოველი სტაკატირებული სიდიდის შემდეგ, ანუ, რაც იგივეა, ყოველი მათგანის წინ.

ხოლო **legato** – ეს არის ბმული, რწყმული შესრულება ბგერებისა, როცა ერთი ნოტი (ბგერა ან მარცვალი) თითქოს შეუმჩნევლად, ნარნარად, უპაუზოდ გადადის მეორეში. ლეგატოს შემკვობით ბგერები ერთიანდებიან ერთ ფრაზაში (ერთ ფრაზად),

რაც ხელს უწყობს მელოდიურობას, რადგან ამ დროს, არ იხშვის რა ყია, ჰაერნაკადი არ წყდება. გრაფიკულად აღინიშნება ხან თვით სიტყვით **legato**, ხანაც ლიგით, ანუ მოხრილი – აღუნული (˘) ან ჩაღუნული (˘) – რკალისებრი ხაზით ნოტების თავზე ან ქვეშ (ჩვენ ამ შემთხვევაში ავიღოთ პირველი).

მოკლედ, **staccato** და **legato** – ის ურთიერთგამომრიცხავი აქტებია (სამუსიკო შტრიხებია), რომლებიც განსაზღვრავენ ბგერათა თანამიმდევრობითი შესრულების ხერხებს (Mჟ, 1973, 229). და აქ მთავარია არტიკულირება სახმო ქორღების (სახმო ბაგეების, სიმების) ხშვით სტაკატოს დროს, რაც პირდაპირ კავშირშია ამა თუ იმ ხმოვნის (ბგერის) არტიკულაციის პირველ ფაზასთან.

დავაზუსტოთ:

1) თუ ციცხვისებრი ხრტილები, სახმო ქორღებთან ერთად, ამოსუნთქვითი მდგომარეობიდან გადადიან ფშვინვიერ მდგომარეობაში, ხოლო ამის შემდეგ – უკვე სახმო მდგომარეობაში, **attaca** ფშვინვიერია;

2) თუ, პირიქით, ბგერების წარმოქმნამდე სახმო ნაპრალი (ყია, ანუ სახმო ქორღები) უკვე მჭიდროდ არიან დახშულნი, მაშინ ნაპრალის განხშვისთანავე ჰაერის ნაკადი გამოხეთქს დაწნევით, „შეტევით“ და, გარღვევის საგრძნობ ჩქამთან ერთად, ჩნდება ე. წ. მაგარი **attaca**;

3) ხოლო როცა სახმო სიმები ყრუდ (ხშულად, მჭიდროდ) კი არ იკეტებიან, არამედ ერთერთს უახლოვდებიან მხოლოდ იმდენად, რომ მათზე ჰაერის გახახუნების წყალობით, ეს საემარისა ბგერის წარმოშობისათვის, **attaca** რბილია (BCჟ, 1970, 367; Музей-холл, 1925, 78).

რბილი **attaca** უპირატესად გამოიყენება იმ ბგერების სამღერღლად, რომლებიც იწყება სუსტად: ამ დროს სახმო სიმები ერ-

თმანეთს ნაკლებად უახლოვდება (ანდა ნაკლებად შორდება – ა. ბ.) და ბგერა გამოდის ნაკლებ ძლიერი.

ფშინფიერი attaca უპირატესად გამოიყენება გერმანული **h**-ს (აგრეთვე ქართული და თუშურენოვანი ჰ-ს – ა. ბ.) წარმოქმნისას.

ხოლო **მაგარი attaca** გამოიყენება ხმოვნებისა და მათი კომბინაციების დასახსნათებლად (БСЭ, 1970, 367; Музеxольд, 1925, 78).

და კიდევ: უშუალოდ **attaca**-ს შემდეგ იწყება სახმო იოგების რხევები, რაც წარმოქმნის ხმას, ანუ ხმოვან ბგერას (Музеxольд, 1925, 78).

რა მიმართებაში შეიძლება იყოს ყოველივე ეს სამეტყველო ბგერებთან, მეტყველებასთან საერთოდ?

როცა საუბარია **attaca**-ზე, ანუ სახმო აპარატის გადასვლაზე სუნთქვითი მდგომარეობიდან სასიმღერო მდგომარეობაში, ფრჩხილებში მიუთითებენ ხოლმე, რომ მეტყველებაში (და, მაშასადამე, ლინგვისტიკაში) **attaca** შეესატყვისება გადასვლას სუნთქვითი მდგომარეობიდან სამეტყველო მდგომარეობაში (БСЭ, 1970, 367; ЭМС, 1966., 31). გამოდის, რომ, რასაც მუსიკაში ჰქვია **attaca**, ლინგვისტიკაში – ფონეტიკაში – წარმოადგენს შემართვას, ანუ ექსკურსიას (მოვიშველიოთ ლინგვისტური წყარო).

ვოკალური მუსიკა შეგვიძლია გავაცნობიეროთ, როგორც ვოკალური მეტყველება, ვოკალური მეტყველება კი – როგორც ჩვეულებრივი მეტყველება.

საერთოს, საზიაროს არსიდან გვინდა მივუდგეთ მუსიკალურსა და ლინგვისტურს. ამ კუთხით, ვფიქრობთ, ბგერით (ზეპირ) და წერილობით მეტყველებებს შორის უფრო მეტი უნდა იყოს განსხვავება, ვიდრე ჩვეულებრივ და ვოკალურ მეტყველებებს შორის, რადგან წერილობითი მეტყველება (ტექსტი) თავისთავად

უტყვია (უბგერო) და მკვდარი, ზეპირი და ვოკალური მეტყველებები კი – მეტყველი (მბგერი) და ცოცხალი.

და საერთოდ: როცა ერთმანეთს ვუპირისპირებთ ჩვეულებრივ მეტყველებასა და სიმღერას, განსხვავებას უნდა გხედავდეთ არა, დაფუძვალთ, თვით სამეტყველო და სამუსიკო (სავოკალო) ბგერებს შორის, არამედ, პირველ რიგში, სამეტყველო და სასიმღერო ბგერების (ანუ ხმების) სიმაღლეებს შორის.

მუსიკაშიც და მეტყველებაშიც საქმე გვაქვს თითქმის ერთსა და იმავე მოვლენასთან (აქტთან), რომელსაც მუსიკათმცოდნეობაში ჰქვია ატაკა, ხოლო ლინგვისტიკაში – შემართვა.

სქემაზე დაახლოებით ასე შეიძლება „ითქვას“ (მუსიკისთვის და მეტყველებისთვის საერთოდ „ატაკა-შემართვები“ – რბილი და მაგარი – მუქად აღვნიშნოთ):

მუსიკ.	ლინგვ.	მუსიკ.
ატაკა ⇨	რბილი მაგარი	⇨ შემართვა ლეგატო სტაკატო

მაგარი შემართვის (სახმო ქორდების ხშვა-განხშვის) გარეშე, უბრალოდ, ვერ მივალწვეთ ცალკეული ხმოვნების დისკრეტულ (წყვეტილ) არტიკულირებას, ვერ შევქმნით აუცილებელ პირობას (გარემოს), მაგალითად, ი. ა. ო. ინიციალების განსასხვავებლად იაო ხმოვანთა ამგვარივე თანმიმდევრობისგან, რომელიც, ამავე დროს, ია ლექსემის –ო ნაწილაკიანი ფორმაცაა (შდრ. „რად ვერ გამჩნევდი, იაო?“).

თუშური ენის მატარებელი, ჰედაგოგი ი. ლაგაზიძე, ვისაც თუშეთში უხდებოდა ხოლმე ხანგრძლივად ყოფნა თავის პატარებთან ერთად, ყვება შემდეგს:

ჩემი ბიჭები ორივენი ომალოში გაიზარდნენ – სკოლა-ინტერნატში. ჩემი უმცროსი – ილია (ილა) – ძალიან მოძრავი ბავშვი იყო და სულ მაგას ვეძახდი:

– ვოლ, ილა!... ვოლ, ილა!.. ვოლ, ილა!..³³

მთელი ომალო აკლებული მყავდა აღბათ ამ ძახილით.

რაკი ომალოელებმა არ იცოდნენ, რას ნიშნავდა „ვოლ“, ჰკონები-ათ, რომ „ვოლილა“ სახელი იყო და ვერც გავიგე, როგორ შეარქვეს იქაურებმა ჩემ ბიჭუნას „ვოლილა“. დღესაც რომ დანახავენ სადმე, ასე ეძახიან: ვოლილა!

ჩვენ თავდაც მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ ეძახდნენ ომალოელები უკვე დაკაცებულ ილიას „ვოლილას“.

აქ, ისევე როგორც ლიმონ ათი > [ლიმონათი] შემთხვევაში, ვოლ, ილა სინტაგმის არტიკულირებისას ლეგატოთი ილა წევრის ი ხმოვნისთვის მიიღება იმისგან სრულიად განსხვავებული შემართვა, ვიდრე მისი არტიკულირებისას სტაკატოთი.

მკითხველმა, ამ შემთხვევაში – ქართულენოვანმა, უნდა იცოდეს, რომ თუშურ ენაშიც და თუშურ კილოშიც აბსოლუტურად ისეთივე ფონეტიკა აქვს ინლაუტისეული ც-ს მომდევნო ხმოვნებს, როგორც შესაბამის ხმოვნებს ქართულ, რუსულ და ა. შ. ენების ანლაუტში. ამიტომაც უნდა აღვნიშნოთ ისინი ერთნაირად ტრანსკრიფციაში; შდრ. (წარმოვადგინოთ დისტრიბუციული მიმართება ხუთივე მარტივ ხმოვანთან):

³³ ვოლ – თუშ. ენ. ‘მოდი!’ (ვ მამაკაცთა კლასის მჩვენებელია); ვოლ, ილა! ‘მოდი, ილა!’ რწყმულ მეტყველებაში ისმის [ვოლილა].

თუშ. ენ.	თუშ. კილ.	ქართ. ენ.	რუს. ენ.
დასად 'მოტანე და'	ლასად (ტოპ.)	აი [საი]	айсберг ³⁴ [’a]йсберг 'აისბერგი'
ლუხერ 'სურდა'	გათანასებად 'გაამხანაგება'	ება [სება]	Эбан [’э]бан 'ებანი' (ანთრ.)
ხაყირ 'შეიტყა'	ღალღალასის გორი (ტოპ.)	ის [სის]	иск [’и]ск 'სარჩელი'
ხოყორ 'გაიგებდა'	ბარგანასობად 'ბარბაცა'	ობი [სობი]	Обь [’о]бь 'ობი' (ჰიდრ.)
ხოყურ 'ეჭეოდა'	კოჭაყურნი (ანთრ.)	ურიკა [ურიკა]	урна [’у]рна 'ურნა'

წარმოვადგინოთ სიტყვა ღიაო ასე – [ღ[◌]ი[◌]ა[◌]ო], ხოლო მონაცემი რუაძე ა. ო. ასე – [რ[◌]უ[◌]ა[◌]ძ[◌]ე[◌]ა[◌]ო], ანდა [რ[◌]უ[◌]ა[◌]ძ[◌]ე[◌]ს[◌]ა[◌]ო]. ასეთ შემთხვევაში ინიციალები ი. ა. ო. გრაფიკულად (ტრანსკრიფციაში) გადმოიციემა ასე: [’ი[◌]ა[◌]ო] ანდა [სუ[◌]ი[◌]ა[◌]ო]. ასევე სრულიად განსხვავებული შემართ-ვა (შემართვები) აქვთ ი და ა ხმოვნებს, ერთი მხრივ, ძია ლექსემაში, მეორე მხრივ, ძ. ი. ა. ინიციალებში:

ძია [ძ[◌]ი[◌]ა[◌]] – ძ. ი. ა. [ძ[◌]ი[◌]ა[◌]], ანუ [ძციყა].

მაგრამ, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ თვით ც-ც ბგერაა და ბმულობაშია ჩართული, ი. ა. ო. და იაო მონაცემები, ბოლოს, შეიძლება ასე გაფორმდეს: ი. ა. ო. [ც[◌]ი[◌]ც[◌]ა[◌]ო], იაო [ც[◌]ი[◌]ა[◌]ო].

³⁴ მაგარი შემართვა რუსულ ენაში აღვნიშნოთ საერთაშორისო ' ნიშნით (ამგვარადვე შეიძლება სხვა ენებშიც).

გამოდის, ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნისთვის ვი-
ღებთ ფორმულას: [ც[~] V].

თუკი ამ (ან სხვა რომელიმე) ფონეტიკური ბმულობიდან (რწყმულობიდან) „ამოვჭრით“ თავკიდურ ც-ს, ანუ მაგარ (ძლიერ, ხშულ, მკვეთრ) შემართვას, სიტყვის ანლაუტში მივიღებთ ე. წ. თავისუფალ ხმოვანს – თავისუფალს მაგარი შემართვისგან: უხ? [ც[~] უ[~] ხ] > [უ[~] ხ] ‘რა?’

სწორედ ეს თავკიდური ხმოვანია ‘რა?’ კითხვითი ნაცვალსა-
ხელის თუ შერენოვან ეკვივალენტში. ეს ხმოვანია, რომელიც XVIII
საუკუნის წოვათუშმა რესპონდენტებმა გერმანელი კორეს-
პონდენტის გასაგონად წარმოთქვეს, ხოლო XX საუკუნის იმავე
რესპონდენტებმა „სხვანაირ“ უ-დ მოიხსენიეს: უხ? ‘რა?’

ანუ თავისუფალს ვუწოდებთ იმ თავკიდურ ხმოვანს, რომე-
ლიც თავისუფალია შემართვისეული მაგარი (ძლიერი, ხშული,
მკვეთრი) შემართვისგან, ანუ შემართვისეულ ც ლარინგალისგან
(მაგალითებში ჩაერთოთ საამისოდ სპეციალურად შემუშავებული
უ ხმოვანი ლიგითურთ – უ³⁵): უმ ‘რამე’; უნახ ‘რაცა’; უნელეც
‘ნებისმიერი რა’.

არ არის გამორიცხული ვოჭგრი ‘მიქელაძეები’ ანთროპონი-
მის თავდაპირველ ფორმას ანლაუტში თავისუფალ შემართვიანი
ხმოვანი ჰქონოდა: ოუგრი.

შენიშვნა: როგორც დავინახეთ, წესისამებრ, მაგარი შემარ-
თვისგან ხმოვანი თავისუფალია ინლაუტშიც, აუსლაუტშიც (თუ
მის წინ ამა თუ იმ ენისთვის, მაგალითად, თუშური ენისთვის დამა-
ხასიათებელი ც არ არის), მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერე-
სებს მხოლოდ ანლაუტი.

³⁵ ამგვარადვე დამუშავებული თუშური ენის დანარჩენი თავისუფალი ხმოვნები:
ა, უ, ი, ო.

თავკიდურ ხმოვანთა ამგვარ არტიკულაციას, უკიდურესად სპორადულად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი, მაგალითად, რუსულ, უკრაინულ, დასავლეთევროპულ ენებშიც – ერთგან ფონეტიკურ, სხვაგან კი ფონოლოგიურ დონეებზე, რაზედაც სხვადასხვა დროს მინიშნებები გვაქვს გაკეთებული.

ამგვარი შემართვა გამოვლენილი გვაქვს ქართული ენის სასაუბრო პლასტებშიც (უპირატესად კილოებსა თუ კილოკავებში). მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი პირველი ორი სამეტყველო სიტუაციიდან ერთი თითქმის მხატვრულია და ძველი (რის გამოც ბევრს გაახსენდება, ალბათ), მეორე – სრულიად რეალური და უახლესი:

1. გურჯაანის კულტურის სახლში სპექტაკლი მიდის. სცენაზე უცებ შემორბის მაცნე და ერეკლე მეფეს მოახსენებს:

– მტერი დაგვესხაო, მეფეე-ბატონო!

მაყურებელთაგან ერთ-ერთი აღელვებული კახელი ზე წამოიჭრე ბა და გულწრფელად შესძახებს:

– რასს ამომ, ო! ბევრნი არიან?

2. გურჯაანელი ახალგაზრდა თელავის უნივერსიტეტში ჩაირიცხა და, სწავლას გადაყოლილი, იშვიათადლა თუ ახერხებდა სახლში წასვლას. ერთხელაც, გურჯაანში მყოფს, იქაურმა თანატოლებმა მოჰკრეს თვალი და შორიდანვე შესძახეს:

– მართლა თელაველი ხო არ გახდი, ო?!

მხატვრულ ფილმში „ნუცას სკოლა“ არის სცენა, სადაც გერმანელი ექსტრასენსი წარმოთქვამს ბგერებს, რომელთა თავკიდურიც თავისუფალ უ-ს წარმოადგენს: უუუუჰ... უუუუჰე... უუუუჰ... უუუუჰე... ამავე ფილმის ერთ სამიჯნურო ეპიზოდში ვაჟი ამბობს: მუხლები შეკეცება, უ!.. და ა. შ.

ცივი წყლის ნაკადის მიშველ სხეულზე მოულოდნელი მოხვედრისას ადამიანი, უპირატესად, მამაკაცი უთუოდ წამოიძახებს

ჩვენთვის აკუსტიკურად ნაცნობ, გრაფიკულად კი უცნობ უჰ! სი-
დიდეს. სხვაობა უჰ! და უჰ! შორისდებულებს შორის ისეთივე
აშკარაა, როგორც უჰ! და ფუჰ! შორისდებულებს შორის, აჰ და
აჰა, ე და ე, იჰს და იჰს, ო და ო, უხ? და ვუხ სიდიდეებს შორის.

ახლა, როცა თვალი გადავაგლეთ იდენტურ არტიკულაციას
ქართულშიც, ისევე მიეუბრუნდეთ უხ? > ვუხ? ‘რა?’ დიაქრონიას,
რათა რამდენადმე უფრო ღრმად ჩავხედოთ ვითარებაში.

თავკიდური უ-თი აქვს დაფიქსირებული იგივე სიტყვა ს. მა-
კალათიას „თუშეთის“ პირველ გამოცემაში. კერძოდ, აქ ვხვდე-
ბით ერთ თუშურენოვან ლექსს, რომელიც იწყება სიტყვებით და-
ლექა უ ხუ ვარალო... (მაკალათია, 1933, 104) *‘ნეტავ რა იყო [ეს]
ღმერთი [ასეთი]...’*

გარდა იმისა, რომ აქ უნდა იყოს უხუ ‘რა?’ (სადაც ბოლოკი-
დურში გვაქვს ემთატიკური -უ), ხუ მივცემთ დიდ მნიშვნელობას
იმას, რომ, მაგალითად, ს. მაკალათია არ იყო ლინგვისტი: ამ შემ-
თხვევაში გვიანტერესებს ისიც, თუ ვის როგორ ესმის სიტყვის ან-
ლაუტი აქ და ვინ როგორ აფიქსირებს მას აკუსტიკურად, ანდა
გრაფიკულად.

შემდგომში ეს და ამ ტიპის სხვა სიტყვები ფიქსირდება უ-ს
წინამავალი თავკიდური ვ თანხმონით, რაც განსხვავდება ი. გი-
ულდენშტედტისა და ს. მაკალათიას მონაცემებისგან. კერძოდ,
თავკიდური ვ აქვთ წარმოდგენილი: ი. დეშერიევს (1953 წ.), თ.
უთურგაიძეს (1966 წ.), ე. ჭრელაშვილს (1975 წ.), კვლავ თ. უთურ-
გაიძეს (ამჯერად ს. მაკალათიას 1983 წლის „თუშეთის“ მეორე გა-
მაცემაში), დ. და ნ. ქადაგიძეებს (1984 წ.), დ. არინდაუოსს, მ. ბუ-
ქურაუოსს (სხვადასხვა დროს), ვარდი ჩაჩქანიშვილს (1999 წ.), რ.
ორბეთიშვილს (2009 წ.) და ა. შ.

ი. დეშერიევი წარმოგვიდგენს სიტყვებს ვუხ? ‘რა?’, ვუნახ ‘რალაცა’, ვუმ ‘რამე’, ვუხკ? ‘ნეტა რა?’ (Дешериев, 1953, 348–363 და სხვ.).

თ. უთურგაიძესთან ვკითხულობთ: შირქიჰა კნათინ ვუნ-
თხეცერ, ას ისეჰ მოსოლ დიენო ‘შირაქში ბიჭებმა რა იცოდნენ,
მე აქ სიცუდე წრომი ვქენი’ (უთურგაიძე, 1966, 90). ჩვენი სათ-
ვალთვალა ვუნთხეცერ ‘რა იცოდნენ’ ლექსემა, სადაც ვხედავთ
თავკიდურ ვ-ს.

კ. ჭრელაშვილს დაფიქსირებული აქვს ვუხ? ‘რა?’, ვუმაც
‘ყველაფერი’ (ჭრელაშვილი, 1975, 235 და სხვ.).

თუმიცა ისევე ს. მაკალათიას „თუშეთზეა“ საუბარი, მაგრამ მის
მეორე გამოცემაში წარმოდგენილი ლექსემა არის არა ს. მაკალა-
თიასეული, არამედ რედაქტორისეული (რედაქტორია თ. უთურგაი-
ძე). აქ არა მხოლოდ „შესწორებულია“ საანალიზო ლექსემის ანლა-
უტი, არამედ თვით საანალიზო უხუ? (მაკალათიასეული ორთოგრა-
ფიით – უ ხუ) სიდიდეა მთლიანად შეცვლილი ვუნუკ? სიდიდით
(მაკალათია, 1983, 110), რაც არასწორია.³⁶ შესაძლოა, მეორე გამო-
ცემის რედაქტორმა აქ იგულისხმა ვუნაკ? ‘ნეტა რატომ?’ ლექსი-
კური სიდიდე, მაგრამ, თუკი ვიხელომდგანელებთ იქვე მოცემული
ქართულენოვანი თარგმანით ‘ნეტავ რა იყო ეს/ ღმერთი ჩასეთი!...’,
მაშინ ადგილზე უნდა დარჩენილიყო სწორედ ს. მაკალათიასეული
სიდიდე (უარეს შემთხვევაში შეიძლებოდა დაწერილიყო ვუნუკ?).

დ. და ნ. ქადაგიძებთან ყველა სიტყვა შეტანილია თავკიდუ-
რი ვ-თი: ვუმ ‘რამე’, ვუმაც ‘ყველა/ყველაფერი’, ვუნახ ‘რალაცა/ა’,
ვუნდა? ‘რატომ?’, ვუნე ‘რაც’, ვუნელეც ‘რავინგ, რაც ვინდა’, ვუ?
‘რატომ? რად?’, ვუხ? ‘რა?’ (ქადაგიძე, ..., 1984, 256–257).

³⁶ საერთოდ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მეორე გამოცემაში შეტანილი
ტექსტის (ლექსის) ორთოგრაფიული მხარე: 50 წლის მანძილზე ამ მიმართულე-
ბით მაინც ნაბიჯი უნდა გადადგმოლიყო წინ.

ახლა ქრონოლოგიურად რამდენადმე უკან დავიხიოთ, რათა შევეისწავლოთ ს. გარსევანიძის ერთი დანატოვარი, რომელიც ერთგვარად დაგვეხმარება საკითხის გარკვევაში. მის ერთ თუშორენოვან ლექსში (1980 წ.), რომელიც მისივე საკუთარი ხელნაწერიდან გვაქვს ამოღებული და იწყება სიტყვებით **ჰო მაგარ დენის გენაც და 'შენი დანახვა სულ სხვაა'** ვკითხულობთ: ვუფ დაჰ ხერცლა, ალაღ სოგო, ვაშახ ბჰარდახხე ნაყაჰა? (გარსევანიძე, 1980) *'რა ძალიან (რატომ ასე ძალიან) იცვლები, მითხარი რა, ერთურთთან ვზად შეხვედრისას?'*

აქ სიტყვა ვუფ? (უფრო ზედმიწევნით – ვუფ?) *'რა ძალიან?.. რატომ ასე ძალიან?..'* თავისი სემანტიკით იდენტურია ვუ? *'რატომ? რად?'* სიტყვისა ოდენ იმ განსხვავებით, რომ ვუფ? ატარებს უფრო ინტენსიურ, გაძლიერებულ დატვირთვას და გამომიჩვენებს ექსპრესიით (მდრ. ვუ? ცო ლეჟ ჰო? ჟეგ ვახან? *'რატომ არ გინდა ცხვარში წასვლა?'* – ვუ? ცო ლეჟ ჰო? ჟეგ ვახან? *'რა ძალიან (რატომ ასე ძალიან) არ გინდა ცხვარში წასვლა?'*).

დასახელებულ ლექსში ფ. ყიზილაშვილს (1994 წ.) ვუფ სიტყვის ნაცვლად აქვს ჰაჟ: ჰაჟ დაჰ ხერცლა... (ყიზილაშვილი, 1994).

აქ საქმე კვლავ იმ შემთხვევასთან გვაქვს, როცა ვერ ამოიცნობა, თუ რამდენი სიტყვაა წინადადებაში (ახვლედიანი, 1949, 144; 1966, 113), ოღონდ ამჯერად არა იმ მიზეზით, რომ ეს ენა უცნობია (უცხობა) მისი ჩამწერისთვის, არამედ იმის გამო, რომ ენა უმწერლობაა. მოკლედ, ორთოგრაფიული (გრაფიკული) თვალსაზრისით, ეს სიდიდე უნდა დაიწეროს არა ერთი, არამედ ორი ლექსემის სახით, რომელთაგან პირველია ჰა *'შაშ'*, ხოლო მეორე – სულ ახლახან წარმოდგენილი სიტყვა ვუ? *'რატომ? რად?'*; ოღონდ ამჯერად წარმოდგენილი (ფ. ყიზილაშვილთან) არა თავკიდური ვითი, როგორც ს. მაკალათიას შემდგომ პერიოდებში ვხედავთ, არამედ მის გარეშე – უფ?, როგორც, დავუშვათ, უხ? *'რა?'* ლექსემა

წარმოადგინეს ი. გიულდენშტედტმა (გიულდენშტედტი, 1964, 341) და ს. მაკალათიამ (მაკალათია, 1933, 104)³⁷.

ფ. ყიზილაშვილთან საძიებო – თავკიდური – არტიკულაცია დაფიქსირებულია კვლავ თავკიდური უ-თი, ოღონდ ამჯერად მისი ნაზალიზებული კორელატით. მისი მონაცემებით, საქმე გვაქვს შესიტყვებასთან ჰა უ? 'მაშ რატომ?'³⁸ და, თუკი აქამდე ამ ტიპის სიტყვების (ან ფორმების) ანლაუტის არტიკულაციაში შეიძლება და უ/ვ დიაქრონია განგვესხვაგვებინა ვ/ვ სინქრონიისგან, ანლაუტური იძულებული ვართ, ვაღიაროთ დიაქრონიისა და სინქრონიის თანხვედრა, იდენტურობა: ორივე შემთხვევაში – დიაქრონიაშიც, სინქრონიაშიც – გვაქვს უ/ვ. თუკი აქ უ-ს წინ ვ-ს გაჩენას მივიჩნევდით ფონეტიკურ კანონზომიერებად – უკვე XX ს. დასასრული-სათვის მაინც, მაშინ ფ. ყიზილაშვილს გრაფიკულად უნდა დაეფიქსირებინა არა ჰაუ?, არამედ – ჰაუუ? (უკეთ: ჰა ვუ?); წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა განიმარტოს, როგორც ინტერვოკალური ვ-ს დაკარგვის, ისე ანლაუტში მისი გაჩენის კანონზომიერება. მაგრამ ფ. ყიზილაშვილმა დააფიქსირა სწორედ ჰაუ?

აქ ანლაუტისეული ჩვეულებრივი, ანუ მაგარშემართვიანი უ ხმოვანი სრულიად მიუღებელია. მაგრამ თუკი ამ ხმოვანს წარმოვთქვამთ თავისუფალი შემართვით (სწორედ ისე, როგორც წარმოვთქვამთ მას ამავე სიტყვის ანლაუტში), მივიღებთ იმ სურათს რომლის დანატვასაც ვცდილობთ: ჰაუ? > ჰა[ა უ] > ჰა უ? 'მაშ რატომ?' > უ?, ანუ უ? 'რატომ? რად?'

³⁷ ჰა 'მაშ' ნაწილაკი, შეიცავს რა დასკვნის სემანტიკას, აქ – ტექსტის დასაწყისშივე – ნებისმიერ შემთხვევაში უადგილოა.

³⁸ აქ, ისევე როგორც უხ და? 'რა არის?' შემთხვევაში, შეიძლება შესიტყვების წევრების დაშორებული მესამე სიტყვის ჩართვის გზით: ჰა ჰო უ ლეწი? 'მაშ შენ რად ვინდა?'

ფ. ყიზილაშვილისეულმა ინიციატივამ რამდენადმე შეცვალა სურათი იმ ვაგებთ, რომ ჩვენი ყურადღება მიიქცია ინლაუტში მონვედრილმა ანლაუტმა: გადამოწმებამ აჩვენა, რომ ყოფილ ანლაუტისეულ ვ-ს ინლაუტში ველარ ვხედავთ სხვა ავტორებთანაც. კერძოდ:

დ. და ნ. ქადაგიების ლექსიკონში (ქადაგიძე, ..., 1984, 426-444) ვკითხულობთ მაცლჷ? 'როდინდელი?' (< უჷ? 'რატომ?'), მენუხ? 'რომელი?' (< უხ? 'რა?'), მოლჷ? 'როგორი?' (< უჷ? 'რატომ?');

კ. ჭრელაშვილთან (ჭრელაშვილი, 2002, 484-485) დაფიქსირებულია მენუხ? 'რომელი?' (< უხ? 'რა?'), მოლჷ? 'როგორი?' (< უჷ? 'რატომ?');

ამავე - მოლჷ? სახით - არის შეტანილი ეს ბოლო სიტყვა ე. ქადაგიძის „წოვა-თუშური ტექსტების“ სალექსიკონო ნაწილში (ქადაგიძე, 2009, 219), თუმცა აქვე ვუმაკ 'ყველა', ვუნახ 'რაცა', ვუნე 'რაც', ვუნთხეც 'რა ვიცა.', ვუნმაკ 'მთელი ძალით', ვუნ? 'რა?', ვუნახნრ? 'რატომ?' ლექსემები შეტანილია უ-ს წინამავალი ვ-თი (ქადაგიძე, ..., 2009, 215).

კ. ჭრელაშვილს სიტყვაში მოლჷ? 'როგორი?' მორფემის სახით გამოყოფილიც კი აქვს -ჷ (მოლ-ჷ?), რაც ბუნებრივად მიგვანინიშნებს ამ (და სხვა ამგვარი) სიტყვის ამ ნაწილის შესაძლო ლექსიკურ დამოუკიდებლობაზე მორეულ წარსულში: (მოლჷ? [მ ო ლ ჷ] < მოლ-ჷ? [მ ო ლ ჷ] < - ჷ? [მოლჷ] < ჷ?); თუმცა მენუხ? 'რომელი?' სიტყვის -უხ ნაწილი, რომელიც აშკარად ანალოგიურ მორფემას წარმოადგენს, ასეთად არა აქვს გაცნობიერებული.

ჩვენი აქტიური რესპონდენტის, რეზო ორბეთიშვილის, ლექსში ვკითხულობთ (ორთოგრაფია ჩასწორებულია, გარდა თვით საანალიზო თავკიდურისა): მელ უმა დართ ვადგოჷ... 'რამდენი

რამ გაგვაჩნდა ჩვენ...'; უფ დაჰ ბიცლაღში, მიჩ ბანრაღში?... 'რატომ ასე გულომაგიწყობთ, რა იქენით?..'

აქ ყურადსაღებია უმ(ა) 'რამე' და უფ? 'რატომ ასე?...' სიდიდეები, რომელთა თავკიდურიც წარმოდგენილია არა ვ თანხმობით, არამედ უ ხმოვნით, რამაც საბოლოოდ უნდა ჩამოგვიყალიბოს აზრი იმის თაობაზე, რომ ამ ტიპის ლექსიკური მონაცემების დაფიქსირება თავკიდური ვ თანხმობით არის პერკეფციის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი გამოვლინება.

თუკი უკარნახებენ თუშურენოვანი ზმნის მასდარის ფორმებს დასარ 'მოტანა', ლასარ 'სურვილი', ქართულენოვანი მსმენელი უთუოდ დაწერს ასე – და-არ ან და არ, ლა-არ ან ლა არ, რადგან აქ ინლაუტისეული ინტერვოკალური ე ლარინგალი ქმნის სიტყვის, ანდა მარცვლის ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნის მაგარი შემართვის ფონეტიკურ რეალობას.

თუშური ენის უ/ვ (ან ვ/უ) შემთხვევაში შეიძლებოდა დაგვეშვა „სხვანაირი“ ვ-ს არსებობაც, ისევე როგორც ვუშვებთ „სხვანაირ“ უ-ს. მაგრამ ჩვეულებრივი უ-სა და ჩვეულებრივ ვ-ს არსებობის კვალობაზე მაინც დარჩებოდა ადგილი ფიქრისთვის და მსჯელობისთვის. დაახ, მეტყველებებში აქვს ადგილი თავკიდური ვ-ს დაკარგვასაც.

ერთ-ერთი დავალების შესრულებისას პირველკურსელ ქართულენოვან სტუდენტს სავარჯიშოში მოცემული ფრაზა ჩვენ ვუახლოვდებოდით ზღვას წიგნიდან გადმოტანილი აქვს ასე: ჩვენ ვუახლოვდებოდით ზღვას. გამოდის, სტუდენტის მიერ უახლოვდებით გრაფიკულ ფორმაში ჩადებულია ვუახლოვდებით სემანტიკა, ანუ, სხვანაირად, სტუდენტი არ/ვერ განასხვავებს ვუახლოვდებით – უახლოვდებით ფორმებს.

ქართულენოვან შემთხვევებში დაკარგვაზე ვლაპარაკობთ იმის უსათუო გათვალისწინებით, რომ აქ დაკარგული ვ- მორფო-

ლოგიური ფუნქციის მატარებელია (ამიტომაც ვეძახით ამ მოვლენას **დაკარგვას**), თუშორენოვან **ვუნ?** სიდიდეში კი **ვ-**ს მორფოლოგიური (და, მაშასადამე, ფონოლოგიური) ფუნქცია გაურკვეველია, რის გამოც ძნელია ვისაუბროთ მის **დაკარგვაზე**.

მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, **უნ?/ვუნ?** შემთხვევაში ვივარაუდოთ არაფუნქციური **ვ-**ს გაჩენა, რაც უცხო არაა ექსტრალინგვისტურ (და არა მარტო ამ) პლასტებში. რუსულენოვანი სასაუბრო მეტყველებისთვის შეიძლება გავიხსენოთ, მაგალითად, სიტყვები **вумный, вутка** გამონათქაშიდან **вумный, как вутка** (მღრ. სალიტ. **умный** ‘ჭკვიანი’, **утка** ‘იხვი’). მეტიც: ძველი **осьмь**-იდან არის მიღებული რუსული სალიტერატურო **восемь** ‘რვა’ და ა. შ.

მაგრამ ორივე – როგორც დაკარგვის, ისე გაჩენის – შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს არა ბგერის დაკარგვა, ანდა გაჩენა, როგორც ასეთი, არამედ ის, თუ: როგორია **უ-**ს შემართვა **ვ-** დაკარგვის შემდეგ, ანდა, რაც იგივეა, როგორი იყო მისი შემართვა **ვ-**ს გაჩენამდე?

ხანგრძლივი მუშაობა ამ საკითხებზე გვათამამებს ვივარაუდოთ, რომ მკვლევართაგან ერთ-ერთის მიერ, დასაბუთების გარეშე იქნა რა მიჩნეული უმართებულოდ **უნ?** და ამ ტიპის სხვა ფორმები, სწორედ ისევე, როგორც **უნუ?** ფორმა (მაკალათია, 1933, 104) იქნა შეცვლილი **ვუნუ?** ფორმით (მაკალათია, 1983, 110), შემოტანილი იქნა **ვუნ?** და მისი ანალოგიური ფორმები, რის შემდეგაც, ჩანს, პრობლემას აღარ წარმოადგენდა მათი გაფრცელება და დამკვიდრება.

აქ იმაზეც არ არის საუბარი, თუ რომელი ფორმებია ამათგან მართებული: უნდა მოიპოვებოდეს პასუხი კითხვაზე – რატომ იქნა შეცვლილი ი. გიულდენშედტისეული ფორმა ახალი ფორმით რაიმე ახსნის გარეშე? პასუხი ამ კითხვაზე ჩვენ არ მოგვეპოვება. ჩვენ-

თვის გაუგებებარია და დასანანი, რომ დღემდე არც ერთ მკვლევარს არ გასჩენია ანალოგიური კითხვა.

დასაშვებია და ბუნებრივიც კითხვა: რომელი ფორმაა სწორი – თავკიდური ლაბიალური უ ხმოვნით თუ თავკიდური ლაბიოდენტალური ვ თანხმოვნით? საინტერესოა ისიც, თუ როგორ სურათს მოგვეცემდა თუშური ენის მატარებლებთან მაღალი დონის ტესტის ჩატარება, რაც პერსპექტივის საქმეა. ამ ეტაპზე კი შეიძლება გავიხილოთ იგივე, რაც უკვე გვითქვამს (Бартишвили, 1998₂, 16-19; Bertlani, 2010, 5-9): ეს აღწერილი ორთოგრაფიული თუ გრაფიკული (და, მაშასადამე, ფონეტიკური) გაუგებრობა, ორგვარობა ისევე არ არის შემთხვევითი და ისევე არის პრობლემური, როგორც, მაგალითად, **w**-თი დაწყებული ინგლისურენოვანი სახელეუბის ორგვარად გადმოცემა ქართულ (ანდა რუსულ) წერილობით წყაროებში, სადაც გრაფიკული თუ ბგერითი ეკვივალენტების უქონლობის გამო, ჯერაც არ არის გარკვეული, რა უნდა დაიწეროს – ვ თუ უ. არც ერთია მართებული, არც მეორე, თუმცა, ამავე დროს, ორივე, არსებული რეალობიდან გამომდინარე, მართებულიცაა. ასეთ ჩიხში ვექცევით, როგორც ვთქვით, ურთიერთობისას ინგლისურენოვან ანთროპონიმებთან ანდა ტერმინებთან:

ქართ. ვილსონი/უილსონი

ინგლ. **Wilson** > }

რუს. **Вильсон/Уилсон**

სწორედ ასეთსავე გაორებასა თუ დაბნეულობას აქვს ადგილი, როცა ქართულ- და რუსულენოვან წყაროებში ასევე არაადეკვატურად გადმოიცემა ზოგიერთი სხვა ევროპულენოვანი ფონეტიკური სიდიდეებიც. გვაქვს, მაგალითად: გერმ. **Watt** (< ჰოლანდ. **wadden**) > ქართ. ვატები ‘ზღვის სანაპიროს ქვედა ზოლი’.

გერმანული თუ ინგლისური ენების ხმოვნების წინ **ჰ** თანხმოვანი სწორედ იმისთვის დგას, რათა მათ ფშვინვიერი შექართვა

შესძინოს, ინგლისური **heat, hall**, ანდა გერმანული **Hantel, Hinterland** და ა. შ. ტიპის სიტყვებიდან კი, როგორც მივანიშნეთ კიდევაც, რუსულად ზოგი გადმოიცემა თავკიდური **Г**-ს, ზოგიც თავკიდური **Х**-ს საშუალებით: **ГИТ, ХОЛЛ, ГАНТЕЛЬ, ХИНТЕРЛАНД** და ა. შ., რაც, ანლაუტის ხმოვნის შემართვის თვალსაზრისით, არცთუ უმნიშვნელო შეუსაბამობაა და ისიც – ორმაგი სტანდარტის მატარებელი (ქართულ ენას აქ არანაირი პრობლემა არ ექმნება).

ხმოვნისწინა **W**, რომელიც მომდევნო ხმოვანთან ერთიანობაში ქმნის აღმავალ დიფთონგს, შესატყვისია იმ **W** (ძველი ქართული გრაფიკით **ჳ**) ბგერისა, რომელიც გვხვდება ქართული ენის დიალექტებში (გვარჯჯალაძე, ..., 1974, 8). ეს ის ბგერაცაა, რომელიც, ქმნიდა რა აღმავალ **ჳა, ჳე** (ასევე **ჳი – ა. ბ.**) ორხმოვანებს, ანუ დიფთონგებს, გვხვდებოდა ძველ ქართულში.

იღენტურ ბგერებად არის აღიარებული აგრეთვე **გ. ახვლედიანთანაც**, ერთი მხრივ, ქართული **ჳ**, ხოლო, მეორე მხრივ, ფრანგულ-ინგლისური **W**; განსხვავებად მათ შორის (და ისიც – სავარაუდოდ) მიჩნეულია ოდენ ის, რომ ქართული **ჳ** გაცნობიერებულია სუსტ (უპარკვლო) უ ხმოვნად, ფრანგულ-ინგლისური **W** კი – ჩქამიერ მჟღერ თანხმოვნად (ახვლედიანი, 1949, 64). გამოდის, უსაფუძვლოდ არ შეუსატყვისებია **ი. გიულდენშტედტს** ევროპული **W** ქართული ენის **ვ(ჳ)**-სთვის (გიულდენშტედტი, 1964, II, 302). სწორედ ამიტომაც, რომ ამ **W**-ს ნაცვლად ქართული და რუსული ენები გრაფიკულად იყენებენ ხან **უ** (რუს. **У**), ხანაც **ვ** (რუს. **В**) გრაფემებს და, შესაბამისად, არტიკულაციურადაც გვთავაზობენ ხან **უ** (რუს. **У**) ხმოვან, ხანაც **ვ** (რუს. **В**) თანხმოვან ფონემებს (ბგერებს).

ისევე, როგორც ზემოთ, დაბნეულობა აქაც განპირობებულია ერთი ენის სიდიდეების აღეკვატური – ფონეტიკური თუ გრა-

ფიკული – შესაძლებლობების უქონლობით სხვა ენის/ენების სამეცნიერო სივრცეში (სამეცნიერო ბაზაში).

არტიკულაცია და აკუსტიკა ენის (მეცნიერების) ერთი და იმავე – ბგერითი – სფეროს ორი ისეთი მხარეა, რომლებიც ერთერთს უნდა შეესატყვისებოდნენ და ავსებდნენ. აქედან გამომდინარე, თუკი ხელისშემშლელ ფაქტორს არა აქვს ადგილი, მსმენელის (თანამოსაუბრის) ყური უნდა აღიქვამდეს ბგერას (ფონემას), რომელსაც წარმოთქვამს მოსაუბრე. ასეც არის: წარმოთქვამენ უ-ს – გვესმის უ, წარმოთქვამენ ვ-ს – გვესმის ვ.

პრეისტორიული ხანიდან მოდის რა უმწერლობო თუშური ენა, მისი საილუსტრაციო მასალის ჩაწერა კი დაიწყო რა გვიან (დავუშვათ, ი. გიულდენშტედტიდან – XVIII ს.), არასდროს არ იყო გამორიცხული, პირიქით, მოსალოდნელიც კი უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ დონის შეუსაბამობა/შეუსაბამობები ფონეტიკურ (ორთოეპიულ) და გრაფიკულ (ორთოგრაფიულ) სფეროებს შორის, მით უფრო, რომ ეს ჩაწერა ხდებოდა (და კვლავაც ხდება) სხვაენოვანი – არათუშურენოვანი – გრაფიკით. მეტიც: როგორც მსოფლიო სამეცნიერო პრაქტიკა გვიჩვენებს, რაიმე სახის გადაცდენები არ იქნებოდა გამორიცხული თვით თუშურენოვანი დამწერლობის არსებობის პირობებშიც კი.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, თუშური ენის უხ?/ვუხ? ფორმებთან მიმართებაში საქმე გვაქვს მესამე სიდიდესთან – თუშურენოვან ხმოვანთან, რომელსაც ამ ენის მატარებლები „სხვანაირ“ უდ აცნობიერებენ, ჩვენ კი თავისუფალი ვუწოდეთ.

აქ უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროპული ენების ბგერათა კვალიფიკაცია აკადემიურ დონეზე დახვეწილი, თუშური ენისა კი, შეიძლება ითქვას, არათუ დახვეწილი – ჯერაც დასამუშავებელია, რაც აშკარა უპირატესობას სძენს ევროპულ ენებს.

რესპონდენტები იშვიათად თუ სწვდებიან იმას, რასაც კორესპონდენტი ეძებს, ანდა ელოდება ბევრჯერ და, აქედან გამომდინარე, იშვიათად თუ გაუსვამენ ხოლმე ხაზს მშობლიურ ენაში არსებულ, მაგრამ მათთვის უკვე სამეტყველო ჩვევად ქცეულ ამა თუ იმ თავისებურებას, მით უმეტეს, ფონეტიკურს – მშობლიურ ენაზე მხიარულად (დესპერსენი) მოლაპარაკეთათვის ეს საინტერესო მომენტი თითქმის არავითარ ღირებულებას არ ატარებს. თუშური ენის მფლობელებს, მაგალითად, მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, რომ მეტყველებისას ისინი 80-მდე ბგერას ხმარობენ. უსაფუძვლოდ როდი ბრძანებს **Rudi Keller**-ი: კარგადაა ცნობილი, რომ მოსაუბრეთა უმრავლესობას არა აქვს არანაირი თეორიული ცოდნა საკუთარი ენისა (Keller, 1994).

თავის მხრივ, კორესპონდენტი, რომელიც არ ფლობს ენას, როგორც ცოცხალ მეტყველებას, ყოველთვის როდი აგნებს ამ ენაში არსებულ ამა თუ იმ თავისებურებას, თუ გაცნობიერებული რესპონდენტი არ გაამახვილებს ამაზე მის ყურადღებას. ანლაუტის თავისუფალი არტიკულაცია კი, მისი სპეციფიკის გამო, განსაკუთრებული დაკვირვების გარეშე დღესაც ძნელი აღსაქმელია – არა მარტო უცხოელისთვის.

დიან, დრო იცვლება და ცნობიერებაც მასთან ერთად. მაგრამ, ვფიქრობთ, ამა თუ იმ (განსაკუთრებით კავკასიური) ენის ბგერებთან, მათ ნიშან-თვისებებთან მიმართებაში დღემდე არ კარგავს ვალენტობას დიდი მკვლევარის, პირველი კავკასიოლოგის, პ. უსლარის შენიშვნა ხუნძური ენის ბგერებთან მიმართებაში, რომელთა „ზუსტი წარმოთქმაც უდიდეს სირთულეს წარმოადგენს“ (Магомедов, 2003, 93). ამიტომ: თუშური ენის ბგერების გადმოცემას სხვა ენის/ენების გრაფიკული საშუალებებით ჩვენ ვერ ვენდობით იმ დონეზე, რომ ზუსტი კვალიფიკაცია მივცეთ მათ.

იოლი წარმოსადგენია შეცდომები ი. გიულდენშტედტის „მოგზაურობაში“ („Peregrinatio Georgica“), რომელშიც დაფიქსირებულია თუშურენივანი უხ? ‘რა?’ ნაცვალსახელიც. როგორც მისი ქართველი მთარგმნელი და გამომცემელი გ. გელაშვილი შენიშნავს, გერმანელი მოგზაური ზოგიერთ შემთხვევაში არც კი არის დაზღვეული ცნობათა მცდარი გაგებისაგან, „რადგან საქართველო მისთვის შეიძლება ძალზე უცხო ქვეყნად ჩაითვალოს და ქართული სინამდვილე ყოველთვის ზუსტად ვერ გაიგოს“ (გიულდენშტედტი, 1962, 025). იგივე შეიძლება ითქვას საკუთრივ ლინგვისტურ მასალასთან მიმართებაში. ხოლო, თუ არ დავივიწყებთ იმასაც, რომ თუშური ენა ქართულენოვან სინამდვილეში (სივრცეში) განთავსებული არაქართველური – ნახური – ჯგუფის ენაა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს სიუცხოვის (სირთულის) ფაქტორის გაორმაგება.

ერთი მხრივ, ი. გიულდენშტედტის, როგორც მოაზროვნის, ერთგვარ უპირატესობაზე, მეორე მხრივ, ჩვენი ამ მსჯელობის აქტუალობაზე მიანიშნებს უთუოდ არნ. ჩიქობავასეული დანასიათებაც. თავად მოგზაურმა არ იცოდა რა არც ერთი ენა, ის სიტყვებზე მუშაობდა თარჯიმნის მეშვეობით და ასეთ პირობებში არასწორად გაგება გასაკვირი არ უნდა იყოს, – ბრძანებს დიდი ქართველი მეცნიერი და დაურთავს: – „თარგმანი იწერებოდა ლათინური თუ გოთური ანბანით, რაც, ცხადია, იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციფიკური ფონემების აღსანიშნავად საკმარისი ოდნავადაც არ იყო: ასეთი ბგერები მიახლოებით თუ აღინიშნებოდა“ (ჩიქობავა, 1965, 111).

შემთხვევითობა არ არის, რომ უმწერლობო თუშური ენის ხმოვანთა სამეცნიერო კვალიფიკაციის გზა გრძელი იყო და მძიმე. ამ ურთულესი სისტემის კორელატური რიგების (პარადიგმების) სრულფასოვნად შემჩნევა თუ გამოვლენა ათობით თუ ასობით

წლების მანძილზე მიმდინარეობდა და კვლავაც მინდინარეობს. თვით ისეთი დიდი მეცნიერიც კი, როგორც ნ. შარი იყო, რომელიც უშუალო სამეცნიერო კონტაქტში შევიდა თუშურ ენასთან, არცთუ დიდი ხნის წინ არათუ არ ადასტურებდა – უარყოფდა ნაზალიზებული ხმოვნების არსებობას მასში (Mapp, 1922, 7).

ევროპული ტიპოლოგია, კერძოდ, თუშური ენის ტიპოლოგიური შედარება ინგლისურ ენასთან გვაფიქრებინებს, რომ ინგლისური და თუშური ენების ანლაუტში გვაქვს ბგერა ე. წ. თავისუფალი შემართვით. არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ეს ბგერა ხმოვანია თუ ნახევარხმოვანი. აქ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ის, რომ ინგლისური ენის ანლაუტში გვაქვს სრული წარმოების ხმოვნის წინამავალი მოკლე ხმოვანი (რის გამოც ის ნახევარხმოვნად ითვლება), თუშურ ენაში კი გვაქვს თანხმოვნის წინამავალი სრული წარმოების ხმოვანი; შდრ. (თავისუფალი შემართვა აღენიშნოთ ო სიმბოლოთი): ინგლ. **Wilson** [wi]lson / [ʊ]lson – თუშ. უხ? 'რა'?

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ სულ ახლახან გამოქვეყნებულ ჩვენს მოსაზრებას თუშური ენის ანალოგიური მიმართების თაობაზე, მაგალითად, უკრაინულ ენასთან (Берглані, 2009, 111-114): ამ სრულიად არამონათესავე და გეოგრაფიულად და გენეალოგიურად ერთმანეთისგან დაშორებული ენების ფონეტიკური მომენტების ტიპოლოგიური შედარების გზით ჩვენ მიერ გამოვლენილია ისეთი არტიკულაცია, ისეთი ფონეტიკური ნიშანთვისება, რომელიც ტიპოლოგიურად ახლოებს სწორედ ამ ორ ენას. კერძოდ, უკრაინულ ენაში გამოვლენილია თუშური ენის ანლაუტის სრული წარმოების თავისუფალი უ ხმოვნის შესატყვისი – ანლაუტისავე თავისუფალი ო ხმოვანი, ოღონდ მოკლე; შდრ.

უკრ. **вперше** [ʊ]перше 'პირველად'
вперед [ʊ]перед 'წინ' (adit.)
все [ʊ]ce 'ყველაფერი'

თუმ. ენ.

უხ? 'რა?'

უმ 'რამე'

უნახ 'რაცა'

ასევეა ქართული ენის იმერულ კილოში: უარესი 'უარესი', უარი³⁹ 'უარი' (ქუთელია, 2005, 30) სიდიდეები გრაფიკულად შეიძლება გადმოვცეთ ასეც: უარესი / უარესი, უარი / უარი. აქ ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, თავკიდურ ბგერას ხმოვნად მივიჩნევთ, ნახევარხმოვნად თუ თანხმოვნად: მთავარი ისაა, რომ მისი არტიკულირებისას ადგილი აქვს თავისუფალ შემართვას, ანუ იმას, რომ წარმოთქმის საწყის მეცხეში სახმო ქორდები განხშულ მდგომარეობაშია, ესაა მხოლოდ, თავკიდური ბგერა მოკლევადიანი უარესი, უარი.

ჩვენ შეგნებულად შემოვიტოვეთ ბოლოსკენ ა. შიფნერისეული დაწერილობა აქ განხილული ტიპის თუშურენოვანი ლექსემებისა. ნიშანდობლივია, რომ გერმანელ ორიენტალისტს ამ ტიპის სიტყვების ანლაუტში გამოყენებული აქვს არა უ, ანდა ვ, არამედ w (ჩვენ გადმოვცეთ ძვ. ქართული უ-თი; ამასთანავე სიტყვები გავაწყობთ თანამედროვე ქართული შესატყვისებით): უხ? 'რა?', უნახ 'რაცა', უნე 'რაც', უმ 'რამე', უმაჲ ყველა / ყველაფერი' (Schiefner, 1859, 158).

ჩვენთვის ცნობილი არ არის, როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ეს და ამ ტიპის ლექსიკური სიდიდეები ი. ცისკაროვს, ვისი ჩანაწერებითაც ხელმძღვანელობდა ა. შიფნერი. არც ის ვიცით, ჰქონდა თუ არა ა. შიფნერს საუბრები სწორედ ამ სიდიდეების ანლაუტის თაობაზე თავის ერთადერთ კონსულტანტთან პეტერბურგში – გ. ცისკაროვთან. მაგრამ კამათს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ი. ცისკაროვისეული ჩვეულებრივი უ ხმოვნის შემთხვევაშიც

³⁹ ჩვენი გრაფიკით: უარესი, უარი.

ანლაუტში, გ-ს შემთხვევაშიც და **w(ჳ)**-ს შემთხვევაშიც გარკვეული ოდენობის დაბნეულობას მაშინ უკვე უნდა ჰქონოდა ადგილი, რაც სწორედ ჩვენი კვლევის საჭიროებაზეც მეტყველებს. ფაქტია ისიც, რომ, ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, ა. შიფნერი (და, შესაძლოა, ი. ცისკაროვიც) კიდევ უფრო ახლოს მისულა ამ თუშურენოვანი თავკიდური ფონეტიკის ბუნებასთან, ვიდრე ი. გიულდენშტედტი. შექმნილი ეპოქების დამკვირვებლებმა კი, გადაუხვიეს რა სწორ გზას, დღემდე ისიც ვერ მოახერხეს, პასუხი ეპოვათ კითხვაზე, რომელსაც დღის წესრიგიდან ვერ მოგხსნით: რატომ იქნა უგულებელყოფილი ა. შიფნერისეული (ანდა ი. გიულდენშტედტისეული) თავკიდური დაწერილობა ამ სიტყვებში?

აქ ყურადსაღებია ერთი დეტალი. ა. შიფნერს (ისევე როგორც ი. გიულდენშტედტს) თუშური ენისთვის **v** თანხმოვანი თითქმის არა აქვს გამოყენებული თავის მონოგრაფიაში. ალბათ, არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, თითქოს გერმანელმა მკვლევარმა **v**-სგან იმიტომ შეიკავა თავი, რომ მისი გერმანული ფონეტიკა არ შეესატყვისება თუშური (ანდა ქართული) ენის გ-ს. საქმე ის არის, რომ კ. ჭრელაშვილის დისტრიბუციული ანალიზის მიხედვით (ჭრელაშვილი, 1975, 235), თანხმოვნის წინ ანლაუტისეული გ ვგვდება ერთადერთ სიტყვაში – ნაპრალოვან შ თანხმოვანთან: ვძლაც 'სულაც'. ჩვენი მხრიდან შეიძლება დაემატოს რამდენიმე მაგალითიც ვ კლასის ფორმებისათვის: ვძეგარ 'მოკვლა', ვძიფც 'ოთხი', ვძიყარ 'დარჩენა', ვძიგარ 'გატყენა (გატყენს)'. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ამით ამოიწურება ანლაუტისეული თანხმოვნისწინა გ-ს დისტრიბუციაც და მისი ხმარების სინშირეც. ერთობ მწირი ჩანს მისი დისტრიბუცია და გავრცელება სხვა პონიციებშიც. გამოდის, თუშური ენის ანლაუტისეული გ ძირითადად ვგვდება ხმოვნისწინა მდგომარეობაში, სადაც მისი ფონეტიკა მართლაც ძალიან ახლოს დგას **w**-სთან (ჳ-სთან), რაც თით-

ქმის იგივე თავისუფალი უ ხმოვანიცაა. ჩანს, ამიტომაც იყენებს ა. შიფნერი **w**-ს (ჰ-ს). თუ ეს ასეა, კვლავაც სადავო რჩება თავკიდური გ-ს გაჩენა ჩვენ მიერ საანალიზოდ მოხმობილ სიტყვებსა თუ ფორმებში.

ჩვენი მსჯელობის თანახმად, ანლაუტისეული **w**, ანუ ჰ სწორედ ის ბგერაა, რომელიც თავისი ფონეტიკური ბუნებით ყველაზე ახლოს დგას თუშური ენის თავისუფალ უ ხოვანთან, საკუთრივ შეპართვის თვალსაზრისით კი აბსოლუტურად იდენტურია მისი.

Opus Herculeum 'პერკულესის ნაჯაფუარი' – ასე ვუწოდეთ ა. შიფნერის დანატოვარს ერთ ჯერაც გამოუქვეყნებელ წერილში: დაწერო ასეთი წიგნი ამა თუ იმ ენის შესახებ მის მატარებლებთან უშუალო კონტაქტის გარეშე, ასე ახლოს მიხვდეთ თვით ენასთან, მით უმეტეს, ფონეტიკასთან, რომელთანაც ცოცხალი შეხება არ გქონია, იმას ჰგავს – დაწერო მართალი ისტორია ქვეყანაზე, რომელიც თვალთ არ გიხილავს და არც კი უნდა იყო დარწმუნებული მის არსებობაში.

თავისუფალი ხმოვანი, რომელიც ჩვენ მიერ არის გამოვლენილი თუშურ ენაში (იხ., მაგალითად: **Бартишвили**, 1998₂ და სხვ.), თავის შეპართვაში (ექსკურსიაში) თავისუფალია ხშული ლარინგალური p თანხმოვნისგან, ანუ მაგარი (ძლიერი, ხშული, მკვეთრი) შეპართვისგან. თავისუფალ ხმოვანს არ გააჩნია ის, რასაც ა. შიფნერმა თავის ღროზე უწოდა **Spiritus lenis** (Schiefner, 1859). ასეთი – თავისუფალი – ხმოვნის ცნობა თუნდაც ერთ რომელიმე ენაში იმასაც გულისხმობს, რომ ანლაუტის ჩვეულებრივ – არათავისუფალ – ხმოვანს ნებისმიერ ენაში (თვით თუშურ ენაშიც) უსათუოდ გააჩნია მაგარი შეპართვა. ამ რეალობას, თავის მხრივ, მიყვავართ იმ მოსაზრებამდე, რომ ახალ დეფინიციას მოითხოვს ის ფონეტიკური ნიშან-თვისება, რომელიც გერმანული ხმოვნებისთვის ცნობილია მაგარი შეპართვის (გერმ. **Knacklaut**) სახელით, რადგან

შესაბამის პოზიციში ისინი ფონეტიკურად მართლაც განსხვავდებიან სხვა ენების ხმოვნებისგან.

თუშური ენის ამგვარი ტიპოლოგია ევროპულ ენებთან გვაფიქრებინებს იმასაც, რომ იქ, სადაც ერთნაირი დეფორმაციები ვლინდება, საქმე უნდა გვექონდეს ერთნაირ ან მსგავს ფონეტიკურ ნიშან-თვისებებთან ამ შედარებულ ენებში. ეს კი საშუალებას იძლევა, ვილაპარაკოთ თუშური ენის შესაბამისი ბგერის/ბგერების კვალიფიკაციაზე, კერძოდ, ამ ენის ანლაუტის ხმოვნის/ხმოვნების თავისუფალ არტიკულაციაზე, ანუ თავისუფალ შემართვაზე, რომელიც ფონოლოგიურ დატვირთვას იძენს აქ, ვილაპარაკოთ ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის/ხმოვნების მაგარ (ძლიერ, ხშულ, მკვეთრ) შემართვაზე (ა. შიფნერის ტერმინოლოგიით *spiritus lenis*) ნებისმიერ ენაში, რომელიც, ოდენ ფონეტიკურ ბუნებას ამჟღავნებს რა, შეიძლება მივაკუთვნოთ ლინგვისტურ უნივერსალიებს.

გარდა ამისა, 5 ძირითადი (ჩვეულებრივი, მარტივი) ხმოვნის ბაზაზე თუშური ენა გვთავაზობს კორელატების მთელ სისტემას, რის წყალობითაც ხმოვანი ფონემების რაოდენობა აქ 30-ს აღემატება. 40-ის ფარგლებშია თანხმოვანი ფონემების რიცხვი. ამდენად, ფონემათა საერთო რაოდენობა აღწევს 80-ს. ალბათ, ეს ფაქტორიც ქმნის იმ კეთილსასურველ გარემოს, როცა ამ კავკასიური ენის ფონეტიკის შედარება შეიძლება ისეთ არაკავკასიურ და სრულიად არამონათესავე ენებთან, როგორიცაა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, უკრაინული, რუსული...

იბადება კითხვები:

1. ანლაუტის ხმოვნები განსხვავდებიან თუ არა (თუნდაც მცირედ) ინლაუტის, ანდა აუსლაუტის ხმოვნებისგან სლავურ, რომანულ, ასევე ქართულ და სხვა ენებში, რომლებსთვისაც სად-

ღვისოდ არ არის გაცნობიერებული ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვა (ექსკურსია)?

2. და თუ კი – რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

3. ასეთი – შემართვისეული – განსხვავების არსებობის შემთხვევაში, რა ოდენობისაა იგი თითოეული ენის შიგნით?

4. თუ ანლაუტის ხმოვნების შემართვა მაგარია, მაგალითად, გერმანულ, მეგრულ (ზანურ), თუშურ და სხვა ენებში, როგორია ეს შემართვა ამავე ენების ინლაუტში, ანდა აუსლაუტში?

ამ კითხვების პროვოცირებას იწვევს ‘რა?’ კითხვითი ნაცვალსახელის თუშურენოვანი შესატყვისისა და სხვა ამგვარი ლექსემების დაწერილობა ხან თავკიდური უ-თი, ხანაც თავკიდური ვ-თი. ხმოვანთა ხასიათისა და გენეზისის ზოგადფონეტიკური თვალსაზრისით და თუშურენოვან მასალაზე დაყრდნობით, პასუხების ძიებას ამ და სხვა თანმდევი კითხვებზე მივყავართ მოსაზრებებამდე, რომლებიც აღწევენ გვაქვს წარდგენილი || საერთაშორისო სიმპოზიუმზე (ბერთლანი, 2008, 84-90):

1. თუმცა სპორადულად, მაგრამ მაინც დასტურდება თუშურ ენაში (და არა მარტო მასში) ანლაუტის ხმოვანთა ე. წ. თავისუფალი არტიკულაცია. სხვანაირად: აქ ფუნქციონირებენ ანლაუტის ე. წ. თავისუფალი ხმოვნები, რომლებიც თავისუფალნი არიან მაგარი შემართვისგან, ანუ ლარინგალური p^{h} თანხმოვნისგან. ამასთანავე, ისინი თუშურ ენაში ფონოლოგიური დატვირთვისანი არიან და კორელაციას იძლევიან. თუკი თავისუფალ შემართვას აღვნიშნავთ ლიგით (\sim), ვიღებთ ფორმულას⁴⁰ $\sim\text{V}$ (ლიგა + ხმოვანი). მაგალითები:

აჟა ღიან – აჟა [ჟაჟა] ბერძ. *kopros* ⁴¹ (ბავშვის ენაზე)
– ვაჟა ‘მოსასვლელოდ’

⁴⁰ V გრაფემაში იგულისხმება პირველი ასო ლათ. სიტყვისა **Vocalis** ‘ხმოვანი’.

⁴¹ ლათ.; ბავშვის ენაზე.

უ ღა (კავშირი) – ე 'ეს' – ვე ზვენ'
 იქს⁴² – იქს 'იქსი' ⁴³ – ვიქს (nonsense)
 უხ 'რა?' – ვუხ 'უკან' (adit.) – უხ (nons.)

2. პირველი დებულება იწვევს მეორეს, რომლის მიხედვითაც, ანლაუტის ხმოვნები მაგარი შემართვისანი არიან ენებში საერთოდ – იმ ენებშიც, რომლებსთვისაც ასეთი შემართვა სადღეისოდ არ ცნობიერდება, მაგალითად, სლავურ, რომანულ, ასევე ქართულ და სხვა ენებში; აქ ვიღებთ ფორმულას CV , ანუ V ($\text{CV} + \text{ხმოვანი}$, ანუ, რაც იგივეა, ' + ხმოვანი). მაგალითად: ქართ. ათი [ცათი]; რუს. **ОКОЛО** ['o]КОЛО *მახლობლად*; მაგალითები თუშური ენიდან: აცა [ცაქა] ბერძ. *კობროს*, ე [ცე] 'ეს', იქს [ციქს] 'იქსი' ⁴⁴, ობი [ცობი] 'ისინი', უჩნა [ცუჩნა] *სიბნელი*. გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ანლაუტის ხმოვანთათვის ძლიერი შემართვა წარმოადგენს უნივერსალურ ნიშანს.

3. მეორე დებულება იწვევს მესამეს, რომლის თანახმადაც, ის, რაც ზოგიერთ მეცტველებაში (მაგალითად, გერმანულ, მეგრულ, თუშურ, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ენაში, ასევე, მაგალითად, თუშურ კილოში და ა. შ.) სადღეისოდ ცნობიერდება ანლაუტის ხმოვნების მაგარ შემართვად, არ წარმოადგენს მხოლოდ მაგარ შემართვას: სინამდვილეში ეს არის მაგარი შემართვაც (ანუ ლარინგალური CV , ანუ ') და ფარინგალური CV [ღ] თანხმოვნის CV [ღ] ობერტონიც (ანუ მინაბგერი)⁴⁵, რომელიც განვითარებულია მაგარ შემართვასა და საკუთრივ ხმოვანს შორის ფონეტიკური, ექსპრესიული (არადისტინქტური) სტატუსით. კერძოდ, იმ მეტყველებებში, რომლებსაც ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვა მიეწერება,

⁴² ლორის გასაგებები შექაზილი.

⁴³ ლათინური ანბანის 23-ე ასო.

⁴⁴ ლათინური ანბანის 23-ე ასო.

⁴⁵ CV [ღ] ობერტონი, ანუ მინაბგერი არ უნდა აგვერიოს თუშური ენის CV [ღ] ფარინგალურ თანხმოვანში, რომელზეც ცალკე გვექნება საუბარი.

ფონოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული არაფერი ხდება, გარდა იმისა, რომ ისინი – ანლაუტისეული ხმოვნები, ჩვენი აზრით, ექსპრესიულად რამდენადმე უფრო დატვირთულნი არიან, რაც იძლევა წმინდა ფონეტიკურ დახასიათებას და რასაც ჩვენ ვაძლევეთ $\text{Ⴑ}[\text{Ⴑ}]$ ობერტონის (მინაბგერის) კვალიფიკაციას. ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ $\text{Ⴑ} + \text{Ⴑ} + \text{Ⴑ}$, ანუ $\text{Ⴑ} \text{Ⴑ} \text{Ⴑ}$ ($\text{Ⴑ} \text{Ⴑ} \text{Ⴑ}$) სქემის სახით. მაგალითები:

გერმან. immer [Ⴑimmer] 'მუდამ'

მეგრ. ცონა [Ⴑონა] 'ყანა'

ლაზ. ცართი [Ⴑართი] 'ერთი' ⁴⁶

თუშ. ენ. აღნი [Ⴑაღნი] 'აღვანში' (ess.)

თუშ. კილ. ამბავი [Ⴑამბავი] 'ამბავი'

4. სამივე დებულებას, ერთად აღებული, მივყავართ ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალი რთული და საინტერესო გზის კონტურებამდე. ეს გზა უნდა გადიოდეს ჩვეულებრივ (უბრალო, მარტივ, ძირითად) ხმოვნებზე. გზა თავისუფალი ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე, რომელიც იმაზე უფრო გრძელია, ვიდრე გზა თავისუფალი ხმოვნებიდან ჩვეულებრივ ხმოვნებამდე, შეიძლება წარმოვიდგინოთ დაახლოებით ასეთი სახით –

$$\text{Ⴑ} \text{Ⴑ} \Rightarrow \text{Ⴑ} \text{Ⴑ} \Rightarrow \text{Ⴑ}$$

რაც შეიძლება ნაირად იკითხება:

ა) იყო თავისუფალი ვოკალი: $\text{Ⴑ} \text{Ⴑ}$;

ბ) მერე გაჩნდა პირველი კონსონანტი – ' (Ⴑ) ლარინგალი, რომელიც მაგარი შემართვის მისიით განთავსდა თავისუფალი ვოკალის შემართვაში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა დღეს ჩვეულებრივად (მარტივად) წოდებული ვოკალი: $\text{Ⴑ} \text{Ⴑ}$;

გ) Ⴑ -ს (Ⴑ -ს) მერე გაჩნდა სხვა კონსონანტებიც: Ⴑ .

⁴⁶ ლაზური მაგალითი მოწოდებულია მიხეილ ქურდიანის მიერ, რისთვისაც გულითად მადლობას ვწირავთ.

ისე რომ: სადღაც იქ, თავისუფალ ხმოვნებთან უნდა ვეძებოთ უთუოდ ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალი (თუ მომავალი) გზის დასაწყისი, ანუ ხმოვანთა ხასიათისა თუ გენეზისის საწყისთა საწყისები.

5. ამ საკითხების კვლევა გვიბიძგებს, ერთი მხრივ, ბგერათა შესწავლისადმი ახალი მიდგომის – ე. წ. *შიზოფონიის* (ბგერათა „გახლეჩის“) – შემუშავებისკენ, ხოლო მეორე მხრივ, ახალი ლინგოაპარატის – ე. წ. *პალინდროფონის* – შექმნის აუცილებლობის იდეისკენ, რაც დაგვეხმარებოდა ბგერათა ხასიათის უკეთ წვდომაში.

6. ამ დაკვირვებების ჩატარების შანსს გვაძლევს სწორედ არქიარქაული ც (ჟ) თანხმოვნისა და კიდევ უფრო ძველი წარმოშობის ე. წ. თავისუფალი ხმოვნების ფუნქციონირება თუშურ ენაში (და არა მარტო აქ). კვლევისას რეალიზებული ტიპოლოგიური მიდგომა კი, იძლევა რა განზოგადების საშუალებას, ამავე დროს ხელს უწყობს მსჯელობას.

7. ამ დებულებათაგან თითოეული საჭიროებს უფრო დეტალურ სამეცნიერო გამოკვლევას, რაც, ჩვენი აზრით, საინტერესო და გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს.

ბოლოს, ჩვენ მიერ თუშურ ენაში გამოვლენილი ანლაუტისეული თავისუფალი ზ, ჟ, ი, ო, უ ხმოვნებიდან (ზოგიერთი მათგანის ზოგიერთი კორელატიურთ), რომლებზეც სხვაგან და სხვა დროს გვექნება უფრო ვრცელი საუბარი, ზოგი ოდენ ერთეული მაგალითების სახით თუ დასტურდება, მაგრამ მათ პოზიციას უმაგრებს *ანდრე მარტინეს* თეორია, რომელიც გვასწავლის, რომ „იმისდა მიუხედავად, განსხვავება ორ ფონემას შორის გამოიყენება ერთ თუ ათას შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვცნოთ ეს ფონემები ორ დამოუკიდებელ ერთეულად“ (Martine, 1960, 125).

§ 4. ფონეტიკური შემართვა-დამართვის შესწავლისათვის

თითოეული ბგერა, რომლის პირობით (ობტიკურ, გრაფიკულ) ნიშანსაც ასო, ანუ გრაფემა წარმოადგენს, წარმოითქმის საფონაცო ჰაერნაკადის გავლით სამეტყველო ორგანოების გარკვეულ მოქმედებათა, ან მდგომარეობათა თანხლების პირობებში. სწორედ ამ მოძრაობებისა თუ მდგომარეობების ერთობლიობაა, რასაც ლინგვისტიკაში არტიკულაციას ვუწოდებთ. და ეს მოძრაობები ხორციელდება გარკვეული, მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით.

ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ თანმიმდევრობათა დაცვის გარეშე, რაც ჯამში წარმოგვიდგება ბგერის წარმოთქმის სამი მომენტის სახით, არ/ვერ მიიღება არც/ვერც ქართული ენის ბ თანხმოვანი და არც/ვერც სხვა რომელიმე ენის რომელიმე ბგერა. სწორედ თანმიმდევრობათა რიგის დაცვაა ის, რასაც ვეძახით ბგერის, ჯამში კი სიტყვის სწორად წაკითხვასა თუ სწორად წარმოთქმას. ბგერის შეგნით ამ თანმიმდევრობათა გადაადგილება ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ბგერების გადაადგილება სიტყვაში. სქემატურადაც ასეა: ბგერის შემართვა (დასაწყისი) მარცხნივაა, დამართვა (ბოლო) კი – მარჯვნივ; თავისთავად ასეა სიტყვაშიც (ახვლედიანი, 1949, 30). ეს ყოველივე შეიძლება აღვნიშნოთ დიდი ისრით ქვეშ – სიტყვისათვის მთლიანობაში, ხოლო პატარა ისრით მალა – სიტყვაში შემავალი ცალკეული ასობგერებისთვის; რწყმულობა, ანუ ბგერაბმულობა (როგორც არსებული, ისე შესაძლებელი) გადმოვცეთ \curvearrowright სიმბოლოთი:

ბ \curvearrowright , აბი \curvearrowright ,

ბი \curvearrowright , ბბი \curvearrowright 'ყოფა'

არც ქართულ, არც რუსულ, არც სხვა რომელიმე სამეტყველო პრაქტიკაში არ არის გამორიცხული სიტყვის (სიტყვების) ე. წ. უკუღმა წაკითხვა, ანუ წაკითხვა მარჯვნიდან მარცხნივ. ასეთ კითხვას მიემართავთ, მაგალითად, პალინდრომებში (< ბერძნ. *palindromos* 'უკუღმა მოძრავი', *palindromeo* 'გაერბივარ უკან'), ანუ სიტყვებში, რომლებიც „ერთნაირად იკითხება თავიდან (წაღმა, მარცხნიდან – ა. ბ.) და ბოლოდან (უკუღმა, მარჯვნიდან – ა. ბ.)“ (უსლ, 1989, 364). მაგალითები ქართული ენიდან: აბა, ანა, არა, ესე (< ფრანგ. *essai*), იგი, იცი, ოთო (< ოთარ), უკუ, როგორ? სოსოს და სხვ.

მაგრამ: სინამდვილეში არის კი ეს უკუკითხვა, რომელსაც პალინდრომში მიემართავთ, წაღმა წაკითხულის ადეკვატური? როგორია, ანდა როგორი უნდა იყოს ურთიერთმიმართება მთლიანი სიტყვის არტიკულაციასა და სიტყვაში შემავალი თითოეული ასო-ბგერის არტიკულაციას შორის უკუკითხვის შემთხვევაში? რა რჩება და რა იკარგება წაღმა წაკითხულის ამგვარი უკუკითხვის დროს? არის კი უკუკითხვა ის, რასაც პალინდრომია (ანუ უკუკითხვა) გულისხმობს – იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი დაკვირვების ინტერესს აქ წარმოადგენს ხმოვნის (უკეთ: ერთი და იმავე ხმოვნის) ფონეტიკური ბუნების უფრო ზედმიწევნითი გამოვლენა ანლაუტში (შემართვის თვალსაზრისით) და შესაძლოა აუსლაუტშიც (დამართვის თვალსაზრისით)?

თუ იკითხება სიტყვა-ფორმა – ეს არის დაწერილის აღქმა ხმიერი, ანდა თავისთვის (გულში – ა. ბ.) წარმოთქმის საშუალებით (Ожегов, 1970, 871) ანდა დაწერილის ამოცნობა ასოების აღქმისა და მათი სიტყვებად შეერთების საშუალებით (ქეგლ, 1990, 575), მაშინ აქ განხილული მაგალითები, ფაქტობრივად არც წარმოადგენენ პალინდრომებს. მაგრამ თუ მათ მაინც ვაცნობიერებთ პალინდრომებად – მხოლოდ იმიტომ, რომ გრაფიკულად (ვიზუალუ-

რად) მართლაც გამოიყურებინ ასეთებად. დაუშვებელია აბა სიტყვის თავკიდური ა-ს შემართვა ეკვივალენტური იყოს ბოლო-კიდური ა-ს დამართვისა, ჩვენ კი ვუშვებთ რა ამგვარ იდენტურობას, ამ სიტყვას ვუწოდებთ **პალინდრომს**. ამ ბოლო ნათქვამს სქემატურად დაახლოებით ასეთი სახე შეიძლება მიეცეს (თვალსაჩინოებისთვის ერთნაირი ხმოვნები დავნიშნოთ; ამასთანავე, რაკი, ჩვენივე მსჯელობის მიხედვით, ანლაუტის ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი მაგარშემართვიანია, ეს შემართვა, ასევე მაგარი დამართვა შესაბამისად აღვნიშნოთ \bar{c} გრაფემით, \hat{c} სიმბოლოთი გადმოვცეთ თავისუფალი შემართვაც და დამართვაც, ისევე როგორც გადმოვცეთ ბგერაბმულობა):

$$[\bar{c} \hat{a}_1 \hat{b} \hat{a}_2 \bar{c}] - [\bar{c} \hat{a}_1 \hat{b} \hat{a}_2 \bar{c}]$$

ანუ: ამგვარი უკუკითხვის შემთხვევაში (ჩვენ კი სხვაგვარად არც ძალგვიძს) ყოფილი ბოლოკიდური ხმოვანი იკითხება მაგარი შემართვით, რომელიც მას არ გააჩნდა წაღმა კითხვისას, ხოლო ყოფილი თავკიდური მაგარშემართვიანი ხმოვანი – იმ (მაგარი) შემართვის გარეშე, რომელიც მას ჰქონდა წაღმა კითხვისას. ამიტომაც გვეჩვენება, რომ ის, რაც გრაფიკულად მართლაც პალინდრომია, ფონეტიკურადაც პალინდრომია, რაც ფონეტიკურ რეალობას ეწინააღმდეგება.

ჩვენ რომ შეგვძლებოდა ამ ნუმერაციების „ჩადება“ არტიკულაციისაში, ალბათ, შევძლებდით წაღმა არტიკულირებულის (წარმოთქმულის) შეტრიალებასაც უკუღმა – ფონეტიკური და არა ვიზუალური (გრაფიკული) უკუთანმიმდევრობით, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მისცემდა დახასიათებას ერთი და იმავე ხმოვნის (და, მასასადაშე, საერთოდ, ხმოვნების) შემართვასაც და დამართვასაც, ანუ შევძლებდით წაკითხვას დაახლოებით ასე:

$$[\underline{\text{ც}} \text{ ა}_1 \text{ ბ} \text{ ა}_2 \text{ }], [\underline{\text{ც}} \text{ ე}_1 \text{ ს} \text{ ე}_2 \text{ }]$$

ანუ, დავაზუსტოთ: აქ ლაპარაკია იმაზე, თუკი შევძლებდით, გვევლო საარტიკულაციო გზით: დამართვა → დაყოვნება → შე-
მართვა.

ჩვენ რომ ეს არ შეგვიძლია (და არც გვიცდია), იმიტომაც წარმოთქვამთ მათ – ხმოვნებს – ბუნებაში ორივე მხრიდან (თავი-
დანაც და ბოლოდანაც) აბსოლუტურად ერთნაირად და იმიტომაც გვესმის ისინი ორივე შემთხვევაში აბსოლუტურად ერთნაირად.

სინამდვილეში № 1 და № 2 ხმოვნები ერთმანეთისგან არსე-
ბითად განსხვავდებიან (და უნდა განსხვავდებოდნენ კიდევაც) იმი-
თ, რომ განსხვავებულია (და განსხვავებულიც უნდა იყოს) მათი
შემართვა-დამართვა (შემართვა-დამართვები).

ეს უნდა გამოავლინოს პალინდროფონიამ.

$$[\underline{\text{ც}} \text{ ა}_1 \text{ ბ} \text{ ა}_2 \text{ }] - [\underline{\text{ც}} \text{ ა}_1 \text{ ბ} \text{ ა}_2 \text{ }] \text{ და ა. შ.}$$

სიტყვისთვის **სამი** მივიღებთ:

$$[\underline{\text{ს}} \text{ ა} \text{ მ} \text{ ი} \text{ }] - [\underline{\text{ს}} \text{ ა} \text{ მ} \text{ ი} \text{ }]$$

ანუ: თუკი უკუღმა წარმოთქმულს წაღმა დავწერდით და მოვისმენდით, მივიღებდით დაახლოებით ასეთ რამეს: [ა₂ ბ ა₁ ც], [ე₂ ს ე₁ ც] და ა. შ. სიტყვისთვის **სამი** მივი-
ღებთ: [ი მ ა ს], ხოლო სიტყვისთვის **იმას** მივიღებდით სახეს: [ს ა მ ი ც]

მოკლედ, იდეაში პალინდროფონმა უნდა ჩავვახედოს რო-
გორც გრაფიკულის, ისე ფონეტიკურის ფონეტიკურ არსში. თუკი, მაგალითად, ქართულ ენაში ანლაუტის ხმოვანს არ გააჩნია

ძლიერი შემაბრუნებელი, მაშინ გამოდის, რომ აქ ეს ხმოვანი თავისუფალია ქ ლარინგალისგან. მაგრამ პალინდროფონი დაგვარწმუნებს იმაში, რომ ეს ასე არ არის. უკუკითხვის დროს სიტყვა მთლიანობაში მართლაც იკითხება უკუდამ, უკუბრუნებით, მართლაც დაცულია უკუთანმიმდევრობა ასო-ბგერებს შორის და ზოგჯერ – თუკი თავიდან და ბლოკიდურში თანხმობები გვაქვს – მართლაც ვიღებთ იმავე სემანტიკის სიდიდეს, როგორც გვაქვს წაღმა კითხვისას:

როგორ? [როგორ] – [როგორ],

სოსოს [სოსოს] – [სოსოს], მამამ [მამამ] – [მამამ] და ა. შ.

წაღმა კითხვისას ბგერას წარმოვთქვამთ საფონაციო ჰაერ-ნაკადის მოძრაობით ფილტვებიდან გარეთ (ანუ ექსპირაციით, ამოსუნთქვით), რაც აღვნიშნით \rightarrow ნიშნით და რასთანაც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ბგერის ისეთი ატრიბუტები, როგორცაა შემაბრუნებელი და დამართვით. უკუკითხვის შემთხვევაში კი, მისი აბსოლუტური გაგებით, ბგერა უნდა წარმოგვეთქვა (უნდა წარმოვთქვათ) ჰაერნაკადის მოძრაობით გარედან ფილტვებისკენ (ინსპირაციით, შესუნთქვით), დაახლოებით ისე, როგორც, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ ენაში იწარმოება ცალკეული ე. წ. წკლაპუნა, შეწოვნილი ბგერები, ანუ ქლიქსები (< ინგლ. click წკლაპუნა), რაც შეიძლება აღვნიშნოთ \leftarrow ნიშნით და რაც ენათა უმრავლესობისთვის არაბუნებრივი რამ არის, თუმცა მათ ჩვენც ვიყენებთ ქართულენოვან ყოფით მეტყველებაში, მაგალითად, უარყოფის აღმნიშნელ \leftarrow წყ, თანაგრძნობა-სინანულის აღმნიშნელ \leftarrow წყ \leftarrow წყ \leftarrow წყ, ძალის დასაძახებელ \leftarrow პყ \leftarrow პყ \leftarrow პყ, ცხენის წასაქეზებელ \leftarrow პყყყ \leftarrow პყყყ, კოცნის აღმნიშნელ \leftarrow პა, უკიდურესი გაკვირვების გამოხატველ \leftarrow იი და ა. შ. სიდიდე-

ებში; ამათთან ერთად, თუშურ ენაში გვაქვს, მაგალითად, უარყოფის აღმნიშვნელი \bar{c} ნაწილაკიც, რომელიც ამავე დროს ცალგვერდა ლატერალიცაა: მისი არტიკულირებისას საფონაციო ჰაერი გარედან შიგნით „ძვრება“ ენის ერთი – უმეტესწილად მარცხენა – გვერდიდან.

უკუწაკითხული პალინდრომი მთლიანად ინარჩუნებს წაღმა წაკითხული პალინდრომის ფარდ ქლერადობასა და, მაშასადამე, სემანტიკასაც, რის თქმაც არ უნდა შეგვეძლოს იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი მოახერხებდა პალინდრომში შემავალი თითოეული ასო-ბგერის ასევე უკუარტიკულირებას ამ სიტყვის ზუსტი ფონეტიკური (ფიზიოლოგიური) გაგებით, რაც სქემატურად უკვე გადმოგვცით ზემოთ.

თუკი ასეთ – აბსოლუტურ – უკუკითხვას შევადარებთ პალინდრომულ ვითომდა უკუკითხვას, უსათუოდ უნდა მივიღოთ აკუსტიკური სხვაობა, განსაკუთრებით ხმოვნებით დაწყებულსა თუ დამთავრებულ სიტყვებში, რადგან, როგორც ითქვა, საქმე გვაქვს შემართვა-დამართვის (შემართვა-დამართვების) თანმიმდევრობის გადაადგილებასთან, სადაც შემართვა დამართვის ფარდი არ არის და არც შეიძლება იყოს: შემართვა (<ფრანგ. *attaque* < *attaquer* 'თავდასხმა, იერიში, შეტევა') ზედმიწევნით ბრძოლის დაწყებას ნიშნავს (შდრ. იტალ. *attacca* < *attacare* 'ბრძოლის დაწყება'), ხოლო დამართვა – ბრძოლისთვის თავის მინებებას, ანუ იარაღის დაყრას (შდრ. რუს. *отступ* > *отступать/отступить* 'უკან დახევა').

მოკლედ, უკუკითხვისას ხდება (ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელია) წაღმა კითხვისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური (და ზოგჯერ – ფონოლოგიური) ნიშნების რიგის გადაადგილება, რაც სიგნალია იმისა, რომ აღწერილ შემთხვევაშიც კი უკუკითხვა მთლიანად როდი ემთხვევა წაღმა კითხვას. წარმოვიდგინოთ ის სა-

ფენურებრივი თანმომღვერობა, რომელსაც ადგილი ექნება რუსული ენის **ბ** ბგერის უკუარტიკულირებისას.

ამ და სხვა სახის სხვაობათა უკეთ გაცნობიერებაში დაგვეხმარებოდა ისეთი ღონგაფონური ხელსაწყო, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ჩვენ მიერ არტიკულირებული ცალკეული ბგერები, ვოკალური თუ ინსტრუმენტული სამუსიკო ფრაგმენტები, აგრეთვე ჩვენ მიერ როგორც წაღმა, ისე უკუღმა წაკითხული პალინდრომები მოგვესმინა როგორც წაღმა, ისე უკუღმა. ამით სამეცნიერო საზოგადოებრიობას ვთავაზობთ ხმის (სამეტყველო ბგერებისა თუ თვით მეტყველების) ჩამწერი და მოსასმენი დანადგარების (ლინგოაპარატურის) მოდერნიზაციის იდეას. შემოთავაზებული ხელსაწყო სხელწოდება შეიძლება იყოს, დაეუშვათ, **პალინდროფონი** (მდრ. ბერძნ. **palindromos** 'უკუღმა მოძრაობა' და **phone** 'ხმა, ბგერა'). ასეთი აპარატი, წაღმა ჩაწერილს ყოველგვარი პრობლემის გარეშე – მექანიკურად – „აკრეფდა“ („წაიკითხავდა“) რა უკუღმაც, სიტყვაში შემავალი, ანდა მის გარეთ მყოფი თითოეული ბგერის საწარმოთქმო მომენტს (შემართვას, მწვერვალს, დამართვას) მოგვასმენინებდა უკუღმაც (უკუთანმომღვერობითაც), რასაც ვერ ახერხებს ადამიანი. ასეთი აპარატი საშუალებას მოგვცემდა, პალინდრომისა თუ სხვანებისმიერი სიტყვის „წაღმა პირი“ შეგვედარებინა უკუღმისათვის. ეს იქნებოდა ხელსაწყო, რომელიც მოახდენდა წაღმა (ჩვეულებრივ) წარმოთქმული და ჩაწერილი სიტყვის, ანდა ცალკეული ბგერის რეფონაციას (კვლავწარმოებას) როგორც წაღმა (ჩვეულებრივ), ანუ მარცხნიდან მარჯვნივ, ისე უკუღმა (ბოლოდან), ანუ მარჯვნიდან მარცხნივ. პალინდროფონი თვალნათლივ გვაჩვენებდა იმას, რომ მისი საშუალებით უკუღმა მოსმენილი პალინდრომი სულაც არ არის ჩვენ მიერ წაღმა (ან თუნდაც უკუღმა) წაკითხული პალინდრომის ფარდი მისი ფონეტიკური (ბევრჯერ კი – სემანტიკური) არსის თვალსაზრისით და რომ, მაგალითად, პალინდროფონით

ქართული ბ-სგან, ანდა რუსული **Ы**-სგან უნდა მივიღოთ არა ბ და **Ы**, არამედ გარკვეულად სხვა ფონეტიკის მატარებელი სიდიდეები.

პალინდროფონია, ანუ სამეტყველო ბგერების (მეტყველების) შესწავლა **პალინდროფონის** გამოყენებით სხვა სიკეთესაც მოუტანდა ექსპერიმენტულ ფონეტიკას (და, ვფიქრობთ, არა მარტო ფონეტიკას).

პალინდროფონისკენ გადადგომულ ნაბიჯად გვესახება ტელეშოუ „მუსუკალური ლივა“, სადაც შოუს მონაწილეებს უკუღმა ასმენინებენ ვოკალურ ფრაგმენტებს, უკუღმავე ამოორებინებენ და ა. შ.: აქ ბევრ შემთხვევაში (თუკი თავკიდურში და ბოლოკიდურში ხმოვნები გვაქვს) კარგად იკვეთება ხმოვანთა შემართვა-დამართვების ჩვენ მიერ აქ კვალიფიცირებული ფონეტიკური ნიშნები.

პალინდროფონი დაგვეხმარება დამატებითი ინფორმაციის მოძიებაში ბგერების ირგვლივ, კერძოდ, ხმოვანთა შემართვისა თუ დამართვის შესახებ, რაც ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის სფეროში შედის.

ვფიქრობთ, გარკვეულ სარგებლობას მივიღებთ ხმოვანთა შემართვის (ასევე დამართვის) კვლევის გზაზე, თუკი **პალინდროფონით** კიდევ ერთხელ დავაკვირდებით თუშური ენის ანლაუტიკულ ჩვეულებრივ და თავისუფალ ხმოვნებს, ასევე მათ ტიპოლოგიურ მიმართებას დასავლეთევროპულ **W**-სთან. მოკლედ: **პალინდროფონი** იქნებოდა „აკუსტიკური სარკე“ თუ „აკუსტიკური რენტგენი“ ამ კუთხით ჯერ კიდევ შესასწავლი ბგერებისათვის.

თავი III
თუშური ენის ხმოვანთა სისტემა

§ 1. ხმოვანთა კვანტიტეტი ზოგადად და თუშურ ენაში

როგორც დავინახავთ, მართალია, თუშური ენის თანხმოვნები რაოდენობრივად რამდენადმე სჭარბობს ხმოვნებს (43:37), მაგრამ კორელატური რიგების სიუხვით რამდენადმე წინააღრდეგა სწორედ ხმოვნები. კერძოდ, 9 თანხმოვანზე მოდის სულ 10 კორელატი, 5 ხმოვანზე კი – 32. აქედან გამომდინარე, გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვს როგორც ხმოვანთა ფონეტიკური დახასიათება, ისე მათი ფონოლოგიური შესაძლებლობების გამოვლენა თუ განსაზღვრა. ამიტომაც ეთმობა წინამდებარე ნაშრომში გაცილებით მეტი ადგილი თუშური ენის ხმოვნებს – ამ, ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესო სამეცნიერო წიაღისეულს.

ვისაუბრებთ რა თუშური ენის ბგერებზე, უნდა გვანსოვდეს ერთი პოსტულატი: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის 33-ეე ბგერა (5 ხმოვანი და 28 თანხმოვანი), ფონეტიკის თვალსაზრისით, აბსოლუტური სიზუსტით მეორდება თუშურ ენაში და ნებისმიერი მცდელობა მათში ამა თუ იმ განსხვავებული ნიშნების ძიებისა ჩაითვლება ყოველად უსაფუძვლო ამბიციად.

მეტიც: თუშურ ენას იმ არქაული ბგერებიდანაც კი აქვს შენახული ზოგიერთი, რომლებიც ქართულს სადღეისოდ დაკარგული აქვს. ხოლო ეს 33 ბგერა იმდენად იდენტურია ორივე ენისთვის, რომ ერთნაირი დისტრიბუციის პირობებში თუშური ენის კორელატების ფონოლოგიური ბუნების გამოსავლენად თავისუფლად შეიძლება ქართულენოვანი მაგალითების მოშველიება:

ქართ. ბალი – თუშ. ენ. ბალი 'შხრები'
ქალი – ქალი (ანთრ.)
ასი – ასი (ანთრ.)
ბადრი – ბადრი 'პავშეები'...

სერიოზული ფონეტიკური სხვაობა გვაქვს თუშური ენის დანარჩენ ბგერებში, რომელთა რიცხვიც ერთობ დიდია და რომლებიც წარმოადგენენ ან ქართულ-თუშურ ბგერათა კორელატებს, ანდა სრულიად დამოუკიდებელ, თავისთავად ბგერებს. აქ უმთავრესად საუბარი გვექნება სწორედ ამ სპეციფიკურ ბგერებზე.

ენებში ცნობილია და გავრცელებული ხმოვნების (ბგერების) დაპირისპირება მათი სიგრძე-სიმოკლის (ხანგრძლივობის, ანუ ბგერათრაობობის, კვანტიტეტის) მიხედვით და, მაშასადამე, აქ ადგილი აქვს ხმოვანთა ოპოზიციებს მათი წარმოთქმისთვის დახარჯული (საჭირო) დროის ოდენობის თვალსაზრისით. ხმოვნების კვანტიტატიური ოპოზიციები გააჩნია, მაგალითად, გერმანულ, ინგლისურ, ჩეხურ და სხვა ენებს (ნებიერიძე, 1991, 91).

კვანტიტეტი აქვს ნებისმიერ სამეტყველო ბგერას. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რამდენად გრძლად ან რამდენად მოკლედ წარმოვთქვამთ მათ ჩვეულებრივ, ანუ ნახევრადგრძელ ხმოვნებთან მიმართებაში, ვარჩევთ ზეგრძელ, გრძელ, ნახევრადგრძელ, მოკლე და ირაციონალურ ხმოვნებს.

ეს ფორმულა სქემაზე მიიღებს დაახლოებით ასეთ სახეს (კვანტიტატიური დინამიკა წარმოვადგინოთ როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად):

		=		
		ზეგრძ.		
		—		
		გრძელი		
=	—	ნახევრად- გრძელი (ჩვეულებრ.)	∪	^
ზეგრძ.	გრძელი		მოკლე	ირაც.
			∪	
			მოკლე	
			^	
			ირაც.	

ზოგადი ფონეტიკა გვთავაზობს ხმოვანთა ასეთ კვანტიტა-
ტიურ თანმიმდევრობას (ახვლედიანი, 1949, 122):

1. ირაციონალური (მოკლეზე მოკლე)
2. მოკლე
3. ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი, მარტივი)
4. გრძელი
5. ზეგრძელი

ხანგრძლივობების გ. ახვლედიანისეული (ახვლედიანი, 1949,
122) განაწილება პირობით ადებულ ამა თუ იმ ენაში ასეთია:

1. ირაციონალური = საშ. წამის 4-5/100-ს

- 2. მოკლე = საშ. წამის 8/100-ს
- 3. ნახევრადგრძელი = საშ. წამის 12/100-ს
- 4. გრძელი = საშ. წამის 20/100-ს
- 5. ზეგრძელი = საშ. წამის 20/100-ზე მეტს

ერთობ საინტერესოა ზოგადი ფონეტიკით გათვალისწინებული ის პირობა, რომლის თანახმადაც, „აქ მოყვანილ რიცხვებს არა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა სიგრძე-სიმოკლის დადგენისათვის“: აქ მთავარია ის, რომ, მაგ., ხმოვნებისთვის დადგენილია ხუთი სხვადასხვა ხანგრძლივობა (ახვლედიანი, 1949, 122). ეს პირობა გარკვეულწილად გვათავისუფლებს ლაბორატორიული კვლევისაგან თუ შური ენის ხმოვანთა კვანტიტეტზე საუბრისას, თუმცა, კვანტიტატიური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ასეთი კვლევა მომავალში მხოლოდ წაადგება საქმეს.

ქართულენოვანი მკითხველისთვის, ვისთვისაც ხმოვანთა ასეთი სხვაობა უცნობია, ალბათ, სჯობს ათვლა და, შესაბამისად, ანალიზი დაფიქსოთ მათთვის (და ყველასათვის) კარგად ნაცნობი ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი, მარტივი) ხმოვნებიდან (თუ შური ენაში ჩვენ მიერ ახლად გამოვლენილი თუ განდასებული მოდელეები აღვნიშნოთ მუქად):



- 3. ირაციონალური ხმოვნები
- 2. მოკლე ხმოვნები
- 1. ნახევრადგრძელი ხმოვნები
- 4. გრძელი ხმოვნები
- 5. ზეგრძელი ხმოვნები

თუ შური ენის ხმოვანთა კვანტიტეტის ანალიზიც ამ თანმიმდევრობით იქნება წარმოებულ:

- 1. ნახევრადგრძელი (ჩვეულ.) ხმოვნები
- 2. მოკლე ხმოვნები
- 3. ირაციონალური ხმოვნები

4. გრძელი სმოვნები

5. ზეგრძელი სმოვნები

ლოგიკურად ბოლომდე გამართული არ უნდა იყოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, მოკლე სმოვნები უპირისპირდებიან გრძელ სმოვნებს (ЛЭС, 1990, 106): როგორც აქ დავინახეთ, მართალია, კვანტიტატიურ შკალაზე სმოვნები ერთ მთლიან ვერტიკალს შეადგენენ, მაგრამ, თუკი მოვინდომებთ ამ შკალის გრადაციული ანალიზის ჩატარებას, ანუ ჩახედვას შკალის შიგნით, დავინახავთ, რომ მოკლე სმოვნები, პირველ რიგში, უპირისპირდებიან არა გრძელ სმოვნებს – ნახევრადგრძელი სმოვნების გამოტოვებით, არამედ, ერთი მხრივ, მათსავე მიმდებარე ნახევრადგრძელ სმოვნებს, ხოლო მეორე მხრივ, ასევე მათ მიმდებარე ირაციონალურ სმოვნებს.

უნდა ითქვას ასევე, რომ, როგორც ჩანს, კვანტიტეტი სხვადასხვა ენაში იჩენს შინაარსობრივად სხვადასხვა (განსხვავებულ) ხასიათს როგორც ფონეტიკის, ისე ფონოლოგიის დონეზე. რუსული ენის ის სმოვნები, რომლებიც მოკლე სმოვნებად იწოდებიან, მაგალითად, პირველ მახვილისწინა პოზიციაში (**брати** [брати] 'ცხვარი'), ფიზიოლოგიურად მართლაც ჰგვანან თუშური ენის მოკლე სმოვნებს (შდრ. ბადრი 'პავშეები'), თუმცა აქაც დიამეტრული განსხვავება გვაქვს მახვილიანობის თვალსაზრისით. მაგრამ იმ სმოვნებს, რომლებიც მოკლეზე მოკლე (**сверхкраткие**) სმოვნებად იწოდებიან რუსული ენის მეორე და მომდევნო მახვილისწინა პოზიციებში, აგრეთვე მახვილის მიმყოფ პოზიციაში (**брахло** [бръхло] 'შველმანი', **пара** [пáръ] 'წყვილი'), ველარ გავაგივებთ თუშური ენის ირაციონალუბთან, რომლებიც კვანტიტატიური შკალით ასევე მოკლეზე მოკლე სმოვნებად ცნობიერდებიან. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თუშური ენის ირაციონალური სმოვნე-

ბი, ყველაფერთან ერთად, სულ სხვა ბუნებას ამჟღავნებენ, ვიდრე რუსული ენის მოკლე ანდა მოკლეზე მოკლე ხმოვნები.

გარდა ამისა, არც თუ შური ენის დიფთონგისეული და არა-დიფთონგისეული მოკლე ხმოვნების გაერთიანება შეიძლებოდა ერთი სახელის ქვეშ, რადგან განსხვავება მათ შორისაც ასევე არსებითია. მაგალითად, თუ შური ენის, ისევე როგორც ნებისმიერი ენის, დიფთონგისეული მოკლე ხმოვანი უსათუოდ უმახვილოა და არმარცვალმომცემი, მაგრამ აქვე გვაქვს მოკლე ხმოვნებიც, რომლებიც მარცვალსაც აწარმოებენ და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მახვილსაც ატარებენ (ბა'ღრი 'ბადრი (ანთრ.)' – ბა'ღრი 'ბაე შეები').

ამ თვალსაზრისით, ჩანს, ხუთსაფეხურიანი კვანტიტატიური შკალა საკმარისი არც არის იმისათვის, რათა სრულად წარმოგვიდგინოს კვანტიტეტის ზოგადფონეტიკური შესაძლებლობები. თუშკა ახალი შკალის შემუშავებამდე უნდა ვიხელომღვანელოთ არსებულით.

თუ შურ ენაში საქმეს კიდევ უფრო ართულებს ერთი არსებითი ვითარება. იმ შემთხვევაში, თუ სხვა განმასხვავებელი ფონოლოგიური ნიშანი არ მოიპოვება, ამა თუ სახელის ერთი და იგივე ხმოვანი საწყის ფორმაში შეიძლება სხვა ხანგრძლივობას ავლენდეს, ირიბ ბრუნვებში კი – სხვას. შღრ.⁴⁷

ან 'ანა'	–	ჰ <	ან 'ჭვალი'
ანჟ 'ანასი'	–		ანჟ 'ჭვლის(ა)'
ანენ 'ანას'	–		ანენ 'ჭვალს'

⁴⁷ დაპირისპირებული (ობოზიციური) წყვილების წევრებისთვის, ვფიქრობთ, შეიძლება ვერტიკალური განლაგებაც: ამგვარი გაფორმება გარკვეულწილად გაზრდის ვიზუალურ ეფექტს.

მეტიც, განსხვავებული კვანტიტატიური ნიშნის რეალიზაციას აქ დადგენილი ზღვარი არც კი უჩანს:

შე 'შტკაველი' - ჟე 'ცხვარი (კრებ.)'

შქ < შენ 'შტკავლის(ა)' - ჟქ < ჟენ 'ცხვრის(ა)'

შენ 'შტკაველს' - ჟენ 'ცხვარს'

შეგ 'შტკაველმა/შტკავლით' - ჟენგ 'ცხვარმა/ცხვრით'

გვაქვს აგრეთვე: შარ 'ღო' - შარი 'ღოები' (ქადაგიძე, ..., 1984, 668-669), ბარ 'ბარი (ვაკე)' - ბარლქ 'ბარელი/ბარიდან (ბარში მცხოვრები)' (ქადაგიძე, ..., 1984, 78-79).


ანუ: თუ ზ (< ან) 'ჭვალი' შემთხვევაში კვანტიტატიური ნიშანი ნათ. ბრინვიდანვე ჩაერთო ფორმათწარმოებაში, ჟე 'ცხვარი (კრებ.)' შემთხვევაში ის თავისი მისიის შესრულებას შეუდგა მიცემითი ბრუნვიდან.

გვაქვს 'და' კავშირის დიფთონგისეული რთული -აქ/-აჲ (თიტლაქ/თიტლაჲ 'ვაიჭრება და'), -ეჲ (ვეწეჲ 'უყვარს და'), -იქ/-იჲ (ხეცეიქ/ხეცეიჲ 'ჯღდება და'), -ოქ/-ოჲ (დალოქ/დალოჲ 'მოვა და'), -უქ/-უჲ (ხოცუქ/ხოცუჲ 'ქტევა და') პარალელური ვერსიებიც მათში შემავალი სრული წარმოების ხმოვანთა კვანტიტატიური მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ამ მრავალფეროვნებაში იგულისხმება ის, რომ თუ, მაგალითად, დაჰო 'მოიტანს და' ფორმაში 'და' კავშირის როლში გამოდის გრძელი ო, რთული ხმოვანთა ჩართვის შემთხვევაში გრძელი ო-ს ხანგრძლივობა ერთი საფეხურით იწევს ქვემოთ, რადგან სემანტიკის განსახვავებლად საქმეში ერთგვარად დიფთონგისეული - მოკლე - კომპონენტიც: დაჰო 'მოაქვს/მოიტანს' - დაჰო 'მოვაქვს/მოიტან' - დაჰო/დაჰოქ/დაჰოჲ 'მოიტანს და', ლო 'მისცემს' - ლო 'მისცემ' - ლო/ლოქ/ლოჲ 'მისცემს და'. ჩანს, ამ დიფთონგების მეორე (მოკ-

ლე) კომპონენტი იმ ძველისძველი და თავდაპირველი ბოლოკიდუ-
რი ე ხმოვნის რედუცირებული, მერე კი დაფიქროებული სახეა,
რომელიც კავშირის ფუნქციით დღეს ცალკეც გვხვდება წინადა-
დების თავში – შეწყვეტილი საუბრის გაგრძელებისას (ამაზე –
ცალკე).

ახლა ავიღოთ შემოსული სახელები, რათა უფრო კარგად
გამოჩნდეს კვანტიტატიური იგივეობაც და სხვაობაც: კრწტ *‘ონ-
კანი’* – კრწტმაქ *‘ონკანზე/ონკანთან’*; შტოლ *‘შავიდა’* – შტოლ-
მაქ *‘შავიდაზე’*; ძოლ *‘ძვალი’* – ძოლმაქ *‘ძვალზე’*; ველ *‘ველი’* –
ველმაქ *‘ველზე’*; ცელ *‘ცელი’* – ცელმაქ *‘ცელზე’*. ნახევრადგრძე-
ლია ძირისეული ა ხმოვანი შესიტყვებაში დაბწ სოფ *‘ვიცნობ /ძე
მას’*, მაგრამ მოკლეა იგივე ხმოვანი შეიტყვებაში სოფ *დაბწანო*
‘ძე ვიცნობო /მას’; გამოდის, მესამე პირის ნათქვამის გამეორები-
სას მოკლდება ის ხმოვანი, რომელიც ყველა სხვა ფორმაში ალბათ
ნახევრადგრძელია (შდრ. მასდარი: დაბწარ *‘ცნობა’*), ანუ გვაქვს:
დაბწ (< დაბწარ) – დაბწანო.

თუმცა, როგორც ჩანს, უმეტეს შემთხვევაში ვითარება მარ-
ტივია:



მეორე მხრივ, რაც პარადოქსს ემსგავსება, სწორედ ტექ-
სტების კითხვისას ვლინდება ხოლმე დაშვებული თუ გაპარული,
მანამდე გაუცნობიერებელი კვანტიტატიური უზუსტობები, რაც,
რა თქმა უნდა, უკვე დაგვიანებულია ხოლმე.

ასეთ პირობებში, რასაც ემატება, ერთი მხრივ, ის, რომ ხმოვნები საერთოდაც ცვალებადი ფონემებია, ხოლო მეორე მხრივ, ენის უმწერლობა, პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა ფორმისათუ სიტუაციის გადამოწმება – თუნდაც რამდენიმე ათეული სპეციალისტისთვის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

თუმცა ენის ხმოვანთა კვანტიტეტი სწორედ ფონეტიკის ის სფეროა, რომელიც, ყოველ ნაბიჯზე გვთავაზობს რა სულ ახალსა და ახალ სიურპრიზებს, მკვლევარს მუდმივ ეჭვებში ამყოფებს.

ნათქვამიდან გამომდინარე, ალბათ სჯობს, წინასწარვე გაცხადდეს ერთი რამ: ხმოვანთა კვანტიტატიურ ნაწილში ხარვეზებისგან არც წინამდებარე ნაშრომი იქნება დაცული. აქ მთავარია დიდად არ დაირღვეს ბალანსი, რაც ასევე საკმაოდ ძნელი გასაკეთებელია.

თუმცა ენის ხმოვანთა ხანგრძლივობისა და მათი ურთიერთდაპირისპირების თემა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით ბაცბოლოგიაში ახალი არ არის, მაგრამ ის დღემდე არც ცალკე არის გამოკვეთილი და არც დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, თავის დროზე თ. უთურგაიძე სამართლიანად შენიშნავდა, რომ თუმცა ენაში „გრძელი ხმოვნები უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება, ვიდრე ამას ი. დეშერიევი ვარაუდობსო“ (უთურგაიძე, 1966, 49). გარდა ამისა, თუმცა ი. დეშერიევი თვლის, რომ „ნახურ ენათა დიფერენციაციის შემდეგ ამ პროცესს (გრძელი და მოკლე ხმოვნების ფონეტიკურ დაპირისპირებას – ა. ბ.) განვითარება არ მისცემია“ (Дешериев, 1960, 43; ჩიქობავა, 1979, 49), მაგრამ ცოცხალ მეტყველებაზე სისტემატური დაკვირვება საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ამ დაპირისპირებას ჯერჯერობით აშკარად უკავია საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი.

აქ (და საერთოდაც) საინტერესოა არა ბგერების აბსოლუტური ხანგრძლივობა, რომელიც დამოკიდებულია წარმოთქმის ტემპზე და რომელსაც არ გააჩნია „თვალსაჩინო სამეცნიერო მნიშვნელობა“ (ახვლედიანი, 1966, 122), არამედ ის ხანგრძლივობა, რომელიც წარმოიქმნება როგორც ბგერის ფონეტიკურ პოზიციაში, ისე ისტორიულად დამკვიდრებული ტრადიციის წყალობით და რომელსაც უწოდებენ **სიგრძე-სიმოკლეს** (ახვლედიანი, 1966, 122).

რ. გაგუა შენიშნავს, რომ ყველა ხმოვანი, გარდა ჩვეულებრივი ხმოვნებისა, „მეორეულია ბაცბური ხმოვნითი სისტემისათვის, ყველა მათგანი პოზიციურია და მიღებულია გარკვეული ფონეტიკური პროცესის შედეგად“ (გაგუა, 1956, 469). **ი. დეშერიევი**, ეყრდნობა რა სათანადო ფაქტებს, თვლის, რომ გრძელი და მოკლე ხმოვნების ფონემატური დაპირისპირება ძველისძველი მოვლენაა ნახურ ენებში (**Дешериев**, 1960, 43).

აღბათ, უნდა გვახსოვდეს, რომ, თუმცა ფონეტიკური ცვლილებები, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ პოზიციითაც არის ხოლმე განპირობებული, მაგრამ შეიძლება ნებისმიერი პოზიციური დროთა მსვლელობაში იქცეს ტრადიციად და საერთოდ დაკარგოს პოზიციურობის ნიშანი. ამ თვალსაზრისით, თუშური ენის კვანტიტეტში ერთნაირად დომინირებს როგორც ერთი, ისე მეორე ნიშანი: თუ უმარცვლო ირაციონალური ხმოვანი ფუნქციონირებს მხოლოდ მარცვალთან შეკედლებით, მხოლოდ აუსლაუტში და მხოლოდ თანხმოვნის მიმყოფ, ამას ვერ ვიტყვით ამ ენის კვანტიტატურად განსხვავებულ სხვა ხმოვნებზე.

თუშური ენა ერთობ რთული და საინტერესოა თავისი სტრუქტურით: აქ ესა თუ ის ლექსიკური სიდიდე შეიძლება წარმოგვიდგეს კვანტიტატიური ნიშნით, რაც, თავის მხრივ, გამოხატულებას პოულობს სიტყვაში შემავალი ბგერის (ამ შემთხვევაში – ხმოვნის) სახით: სჩგო ‘*ეზო ში*’ (ess.) – სჩგო ‘*ეზო*’, საჩგილო

‘საინგილო ში’ (ess.) – საჭგილო ‘საინგილო’, შობილო ‘ფშაველი-ში’ (ess.) – შობილო ‘ფშაველი’ (ტაბ.). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თუშური ენის ბგერათრიალნობა გრამატიკული მოთხოვნისგან გამომდინარე არის სანქცირებული. ამიტომ არის, რომ თუშურ ენაში ხმოვანთა კვანტიტეტი ასე „თამამად“ ასრულებს დისტინქტურ (ანუ სიტყვათა თუ ფორმათა განმასხვავებელ, ფონოლოგიურ, სოციალურ) ფუნქციებს. მოკლედ, თუშურ ენაში ფონემის სიგრძე-სიმოკლე გამოყენებულია სიტყვათა თუ ფორმათა საწარმოებლად და, მასასადამე, სიტყვათმნიშვნელობისა თუ ფორმათმნიშვნელობის განსასხვავებლად მეტყველებაში, ანუ კვანტიტეტი აქ არის არა მარტო ფონეტიკური, არამედ ფონოლოგიური ღირებულებისა. სხვანაირად: თუშური ენის ხმოვანთა კვანტიტეტი რელევანტურია – გამოყენებული ენობრივ ერთეულთა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად.

იქ, სადაც მოცემული ფონეტიკური (თუ ფონოლოგიური) მოვლენა ტრანსფორმაციას განიცდის (როგორც, მაგალითად, ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე თუშურ ენაში), ლინგოაპარატურითაც კი ბევრჯერ უძლურნი აღმოვჩნდებით ანალიზისთვის, რადგან ერთი და იმავე სიგრძის ხმოვანს, თუ მას ფონემური ფუნქცია არ (აღარ) აკისრია, არაერთგვაროვნად წარმოთქვამენ მოცემულ სიტყვაში არათუ სხვადასხვა, არამედ თვით ერთი და იგივე ინფორმანტები. მაგრამ იქ, სადაც ხმოვნის სიგრძე-სიმოკლეს ჯერ კიდევ გააჩნია სიტყვათ- თუ ფორმათმწარმოებლური და, მასასადამე, სიტყვათ- თუ ფორმათგანმასხვავებელი მკაცრი ფუნქცია, ლინგოაპარატურის გარეშეც შეგვიძლია დაკვირვების წარმოება და სათანადო დასკვნებამდე მისვლა. პირველ შემთხვევაში (როცა ხმოვნის სიგრძე-სიმოკლეს დაკარგული აქვს ფონემური ფუნქცია) ანალიზს აზრი ეძლევა დიაქრონიული თვალსაზრისით, მეორე შემთხვევაში კი (როცა ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე ჯერ კიდევ

ფონემური ხასიათისაა) – სინქრონიული თვალსაზრისით. აქ ყურადღება გამახვილდება თუშური ენის ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეზე ძირითადად სინქრონიული თვალსაზრისით.

თუშური ენის ხმოვანთა ხანგრძლივობა ზოგადად, აბარატურული წესით, წამებში არ არის გამოთვლილი, მაგრამ არცთუ ძნელია მათი ერთმანეთისადმი და ქართული ხმოვნებისადმი მიმართების დადგენა და ამის მიხედვით მაგალითების წარმოდგენა და მსჯელობა.

ამიტომ: ჯერ, შეძლებისდაგვარად, მოვანდინოთ თუშური ენის ხმოვნების ხანგრძლივობის შედარება, ერთი მხრივ, ქართულენოვანი ხმოვნების ხანგრძლივობასთან, ხოლო მეორე მხრივ, თვით თუშურენოვანი ხმოვნების ხანგრძლივობასთან.

ქართულ და თუშურ ენებში, შეიძლება თამამად ითქვას, თავისი ფუნქციით ლექსიკური მახვილი ერთი ტიპისაა და მისი ხასიათი, რომელიც სხვა ენებში (მაგალითად, რუსულში) გავლენას მოახდენდა ხმოვნის ხანგრძლივობაზეც და მის ფონემობაზეც (ახვლედიანი, 1966, 122), აქ, ტიპოლოგიური შედარებისას, ხელს არ შეგვიშლის.

უსათუოდ ერთნაირი ხანგრძლივობისაა, მაგალითად, ქართულენოვან და თუშურენოვან სიტყვებში⁴⁸:

- ა ხმოვანი (წამი – წა 'სახლი'; არხი – არლჷ 'მარცხენა'; აფრა – აფჷ 'შწვანე')
- ე ხმოვანი (ეცი! – ეცჷ 'იყიდა'; ეხატება – ეხარ 'დაბერწება'; ეპყრა – ეპწარ 'წველა')
- ი ხმოვანი (იხდის – იხდანორ 'დადენილობა'; იშვა – იშტ 'ასე'; ის – ის 'ეგ')
- ო ხმოვანი (ობი – ობი 'ისინი'; ორკუზიანი – ორკულ 'კორგალი ძაფისა')

⁴⁸ ამ ეტაპზე შედარება ჩავატაროთ ოდენ დისრტიბუციულ დონეზე.

უ ხმოვანი (უთხრა – უთხ *ნაჭერი*; ულაცი – ულო *ზეგ*)

საკუთრივ ქართული ენის ხმოვანთა კვანტიტეტზე ოდნავ ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ კი ერთხელაც გავიმეოროთ და აღვნიშნოთ, რომ თუშური ენის შიგნით უსათუოდ სხვადასხვა კვანტიტეტისაა ერთი და იგივე ხმოვანი შემდეგ წყვილებში⁴⁹: ას *‘შე’* (ერგ.) – ას *‘ხბო’*; დალარ *‘მოკვდობა’* – დალარ *‘ჭერა’*; ბესკ *‘პრალო’* – ბესკ *‘დააბი!’*; მელ? *‘რამდენი?’* – მელ? *‘უფრო’*; დოსკ *‘ღრუბელი’* – დოსკ *‘გაყიდე!’*; დოლ *‘თივა’* – დოლ *‘მოდი’*; დო *‘წავა’* – დო *‘წახვალ’*; სანგო *‘ეზომი’* (ess.) – სანგო *‘ეზო’*; ჩუ *‘შე-/ჩა-/და-’* – ჩუ *‘მუკელი/შეგნეულობა’*; დასალ *‘მოიტანე რა’* – დასალ *‘მოიტანოს’*; აღალ *‘უთხარი რა’* – აღალ *‘უთხრას’*; დობალ *‘წადი რა’* – დობალ *‘წავიდეს’*; დავდარ *‘შემსუბუქება’* – დავდარ *‘ხოცვა; დაკარგვა’*; დაყდალ? *‘გახმა’* – დაყდალ? *‘შეიჭამა’*; დანარ *‘წასვლა’* – დანარ *‘ცხოვრება’*...

არ შეიძლება აგრეთვე ერთნაირი კვანტიტეტისა იყოს ა ხმოვანი თუშურენოვან ორ სიტყვაში, რომლებიც ერთ წინადადებას შეადგენენ – ვაშ ვაშ *‘შა გაპარსე!’*; არ შეიძლება ერთნაირი ხანგრძლივობისა იყოს არც ა და არც ო ხმოვნები სიტყვებში ვაშო *‘პარსავ’* – ვაშო *‘პარსავს’*; ასევე სხვადასხვა კვანტიტეტისაა ვაშ-მარცვლისა და ვაშ კომპონენტის ა ხმოვანი მაგალითებში ვაშ ვალ? [ვაშვალ?] *‘შა მოკვდა’* – ვაშვალ? [ვაშვალ?] *‘გაპარსა’*.

თუმცა აქ არ ექნება ადგილი ფონოლოგიურ დონეს, მაგრამ სხვადასხვა ხანგრძლივობის მქონე ხმოვნების არსებობა თუშურ ენაში კარგად აღიქმება, თუკი ერთნაირი ხანგრძლივობის მქონე

⁴⁹ შესაფერისი სიმბოლოებით არ აღვნიშნავთ ხმოვანთა ხანგრძლივობას: გვინდა ასეთი აღნიშვნის საჭიროების შეგრძნება თავისთავად გაუჩნდეს ამ სფეროში ასე თუ ისე გათვითცნობიერებულ მკითხველს, რაც დაგვეხმარება მისი მხრიდან კვანტიტატიური განსხვავების დადასტურებაში აქ.

ხმოვნებიან სიტყვათა რიგში მოულოდნელად აღმოჩნდება სულ სხვა სიტყვა (ან ფორმა) სხვა ხანგრძლივობის ხმოვნით:

ლაფსარ 'ვაშრობა' (გრლუვ.) – ლასარ 'ვაცრა'

ლაქდარ 'ვადავლება' – ლასარ 'ვაცრა'

ლაჭყდარ 'დამაღვა' (გრდმ.) – ლასარ 'ვაცრა'

ამგვარ მიმართებას, რომელიც გარკვეულწილად გვეხმარება ბგერათა ხასიათის გამოვლენაში, ვუწოდებთ ირიბ ფონოლოგიურ შეწყვილებას (ირიბ ოპოზიციურ წყვილებს).

თუ სიტყვათა ამ რიგს ვერტიკალური სვეტის სახით დავალაგებთ და ქართული თარგმანის გარეშე საკმაოდ სწრაფად ჩავიკითხავთ, უსათუოდ ვიგრძნობთ ა ხმოვნის გაგრძელების აუცილებლობას ბოლო (ლასარ) სიტყვის ლა- ნაწილში – წინა სიტყვების ლა- ნაწილის ა ხმოვანთან შედარებით, ანუ აღმოვაჩინებთ, რომ, ბოლო (მეთხე) სიტყვის ლა- ნაწილის ა ხმოვანთან შედარებით, წინა სამი სიტყვის ლა- ნაწილის ა ხმოვანს წარმოვთქვამთ მოკლედ:

ლაფსარ

ლაქდარ

ლაჭყდარ

ლასარ

ასევეა, მაგალითად, ბოლო სიტყვის ე-ც მონათესავე სიტყვების შემდეგ სვეტში:

ჟერდალარ 'დაქვრივება'

ჟერდალი 'დაქვრივდა'

ჟერლა 'ქვრივდება'

ჟერო 'ქვრივი'

მსგავსი მაგალითები საკმარისად მოიპოვება⁵⁰.

თუშური ენის ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეზე საუბრისას უსათუოდ უნდა გავიხსენოთ ი. დეშერიევის კაპიტალური მონოგრაფია, სადაც ავტორი ადასტურებს თუშურ ენაში გრძელი ჯ და ზ ხმოვნების არსებობას, ცნობს აგრეთვე გრძელი რ და ჟ ხმოვნების არსებობას, ოღონდ შენიშნავს, მათი სიგრძე-სიმოკლე არ არის განპირობებული ფონემატური დაპირისპირებულობით, ხოლო უ ხმოვანთან დაკავშირებით ბრძანებს, რომ მას არ გააჩნია გრძელი სახესხვაობა (Дешериев, 1953, 36).

უნდა ითქვას, რომ თუშურ ენაში გრძელი რ ფონემის არსებობა გრძელი ჯ ფონემის არსებობაზე კიდევ უფრო აშკარაა, რაც ნაწილობრივ უკვე გამოჩნდა ზემოთ (სჭგო 'ეზოში' (ess.) – სჭგო 'ეზო'. ასევე აშკარაა გრძელი ჟ და ჟ ფონემების ფუნქციონირება თუშურ ენაში. ყოველივე ამაზეც ცალკე იქნება მსჯელობა.

აკუსტიკურად სრულიად ნათელია და უდავო ის, რომ ამა თუ იმ კონკრეტული ოპოზიციური მიმართების შემთხვევაში თუშური ენის ერთი და იგივე ხმოვანი კვანტიტატიურად განსხვავებულია სხვადასხვა სიტყვებსა თუ ფორმებში, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი და იგივე ხმოვანი თუშურ ენაში იძლევა სხვადასხვა ფონოლოგიური ხარისხის მქონე კორელატებს. მაგალითად, ა ხმოვანი წარმოგვიდგება საკუთრივ ა ხმოვნისა და მისგან კვანტიტატიურად განსხვავებული ა-ს სახით. იგივე შეიძლება ვთქვათ დანარჩენ ხმოვნებზეც – მეტი ან ნაკლები ოდენობით.

მაგრამ იმისათვის, რომ დავადგინოთ, სახელდობრ, როგორ განთავსდება ეს განსხვავება კვანტიტატიურ შკალაზე, ბევრჯერ საჭირო ხდება აბსოლუტურად ყველა ოპოზიციური წყვილის „გატარება“ (შემოწმება) სპეციალურ აპარატურაზე. ანუ აქ იმის თქმა

⁵⁰ ვიძიებთ, კვანტიტეტის აღმნიშვნელ დიაკრიტიკულ ნიშნებს იმავე მოსახლეობით ჯერჯერობით არც აქ მივმართავთ.

გვსურს, რომ, მართალია, კ. ჭრელაშვილის მიერ ექსპერიმენტულად (აპარატურულად) იქნა გამოვლენილი, მაგალითად, კვანტიტატიური განსხვავება ქართული 'ზემსი' და 'ფასი' ლექსემების თუშორენოვან ეკვივალენტებში (შესაბამისად) მან და მან, სადაც მიხნეული იქნა, რომ მან 'ზემსი' სიტყვაში ხმოვანი გრძელია, მან 'ფასი' სიტყვაში კი – მასზე მოკლე, ანუ ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი), რაც, უნდა ვაღიაროთ, წინ გადაგმული ნაბიჯი იყო. მაგრამ ეს გაკეთდა გარკვეული ოდენობის მაგალითების პარამეტრებში, რაც შესაძლოა ყოველთვის არ იძლეოდეს ზუსტ და, მაშასადამე, სრულ ინფორმაციას. ასეთი ეჭვის საფუძველს იძლევა ის აშკარა რეალობა, რომ, მაგალითად, სიტყვაში დაწინააღმდეგებელი 'ძვირი, ძვირფასი (მძიმე ფასისა)', რომელიც მიღებულია სიტყვებიდან დაწინააღმდეგებელი 'მძიმე' და მან 'ფასი', -მან- ნაწილში არანაირად აღარ დასტურდება მოკლე ხმოვანი. ანუ: არ გაგვაჩნია ზუსტი ცნობები ხმოვანთა კვანტიტეტის თაობაზე აბსოლუტურად ყველა სიტყვასა თუ ფორმაში.

ირიბი შეწყველება (და ისიც – ტიპოლოგიური) ბევრ სხვა შემთხვევაშიც გვიწევს კარგ სამსახურს ბევრათა ამა თუ იმ ხასიათის გამოვლენაში შედარებულ ენათაგან რომელიმეში. მაგალითად, ქართული ლექსემა ალება (რელიგ.) თუშორ ენაში შემოვიდა ალებ სახით, რომლის აკუსტიკის შედარებაც ქართულ სიტყვასთან ალება 'ზელში დაჭერა' ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ ამ უკანასკნელის ბოლოკიდურ ხმოვანს განსხვავებული ხანგრძლივობა უნდა ჰქონდეს, რაშიც დაერწმუნდებით კიდევაც, თუკი ამ სიტყვას შევადარებთ ქართულენოვანსავე სიტყვას ალება 'დიდმარხვის დაწყების წინა ღამე? ალება დიდმარხვის დაწყების წინა ღამე' – ალება 'ზელში დაჭერა'.

ამ – განსხვავებულ – მიდგომასა თუ მოსაზრებამდე მისვლის შანსს იძლევა ტიპოლოგია ქართულ ენასთან, რომელსაც თუშორი

ენის მატარებლები ისევე ფლობენ, როგორც თუშური ენას, იმდენად, რომ „მეტყველების პროცესში ბუნებრივად გადაერთვებიან ერთი ენობრივი სისტემიდან მეორე ენობრივ სისტემაში ისე, რომ ამ გადასვლას ვერც კი გრძნობენ“ (ჭრელაშვილი, 2002, 292).

გავიშორდეთ: ამგვარი კვანტიტატიური ლაბირინთებიდან თავის დასაღწევად საჭიროა თითოეული სავარაუდო ოპოზიციური წყვილის აპარატურული (უკიდურეს შემთხვევაში – ფონოლოგიური) ანალიზი. იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად მწყობრი და საბოლოო დახასიათება მივცეთ თუშური ენის ხმოვანთა კვანტიტეტს, გარდაუვალია თითოეული მეტყველების ნაწილის ყველა შესაძლო ფორმის უთუო და სკრუპულოზური გადამოწმება. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი უამრავი მომენტი დარჩება სადავო. უსათუოდ არის გასათვალისწინებელი ცალკეულ ცდისპირითა ფაქტორიც, რომელიც ყოველთვის არ არის ადეკვატური. ამითაც არის გამოწვეული კვანტიტატიური ხასიათის ხარვეზები როგორც საილუსტრაციო მასალაში, ისე ტექსტებში, განსაკუთრებით კი ლექსიკონებში.

ამიტომაც: ამ მსჯელობას ვაწარმოებთ და წარმოვადგენთ არა სადღეისოდ არსებული შედეგების დასაკნინებლად კვანტიტეტის სფეროში, არამედ კვანტიტატიური მდგომარეობის კონსტატაციის მიზნით – სამომავლო კვლევა-ძიებათათვის. ანუ ამ ეტაპზე, ერთი მხრივ, ძირითადად ვცნობთ ჩვენამდელ მონაპოვარს კვანტიტეტში, მეორე მხრივ, წარმოვადგენთ საკუთარ ინტერპრეტაციას თუშური ენის ამ ურთულეს ნაწილში, ხოლო, მესამე მხრივ, ხაზგასმით მივანიშნებთ იმაზე, რომ არც ჩვენი დანატოვარი იქნება ამ მხრივ უხარვეზო.

თუშური ენის ხმოვნებში ვარჩევთ ზოგადი ფონეტიკით გათვალისწინებულ ხუთივე ტიპს: ნახევრადგრძელ (ჩვეულებრივ), მოკლე, ირაციონალურ, გრძელ და ზეგრძელ ხმოვნებს.

უთუოდ აჯობებს ჯერ ის ხმოვნები წარმოვადგინოთ, რომლებიც ქართულენოვან მკითხველთათვის ნაცნობია. ესენია **ნახევრადგრძელი**, ანუ **ჩვეულებრივი ხმოვნები**; ამრიგად, განხილული იქნება:

1. **ნახევრადგრძელი (ჩვეულ.) ხმოვნები**
2. **მოკლე ხმოვნები**
3. **ირაციონალური ხმოვნები**
4. **გრძელი ხმოვნები**
5. **ზეგრძელი ხმოვნები**

იქ, სადაც სახეზეა ბგერათა – ამ შემთხვევაში ხმოვანთა – არტიკულაციის ხანგრძლივობის სულ ცოტა ორი სახეობა, ორიდან ერთ-ერთი შეიძლება ვცნოთ მოკლე სახეობად მეორის მიმართ, ხოლო მეორე – გრძელ სახეობად პირველის მიმართ. მაგრამ რა უნდა ვუწოდოთ ხანგრძლივობას, როცა მოცემულ ენაში ის ერთადერთი სახეობისაა, ანუ არც გრძელია, არც მოკლე?

აქ თავისთავად უნდა შემოვიდეს კიდევ ერთი განზომილება, კვანტიტეტის კიდევ ერთი სახე, რომელიც არც გრძელია, არც მოკლე. სწორედ ამ სახეობასთან მიმართებაში უნდა ვცნოთ დანარჩენ ბგერათა სიგრძე-სიმოკლეს.

ამ თვალსაზრისით, ერთგვარად ძნელდება წარმოვიდგინოთ მოცემულ ენაში ან მარტო გრძელი, ან მარტო მოკლე, ან გრძელი და მოკლე ხმოვნების არსებობა. მაგრამ თუ ასეთი რამის წარმოდგენა მაინც დასაშვებია, სადღაც უსათუოდ უნდა არსებობდეს ხმოვნები, რომლებიც არც გრძელია, არც მოკლე. ასეთ ხმოვნებს ვუწოდებთ **ჩვეულებრივ**, ანუ **ნახევრადგრძელ** ხმოვნებს, რომლებიც, ქართულ ენასთან ერთად, გააჩნია თუ შერ ენასაც.

თუ შერ ენის **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნები ქართული ენის **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნების ეკვივალენტურია, რომლებიც წარმოადგენენ ჩვეულებრივ (მარტო), ყველასათვის ნაცნობ ბგერებს. ხოლო რაკი

ქართული ხმოვნები არც ირაციონალურია, არც მოკლე, არც გრძელი და არც ზეგრძელი, მაშასადამე, აქ – ქართულ ენაში – საქმე გვაქვს ნახევრადგრძელ ხმოვნებთან, რაც იმასაც ნიშნავს, რომ, თუშური ენის ა, ე, ი, ო, უ ხმოვნებიც ნახევრადგრძელი ხმოვნებია. მაშ, თუშურ ენაში ამოსავალ ხმოვნებად (ზემოთ – სიმოკლისკენ, ხოლო ქვემოთ – სიგრძისკენ) უნდა ვცნოთ სწორედ ეს – ნახევრადგრძელი, ანუ ჩვეულებრივი – ხმოვნები.

ბოლოს, აკუსტიკური თვალსაზრისით, დღეს თუშურ ენაში თითქმის იშლება ზღვარი როგორც გრძელსა და ნახევრადგრძელ, ისე ნახევრადგრძელსა და მოკლე ხმოვნებს შორის. რაც შეეხება ირაციონალურ ხმოვნებს, მათი განსხვავება იოლია დანარჩენი ხმოვნებისგან, მაგრამ სამაგიეროდ მათი გავრცელების არეალია უკიდურესად ვიწრო. წინამდებარე გამოკვლევას არ გააჩნია პრეტენზია, საბოლოო ახსნა მისცეს თუშური ენის ხმოვანთა ამ საინტერესო თვისებასა თუ თავისებურებას. ეს იქნება თუშური ენის ხმოვანთა სისტემის კვანტიტეტის რამდენადმე გაფართოებული კვლევა.

§ 2. თუშური ენის ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი) ხმოვნები

მახვილი თუშურ ენაში

ერთმანეთს შევადაროთ ქართული და თუშური ენების ხმოვნები სიტყვის შემადგენლობაში (ანლაუტში დაცულია ერთნაირი დისტრიბუციული ფონი):

ქართ. ენ.	თუშ. ენ.
აბგა	– აბარ ‘კერვა’
აღვანი	– აღვინა ‘აღვანი’
ეგალობა	– ეგარ ‘შერევა’

- ეტარებინა – ეტარ ‘სკდომა’
 ისერის – ისკამპ ‘წკიპურტი’
 იშვიათი – იშ ‘ხმა’
 ოლოლი – ოლოკ ‘იდაყვი’
 ოწინარი – ოწარ ‘გაწვევა / აწონვა / მოწველა’
 უთხოვარი – უთხრ ‘ნაჭერი’
 ულოკავს – ულო ‘ზევ’

ჩვეულებრივი ხმოვნები სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია აგრეთვე წმინდა, მოკლე, სადა ხმოვნების სახელითაც (ჩიქობავა, 1979; Дешериев, 1953). ჩეჩნური ენის ხმოვანთა სისტემის წარმოდგენისას დ. იმნაიშვილი ამ ხმოვნებს მოიხსენიებს მოკლე ხმოვნების სახელწოდებითაც, ხოლო თუშურენოვანი ხმოვნების წარმოდგენისას ის განასხვავებს მარტივ (ე. ი. ჩვეულებრივ, ნახევრადგრძელ – ა. ბ.), გრძელ და მოკლე ხმოვნებს (იმნაიშვილი, 1962).

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიხედვით, თუშურ ენაში „გარჩეულია: სადა ხმოვნები: ა, ე, ი, ო, უ; ნაზალური: ა, ქ, ჩ, ოჩ, უჩ; გრძელი: ნ, ო, ი“ (ჩიქობავა, 1979, 46). იგივე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ქართულ ენაში არჩევს ხუთ ხმოვანს: ა, ე, ი, ო, უ (ჩიქობავა, 1979, 42).

აქ არ არის დაზუსტებული არც ის, რას ნიშნავს სადა ხმოვნები თუშურ ენაში და არც ის, შეიძლება თუ არა ქართულ ხმოვნებსაც ვუწოდოთ სადა. თუმცა იქვე განმარტებულია, რომ თუშურ ენაში „ხუთ სადა ხმოვანს ხუთი ნაზალური ეფარდება“ (ჩიქობავა, 1979, 46), რის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ სადაში აქ ჩადებულია ნაზალიზებული საპირისპირო ცნება. მაგრამ ბალსემოური სევანურის ხმოვანთა დახასიათებისას სადა ნახმარია გრძელთან შეპირისპირებაში (ჩიქობავა, 1979, 47); ბავგალაღური, ტინდიური, ბეჟიტურ-კაპუჭური ენების ვოკალიზმის დახასიათებისას სადა დაპირისპირებულია როგორც გრძელთან, ისე ნაზალი-

ზებულთან (ჩიქობავა, 1979, 44-45). ამასთანავე, ალბათ, სადა ხმოვნების გაგებით არის ნახმარი აგრეთვე ცნებები მარტივი ხმოვნები (ჩიქობავა, 1979, 43) და წმინდა ხმოვნები (ჩიქობავა, 1979, 45). დ. იმნაიშვილი წმინდა ხმოვნებს დიდოურ ენაში უპირისპირებს გრძელ ხმოვნებს (ჩიქობავა, 1979, 45). თუშური ენის სადა (**простые**) ხმოვნები ი. დეშერიევთან დაპირისპირებულია ცხვირისეულ ხმოვნებთან და ა. შ.

რაკი თუშურ ენაში ვარჩევთ გრძელ ხმოვნებსაც, ეს თავისთავად ითვალისწინებს, რომ აქვე უნდა გავარჩიოთ „არაგრძელი“ ხმოვნებიც, რადგან გრძელი შეიძლება ეწოდოს საგანს ან მოვლენას სხვა, არაგრძელ საგანთან ან მოვლენასთან მიმართებაში. იგივე ითქმის თუშური ენის მოკლე და ნახევრადგრძელი ხმოვნების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით: ამ ენის ხმოვანთა სისტემის ანალიზისას ი. დეშერიევი წარმოგვიდგენს მოკლე და გრძელ ხმოვნებს, რის გამოც კვლავ ერთგვარი უკმარისობის შეგრძნება ჩნდება: გრძელის მიმართ მოკლე, რა თქმა უნდა, იქნება მოკლე, ხოლო მოკლის მიმართ გრძელი – გრძელია. არის თუ არა თუშურ ენაში ისეთი ხმოვნები, რომლებსაც ერთი მხრიდან უპირისპირდება გრძელი, ხოლო მეორე მხრიდან მოკლე ხმოვნები? გვაქვს თუ არა თუშური ენის კვანტიტეტში ამოსავალი წერტილი მოკლე და გრძელი ხმოვნებისთვის?

ი. დეშერიევის ტერმინოლოგიით ასეთი წერტილი არა ჩანს, რადგან ის ხმოვანთა ერთ-ერთ სახეობას უწოდებს მოკლეს, ხოლო მეორეს – გრძელს. და როცა თუშური ენის მოკლე ხმოვნებზე საუბრობს (Дешериев, 1953, 36-38), ი. დეშერიევს უთუოდ მხედველობაში აქვს სწორედ ეს – ნახევრადგრძელი, ანუ ჩვეულებრივი – ხმოვნები, რომლებსაც მოკლედ მიიჩნევს თუშურივე ენის გრძელ ხმოვნებთან მიმართებაში.

ნახევრადგრძელი ხმოვნები **ი**. დეშერიევის მონოგრაფიაში საერთოდ არ არის სახელდებალი, მაგრამ მის მიერ მოხმობილი თუშურენოვანი მაგალითები გვარწმუნებს, რომ მოკლე ხმოვნებად წოდებული ხმოვნები ქართული ენის ნახევრადგრძელი ხმოვნების იდენტური ხმოვნებია.

საჭიროა ტერმინთა თუ ცნებათა მოწესრიგება, სიცხადის შეტანა თითოეულ ფაქტსა თუ დეტალში.

თუ, როგორც წესი, ტერმინით **მარტივი ხმოვნები** აღინიშნება ხმოვნები, რომლებიც უპირისპირდება **რთულ ხმოვნებს**, ანუ **დიფთონგებს** (რადგან **მარტივი** არის ის, „რაც შემადგენელ ნაწილებად არ დაიშლება“ – ქეგელ, 1990, 620), თუ **ნახევრადგრძელი ხმოვნები** უპირისპირდება **ირაციონალურ, მოკლე, გრძელ და ზეგრძელ ხმოვნებს**, თუ **ორალური ხმოვნები** აღნიშნავენ ხმოვნებს, რომლებიც უპირისპირდება **ნაზალურ**, ანუ **ცხვირისეულ ხმოვნებს** და ა. შ., მაშინ **მარტივი, ნახევრადგრძელი, ორალური, წმინდა, სადა** და ა. შ. ხმოვნები ამავე დროს ის **ჩვეულებრივი ხმოვნებიცაა**, რომლებიც ერთნაირ მიმართებაშია **რთულ, ირაციონალურ, მოკლე, გრძელ, ზეგრძელ, ნაზალურ** და ა. შ. ხმოვნებთან. თუშური ენის სწორედ ასეთ, **ჩვეულებრივ ხმოვნებზეა** აქ საუბარი, რომლებიც **ნახევრადგრძელიცაა**, ოღონდ ყველა სხვა ხანგრძლივობათა მქონე ხმოვნებთან მიმართებაში.

ჩვეულებრივ ხმოვნებს შეიძლება ვუწოდოთ აგრეთვე **ძირითადი ან ამოსავალი ხმოვნებიც** (არა მარტო თუშურ ენაში): ეს ის ხმოვნებია, რომლებიც გვხვდება ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და ა. შ. ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილ ენებშიც. ანუ შეიძლება ასეც ვთქვათ: ეს ის ხმოვნებია, რომლებიც საერთოა მსოფლიოს ენათა საარტიკულაციო ბაზისისათვის. ამიტომ, საჭიროების შესაბამისად, მათ გვთავაზობენ ხოლმე ლათინური გრაფემებითაც – **a, e, i, o, u**. ესინი წარმოდგენენ ყველა ჩვენგანის-

თვის აღქმადსა და ნაცნობ ხმოვნებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ეს თუშურ-ქართული ხმოვნები, წარმოადგენენ რა მსოფლიოს ენებისათვის ჰომოგენურ (შემაღვენლობით, წარმოშობით, თვისებებით ერთგვაროვან) ბგერებს, ფონეტიკურ უნივერსალიებს მიეკუთვნებიან.

ხმოვანთა სისტემის ანალიზისას თუშური ენის ერთსა და იმავე ე ხმოვანს **ი**. **დეშერიევი** გრაფიკულად გადმოსცემს ორგვარად – **ჟ**-თი და **ე**-თი, რომელთაგან **ე**-ს უწოდებს **ჟ**-ს ვარიანტს (Дешериев, 1953, 37). ე. ი. თუშური ენის ერთსა და იმავე ე ფონემას **ი**. **დეშერიევი** გადმოსცემს ორი გრაფიკით, რითაც ერთ შემთხვევაში დაცულია ფონემის ფონეტიკური იერსახე, მეორეში კი – არა.

ცალკე უნდა შევეხოთ თუშური ენის ხმოვანთა ლოკალურ რიგს. **ი**. **დეშერიევი** ამბობს: ინგლისური ენის უკანა რიგის ხმოვნებთან შედარებითაც კი თუშური ენის ხმოვნები იწარმოებიან იმდენად უკან, რომ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, **ა**, **ო**) სიტყვის თავში წარმოითქმის თითქმის ხორხში (Дешериев, 1953, 40-41): „სიტყვებში **ახ** ‘*მოხანი*!’, **ახრობ** ‘*თახლი*’ თავკიდური **ა** ქლერს თითქმის ისევე, როგორც ხორხისმიერი **ღ** (მისეულა გრაფიკით – **ღ**)“ (Дешериев, 1953, 41).

როგორც ვხედავთ, აქ ასპარეზზე შემოდის თანხმოვანი **ღ**, რომელსაც კვლავაც დაეუბრუნდებით⁵¹.

რაც შეეხება ე. წ. რბილ **აბ**, **ობ**, **უბ** ხმოვან ფონემებს (ან თუნდაც ბგერებს) თუშურ ენაში, რომლებზედაც საუბრობს **ი**. **დეშერიევი** თავის მონოგრაფიაში, უსათუოდ უნდა შეინიშნოს, რომ გაუგებარია, რაზეა ლაპარაკი. აქ, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ უმლაუტიანი **ა**, **ო**, **ი** ხმოვნები, რადგან ამას შესაძლოა ადგილი ჰქონ-

⁵¹ ამასაც ვგულისხმობდით, როცა ვსაუბრობდით ხმოვნებისა და თანხმოვნების ურთიერთმიმართებაზე.

დეს სხვა ნახურ ენებში, რომლებსაც ი. დეშერიევი უთუოდ კარგად ფლობდა, მაგრამ სრულიად წარმოდგენელია თუშურენოვანი ცოცხალი მეტყველებისთვის.

როგორც რ. გაგუა იტყობდა, თუშური ენის ჩვეულებრივი ხმოვნები პირველადი ხმოვნებია, ამავე ენის ყველა სხვა ტიპის ხმოვნებისაგან განსხვავებით (გაგუა, 1956, 469). თუშურ ენაში ეს ყველაზე გავრცელებული ხმოვნებია. არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა, 1979, 46), სადას უწოდებს რა თუშური ენის ა, ე, ი, ო, უ ხმოვნებს (თუშურიევი ენის ნაზალიზებული, გრძელი და ა. შ. ხმოვნებისაგან განსხვავებით), აღნიშნავს, რომ ქართულში გვაქვს იგივე ხმოვნები – ა, ე, ი, ო, უ (ჩიქობავა, 1979, 42). ამიტომ ამ ხმოვნებს საერთოდ არ სჭირდება განმასხვავებელი დიაკრიტიკული ნიშანი (სიმბოლო) და ქართულენოვანმა მკითხველმა ისინი უნდა წაიკითხოს (წარმოთქვას) სწორედ ისე, როგორც კითხულობს (და წარმოთქვამს) ქართულ ხმოვნებს.

კიდევ რამდენიმე მაგალითი ცოცხალი თუშურენოვანი მეტყველებიდან: წა ‘სახლი’, ფე ‘მხარი/მხარე’, დიკ ‘ცული’, ცო ‘არა’, ცუ ‘ქუმელი’, უჩი ‘სიბნელე’, ყოჩურ ‘თავით გაკეთებული დარტყმა’, ქოჩორ ‘დეკა/ქოჩორი’, ფჰორ ‘ვახშამი’, მატრ ‘სადილი’, ლაპარ ‘რაიმე დადებითით, კარგით თავის მაქსიმალურად დაკმაყოფილება’ და ა. შ.

თუშური ენისთვის ა. შიფნერსაც აქვს წარმოდგენილი ა, ე, ი, ო, უ ჩვეულებრივი ხმოვნები, რომლებსაც მოკლე (არაგრძელ – ა. ბ.) ხმოვნებად მიიჩნევს (Schiefner, 1859, § 1, 2). მხოლოდ მცირე რაოდენობის სიტყვებში ამჩნევს გრძელ ა-ს: მან⁵² ‘ნემსი’, მანჯ ‘მა-

⁵² ა. შიფნერთან გრძელი ხმოვანი აღნიშნულია ^ დიაკრიტიკით.

კა’, მწმქი ‘შალი’⁵³ და სხვ., სადაც მის სიგრძეს წინამავალი მ თანხმობის არსებობით ვარაუდობს (იქვე, § 2).

ა. შიფნერი თუშური ენის გაორმაგებულ ხმოვნებად წარმოგვიდგენს აა, ეე, იი, ოო, უუ ჯგუფებს (იქვე, 1859, §17). მაგრამ მის მიერ მოხმობილი მაგალითები – ვაარ ‘*მონვედრა (მონველება)*’, ლაარ ‘*ნდომა*’, ვაარ ‘*მოსვლა*’, ლეერ ‘*უნდოდა*’, ვეე ‘*მოვიდა*’, ხო-ოთ ვად ‘*გავიგებთ ჩვენ*’, ვუუზტყ „სამოცი“ და სხვ. ცხადყოფენ, რომ თუშური ენის პირველ მკვლევარს ჯერ არა აქვს გამოვლენილი ამ ენაში არც ინტერლექსიკური (ამ შემთხვევაში ხმოვანთა გამყოფი), არც აუსლაუტისეული მ (ანუ ’) თანხმობანი, რომელიც მას წარმოდგენილი აქვს ანლაუტის Ե-ს ადგილას (იქვე, 1859, §3). ამ მაგალითებში უნდა ყოფილიყო: ვაპარ (ქადაგიძე, ..., 1984, 832), ლაპარ (ქადაგიძე, ..., 1984, 374), ვაპარ (შდრ. მაპარ), ლეეერ (საწყისი ფორმიდან ლაპარ). გარდა ამისა, ვეე ფორმის ნაცვლად უნდა ყოფილიყო ვეეჟ (საწყისი ფორმიდან ვაპარ), სადაც მ-ს წინამავალი ხმოვანი ორალურია, მიმყოლი კი – ნაზალიზებული; რაც შეეხება ვუუზტყ კომპოზიტს, აქ მკვლევარის მიერ არასწორად არის გააზრებული პირველი უ, რადგან ამ რთული სიტყვის პირველ კომპონენტში გვაქვს არა *ვუ, არამედ – ვო ‘სამი’ (ვოუზტყ ‘სამოცი’ – ქადაგიძე, ..., 1984, 850). ისე რომ, ამ მაგალითებში გამო-რიცხულია აა, ეე, იი, ოო, უუ ხმოვანთა მიჯრითი ჯგუფები, რაც თითქმის არ ახასიათებს თუშურ ენას, თუმცა იი ჯგუფისთვის ა. შიფნერს უშეცდომოდ აქვს მიგნებული მაგალითები: ფხიიტ ‘*თხუთმეტი*’, შიიტ ‘*თორმეტი*’ (Schiefner, 1859, §17).

მოკლედ, ფონეტიკური თუ ფონოლოგიური თვალსაზრისით, თუშური ენის ნახევრადგრძელ ხმოვნებზე თითქმის იგივე შეიძ-

⁵³ შალი გერმანელ მკვლევარს გაცნობიერებული აქვს არა ქსოვილად, არამედ მოსახვევად, უფრო ზუსტად კი ბავშვის სახვევად (Windel), თუმცა აქ ეს არ არის მთავარი.

ლება გავიმეოროთ, რაც დღემდე ქართულ (ჩვეულებრივ) ხმოვნებზე თქმულა და დაწერილა.

აღარებს რა ხან რუსულ ხმოვნებს, ხანაც ინგლისურისას, იდეური თუ შური ენის ხმოვნებს აწეულობისა და, როგორც უკვე მივანიშნეთ, რიგის მიხედვითაც აძლევს მისეულ დახასიათებას, რასაც ვერ გავიზიარებთ. როგორც არ უნდა დავახასიათოთ თუ შური ენის ჩვეულებრივი (ძირითადი, მარტივი) ხმოვნები, თუკი ვილაპარაკებთ პარადიგმატიკის გეომეტრიულ მხარეზე, ლინგვისტური სამკუთხედიდან მაინც ვერ ამოვყრით მათ: ისინი ისევე უნდა განვალაგოთ სამკუთხედზე, როგორც განვალაგებთ ქართულ ხმოვნებს. ეს კია: თუ შურ ენაში გვაქვს ჩვეულებრივი ხმოვნების სხვადასხვა კორელატები კვანტიტეტის, ნაწალობისა და ა. შ. ნიშნების მიხედვით (რაც ცალკე სამკუთხედებს იძლევა და რაზეც ცალკე ვისაუბრებთ). ამიტომ თუ შური ენის ხმოვანთა სამკუთხედიც იქნება მრავალპლანოვანი, ანუ მრავალსიბრტყოვანი, მრავალგანზომილებიანი, სადაც პირველ სიბრტყეს (პირველ განზომილებას) დაიკავებენ ჩვეულებრივი ხმოვნები, რაც იმასაც ნიშნავს, რომ თუ შური ენის ჩვეულებრივი ხმოვნები უნდა წარმოვადგინოთ ჩვენ მიერ შექმნილებული სივრცობრივი (პერპექტიული) პარადიგმატიკის პირველ სამკუთხედზე.

რა შეიძლება ითქვას თუ შური ენის ჩვეულებრივი (ნახევრადგრძელი) ხმოვნების როლზე მეტყველებაში (გვულისხმობთ მორფოლოგიასა თუ სინტაქსს)? ისინი ზოგადად ასრულებენ იმავე ტიპის ფუნქციებს, როგორსაც ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები – ქართულ ენაში. თუმცა შეიძლება იმ ორიოდვე განსაკუთრებულ შემთხვევაზე შევაჩეროთ ყურადღება, რომლებიც იმდენად საინტერესოდ მიგვაჩნია, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ ცალკე თემად გამოგვეყო.

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ თუ შური ენის თავკიდური ა, ე, ო, უ ხმოვნების წარმოთქმას ა. შიფერი ახასიათებს სამეტყველო

ორგანოების დაჭიმულობით და კონსტატაციას უკეთებს *Spiritus lenis*-ს, ანუ ძლიერ შემართვას: **ცამურ** ‘*ღამე*’, **ცემურ** ‘*საფლავი*’, **ცოფინრი** ‘*გადახურული*’, **ცუნალ** ‘*ხელფასი*’ (Schiefner, 1859, § 3).

მაგრამ, ჯერ ერთი, აქ, თავკიდურში, დღევანდელი ბაცბოლოგიით დადგენილი და აღიარებულია არა **ც**, არამედ **წ** თანხმოვანი (უთურგაძე, 1966; ქადაგიძე, ..., 1984; ჭრელაშვილი, 1975; Дешериев, 1953). მეორე, თუკი აქ ვალიარებთ **ც**-ს, მაშინ ამავე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ თუშური ენის მეხუთე – ი – ხმოვნის დისტრიბუციაც, მაგალითად, სიტყვებში **წირი** ‘*ბასრი*’, **წიტარ** ‘*რბენა/სირბილი*’.

ასეა თუ ისე, ეს საკითხი ხმოვანთა (მარტო ხმოვანთა) თემაში განსახილველი არ ჩანს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზეც, რომ ხმოვნებზე საუბრისას შემთხვევითი არ უნდა იყოს ასოციაციები თანხმოვნებთან.

როცა ვსაუბრობთ დღემდე არსებულ სერიოზულ სირთულეზე ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავების სფეროში, ვეხებით **მ**-საც და **წ**-საც. კერძოდ, აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა ენაში, მართალია, სხვადასხვა ინტენსივობით, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ზროცესებს:

ე-სთვის – ე > ი > ი > ე

ი-სთვის – ი > ი > ე

ო-სთვის – ო > უ > ვ

უ-სთვის – უ > უ > ვ

ამ რიგში არ არის **ა**. როგორც ჩანს, ხმოვნებს შორის სწორედ **ა** არის ყველაზე სტაბილური (სტატიკური) იმ თვალსაზრისით, რომ დღემდე ინარჩუნებს მხოლოდ ხმოვნისთვის დამახასიათებელსა თუ მისთვის აუცილებელ ნიშნებს. **ა** ხმოვანი თუშურ (ასევე, მაგალითად, რუსულ) ენაში, მართალია, აშკარად ექვემდებარება სხვადასხვა ოდენობის რედუქციას, ანუ დასუსტებას (თუშ.

ენაში ა > ა > ა; რუს. ენაში а > А > Ё), მაგრამ ვითარება გათან-
ხმოვნებამდე მაინც არ მისულა.

თუმცა, სხვა ხმოვნებთან ერთად, ა-საც ახასიათებს ნაზალი-
ზაცია (რაც თანხმოვნობისკენ გადახრის ერთგვარი გამოხატულე-
ბაა), თუმცა გ. ჰეგელი ერთგვარ უკმაყოფილებას გამოთქვამს ა-ს,
ასევე ზოგი სხვა ხმოვნის მიდრეკილების გამო გაუმლაუტებისკენ
(რაც, მისი აზრით, ხმოვანს ერთგვარად აკარგვინებს მისთვის და-
მანასიათებელ სუფთა ტონალობას – Гегель, 1968, 57) და თუმცა
ა-ც იგულისხმება, როცა საუბრობენ ხოლმე ანლაუტის ხმოვანთა
ფარინგალიზაციასა თუ ლარინგალიზაციაზე (მაგარშემართვია-
ნობაზე) ამა თუ იმ ენაში (რაც თანხმოვნობის ყველაზე ტიპური
გამოვლინებაა), მაგრამ ამავე დროს სწორედ ა არის ის ბგერა,
რომელზეც ჯერაც მკვიდრად დგას ხმოვანთა სამკუთხედი, რაც,
როგორც ჩანს, მისი ყველაზე მეტი სარტიკულაციო ღიაობის,
ანუ ხმოვნობის, ბგერასავსეობის წყალობაა.

რაც შეეხება მახვილს. მისი ადგილი თუშურ ენაში სიტყვის
თავშია და ის ყოველთვის მიიწევს აქეთკენ – ნასესხებ ქართულე-
ნოვან სიტყვებსა თუ ფორმებშიც კი, სადაც მახვილი ბოლოდან
მე-3 მარცვლის იქით აღარ უნდა წასულიყო; შდრ.

ქართ. თუშ. ენ.

უ|ხე'|ირო > უ'|ხირო,

სა|ქე'|იფოდ > სა'|ქიფოთ,

სე'|ირ|ნობს > სე'|რე|ბა|ლა,

თუშური ენის მახვილი სიძლიერით ქართულისას რამდე-
ნადმე სჭარბობს, რაც უნდა იყოს იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ სა-
მეცნიერო თუ ლექსიკოგრაფიულ მასალებში გრძელი ხმოვანი
ზოგჯერ არასწორად არის გაცნობიერებული მახვილიან ხმოვნად,
ანუ აუსლაუტის (ზოგჯერ – ინლაუტის) ამა თუ იმ ხმოვნის ჭარბი
ხანგრძლივობა მიჩნეულია ანლაუტიდან აუსლაუტში (ზოგჯერ –
ინლაუტში) გადაადგილებულ მახვილად.

დ. და ნ. ქადაგიძეების უნიკალურ ლექსიკონში, მაგალითად, ვხვდებით ფორმებს ბოლო მარცვალზე არასწორად დასმული მახვილით – ლამო' 'ზეგინდელი დღე' (ქადაგიძე, ..., 1984, 360), მაშა' 'სინათლე' (იქვე, 423), ულო' 'მაზეგინდელი დღე' (იქვე, 573), უკუნეთა' 'უკუნეთი' (იქვე, 573), აჰო' 'ქვევითა, დაღმა ადგილი, მხარე' (იქვე, 72), ჰალო' 'ზევითა, აღმა მხარე, ადგილი' (იქვე, 907) და ა. შ., სადაც გრძელი ხმოვანი მიხნეულია ნახევრადგრძელ მახვილიან ხმოვნად. ასეთივე მახვილით ვხვდებით ლექსიკონში, მაგალითად, სიტყვას სანგო' (საგო' – ა. ბ.) 'ეზო' (იქვე, 527). არ არის გამარტლებული მახვილიანობისა და ხანგრძლივობის გაიგივება⁵⁴.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, თუშურ ენაში ბოლოკიდურ ხმოვანზე (მარცვალზე) მახვილი არა გვაქვს და არც უნდა იყოს. ეს რომ უთუოდ ასეა, იმავე ლექსიკონით წარმოდგენილი ის მაგალითიც დაგვიდასტურებს, სადაც სანგო სიდიდის აუსლაუტში მახვილი არ ფიგურირებს: ბადრი სანგოჩქი ლამწო 'ბეშეები ეზოში (ess.) თამაშობენ' (ქადაგიძე, ..., 1984, 527)⁵⁵. აქ მახვილი თავის ჩვეულ ადგილზეა – სიტყვის თავში: ბა'დრი სანგოჩქი (ess.) ლამწო. მახვილის გადაადგილებით უსათუოდ მივიღებთ არასწორ ფორმულას: *ბა'დრი სანგო'ჩქი ლამწო.

სინამდვილეში აქ გვაქვს აუსლაუტის გრძელი ხმოვანი, რომელიც, როგორც მ. მიქელაძე მიუთითებს, საგანგებოდ აღნიშნავს ადგილის განფენილობას, სივრცობრივ ხასიათს (მიქელაძე, 1978, 132–133): სანგო 'ეზო' (< სა'ნიგო 'კარების მიძღებარედ არსებული არე, სივრცე, განფენილობა' < სა'ნი 'კარები' < სან 'კარი'). ეს არის

⁵⁴ იქ, სადაც დასახელებული ლექსიკონის ავტორები აცნობიერებენ გრძელ ხმოვანს, მას აღნიშნავენ კიდევაც შესატყვისი დიაკრიტიკული ნიშნით.

⁵⁵ აქ ბგერათვითი ბევრჯერ გადასულია აწ-ში.

სახელის აბესიური ფორმა და ატარებს ნომინატივის შინაარსსაც: მოჰ თავუდნ სჯგრ და შუგოჩქი! 'რა მოხდენილი ეზო გაქეთ.'

თუკი ბოლოკიდურში გაჩნდება ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი) ო, მასთანადამე, საქმე გვექნება ესივთან (ასეთი მაგალითი ვნახეთ ახლახან): ბანდრი სჯ'გოჩქი ლამბწი 'ბავშვები ეზოში თამაშობენ'. ბოლოკიდური ხმოვნის კიდევ უფრო დამოკლების შემთხვევაში მივიღებთ ადიტიურ ვითარებას: ჩუ ლობათ სჯ'გო! 'შედით ეზოში.'

გამოდის, აქ გვაქვს ფორმები, რომლებშიც აუსლაუტის მახვილი არაფერ შუაშია: სჯ'გო 'ეზო' (abess.) – სჯ'გოჩქი 'ეზოში' (ess.) – სჯ'გო 'ეზოში' (adit.).

თუმიცა 'და' კავშირისა თუ '-ც' ნაწილაკის თუშურენოვან ეკვივალენტებზეც და თუშური ენის გრძელ ხმოვნებზეც ცალკე გვექნება უფრო დეტალური საუბარი, მაგრამ უკვე გაჩნდა საჭიროება ზოგადად მივუთითოთ იმაზე, რომ 'და' კავშირის თუშურენოვანი ეკვივალენტი სწორედ იმ გრძელი ხმოვნით გადმოიცემა, რომელიც აფიქსის სახით არის დაბანაკებული სიტყვაში (უმეტესწილად – ბოლოში), თუმიცა, როგორც ჩანს, აქ გრძელ ხმოვანს მახვილიც ეშველება, თუ, მით უმეტეს, სახელის აბესივსა (ნომინატივსა) თუ 'და' კავშირს აბსოლუტურად ერთნაირი კვანტიტატიური შემადგენლობა აქვს და ერთადერთი გამოსავალი სემანტიკის განსასხვავებლად მახვილის სესხებაა; შდრ. ბანდრი სჯ'გო ღედახე 'ბავშვები ეზოში სხედან' – ე თხე სჯ'გო და 'ეს ჩვენი ეზო ჩარის' – ბანდრი დიქტეცჰაჟ ლელ-დატინე, ფსარლხანევეს სჯ'გო ოთე სო 'ბავშვებმა მთელი დღე იხეტიალეს და საღამოს-ღა ეზოში [და] მომადგნენ [მე]' (შდრ. უბნე ბანდრი ოთე სო სჯ'გო 'უბნის ბავშვები მომადგნენ ეზოში').

სხვა შემთხვევაში ანალოგიურმა გრძელმა ხმოვანმა შეიძლება შეიძინოს '-ც' ნაწილაკის დატვირთვაც: ის მან სო ვა'ბ-

ტებზე სოფ 'ევ შალი (ქსოვილი – ა. ბ.) მომაწოდე [მე] – მაშა, კეჭან და სოგო დოხკუანა 'შალი და მატყლი [და] მაქეს გასაყიდი' – მაშა ბა სოგო, კეჭან 'შალიცა მაქეს [მე], მატყლიც'.

რაც სჭ'გო 'ეზო' სიტყვაზე ითქვა, იგივე ითქმის ზემოთ ჩამოთვლილი 'ზეგინდელი დღე', 'სინათლე', 'მაზეგინდელი დღე' და ამგვარი სხვა სიდიდეების თუ შურენოვანი შესატყვისების შესახებ – ლა'მო, მა'შა, უ'ლო და ა. შ. ამაში ყოველ ნაბიჯზე გვარწმუნებს ცოცხალი მეტყველება.

ასევე არასწორად არის წარმოდგენილი წელიწადის დროისა და, საერთოდ, დროის აღმნიშვნელი სახელები სტაბო 'შემოდგომა' (ქადაგიძე, ..., 1984, 550), ფსარლო 'სალამო' (ქადაგიძე, ..., 1984, 590) და სხვა სიტყვები, სადაც ბოლოკიდური ხმოვანი სხვადასხვაგვარად – ხან მახვილით, ხანაც უმახვილოდ – არის გაფორმებული, უნდა კი იყოს გრძელი ხმოვანი: ჟე სტა'ბო სტეხოს 'ცხვარს შემოდგომაზე ველოდები' – მარან ქიქ მოყ ოთქ ე სტა'ბო 'რა აღრე დადვა ეს შემოდგომა' (ან: სტა'ბო სტეხოს 'შემოდგომას ვუცდი'); მარან ლაზეფ ფსა'როლო მოყ და 'რა კარგი სალამო არის' (ფსარლო ფორმა თუ შურ ენას საერთოდ არ გააჩნია).

სულ სხვა საქმეა ის, რომ უზრუნველყოფს რა შესაბამის ინტონაციურ ფონს, ბოლოკიდური მახვილიანი ხმოვანი თუ შურ ენაში გადმოსცემს აგრეთვე კითხვით შინაარსს (ზოგჯერ გრძლიობის ხარჯზე, ზოგჯერ კი – მისი შენარჩუნებით): ხკუ'ლის ცოვანმაკ სოფ ჟაბოგო 'ზაფხულში ვერ წავალ [მე] ძროხაში' – სტაბო'? 'ხოლო შემოდგომაზე?' ან თე'ლენა მაგოქ ქალაქან და 'თელავი დიდი ქალაქია' – ანმიტან'? 'ხოლო ანმეტა?' და სხვ. (შდრ. ხევსურული მენა'ც? 'ვანა მარტო მე?'; ერთ ძროხაია'ც? 'ვანა მარტო ერთი ძროხა?'; ორნია'ც? 'ვანა მარტო ორნი?' – ჭინჭარაული, 1960, 191).

მანვილი შეიძლება გადაადგილდეს სხვა დროსაც, ოღონდ ეს უსათუოდ გამოწვეული იქნება რაიმე განსაკუთრებული აუცილებლობით, რაც მოითხოვს სათანადო კვალიფიკაციას.

რომ არ დარჩეს მსჯელობის ცალმხრივობისა და მიკერძოების შთაბეჭდილება, უნდა ითქვას, რომ დ. და ნ. ქადაგიძეებთან მანვილი სწორად არის დასმული, მაგალითად, სიტყვაში *განა* 'აბა' (*განა*, *ნან*, *ფალ ბეფცლე თხოგრ* 'აბა, დედა, ზღაპარი გვიამბე ჩვენ!' – ქადაგიძე, ..., 1984, 112)⁵⁶, თუმცა მის სინონიმურ ეკვივალენტში ასეთი მანვილი გამოტოვებულია – *გარა* 'აბა!' (ქადაგიძე, ..., 1984, 114); უნდა ყოფილიყო *გარა*: *გარა*, *ნან*, *ფალ ბეფცლე თხოგრ* 'აბა, დედა, ზღაპარი გვიამბე ჩვენ!'

მანვილმა, ისევე როგორც რუსულ ენაში, შეიძლება თუშურ ენაშიც მოგვცეს ფონოლოგიურად ოპოზიციური წყვილები: *ჟ'თხეც?* 'რა იცის?' – *ჟთხე'ც!* 'ვინ იცის!'.

თუ თუშური ენის ხმოვნებში მანვილისა და კვანტიტეტის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული ეს მსჯელობა ერთგვარად ბუნდოვნად გამოიყურება, შეიძლება მიემართოთ მაგალითებს, სადაც აკუსტიკურად აშკარად გამოჩნდება მანვილიანობის მიმართება კვანტიტეტთან:

სად? (ess.)

რა? (abess. / nom.)

საქართველო 'საქართველოში' – საქართველო 'საქართველო'

საჭგილო 'საინვილოში' – საჭგილო 'საინვილო'

ახლა პირდაპირი შედარება მოვანდინოთ ქართულ აკუსტიკასთან:

ქართ.: შუ'ამთა – თუშ. ენ.: შუ'ამთჲ

ხე'თა – ხე'თჲ

მცხე'თა – მცხე'თჲ

⁵⁶ ნიშანდობლივია ის, რომ ეს ღამხმარე სიტყვა მანვილს ქართულშიც აუსლაუტში ითავსებს: აბა'.

მლე'თა – მლე'თჿ
მო'ზართა – მო'ზართჿ
ამე'რიკა – ა'მერიკჿ

მ. მიქელაძე, საუბრობს რა თუშურენოვანი გეოგრაფიული სახელების თავისებურებასა და განსხვავებულობაზე ქართულენოვანი ანალოგიური სიდიდეებისგან, აღნიშნავს: „სოფლებისა, ქალაქებისა თუ ქვეყნების სახელწოდებებში საგანგებოდ აღინიშნება ამ პუნქტების განთენილობა, სივრცობრივი ხასიათი და დაახლოებით ისეთი შინაარსის ტოპონიმები გვაქვს, როგორცაა ქართული აქაურობა, მანდაურობა. ამ სპეციფიკურ შინაარსს გადმოგვცემს სუფიქსი ა, ზოგჯერ კი – ო-ც“ (მიქელაძე, 1978, 132-133). მკვლევარის აზრით, ეს ა და ო ფორმანტები გრძელ ხმოვნებს წარმოადგენენ, რასაც იქვე ადასტურებს მაგალითებით და რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ: ქართ. თიანეთი – თუშ. ენ. თინითჿ, ქორეთი – ქორითჿ, ქარელი – ქარილჿ, იყალთო – იყალთჿ, ველისციხე – ველისციხჿ და ა. შ. (მიქელაძე, 1978, 133-134).

დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონით ამ ყოველივეს გაუთვალისწინებლობასთან მიმართებაში მ. მიქელაძის მიერ აქ გრძელი ხმოვან-ფორმანტების ცნობა (მიქელაძე, 1978, 133) უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა ქადაგიძეებთანაც ვხვდებით იშვიათ მაგალითებს, სადაც ყველაზე კარგად ჩანს დროითი და სივრცობრივი ერთჟამიერობა, მაგალითად, ტბათნირქ კახახ აჰ ლუღლჿ დეჰქ 'ტბათანიდან კახეთში ჩასვლის დრო მოვიდა' (ქადაგიძე, ..., 1984, 70).

საინტერესოა ისიც, რომ ზოგჯერ აქ დახასიათებული ტიპის გრძელი ხმოვანი, დროითსა და სივრცობრივ მნიშვნელობებთან ერთად, დამატებით იძენს მნიშვნელობას 'საშუალება': ესე დახილჿ ცო და 'აქ ცხოვრების საშუალება (საცხოვრისი) არ არის', ესე ჟგნრ ხაუღლჿ ცო და სოგო 'აქ წიგნის წაკითხვის საშუალება არ მაქვს'.

როგორც ზემოთაც იყო მინიშნებული, სიტყვებისა თუ ფორმების წარმოებისას ბოლოკიდური გრძელი ხმოვან-ფორმანტებით მახვილი რჩება სიტყვის თავკიდურ მარცვალზე. შევაღაროთ: ქო'რთი 'ქორეთში' (ess.) – ქო'რითან 'ქორეთი', ა'ხმეტი 'ახმეტაში' (ess.) – ა'ხმიტან 'ახმეტა', მა'ტნი 'მატანში' (ess.) – მა'ტინან 'მატანი', ძ'გლისე 'ინგლისში' (ess.) – ძ'გლისან 'ინგლისი', ბა'თუძე 'ბათუმში' (ess.) – ბა'თუძმან 'ბათუმი', ი'ყალთო 'იყალთოში' (ess.) – ი'ყალთონ 'იყალთო', ვე'ლისციხე 'ველისციხეში' (ess.) – ვე'ლისცინან 'ველისციხე' და სხვ.

ეს ფორმანტები სხვა, კიდევ უფრო რთულსა და ქართული ენისთვის საკმაოდ უჩვეულო დატვირთვასაც ატარებენ: ისინი შეიცავენ, მაგალითად, დროებრივ, მდგომარეობრივ (ვითარებრივ) და სხვა შინაარსს, აგრეთვე დროებრივი, სივრცობრივი და მდგომარეობრივი კატეგორიების ერთდროულობას; შდრ. ვა'ნა 'ხვალ' – ვა'ნან [და] 'ხვალინდელი დღე/ა/'; გვი'ან 'გვიან' – გვი'ანან [და] 'გვიანინა/'; ღ'აზოლ 'სიკარვე' – ღ'აზონან 'ღრო, სივრცე და მდგომარეობა, რომლებიც ამ სიკარვეს შეიცავენ და ითავსებენ'; მო'სოლ/მო'სოლ 'სიცუდე' – მო'მცინან/მო'მცინან 'ღრო, სივრცე და მდგომარეობა, რომლებიც და ა. შ.>'; სი'ლამაზ 'სილამაზე' – ღ'ამაზონან 'ღრო, სივრცე და მდგომარეობა და ა. შ.>'; წა'ნოლ 'სისუფთავე' – წა'მანან 'ღრო, სივრცე და ა. შ.'

ეს ერთი შეხედვით ფორმალური სხვაობა ზოგჯერ იმდენად სერიოზულ შინაარსს იძენს, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა კლას-კატეგორიაში ბინავდება: ბანჰ (ბ კლასი) – ბანჰან (ბ კლასი) 'ბახჩა', ღ'აზოლ (ღ) – ღ'აზონან (ღ) 'სიკარვე', მო'სოლ / მო'სოლ (მ) – მო'მცინან (ღ) 'სიცუდე', სი'ლამაზ (მ) –

ლა'დმზრან (დ) 'სილოამზე', წა'ნოლ (დ) – წა'მან (დ) 'სისუფთავე', ქო'თხოლ (დ) – ქო'მთან (დ) 'სივიწროვე / გაჭირვება'⁵⁷.

ორიოდე მაგალითი ცოცხალი მეტყველებიდან: ვა' / ვა'ნო სუმ ვუმტას 'ხვალ მივდივარ' – ვა'ნო მაცა' მალო? 'ხვალინდელი დღე როდის მოვა?', სტაკოე მო'სოლ ცო მეწი' და 'კაცმა სიცუდე არ უნდა ქნას' – თხა მარა' მუ'მან მოც და 'დღეს რა ცუდია (სიცუდია)' ან ესე მარა' მუ'მან მოც და 'აქ რა ცუდია (სიცუდია)'.

ბუნებრივად იგულისხმება, რომ მახვილი აქაც რჩება თავიდან პირველ მარცვალზე.

შეიძლება ითქვას, რომ თუშურ ენაში მახვილი ზოგჯერ ითავსებს ექსპრესიულ დატვირთვასაც. მაგალითად, დებლ-სე'ბლლა 'კოტრილობს', დუმტ-და'ლო 'მიდი-მოდის', ლელ-და'ტე 'მიდე-მოდება (უსაქმოდ)' ტიპის რთულ ლექსიკურ კონსტრუქციებში მახვილი, როგორც ვხედავთ, კომპოზიტების მეორე წევრებშია განთავსებული. მაგრამ თუკი მოსაუბრეს სურს ამ მოქმედებათა მისამართით ამა თუ იმ უარყოფითი დამოკიდებულების (საყვედუ-

⁵⁷ თუშურ ენაში თავისუფლად ფუნქციონირებენ ჭიგო, ტილო, ომბალო, კალო, კილო, პინო, ვედრო, ფეთი, ზეთი და ა. შ. ტიპის ლექსემების თუშურენოვანი ჭიგო, ტილო, ომბალო, კალო, კილო, პინო, ვედრო, ფეთ, ზეთ და ა. შ. ეკვივალენტებიც, მაგრამ აქ მინიშნებაც არ არის ამა თუ იმ გრძელ ხმოვანზე აუსლაუტში, რადგან არ აღინიშნება არც დროითი და არც სივრცობრივი განფენილობა ისე, როგორც აღინიშნება სავტო 'ეზო', შუამთა 'შუამთა' და ა. შ. ტიპის სიტყვებში; თუმცა როგორც კი შემოვა ასეთის აღნიშვნის საჭიროება, უმაღვე შემოდის გრძელი ხმოვანიც: კალო 'კალო როგორც ასეთი' – კალო 'კალო თავისი დროითი და სივრცობრივი განფენილობით', სკოლო 'სკოლო როგორც ასეთი' – სკოლო 'სკოლო თავისი დროითი და სივრცობრივი განფენილობით', ჰამრო 'წისქვილი როგორც ასეთი' – ჰამრო 'წისქვილი თავისი დროითი და სივრცობრივი განფენილობით', ჰაქ 'ტყე როგორც ასეთი' – ჰაქლო 'ტყე თავისი დროითი და სივრცობრივი განფენილობით', ბანჩ 'ბახჩა, როგორც ასეთი' – ბანჩან 'ბახჩა თავისი დროითი და სივრცობრივი განფენილობით' და სხვ.

რის, სამღერავის, უკმაყოფილების, ირონიის და ა. შ.) გამოხატვა, მახვილს უსათუოდ გადმოიტანს პირველ კომპონენტში. შდრ. ე ფსტი დწი დქმცჰჰჰ ღუდტ-და'ღრ 'ეს ქაღები მთელი დღე მადი-მოდინ' – ე ფსტი დწი დქმცჰჰჰ ღუ'დტ-დაღრ 'ეს ქაღები, დამი-ხედეთ ერთი, მთელი დღე მადი-მოდინ!'.⁵⁸

თუკი გავითვალისწინებთ ენის ამ თავისებურებას, ხაზი უნდა გაესვას, ჩვენი აზრით, ერთ ურთულეს ვითარებასაც. მე-2 პირის 'და' კავშირიან თხოვნით კილოში თითქოს ყველაფერი ადგილზეა: ხი'ღწელ 'იყავი რა და', ვო'ღწელ 'მადი რა და', ლი'ბწელ 'მიეცი რა და'⁵⁸. მაგარმ მე-3 პირის ასევე 'და' კავშირიან, ოღონდ უკვე ბრძანებითი კილოს ფორმებში, რომლებიც ამის გარეშე მე-2 პირის 'და' კავშირიანი თხოვნითი კილოს ფორმებს დაემთხვეოდნენ, კვანტიტატიური ნიშანი გადაადგილდება ერთი საფეხურით მარჯვნივ, ყოფილი გრძელი ხმოვანი კი მახვილიანი ხდება: ხიღა'წელ 'იყოს და!', ვოღა'წელ 'მოვიდეს და', ლიბა'წელ 'მისცეს და'.

აღბათ, უნდა გავითვალისწინოთ ერთი დეტალიც – ცალკეული ხმოვანი ფონემების მორფოლოგიურ ფუნქციებსა თუ შესაძლებლობებთან მიმართებაში. მართალია, სინშირით ვერ უტოლდებიან ცალკეული ხმოვნებით გამოხატულ 'და' კავშირის თუშურენოვან ეკვივალენტებს, მაგრამ, მაგალითად, ე 'ეს' (ხმარობენ კაცებიც, მანდილოსნებიც), ი 'ეს' (ხმარობენ მანდილოსნები), განსაკუთრებით კი ო 'ის' ლექსემები საკმაოდ კარგად არიან ჩართულნი თუშურენოვან მეტყველებაში, სადაც, გარდა იმისა, რომ, თავისთავად ასრულებენ პრინციპულ ფუნქციებს, როგორც ჩანს, კარგად ითავსებენ, ანდა, შესაძლოა, იმთავითვეც ასრულებდნენ არტიკლთან მიახლოებულ ფუნქციასაც:

⁵⁸ ზედმიწ.: 'იყავი და რა' და ა. შ.

ცრმი, ცრმი დადღწონორ, ო კნათიგვ ო შუდ დადეგრ 'არა-ფერი, არაფერი, მაძიო, - [უთქვამთ] იმ ბიჭებსაც იმ თავიანთი მამისთვის.' (მიქელაძე, ..., 2011, 64₁₄).

ჰალ ბალქ, ჰალ ბალქენქ ო ბუთ, ო რუსუდან ბწლინმაქაქ ჩუ ოთხილან ცუდ დიქ! 'ამოვიდა, ამოვიდა ის მთვარე და სწორედ იმ რუსუდანის მხრებზე არ შეყოვნდა!' (მიქელაძე, ..., 2011, 53₁₈).

ოშტუქ ღედალწ რუსუდან ადრთვამჩ ხანე ჯგლოზსან ო ბამთ ასარე, თწ მწ მორქ, მორ ო შარწ ჩამლწ ამბუდ ო ბაცბურ მატან. 'ისეთი იჯდა კარგა ხანს რუსუდანი ანგელოზივით იმ მთვარის ფონზე, თან კი ყვებოდა და ყვებოდა იმ თავისი ტკბილი პირით იმ თუ შური ენის შესახებ' (მიქელაძე, ..., 2011, 53₁₉).

მოჰეკ ო შატ ჩუ მალდინორ ო სათიგენ მორ ეცანამნრ, ჰამტწრ, წეგქ წივ ცუდ ვასდალწ ო სათიგერქდა! 'როგორც კი ის ფიწალი უტაკებია იმ სათიგისთვის თივის ასაღებად, უყურებს, წითელ სისხლს არ უჩქეფია იმ სათიგიდან!' (მიქელაძე, ..., 2011, 65₂₁)

ლათვანრ ო პეტრქ შინაყ ტოტე ო ქით ლაცდიენრ, სა დუყინრ 'მდგარა ის პეტრე ორივე ხელში იმ ტიკით, სულ შეხუთული.' (მიქელაძე, ..., 2011, 65₂₅).

ხანე-დროჰლოლწ ვულ-ვაკანწ ვალენრ ე პეტრქ: - ნახა, ე ხუმი ო ქით და, ო ბერვი მქ ლეხორ, აღლეთ სოგრ უმადნრ!.. 'მცირე ხნის მერე ახმაურებულა ეს პეტრე: - ხალხო!.. ეს ხომ ის ტიკია, ის ბერები რომ ეძებდნენ, მითხარით რა რაძეო!..' (მიქელაძე, ..., 2011, 65₂₆).

ბა, ლაქდადღწნ დოკ ე მიტუენი, კნათი, სო უნახ ვირწწრ ო რუსუდენი, ჰალურ ბეტემ იშტწ ვექინრ უნმაკ... 'ვა, გაბრაზებულა ეს მიტო, ბიჭებო, ერთი მობრუნებულა იმ რუსუდანისკენ და ყელში ბოლმამობჯენით ასე დაუყვირია რაც კი ძალა ჰქონდა...' (მიქელაძე, ..., 2011, 54₃₀).

...სა დადსნორ დტგას ო ნახერ ო შარტ დატტ ბტარკი, დატტ. 'და აქეთ შეუფლოა იმ ხალხისთვის ის თავისი დოდრონი თვალები, იქით [შეუფლოა].' (მიქელაძე, ..., 2011, 66³²).

ტქ გოგის უნახნ ვირწნორ, ო შადრ ლამზურჩ ბტარკიე წყე ტყოც ო შადრ ვამეგო დუტ ჰატანანდო. 'მერე უკან მობრუნებულასავით – იმ თავისი ლამაზი თვალებით კიდევ ერთხელ შესახედად იმ თავისი ძმისთვის.' (მიქელაძე, ..., 2011, 67⁴⁰).

შორეულ წარსულში ამ ბგერების ასეთი მისია, ალბათ, ერთგვარად ემსახურებოდა მსმენელის (და, ასე გასინჯვით, თვით მთხრობელისაც კი) მიახლოებას დასახელებულ, მაგრამ იმჟამად თვალისთვის უხილველ საგანთან თუ მოვლენასთან (= აბსტრაქციასთან; შდრ. ქართ. ეს ჩვენი მეფე ერეკლე...).

მანვილთან და მრავალრიცხოვან ფონემებთან ერთად, თუშური ენა თავის სამეტყველო პრაქტიკაში თამამად იყენებს ინტონირების სხვადასხვა საშუალებებსაც. ნიმუშად მოვუხმობთ სულ რამდენიმე შემთხვევას.

თანამოსაუბრისადმი იმაზე კიდევ უფრო მეტი მოწინააღმდეგე გადმოსაცემად, ვიდრე ეს უკვე ახასიათებს თუშურენოვან მეტყველებას, მიმართვის გამომხატველ სიტყვაში ხმოვანი ფონეტიკურად რამდენადმე გრძელდება (ერთზე მეტმარცვლიან სიტყვაში ეს იქნება ბოლო მარცვლის ხმოვანი); შდრ. გოგ ბატალ თხონ, ფორ/გოგ ბატალ თხონ, ფოორ 'შემოგვიარე რა, ფორე'; ავთანდილ, თოტ ლიბალ სონ/ავთანდილ, თოტ ლიბალ სონ 'ავთანდილ, თოხი მომეცი რა'.

სხვა შემთხვევაში ეს ენება თუშურენოვანი ზმნის კილოვან წარმოებას, რომელიც, როგორც მ. მიქელაძე ბრძანებს, ასევე ერთობ მრავალფეროვანია აქ. ბრძანებითი კილოს უკუთქმითი ფორმისთვის ზუსტად მეორდება თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმა, ოღონდ თავისებური ინტონირებით, ისეთი

ინტონაციით, რომელიც თუშური ენის არმცოდნემ შეიძლება ვერც კი აღიქვას, რადგან ეს არის უკუთქმითი ფორმა უკუთქმითი (უარყოფითი) ნაწილაკის გარეშე; შდრ.

უძს ღრ 'იქ წახვალ'

უძს მა ღო! 'იქ ნუ წახვალ! იქ არ წახვიდე!'

უძს ღრ! 'იქ ნუ წახვალ! იქ არ წახვიდე!'


დაქექალა 'ვატოკლები'

მა დაქექალა! 'ნუ ვატოკლები! არ ვატოკდე!'

დაქექალა! 'ნუ ვატოკლები! არ ვატოკდე!'

ეს ინტონაციური რეალობა თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა მრავალფეროვანია თუშურ ენაში კილოვან ფორმათა წარმოებისა თუ გამოხატვის გზები, ეს კი, თავის მხრივ, მიგვანიშნებს იმაზეც, თუ რაოდენ მრავალფეროვანი აქვთ მოქმედების სინამდვილესთან მიმართებათა გააზრებისა თუ ამ მიმართებათა მეტყველებაში რეალიზების უნარ-ჩვევები ამ ენის მატარებლებს.

ბოლოს, თუშური ენის ჩვეულებრივი ხმოვნების⁵⁹ ფონოლოგიური სურათი შეიძლება წარმოვსახოთ ყველასათვის ცნობილი გეომეტრიული ფიგურის – სამკუთხედის – სახით, სადაც საფუძველს წარმოადგენს დაპირისპირება ენის აწეულობის, ლოკალური რიგისა და ბაგეების მონაწილეობის მიხედვით:



⁵⁹ სათაურში სატერმინო კომპონენტი ნახევრადგრძელი გამოვიტანეთ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ნაშრომის ამ ნაწილში ხმოვნები დახასიათებულია სიგრძე-სიმოკლის ნიშნით.

ანალიზის შემდგომ ეტაპებზე, თუშური ენის ხმოვანთა დამახასიათებელი ნიშნების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მომდევნო სამკუთხედებზე გაჩნდება სხვა ხმოვნებიც. ეს რეალობა გეკარნახობს, სამკუთხედების ერთსა და იმავე კუთხეში განთავსებული ხმოვნები გააერთიანოთ ერთ გვარში – ძირეული ნიშნების (ენის აწეულობისა და ა. შ.) მიხედვით. აქაც ამოსავალი იქნება ჩვეულებრივი ხმოვანი. შეგვიძლია ვთქვათ, მაგალითად, ასე: ა გვარს მიეკუთვნება ჩვეულებრივი ა, მოკლე ზ, ირაციონალური ზ, გრძელი ზ, ზევრძელი ზ, ნაზალიზებული ზ და ა. შ.

§ 3. თუშური ენის მოკლე ხმოვნები

ეს ხმოვნები ამ კვალიფიკაციით თუშურ ენაში დღემდე არ არის წარმოდგენილი. სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიცით, რომ თუშურ ენაში „მოკლე ხმოვნები მხოლოდ სიტყვის ბოლოში გვხვდება“⁶⁰ და რომ „სიტყვის შუაში მოკლე ხმოვანი მხოლოდ დიფთონგში შეიძლება იყოს“ (გაგუა, 1956, 469). თუშური ენის საუკეთესო სპეციალისტის ამ ფორმულირებებში არ არის გათვალისწინებული არც მოკლე ხმოვნების დიფერენციაციის შესაძლებლობა საკუთრივ მოკლე და სხვა რომელიმე სახის (მაგალითად, ირაციონალურ) ხმოვნებად და არც არადიფთონგისეული მოკლე ხმოვნების არსებობა. სინამდვილეში ეს საკითხი ასე მარტივად არ დგას. ვცადოთ გარკვეულად სხვა კუთხით შევხედოთ მდგომარეობას.

შესაძლოა უკვე ითქვას, მაგრამ გავიმეოროთ, რომ მოკლეს ერთ შემთხვევაში უწოდებენ ნახევრადგრძელ ხმოვნებს – გრძელ

⁶⁰ იგულისხმება ჩვენ მიერ ირაციონალურ ხმოვნებად წოდებული ხმოვნები (ა. ბ.).

სმოვნებთან მიმართებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში – იმ სმოვნებს, რომლებსაც ჩვენ აქ ვაძლევთ **ირაციონალური** სმოვნების კვალიფიკაციას და რომლებიც არსებითად განსხვავდებიან და ემიჯნებიან **მოკლე** სმოვნებს. და ეს მაშინ, როცა, კვანტიტეტის თვალსაზრისით, **ნახევრადგრძელი** სმოვნებიდან **ირაციონალურ** სმოვნებამდე თუშურ ენაში უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ადგილი **მოკლე** სმოვნებისთვისაც. ამიტომ: თუშური ენის ვოკალიზმის ამ ნაწილში მოგვიწევს ტერმინების შესაბამისობაში მოყვანა ცნებებთან. სხვაგვარად გაძნელება ამ ენის სმოვნანთა კვანტიტეტზე მსჯელობის წარმოება.

როცა ვლახარაკობთ **მოკლე** სმოვნებზე ამ ტერმინის ფართო გაგებით, უნდა ვიგულისხმოთ როგორც საკუთრივ **მოკლე**, ისე **ირაციონალური** სმოვნები, რომლებიც აგრეთვე **მოკლეზე მოკლე**ნი არიან. ხოლო, როცა ვლახარაკობთ თუშური ენის **მოკლე** სმოვნებზე ამ ტერმინის უფრო ვიწრო გაგებით, უნდა ვიგულისხმოთ ის სმოვნები, რომლებიც კვანტიტატიურ რიგში (სვეტში) დგანან **ნახევრადგრძელ** სმოვნებსა და **ირაციონალურ** სმოვნებს შორის. გავიხსენოთ **გ. ახვლედიანისეული** ხუთსაფეხურიანი შკალა (ახვლედიანი, 1949, 122):

1. ირაციონალური (მოკლეზე მოკლე)
2. მოკლე
3. ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი)
4. გრძელი
5. ზეგრძელი

გავიძეოროთ: **მოკლე** არ შეიძლება ეწოდოს **ჩვეულებრივ** სმოვანს, რომელიც, მართალია, **გრძელ** სმოვანთან მიმართებაში **მოკლეა**, მაგრამ კვანტიტატიური რიგის მიხედვით მას სწორედ **ნახევრადგრძელი** სმოვნის ადგილი უკავია. ანუ: **ჩვეულებრივი**

ხმოვნები დგანან ყველა სახის მოკლე და ყველა სახის გრძელ ხმოვნებს შორის.

თუშური ენის მოკლე ხმოვნებში უნდა გვესმოდეს ის ხმოვნები, რომელთა წარმოთქმასაც სჭირდება იმაზე ნაკლები დრო, ვიდრე ქართულ-თუშური ჩვეულებრივი – ნახევრადგრძელი – ხმოვნების წარმოთქმას ესაჭიროება, და იმაზე მეტი, ვიდრე თუშურივე ენის ირაციონალური ხმოვნების წარმოთქმისთვის არის საჭირო.

მოკლე ხმოვნებისთვის მოკლის კვალიფიკაციის მიცემა, დიან, ყველაზე სარწმუნო იქნება, თუკი მაგალითებად მოვიხმობთ თუშური ენის დიფთონგებს. სწორედ დიფთონგების კომპონენტია ის ბგერა, რომელსაც მოკლე ხმოვანი უნდა ვუწოდოთ. სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ, მაგალითად, უ გრათემით გადმოცემულ ბგერას თუშურენოვან ორ დიფთონგში: დაჯოჟხუ/დაჯოჟხუ ‘უფროსი/უფრო დიდი’ (ქადაგიძე, ..., 1984, 64)⁶¹. დიფთონგი ხომ ბგერათშეერთების სამი წესიდან ის მეორე წესია, როცა ორი ხმოვნიდან ერთ-ერთი – ამ შემთხვევაში მეორე – ხმოვანი სუსტდება, ანუ მოკლდება (ახვლედიანი, 1966, 101-102).

რაკი თუშურ ენას გააჩნია დიფთონგები, მაშ, უკვე შეიძლება ითქვას, რომ აქ მართლაც გვაქვს დიფთონგისეული მოკლე ხმოვნები, რომელთაგან განსხვავებითაც, ირაციონალური (მოკლეზე მოკლე) ხმოვნები არავითარ შემთხვევაში არ გვხვდება დიფთონგის შემადგენლობაში.

თუშურ ენაში უფრო ცხადი და გარკვეულია დიფთონგების და, მაშასადამე, დიფთონგისეული მოკლე ხმოვნების რაობა. მათ რამდენადმე დაწვრილებით ქვემოთ შევხებით – როცა საუბარი გვექნება

⁶¹ დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონში თანხმოვნის მიმყოლი ბოლოკიდური ხმოვანნიც წარმოდგენილია უ სახით – სწორედ იმ მიზეზით, რომ ბაცბოლოგიაში არ იყო ცნობილი განსხვავება საკუთრივ მოკლე და ირაციონალურ ხმოვნებს შორის.

საკუთრივ დიფთონგებზე. აქ მხოლოდ ის აღვნიშნით, რომ თუშურ ენაში დიფთონგისეული მოკლე ხმოვანი გვაქვს ჰ: ჯ, ო, ჟ⁶².

მაგრამ რას წარმოადგენენ თუშური ენის მოკლე ხმოვნები ზოგადად, როგორია მათი ბუნება? ხომ არა გვაქვს არადიფთონგისეული მოკლე ხმოვნებიც თუშურ ენაში? ამ კითხვებზეა პასუხები მოსაძებნი შეძლებისდაგვარად.

ცალკე თემად გამოვყოფთ რა დიფთონგებს და ქვემოთ კვლავაც ვაპირებთ რა საუბარს ორი სახის მოკლე (საკუთრივ მოკლე და ირაციონალური) ხმოვნების განსხვავებაზე და მათი დიფერენციაციის აუცილებლობაზე, ამჯერად შეძლებისდაგვარად დახასიათებას მივცემთ თუშური ენის არადიფთონგისეულ მოკლე ხმოვნებს. ასეც შეიძლებოდა გვეთქვა: რამდენადმე ახლოს მივიყვანოთ თუშური ენის ხმოვანთა კვანტიტეტთან ის ქართულენოვანი მკითხველი, ვისთვისაც ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე ოდენ თეორიულ გამოგონებად შეიძლება რჩებოდეს დღემდე.

ხმოვანთა კვანტიტეტი ერთნაირია ისეთ თუშურენოვან წყვილებში, როგორიცაა: ღო ‘ღერო, წვერი (მაგ., ბაწრისა)’ – ღო ‘წავა’; შარ ‘ღო’ – შარ ‘შარი’; გეფსარ ‘სროლა’ – გეფსარ ‘ფხანა’; დეფცარ ‘ქსოვა’ – დეფცარ ‘მოყოლა’.

თუშური ენის არადიფთონგისეულ მოკლე ხმოვნებს (ისევე როგორც ამ ენის გრძელ ხმოვნებს) აკუსტიკურად იოლად გამოვავლენთ, თუკი აქაც შეძლებისდაგვარად ერთნაირ (ან მსგავს) კოარტიკულაციურ სივრცეში „მოვამწყვდევთ“ და ერთმანეთს შევადარებთ, ერთი მხრივ, თუშურივე ენის ჩვეულებრივ (ნახევრადგრძელ) ხმოვნებს, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ენის ჩვეულებრივ ხმოვნებს, რომლებიც, როგორც ითქვა, თუშური ენის ჩვე-

⁶² ჩვენს მონოგრაფიაში მ, რომელიც მოკლე ო-ს შემკვიდრეა, კვალიფიციონებულა ნახევარხმოვნად.

ულებრივი ხმოვნების იდენტურნი არიან (ანუ მეორე შემთხვევაში ვცადოთ, თუ შერ ენასთან მივიდეთ ქართული ენის გზით).

დავიწყოთ მეორე შემთხვევით და მაგალითისთვის თარგმანის გარეშე წარმოვადგინოთ ასეთი თუ შერენოვანი წინადადება (გაეფორმოთ მახვილებით): **ფე'ნიხა ბა'დრი ღე'დახკერ**.

იმ პირობებში, როცა მოკლე ხმოვანი ჯერ კიდევ არა გვაქვს გაფორმებული შესაბამისი დიაკრიტიკული ნიშნით, ქართულენოვანი მკითხველი (და კონტექსტში გარკვევამდე – ალბათ, თუ შერენოვანიც) ამ მაგალითში შემაფალ სიტყვას **ბადრი** დიდი ალბათობით წაიკითხავს ისე, როგორც იკითხება ქართულენოვანი ანთროპონიმი *'ბადრი'*. მაგრამ, თუკი მოვინდომებთ ამგვარად წაკითხული ამ წინადადების გადათარგმნას ქართულ ენაზე, არაფერს არ მოგვცემს აბსურდის მეტს: * **ფე'ნიხა ბა'დრი ღე'დახკერ 'შორიახლოს ბადრი ისხდნენ'**.

შეცდომა გვაქვს დაშვებული წინადადების დაწერაშიც და – ამიტომ – წაკითხვაშიც. როგორც კი ეს შეცდომა გასწორდება, ამოცანაც ამოიხსნება. კერძოდ, თუკი წინადადების მეორე წევრის ა ხმოვანს სათანადოდ დავამოკლებთ, რაც ერთადერთი სწორი გამოსავალია, მკითხველთა, უფრო კი მსმენელთა უდიდესი ნაწილი უკვე სწორად გააცნობიერებს ყოველივეს და თარგმანსაც სწორს მივიღებთ: **ფე'ნიხა ბა'დრი ღე'დახკერ 'შორიახლოს ბავშვები ისხდნენ'**. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში, თუკი თუ შერენოვანი **ბა'დრი 'ბავშვები'** სიტყვაში ვცნობთ ნახევრადგრძელ ა ხმოვანს, მაშინ მის განსახვავებლად აღნიშნული ქართული (ასევე თუ შერი) ანთროპონიმისგან ამ უკანასკნელში უნდა ვცნოთ გრძელი ხმოვანი: * **ბადრი**.


ეს მეტყველებრივი სიტუაცია უკვე გვარწმუნებს თუ შერენოვანი ა ხმოვნის ადეკვატური კვალიფიკაციის აუცილებლობაში, ანუ: **ბა'დრი** სიტყვის პირველ მარცვალში გვაქვს მოკლე ა ხმოვანი

და ამიტომაც შეესატყვისება ეს სიტყვა მნიშვნელობას ‘ბავშვები’, ხოლო ბა’დრი ანთროპონიმის შესაბამის მარცვალში გვაქვს ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი, „ქართული“) ა ხმოვანი და ამიტომაც შეესატყვისება ეს სიტყვა ანთროპონიმს ‘ბადრი’ – როგორც ქართულ, ისე თუშურ ენაში.

მივაქციოთ ყურადღება: თუშურენოვან ბა’დრი ‘ბავშვები’ სიტყვაში მოკლე ა ხმოვანი მახვილიანიცაა. გამოდის, მახვილსაც კი არ ძალუძს თუშური ენის ხმოვანთათვის ხანგრძლივობის შენარჩუნება (ანდა მინიჭება).

თუ ერთმანეთს შევადარებთ ქართულ რიცხვით სახელს ო’რასი და თუშურენოვან მეტყველებაში შესულ მის ვარიანტს ო’რას, დავინახავთ, რომ ქართულში ა ხმოვანი ჩვეულებრივია, ნახევრადგრძელია, თუშურ ენაში კი – უსათუოდ ქართულ ა-ზე მოკლე: ქართ. ო’რასი – თუშ. ო’რას⁶³. აქ მოკლეა უკვე უმახვილო ხმოვანი.

სამაგიეროდ ერთნაირი სიგრძისაა ა ხმოვანი ქართულ სიტყვა-ფორმაში ო’რასი და თუშურენოვან სიტყვა-ფორმაში დო’რას ‘ვშვრებოდი’. მაშასადამე, ა ხმოვანი სხვადასხვა სიგრძისაა თუშურენოვან სიტყვებში ო’რას ‘ორასი’ და დო’რას ‘ვშვრებოდი’. ყველაფერი ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ ირიბი (არაპირდაპირი) წყვილის სახით:



თუშური ენის მოკლე ხმოვნის აკუსტიკური მხარე კარგად გამოჩნდება, თუკი ანთროპონიმს ნანი შევადარებთ, ერთი მხრივ,

⁶³ საკუთრივ თუშურ ენაზე ‘ორასი’ არის იწატყ, ანუ ‘ათჯეროცი’.

ამავე ანთროპონიმის, ხოლო მეორე მხრივ, 'დედები' სიტყვა-ფორმის თუშურენოვან ეკვივალენტებს:

ქართ.: ნა'ნი (ანთრ.)

თუშ. ენ.: ნა'ნი 'დედები'

ნა'ნი 'ნანი' (ანთრ.)

აქ თუშურენოვანი ნა'ნი 'ნანი' და ნა'ნი 'დედები' ქმნიან კვანტიტატიურ ოპოზიციურ წყვილს.

ანალოგიური სურათი გამოჩნდება მაგალითებში:

ქართ.: და'ვლა

თუშ. ენ.: და'ვლა 'აკვლება'

და'ვლა 'მსუბუქდება'

ქართ.: ბა'ლი

თუშ. ენ.: ბა'ლი 'ბლები'

ბა'ლი 'მხრები'

ქართ.: თოფი

თუშ. ენ.: თო'ფი 'თოფები'

თოფ 'თოფში' (adit.)

თრფ 'თოფი' (შდრ. აგრეთვე თოფრ 'თოფრა')

მართალია, შერჩეული წყვილები ყოველთვის და ბოლომდე ვერ პასუხობენ ფონოლოგიის მკაცრ მოთხოვნებს და ამიტომაც ვუწოდებთ მათ ირიბი (არაპირდაპირი), მაგრამ ამგვარი შედარების გარეშე ქართულენოვან მასალასთან (რომელიც აქტიურ ინტერ-

ფერენტულ მიმართებაშია თუშურენოვან სინამდვილესთან) ერთობ ძნელია თუშური ენის არადიფტონგისეული მოკლე ხმოვნების ხასიათის ჩვენება ქართულენოვანი მკითხველისთვის: დასახული მიზნის ფასად ზოგჯერ ასეთი – ირიბი – საშუალებაც შეიძლება გამოვიყენოთ.

დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონში ერთნაირი ხმოვნებითაა წარმოდგენილი, ერთი მხრივ, სიტყვები ქოცრ ‘ქვევრი’, ქოჯრ ‘ცოცხი’, ქოს ‘ქოსა’, ხოლო მეორე მხრივ, სიტყვები ქოშ ‘ქოში’, ქოხ ‘ქოხი’, ქოკ ‘ფეხი’, ქო ‘ხელი, როგორც მოღვაწეობისა და ურთიერთობის საშუალება’ (‘ხელი, როგორც სხეულის ერთ-ერთი ასო’ იქნება ტრტ; შდრ. ქართ. ‘ტოტი, ატოტება’ და სხვ. ა. ბ.⁶⁴), მაგრამ აქ პირველი და მეორე ჯგუფის სიტყვებში ო ხმოვნის ხანგრძლივობა აშკარად განსხვავებულია. წყვილები აქაც არაპირდაპირია, მაგრამ მაინც შევადაროთ (ხანგრძლივობას შეგნებულად ნუ აღვნიშნავთ): ქოცრ – ქოშ, ქოჯრ – ქოხ, ქოს – ქოკ. თუ მარცხენა წევრებში ვაღიარებთ ნახევრადგრძელ ო-ს, მაშინ მარჯვენა სიტყვებში უნდა ვცნოთ მოკლე ო-ს არსებობა: ქოცრ – ქოშ, ქოჯრ – ქოხ, ქოს – ქოკ.

ვნახოთ კიდევ მაგალითები (ნაწილი სიტყვებისა აღებულია დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონიდან):

ა: ათხ ‘საღესავი’ – ათხ/ათხრ ‘ჩვენ’ (ექსკლ., ერგ.); ახ ‘ყვეს’ – ახ ‘ნახევარი’; აჰრ ‘იპარავს/ფეხავს’ – აჰრ ‘ჩა-, ჩამო-’; ბა’რლდ ‘გამოთალა’⁶⁵ – ბა’რლდ (< ბა’რლიმ) ‘ბარნელა’; და’ვფ ‘დაიკარგა/დაიხოცა’ – და’ვფ ‘მსუბუქი’;

⁶⁴ გვაქვს აგრეთვე ტრტ ‘ღუცი’.

⁶⁵ შდრ. და’რლარ ‘თლა’, და’რლრ ‘თლის’.

ქ: მქსკ 'დააბი!' (შდრ. მე'სკათ 'დააბით!') – მქსკ 'საგარცხელი'⁶⁶;
ბქსკ 'დააბი!' – ბქსკ 'ბრალო'; ლეყრ 'უყოფს/უძნობს' – ლქყრ 'მწყერი';
მელ 'დალოე!' – მქლ? 'რამდენი?'

ჩ: ღოს 'გშვრები / ვაკეთებ' (დ კლასი) – ღჩს 'შეშა'; ბოს
'გშვრები / ვაკეთებ' (ბ კლასი) – ბჩს 'ფერი'; ღორ 'მისცემდა' – ღჩრ
'ლორი'; ღორ 'წავიდოდა' – ღჩრ 'ღვარი'.

მაგრამ მსგავს დაპირისპირებაზე (ობოზიციაზე) ლაპარაკიც
კი ზედმეტია ისეთ თუშურენოვან წყვილებში, როგორცაა, მაგა-
ლითად (ქადაგიძე, ..., 1984): და'ვარ 'დაკარგვა' – და'ვარ 'დახოცვა';
ბედ 'ბედი' – ბედ 'ცალოკე'; დო'ქარ 'გაყრა/შეშა' – დო'ქარ 'წაქცევა'.

არ უნდა გამოვგრჩეს მხედველობიდან ისიც, რომ, მართა-
ლია, ზოგჯერ ადგილი აქვს გრძელი და ნახევრადგრძელი ხმოვნე-
ბის მონაცვლეობასაც (გარიანტულობას) ერთი და იმავე სიტყვის
ერთსა და იმავე ფორმაშიც კი (რაც რ. გაგუას უკვე აქვს გათვა-
ლისწინებული: დნდ/დად 'მამა' – Гара, 1983, 182), მაგრამ ეს სუ-
ლაც არ გვიშლის ხელს მოკლე ხმოვნის დადასტურებაში აქ:
დნდ/დად 'მამა' – დნდ 'იფიცება'.

უწერლობო თუშური ენის მკვლევართათვის არათუ იშვიათი
– პრაქტიკულად არარსებული ფუფუნებაა მაგალითების მოშვე-
ლიება წიგნებიდან (მხატვრული თხზულებებიდან). ამ მხრივ და-
ლიანი გამოდგა ადამ ალვანელის (ბობლაშვილის) ლექსების კრე-
ბული „ვრევლო, იყურე...“; სადაც ვხვდებით ნანალო – ნანალო
კვანტიტატიურად ობოზიციურ წყვილს ერთსა და იმავე ლექსში
სათაურით „ნანა (ძველი თუშური ნანა)“: ოღონდ ქართულენოვან
(და ისიც არასამეცნიერო) ტექსტში, რა თქმა უნდა, კვანტიტატი-
ური სხვაობა სათანადო დიაკრიტიკით არ არის გამოკვეთილი (ეს
უნდა გავაკეთოთ ჩვენ).

⁶⁶ აქ თავიდან მქ- და მქ- ბგერათჯგუფები დიფთონგებს არ წარმოადგენენ: მ
არის კლასის მაჩვენებელი დამოუკიდებელი ფონემა.

ორი აღნიშნული ლექსებიდან თუ შუბრენოვანი ნანალო, სადაც ორივე ა ხმოვანი ნახევრადგზობელია (მახვილით პირველ მარცვალზე), მოფერებითი ფორმაა სიტყვისა ნან 'დედა' (ქადაგიძე, ..., 1984, 467) და შეესატყვისება ქართულ ფორმას 'დედილო'. მეორე თუ შუბრენოვანი ლექსებია ნანალო, სადაც ორი მოკლე ა ხმოვანი გვაქვს (მახვილით ასევე პირველ მარცვალზე), გადმოქართულებული ვარიანტია ფორმისა ნანალო (სადაც, გარდა იმისა, რომ ორივე ა ხმოვანი მოკლეა, ბოლოკიდური ა ხმოვანი ირაციონალურია – უმარცვლო): ნანალო / ნანალო – ასე მიმართავს წოვათუმი დედა ვაჟი შვილს სიყვარულით⁶⁷.

მაგალითები დასახელებული ტექსტიდან:

ვაჟ სე ბედუხა, ნანალო 'ვაჟ ხეშ ბედს, დედილო'
(ალვანელი, 1993, 18)⁶⁸

თავს შემოგველოს ნანალო 'თავს შემოგველოს დედილო'
(ალვანელი, 1993, 18)

არ შემირცხვინო მანდილი, შენ შეგენაცვლოს ნანალო
'არ შემირცხვინო მანდილი, შენ შეგენაცვლოს დედილო'
(ალვანელი, 1993, 21)

გამოიზარდე, „ბადერა“⁶⁹, და გაახარე ნანალო
'გამოიზარდე, შვილო და გაახარე დედილო'
(ალვანელი, 1993, 21)

მოუსვენარო წოვათა, თუშეთის მთებო მაღალო, თქვენ
დამიფარეთ შრომა და დამიფაქვაცეთ ნანალო
'მოუსვენარო წოვათა, თუშეთის მთებო მაღალო, თქვენ
დამიფარეთ შრომა და დამიფაქვაცეთ ვაჟი შვილი'

⁶⁷ არ გამოვრიცხავთ ამ ორი სიტყვიდან ერთი მომდინარეობდეს მეორისგან: ნან 'დედა' > ნანალო 'დედილო' > ნანალო 'დედილო/შვილო' (მიმართვის ადეკვატური ფორმა ქართულშიც გვაქვს).

⁶⁸ ქართულ გრაფიკაში ა-ის უქონლობის გამო დიფთონგის ნანალო ფორმდება ხოლომე სრული ა-თი, რაც ლაბიალურს სალექსო ზომას.

⁶⁹ ბადერა 'შვილო' (ბოლოკიდური – ა ემფატიკურია).

(ალვანელი, 1993, 22)

ერთი მაგალითიც ჩვეულებრივი ა-სთვის ნანალო სიტყვა-ფორმაში – ამჯერად ა. ალვანელის პროზაული მექვიდრობიდან – მოთხრობიდან „სიკვდილი კაკლიანში“: თექას, თექას შემიკერავ, არა, ნანალო?! ‘თექას, თექას შემიკერავ, არა, დედილო?!’ (ალვანელი, 1993, 83).

მართალია, დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონშიც (ქადაგიძე, ..., 1984), კ. ჭრელაშვილთანაც (ჭრელაშვილი, 1979) და, იგულისხმება, სხვა ბაცბოლოგიურ მასალებშიც ‘ფასი’ და ‘ნემსი’ სიტყვები წარმოდგენილია შესაბამისად ნახევარგრძელი ა და გრძელი ა ხმოვნებით (მან – მანხ), მაგრამ შეენიშნავთ, რომ ამ ორივე სიტყვის შედარებისას მესამე – მახათ ‘მანათი’ – სიტყვასთან გვიჩნდება აზრი მოკლე ა ხმოვნის შესახებ სიტყვაში მანხ ‘ფასი’ (მახათ ‘მანათი’ სიტყვასთან შედარებით). ანუ მსჯელობის დონეზე ვიღებთ ირიბ ფონოლოგიურ რიგს: მანხ ‘ფასი’ – მახათ ‘მანათი’ – მანხ ‘ნემსი’. აქ იმის თქმა გვინდა, რომ ოპოზიციურ სპექტრში ჩნდება მესამე წევრი, რომელიც გვეხმარება კვანტიტეტის დაზუსტებაში. შედეგად ვიღებთ ა – ა – ა პარადიგმას: მანხ – მახათ – მანხ ‘ფასი’ – ‘მანათი’ – ‘ნემსი’. სიზუსტისთვის დაგემატოთ, რომ თუ შერენოვანი მანხ ‘ფასი’ სიტყვის ა თავისი ხანგრძლივობით თითქმის იდენტურია რუსული ენის მოკლე (რედუცირებული) а ხმოვნისა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა махнѣть [махнѣть]⁷⁰ ‘დაქნევა’, махра́ [махра́] ‘წვეკო’, Махно́ [махно́] ‘მანხო’ (ანთრ.) და ა. შ. ამ სამუშაო მოსაზრებებს უთუოდ დაადასტურებს აპარატურული ექსპერიმენტი.

ერთი თუ შერენოვანი ტექსტი თვალსაჩინოდ მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ შვა „ქიმიური“ ფანქრით დაწერილმა და სამკუთხედად დაკეცილმა ერთმა კერძო წერილმა ხმოვანთა კვანტი-

⁷⁰ ა სიმბოლოს ამ შემთხვევაში არაფერი აქვს საერთო ოკლუზიასთან.

ტექტის სფეროში ფონოლოგიურად ოპოზიციური სიტუაცია, რომელიც ლინგვისტიკაში სრულიად გაუთვითცნობიერებელმა მწყემსებმაც კი გააცნობიერეს პერცეფციულ დონეზე. აქ, თავის-თავად, საქმე გვაქვს აგრეთვე სასვენი ნიშნების უგულებელყოფასთანაც და ბილინგვურ გარემოსთანაც, რაც არცთუ იშვიათად იწვევს თუშურ-ქართული რეალიების გადაკვეთას.

მამას, ალექსის, თავისი ასული ბარიდან მთაში სწერს წერილს, რომელიც წაკითხულ იქნა ისე, როგორც იყო დაწერილი – ასი ცხენი გამომიგზავნე მთაში უნდა ამოვიდე (მიქელაძე, ..., 2011, 336), ნაცვლად იმისა, რომ წაკითხულიყო (და დაწერილიყო): **ასი, ცხენი გამომიგზავნე: მთაში უნდა ამოვიდე.**

ასი თუშურ ენაში გახლავთ შემოკლებული, მოფერებითი ფორმა რქმევის საკუთარი სახელისა ‘ალექსი’ (ა-ლექ-სი > ა-სი > ასი), რომლის განსასხვავებლადაც ქართული რიცხვითი სახელისაგან ‘ასი’ აუცილებელია მასში – ანთროპონიმში – შემავალი ა ხმოვანი უსათუოდ იყოს მოკლე. ანუ აქ საქმე გვაქვს თუშურ-ქართულ ოპოზიციურ წყვილთან: ბილინგვი წოვათუშები ორივე ენაზე ერთნაირად და თითქმის ერთდროულად აზროვნებენ და საჭიროების შემთხვევაში ხელსაყრელიც კია ასეთი ოპოზიციების მოშველიება. ზებილინგვიზმისა თუ სუპერბილინგვიზმის პირობებში, შეიძლება ითქვას, ხორციელდება **S** (წყარო) და **C** (მსესხებელი) ენების იმგვარი სინთეზი, როცა სახეზე გვაქვს ენის მესამე – **SC** – მოდელის მსგავსი რამ, რაც გვათამამებს მიემართოთ თუშურ-ქართული თუ ქართულ-თუშური სიდიდეების შეწყვილებას ბგერათა ფონოლოგიური ქცევის გამოსამქლავებლად. მაშ, აქ გვაქვს:

ქართ. ასი
 |
თუშ. ენ. ასი ‘ალექსი’

გამოდის, თუშურენოვან ასი ანთროპონიმში ა ხმოვანი ნამდვილად გაცლებით მოკლეა ქართულ (და აგრეთვე თუშურენო-

ვან) ნახევრადგრძელ ა-ზე, რომელიც გვაქვს ქართულ რიცხვით სახელში 'ასი'. და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ეს თუ-შურენოვანი სიმოკლე ფონემურ ღირებულებას გვიდასტურებს.

შევეხებთ რა თუშური ენის არადიფთონგისეული მოკლე ზ, ჟ და ჯ ხმოვანთა ფონეტიკურ მხარეს, ისიც დავინახეთ უთუოდ, რომ ისინი ფონემატურ ოპოზიციებს ქმნიან, ანუ ასრულებენ დის-ტინქტურ ფუნქციას. ამ თვალსაზრისით უნდა ვუწოდოთ აქ დახა-სიათებულ თუშურენოვან ხმოვნებს **მოკლე**.

ასე რომ, თუშური ენის ა, ე, ო ჩვეულებრივ ხმოვნებს გააჩ-ნია მოკლე ზ, ჟ, ჯ არადიფთონგისეული ფონემური კორელატები, რომელთაგან ზ უფრო გავრცელებული ჩანს.

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუშური ენის საკუთრივ მოკლე ხმოვნებში (ირაციონალურების გამოკლებით!) გამოიყოფა ორი – არადიფთონგისეული და დიფთონგისეული – ქვესახეობა. ასეთი გრადაცია აქ უკვე იმ გარემოებითაც უნდა იყოს განპირო-ბებული, რომ არადიფთონგისეული მოკლე ხმოვანი, ჩვეულებრივი (ძირითადი) ხმოვნის მსგავსად და ირაციონალური ხმოვნისგან განსხვავებით, როგორც დავინახეთ, აწარმოებს მარცვალს, დიფ-თონგისეული მოკლე ხმოვანი კი, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ირაციონალურების მსგავსად, ვერა.

ფუნქციური თვალსაზრისით, თუშური ენის მოკლე ხმოვნები ატარებენ თითქმის ისეთსავე დატვირთვას, როგორსაც ჩვეულებ-რივი (ნახევრადგრძელი) ხმოვნები.

ორიოდე მაგალითი ცოცხალი თუშურენოვანი მეტყველები-დან, როცა კვანტიტატიური ოპოზიცია ერთსა და იმავე წინადადე-ბაში განთავსდება: **დადას ბარლო ბარლო 'მამამ ბარნელა გამოთაღა'; დაჰ დაფ დაფ თოჯ 'დაიკარგა მსუბუქი თონი'**.

აღბათ, ენის შინაგანი კანონზომიერებებიდან გამომდინა-რე, იმ შემთხვევაში, თუ გამორიცხულია კვანტიტატიური ოპოზი-

ციის გაჩენა, ანდა, უბრალოდ, თუ კონტექსტუალური გარემო ამ მხრივ დაცვით გარანტიებს იძლევა, სიტყვათ- თუ ფორმათწარმო- ების პროცესში ესა თუ ის კვანტიტატიური ნიშანი შეიძლება ერთი ხმოვნოდან მეორეზე გადაადგილდეს, ანდა საერთოდ დაიკარგოს: ბარლქ 'ბარელი, ბარიდან' - მაგრამ ბარ 'ბარი' ('მთის' ანტონიმი), ბაშარ 'პარსვა (სამართებლით)' - მაგრამ ბაბოს ქორთ დაჰ ბაშ 'პაპამ თავი გაიპარსა', დხნ/დახეც 'იმიტომ'. თვით ვოკაბულებიც ზოგჯერ არაერთგვაროვანად არის წარმოდგენილი: დწყ/დაყ 'წილი, ხვედრი' (ქადაგიძე, ..., 1984, 158), სინი (ქადაგიძე, ..., 1984, 537) და სინი (ქადაგიძე, ..., 1984, 540) 'ლოურჯი; მწვანე (ბალახი)'.

ჩვენ მიერ თუშურ ენაში ირაციონალურებად წოდებული ხმოვნები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია ხან მოკლე, ხანაც უმარცვლო ხმოვნებად. მაგრამ არც დიფთონგისეული ხმოვნები გვაძლევენ მარცვალს. არადა ამ ორი ტიპის ხმოვნები აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისგან არა ერთი პარამეტრით. ამიტომაც უნდა განვასხვავოთ ისინი ტერმინოლოგიურადაც.


მეტიც: თუშური ენის ხმოვნები, რომლებსაც მოკლე ვუწოდეთ (დიფთონგისეულ მოკლე ხმოვნებთან ერთად), მარცვალს აწარმოებენ, რითაც ფუნქციურად აშკარად განსხვავდებიან როგორც დიფთონგისეული, ისე ირაციონალური ხმოვნებისგან.

ნათქვამიდან გამომდინარე, ალბათ, საქმისთვის სასარგებლო იქნება ის, რომ თუშური ენის მოკლე ხმოვნები დავეყავით დიფთონგისეულ მოკლე და არადიფთონგისეულ (მარცვლოვან და არამარცვლოვან) მოკლე ხმოვნებად.

მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება იმაში, რომ თუშურ ენაში აშკარაა არადიფთონგისეული მოკლე ხმოვნების ფუნქციონირება ფონოლოგიური მისიით, რაც, დღემდე ყურადღება არ დაეთმო რა მას, ვერც დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკოგრაფიულ მემ-

კვიდრეობაში აირეკლა ადეკვატურად და ვერც სამეცნიერო ლიტერატურაში.

საერთო ჯამში თუშური ენისთვის მივიღეთ სულ ოთხი მოკლე ხმოვანი: ა, ე, ო, უ (ა, ე, ო, უ). ამათგან მოკლე ა უსათუოდ არადიფთონგისეულია, მოკლე ე, ო, უ ხმოვნები კი ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებლად, ისე დიფთონგების შემადგენლობაში. ეს ხმოვნები სამკუთხედზე ჩანან ასე:



§ 4. ხმოვანთა კვანტიტატიური განსხვავების შესახებ ქართულში
(მინიშნებები იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობაზე)

ფონოლოგიური ინტერფერენციის სამი სახეობიდან ერთ-ერთია ფონემათა არასაკმარისი გარჩევა (ნაკლებობა) ამ პროცესში. ასეთი ნაკლებობა შედეგია წყარო (S) ენის ფონემათა ეკვივალენტების არარსებობისა მსესხებელი (C) ენის საარტიკულაციო ბაზაში. ევროპელებს, მაგალითად, სწორედ იმიტომ უჭირთ ქართული ქ და კ, თ და ტ ბგერების გარჩევა (ლადარია, 2002), რომ ევროპულ ენებს არ გააჩნიათ მათი ადეკვატური ბგერები და, მაშასადამე, ევროპელებს არა აქვთ გამომუშავებული არც ადეკვატური არტიკულაციის (სამეტყველო ორგანოთა მუშაობის) და არც

ადეკვატური აკუსტიკური (გაგონების) ჩვევები, რაც ჯამში იძლევა პერცეფციულ ვაკუუმსაც.

იმ პირობებში, როცა თუშურ (C) ენას გააჩნია ქართული (S) ენის 33-ვე ბგერაც და კიდევ ამდენზე მეტი – 49 – საკუთარიც (ქართულისგან განსხვავებული), ფონემათა არასაკმარისი გარჩევა ინტერფერენციის პროცესში უკვე თეორიულ დონეზე უნდა გამოირიცხოს. მეტიც: იქ, სადაც თავად სალიტერატურო ქართულმა ენამ დაკარგა, მაგალითად, საკუთარი ისტორიული მ, გ, თუშურ ენას უდანაკარგოდ აქვს ისინი დაცული როგორც თუშურენოვან, ისე ქართულენოვან ლექსიკაში:

ქართ. ვაჲ! (→ ვაი!) – თუშ. ენ. ვაჲ!

ჰაჲ! – ჰაჲ!

ჰაჲ-ჰაჲ [რომი] – ჰაჲ-ჰაჲ [მქ]

მეტიც, თუშურ ენას შემუშავებული აქვს გ-ს ინტენსიური კორელატიც: დაჯწ ‘დიდი’, ეჯარ ‘ვადახტობა’.

ფონემათა ზედმეტი გარჩევა (მეტობა), რის წყალობითაც, „მაგალითად, ფრანგებს შეუძლიათ რუსულ ენაში გაარჩიონ“ ორგვარი (ორი) ე – ღია და დახურული, რომლებსაც თვით რუსები ვერ არჩევენ (ლადარია, 2002), იმავე უპირატესობითაც არის განპირობებული, რომლითაც – ფონემათა არასაკმარისი გარჩევა ინტერფერენციის პროცესში, რადგან ერთი და იმავე მოცემულობის ნაკლებობა ერთგან თავისთავად გულისხმობს მის მეტობას მეორეგან და პირიქით.

იმ პირობებში, როცა თუშურ (C) ენას გააჩნია, მაგალითად, ხმოვანთა კვანტიტატიური (ბგერათრაოდენობრივი, ხანგრძლივობითი) განსხვავება, ანდა ხმოვანთა როგორც მაგარი, ისე ე. წ. თავისუფალი შემართვები (ანლაუტში), ამ ენასთან ტიპოლოგიური შედარებები საშუალებას იძლევიან ვილაპარაკოთ ამ საინტერესო ნიშნებზე ქართული (S) ენის ხმოვნებთან მიმართებაშიც.

ამასთანავე, ქართულად მეტყველებისას უფროსი თაობის წოვათუში მანდილოსნები ჯერ კიდევ რამდენადმე გრძლად წარმოთქვამენ ა ხმოვანს, რაც ასევე ფონემათა მეტობას (ასეც შეიძლება გვეთქვა – არტიკულაციურ მეტობას) უნდა მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება რეინტერპრეტაციას ფონოლოგიურ ინტერფერენციაში, ამის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მაგალითად არის მიხნეული გერმანელის მიერ რუსული ენისთვის დამახასიათებელი ყრუ და მჟღერი თანხმოვნების როგორც სუსტი და ძლიერი ბგერების, დაპირისპირების ინტერპრეტაცია, რაც ხშირად არის გამოყენებული XIX ს. რუსულ ლიტერატურაში – გერმანელისთვის დამახასიათებელი მეტყველების გადმოსაცემად (ლადარია, 2002).

ამგვარსავე რეინტერპრეტაციას აქვს ადგილი გერმანული ენის ანლაუტისეული ხმოვნის ძლიერ შემართვასთან მიმართებაში, რაც, შემოდღა რა რუსული სამეცნიერო ლიტერატურიდან, დამკვიდრდა ქართულშიც. ჩვენ ვიცნობთ გერმანული ენის საუკეთესო ქართველ სპეციალისტებს, რომლებიც, არ ძალუძთ რა მარტივად და გასაგებად აუხსნან ქართული ენის მატარებელს გერმანული ენის ხმოვანთა ეს საინტერესო თავისებურება – ანლაუტის ხმოვანთა ძლიერი (მკვეთრი, ხშული, მაგარი) შემართვა, ბევრთად იმეორებენ მსმენელისთვის არცთუ გასაგებ ფრაზას: ხმოვანი აქ უნდა წარმოთქვას მაგრად, ძლიერად! მსმენელის დაბნეულობას ხშირად ვერც სპეციალისტების ჟესტიკულაცია ანეიტრალებს.

თუმორ ყურს (სმენას), რომლისთვისაც, როგორც უკვე ითქვა, კარვად არის ნაცნობი ანლაუტის ხმოვანთა როგორც მაგარი, ისე ე. წ. თავისუფალი შემართვები, შანსი ეძლევა გერმანული ენის ანლაუტისეული ხმოვნების შემართვაში „დაიჭიროს“ ის განსაკუთრებული ობერტონი (მინაბგერი, *призвук*), რომელსაც შესაძლოა თვით გერმანელი ვერ არჩევდეს. ეს, კვლავ მივყავართ

რა გერმანული ენის შიგნით ფონემათა არასაკმარის გარჩევამდე, ხოლო მის გარეთ – ფონემათა ზედმეტ გარჩევამდე, ჯამში კიდევ ერთხელ მეტყველებს ტიპოლოგიის დიდ სიკეთეზე ლინგვისტიკაში.

როგორც უკვე გვაქვს ნათქვამი (ბერთლანი, 2011, 40-44)⁷¹, იქნებ რამდენადმე ებიზოდურად და მკრთალად, მაგრამ ქართული ენის ხმოვნებში მაინც ვხვდებით მოვლენას, რომელსაც არ მიეცემა სხვა რამ კვალიფიკაცია, თუ არა კვანტიტატიური განსხვავება, რომლის გამოვლენის შანსსაც იძლევა სწორედ თუშური და ქართული ენების ტიპოლოგია. კერძოდ, უსათუოდ სხვადასხვა კვანტიტეტისაა ერთი და იგივე ხმოვანი, მაგალითად, ქართულ სიტყვებში⁷²:

ათია (10-ია) – ათია (გაათია)

აქცია (ქაღ.; მოქმ.) – აქცია (გარდაქმნა)

ერთობა (ერთიანობა) – ერთობა (დროს ატარებს)

წესდება (კანონდება) – წესდება (წესების კრებ.)

ტოლმა (საჭმელი) – ტოლმა (სწორმა)

ფორმა (გარეგნ. მოხაზ.) – ფორმა (ანთრ.)

კვანტიტატიური განსხვავების გამოვლენა აქ, მართალია, დაძაბულ და კვირვებას მოითხოვს, მაგრამ აშკარაა: ამ წყვილებში შემაჯავლი პირველი წევრები დაკომპლექტებულია ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი) ხმოვნებით, მარჯვენა წევრებში კი იგივე ხმოვნები ჩვეულებრივზე რამდენადმე მოკლეა (გავიმეოროთ): ტოლმა (იგულისხმება საჭმელი) – ტოლმა (თანასწორმა) და ა. შ.

⁷¹ ალბათ, ტექნიკური მიზეზებით სიმპოზიუმის მასალებში გარკვეული ხარვეზებია გაპარული დიაკრიტიკის თვალსაზრისით.

⁷² გარკვეული მოსაზრებით ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს ამჯერად არ აღვნიშნავთ შესაფერისი სიმბოლოებით: ასეთი აღნიშვნის საჭიროების შეგრძობა თავისთავად უნდა გაუჩნდეს ამ სფეროში ასე თუ ისე ჩახედულ მკითხველს.

აქ, ჩვენი მოსაზრებით, სახეზეა ქართულ ხმოვანთა ფონოლოგიური სხვადასხვაობა კვანტიტატიური ნიშნით⁷³:

ათია (10-ია) – ათია (გათია)

აქცია (ქალ.; მოქმ.) – აქცია (გარდაქმნა)

ერთობა (ერთიანობა) – ერთობა (დროს ატარებს)

წესდება (კანონდება) – წესდება (წესების კრებ.)

ტოლმა (საჭმელი) – ტოლმა (სწორმა)

ფორმა (გარეგნ. მოხაზ.) – ფორმა (ანთრ.)

ამ წყვილების წევრთა ფონეტიკური დინამიკა არაერთგვაროვანია იმდენად, რომ, იქნეს რა ხარისხობრივ კვალიფიკაციას, გაყვავართ ფონოლოგიურ შედეგებზე.

მოკლე ა ქართულენოვან ბმულ მეტყველებაში: დათუკიშვილი მოვა [დათუკიშვილიმოვა] – და თუკი შვილი მოვა [დათუკიშვილიმოვა] და სხვ.

დაკვირვების ამ ეტაპზე შეიძლება ვილაპარაკოთ 3 მოკლე ხმოვანზე ქართულ ენაში: ა-ზე, ე-ზე და ო-ზე.

ჩვენ მიერ სპეციალურად არის შეგროვებული რამდენიმე ისეთი ქართულენოვანი სინტაქსური კონსტრუქცია, სადაც თავად სიტუაცია გვეკარნახობს ერთნაირი ხმოვნების უსათუო წარმოთქმას განსხვავებული ხანგრძლივობით: ერთ სინტაქსურ სივრცეშია მოქცეული ისეთი სიტყვა-ფორმები, რომლებიც – მათში შემაჯავლი ხმოვნების განსხვავებული ხანგრძლივობის გამო – გვაძლევენ ფონოლოგიურად დაპირისპირებულ კლასიკურ წყვილებს. ერთ-ერთი მათგანი ფრაგმენტია მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობიდან: მამაც მამაც მეომრებს შორის ზის (ბერთლანი, 2010, 17). ამ ფრაზაში შემაჯავლი პირველი ორი სიტყვის აბსოლუტურად ერთნაირი წაკითხვა იწვევს აბსურდულ ლექსიკურ ტავ-

⁷³ ახლა ეს სხვაობა უკვე აღვნიშნოთ გრაფიკულად.

ტოლოგიას, რის გამოც ინგრევა როგორც თვით მათი, ისე მათი შემცველი წინადადების შინაარსი. სინამდვილეში აქ პირველი მამაც არის – ც ნაწილაკიანი ფორმა არსებითი სახელისა მამა, სადაც ორივე ა ხმოვანი ნახევრადგრძელია (ჩვეულებრივია), ხოლო მეორე მამაც მიც. ბრუნვის უფორმანტო ფორმაა ზედსართავი სახელისა მამაცი, სადაც პირველ მარცვალში გვაქვს მოკლე ა: მამაც მამაც მეომრებს შორის ზის. აქ საინტერესოა ისიც, რომ კონსტრუქციაში მამაც მამაცია – ალბათ, სემანტიკური აღრევის საშეშროების არარსებობის გამო – შეიძლება, თუმცა აუცილებელი აღარ არის ხმოვნის დამოკლება შესიტყვების მეორე წევრში, რაც იმაზეც უნდა შეტყველებდეს, რომ კვანტიტატიური განსხვავება ქართულში ავლენს არასტანდარტულ ხასიათს.

ჩავიხედოთ ისეთ ქართულენოვანსავე წყვილებში, სადაც კვანტიტატიური განსხვავება (ფონეტიკურიც კი) სრულებით გამორიცხულია:

- აგებს (ფულს) – აგებს (ძაფს)
- დავა (კამათი) – დავა (დაიწვეს)
- ველი (ველოდები) – ველი (ვაკე)
- ნელი (აუჩქარებ.) – ნელი (ანთროპ.)
- ბოლი (კვამლი) – ბოლი (ანთროპ.)
- ტოლი (თანასწორი) – ტოლი (მუყაო)

აქ ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს ამ სიტყვებში შემაჯალი ხმოვნების განუსხვავებლობაში, რაც იმდენად ნათელია და, ამავე დროს, იმდენად დამაბნეველიც, რომ კონტექსტის გარეშე ვერ ვაცნობიერებთ შეწყვილებული წევრების სემანტიკურ განსხვავებას. ამიტომაც, რომ ამ მაგალითებს ახლოსაც არ/ვერ მივყავართ ხმოვანთა კვანტიტატიურ განსხვავებასთან ქართულში. და ეს გასაგებიცაა, რადგან აქ საქმე გვაქვს ტიპიურ ომონიმებთან (ანდა ომოფორმებთან).

მაგრამ, ვიდრე კვანტიტატიური განსხვავებით არ წარმოვთქვამთ მამაც და მამაც სიტყვებში შემავალ პირველ ხმოვნებს ფრაზიდან მამაც მამაც მეომრებს შორის ზის, კუთვნილ შინაარსს ვერ შევძენთ ვერც თითოეულს ამ სიტყვებიდან და ვერც მათ შემცველ წინადადებას. ესეც გასაგები უნდა იყოს, რადგან ლექსიკური წყვილი მამაც – მამაც გამოსულია ომონიმიური გარემოდან და შესულია ხმოვნათა კვანტიტატიურ განზომილებაში.


გამორიცხული არ არის, ქართულ ვოკალთა ეს განსხვავებულობა ხმოვნათა სივიწროვე-სიფართოვედ იქნეს გაცნობიერებული და ჩავთვალოთ, რომ ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფართო, ხოლო მეორე შემთხვევაში – ვიწრო ხმოვნებთან. თუმცა, გარდა იმისა, რომ კვალიტეტის (რაობის) ეს ნიშნები (ხმოვნების სივიწროვე და სიფართოვე, ანუ, რაც იგივეა, ღიაობა და დახურულობა), სხვა ფაქტორებთან ერთად, ფონემათა ხანგრძლივობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაცაა (ახვლედიანი, 1966, 124), აქ მაინც სახეზე რჩება ქართული ენის ხმოვნათა ფონოლოგიური განსხვავება ამა და ამ ნიშნით. ისე რომ, ქართულენოვან მაგალითებს კვლავ ხმოვნათა სიგრძე-სიშორის იმ კვალიფიკაციამდე მივყავართ, რომელიც თუშურ ენაში კიდევ უფრო გამოკვეთილად არის ჩამოყალიბებული. ამ რეალობასაც ვითვალისწინებდით, როცა ვსაუბრობდით მოკლე ხმოვნების არსებობაზე თუშურ ენაში.

მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, აქ მოხმობილი წყვილების მარჯვენა წევრებში კი არ გვექონდეს მოკლე ხმოვნები, არამედ მარცხენა წევრებში ფუნქციონირებდნენ გრძელი ხმოვნები. მაგრამ აქ ეს არც არის მთავარი: ეს განხილვისა თუ სამეცნიერო შეთანხმების თემაა. დღეს ის უფროა მნიშვნელოვანი, რომ მკითხველმა გააცნობიეროს ერთსაფეხურიანი კვანტიტატიური განსხვავება აქ წარმოდგენილ მაგალითებში.

შეგვიშნავთ, რომ ცოცხალ მეტყველებაზე ამგვარი დაკვირვების გზით ქართულში სადღეისოდ გამოვლენილი გვაქვს 75-მდე ოაზონიციური წყვილი, ამათგან: მოკლე ჰ-სთვის – 58, მოკლე ე-სთვის – 11, მოკლე ო-სთვის – ჯერჯერობით მხოლოდ 5.

აქ ყურადსაღებია ერთი დეტალიც: სინშირეთა ეს ვექტორი, ა-დან ო-სკენ მიმართული, გვაფიქრებინებს, რომ ქართული ენის ფართო წარმოების ხმოვნები უფრო მეტად ავლენენ მიღრეკილებას კვანტიტატიური დამოუკიდებლობისკენ.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულ ენაში შეიმჩნევა ხმოვანთა ისეთი კვანტიტატიური განსხვავება, რომელიც ატარებს რელევანტურ (დისტინქტურ, სოციალურ, ფონოლოგიურ) დატვირთვას, რაც საშუალებას იძლევა პირველად ქართველოლოგიაში ავაგოთ სამკუთხედი მოკლე ხმოვნე-ბისთვისაც:



მართალია, ხმოვანთა ეს ბუნება სადღეისოდ არც ვაცნობიერებულია და არც დადასტურებული ქართული ენისთვის (უარყოფილიც კია), მაგრამ მაინც ღირს უთუოდ მუშაობა ამ მიმართულებით. ექსპერიმენტული შესწავლის შემთხვევაში უფრო ზედმიწევნითი და, რაღა თქმა უნდა, უფრო დამაჯერებელი გახდება ყოველივე.

§ 5. თუშური ენის ირაციონალური ხმოვნები

თუშური ენის ხმოვნები, რომლებსაც აქ ირაციონალურების კვალიფიკაციით განვიხილავთ, სამეცნიერო მასალებში მოხსენიებულია რედუცირებულ, ძლიერ რედუცირებულ, მოკლე, ძალიან მოკლე, უმარცვლო, აგრეთვე სუსტ ხმოვნებად (უთურგაიძე, 1960; Гагуа, 1983; Дешериев, 1953 და სხვ.).

ფიზიოლოგიურად ისინი მართლაც სუსტები არიან იმდენად, რომ ხმაც კი არ გააჩნიათ. მაგრამ კვანტიტატიურ დიაგნოსტიკაში (კვანტიტატიურ ტერმინოლოგიაში), ამ ტერმინთაგან არც ერთისთვის არ მოიპოვება რა ადგილი ხმოვნებთან მიმართებაში, შეიძლება ვინმართ მხოლოდ ტერმინები ზეგრძელი, გრძელი, ნახევრადგრძელი (= ჩვეულებრივი), მოკლე, ირაციონალური. ისე რომ, ხმოვნებს, რომლებზეც აქ ვსაუბრობთ, „ფიზიკურად“, დიახ, სუსტები შეიძლება ვუწოდოთ, ფუნქციურად კი – უმარცვლოები, მაგრამ კვანტიტატიურად ისინი უსათუოდ ირაციონალურნი არიან.

არც გ. ახვლედიანთან (ახვლედიანი, 1966), არც არნ. ჩიქობავასთან (ჩიქობავა, 1979) საერთოდ არ არის განმარტებითი საუბარი ირაციონალურ ხმოვნებზე.

ჩვენ თვით ტერმინებზეც არა გვაქვს აქ საუბარი: საქმე ის არის, რომ ის ხმოვნები, რომლებსაც ვაძლევთ ირაციონალურების კვალიფიკაციას, ღღემდე გაერთიანებულნი არიან სულ სხვა ხანგრლივობისა თუ ფუნქციის ხმოვნებში.

ლინგვისტურ ენციკლოპედიაში უმარცვლო ხმოვნები თითქოს გაიგივებულია გლაიდებთან (ЛЭС, 1990, 107). თუშური ენის ირაციონალური ხმოვნები, რომლებიც მარცვალს მართლაც ვერ აწარმოებენ, უთუოდ არ უნდა წარმოადგენდნენ გლაიდებს, რადგან ერთ შემთხვევაში, დაფუძვით, გლაიდს უწოდებენ გარდამავალ ელემენტს, რომელიც გვესმის, მაგალითად, რბილი თან-

ხმოვნის შემდეგ რუსულენოვან სიტყვაში **тяга**⁷⁴ ‘წევა’ (ЛЭС, 1990, 105), ხოლო მეორე შემთხვევაში – დიფთონგის არამარცვალმომცემ ელემენტს (ЛЭС, 1990, 383). მაშ, აქაც საჭიროა ცნებათა იდენტიფიკაცია: მართალია, თუშური ენის ირაციონალები არიან რედუცირებულნიც, ძლიერ რედუცირებულნიც, მოკლენიც, ძალიან მოკლენიც, უმარცვლონიც, სუსტებიც, მაგრამ ზოგი რამის დაზუსტება მაინც სასურველია.

ჩვენ მიერ ირაციონალურ ხმოვნებად მიჩნეულ ხმოვნებს არც ი. დეშერიევი განიხილავს ცალკე და, მაშასადამე, არ ანიჭებს მათ ფონემურ დამოუკიდებლობას. ხმოვანი ფონემების საერთო დახასიათებისას იგი შენიშნავს მხოლოდ, რომ „მარტივი (წმინდა, არაცხვირისმიერი) **а, е, и, о, у, э**“⁷⁵ ხმოვნები, თუ ისინი უმახვილონი არიან, სიტყვის ბოლოში ძლიერ რედუცირდებიან, ხდებიან ძალიან მოკლენი“ (Дешериев, 1953, 42). მკვლევარს მოჰყავს შესაბამისი მაგალითები და იძლევა თითოეული მათგანის მოკლე არტიკულაციურ დახასიათებას (Дешериев, 1953, 42-43). აქ, ჯერ ერთი, კვლავ უნიფიცირებას საჭიროებს თუშური ენის ხმოვანთა სისტემის ი. დეშერიევისეული ხედვა: რამდენი მარტივი ხმოვანი ფონემა უნდა ვცნოთ თუშურ ენაში – 5 თუ 6? მეორე, თუშურენოვან ლექსემებსა თუ მათ ფორმებში ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ აუხსლაუტისეულ უმახვილო ხმოვნებს (რადგან თუშურ ენას მახვილი, როგორც წესი, სიტყვის თავში მოუდის), რომლებიც ინარჩუნებენ ჩვეულებრივი (მარტივი – ი. დ.) ხმოვნების სახესა თუ სტატუსს, არ რედუცირდებიან რა და არ მოკლდებიან რა; მაგალითები: თა’გლა ‘გაკეთდება’, დაჟ’ლა ‘მოტანილი იქნება’, ე’ბე ‘ესენი’, ე’სე ‘აქ’, სა’ნი ‘კარები’, ქრი’სტი ‘შობა’, ი’სი ‘მანდ’, ო’სი ‘იქ’, ბა’ლი

⁷⁴ საუბარია რბილი **г** თანხმოვნის მომდევნო გარემოებაზე **а** ხმოვნისთვის.

⁷⁵ როგორც ვხედავთ, ი. დეშერიევთან გაუგებრობას აქვს ადგილი თუშური ენის ხმოვანთა რაოდენობის მხრივ.

‘მხრები’, ვა’ლო ‘მოდინარ’, კლე’ვადო ‘კითხულობს (სურვი-
ლობს)’, თხე’ჩუ ‘ჩვენსა’, ო’ვარჩუ ‘იმათას’, შუ’ჩუ ‘თქვენსა’...

იმ ხმოვნებისთვის, რომლებიც აქ უნდა განვიხილოთ და რომლებსაც მოკლესაც უწოდებენ, სატერმინო მსაზღვრელი მოკ-
ლე იმიტომაც არ გამოდგება, რომ ასეთ შემთხვევაში გაუგებარი
რჩება, რა ბგერაა ის ბგერა, რომელსაც, მაგალითად, ი. დეშერიევი
სიტყვაში **амбуи** ‘აშბავი’ გადმოსცემს ~ დიაკრიტიკული ნიშნით,
ანუ ქართული დ-ს (ყოფილი მოკლე დ-ს) შესატყვისით (Деше-
риев, 1953, 36-348-358)?

თუ ~ დიაკრიტიკული ნიშნით აღნიშნულ დიფთონგისეულ
ხმოვანს ვუწოდებთ იმას, რაც უკვე ვუწოდეთ – მოკლეს, მაშინ
თავისი სახელი და თავისი დიაკრიტიკა უნდა მოეძებნოს: დ. და ნ.
ქადაგიძეების ლექსიკონით წარმოდგენილ ბოლოკიდურ არადიფ-
თონგისეულ ნ ხმოვანსაც ბიძნ ‘ბიძა’, უდსნ / ოდსნ ‘იქ’, უდსთნ
‘ნერბი’, უდქმნ ‘უქმე’ ტიპის სიტყვებში, ი. დეშერიევის მიერ გად-
მოცემულ ბოლოკიდურ არადიფთონგისეულ რ ხმოვანსაც ისეთ
სიტყვებში, როგორიცაა ლახინრ ‘უპოვია’, მაგმორალრ ‘უთენე-
ბია’ და სრული წარმოების ო ხმოვანსაც აყრადბალინო ‘აყრილან’,
ბახკენო ‘მოსუღან’, იხრალო ‘მიდენილან’, მახინო ‘უცხოვრია’
(Дешериев, 1953, 365), რადგან, როგორც დავინახავთ, აქ სერიო-
ზულ მორფონოლოგიურ და ფუნქციურ უზუსტობებთან გვაქვს
საქმე. ამ შემთხვევაში არც სატერმინო კომპონენტი რედუცირებუ-
ლი გამოდგება, რადგან, როგორც მრავალჯერ ითქვა, რედუქცია
გვაქვს როგორც საკუთრივ მოკლე, ისე ირაციონალური ხმოვნე-
ბის შემთხვევაში.

თუშორი ენის აუსლაუტისეულ უმარცვლო ხმოვნებს ხომ ძა-
ლიან მოკლედ შეიძლება ვუწოდოთ. ძალიან მოკლე კი მოკლეზე
მოკლესაა. სწორედ ეს – მოკლეზე მოკლე – ხმოვნებია ირაციო-
ნალური ხმოვნები (ახვლედიანი, 1966, 123).

რაც შეეხება **ჩ**, ასევე **პ**, **ტ**, **წ**, **ჭ**, **ყ** ტიპის ხმოვნებს, მათთვის, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, გვრჩება მახასიათებელი მოკლე ასეც ვუწოდეთ მათ.

ხანგრძლივობის განსაზღვრის გართულება, რასაც მივაწერთ თუშური ენის სამი ტიპის – ნახევრადგრძელ, მოკლე და გრძელ – ხმოვნებს, ნაკლებად ახასიათებს, ანდა სულაც არ ახასიათებს ამ ენის ირაციონალურ ხმოვნებს: ამ სახით ირაციონალური ხმოვანი ან არის, ან არ არის მოცემულ სიტყვაში ან ფორმაში, მას ან ამოვიცნობთ, ან ვერ ამოვიცნობთ, მაგრამ ფონეტიკურად არც ერთ შემთხვევაში არ შეგვეშლება სხვა რომელიმე ხანგრძლივობის ხმოვანში. ის სხვა საკითხია, რომ დღეს ხდება ირაციონალური ხმოვნების დეფონემიზაცია, ანუ მათი დაკარგვა საერთოდ.

საჭიროა ირაციონალურ ხმოვნებს კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ როგორც თუშური ენის კვანტიტეტში, ისე ზოგად ფონეტიკაში. საუბარია თუშური ენის ბოლოკიდურ **პ**, **ტ**, **წ**, **ჭ**, **ყ** ხმოვნებზე⁷⁶, რომლებსაც, როგორც ითქვა, ზოგჯერ უმარცვლო (არამარცვალმომცემ) ხმოვნებსაც უწოდებენ, უმარცვლოობა კი უსათუოდ გამოწვეული უნდა იყოს მისი სიმოკლით, დამოკლებით⁷⁷ (თუმცა, როგორც დავინახეთ, არადიფთონგისეული მოკლე ხმოვნები თუშურ ენაში თავისუფლად აწარმოებენ მარცვალს). მაშ, ირაციონალური ხმოვნები ამავე დროს უნდა მივიჩნიოთ მოკლე ხმოვნებადაც ამ ცნების ფართო გაგებით, რადგან კვანტიტატიურ რიგში როგორც მოკლე, ისე ირაციონალური ხმოვნები, თავისთავად, ნახევრადგრძელ (ჩვეულებრივ) ხმოვნებზე მოკლენი არიან.

როგორც ჩანს, ბგერის (ამ შემთხვევაში – ხმოვნის) სიმოკლე უსათუოდ (ყოველთვის) როდია უმარცვლოობის ფარდი და, პირიქით, უმარცვლოობა ყოველთვის (უსათუოდ) როდია სიმოკლის

⁷⁶ სხვა წყაროებში გამოყენებულია დიაკრიტიკული ნიშანიც.

⁷⁷ სიმოკლის გამო ვერ აწარმოებს მარცვალს, მაგალითად, რუსული ენის **ჩ**-ც.

ფარდი, რაშიც გვარწმუნებს ის ფაქტიც, რომ რუსულ ენაში, მაგალითად, მოკლე **й**-ს გვერდით გვაქვს მოკლე **а** [А] და ამაზე კიდევ უფრო მოკლე **а** [ა] ხმოვნებიც, მაგრამ, **й**-სგან განსხვავებით, [А] და [а] თავისუფლად გვაძლევენ მარცვალს (ЛЭС, 1990). როგორც დავინახეთ და გავიმეორეთ კიდევაც, ასეა თუშური ენის არადიფთონგისეული მოკლე **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნების შემთხვევაშიც.

გარდა ამისა, მოკლე (რედუცირებული) ხმოვანი ზოგადი ცნება უფროა, რადგან რედუქცია (ანუ დასუსტება, ხანგრძლივობის დაკარგვა), როგორც რუსული ენის მაგალითზე ვხედავთ, შეიძლება სხვადასხვა ოდენობისა იყოს არათუ სხვადასხვა ენაში და არათუ ერთი რომელიმე ენის შიგნით, არამედ ერთი და იმავე ხმოვნისთვისაც კი ერთსა და იმავე ენაში. ასეთი გრადაცია კი ბგერათა სიგრძე-სიმოკლეში სხვა არა არის რა, თუ არა რედუქციის სფეროში შემაჯავლი კერძო მოვლენა: რედუქცია – ეს არის ბგერის დასუსტება, ანუ ზოგიერთი ნიშნის დაკლება გარკვეულ პოზიციებში (ნებიერიძე, 1991, 90).

მაშ, თუშური ენის უმარცვლო **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნები უნდა წარმოვიდგინოთ რუსული ენის მოკლე და ძალიან მოკლე ხმოვნებზე კიდევ უფრო მოკლე (სუსტ) ხმოვნებად, იმდენად მოკლედ (და იმდენად სუსტად), რომ არ შეუძლიათ მარცვლის წარმოება თუნდაც სონორული თანხმოვნის დონეზე (როგორც ზოგიერთ ენაში გვაქვს).

თუშური ენის ხმოვანთა კვანტიტეტი, როგორც ფონემური მოვლენა, ატარებს სოციალურ (აზრისა თუ ფორმის განმასხვავებელ) დატვირთვას. მაგრამ აქ ირაციონალური ხმოვნები იმთავითვე და უსათუოდ იპყრობენ ყურადღებას ერთი ისეთი თავისებურებით, როგორსაც არ ამქდავნიებენ თუშურივე ენის სხვა ტიპის ხმოვნები: ისინი გვხვდებიან უსათუოდ აუსლაუტში და უსათუოდ თანხმოვნის მიმყოფ. ეს ყველაზე უფრო აშკარა ნიშანია, რომელიც

ირაციონალურ ხმოვნებს უკვე განასხვავებს საკუთრივ მოკლე (და არა მარტო მოკლე) ხმოვნებისგან.

როგორც ითქვა, ბაცბოლოგიაში ამ ხმოვნებს სხვადასხვა დიაკრიტიკული ნიშნებით ვხვდებით. გვაქვს, მაგალითად: ბაყუ ‘კეცი’, ვარასუ ‘ვიყავი’, ვაშუ! ‘ძმაო’, დაშუ ‘ღა’, ნანალუ (ან-თროპ.)⁷⁸, ჟანგუ ‘წივნი’, ჟერუ ‘ქერივი’, ჰერწო/ჰერწუ ‘ქეაბი’ (უთურგაიძე, 1966); ასო/ასუ ‘ასო/თასმა’⁷⁹, ვაშო ‘ძმა’, დაშო ‘ღა’, ხახო ‘ხახვი’ (ქადაგიძე, ..., 1984; Дешериев, 1953). ეს ფაქტიკიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს იმას, რომ ამ ტიპის ხმოვნების კვალიფიკაცია მართლაც დასახვეწია.

იქნებ პრინციპული მნიშვნელობა არც ჰქონოდა იმას, თუ რომელ დიაკრიტიკულ ნიშანს მიეცემდით უბირატესობას, მაგრამ რადგან ერთსა და იმავე მოვლენაზეა ლაპარაკი, სხვა მოვლენათაგან განსხვავების საჭიროების თვალსაზრისით, სჯობს ორიდან ერთ ნიშანზე შევჩერდეთ. რაკი საკუთრივ მოკლე ხმოვნებს ~ დიაკრიტიკული ნიშნით გადმოსცემენ და რაკი, როგორც წესი, თუშურ ენაში გვაქვს მოკლე ხმოვნებიც, ალბათ, სჯობს ირაციონალური ხმოვნები გადმოვცეთ მეორე (^) დიაკრიტიკული ნიშნით.

აქ შევნიშნოთ, რომ, თუმცა თ. უთურგაიძის დიაკრიტიკა თუშური ენის ირაციონალურ უ-სთან მიმართებაში ვიზუალურად ემთხვევა ჩვენ მიერ შემოთავაზებულს (უთურგაიძე, 1966), მაგრამ თუშური ენის ირაციონალური ბ და უ ხმოვნების, ჩვენი აზრით, სრულიად იდენტური თუშურკილოვანი კორელატებიდან მკვლევარი ერთს რატომღაც უსადაგებს ~ სიმბოლოს, ხოლო მეორეს – ^

⁷⁸ ეს ის ლექსემაა, რომელიც მოკლე ხმოვნებზე საუბრისას გავაფორმეთ ნანალო/ნანალო ‘ნანალო’ სახით.

⁷⁹ ი. დეშერეიეთან არასწორად არის მითითებული ‘ქამარი’.

სიმბოლოს⁸⁰; შდრ. მარბ 'მარი', მეცნ 'ტანტი', ჰავლონ 'ჰავლე', წრქლნ 'წაილე.', ჯიჯაჰნ 'ხორცი' (ბავშვის ენაზე), ცინიბუნნ (ტობ.), ბიძე 'ბიძა', ვასე 'ვასო', თამარე 'თამარ', შაქრე 'შაქრო', წრქლე 'წაილო', ცანდრე 'ანდრო' და ა. შ. (უთურგაძე, 1966). ესეც მიგვანიშნებს როგორც დეფინიციურ, ისე სემიოლოგიურ მოუწესრიგებლობაზე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ამ უბანზე.

თუშური ენის ირაციონალური ხმოვნების წარმოთქმისას, რასაც წარმოება უფრო შეიძლება ეწოდოს, ვიდრე წარმოთქმა, არტიკულაციის სამი ეტაბიდან (ექსკურსია – მწვერვალი – რეკურსია) სახეზე გვაქვს არტიკულაციის მხოლოდ პირველი ეტაბი – წარმოთქმის პროგრამის აგება: საჭირო კონფიგურაციის მიცემა პირ-ბავისთვის. არ სრულდება არტიკულაციის მეორე და მესამე ეტაბები – სახმო კუნთების შეკუმშვა და სამეტყველო ორგანოების მოძრაობა, რაც აუცილებელია სამეტყველო ბგერის წარმოსათქმელად, ჩამოსაყალიბებლად თავიდან ბოლომდე და რასაც სახმო ტრაქტი უნდა მოეყვანა ისეთ შესატყვევობაში, რომელიც აუცილებელია სამეტყველო ბგერის წარმოსათქმელად. ხდება მხოლოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინამავალი ბგერის – თანხმოვნის – ერთგვარი გახმოვნისმიერება, ისევე როგორც, მაგალითად, ხდება თანხმოვნის გაბავისმიერება (ე. ი. აგრეთვე – გახმოვნისმიერება) ბავისმიერი ხმოვნის წინ, როცა წინა ბგერის რეკურსია, ანუ არტიკულაციის დასასრული ნაწილობრივ შედის (გადადის) მომდევნო ბგერის ექსკურსიაში, ანუ მისი არტიკულაციის დასაწყისში, მისი საწარმოთქმო პროგრამის აგებაში. როგორც კი

⁸⁰ ირაციონალური ხმოვნები წარმოდგენილია ქართული ენის თუშურ დიალექტშიც, რომლისთვისაც, როგორც ქართველი ენათმეცნიერი ა. შანიძე თვლის, თუშური ენა სუბსტრატს წარმოადგენს, „განსაკუთრებით ფონეტიკასა და ლექსიკაში“ (შანიძე, 1960, 06).

მიუუახლოვდებით წინამავალი თანხმობის რეკურსიას, მთელი ენ-
თუზიანობით უნდა მოვემზადოთ მომდევნო – ირაციონალური –
ხმობის წარმოსათქმელად, მაგრამ: როგორც კი დავსახავთ მისი
წარმოთქმის პროგრამას, უძალვე უნდა „გადავიფიქროთ ყოველი-
ვე“. სხვანაირად: მზადდება ნიადაგი აკომოდაციისთვის – შეწყო-
ბისთვის, შეხამებისთვის, წინამავალი ბგერის ნაწილობრივი შეს-
ვლისთვის მომდევნო ბგერის წიაღში, ანდა პირიქით (ლაპარაკია
ხმობებისა და თანხმობების ურთიერთობაზე). როგორც კი და-
ვასრულებთ ამ სამზადისს, ვწყვეტთ არტიკულაციას, ანუ იმას,
რისთვისაც იყო მთელი ეს სამზადისი, რათა სამეტყველო ორგა-
ნოები დაუყოვნებლივ გადავიყვანოთ ინდიფერენტულ მდგომარე-
ობაში.

წინამავალი თანხმობის არტიკულაციის ბოლო ეტაპზე სა-
მეტყველო აპარატში თითქოს იქმნება ყველა პირობა მომდევნო
ხმობის წარმოსათქმელად, მაგრამ რაკი ის აღმოჩნდება ძალზე
მოკლე, ანუ სუსტი, ფონეტიკურად ლამის „არაფრადღირებული“,
მისი სრულფასოვანი ჩამოყალიბება და წარმოთქმა აღარ შედეგება:
ფაქტობრივად წყდება წინამავალი თანხმობისთვის განკუთვნილი
სამეტყველო ხმა, სამეტყველო აპარატი კი რჩება ხმობის წარმო-
სათქმელად მომზადებულ მდგომარეობაში. ყოველივე ამის შედე-
გად ვიღებთ თუშური ენის ირაციონალურ ხმოვანს, ფონემას.

მისი წარმოთქმა განცალკევებით (იზოლირებულად) პრაქ-
ტიკულად შეუძლებელია, რადგან არ გააჩნია მთავარი ატრიბუტი
– ხმა, რის გამოც, რჩება რა არათუშურენოვანი თანამოსაუბრის
სმენის მიღმა, ხშირად მიუწვდომელია. ასე რომ, არც კი ეღირობო-
და ირაციონალურ ხმოვნებზე საუბარი, რომ არა ერთი პარადოქსი:
ატარებენ რა დისტინქტურ, სოციალურ ღირებულებას, ისინი წარ-
მოადგენენ სრულფასოვან ფონემებს; შევადაროთ: ალრ ‘იტყვის’
– ალო ‘იტყვი’, ვაშრ ‘ძმა’ – ვაშო ‘პარსავ’, ვეხე ‘ხარხარებს’ –

გეხე 'ხარხარებ', ლელე 'დადის' – ლელე 'დადინარ', თასრ 'ჩამო-
აგდებს' – თასო 'ჩამოაგდებს'.

შესიტყვება „თუ ეს სუსტი ხმოვანი...“, ერთი მხრივ, ნიშანია იმისა, რომ აქ გათვალისწინებული არ არის ამ ტიპის ხმოვანთა მუდმივი პოზიცია (უსათუოდ აუსლაუტში და უსათუოდ თან-ხმოვნის შემდეგ), ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საჭიროა ამ ტიპის ხმოვნების განსხვავება იმ ხმოვნებისგან, რომლებსაც ზოგად ფონეტიკაში, უბრალოდ, მოკლე ხმოვნებს ვუწოდებთ: მოკლე ხმოვნების აკუსტიკასთან დაკავშირებით (როგორც თანხმოვნის, ისე ხმოვნის მიმყოლ) თუშურ ენაში ყოველგვარი პრობლემა მოხსნილია; რუსულ ენაში კი, მაგალითად, პრობლემა არის, თუმცა იგი იქაც დაკავშირებულია არა აკუსტიკურ განურჩევლობასთან საერთოდ, არამედ ერთი გვარის (მაგალითად, **o**) ხმოვნის განურჩევლობასთან მეორე გვარის (მაგალითად, **a**) ხმოვნისგან, რადგან ისინი ერთნაირ – უმახვილო – პოზიციაში გვაძლევენ ერთსა და იმავე ბგერას.

უკიდურესად სპორადულად, მაგრამ ქართულ ყოფით მეტყველებაშიც შეინიშნება ხმოვნის ირაციონალობის ელემენტები. საუბარია მეტყველების ექსტრალინგვისტურ სექტორზე, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, თუმცა არაფერი გვიმლის ხელს ორიოდე მაგალითი აქაც წარმოვადგინოთ. ეს არის უარყოფა-აკრძალვის გამომხატველი ქართული (აგრეთვე თუშურენოვანი) სიტყვა, რომელიც ამავე დროს აღჭურვილია შეწოვნილი ო-წ თანხმოვნიტაც⁸¹. თუკი ამ ო-წ-ს წარმოთქმისას ბაგეებს წინ წამოვწევთ და მოვამრგვალებთ უ-ს სათქმელად (მაგრამ სინამდვილეში უ-ს არ/აღარ წარმოთქვამთ), ო-წ-ს შემდეგ უსათუოდ მივიღებთ ირაციონალურ ჟ ხმოვანს:

– წამოხვალ ჩემთან?

⁸¹ ← სიმბოლოთი აღნიშნული გვაქვს შეწოვნილობა.

– წყ ‘არა’.

იგივე შეიძლება ითქვას სინანულისა და თანაგრძობის გამომხატველ ქართულ-თუშურ განმეორებად შორისდებულზეც – წყ-წყ-წყ-წყ-წყ! ‘გაა-გაა-გაა-გაა/აფსუს!’.

ასეთ ხმოვნებთან უნდა გვქონოდა უთუოდ საქმე ძველი ქართული ენის ნაძე ტიპის ლექსებშიც.

ასეთია ზოგადად თუშური ენის ირაციონალური ხმოვნების ფონეტიკური ბუნება. ახლა ვნახოთ, როგორ იქცევიან ისინი ცოცხალ მეტყველებაში.

თუ ირაციონალურხმოვნიან სიტყვას (რომელსაც, ბუნებრივია, ირაციონალური უსათუოდ აუსლაუტში უნდა ახლდეს) მოსდევს ნებისმიერ ბგერაზე დაწყებული სიტყვა, ე. ი. თუ ირაციონალურხმოვნიანი სიტყვა ჩავრთეთ სინტაქსურ მწყობრში, სამეტყველო აპარატი, ისწრაფვის რა მომდევნო, სრულფასოვანი სიტყვის სრულფასოვანი ანლაუტისეული ბგერის წარმოსათქმელად, სამეტყველო საშუალებათა ეკონომიისა თუ დაძაბულობის ზედმეტი უბნების ლიკვიდაციის პრინციპის ძალით (რაც აგრეთვე ენის განვითარებისა და, მაშასადამე, არსებობის ერთ-ერთ სერიოზულ პირობას წარმოადგენს – *ЛЭС*, 1990, 159), აღარ წარმოთქვამს მას – ირაციონალურ ხმოვანს (რომელმაც ვერა და ვერ გამოავლინა სრული ხმოვნის უნარები) და ის საერთოდ ქრება; ეს პრინციპი არ უშვებს სამეტყველო ორგანოების ცრუ – უბგერო – მოძრაობას იქ, სადაც, არ არის რა გათვალისწინებული პაუზა, მომდევნო სიტყვაა წარმოსათქმელი: ბაღრ [ბაღრ] ‘*მოდის/მოდის*’ – მაგრამ: ბაღრ დო [ბაღრდო] ‘*მოდის ცხენი*’, ბაღრ ვასერ [ბაღრვასერ] ‘*მოდის კაცები*’, ბაღრ ახრობ [ბაღრ ახრობ] ‘*მოდის თონლი*’, ბაღრ დეთ [ბაღრდეთ] ‘*მოდის ძროხა*’, ქორთრ [ქორთრ] ‘*თავი*’ – მაგრამ: ქორთრ ბილოს [ქორთრბილოს] ‘*თავს ვიბან*’, ქორთრ ახბოს [ქორთრახბოს] ‘*თავს ვიტყუებ*’; დანაყრ [დანაყრ] ‘*შურთხი*’ – მაგრამ:

დანაცრ დულ [დანაცრულ] ‘*შურთხი ხმოანობს*’. ასევე იქნება ყველა დანარჩენი ირაციონალისტვის.

ბოლო ხანს ირაციონალური ხმოვნის აპოკოპეს – მოკვეცას – აღვლი აქვს იზოლირებულად აღებულ სიტყვაშიც: ვეწე/ვეწ ‘*უყვარს*’, ლეწე/ლეც ‘*უნდა*’, თელწ/თელწ ‘*ჯობია*’, კუმხნ/კუმხ ‘*კახელები, ქართველები*’, ქამრცხნ/ქამრცხ ‘*ტანისამოსი*’, ოქ-რრ/ოქრ ‘*ოქრო*’, ქორთრ/ქორთ ‘*თავი*’. მაგრამ აქ ირაციონალური ხმოვნის „ჩაყლაპვისას“, რასაც თანამედროვე წოვათუში არცთუ იმდენად არიდებს თავს, იგრძნობა სიტყვის ერთგვარი „სი-შიშვლე“, რითაც კნინდება ის ესთეტიკური ფუნქციები, რომლებიც, საკომუნიკაციო ფუნქციებთან (და ემოციურ დატვირთვასთან) ერთად, უსათუოდ ახლავს (უნდა ახლდეს) მეტყველებას, ყოველ სიტყვას, თითოეულ ბგერას⁸².

აღწერილი სურათი მხოლოდ ადასტურებს რ. გაგუას მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ ამ ტიპის „დასუსტება-დაკარგვა შესაძლებელია ამ ხმოვნის წინ (სიტყვის პირველ ნაწილში) ოდესღაც არსებული ინტენსიური მახვილით აიხსნებოდეს“ (გაგუა, 1956, 469).

და პირიქით: თუ ირაციონალურხმოვანდაკარგულ სიტყვას (ან ფორმას) კვლავ დავტოვებთ მომდევნო ბგერის (სიტყვის) გარეშე, ირაციონალური ხმოვანი კვლავ აღდგება თავისი პირვანდელი (ირაციონალური) სახით: დეწე თაგდალწ [დეწთაგდალწ] ‘*უნდა გაკეთდეს*’ – თაგდალწდეწე ‘*გაკეთდეს უნდა*’, დეწე აღდალწ

⁸² საინტერესოა, რომ „როდესაც მას წინადადებაში სხვა სიტყვა მოსდევს“, თუ-შურ კილოში, სადაც, როგორც ითქვა, აგრეთვე ფუნქციონირებენ ირაციონალური (უშარცვლო) ო და რ ხმოვნები, აუსლაუტის თვით სრული ი-ც კი იკარგება: ...*შენ ლეკ მოხკალი-დ ცუხტ თოფ ცემისეულაჲ გაქე ‘...შენ ლეკი მოჰკალი და ეგ თოფი იმისეულა გაქეს*’ (უთურგაიძე, 1960, 22; ‘და’ კავშირის თუ-შურკილოვანი ეკვივალენტის დაწერილობა ჩვენ მიერ რამდენადმე შეცვლილია – ა. ბ.).

[დეწალდალას] 'უნდა ითქვას' – ალდალასდეწე 'ითქვას უნდა',
დეწე მალდალას [დეწმალდალას] 'უნდა დაილიოს' – მალდა-
ლასდეწე 'დაილიოს უნდა'.

თუკი მომდევნო (ნებისმიერი) ბგერა თვით მოცემული სიტყვის ფარგლებში შემოვა, ხორციელდება რა კონტროლი კინესთეზიური კავშირის მხრიდან, სამეტყველო (საარტიკულაციო) აპარატი აბოლოებს ირაციონალურ ხმოვანს და გადააქცევს (აღადგენს) მას ჩვეულებრივ ხმოვნად: დაჰა 'მომეცი!' – დაჰალ 'მომეცი რა!', მალრ 'დაღვეს' – მალორ 'დაღვედა', დეწე 'უნდა' – დეწერ 'უნდადა', დალრ 'მოდის' – დალრშ 'მოსვლისას'.

ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი, თუკი ირაციონალურ ხმოვანს ესა თუ ის მორფოლოგიური მისია ეკისრება სიტყვაში, ანუ, როგორც რ. გაგუა ამბობს, „თუ ის ფუნქციურია“ (გაგუა, 1956, 469): მალრ 'დაღვეს' – მალო 'დაღვე', თაგოდრ 'გააკეთებს' – თაგლო (< თაგოდლო) 'გააკეთებ', დაჰრ 'მოაქვს' – დაჰო 'მოგაქვს'. აქ ირაციონალური რ ზმნის შესამე პირის ფორმას იძლევა, სრული რ კი – მეორე პირისას.

თუ ირაციონალურბგერადაკარგული სიტყვა მოყვა წინადადების ბოლოში, ირაციონალი კვლავ აგრეთვე აღდგება თავისი სტატუსით: ბალრ დო [ბალდო] 'მოდის ცხენი' – დო ბალრ [დოზალრ] 'ცხენი მოდის', სოგო ჰე ქორთო ცო ბა [...ქორთცობა] 'მე შენი თავი არა მაქვს' – სოგო ცო ბა ჰე ქორთო [...ჰექორთო] 'მე არა მაქვს შენი თავი', დანაჰრ დულ [დანაჰდულ] 'შურთხი ხმინობს', დულ დანაჰრ [დულდანაჰრ] 'ხმინობს შურთხი'.

პაუზის წყალობით ირაციონალურობას ინარჩუნებს აგრეთვე სინტაგმების საზღვარზე (სინტაგმები გამოყვით / ნიშნით): ვაშ ლაწავლინო / ზორაშ მუშო 'ძა დაავადებულა / ძალიან მძიმედ'; ბარგ მაქ ვუდხენო დოინ, / ლაშ მალრ გუდალენო / ცჰენ ლანი დენი 'ბარგი აუკიდებია ცხენისთვის და / მთაში

აჩენილა / ერთ მშვენიერ დღეს'. თავის მხრივ, მომდევნო სიტყვის წინ ირაციონალური ხმოვნის გამოჩენა წინადადებაში სიგნალია სინტაგმატიკური პაუზის საჭიროებისა და აუცილებლობისა.

ცალკეული სინტაგმატიკური ჯგუფების (ერთეულების) შიგნით – სინტაგმატიკური პაუზის უქონლობის შემთხვევაში – ირაციონალური ხმოვანი აგრეთვე ხელუხლებელი რჩება, თუკი მას მოსდევს მომდევნო სიტყვაში არსებული მიუღებელი კონცენტრაცია თანხმოვნებისა: ...ფხურ-ნაყვ გუდალწერ ფსტიბანდრი... '...ირიბ ბილიკზე გამოჩენილი ქალები და ბავშვები...' (მიქელაძე, ..., 2011, 163¹⁹): [გუდალწერფსტიბანდრი] 'გამოჩენილი ქალები და ბავშვები'.

სხვადასხვა სამეცნიერო წყაროში თუშური ენის ირაციონალური ხმოვნების სხვადასხვა ოდენობაა წარმოდგენილი. ყველაზე რეალურ რიცხვს წარმოგვიდგენს რ. გაგუა (Гагуа, 1983, 176-177): ე, ი, რ, უ.

აქ უსათუოდ უნდა ითქვას შემდეგი.

თუშურენოვან ტექსტებში არ არის დაფიქსირებული ირაციონალური ა, თუმიცა, ალბათ, ჭარბ სითამამედ არ იქნება აღქმული, თუკი ვიტყვით, რომ ჯერაც არ გაგვაჩნია თუნდაც მიახლოებით სრულყოფილი თუშურენოვანი ტექსტები ირაციონალური ხმოვნების სიზუსტის თვალსაზრისითაც. დღემდე არც/ვერც ოპოზიციური წყვილები იძებნება მის გამოსავლენად. მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ირაციონალური ა უსათუოდ გვაქვს. ამის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს, მაგალითად, ი. გიულდენშტედტის მიერ (გიულდენშტედტი, 1964) მის „მოვ ზაურობაში“ შეტანილი ფორმები ჭაკა 'შუბლი' (დღეს: ჭაკა/ჭაკ), ბატრა 'ტური' (დღეს: ბატრა/ბატრა). ამგვარად ჩაწერილ ლექსებებს ვხედავთ ი. დეშერიევიანაც (Дешериев, 1953, 9): ციყვა 'ციყვი' (დღეს: ციყვა/ციყვი), გველა 'ხველა' (დღეს: გველა/გველა), აკმაღზლობა 'შეკმაზულობა'

(დღეს: აკმაფზლობა/აკმაფზლობ) და სხვ. თუკი თუშუერი ენის მატარებელი რესპონდენტები ამ სიტყვების ბოლოკიდურში არ მამართავდნენ ირაციონალური ა ხმოვნისთვის დამახასიათებელ კონფიგურაციას პირ-ბაგისას, კორესპონდენტები (ი. გიულდენშტედტი და ი. დეშერიევი) არაფრით არ დააფიქსირებდნენ აუსლაუტში ა ხმოვანს – არც არაირაციონალურს, არც ირაციონალურს, მით უფრო, ქართულენოვანი ციყვი სიტყვის თუშურენოვან ვერსიაში. აქ რესპონდენტებმა წარმოთქვეს ჰაკა ‘შუბლი’, ბატრა ‘ტუზი’, ციყვა ‘ციყვი’, ვედა ‘ხედა’, აკმაფზლობა ‘შეკმაზულობა’, როგორც დღესაც წარმოთქვამენ უხუცესი თაობის წარმომადგენლები, ხოლო კორესპონდენტებმა ჩაწერეს ბოლოკიდური სრული ა-თი – როგორც შექძლოთ და რაც არც დღეს არის იშვიათობა.

და საერთოდ, არ არის გამორიცხული, რომ სრული წარმოების ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები ოდესღაც წარმომადგენდნენ ამა თუ იმ მორფოლოგიური დატვირთვის მატარებელ სიდიდეებს (მაგალითად, არტიკლებს, პირის ნაცვალსახელებს...) და დროთა განმავლობაში მიუერთდნენ სახელებს, მაგრამ რაკი თუშურ ენას არ ახასიათებს სახელთა ხმოვანზე დაბოლოება, ისინი გადაიქცნენ ირაციონალურ ხმოვნებად; ხუთი ჩვეულებრივი ხმოვნიდან სამი, მაგალითად, დღესაც გვაძლევს პირის ნაცვალსახელებს: ე ‘ეს’ (ხმარობენ კაცებიც, ქალებიც), ი ‘ეს’ (ხმარობენ ქალები), ო ‘ის’.

ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ, თუ ამა თუ იმ აფიქსის დართვის შემთხვევაში მის წინ ირაციონალური ხმოვანი გადაიქცევა შესაბამის სრულ ხმოვანად, აფიქსის მოცილების შემთხვევაში უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ შესაბამისი ირაციონალური კორელატის რესრუქტურიზაცია აქ. შდრ. პეტრეჯ ‘სწორედ რომ პეტრე’ < პეტრე ‘პეტრე’, უმსხიჯ ‘სწორედ რომ

დელა ცხვარი' < უმსთხა 'დელა ცხვარი', ქორთოჭ 'სწორედ რომ თავი' < ქორთრ 'თავი'.

თუკი განვავითარებთ კვანტიტატიური ნიშნის გამოვლენის ამ მიდგომას, კარგად გამოჩნდება ირაციონალური ზ ხმოვნის კვალი ი. გიულდენშტედტის „სიტყვათა კონებში“: **Haka** 'შუბლი' (გიულდენშტედტი, 1964, 343) > ჰაკაჭ 'სწორედ რომ შუბლი', **Boarka**⁸³ 'თვალი' (გიულდენშტედტი, 1964, 343) ბჰარკაჭ 'სწორედ რომ თვალი', **Batra** 'ტუჩი' (გიულდენშტედტი, 1964, 343) > ბატრაჭ 'სწორედ რომ ტუჩი', **Carka** 'კბილი' (გიულდენშტედტი, 1964, 343) > ცარკაჭ 'სწორედ რომ კბილი'. „სიტყვათა კონებში“ ასევე ჩანს ირაციონალური ე ხმოვნის კვალიც, რასაც დღეს იშვიათადღა თუ მოვისმენთ ცოცხალ მეტყველებაში: **Sage** (გიულდენშტედტი, 1964, 344) > საგ 'ირემი', **Natschche** (გიულდენშტედტი, 1964, 344) > ნახხ 'ყველი', **Pschele** (გიულდენშტედტი, 1964, 346) > ფშელ 'სიცივე' და ა. შ.

ყოველდღიური მეტყველებიდან თითქმის უკვე დაკარგული ზ ირაციონალისთვის შეიძლება ითქვას ისიც, რომ ლალი, კეთილგანწყობილი და ტკბილი ბაასის ღროს თუშთა წოვის თემის მოხუცი მანდილოსნები ხმარობენ ბნდერააა 'შვილოთო' < ბნდერ < ბნდერა < ბნდერა 'შვილი', დასააა 'მომევე/მოიტააა' < დას < დასა < დასა 'მომე/მოიტა', ვოჰააა 'ბიჭოთო' < ვოჰ < ვოჰა < ვოჰა 'ბიჭი' (ამბობენ მანდილოსნები), ვშალაააა 'სულაააა' < ვშალას < ვშალასა < ვშალასა 'სულაც ჩარ/სრულებით ჩარ', ვშიაააა 'დარჩიი!', < ვშიც < ვშიცა < ვშიცა 'დარჩი!', სტაკააა 'კაცოთო' < სტაკ < სტაკა < სტაკა 'კაცი' ტიპის „წამღერებულ“ ფორმებსაც (მღრ. ვაშოთო 'ძმაოთო' < ვაშ < ვაშრ < ვაშო 'ძმა', ვაშოთო 'დაოთო' < ვაშ < ვაშრ < ვაშო 'და'). მეტყველების ამგვარი ფონეტიკური გაფორმება, რომელიც უსათუოდ აუსლაუტ-

⁸³ ზოგიერთი ასო გადმოყვანილია ჩვენს გრაფიკაზე.

ზე მოდის და გვეხმარება კვანტიტეტის დაზუსტებაში, ერთგვარი საწინდარია მშვიდობიანი ურთიერთობისა თანამოსაუბრესთან.

ნაგარაუდვეი ირაციონალური ხმოვნის გამოძევა შეიძლება ისეთი კითხვითი კონსტრუქციითაც, რომელიც მსმენელის მხრიდან მოითხოვს მთქმელის მიერ უკვე განმოვანებული ინფორმაციის დადასტურებას და რომელშიც ყოფილი ირაციონალური ხმოვანი, მომდევნო ბგერის (უ თანხმოვნის) წყალობით, იქცევა სრულ ხმოვნად, მეტიც, კითხვითი ინტონაციაც გააჩნია: დას/დასა 'მომე/მოიტა' – დასა? 'მომეო (მეუბნები)?', ვშალა/ ვშალაა 'სულაც [არ]' – ვშ ალაა? 'სულაცო (მეუბნები)?', ლე/ლეე 'სურს' – ლეე? 'სურსო (მეუბნები)?' და სხვ. შევადართო იმ მაგალითებს, სადაც ირაციონალის არსებობა ეჭვს არ იწვევს: ხეტრ 'კითხულობს' (ჭრელაშვილი, 2002, 214) – ხეტო? 'კითხულობსო (მეუბნები)?', ხერცრ 'ცვლის' (ჭრელაშვილი, 2002, 214) – ხერცო? 'ცვლისო (მეუბნები)?', ხერციოთრ 'აცვლევინებს' (ჭრელაშვილი, 2002, 214) – ხერციოთო? 'აცვლევინებსო (მეუბნები)?', ხერცრალრ 'ცვლიდა თურმე' (ჭრელაშვილი, 2002, 215) – ხერცრალო? 'ცვლიდა თურმეო (მეუბნები)?', ხერციოთრალრ 'აცვლევინებდა თურმე' (ჭრელაშვილი, 2002, 215) – ხერციოთრალო? 'აცვლევინებდა თურმეო (მეუბნები)?' და სხვ.

დაბოლოს, ნათელია თუშური ენის ირაციონალური ა ხმოვნის ისტორიული კვალი, მაგალითად, ჩეხნურ ენაში:

ჩეჩნ.

თუშ. ენ.

ბალდა

> ბატრან 'ტუჩი'

ჰაშა

> ჰაშან 'სტუმარი'

ნესჩა (Карасаев, ..., 1978)

> ნახჩან 'ყველი'

ეს რეალობა ერთგვარად იძლევა შანსს, თუშური ენის ა ხმოვანს კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ დანარჩენ ირაციონალურ ხმოვნებს შორის.

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ, აკუსტიკურადაც ძნელდება რა ო-სა და ჟ-ს ერთმანეთისგან გარჩევა – ალბათ, საარტიკულაციო რიგის, აწეულობისა თუ სივიწროვის იდენტურობის გამო, ამავე მიზეზით ირაციონალური ო ხშირად ცვლის ირაციონალურ ჟ-ს, ანდა პირიქით, თუმცა ეს მონაცვლეობა არ ცვლის ფონოლოგიურ გარემოს. ამიტომ აქ ამაზე ნულარ შევეყვანდებით, თუმცა ეს საკითხიც ასე თუ ისე ახსნას ელის.

რაც შეეხება, მაგალითად, ირაციონალურ ჟ და ო ხმოვნებს, ესენი განსხვავებულ მორფოლოგიურ მისიას ასრულებენ და ამიტომ მათი გამოვლენის ხერხიც რამდენადმე სხვაგვარია: ო ხმოვანი, მაგალითად, რომელიც დღეს უხუცესთა მეტყველებაშია თუ ისმის, ადიტივში გამოიყენება, რაზეც მიგვანიშნებს სრული ი-ს არსებობა ესეში: ქუმრთმ [ლაქდალჷ სოქ] ‘თავში [ამივარდა]’ – ქორთი ცრმ [დალ ჰაცხგო] ‘თავში არაფერი [უდევს ე მაგას]’. გამოდის: ქორთო/ქორთ ‘თავი’ > ქუმრთმ თავში (adit.) > ქორთი თავში (ess.). ანუ თუ ესეში გვაქვს ი, მაშინ უთუოდ გვექნება: ადიტივი – ო, ხოლო აბესივი (=ნომინატივი) – ო/#.

გამოდის, აუსლაუტში ადგილი აქვს დაახლოებით ასეთ ფონეტიკურ პროცესებს: ა > ა/#, ო > ო/# და ა. შ.

შესაბამისი თანმიმდევრობით წარმოგვიდგება სხვადასხვა მასალაში დაფიქსირებული მაგალითების ისტორიული გზა.

ჟ ხმოვანი მეტწილად გვაქვს დეწე ‘უნდა’, თელე ‘სჯობს’, ლეჟე ‘სურს’, ხეჟე ‘იცის’ და ა. შ. ტიპის ზმნურ კონსტრუქციებში, სადაც ირაციონალის სრული სახით აღდგენა ხდება, მაგალითად, ფორმებში დეწერ ‘უნდოდა’, თელერ ‘სჯობდა’, ლეჟერ ‘სურდა’, ხეჟერ ‘იცოდა’.

მაგალითები ცოცხალი მეტყველებიდან (შეძლებისდაგვარად, ირაციონალური ხმოვნები ერთ შემთხვევაში დაეუპირისპიროთ ნულოვან დაბოლოებას, სხვა შემთხვევაში – ნახევრადგრძელ

ხმოვანს): ე: თელ# 'ადლოე/აჭამე.' – თელე 'სჯობს'; ლესტე 'ქანაობ' – ლესტე 'ქანაობს'; ბარე 'ბარში' (ess.) – ბარე 'ბარში' (adit.). რ: ჯიჯი 'ჩიხიები' – ჯიჯი 'ჩიხია' (ქადაგიძე, ..., 1984, 858); ბიბი 'ბიბები' – ბიბი 'ბიბა' (ქადაგიძე, ..., 1984, 91). რ: ლამ# 'მთა/ცა/ლაში' – ლამრ 'ზეგ' (ჭრელაშვილი, 2002, 481); დალო 'მოღიხარ' – დალრ 'მოღის'. ჟ: ბიკუემ/ბიკუემი 'მიგყავთ' – ბიკუემჟ/ბიკუემჟრ 'მიჭყავხართ'; ბავბუემ/ბავბუემი 'ხოცავთ'.

როგორც ითქვა, ირაციონალური ა-სთვის ძნელდება ოპოზიციური წყვილების დაძებნა. ე და რ ხმოვნებიც სამეტყველო ას-პარეზს ასე თუ ისე ნელ-ნელა ტოვებენ. ასევე გამოიყურება ჟ ირაციონალი. რ კი თავის მისიას კვლავაც ურყევად ასრულებს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლ. სანიკიძის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ა. შიფნერის ნაშრომში ბოლოკიდური რ (= რ – ა. ბ.) ან არ არის დაწერილობაში, ან სრული სახით გვაქვს წარმოდგენილი (პარალელურად), მაგ.: ქორთო და ქორთ ქორთო-ს 'თავი' ნაცვლად“ (სანიკიძე, 1976, 201). ეს ცნობა იმის დამადასტურებელია, რომ ქორთ ტიპის ფორმები პარალელურად ჯერ კიდევ ა. შიფნერის დროს ფუნქციონირებდა (ისმოდა), რაც კვლავ იმაზე მიგვანიშნებს, რომ, ჯერ კიდევ ა. შიფნერის დროს არსებული საშიშროების მიუხედავად, რ თავის პოზიციას დღემდე არ თმობს.

არცთუ იშვიათად გვაქვს პარალელები დეხე/ღიხი 'ცვდება; ინგრევა', ეთე/ითი 'დგება' და სხვ., რასაც მივყავართ იმ აზრამდე, რომ ირაციონალური ხმოვნები, ისევე როგორც ბგერები საერთოდ, ექვემდებარებიან ასიმილაციას: ე : ე, ი : რ.

ბოლოს, უფრო სრულად რომ ჩავწვდეთ თუშური ენის ირაციონალური ხმოვნების ბუნებას, ურიგო არ უნდა იყოს საუბარი მათ ისეთ თვისებაზეც, რომლისთვისაც შეიძლება გადავწოდებინა „სიმიუნჯე“, „სიყრუე“ ანდა „ეპიფიტირობა“, „სიმიბიოზი“. ეს უსათუოდ გამოგვადგება ამ ხმოვნებზე მსჯელობისას, განსაკუთ-

რებით კი მათი განსხვავებისთვის მოკლე (და სხვა) ხმოვნებისგან თუშური ენის შიგნით.

ირაციონალური ხმოვნისთვის მუხჯი ან ყრუ შეიძლება გვეწოდებინა იმდენად, რამდენადაც მოკლე (აგრეთვე გრძელი და ნახევრადგრძელი) ხმოვნებისგან განსხვავებით, ცალკე (იზოლირებული სახით) ის ბგერას საერთოდ არ წარმოადგენს – მხოლოდ დაიწერება და დაინახება, არ წარმოითქმის და არ ისმის: ე [#], ი [#], ო [#], უ [#].

მაშ, იზოლირებული ირაციონალური ხმოვნების გრაფიკულად გადმოცემა პრაქტიკულად არც კი შეესაბამება მათ ბგერით სტატუსს, რადგან გრაფემა არის (უნდა იყოს) ფონემის, უკიდურეს შემთხვევაში ბგერის აღმნიშვნელი ნიშანი. მაგრამ, რაკი განცალკევებით მაინც აღვნიშნავთ მათ, აღვნიშნავთ მკაცრად ბირობითად, საჭიროებისამებრ. ის, ვინც თუშურ ენას ვერ ფლობს, ანდა საერთოდ არა აქვს მასზე წარმოდგენა, ირაციონალურ ხმოვანს ვერც სიტყვასთან მთლიანობაში წაიკითხავს ისე, როგორც საჭიროა: ან წაიკითხავს, როგორც სრულ ხმოვანს (ა, ე, ი, ო, უ), ან არ წაიკითხავს საერთოდ. ერთი მიდგომაა არასწორი იქნება აქ, მეორეც.

ორი თვისებიდან (სიმუხჯიდან და სიყრუიდან) გამომდინარე, ამ ხმოვნებს გააჩნია მესამე თვისებაც, რის გამოც შეიძლება ეწოდოს ებიფიციები, ან სიმბიონტები⁸⁴.

თუშური ირაციონალები სწორედ რომ ებიფიციების სახით წარმოგვიდგებიან: ისინი არტიკულაციურად (და აკუსტიკურადაც) ვერ ჩნდებიან და ვერ არსებობენ არათუ წინამავალი თანხმოვნის, არამედ თვით იმ მარცვლის გარეშე, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან: ეცრ [ეცრ] ‘იყიდის’ – მაგრამ: -ცრ [ც#] ან -რ [#]; დანრ [დანრ] ‘ყოფილა’ – მაგრამ: -ნრ [ნ#] ან -რ [#];

⁸⁴ ტერმინებს სრულიად ბირობითად ვსესხულობთ ბიოლოგიიდან.

გაწმ [გაწმ] ‘უნდა/უყვარს’ – მაგრამ: -წმ [წ#] ან -მ [#]. ასე იქნება ყველგან, სადაც ირაციონალური ხმოვანი გვაქვს. ე. ი. ირაციონალური ხმოვნები „სახლდებიან“ სიტყვის სრულფასოვან მარცვალში (როგორც ეპიფიტები – ცოცხალი ხის ტოტზე), რათა იარსებონ და ჯერ კიდევ შეასრულონ „თავის თავზე აღებული სოციალური ვალდებულებები“. გამოდის, რომ ირაციონალური ხმოვნები სარგებლობენ მიმდებარე ბგერების არსებობით. უფრო მეტი: თუმცა ეს პარადოქსულია, მაგრამ ისინი რედუცირდებიან სწორედ მიმდებარე ბგერებთან თანაარსებობაში. სხანაირად ძნელია თვით რედუქციის, ან თუნდაც დაკარგვის წარმოდგენა: ხმოვნების რედუქცია და საერთოდ ბგერათცვალებადობაც (დაკარგვაც კი) ურთიერთმიმართებითი და ურთიერთგანპირობებული მოვლენებია, თორემ ცალკე აღებული ბ ან ტ, ი ან ო რატომ უნდა შეიცვალნენ ან დაიკარგნენ? „ფონემა ცვალებადია ცოცხალი წარმოთქმის ყოველ მომენტში, – წერს გ. ახვლედიანი, – რადგანაც, როგორც ვიცით, ყოველი ფონემა გვევლინება ბგერათშეერთებაში თავისი მრავალგვარი სახესხვაობით – იმ სახესხვაობებით, რომელთა ტიპს იგი (ფონემა) წარმოადგენს“ (ახვლედიანი, 1966, 154).

თავად განიცადეს რა უკიდურესი დანაკლისი (ცვლილება), თუშური ენის ირაციონალური ხმოვნები წინამავალ თანხმოვნებს საიქედოდ იცავენ ამა თუ იმ საშიშროებისგან, ზოგიერთი მოსალოდნელი ფონეტიკური ცვლილებებისგან, მაგალითად, დაყრუებისგან ან დაკარგვისგან, რითაც ემსგავსებიან ფრანგული ენის ე. წ. მუნჯ e-ს – ხმოვანს. ფრანგული „მუნჯი“ e, მართალია, თავად არ წარმოითქმის, მაგრამ, განთავსდება რა უსათუოდ აუსლაუტში და უსათუოდ თანხმოვნის მიძეოდ, წინამავალ თანხმოვანს სრულად უნარჩუნებს არტიკულაციის ბოლო – მესამე – ფაზის ხარისხს, რაც ფრანგულისთვის თანხმოვნების ძლიერ დამართვად

არის გაცნობიერებული (ახვლედიანი, 1949, 106), მაგრამ რაც, ჩვენი აზრით, არ არის ძლიერი დამართვა, თუკი ამაში იგულისხმება „მანამდე დახშული სახმო სიმების გააბობის ტკაცანისებრი ჩქამი“ (ახვლედიანი, 1949, 106)⁸⁵. ესაა მხოლოდ, რომ ფრანგულ **e**-ს, თუ-შურენოვანი ირაციონალებისგან განსხვავებით, საერთოდაც აღარ სდევს მისი არტიკულირების თუნდაც რამენაირი მცდელობა თუნდაც პირველი საარტიკულაციო ფაზის ფარგლებში. მოკლედ, ფრანგული მუნჯი **e** საიქმოდ იცავს: წინამავალ მკლერ ხშულებს – დაყრუებისგან, ხოლო ყრუ ხშულებს – გაქრობისაგან.

ანუ თავისი ბუნებით თუ შური ენის ირაციონალური ხმოვნები შეიძლება წარმოვიდგინოთ საკუთრივ მოკლე ხმოვნებსა და ფრანგული ენის მუნჯ **e**-ს შორის. ამაში უთუოდ დავრწმუნდებით, თუკი დაკვირვებით მოვესმენთ ზოგიერთი წოვათუშის მეტყველებას, სადაც აშკარად ჩანს, რომ ადგილი აქვს არა ირაციონალური ხმოვნების იმგვარ არტიკულაციას, რომელიც აქ საკმაოზე დეტალურად არის აღწერილი და როგორსაც აბსოლუტური უმრავლესობა მიმართავს, არამედ წარმოადგენს მათი წინამავალი თანხმოვნების არტიკულაციას „ფრანგულად“ : თავიდან ბოლომდე, მათი სრული დამართვით.


ირაციონალური ხმოვანი არა მარტო წინამავალ ცხვირისმიერ თანხმოვანს იცავს გაქრობისაგან, ანდა რედუქციისგან, არამედ თვით ამ ცხვირისმიერი თანხმოვნის წინამავალ ხმოვანსაც მოსალოდნელი და გარდაუვალი ნაზალიზაციისაგან. მდრ. დახჟ (< დახენ) ‘წავიდა’ – მაგრამ: დახენრ ‘წასულა’, დალძ (< დალინ) ‘მოკვდა’ – მაგრამ: დალინრ ‘მკვდარი; მოძვედარა’.

მსჯელობიდან გამომდინარე, ალბათ, შეიძლება უკვე, ერთი მხრივ, ვცნოთ ა, ე, ი, ო, უ (â, ê, î, ô, û) ირაციონალური ხმოვნების –

⁸⁵ ჩვენი აზრით, სინამდვილეში ეს არის არა ძლიერი დამართვა, არამედ წინამავალი თანხმოვნების არტიკულაცია თავიდან ბოლომდე მათი სრული დამართვით.

ფონემების – არსებობა თუშურ ენაში, ხოლო, მეორე მხრივ, უთუ-
ოდ საჭიროა მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფა თუშური ენის ვო-
კალთა ისედაც უჩვეულოდ მდიდარი და საინტერესო სისტემიდან.

ზოგადი ფონეტიკის სწავლებიდან გამომდინარე, თუშური
ენის ირაციონალური ხმოვნები სამკუთხედზე განლაგდებიან ასე:



§ 6. თუშური ენის გრძელი ხმოვნები

როგორც **რ. გაგუა** შენიშნავს, **ა. შიფნერმა**, თავდაპირველად უარყო რა გრძელი ხმოვნების არსებობა თუშურ ენაში, შემდგომ შენიშნა, რომ ცალკეულ სიტყვებში გვხვდება გრძელი ა (Гагуа, 1983, 182). **ი. დეშერიევმა**, **დ. იმნაიშვილმა**, **კ. ჭრელაშვილმა** (მან ექსპერიმენტულად), – განაგრძობს **რ. გაგუა**, – დაადასტურეს გრძელი ა ხმოვნის არსებობა აქ (Гагуа, 1983, 182). თუმცა მახვილის ქვეშ, მაგრამ მაინც მიგვანიშნა **თ. უთურგაიძემ** გრძელ ე და უ ხმოვნებზე (უთურგაიძე, 1966, 49–50). **რ. გაგუა** გრძელ ა ხმოვანს წარმოგვიდგენს ფონემატური მნიშვნელობით, ხოლო დანარჩენ რამდენადმე (слегка) გრძელ ხმოვნებს – არაფონემატური მნიშვნელობით (Гагуа, 1983, 182).

დ. ქადაგიძე და ნ. ქადაგიძე თავიანთი ლექსიკონის შესავალ ნაწილში (ქადაგიძე, ..., 1984, 7) და თვით ლექსიკონშიც (ქადაგიძე, ..., 1984, 24-935) გრძელ ხმოვნებს ზოგჯერ აცნობიერებენ მახვილიან ხმოვნებად, რაც სერიოზულ უზუსტობად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ამავე დროს ზოგჯერ გრაფიკულად გამოყოფილია (აღნიშნულია) გრძელი ხმოვანიც: აგ 'ბებია' (ქადაგიძე, ..., 1984, 25), ბახ 'მდიდარი' (ქადაგიძე, ..., 1984, 85), მჰჰე 'შალი' (ქადაგიძე, ..., 1984, 425) და ა. შ.

კ. ჭრელაშვილმა პირველმა წარმოგვიდგინა ფონოლოგიურ-ექსპერიმენტული ანალიზი თუშური ენის გრძელი ა ხმოვნისა, რომელიც, მისივე სიტყვებით, „მკვლევარებს (ა. შიფერს, ი. დე-შერიეს...) შენიშნული აქვთ, მაგრამ როგორც დამოუკიდებელი ფონემა (ფონოლოგიური ერთეული) გამოყოფილი არა აქვთ“ (ჭრელაშვილი, 1979, 34-35).

პრინციპულად ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ თუშური (და არა მარტო თუშური) ენის გრძელი და ორმაგი (გაორმაგებული) ხმოვნები: პირველები წარმოადგენენ ფონეტიკურ/ფონოლოგიურ, ხოლო მეორენი – წმინდა მორფოლოგიურ ღირებულებას. ხმოვნების (ბგერების) გაორმაგება შეიძლება მოხდეს ორი სიტყვის სამანხევ, მაგრამ, თუ ამის გამო ბგერას გრძელს ვუწოდებთ, მაშინ გრძელი ბგერების არსებობა უნდა ვცნოთ ნებისმიერ ენაში.

ამიტომ, გარდა ყოველივესი, თუ, საჭიროების შემთხვევაში, ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე, როგორც კ. ჭრელაშვილი ამბობს გაორმაგებულ (გემინირებულ) და ინტენსიურ თანხმოვნებთან დაკავშირებით (ჭრელაშვილი, 1975, 51), „მორფოლოგიური ოპერაციის შედეგად“ გაორმაგებული ხმოვნებისთვის შესაძლებელია და ბუნებრივად მათი სეგმენტაცია (დაშლა) შემადგენელ ნაწილებად, ანუ კომპონენტებად – სიტყვების გაცალკევების, მორფემებად დაშლის, დამარცვლის გზით, ამას ვერ ვიტყვით

გრძელი ხმოვნების მიმართ. დღეს შეუძლებელია თუშურენოვანი მანხ 'ნემსი', ჟერო 'ქერივი', სტაბო 'შემოდგომა' სიტყვების დაშლა, დაუშვათ, ასე: *მა ახ ან *მა-ახ, *ჟე ერო ან *ჟე-ერო, *სტა-ბო ო ან *სტაბო-ო და ა. შ.

დღეს ასევე შეუძლებელი უნდა იყოს გრძელი ხმოვნების დაშლა მათ შემაღგენელ ნაწილებად ფრანგულში, სვანურში... გრძელი ბგერა (ამ შემთხვევაში ხმოვანი) ერთმნიშვნელიანია, ორმაგი კი – ორმნიშვნელიანია. გრძელი ბგერა ერთი ბგერაა, ერთი ფონემა, ორმაგი კი – ორი.

მართალია, ორმაგი ბგერები არტიკულაციურადაც და აკუსტიკურადაც წარმოგვიდგებიან ერთი გრძელი ბგერის სახით (თუნდაც იმიტომ, რომ ისინი დგანან გრძელ ბგერებად შესაძლო ჩამოყალიბების იმ რთულსა და გრძელ გზაზე, რომელიც შეიძლება დადებითად არც დასრულდეს), მაგრამ ეს არ უნდა გვაჩქარებდეს იმის სათქმელად, თითქოს გაორმაგებული ბგერა იგივე გრძელი ბგერა იყოს.

ალბათ ბუნებრივია და ლოგიკურიც, როცა ვთვლით, რომ გრძელი ბგერები ჩნდება სადა, ჩვეულებრივი ბგერებისგან (დიახ, გაორმაგების გზითაც) – ისევე როგორც, მაგალითად, ქართული ვთანხმოვანი იშვა ქართული უ ხმოვნისაგან (მისი დაფიწროების, რედუქციის გზით). მაგრამ ენის განვითარების მოცემულ კონკრეტულ ეტაპზე, როცა ორმაგსა და გრძელ ბგერებს შორის აშკარა ოპოზიციანია, გაორმაგებული სადა ბგერების გაიგივება ერთ გრძელ (უკვე არასადა) ბგერებთან არაკორექტულია.

გრძელი და ორმაგი ხმოვნების გამიჯვნის აუცილებლობაზე ისიც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თუშურ ენაში ზოგჯერ ადგილი აქვს ორი სხვადასხვა ნიშნის მქონე (თუმცა ერთი გვარის) ფონოლოგიურად ოპოზიციური ხმოვნის, როგორც გ. ახვლედიანი იტყობდა, ზედიზედ მისვლას, მაგალითად, სადისა (მარტივისა) და ნა-

ზალურისა: ყექ 'ყენი' (ქადაგიძე, ..., 1984, 654). მაგრამ აქ სრულიად უადგილოა ლაპარაკი გაორმაგებაზე, ან, მით უმეტეს, გრძელ ხმოვანზე მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ადგილი აქვს ერთი ძირის (გვარის) მქონე ორი ბგერის თავმოყრას, დამეზობლებას.

შეიძლება შეგვხვდეს ხმოვნის გასამმაგებაც, მაგალითად, ქართ. ააალებს, გაათქვეცებს, გააქტიურებს, გაანალიზებს, გააადვილებს; რუს. **зОООбЪединение** 'ზოოგაერთიანება', მაგრამ არ ვლაპარაკობთ ზეგრძელი ხმოვნების არსებობაზე ამ ენებში. „გრძელი ხმოვნები მორფემულ ნაკერებზეც ჩნდებიან ხოლმე ორი ერთნაირი ხარისხის ხმოვნის შეთავსების (შეერთების) შედეგად“, მაგრამ „ამ დროს უმჯობესია ასეთ ხმოვნებს ვუწოდოთ **ორმაგი**“ (ЛЭС, 1990, 106).

მოკლედ, როცა ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეზე გვიხდება მსჯელობა, უთუოდ არ უნდა იყოს საკმარისი იმის თქმა, რომ ერთი ბგერა (ხმოვანი) მეორისგან განსხვავდება ოდენ მისი წარმოთქმისთვის დახარჯული (საჭირო) დროის ხანგრძლივობით და რომ ორი ერთგვაროვანი ბგერის (ხმოვნის) ზედიზედ მისვლა უსათუოდ გვაძლევს გრძელ (ხმოვან) ფონემას.

სხვადასხვა სამეცნიერო წყაროში თუშური ენის ერთი და იმავე ხანგრძლივობის ხმოვანი არცთუ იშვიათად წარმოდგენილია სხვადასხვაგვარად: ბზჯ 'ქვისლი' (ჭრელაშვილი, 1975, 230) და ბაჯ (ქადაგიძე, ..., 1984, 85), ჟერო 'ქვრივი' (ჭრელაშვილი, 1975, 243; ქადაგიძე, ..., 1984, 507) და ჟერო (უთურგაიძე, 1966, 102) და ა. შ.

წყაროებში ვხედავთ ფორმებს საავადმყოფო 'საავადმყოფო' (ქადაგიძე, ..., 1984, 518), საბჭო 'საბჭო' (ქადაგიძე, ..., 1984, 519), სადალაქო 'სადალაქო' (ქადაგიძე, ..., 1984, 520), სათემო 'სათემო' (ქადაგიძე, ..., 1984, 527), სალხინო 'სალხინო' (ქადაგიძე, ..., 1984, 524), სამეფო 'სამეფო' (ქადაგიძე, ..., 1984, 525), სამოთხე

‘სამოთხე’ (ქადაგიძე, ..., 1984, 526), სამრეკლო ‘სამრეკლო’ (ქადაგიძე, ..., 1984, 526), სამჭედლო ‘სამჭედლო’ (ქადაგიძე, ..., 1984, 527), საწყობ ‘საწყობი’ (ქადაგიძე, ..., 1984, 536), სახელოსნო ‘სახელოსნო’ (ქადაგიძე, ..., 1984, 536), სახელმწიფო ‘სახელმწიფო’ (ქადაგიძე, ..., 1984, 536) და ა. შ.

აქ, ერთ შემთხვევაში, შეიძლება პარალელური ფორმების ხმარებაც, რაც კეთდება კიდევაც ცოცხალ მეტყველებაში სა’ბჭო/სა’ბჭო (abess.), სა’მოთხე/სა’მოთხე (abess.) და ა. შ., სადაც ბოლოკიდური ხმოვანი ხან ირაციონალურია, ხანაც გრძელი. მეორე შემთხვევაში აუცილებელი ხდება გარჩევა ფორმების კითხვებზე, ერთი მხრივ, რა?, ხოლო, მეორე მხრივ, სად? (ess.), რასაც არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ. საჭიროა აგრეთვე საზღვრულისა და მსაზღვრელის განსხვავებაც, რასაც ასევე ენიჭება არცთუ მცირე მნიშვნელობა. სახელდობრ, ფორმით სა’ავადმყოფო ვუპასუხებთ კითხვაზე სად? (ess.), რასაც იქვე მოყვანილი მაგალითიც გვიდასტურებს: სქ დად საავადმყოფო ვიშუ ‘მამაჩემი საავადმყოფოში (ess.) წევს’ (ქადაგიძე, ..., 1984, 518); ხოლო კითხვაზე რა?, რომელზეც უნდა ეპასუხა თვით ვოკაბულას, შეიძლება მიეუფოთ პარაფორმებით სა’ავადმყოფო/სა’ავადმყოფო: ე უხ შენობ და? ‘ეს რა შენობაა?’ – ე და თქე სა’ავადმყოფო/სა’ავადმყოფო ‘ეს არის ჩვენი საავადმყოფო’ (abess.).

სა’ხელმწიფო, სა’მეფო, სა’ლხინო, სა’თემო, ანდა იგივე სადალაქო, სა’ავადმყოფო თუ შორენოვან ფორმებში უფრო მსაზღვრელის სტატუსი უნდა დავინახოთ, რომელიც საზღვრულის გარეშე არ იხმარება: უხ სა’კითხ და რ კრებენმაქ? ‘რა (= რომელი?) საკითხი იყო კრებაზე?’ – სა’თემო სა’კითხ და რ ‘სათემო საკითხი იყო’. თუმცა აქაც კი ადგილი აქვს უსერიოზულეს ცვლილებებს ბოლოკიდურ ხმოვნებში.

გრძელ ხმოვნებში უნდა ვიგულისხმოთ ის ხმოვნები, რომელთა წარმოთქმასაც სჭირდება იმაზე მეტი დრო, ვიდრე ქართულ-თუშური ჩვეულებრივი (ნახევრადგრძელი) ხმოვნების წარმოთქმას ესაჭიროება და რომლებიც, ამასთანავე, ასრულებენ ფონემატურ ფუნქციას. როგორც დაგინახეთ, ისინი აღინიშნებიან დიაკრიტიკული ნიშნით.

თუშური ენის გრძელ ხმოვნებს აკუსტიკურად იოლად გამოვავლენთ, თუკი მათ შევადარებთ, ერთი მხრივ, თუშურივე ენის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ენის ჩვეულებრივ (ნახევრადგრძელ) ხმოვნებს (თვალსაჩინოებისთვის აჯობებს შესადარებლად საერთო ძირები შევარჩიოთ, თუმიცა ეს, ბუნებრივია, ვერ დაგვეხმარება ყველა ხმოვნის დასახასიათებლად):

ქართ.: საქა'რთველო

თუშ. ენ.: სა'ქართველო 'საქართველო ში' (ess.)

სა'ქართველო 'საქართველო' და სხვ.

რაკი ქართულენოვან მასალასთან ვუშვებთ შეპირისპირებას, შეიძლება შევნიშნოთ ერთი რამეც. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულენოვანი 'შოთა' ანთროპონიმის თუშურენოვან შესატყვისად წარმოდგენილია შოთ (გაგუა, 1956, 469). სინამდვილეში თუშურ ენას გააჩნია ამ სახელის ორი ვარიანტი: ქართულენოვანივე შოთა (I), რომელსაც ჟღერადობაც ქართული აქვს, და თუშურენოვანი შოთ/შოთი (II), რომელიც თუშურენოვანი კვანტიტეტით არის გაფორმებული. ეს ორი – (I) და (II) – სიდიდე შინაარსობრივად დაახლოებით ისეთსავე მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც ქართული სახელები 'ვა' და 'ვიო'. და თუმიცა ზოგჯერ ეს ორივე სახელი (I და II) არაოფიციალურად შეიძლება ვუწოდოთ ერთსა და იმავე პიროვნებას (როგორც, მაგალითად, ქართულში

‘გია’ და ‘გიო’), მაგრამ იმას, რომ ისინი გრამატიკულად სხვადასხვა ლექსიკურ ღირებულებებს წარმოადგენენ, გვარწმუნებს მათი ირიბი ბრუნვების ფორმების შედარება (თვალსაჩინოებისთვის მოვიშველიოთ ქართულენოვანი შოთა-ც):

ქართ.	თუშ. ენ. (I)	თუშ. ენ. (II)
ნომ. შო'თა	შო'თა-#	შო'თ-# / შო'თ-ი
ერგ. შო'თა-მ	შო'თა-ს	შო'თ-ის
გენ. შო'თა-ს(ი)	შო'თ-ქ	შო'თ-ი
დატ. შო'თა-ს	შო'თ-ენ	შო'თ-ინ და ა. შ.

რაც შეეხება სიდიდეს შოთ (ჩვეულებრივი ხმოვნით), იგი თუშურ ენაში შეესატყვისება ქართულ სიტყვას ‘შოთი’ მნიშვნელობით ‘გრძელი შოთის პური’ (ქადაგიძე, ..., 1984, 681).

ეს უმნიშვნელო უზუსტობა (ან, იქნებ, ლათინურული) შემდგომში გათვალისწინებულ და შესწორებულ იქნა თავად რ. გაგუას მიერ: **šöt** < ქართ. **šota** (Гаря, 1983, 182).

ფონემატური მნიშვნელობით თუშურ ენაში ხუთივე ჩვეულებრივი ხმოვნისთვის შეიძლება დავასახელოთ ხუთი გრძელი კორელატი – ა, ე, ი, ო, უ (**ā, ē, ī, ō, ū**)⁸⁶: ა: ას (ერგ.) ‘შე’ – ას/ასქი ‘ხბო’; და'ლარ ‘მოკვდობა’ – და'ლარ ‘ჭერა’; დაყ'რი ‘ცხედა-რი/მიცვალებული’ – დაყ/დაყ ‘წილი/ხვედრი; მიირთვი!’ (ქადაგიძე, ..., 1984, 158). ე: მელქი? ‘რამდენი?’ – მელქი ‘უფრო’; ცერ ‘ცერი/ნაპირი/კიდე’ – ცერ/ცერქი (ზმნისრთ., მიმართ.) ‘გა-/მო-/გამო-’; ლი'ლნეს ‘ლენინმა’ – ლი'ლნეს ‘ვიარე და’; დე'ფხდარ ‘გათბობა (ათბობს)’ – დე'ფხდარ ‘ჩა/ცმევა’. ი: ფხი ‘ხუთი’ – ფხი ‘ხუთი და’ (ქადაგიძე, ..., 1984, 598); ‘ხვესურები’; სი ‘si’ (მუსიკ.) – სი ‘სია’ (ქადაგიძე, ..., 1984, 539). ო: დო ‘აკეთებს’ – დო ‘აკე-

⁸⁶ სიტყვების ნაწილი ადებულია დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონიდან; მანვილიანი და გრძელი ხმოვნების აღრევის თავიდან აცილების მიზნით ერთზე შეტმარცვლიან სიტყვებში ვუთითებთ მახვილსაც.

თებ' (თუმცა მაღალ 'ნუ აკეთებ'); დონკ 'ღრუბელი' – დონკ 'გაყი-
დე/ჩაალაგე!'; დოფხდარ 'ვათობა (ვათობის)' – დოფხდარ
'ჩაცმა (ჩაცმევს)'. ჟ: ჩუ (მიმართ. ზმნისრთ.) 'შე-/ჩა-/და-' და ა.
შ.⁸⁷ – ჩჟ/ჩუვ 'მუცელი/შვიგნეულობა'⁸⁸; გუ 'ჩანს/ხედავს' –
გჟ/გჟჟ 'ჩანს და/ხედავს და'.

უნდა შეინიშნოს, რომ, თუ ლინგოაპარატურა არ (ვერ) დაა-
დასტურებს კვანტიტეტის აქ წარმოდგენილ კვალიფიკაციას ამ
სახით, იმას მაინც უსათუოდ გამოავლენს, რომ, მაგალითად, ქრკ
'ფეხთ' სიტყვაში ო უფრო გრძელია, ვიდრე ქოკ 'ფეხი' სიტყვაში.
და თუ აპარატურა, აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაციის საზი-
ნოდ, ქრკ სიტყვის ო-ს მოაკუთვნებს ნახევრადგრძელი ხმოვნის
კვალიფიკაციას, მაშინ ქოკ სიტყვაში უსათუოდ უნდა ცნოს მოკ-
ლე ო ხმოვანი. ასე რომ, **a** და **b** სიდიდეების გარკვეული შეფარ-
დება მაინც სახეზე იქნება. აი ეს არის აქ მთავარი.

ერთი და იმავე ბრუნვის ორი სხვადასხვა რიცხვის ფორმებია
თუშურ ენაში ჟაგნოხ – ჟაგნოხ, ნაჩხოხ – ნაჩხოხ, ყაროხ – ყაროხ...
მხ. რიცხვის სხვადასხვა ბრუნვის ფორმებია დედ – დედ, ქოკ –
ქრკ, ტოტ – ტრტ...

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ი. დეშერიევს იმაში, რომ თუ-
შური ენის „ზოგიერთი გრძელი ხმოვანი წარმოიშვა მარცვლების
დამეზობლების შედეგად ზედიზედ მისული ხმოვნების შეერთე-
ბით“ (Дешериев, 1953, 43). „უთუოდ ასე გაჩნდნენ სხვა გრძელი
ხმოვნებიც“, – შენიშნავს მკვლევარი იქვე (Дешериев, 1953, 43).

მართლაც, ბრძანებითი კილოს მქონე 'არა-თქო, [თქვით],
ბიჭებო!' კონსტრუქციას, მაგალითად, თუშურ ენაში გააჩნია

⁸⁷ ჩუ შეიძლება მოგვევლინოს თანდებულადაც (შუჩუ 'თქვენსა', თხეჩუ 'ჩვენსა')
და შეიძლება შეგვხვდეს ზმნის მიმყოლაც (ვოლ ჩუ 'შემოდი').

⁸⁸ ჩჟ შეესატყვისება აგრეთვე სიდიდეებს 'შე- და, ჩა- და' და ა.შ.: ჩჟ იხრ, ნჟაფჟ
'შედის და გადის (და)' ანუ 'შე- და ვა- და -დის'.

პარალელური – ვარიანტული – ფორმები: ა) ცო, ალათ, კნათი! და ბ) ცრლათ, კნათი! აქ, მეორე (ბ) ვარიანტულ სახესხვაობაში, ალათ! 'თქვით!' ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმა შერწყმულია უარყოფით ცო 'არა' ნაწილაკთან, სადაც ორი ხმოვნის შეერთების შედეგად გაჩენილა გრძელი ო ხმოვანი: ცო 'არა' > ცო, ალათ! > ცოალათ! > ცრლათ! 'არა-თქო, თქვით (უთხარით)!'

ასეთი პროცესი თავისთავად გასაგებია არა მარტო თუშური ენისთვის, არამედ ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც. მაგრამ ავტორს ვერ დავეთანხმებით, როცა ამ აზრის დასადასტურებლად წარმოადგენს ისეთ – არასწორ – ფორმებს თუშური ენიდან, როგორცაა შიტ 'თორმეტი', ფხიტ 'თხუთმეტი' (Дешериев, 1953, 43).

აქ საქმე გვაქვს არა გრძელ ო-სთან, არამედ ორმაგ (გაორმაგებულ) იი-სთან სწორედ ისევე, როგორც, დაფუძვით, ქართულ სიტყვებში მიითვისა, მიიძალა.

გრძელი ო და ჟ ხმოვნების არსებობა და მათი ჩამოყალიბება თუშურ ენაში თავის დროზე კარგად გვაჩვენა თ. უთურგაიძემ. მისი აზრით, ო < ოო < ოა, ხოლო ჟ < უუ < უა, რასაც მაგალითებითაც ადასტურებს, ოღონდ ის იქ საუბრობს თუშური ენის ხმოვანთა გამყოფ ყ თანხმოვანთან დაკავშირებით, რომელიც ასრულებს ქართული '...ც კი/კვლავ/კიდევ/კიდევ' ელემენტების ფუნქციებს (უთურგაიძე, 1966, 50), რაც უსათუო არგუმენტად არ გამოდგება.

თუშურ ენაში ვხვდებით კვანტიტეტის გარეთ მდგომ გრძელ ბგერებს, რომლებიც ექსპრესიულ შრეებს ქმნიან: კიიწკწ (< კაწკწ) 'პატარა', წშიირქვან 'უცცებ', დააჰ თეშინეს/დაჰ თეშინეს 'დაფუჯერე დაა', სადაც ექსპრესიულობის მოხსნის შემთხვევაში მივიღებთ ფორმებს ნახევრადგრძელი ხმოვნებითა და იმავე ლექსიკური მნიშვნელობით, ოღონდ უექსპრესიოდ: კაწკწ 'პატარა', წშიქრვან 'უცებ', დაჰ თეშინეს 'დაფუჯერე და'.

უთუოდ საინტერესო უნდა იყოს საკითხი - გო, -ლო, -ჩო სუ-

ფიქსების შესახებ, რომლებსაც **ი. დეშერიევი** წარმოგვიდგენს თავის მონოგრაფიაში (**Дешериев, 1953, 27**). მათზე თავის დროზე საკმაოდ დაწვრილებით ისაუბრა აგრეთვე **თ. უთურგაიძე** (**უთურგაიძე, 1966, 90-94**)⁸⁹. ამ ფორმანტების ერთობ საინტერესო ინტერპრეტაცია მოგვცა **მ. მიქელაძემ** საკანდიდატო დისერტაციაში (**მიქელაძე, 1978, 132-133**). ეს კია, არსად ამ სუფიქსების კვანტიტატიური ასპექტები დამუშავებული არ არის⁹⁰, რის გაკეთებაც მოგვიწევს აქ⁹¹, მით უმეტეს, რომ ადგილმდებარეობათა, თუ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში ამ მაწარმოებლებს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავიათ, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ ამ ლინგვისტური სიდიდეებით მიღებულ მრავალრიცხოვან ტოპონიმებთან (არა მარტო სრულიად თუშეთის არეალში) (**ბართიშვილი, 1993, 29-31**).

თუშურენოვანი არსებითი სახელებისა და სუბსტანტიური წარმომავლობის ზედსართავების (ასევე მიმღეობების) ირიბი ბრუნვების ფორმანტებზე საუბრისას **ი. დეშერიევი** ასახელებს **-გო, -ლო, -ჩო** და სხვა სუფიქსებსაც (**Дешериев, 1953, 27**), რომლებსაც ვხვდებით მთის, განსაკუთრებით თუშეთის, ხევსურეთისა და თშავის კილოვან ტოპონიმებში და რომლებიც „ნახურ ენებში“ სახელებს უჩნდებათ ადგილობით ბრუნვებში, ე. წ. ლოკატივებში“ (**უთურგაიძე, 1966, 90**).

როგორც ჩანს, ბაცბოლოგიაში ეს ფორმანტები ამ სახით – ნახევრადგრძელი **ო** ხმოვნით – გააზრებულია, როგორც ირიბი

⁸⁹ მათი გრაფიკით **-გო, -ლო, -ჩო**.

⁹⁰ ამ სუფიქსებისთვის **მ. მიქელაძის** მიერ გრძელი **ო** ხმოვნის გამოვლენაზე (თუშური ენის ნომინატივში) სხვაგან იქნება საუბარი.

⁹¹ **-გო, -ლო, -ჩო** მაწარმოებლების მეცნიერულ დამუშავებაში თავის დროზე – ჯერ კიდევ 1995 წ. – დიდად დაგვეხმარა **თ. უთურგაიძე**, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას.

ბრუნვების თანმიყოლი ელემენტები, რაც დამატებით კომპენტირებას საჭიროებს.

ამ მაწარმოებლების კვანტიტეტზე დაკვირვებას მიყვავართ მრავალრიცხოვან კავკასიურ ტოპონიმებთან, რომლებიც, ლინგვისტური ანალიზის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, თითქმის ასევე შეუსწავლელია (ბართიშვილი, 1995⁴, 29-31).

-გო, -ლო, -ხო სუფიქსები, რომლებიც ატარებენ '-ში/-თან' თანდებულების სემანტიკას, მართლაც აწარმოებენ მთისა თუ ბარის გეოგრაფიულ სახელთა ლოკატივებს, ოღონდ ამ შემთხვევაში ხმოვანი აქ, როგორც ვხედავთ, ნახევრადგრძელია. აქედან გამომდინარე, სწორია თ. უთურგაიძის თვალსაზრისი (უთურგაიძე, 1966, 91), რომელიც დიაქრონიულად ვარაუდობს ფორმათა ცვლილების შემდეგ თანმიმდევრობას: ჰჟლო < ჰუნლო < ჰუნლოჰ (ვარასრა/ვარასრუ) 'ტყეში (ვიყავი)'.

მაგრამ გეოგრაფიულ სახელწოდებას, ლოკატივის გარდა, უსათუოდ უნდა გააჩნდეს ნომინატივის ფორმაც.

ამასთან დაკავშირებით შობილო 'ფშაველი' (ტოპ.), აგრეთვე დანლო > დანო, თებულო/ტებულო, კესელო, კვავლო, ომალო, ბაცალიგო (უთურგაიძე, 1966, 91-94) და ამ ტიპის ფორმების გამო დამატებით აღსანიშნავია ზოგი რამ.

შობილო ფორმას, როგორც თუშურენოვან კვანტიტეტზე დაკვირვება გვიჩვენებს და როგორც ჰჟლო 'ტყეში' (ess.) ფორმის ანალიზიდანაც გამოჩნდა, ქართულ ენაში შეესატყვისება არა ნომინატივის ('ფშაველი'), არამედ - ლოკატივის ('ფშაველში') ფორმა. შდრ. სად იყავი? - ჰჟლო 'ტყეში' (ess.), შობილო 'ფშაველში' (ess.). ამას თ. უთურგაიძეც გვიდასტურებს (უთურგაიძე, 1966, 91).

ტოპონიმი 'ფშაველი' თუშური ენის ნომინატივისთვის (კითხვაზე რა?) მ. მიქელაძესთან წარმოდგენილია შობილო სახით (მი-

ქელაძე, 1978, 132-133), სადაც ბოლოკიდური ხმოვანი უსათუოდ გრძელია, რაც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდა ბაცბოლოგიაში. თუ ამ ხმოვანს მოცემულ სიგრძეს წავართმევთ, კვლავ ესიურ ფორმას მივიღებთ: შობილო *‘ფშაველში’* (ess.)⁹².

გრძელი ო-თი წარმოდგენილი -გო, -ლო, -ჩო სუფიქსები ატარებენ „მიდამოს, მოცემული სივრცის შემცველი არის“ შინა-არსს, ანუ, უკეთ, „საგანგებოდ აღინიშნება“ მოცემული ადგილმდებარეობის „განფენილობა, სივრცობრივი ხასიათი“ (მიქელაძე, 1978, 132-133): წა *‘სახლი’* – წენიგო *‘სახლთან’* (ess.) – წენიგო (abess.) *‘სახლის შემცველი არე’*, სანი *‘კარები’* – სანიგო *‘კარებთან’* (ess.) – სანიგო > სანგო > სჭგო *‘კარების შემცველი არე, ეზო’* (abess.)⁹³, შუდბ/შობი *‘ფშავლები’* – შობილო *‘ფშაველში’* (ess.) – შობილო *‘ფშავლების შემცველი არე, სოფ. ფშაველი’* (abess.), კუპრა ბალო *‘კუპრა (ცხენის სახელია) მოკვდა’* – კუპრა-ბალო *‘ვარასო’* (ess.) – ე კუპრაბალოჩო და *‘ეს არის კუპრაბალოჩო (ანუ სივრცე, მიდამო, მთა, სადაც კუპრა მოკვდა)’* (abess.).

ადიტიური ფორმა სოფ. *‘ფშავლისთვის’* გაფორმდება იმავე სუფიქსით, ოღონდ ბოლოკიდური უმარტველო (ირაციონალური) ო-თი: დად შობილო ვახჭ *‘მამა ფშაველში წავიდა’*. ამავე რიგისაა წენიგო, სჭგო... ესენი ადიტიური ფორმები.

მაშასადამე, -გო, -ლო, -ჩო მაწარმოებლები, ერთიმეორეს უპირისპირდებიან რა ბოლოკიდური ხმოვნის კვანტიტეტის მიხედ-

⁹² თუშურ ენას ტოპონიმისთვის *‘ფშაველი’* გააჩნია პარალელური ფორმაც იმავე -ლო მაწარმოებლით – ფშავლილო, რომელიც ნაწარმოებია ქართული ფშაველ-ფუძიდან და არა თუშურენოვანი შუდბ (<შობი) *‘ფშავლები’* სიდიდიდან.

⁹³ შევადაროთ აგრეთვე ქართულიდან შემოსული ეზო *‘ეზოში’* (ესივია) – ეზო *‘ეზო’* (აბესივია), საქართველო *‘საქართველოში’* (ესივია) – საქართველო *‘საქართველო’* (აბესივია) და ა. შ.

ვით, სამი სახით წარმოგვიდგებიან თუშურენოვან ლოკატივებში:
შობილრ : შობილო : შობილრ.

ამ ფორმებში განსხვავებული მნიშვნელობები გვაქვს: შობილრ ადიტივია, შობილო ესივია, შობილრ აბესივია და ნომინატივის გაგებაც იმიტომ აქვს.

ხმოვნის ხანგრძლივობის მიხედვით განსხვავება -გრ (resp. -ლრ, -ჩრ) სუფიქსით დაბლოცებულ ფორმათა შორის მორფონოლოგიური ხასიათისაა, კერძოდ:

1. თუ დასახელებული სუფიქსის მომდევნოდ ესივის -ჰ მანვენებელი დაიკარგება, მაშინ -ო უცვლელად დარჩება: შობილოჰ > შობილო 'ფშაველში' (ess.).

2. თუ აღნიშნულ სუფიქსს მოსდევს ადიტივის -ი მაწარმოებელი, ამ უკანასკნელის დაკარგვის შემთხვევაში ო უმარცვლოვდება - თუშური ენისთვის დამახასიათებელი მიღრეკილების საფუძველზე დახურული მარცვლისკენ აუსლაუტში: * შობილოი > * შობილო > შობილრ (adit.).

ფუძეთა სახეობების მიხედვით ადიტიური -ი განსხვავებულიად იქცევა:

ა) უკვეცელ ხმოვანთა მომდევნოდ ი ან უმარცვლოვდება (ი > ე), ანდა სრულად იკარგება.

ი > ე გვაქვს, მაგალითად: * საქართველოი > საქართველოდ 'საქართველოში' (adit.), * საკობიანიი > საკობიანოდ 'საკობიანოში' (adit.), * ომლოი > ომლოდ 'ომლოში' (adit.). შესაძლებელია ადიტიური ფორმების ბოლოში ოი > ოდ კომპლექსმა მოგვცეს უდ დიფთონგი: * საქართველოი > საქართველოდ > საქართველოდ (adit.), * საკობიანიი > საკობიანოდ > საკობიანოდ (adit.), * ომლოი > ომლოდ > ომლოდ (adit.).

ადიტიური ი სრულად გამქრალა კვეცად სახელებში: * ახმეტიი > * ახმეტი > ახმეტი/ახმიტ 'ახმეტაში' (adit.), * ქალაქი

> *ქალქი > ქალიქა/ქალიქ ‘ქალაქში’ (adit.), *სკოლაი > სკოლი/სკოლ ‘სკოლაში’ (adit.)⁹⁴. აქ კვეცად ახმეტა-ს ჯერ საკუთარი ა მოპკვეცია თუ შურენოვანი ი-ს გავლენით, რასაც მოპყოლია თვით თუ შურენოვანი ი-ს გაქრობა სიტყვათა დახურული მარცვლით დამთავრებისკენ მიდრეკილების საფუძველზე.

ბ) ადიტიური ი ხმოვანი ეპენტეზისის შედეგად შეიძლება თუ შურენოვანი ფუძის შიგნითაც აღმოჩნდეს თუ შურივე ენისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებებით: *ალვანი > *ალვნი ‘ალვანში’ (ess.) > ალვინ ‘ალვანში’ (adit.), *ქალაქი > *ქალქი ‘ქალაქში’ (ess.) > ქალიქ ‘ქალაქში’ (adit.), *ახმეტაი > *ახმეტი ‘ახმეტაში’ (ess.) > ახმეტა/ახმეტ ‘ახმეტაში’ (adit.).

გ) ზოგჯერ ადიტივის სემანტიკას გამოხატავს ფუძისეული ხმოვანი (არა მარტო ი), ოღონდ კვანტიტატიურ შკალაზე ერთი საფეხურით გადაადგილების ხარჯზე: ბარ ‘ბარი (ვაკე)’ – ბწრ ‘ბარში’ (adit.), დელ ‘ტანი/სხეული’ – დწლ ‘ტანში/სხეულში’ (adit.), ჭოჭ ‘პირი (ენინ.)’ – ჭწაჭ ‘პირში’ (adit.), ლაგ ‘სასთუმალი’ – ლწვ / ლაწგუ ‘თავთ’ (adit.).

დ) თუ შურ ენას აქვს აბესივის (= ნომინატივის) მაწარმოებელი ესა თუ ის ხმოვანი, რომელიც, როგორც ჩანს, წინამდევალ ხმოვანთან შერწყმის გზით გრძელი გამხდარა: ამერიკა > *ამერიკაა > ამერიკა ‘ამერიკა’ (abess.), მცხეთა > *მცხეთაა > მცხეთა ‘მცხეთა’ (abess.), ახმეტა > *ახმეტაა > ახმეტა ‘ახმეტა’ (abess.), ინგლისი > *ინგლისაა > ინგლის ‘ინგლისი’ (abess.), კახეთი > *კა-

⁹⁴ სკოლი/სკოლ ‘სკოლაში’ (adit.) ბარალელური ფორმები მიგვანიშნებენ იმაზე, რომ კვეცა შეიძლება არც მოხდეს, მეტიც, გვაქვს უკვეცელი ფორმებიც: ქართ. ინსტიტუტი > თუშ. ენ. ინსტიტუტი ‘ინსტიტუტში’ (adit.), ქართ. კანტორა > თუშ. ენ. *კანტორაი > კანტორი ‘კანტორაში’ (adit.), ქართ. უნივერსიტეტი > თუშ. ენ. უნივერსიტეტი ‘უნივერსიტეტში’ (adit.).

ხითაა > კახითჲ ‘კახეთი’ (abess.), საფრანგეთი > * საფრანგითაა > საფრანგითჲ ‘საფრანგეთი’ (abess.)⁹⁵.

საფრანგითჲ, ახმიტჲ ტიპის ფორმები გვაგვარაულებინებს, რომ ფუძისეული ი (< ე) მიღებული უნდა იყოს ბოლო ღია ა ხმოვანთან დისიმილაციის შედეგად.

თუ -გრ, -ლრ, -ჩრ სუფიქსების შემთხვევაში დაბნეულობას იწვევს ბოლოკიდური ხმოვნის განსაზღვრა, სხვა დროს კარგად არის გამოკვეთილი თუ შური ენის ლოკატივების – ადიტივის, ესისა და აბესივის – განსხვავებულობა:

adit.	ess.	abess. / nomin.
თელვი	– თელვე	– თელვჲ
თინითრ	– თითი	– თინითჲ
რუსითრ	– რუსთი	– რუსითჲ

თუ შური ენის ზმნებში შეიმჩნევა ტენდენცია, მე-2 პირის ფორმებში უფრო გრძელი იყოს პირის მაჩვენებელი ხმოვანი, ვიდრე მე-3 პირის ფორმებშია: დაღრ ‘მოდის’ – დაღო ‘მოდინარ’, დაცრ ‘თიბავს’ – დაცო ‘თიბავ’, ახოდრ ‘ატყუებს’ – ახდო ‘ატყუებ’, ღო ‘წავა’ – ღრ ‘წახვალ’, დო ‘აკეთებს’ – დრ ‘აკეთებ’.

ანალოგიურად, ნახევრადგრძელი ო ატარებს მხოლოდითი, ხოლო გრძელი რ მრავლობითი რიცხვის შინაარსს (აქაც დაეურთოთ მახვილები, რათა მახვილს არ მიეწეროს ხმოვნის კვანტიტატიური ხასიათი): დუ’ვჩოხ ‘ბევრის შესახებ’ – დუ’ვჩოხ ‘ბევრების შესახებ’, ნაჩხოხ ‘ყველის შესახებ’ – ნაჩხოხ ‘ყველების შესახებ’, ყა’შჩოხ ‘მონუცის შესახებ’ – ყა’შჩოხ ‘მონუცების შესახებ’.


გრძელი ნ ხმოვანი თხოვნითი კილოს მე-2 პირის ფორმიდან აწარმოებს როგორც ბრძანებითი, ისე თხოვნითი კილოების ფორმებს მე-3 პირისთვის: დაჲც ‘მოიტანე!’ – და’ცაჲ ‘მოიტანე რა’ –

⁹⁵ უღრ. * შობილა > შობილრ ‘ფშაველი’ (ტოპ.) (abess.), * ეზოა > ეზო ‘ეზო’ (abess.).

და'ცნლ 'მოიტანოს!' – და'ცნლელ 'მოიტანოს რა', ღობ 'წადი!' – ღობალ 'წადი რა' – ღობზლ 'წავიდეს!' – ღობზლელ 'წავიდეს რა'.

სხვა შემთხვევაში ხმოვანთა კვანტიტეტი მონაწილეობს კილოვანი ფორმების განსხვავებაში: დაქექალა 'გაინძრე-ვა/გატოკდება' – დაქექალან 'გაინძრევი/გატოკდები' – დაქექალან! 'არ (ნუ) გაინძრე!/არ (ნუ) გატოკდე!'; ფშელლა 'ცივდება' – ფშელლან 'ცივდები' – ფშელლან! 'არ (ნუ) ვაცივდე!'


ბოლოს, თუშური ენის გრძელი ხმოვნები პარადიგმატულ ჭრილში წარმოგვიდგებიან დაახლოებით ასე:



§ 7. თუშური ენის ზეგრძელი ხმოვნები

თუშური ენის ხმოვანთა კვანტიტეტის აწმყო და მომავალი

ჩვენი აზრით, თუშურ ენას გააჩნია ორი ზეგრძელი ხმოვანი: ა, ო (ა, ო). რაკი ასე თუ ისე ადგილი აქვს მახვილისა და კვანტიტეტის აღრევას, მათ გამოსავლენად წარმოვადგენთ ერთმარცვლიან სიტყვა-ფორმებს, რათა მახვილს აღარ დარჩეს შესაძლებლობა გადაადგილებისა და ამით მახვილიანობის შთაბეჭდილების იმიტირებისა. ასეთებად წარმოგვიდგება თუშური ენის ერთმარცვლიანი ზმნების პირიანი ფორმები; მდრ.



ანალოგიური სურათი გვაქვს დარ 'კეთება' (ასევე ხილარ 'ყოფნა') ზმნის დანარჩენი კლასებისთვისაც: დო 'აკეთებს' – დრ/დრჰჳი (< დო აჰ) 'აკეთებ' – დრ (< დრჰ ო გუს) 'აკეთებს და'...

ახლა შეიძლება მოვიყვანოთ ერთზე მეტმარცვლიანი მაგალითებიც ო და რ ზეგრძელი ხმოვნებისთვის: და'ვლა 'იზრდება' – და'ვლან 'ვაიზრდები' – და'ვლან 'ვაიზრდება და'; ვან-ვა'ცლა 'გრძლად ლაპარაკობს' – ვან-ვა'ცლან 'გრძლად ლაპარაკობ და' – ვან-ვა'ცლან 'გრძლად ლაპარაკობს და'; გო'ვარდო 'ამრგვალებს' – გო'ვარდონ 'დასმრგვალებ' – გო'ვარდონ 'დასმრგვალებს და'; და'ვარდო 'ადიდებს' – და'ვარდონ 'ვასადიდებ' – და'ვარდონ 'ვასადიდებს და'.

დიან, ზეგრძელ ხმოვნას ახლავს მისთვის დამახასიათებელი მსუბუქი ინტონირებაც, თუმცა ეს არ უკარგავს მას კვანტიტატიურ რაობას.

არ არის გამორიცხული, შორეულ წარსულში უფრო ფართოდ დააბზონი ჰქონოდა ძეგრძელ ხმოვნებს.


ასე რომ, თუშურ ენას ათვისებული აქვს ხუთივე კვანტიტატიური მოდელი. ამის წყალობითაც არის, რომ ამ ენის ლექსიკა ავლენს გასაოცარსა და შესაშურ კომპაქტურობას. წარმოვადგი-

ნოთ ხუთივე მოდელი ერთი და იმავე ლექსემის სხვადასხვა ფორმებში:

ზეგრძ.: ლრ 'მისცემს ღა'
გრძ.: ლრ 'მისცემ'
ნახევრადგრძ. (ჩვეულ.): ლო 'მისცემს'
მოკლე: ლუღცრ < ლუზცი < ლოიცი
ირაც.: 'მისცემს აკი'

თუმეორი ენის კვანტიტეტი, ჩვენი აზრით, ფონოლოგიურ დატვირთვასთან ერთად, ითავსებს ფსიქოლოგიურ მომენტსაც: მეტყველება ხომ, **ორტევას** აზრით, არის სწორედ „ექსპრესიისა და ცხოვრების ინტერპრეტაციის პრივილეგირებული საშუალება“ (Ортега, 2000, 23). ამ მომენტის გათვალისწინებით, ალბათ, ღირს იმის აღნიშვნაც, რომ წოვათუშები მიდრეკილებას იჩენენ აგრეთვე ხმოვანთა (და თანხმოვანთა) გამრავალმაგებისადმი, რაც ასევე ატარებს ექსპრესიის ნიშნებს და საიდანაც შორს აღარაა მათ კვანტიტეტამდე⁹⁶. ხმარობენ, მაგალითად, **ოოო** ფორმას ნაცვლად ფორმისა **ო 'ის'**, **ეეე**-ს ნაცვლად ფორმისა **ე 'ეს'**, **უუუხ ლევდო?!** შესიტყვებას ნაცვლად შესიტყვებისა **უხ ლევდო?! 'რას ამბობ'?!** თუმეორი ენის ზეგრძელი ხმოვნები სამკუთხედზე:

⁹⁶ თუმცა თავისი შინაარსით გრძელი ხმოვანი სხვა რამეა, გაორმაგებული (გამრავალმაგებული) – სხვა, მაგრამ გარეგნულად (ფონეტიკურად) ეს ორი მოვლენა თითქმის არ განსხვავდება, თუ არ ჩავთვლით საწარმოთქმო მწვერვალთა სხვაობას, რომლის გარჩევაც აკუსტიკურად (როგორც მოსაუბრისთვის, ისე თანამოსაუბრისთვის) საკმაოდ ძნელია და ამ შემთხვევაში არც გააჩნია არსებითი მნიშვნელობა.



თუმორი ენის ხმოვანთა კვანტიტეტი, რომელიც უპირატესად სიტყვათ- თუ ფორმათწარმოებაში მკლავნდება, დღეს სერიოზულ რღვევას განიცდის, რაც სერიოზულ სირთულეს ქმნის ვოკალთა ამ ნიშნის სწორად განსაზღვრის საქმეშიც.

გვაქვს, მაგალითად, მასდარი **დაყარ** 'ჭამა' ნახევრად-გრძელი ხმოვნით ფუძეში, მაგრამ აწმყო დროის ფორმაში ის უსათუოდ გრძელი ხდება: **დაყარ** 'ჭამს' (სამივე პირისა და ორივე რიცხვისთვის). წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ, თუკი ამ ფორმაში **დ-**ს ნაცვლად შემოვა სხვა კლასის მახვენებელი, მაგალითად, **ბ**, ფუძისეული ხმოვანი კი მასდარისეული ნახევრადგრძელი დარჩება, უსათუოდ მოხდება სემანტიკური აღრევა: **ბაყარ** 'ვჭამ/ჭამ(და ა. შ.)' – **ბაყარ** 'კვიცი'. კვან-ტიტატური მიმართება იგივე დარჩება, თუკი ვინმე ხათვლის (რაც გამორიცხული არ არის), რომ მარცხენა წევრში გვაქვს არა გრძელი, არამედ ნახევრადგრძელი ხმოვანი, რადგან ასეთ შემთხვევაში უსათუოდ უნდა დავამოკლოთ მეორე წევრის ა: **ბაყარ** 'ვჭამ/ჭამ(და ა. შ.)' – **ბაყარ** 'კვიცი'. **დ.** და **ნ.** ქადაგიძეებს 'ლოწვა' მასდარისთვის წარმოდგენილი აქვთ ფუძისეული ნახევრადგრძელი ხმოვანი – **არლარ**, მაგრამ პირიან ფორმაში ის გაგრძელებულა – **სტაბოჩქ** კალუდ **არლარ** 'შემოდგომას კალოებს ლეწავენ' (ქად., ..., 1984, 42), ინფინიტივში კი იგივე ხმოვანი კვლავ ნახევრადგრძელი გამხდარა – **სტაბო უდოჩეჰ** **არლან** **დოლათხარ** 'შემოდგომა რომ დადგება, ლეწვას დაეწყებთ' (იქვე); სწორედ კვანტიტატური სირთულის გამო ასევე ორგვარად შეუტანიათ ლექსიკოგრაფებს

‘*მორეკ-ვა/მოყვანა*’ ლექსების ეკვივალენტი დახკდარ (ქად., ..., 1984, 59) – დახკდარ (ქად., ..., 1984, 167), ‘*წილი/ხვედრი*’ ლექსების ეკვი-ვალენტი დაყ/დწყ (ქად., ..., 1984, 158)...

ეს პროცესი დავით (1861-1937) და ნიკო (1895-1976) ქადაგი-ძეების დროს უთუოდ უკვე იყო დაწყებული, რაც ჩანს კიდევაც ლექსიკონში (მაგალითად, ‘*წილი, ხვედრი*’ ლექსების თუშურენო-ვანი შესატყვეებისათვის მათ დაფიქსირებული აქვთ დაყ და დწყ ვერსიები –ქადაგიძე, ..., 1984, 158), ბევრჯერ კი გრძელი ხმოვნები საერთოდ არა აქვთ აღნიშნული, ხოლო ‘და’ კავშირის ეკვივა-ლენტური გრძელი ხმოვანი გაცნობიერებული აქვთ ნახევრად-გრძელ მახვილიან ხმოვანად, რაზეც ცალკე გვექნება საუბარი.

თუშური ენის გრძელი ხმოვანი ზოგჯერ, კარგავს რა ფონო-ლოგიურ დატვირთვას, იძენს ოდენ ფონეტიკურ ელფერს. მაგა-ლითად, და’თნერქ ნიშნავს ‘*ერბოდან*’ (მაგ., *რამის ამოღებას*), ხოლო და’თნერქ – ‘*ერბოიანი*’, მაგრამ, ამავე დროს, და’თნერქ ‘*ერბოდან*’ ფორმის და’თ- მარცვლის ა-ც რამდენადმე უფრო გრძელია, ვიდრე და’თნერქ ‘*ერბოიანი*’ ფორმის შესაბამის მარ-ცვალში, თუმცა ამ ორ ფორმაში ფონოლოგიური ღირებულებისა არა „რამდენადმე გრძელი“ და „რამდენადმე მოკლე“ ა, არამედ – ნახევრადგრძელი ე და გრძელი ჟ ხმოვნები.

გარდა ამისა, იქ, სადაც სემანტიკის შეცვლის საშიშროებაა, შესიტყვეების (სინტაგმის) წინა წევრის შემადგენლობაში მოხ-ვედრილი გრძელი ნაზალიზებული ხმოვანი ინარჩუნებს ამ ორივე ნიშანს – ხანგრძლივობასაც და ნაზალობასაც: ჩუ’ხო ‘*ბატენის(ა)*’ – ჩუ’ხო ‘*ბატენების(ა)*’, აქედან: ჩუ’ხო ნან ‘*ბატენის დედა*’ – ჩუ’ხო ნან ‘*ბატენების დედა*’. მაგრამ იქ, სადაც მსგავსი – ფონო-ლოგიური – საშიშროება არ არის, ასეთმა ხმოვანმა შეიძლება და-კარგოს ხანგრძლივობა: ლეკპ ‘*ლეკების(ა)*’, მაგრამ გვაქვს პარა-ლელური ფორმები ლე’კპ ფე’შკარ ან ლე’კპ ფე’შკარ ‘*ლეკების*

ბალოი', რადგან, განსხვავებით ფორმისა ჩუ'ხჲ 'ბატკნების(ა)', სადაც ნაზალური ჲ სმოვნის ხანგრძლივობა უსათუოდ მრ. რ. მაჩვენებელია, ლე'კჲ ფორმაში ნაზალური ჲ სმოვნის ხანგრძლივობა დღეს აღარ ავლენს მრავლობითობის უსათუობას. ამდენად, ზოგჯერ ტექსტების შედარება და ლამის ფონოლოგიური ანალიზის ჩატარებაა საჭირო ცალკე აღებული ამა თუ იმ სმოვნის კვანტიტეტის დასაზუსტებლად.

მათი სპეციფიკიდან გამომდინრე, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ირაციონალური სმოვნების აღნიშვნაც. აქ იმასლა დავეურთავთ, რომ ჩვენ მათ აღვნიშნავთ სამ შემთხვევაში: 1) წინადადების ბოლოში, 2) პაუზის წინ, 3) იქ, სადაც არც წინადადების ბოლოა, არც მოსალოდნელი პაუზა, მაგრამ აუცილებელია ფონოლოგიური – სემანტიკური – განსხვავების დაფიქსირება (მაგ., ქასტლაჲში თაბით 'ჩქარობთ, ვგონებ' – ქასტლაჲში თაბით 'გეჩქარებათ, ვგონებ').

აღნიშნულის გამო დღეს აშკარა უსისტემობა სუფევს თუშური ენის სმოვანთა კვანტიტეტში. ერთობ მგრძნობიარე აღმოჩნდა კვანტიტეტი, როგორც სიტყვათწარმოებისა თუ ფორმატცილილების, ისე თვით კონტექსტის მიმართაც კი, რაშიც დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონიც გვარწმუნებს და რაც ერთგვარად ართულებს მუშაობას ვოკალთა ამ უბანში. ეს ურთულესი და მტკივნეული მდგომარეობა, რომელიც თუშურ ენას ახასიათებს თავისი არსებობის იმ სტადიაში, რომელიც კვდომის ეტაპს წამოადგენს, იმაზე მსუბუქი როდია, ვიდრე, მაგალითად, დამწერლობიან რუსულშია მახვილთან დაკავშირებით. თუშური ენის კვანტიტატიური რღვევის ეს პროცესი დღეს რომ არ დაწყებულია, ადასტურებს ისიც, რომ დ. და ნ. ქადაგიძეები უკვე გრძნობდნენ არათანმიმდევრულობასა და დაწყებულ ქაოტურობას მეტყველების ამ სფერო-

ში, რაც თვალსაჩინოდ აისახა კიდევაც მათ სალექსიკონო სტატიებში.

როცა თუშური ენის გრძელი ხმოვნების დაკარგვის ტენდენციასე საუბრობს, **ი. დეშერიევი** ვარაუდობს, რომ ეს ქართული ენის გაგლენით უნდა ხდებოდეს (**Дешериев**, 1953, 37). დიას, თუშურ ენაში კვანტიტატიური დაპირისპირება კლების ტენდენციას აშკარად ამჟღავნებს და ვერც ქართულენოვანი გარემოცვის ფაქტორს უარვეყოფთ.

ჯერჯერობით, როგორც **თ. უთურგაიძე** იტყვოდა, თუშურენოვანი „მეტყველების ღროს... ხმოვანთა სიგრძე კარგად შეიგრძნობა“ (**უთურგაიძე**, 1966, 49). მაგრამ ასევე ხშირად ის იოლად „განზავდება“ მიმდებარე ხმოვნების კვანტიტატიურ მოცულობებში. თუშური ენის კვანტიტეტი რღვევისა და გაორების პროცესშია, რის გამოც იგი საგრძნობ დინამიზმს განიცდის და ბევრჯერ არცთუ იოლია მისი ამოცნობა: მართლაც, **ბაჯ** (ჭრელაშვილი, 1975, 230) თუ **ბაჯ** (ქადაგიძე, ..., 1984, 85) '*ჭრელი*', **ჟერ** (უთურგაიძე, 1966, 102) თუ **ჟერ** (ჭრელაშვილი, 1975, 243; ქადაგიძე, ..., 1984, 507) '*ჭრელი*', **დად** (ჭრელაშვილი, 2002, 471) თუ **დად** (ქადაგიძე, ..., 1984, 135) '*მამა*'.

თუშურ ენაში ადგილი აქვს გრძელი ხმოვნების გადასვლას ნახევრადგრძელ ხმოვნებში. **რ. გაგუას** ლოგიკური მსჯელობიდან გამომდინარე (**Гагуа**, 1983, 182), ასეთი გადასვლა, ისევე როგორც თვით გრძელი ხმოვნის გაჩენა, ზოგჯერ შედეგია სიტყვათა თუ ფორმათა წარმოების პროცესით გამოწვეული ძვრებისა: მაგალითად, თუ აუსლაუტის დასუსტებული, ანდა დაკარგული ხმოვნის საკომპენსაციოდ ნომინატივში ჩნდება გრძელი ხმოვანი (***დადა** > **დადა** > **დად/დად** '*მამა*'), ირიბ ბრუნვაში, სადაც მომდევნო პოზიციაში ხმოვანი ჩნდება, ეს ხანგრძლივობა, როგორც წესი, იკარგება (**დადას** '*მამა*'). სხვა შემთხვევაში, პირიქით, ნომინატივი

გეთაყაზობს, მაგალითად, მათხ 'შზე' ფორმას, ირიბი (თანდებულისანი) ბრუნვა კი – ფორმას მათხ 'შზეზე' (adit.); გვაქვს აგრეთვე: დედ 'ტანი/სხეული' – დედ 'ტანში/სხეულში' (adit.), ქოკ 'ფეხი' – ქოკ 'ფეხთ' (adit.), ტოტ 'ხელი' – ტოტ 'ხელში' (adit.) და სხვ. თუმიცა ასეთმა მარტივმა (გამარტივებულმა) ახსნამ შეიძლება ყოველთვის არ გაამართლოს.

თუკი ნახევრადგრძელი ხმოვნის მქონე ვა არის 'ლორი' (ქადაგ., 822), მაშინ არაფრით არ შეიძლება, ამგვარივე ხანგრძლივობა ჰქონდეს ვო 'სამი' რიცხვითი სახელის იმ ფორმებს, რომლებიც „ინმარება მსაზღვრელად სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში ვო 'სამი' რიცხვითი სახელის მაგვირად“ (ქადაგ., 822). ჩვენ ვთვლით, რომ აქ გვაქვს გრძელი ო ხმოვანი; შდრ. ერთსა და იმავე წინადადებაში: ვა ვაშას ვა ბჟეფ 'სამმა ძმამ ღორი დაკლა'.

ყოველივე თქმულიდან და ცოცხალ მეტყველებაზე სისტემატური დაკვირვებიდან გამომდინარე, შეიძლება შეგნიშნოთ, რომ, მაგალითად, დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონში შეტანილი ფორმები ადტნო 'სიხუმე' (31), ადხნო 'ნახნავი' (32), გარვა 'სიახლოვე' (114), მაყვილო 'მაყვილიანი' (423), საჟბა 'მეტობა, სიჭარბე' (531), სწორა 'სწორი, დღეის სწორი' (554), ცჰანა 'ორშაბათი' (747), წინა 'სიახლე' (763), ვერბილო 'ქვიანი ადგილი' (840) და ა. შ. უნდა გაფორმებულიყო აუსლაუტისეული გრძელი ხმოვნით: ადტნო, ადხნო, გარვა, საჟბა და ა. შ.

ჩვენს მიზანსადაც, თუშურენოვან ნომინატივში უნდა იყოს აგრეთვე, მაგალითად: კანლოვ 'კახელი', იმერლოვ 'იმერელი', თათლოვ 'თიანელი', დიდლოვ 'დიდოელი', ჩანლოვ 'ჩახანი', ჩაღმართლოვ 'ჩაღმა/ჩაღმათუში', მასთხლოვ 'მტერი' და ა. შ. (შდრ. სტაკოვ 'კაცმა', ფსტუ'ჩხოვ 'ქალმა', მათხოვ 'შემე', იმერლოვას 'იმერელმა', თათოვას 'თიანელმა', დიდოვას 'დიდოელმა' და ა. შ., სადაც იგივე ხმოვანი არ შეიძლება იყოს გრძელი).

გამოდის, თუ ზოგჯერ თვით ცალკეული სიტყვაც გვეკარნახობს იმას, თუ როგორი ხანგრძლივობისაა მასში ესა თუ ის ხმოვანი, სხვა დროს აღმოჩნდება ხოლმე, რომ საკონტროლო სიტყვის რომელიღაც ხმოვანი თურმე ისეთი ხანგრძლივობით უნდა წარმოგვეთქვა, როგორსაც სხვა შემთხვევაში არ (ვერ) მივანიჭებდით მას. ეს უთუოდ შედეგია იმისაც, რომ თუშური ენა არ იყო და არ არის განებივრებული იმ ფუფუნებით, რომელიც დამწერლობას ახლავს: მეხსიერება გადაიტვირთა უმწერლობით, ენა კი დაიღალა.

ბოლოს, შემჩნეულია, რომ ხმოვანთა კვანტიტეტმა ზმნის უსრული ასპექტის შიგნით შეიძლება გამოიწვიოს ფორმათა დიფერენცია მოქმედების ხანგრძლივობის ნიშნით. მაგალითად, ფრაზა *‘ეს ექიმი ავადმყოფს კარგად სინჯავს’* თუშურ ენაზე ორგვარად შეიძლება ითქვას: ა) ე დუახტრევ ლაწმარ ღაზიმ დეყოდრ. ბ) ე დუახტრევ ლაწმარ ღაზიმ დეყოდრ. ამათგან, ჩვენი აზრით, (ა) დეყოდრ ფორმა გულისხმობს უფრო ხანგრძლივსა და გულდადებით გასინჯვას, (ბ) დეყოდრ ფორმა კი – შედარებით ხანმოკლე და არცთუ გულდადებით გასინჯვას. ეს ფაქტიც ემატება თუშურენოვანი კვანტიტეტის სირთულეს.

§ 8. თუშური ენის ნახევრადგრძელი ნაზალიზებული ხმოვნები

ეს საინტერესო ფენომენი, რომელიც ფართო მსჯელობის საშუალებას იძლევა არტიკულაციასთან, როგორც ბგერათა ჩამოყალიბების პროცესთან, დაკავშირებითაც, თუშურ ენაში კარგა ხანია, შემჩნეული და გამოვლენილია. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ არის გაკეთებული ამ ხმოვნების ზოგადი მიმოხილვაც

და კერძოდ დახასიათებატ. რ. გაგუა შენიშნავს, რომ ხმოვანთა ნაზალობა თუშურ ენაში შენიშნა და დაადგინა ა. დირმა 1928 წ., ა. შიფენერმა კი (XIX ს. მეორე ნახევრისთვის – ა. ბ.) ისინი ვერ შენიშნა, თუმცა მისთვის ცნობილი იყო ნ თანხმოვნის დაკარგვის ფაქტი აუსლაუტში, რასაც, ჩვეულებრივ, მოსდევს წინამაგალი ხმოვნის ნაზალიზაცია (Гаря, 1983, 183).

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია, შესაძლებლობის ფარგლებში რამდენადმე დააკონკრეტოს თუშური ენის ნაზალიზებული ხმოვნების ხასიათი თუ რაობა.

აქ გვაქვს ორალური, სადა (წმინდა) ა, ე, ი, ო, უ ხმოვნების შესატყვისი ხუთივე ცხვირისეული, ანუ ნაზალური ჯ, ქ, ძ, წ, უქ (ა, ბ, ც, დ, ე) კორელატი.

ხმოვნის ნაზალიზაცია საერთოდ – ეს არის მ და ნ ნაზალური (ცხვირისმიერი) თანხმოვნების რედუქციის (დასუსტების) ხარჯზე წინამაგალი, ანუ პრეცედენტი მარტივი ხმოვნების რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის (მიმსგავსების) შედეგი, როცა ასიმილატორი მ და ნ თანხმოვნებისგან რჩება მხოლოდ ნაზალობა, ხოლო მათი ბილაბიალობა და დენტალობა იკარგება (ნებიერიძე, 1991, 109–114).

აქ ლაბარაკია სერიოზულ და არსებით ცვლილებებზე „ხმოვანი + მ“ ან „ხმოვანი + ნ“ (Vმ ან Vნ) ბგერათა კომპლექსებში, ზოგადად, საკუთრივ თუშური ენისთვის კი მხოლოდ „ხმოვანი + ნ“ (Vნ) კომპლექსში.

თუშურ ენაში ნებისმიერი Vნ კომპლექსი როდი გვაძლევს ნაზალიზებულ ხმოვანს, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეული უნდა იყოს ერთ შემთხვევაში მორფოლოგიური სიტუაციით, მეორეში – დისტრიბუციული გარემოცვით, მესამეში – ისტორიული პირობებით და ა. შ. თუშური ენის ხმოვანთა ნაზალობა მომდინარეობს მხოლოდ Vნ ბგერათა კომპლექსიდან, ანუ თუშური ენისთვის და-

მასწავლებელია მხოლოდ **VN** ნაზალიზაცია. ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღვნიშნოთ ერთი საინტერესო რამ.

ნამბალარ ‘*დაჩვევა/მიჩვევა*’ სიტყვის პირველ მარცვალში ფონეტიკურად რჩება **VN** ტიპის ნაზალიზაციის შთაბეჭდილება – [ნამბალარ], თუმცა აქ ნაზალიზაციამდელი ცხვირისეული **n** თანხმოვანი არ გვაქვს. ეს უფრო თვალნათლივ გამოჩნდება, თუკი ამ სიტყვის არტიკულაციას შევადარებთ, მაგალითად, **ნამურ** / **ნემურ** ‘*საფლავი/სამარე*’ სიტყვის არტიკულაციას: [ნამბალარ] – [ნამურ]. იგივე **VN** (წ) ნაზალიზაციის შთაბეჭდილება გვაქვს **გამფე** (ხმაბადვითი სიტყვაა, გადმოსცემს ერთი საგნის მეორესთან მიხეთქების ხმას), **ჭყემპრ** ‘*ყელი*’ და ა. შ. ტიპის სიტყვებში. იმის საჩვენებლად, რომ ეს უბრალო ფაქტი არ არის, შეიძლება დავიმოწმოთ ერთი ანალოგიური შემთხვევა ლექსიკოგრაფიული წყაროდანაც, სადაც კანონზომიერი (მოსალოდნელი) ქ მოვლენა ლექსიკოგრაფებს მოსჩვენებიათ **ემ** ბგერათშეერთებიდან მომდინარე არაკანონზომიერ მოვლენად: **ყემადლქფარ/ყემადლქმფარ** ‘*ცხვრის მადღმა*.’ (ქადაგიძე, ..., 1984, 506).

ნაზალიზაციის ცრუ შთაბეჭდილება რჩება აგრეთვე დამოუკიდებელი ლექსემების საზღვარზე რწყული მეტყველების დროს – **დადენ თიბრ** [დადქთიბრ] ‘*მამასაო, ამბობს*’, **ნანენ დამლნას** [ნანქდამლნას] ‘*დედას მივეცი*’ ტიპის სიტუაციებში – იმდენად, რომ აკუსტიკურად შეიძლება აგვერიოს ფონოლოგიურად სწორ კონსტრუქციებში **დადქ თიბრ** [დადქთიბრ] ‘*მამასაო, ამბობს*’, **ნანქ დამლნას** [ნანქდამლნას] ‘*დედასა მივეცი*’.

ლინგვისტური ლიტერატურიდან უკვე არის ცნობილი, რომ ხმოვნის ნაზალობა თუშურ ენაში ფონემურია – ასრულებს სიტყვათა თუ ფორმათა განმასხვავებელ (დისტინქტურ, სოციალურ) ფუნქციას; ვნახოთ ოპოზიციები: **ა: ა** (ა ასო-ბგერა) – **ა** ‘*ჭვალი*’, **ანა** ‘*ანასავით*’ – **ანა** ‘*ჭვალივით*’, **ლა** ‘*საზარღული*’ – **ლა** ‘*სიზმა-*

რი'; ე: ე 'ეს' – ე 'ზრდილი', ვახე 'ცხოვრობ' – ვახე 'წავიდა'; ო: ბი-
ძი 'ბიძები' – ბიძა 'ბიძის', ლარკი 'ყურები' – ლარკა 'ვაკრიჭა'; ონ:
ბო 'ნიორი' – ბონ 'ნივრის', დო 'შერება' – დონ 'ცხენი'; ოფ: შუ
'თქვენ' (ნომინ.) – შოფ 'თქვენ' (დატ.) / 'თქვენი', ცუ 'ქუშელი' –
ცოფ 'ქუშლის'.

ნაზალობის თვალსაზრისით, ორად-ორ ოპოზიციურ ლექსი-
კურ სიდიდესაც კი შეუძლია წინადადების შედგენა: ას ცო იცნას
ჰე ქავნო 'მე არ ავიღე შენი წიგნი' – ჰა ჰა? 'მაშენი?'

ასეთი ბეგრები (არტიკულაცია) აქვს ქართულსაც, ოღონდ
ოღენ ფონეტიკური ღირებულებისა. შევადაროთ, მაგალითად, ა
ხმოვანი მიმყოლი ნ თანხმოვნითა და ამის მომდევნო ა, ე, ი, ო, უ
ხმოვნებით სიტყვებში: ანდამატი – ანათებს, ანთებული – ანებრი-
ვებს, დანდობილი – დანომრილი. ნაზალიზაციის თვალსაზრისით,
მარცხენა ლექსებში წარმოვთქვამთ (და გვესმის) მარჯვენა
ლექსებების ა-სგან განსხვავებულ ხმოვანს: მარჯვენა ა უფრო
ორალურია, მარცხენა – უფრო ნაზალური: [ანდამატი] – [ანათებს]
და ა. შ.

რამდენადმე ფონოლოგიზირებული ნაზალიზაცია უნდა
ჰქონდეს ბოლოკიდურ ა ხმოვანს გაფრთხილების გამომხატველ
ქართულენოვან ჰა შორისდებულში, ანდა კითხვის შემცველ ჰა?
ნაწილაკში (მნიშვნელობით 'ბატონო?') – [ჰა], თუკი მათ შევადა-
რებთ ქართულენოვანსავე ჰა [ჰა] ნაწილაკს მნიშვნელობით 'აი': ჰა
[ჰა], ნუ იღებ! ან ჰა [ჰა], რა მითხარი? – ჰა პირი და ჰა პურიო ან
ჰა ბურიო და ჰა მოედანი!

აღბათ, ქართულის ანალოგიური სურათი გვაქვს სხვა ენებ-
შიც, სადაც ნაზალური ხმოვნები, როგორც ასეთები, არ ფუნქცი-
ონირებენ, მაგრამ დისტრიბუცია ხელს უწყობს ნაზალიზაციას
(ფონეტიკურს).

ხდება თუ არა ხმოვნის ნაზალიზაცია თუშური ენის ინლაუტ-სა და ანლაუტში და, აქედან გამომდინარე, გრაფიკულად უნდა აღინიშნოს თუ არა ეს ნაზალობა აქ? ფრანგულ ენაში, მაგალითად, ხმოვნის ეს ნიშანი განსხვავებულად არ აღინიშნება არც ერთ პო-ზიციაში, იქ თვალი ხედავს, უბრალოდ, ხმოვანსა და მის მიმყოფლ ნ თანხმოვანს: **an, on** და ა. შ.

ამ საკითხებზე ფიქრისას წინ მოიწევს ერთი გვერდითი კითხვა: ანლაუტისეულად უნდა ჩავთვალოთ თუ აუსლაუტისეულად ნაზალიზაცია თუშურენოვან სიტყვებში ჰ ‘ჭვალი’, ჟ ‘ჩრდილი’, ზ ‘ინა’? (აქ არ უნდა დაგვაფიქვადეს, რომ, თუკი ანლაუტსა და ინლაუტში ვეძებთ ხმოვნის ნაზალიზაციას, ის უთუოდ იქნება ნ თანხმოვნის წინ).

ბაცბოლოგიაში მიღებული და დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, თითქოს ხმოვნის ნაზალიზაცია ხდებოდეს მხოლოდ აუსლაუტში. როცა ნაზალური ხმოვნების კერძო დანასიათებას იძლევა, ი. დეშერიევი შენიშნავს, რომ ჰ გვხვდება სიტყვის ბოლოში, აგრეთვე ერთმარტვლიანი სიტყვის თავში (Дешериев, 1953, 39), ხოლო ჟ (მისეულა გრაფიკით – **ჭ**), ზ, ყ სიტყვის თავში და შეგნით თითქმის არ გვხვდება (Дешериев, 1953, 39-40). ამ კუთხით ზ ხმოვანზე არაფერია თქმული, ხოლო ნაზალიზებული ჟ (ქართული გრაფიკით – ჟ) ი. დეშერიევთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, პირიქით, ხმოვანი ფონემების ზოგადი დანასიათებისას ავტორი წერს, რომ „ბაცბურ ენაში არ არის ცხვირისმიერი ჟ“ (Дешериев, 1953, 41), რაც ასევე ერთგვარ კორექტურას მოითხოვს. მართალია, ქართულ-თუშურ ე ხმოვანში ი. დეშერიევი ხედავს **e**-ს, მაგრამ მისსავე მიერ უფრო ადრე მოყვანილ მაგალითებში **вез** ‘მოვიდა’ (Дешериев, 1953, 38) ბოლოკიდური ჟ სინამდვილეში უსათუოდ ნაზალურია; გარდა ამისა, აქ უსათუოდ საჭიროა ხმოვანთა გამყოფი **ჟ**: ვეჟჟ ‘მოვიდა’. კიდევ მაგალითები ჩვენს

მხრიდან ასეთი ქ-სთვის: ვაყქ ‘*მონება*’, ხაყქ ‘*დაჯდა*’, დშიყქ ‘*დარჩა*’, ხოყქ ‘*ჩაეტია*’ და სხვ. ეს ყველაფერი ი. დეშერიევთან გადმოცემულია უ-ს შენარჩუნებით, მაგრამ რუსული ვ-თი.

თუ აქ თუშური ენის ნაზალიზებული ქ-ს აღმნიშვნელად შე-
მოვიღებთ ლათინურ-რუსულ **Ѣ** გრაფემას, მაშინ ‘*მოვიდა*’ სიტ-
ყვისთვისაც შეძოვა **Ѣ** (როგორც ზემოთ ვაჩვენეთ – ვეყქ): **вѣѣ**. მე-
ტიც: აქ ეს ბოლო კიდური ქ (**Ѣ**) არის ახლახან წარსული დროის მე-
ვი პირის მხ. რ. ფორმის დამოუკიდებელი მარჯვენებელი. გარდა
თქმულისა, კერძო დახასიათებისას ანლაუტის ნაზალური ჰ-სთვის
ი. დეშერიევი არ გვთავაზობს ნიმუშს (მაგალითებს), სამაგიეროდ
ხმოვანი ფონემების ზოგადი დახასიათებისას არის მოყვანილი ერ-
თადერთი მაგალითი – ჰ ‘*ჭვალი*’, მისეულა თარგმანში – ‘*რევა-
ტიზმი*’ (Дешериев, 1953, 39)⁹⁷.

რ. გაგუა, იზიარებს რა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „ნა-
ზალური ხმოვანი მხოლოდ სიტყვის ბოლოს წარმოიშვება ნ თან-
ხმოვნის დასუსტების გამო“, შენიშნავს, ეს აზრი წამოყენებული
აქვს ჯერ კიდევ ა. შიფერს, მაგრამ მასში ეჭვი შეაქვს ი. დეშერი-
ევსო (გაგუა, 1956, 476). ამ ეჭვის გასაბათილებლად **რ. გაგუა** იშ-
ველიებს თუშური ენის ნაცვალსახელებს, სადაც, მისი აზრით, გე-
ნიტივსა და დატივში იდენტური ხმოვნები არა გვაქვს და, მაშასა-
ღამე, არ ირღვევა ფონეტიკური კანონი, მორფოლოგია ხელს არ
უშლის რა მას (გაგუა, 1956, 476). თვალსაჩინოების სახით თუშური
ენის შუ ‘*თქვენ*’ (ნომინ.) ნაცვალსახელი გენიტივში წარმოდგენი-

⁹⁷ ეს სიტყვა დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონშიც ნათარგმნია, როგორც ‘*რევა-
ტიზმი*’, მაგრამ უფრო მართებულად უნდა მივიჩნიოთ შ. მიქელაძისეული თარ-
გმანი – ‘*ჭვალი*’ (მიქელაძე, 1978, 118), რადგან ‘*რევატიზმი*’ აღნიშნავს სნეულე-
ბას, ხოლო ‘*ჭვალი*’ – ამ სნეულების ერთ-ერთ სიმპტომს: შეიძლება ავადოთ ასე-
თი წინადადება – რევატიზმენ ანი ხეყქ ‘*რევატიზმმა ჭვლები იცის*’, რაც იმას
გვიდასტურებს, რომ ‘*ჭვალი*’ სხვა ლექსიკური (სემანტიკური) ღირებულებისაა,
‘*რევატიზმი*’ კი – სულ სხვა: პირველი მეორის შემადგენელი ნაწილია.

ლია შუქ ფორმით, ხოლო დატივიში – შუნ ფორმით. შექმდგომ მკვლევარი რამდენადმე ახლებურად უდგება ამ საკითხს და შენიშნავს უკვე, რომ ფაკულტატიურად ინლაუტშიც გვხვდება ნაზალიზებული ხმოვნები, ოღონდ არაფონემატიური დატვირთვით (Гаря, 1983, 183). თუმცა მეცნიერი მაინც თვლის, რომ „არააუსლაუტურ პიზიციაში (ე. ი. ანლაუტსა და ინლაუტში – ა. ბ.) ამოსავალი ნ ყოველთვის შენარჩუნებულია“ (Гаря, 1983, 182).

გრაფიკულად ეს ყოველივე თითქოს მართლაც ასეა.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ფრანგული ენის ნაზალური ხმოვნები გრაფიკულად (ვიზუალურად) არ განსხვავდებიან ორალური ხმოვნებისგან, განსაკუთრებით უცხო თვალისთვის (ვიდრე არ მოვანდენთ მათ ტრანსკრიბირებას). მაგრამ ფრანგულ ენაში ხმოვანთა ეს ხასიათი მრავალგზის არის აპრობირებული, როგორც ზეპირმეტყველებრივად, ისე აუარება წერილობით მასალაში – დოკუმენტურად. ხოლო როცა საკითხი ეხება უმწერლობო ენის ბეგრებს, ნაკლებად ხელსაყრელია გრაფიკულ მასალაზე (ტექსტებზე, ლექსიკონებზე და ა. შ.) დაყრდნობა: აქ ცოცხალი მეტყველების აკუსტიკაზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია და ცოცხალ არტიკულაციას უნდა შევუსაბამოთ სიტყვისა თუ ფორმის გრაფიკული (ვიზუალური) მხარე, ანუ ყოველი ფონემა აღვნიშნოთ ერთი საგანგებო გრაფემით, რაც აბსოლუტურად ადეკვატური მიდგომაა იბერიულ-კავკასიურ ენებთან.

შუქ *‘თქვენ’* (ნომინ.) ნაცვალსახელის გენიტივისა და დატივის ფორმებთან დაკავშირებით ზოგიერთი რამ სერიოზულ მსჯელობას მოითხოვს, მაგრამ რაკი საუბარი აქ მარტო აუსლაუტს არ ეხება, ეს საკითხიც სხვა დროისთვის შეიძლება შემოვიტოვოთ.

თითქმის ამით ამოიწურება ბაცბოლოგიაში მსჯელობა ანლაუტისა და ინლაუტის შესაძლებელ ნაზალიზაციაზე, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ არც ერთი დღევანდლამდელი წერილობითი

წყარო არ გვთავაზობს ანლაუტისა თუ ინლაუტის ნაზალობის გრაფიკულ აღნიშვნას.

რაც შეეხება ი. დეშერიევს, თუმცა მან თავის დროზე ეჭვი შეიტანა ა. შიფერისეულ მოსაზრებაში ამ საკითხთან დაკავშირებით, თავადაც თვლის, რომ თუშურ ენაში „თითქმის არ გვხვდება“ (Дешериев, 1953, 39-40-41) ანლაუტ-ინლაუტის ნაზალიზაცია.

რაც შეეხება ერთმარცვლიან ჰ, ჭ, ძ ტიპის სიტყვებს, უნდა ითქვას, რომ დღეს აქ მართლაც ერთდროულად გვაქვს საქმე ანლაუტთანაც, აუსლაუტთანაც. მაგრამ თუკი ლექსებში შემაჯავლი ასო-ბგერების თვლას ვიწყებთ ერთიდან და ეს ერთი იწყება მარცხნიდან, თუ არ დავივიწყებთ, რომ ჰ, ჭ, ძ ტიპის სიტყვები უსათუოდ მომდინარეობენ ისტორიული *ან, *ენ, *ინ ლექსებშიდან, სადაც ყოფილი აუსლაუტისეული ნ თანხმოვნის მიერ მოხდა ყოფილი ანლაუტისეული ა, ე, ი ორალური ხმოვნების გაცხვირის-მიერება, მაშინ ითვლება, რომ აქ საქმე გვაქვს ისტორიული ანლაუტის ნაზალიზაციასთან.

ჰ, ჭ, ძ მაგალითებს ანლაუტისთვის ჯერჯერობით შეიძლება დავუმატოთ კიდევ რამდენიმე (ამჯერად – არა ერთბგერიანი): ჰგლოზ ‘ანგელოზი’, ჰდ ‘იერი’, ჰდით ‘ანდედ, საეგებისოდ’, ჰკრასრ ‘ანკარა (სუფთა)/ანკარა გველი/შუშა’, ჰჰ ‘აჰ!’ (კენესის გამომხატველი შორისდებული; შდრ. ჰჰდარ ‘კენესა’ – ქადაგიძე, ..., 1984, 40), ჭდრო ‘ენდრო’, ჭძლასრ ‘ენძელა’ და სხვ. აქ ჩვენ გვინტერესებს არა სიტყვათსესხების ფაქტი, არამედ თვით ანლაუტისეული ნაზალიზაციის არსებობა თუშურ ენაში, რაშიც ქვემოთ კიდევ უფრო დავრწმუნდებით; გარდა ამისა, ქართული ენა სწორედ რომ მოკლებულია ხმოვანთა ნაზალიზაციას, როგორც ასეთს, და არც შეიძლება ვიფიქროთ მის – ნაზალიზაციის – სესხებაზე.

ინლაუტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი. დ. და ნ. ქადაგიძეებს 'გამპარსა', 'ორად', 'ერთად' (ვით.) სიტყვების თუშორენოვან ეკვივალენტებში, მაგალითად, ინლაუტის ცხვირის-სეული ნ კავებში აქვთ მოქცეული – ვაშინსსრ (ქადაგიძე, ..., 1984, 173), შინსლ (ქადაგიძე, ..., 1984, 197), ცჰანსლ (ქადაგიძე, ..., 1984, 747). ლექსიკონის ახსნა-განმარტებითი ნაწილის თანახმად, ასობგერის კავებში (ფრჩხილებში – ა. ბ.) მოთავსება კი იმის ნიშანია, რომ ის „დღეს აღარ (ყოველთვის აღარ – ა. ბ.) გამოითქმის“ (ქადაგიძე, ..., 1984, 12), რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ ამ დისტრიბუციაში 30-იანი წლების ნ თანხმოვანი უკვე აშკარად რედუცირებულ მდგომარეობაშია. ხოლო თუ ეს ასეა, პრეცედენტი (წინამავალი) ხმოვანი უკვე ნაზალიზებულად უნდა მივიჩნიოთ: ცჰანლ⁹⁸.

თუმცა დ. და ნ. ქადაგიძეებთან გვხვდება ინლაუტისეული ნაზალიზაცია კუთვნილი აღნიშვნითაც, მაგალითად, ჟემალქფარ 'ცხერის მადლმა!' (ქადაგიძე, ..., 1984, 506).

როცა ინტერფერენტულ პროცესებზე საუბრობს ხმოვნის ნაზალიზაციასთან დაკავშირებით აუსლაუტში, მ. მიქელაძე აუსლაუტის ვითარებას იხილავს „საერთოდ მარცვლის დასასრულის მიმართ მთლიანი სიტყვის ფარგლებში“ (მიქელაძე, 1978, 118) და შენიშნავს, რომ თუმცა „მკვლევარნი მისი ინლაუტის პოზიციის შესახებ არაფერს ამბობენ“ (მიქელაძე, 1978, 119), მაგრამ ნ თანხმოვნის დასუსტებას, ანუ ნ-ს წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციას „ადგილი აქვს არა მარტო სიტყვის ბოლოს, არამედ სიტყვის შიგნითაც, ნებისმიერი მარცვლის ექსპლოზიაში“ (მიქელაძე, 1978, 118-119). აქ, როგორც მკვლევარის მიერ მოხმობილი მაგალითებიდანაც ჩანს, თავისთავად იგულისხმება ანლაუტიც.

⁹⁸ აქ ნაზალიზებული ჯ ამავე დროს გრძელიც უნდა იყოს: ცჰანლ (ნაზალიზებული ხმოვნების კვანტიტეტზე საუბარი ცალკე გვექნება).

ფონოლოგიური (დისტინქტური) ნაზალიზაციის მატარებელ ენებში აუსლაუტის ნაზალიზაცია ისეთი ნაზალიზაციაა, რომელიც, ანლაუტ-ინლაუტის ნაზალიზაციისგან განსხვავებით, ამკარა აკუსტიკურ სახეს იძლევა და დამახასიათებელია მხოლოდ ამ ენებისთვის. მაგრამ ანლაუტსა და ინლაუტში ხმოვნის ფონეტიკური ნაზალიზაცია იოლად შეიძლება მოხდეს სხვა ნებისმიერ ენაშიც, რაც ფონოლოგიური ნაზალიზაციის მატარებელ ენას ფონეტიკურად დიდად აღარ (ველარ) განასხვავებს დანარჩენი ენებისგან. აქედან უნდა გამომდინარეობდეს ანლაუტ-ინლაუტის თუშურენოვანი ფონოლოგიური ნაზალიზაციის ამოუცნობლობა და მისი განუსხვავებლობა, ერთი მხრივ, თუშურივე ენის ანლაუტისა და ინლაუტის ფონეტიკური, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ენის ფონეტიკური ნაზალიზაციისგან ნებისმიერ პოზიციაში.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ხმოვანთა ნავარაუდევი თუ არდანახული ნაზალიზაციის საკითხი თუშური ენის ანლაუტსა და ინლაუტში, საკმარისია დავძებნოთ მინიმალური ფონოლოგიურად ოპოზიციური წყვილი სიტყვათმწარმოებლურსა თუ ფორმათმწარმოებლურ სფეროებში.

თუშურ ენაში გავრცელებულია, მაგალითად, ფორმათმწარმოებლური აფიქსი -სა ' ვით/-ებრ /-თანა/ვითარცა/როგორც ', რომელიც ერთობ აქტიურად და ფართოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა ბრუნვასთან (ქადაგიძე, ..., 1984, 528): ნეკ 'დანა' - ნეკსა 'დანასავით', ნეკეკ 'დანამ/დანით' - ნეკეკსა 'დანისებრ', ნეკელ 'დანად' - ნეკელსა 'ვითარცა დანად' და ა. შ.

ჩვეულებრივ, თუშური ენის დატივის ნიშანია **VN**, გენტივისაკი - ნაზალიზებული ხმოვანი - **V̄**. 'დანა' სიტყვის შემთხვევაში დატივში გვაქვს -ენ, გენტივში კი -ქ: ნეკენ 'დანას' - ნეკქ 'დანის'. ამ ფორმებისთვის -სა აფიქსის მითავსების შემთხვევაში წარმოდგენილი ბრუნვების ფლექსიები არ კარგავენ არც ორალობას,

არც ნაზალობას, რაც ხელშეუხებელს ხდის უკვე არსებულ ფონე-მატურ ობოზიციას; ანუ დატივი და გენიტივი რჩებიან ობოზიციურ ურთიერთმიმართებაში, გენიტივის ნაზალიზებული -ჟ მახვენებელი კი აღმოჩნდება ინლაუტში. ეს უტყუარი ფაქტი გვარწმუნებს ხმოვნის ინლაუტისეული ნაზალობის არსებობაში და გვაიძულებს აქაც შესაბამისი გრაფიკული ნიშნით (დიაკრიტიკით) აღვნიშნოთ ეს მოვლენა, რათა არ მოხდეს სემანტიკური აღრევა: ნეკენ 'დანას' > ნეკენსა 'ვითარცა დანას', ნეკჟ 'დანის' > ნეკჟსა 'ვითარცა დანის'; აქედან – ობოზიციური წყვილი: ნეკენსა 'ვითარცა დანას' – ნეკჟსა 'ვითარცა დანის'.

ყოველივე თქმული გვათამამებს თუშურ ენაში ვცნოთ ანლაუტისა და ინლაუტის ნაზალიზაცია, როგორც ფონოლოგიურ, ისე გრაფიკულ დონეებზე.

სხვა მაგალითები ფორმათწარმოებიდან: ცომენსა 'ვითარცა ცომის' – ცომჟსა 'ვითარცა ცომის', ნანენსა 'ვითარცა დედას' – ნანჟსა 'ვითარცა დედის', კუდრანენსა 'ვითარცა კორიანეს' – კუდრანჟსა 'ვითარცა კორიანესი' (ანთრ.). აქ – როგორც ანლაუტის, ისე ინლაუტის შემთხვევაში – საკითხს არკვევს მინიმალური ფონოლოგიური წყვილი, ამასთანავე ინლაუტის შემთხვევაში დამატებით ვლინდება პრინციპიც: სიტყვათ- თუ ფორმათწარმოების პროცესში ყოფილი არაინლაუტისეული (აუსლაუტისეული) ნაზალიზაცია თავის ამ ფონოლოგიურ ნიშანს უსათუოდ ინარჩუნებს ინლაუტშიც (თუ საქმე არა გვაქვს ნაზალიზაციის კანონზომიერლიკვიდაციასთან, რაც სულ სხვა საუბრის თემაა, მაგ.: დაცუჟ 'მოკლე' – დაცუნაჟ 'სწორედ მოკლე' ან დაცუხოჟ 'მოკლით', მაწრსა 'ტკბილი' – მაწრინაჟ 'სწორედ ტკბილი' ან მაწრიხოზ 'ტკბილს' და სხვ.).

მოკლედ, ამა თუ იმ თანხმოვნის წინ (და, მაშასადამე, ანლაუტსა და ინლაუტშიც) ესა თუ ის უკვე ნაზალიზებული ხმოვანი

(რომელიც „მექვიდრეა“ **V** ბგერათა კომპლექსისა) ინარჩუნებს თავის ნაზალობას, თუშცა, ამავე დროს, ორალური **V** კომპლექსიც ინარჩუნებს თავის ორალობას, თუ მას ეს ნიშანი დაკარგული არა აქვს განაზალიზების შედეგად.

მაგალითები სიტყვათწარმოებიდან: ვენსა 'ვითარცა ჩვენ' (დატ.) – ვქსა 'ვითარცა ღვინო', სონსა 'ვითარცა სონა' – სოქსა 'ვითარცა მე' (დატ.), ანსა 'ანსავით' – ჰსა 'ჭვალავით', ენსა 'ენით / ვითარცა N' – ქსა 'ჩრდილოვით' და ა. შ.

კიდევ უფრო ფართოა ნაზალიზაციის დიაპაზონი ფონემატური ოპონიციის გარეთ, განსაკუთრებით – ინლაუტში. მაგალითად: ბუგალ 'მტვერი', გბგ 'ჯავღავი', გბგალ 'ეყვანი', დავდლა-თერ/დავდანათერ 'ხოცავდა ხოლმე/კარგავდა ხოლმე' (< დავდლ 'დასახოცად/დასაკარგად'), დაცუჭ 'მთლად მოკლე/მართლა მოკლე', დატუჭ 'კარგა დიდი/მართლა დიდი', ვიქსა 'მშობა' (< ვიქ სო 'მშობა მე') და სხვ.

ანლაუტ-ინლაუტის ნაზალიზაციის მაგალითები სინტაქსურ მწყობრში: ვენსა (< ვანსა) ჰანხ ხეც-ვეთე ვაბ ქოთხოლ? 'ჩვენსავით ვინ იცის ჩვენი ვაჭირვება?' – ვქსა ღაზქ ცომ დამც მათხე 'აკი ღვინოსავით (ღვინოსთანა) კარგი არაფერია ქვეყანაზე', ანსა ჰალოქ მქ და? 'ანსავით თვინიერი ვინ არის?' – ჰსა უნახ დალ სო-გო აი ესე 'ჭვალავით რაღაცა მიღვეს (მაწუხებს) აი აქ', ნომერ ენსა (N-სა) ხეცლა 'ნომერი ენივით (N-ვით) ისმება (იწერება)'. ამ და უამრავი სხვა მაგალითებიდან გამომდინარე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თუშურ ენაში ხმოვანთა ნაზალიზაცია ინლაუტში ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც აუსლაუტში. ორივე შემთხვევაში იგი ოპონიციურია და ატარებს სოციალურ დატვირთვას.

რაც შეეხება საკუთრივ ანლაუტს, როგორც დავინახეთ, აქ ხმოვანთა ნაზალიზაცია არის არა დაუშვებელი, არამედ – შედარებით იშვიათი.

ყოველივე თქმული მხოლოდ იმაში გვარწმუნებს, რომ თუ-შურენოვანი მეტყველებისთვის დამახასიათებელია როგორც აუსლაუტის, ისე ინლაუტისა და ანლაუტის ნაზალიზაცია.

კიდევ რამდენიმე შენიშვნა ნაზალიზაციასთან დაკავშირებით თუშურ ენაში.

გარდა იმისა, რომ თუშური ენის ნაზალური ხმოვნები იოლად ექვემდებარებიან სინკოპეს: გაგა (< გაგან) ‘კვერცხი’ – გაგანი (< გაგანი) ‘კვერცხები’, კაწკო (< კაწკონ) ‘პატარა’ – კაწკნეც (< კაწკონეც) ‘ჯერ კიდევ პატარა’, დათქ (< დათენ) ‘ერბო’ – დათნი (< დათენი) ‘ერბოები’, ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული თუშურ ენაში შეიძლება შეიცავდეს ორ ან ორზე მეტ ნაზალურ ხმოვანს: ა ‘ჭვალი’ – ანა ‘ჭვალივით’, ე ‘ჩრდილი’ – ენა ‘ჩრდილივით’, ვქ ‘ღვინო’ – ვქნა ‘ღვინოსავით’, სანგრქ ‘ეზოდან’ – სანგრქნა ‘ვითარცა ეზოდან’, სო ‘მე’ (დატ.) – სონა ‘ჩემსავით’, ღს ‘სიზმარი’ – ღსნა ‘სიზმარივით’, შა ‘ცური’ – შანა ‘ცურივით’.

ნაზალიზებული მარცვლების ამგვარი ზედიზედ მისვლის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოკლუზიისმაგვარ არტიკულაციურ შეფერხებებს ყოველი ნაზალური ხმოვნის მიმყოფ: ჩულჩიჩსა [ჩულჩიჩსა], ღარჭიჩსა [ღარჭიჩსა] და ა. შ. ეს შედეგი ჩანს თუშური ენისთვის არცთუ დამახასიათებელი ნჩ, ნს დისტრიბუციისა, რომელიც ფორმათწარმოების წყალობით ჩნდება და კ. ჭრელაშვილის დისტრიბუციული ანალიზით დადასტურებული არც არის (ჭრელაშვილი, 1975).

ბოლოს, არ შეიძლება საინტერესოდ არ მოგვეჩვენოს ისიც, რომ ხმოვანთა ზედიზედ მისვლის შემთხვევაში ნაზალურმა ხმოვანმა თავისი ნაზალობა შეიძლება „გადასდოს“ მასთან დამეზობ-

ლებულ წინამავალ ორალურ ხმოვანსაც, ოღონდ ასეთი ნაზალიზაცია ატარებს ოდენ ფონეტიკურ ხასიათს; შდრ. საჩ [საჩ] 'ჩემი საკუთარი' – საი იხ ჰქ? [საიიხჰქ] 'სული მივდის (რამე საჭმელზე)?', დიქ [დჩქ] 'ქნა' – დიერ [დიერ] 'ქნა' (შორეული წარს.), შუქ [შუქ] 'თქვენი / იმათი საკუთარი' – შუიშ [შუიშ] 'თავად იმათ' (ერგ.).

თუშური ენის ხმოვანთა ნაზალიზაციის ზოგიერთი ნიშანთვისების გაცნობის შედეგად, კიდევ ერთხელ შეიძლება დავუბრუნდეთ მათი წარმომავლობის საკითხს.

საუბრობს რა ნაზალიზებული ხმოვნების წარმომავლობაზე და იზიარებს რა ა. შიფერის აზრს იმის შესახებ, რომ „ცხვირისმიერი ხმოვნების წინამორბედი ოდესღაც იყო ნ თანხმოვანი, რომელიც შემდგომ შთანთქა წინამავალმა ხმოვანმა“ (Дешериев, 1953, 43), ი. დეშერიევი ამავე დროს შენიშნავს: „თუმცა ეს აზრი მთლად სწორი არ არის. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ცხვირისმიერი ხმოვნები გაჩნდნენ არა მხოლოდ ხმოვნის მიერ ნ თანხმოვნის შთანთქმის გზით, არამედ აგრეთვე მთელი მარცვლის რედუქციის შედეგად, რომელიც შედეგობდა ნ თანხმოვნისა და ბოლოკიდური ხმოვნისგან; და რომ ამავე დროს მოხდა ამ ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა“ (Дешериев, 1953, 45).

ესე იგი, ა. შიფერის მიხედვით, ადგილი აქვს მოვლენას $V_6 > \tilde{V}$, ხოლო ი. დეშერიევის მიხედვით – მოვლენას $V_1 V_2 > V_1$.

თავისი აზრის დასადასტურებლად ი. დეშერიევი იშველიებს ქართული ენიდან თუშურ ენაში შემოსულ სიტყვებს: საბანი > საბა, ლიმონი > ლიმო, საპონი > საპო და ა. შ. (Дешериев, 1953, 45). აქ მართლაც რჩება ვიზუალური შთაბეჭდილება, თითქოს თუშური ენის სინქრონიაში ადგილი ჰქონდეს ორ ფაქტს: ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვას (ანუ მთელი მარცვლის რედუქციას) და ხმოვნის ნაზალიზაციას.

აქ სინქრონიულად ხდება თუშურ ენაში დიაქრონიულად მომხდარი მოვლენების რეალიზაცია: დღეს, საუკუნის ხასიათიდან გამომდინარე, ენა უკვე სარგებლობს მოდელით $V_1 \text{ и } V_2 > \tilde{V}_1$.

ნაზალიზებული ხმოვნები, ისევე როგორც ხმოვნები საერთოდ, თუშურ ენაში ასრულებენ როგორც ფორმათმწარმოებლურ, ისე სიტყვათმწარმოებლურ ფუნქციებს – როგორც ძირეულ მორფემებში, ისე აფიქსების შემადგენლობაში. ამის შესახებ არაერთხელ თქმულა სამეცნიერო ლიტერატურაში (Гагуа, 1983; Дешериев, 1953 და სხვ.). ცალკე პუბლიკაციაში (ბართიშვილი, 2003), თუშურენოვანი გვარების პირვანდელი სახეების სავარაუდო ნუსხასთან ერთად (ოფიციალურ ფორმებზე მითითებით), მონახული გვაქვს ნაზალიზებული ხმოვნების როლი თუშურენოვან ანთროპონიმიში, სადაც ისინი გამოდიან ერთადერთი მწარმოებლის სახით, რაზეც, ვფიქრობთ, ჯერ არსად თქმულა მანამდე.

აქ საჭიროდ ვთვლით ამ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალის დაზუსტებასა და ჩასწორებას.

ბუნებრივი და ცხადია, რომ ორენოვან წოვათუშთა გვარები ორი ფორმით არის (იქნებოდა) წარმოდგენილი: ერთი გახლავთ წერილობითი და, მაშასადამე, ქართულენოვანი (ოფიციალური, სადოკუმენტაციო) ფორმა, ხოლო მეორე – საზეპირმეტყველო და, მაშასადამე, თუშურენოვანი (არაოფიციალური, არასადოკუმენტაციო). მაგრამ, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტიც, რომ თუშურენოვანი -ჭ და -ჭ ანთროპონიმიული ფორმანტები⁹⁹, რომლებიც თავიანთი მორფოლოგიური დატვირთვით წარმოადგენენ მრ. რ. გენიტივის ფლექსიებს, ატარებენ რა გვარისეულ კუთ-

⁹⁹ პარალელურ რეჟიმში მოქმედებდნენ სხვა ფორმებიც, როლებმაც ვერ ჰპოვეს საბოლოო ადგილი თუშურენოვან გვარწარმოებაში; მაგ., ბაძრთლობი 'ბართიშვილები', ქადლობი/ქადგური 'ქადავიძეები' და სხვ. (მხ. რიცხვში იყო ფორმები ბაძრთქვერ 'ბართიშვილი', იტუაქვერ 'იტოშვილი' და სხვ.)

ვნილებას, ამავე დროს შეესატყვისებიან ქართულ ფორმანტებს (მორფემებს) ‘-იან- (-იანთ-ი)’, ‘-ან- (-ანთ-ი)’: ნათესაობითის ფორმა ცნობილი საწარმოო საშუალებაა ანთროპონიმიაში.

საკუთრივ ‘-იან-’ მაწარმოებელთან დაკავშირებით ა. შანიძე შენიშნავს, რომ მისი „ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესგან“ (შანიძე, 1976, 123). მისივე მოსაზრებით, „-იან-სუფიქსი ამჟამად გამოყენებულია გვარის ერთ-ერთ დაბლოებად დასავლეთ საქართველოში...“ (შანიძე, 1976, 124). კიდევ უფრო საინტერესოა და აქ წარმოდგენილი მსჯელობისთვის სასარგებლოა ა. შანიძის ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „ძველად ასეთი (‘-იან-’ – ა. ბ.) დაბლოების გვარები აღმოხ. საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ აქ ეს -იან- შემდეგ შეუცვლია -ძე-სა და -შვილ-ს“ (შანიძე, 1976, 124).

როცა ვლაპარაკობთ თუშურენოვანი გვარების ქართულენოვან (ოფიციალურ), ანდა რუსულენოვან (აგრეთვე ოფიციალურ) გაფორმებაზე, ანუ ჩაწერაზე, თავისთავად უნდა ვიგულისხმობთ ამ გვარებში თუშურენოვანი თავისებურებების დაკარგვის ბუნებრივი პერსპექტივა. ასეც მოხდა, რითაც ჩატარდა ისეთივე პროცედურა, თუკი, მაგალითად, დღევანდელ სვანურენოვან აბდელანი, ქალდანი, ონიანი (და სხვ.) ანდა ქართულენოვან რუსთაველი, ბაგრატიონი, ორბელიანი (და სხვ.) გვარებს როდისღაც და რატომღაც აგრეთვე ჩავწერდით ასე: * აბდელაშვილი, * ქალდაშვილი, * ონიშვილი, * რუსთაველი, * ბაგრატიშვილი, * ორბელიშვილი ან * აბდელაძე, * ქალაძე, * რუსთავეძე და ა. შ. (თუმცა ზოგადად რატომ უნდა გამოვრიცხოთ ამ სახის ანთროპონიმიაც).

ასეთია თუშურენოვანი გვარების ენობრივი (რეალური) ძირი, საფუძველიც და მდგომარეობაც წინამდებარე გამოკვლევის კონტექსტში. კავკასიოლოგთა | საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებს 1991 წლის შემოდგომაზე შემთხვევით არ გამოუტანი-


ათ განსახილველად თუ საპაექროდ არა მხოლოდ იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიის, არამედ თუნდაც სიმპოზიუმში მონაწილე კავკასიელ მეცნიერთა გვარების სწორად ჩაწერის საკითხიც. „სხვა ვისი, – შენიშნავს ამ ინფორმაციის ავტორი, – თუ არა ენათმეცნიერთა საკითხავია ამ გვარების ეთნიკური საფუძვლების კვლევა და აღდგენა...“ (გოგოჭური, 1991, 3;).

თუკი ამ პრობლემის ერთ-ერთ შემაღვენელ ნაწილად თუშურენოვან გვარებსაც ჩავთვლიდით, მათი პირვანდელი სახით აღდგენის შემთხვევაში თუშურენოვანი გვარი პრინციპულად კვლავ ქართულად გაფორმდებოდა იმ სასურველი განსხვავებით, რომ გვიანდელი ფორმანტების ნაცვლად აღდგებოდა ძველქართულ-თუშურენოვანი -ჭ და -ჭ (ქართული გრაფიკით -ან და -ინ) ფორმანტები¹⁰⁰.

თუშურენოვანი გვარების გადმოცემის შემთხვევაში ძირძველ თუშურენოვან -ან (> -ჭ) და -ინ (> -ჭ) ფორმანტებზე თანამედროვე სალიტერატურო ქართული -ი ბრუნვის ნიშნის დამატებით (ვიღებთ: -ან-ი, -ინ-ი), ანუ ერთი და იმავე გვარის ერთი (ბართიშვილი) ფორმის მეორე (ბერთლანი) ფორმაზე გადაყვანის შემთხვევაში სულ მცირეოდნადაა იკარგება თუშურენოვანიც და ძველქართულენოვანიც.

ბოლოს, ნაზალიზაციის თვალსაზრისით, თუშური ენის ხმოვანთა სამკუთხედი იღებს ასეთ სახეს:

¹⁰⁰ იქნებ ანგარიშგასაწევი იყოს კერძო საუბრებში მოწოდებული მოსაზრება, მაგალითად, -შვილ- მაწარმოებლის აღმოსავლური (‘ოლი’ ტიპის) კალკირებული წარმომავლობის შესახებ.



§ 9. გრძელი ნაზალიზებული ხმოვნები თუშურ ენაში

განვიხილოთ ნახევრადგრძელი ნაზალიზებული ხმოვნები. ახლა ვისაუბრებთ გრძელ ნაზალიზებულ ხმოვნებზე თუშურ ენაში. ამ ხმოვნებსაც, ისევე როგორც თუშური ენის ბგერათა სისტემას საერთოდ, შემდგომი კვლევა სჭირდება.

როგორც თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, აქ განსახილველი ხმოვნები ერთდროულად არის გრძელიც და ნაზალიზებულიც.

როჭო 'როჭო' ლექსემის მრ. რ. გენტივისთვის დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონში წარმოდგენილია ფორმა ბოლოკიდური მახვილიანი ნაზალური ხმოვნით – როჭო' (ქადაგიძე, ..., 1984, 515). ეს მხოლოდ ერთი მაგალითია ლექსიკონში არსებული ანალოგიური მასალისა.

როგორც გრძელ ხმოვნებზე საუბრიდან გამომდინარეობს და როგორც მომავალშიც დაგვარწმუნებს მათზე კიდევ უფრო დეტალური მსჯელობა, აქ უნდა გვეჩინდეს ბოლოკიდური გრძელი ნაზალიზებული ხმოვანი, მახვილი კი ადგილზე (პირველ მარცხალზე) რჩება: გალ'ჭ 'გუნდა' – გალ'ჭ 'არყების(ა)', ტკმე'ლჭ

‘მტერის(ა)’ – ტკმე’ლჭ ‘მტერიანი’, ხწ’კლქ ‘ხინკლის(ა)’ – ხწ’კლჭ ‘ხინკლიანი’, ქლდ’რჭქ ‘ქონდრის(ა)’ – ქლდ’რჭჭ ‘ქონდრიანი’.

აქ წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის ავტორთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ, როცა ამ ბოლო კიდურ ხმოვანს მახვილით აფორმებდნენ, ისინი უდავოდ გრძნობდნენ მის აკუსტიკურ განსხვავებულობას ამ პოზიციაში. მაგრამ, თუშური ენის ხმოვანთა სისტემის კვლევის მაშინდელი (XX ს. 30-იანი წლების) დონიდან გამომდინარე, მათ არ შეეძლოთ და არც მოეთხოვებოდათ სხვა კვალიფიკაცია მიეცათ ამ აკუსტიკური განსხვავებისთვის, გარდა მახვილიანობისა.

ჩვენი დაკვირვებით, თუშურ ენაში სამი გრძელი ნაზალიზებული ხმოვანია შემჩნეული და გამოვლენილი – ჰ, ჭ, ლ (ā, ē, ō), რომელთა არსებობაც აქ განპირობებულია ხმოვანთა კვანტიტეტისა და ნაზალიზაციის თანაარსებობით. შღრ (გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გამოვიყენოთ მახვილი): ჰ: თან ‘თან’ (ზმნისართი, რომელიც აღნიშნავს ვინმესთან/რამესთან ერთად ყოფნას, თანაარსებობას; მაგ.: თან დაჰჰ ‘თან წაიღო’) – თან ‘თან’ (ზმნისართი, რომელიც აღნიშნავს რამდენიმე მოვლენის ან მოქმედების ერთდროულობას; მაგ.: თან მაღვ მაყრ, თან ამბუღ მეფცრ ‘თან პურსა ჭამს, თან ამბავს ყვება’); თან’თან ‘თანდათან’ – თან’თან ‘ჭიანჭველების(ა)’; ო’სან ‘მასსათვის/ვითარცა ის’ – ო’სან ‘ოსების(ა)’. ჭ: მე’ლნქ ‘მელნის(ა)’ – მე’ლნჭ ‘მელნიანი’; შურ’რჭქ ‘რძის(ა)’ – შურ’რჭჭ ‘რძიანი’; და’თნქ ‘ერბოს(ი)’ – და’თნჭ ‘ერბოიანი’. ლ: ყა’ფჩილ ‘მონუცის(ა)’ – ყა’ფჩილ ‘მონუცების(ა)’; წე’გჩილ ‘წითლის(ა)’ – წე’გჩილ ‘წითლების(ა)’; თუხილ ‘მარილის(ა)’ – თუხილ ‘მარილების(ა)’.

ანუ, გენეტიკაში მხ. რიცხვის ფორმას ძირითადად ნახევრადგრძელი ნაზალიზებული ხმოვანი აწარმოებს, მრ. რიცხვისას კი – გძელი ნაზალიზებული.

მაგალითები ცოცხალი მეტყველებიდან: თათა ჰალო-ჰალო ლამზარლაძე ე შიქ ძუძაკ 'თანდათან უფრო და უფრო ლამაზდება ავი ეს თქვენი ვოკონა' – ესე მიჩახ თათა ბე ბეწ ხილან 'აქ სადღაც ჭიანჭველების ბუდე უნდა იყოს'; კნათი ქე ლარკან ბახქ ლაჟმრ 'ბიჭები ცხერის გასაპარსად წავიდნენ მთაში' – სე ფემკრეგო ლარკან ლაწარ და 'ხემ ბიჭუნას ყურების დაავადება აქვს'; დათნქ მახაკ უხ ბალო? 'ნეტა ერბოს ფასი რა არის?' – დათნქ ცუ ბეწერ სო 'ერბოიანი ქუძელი მინდოდა'.

კვანტიტატიური ფონოლოგიის გაუთვალისწინებლობა თუ-შური ენის ნაზალიზებული ხმოვნების შიგნით, რაც მახვილთანაც ასოცირდება ხოლმე, თვით ავტორიტეტულ ავტორებთანაც კი უსათუოდ იწვევს და კვლავაც გამოიწვევს ატან 'პირის ღებინება, ადვილი' (ჭრელაშვილი, 1975, 467) ანდა ხა'ლან 'ხაქრობა' და ხა'ლან 'საწყენი, სამწუხარო' (ჭრელაშვილი, 1975, 498) ტიპის სემანტიკურ გაუგებრობებს. სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს ოპოზიციურ სიტუაციებთან სწორედ კვანტიტატიური ნიშნით, მახვილს კი ამ შემთხვევაში განმასხვავებელი ფუნქცია არ აკისრია: ა'ტან 'პირის ღებინება' – ა'ტან 'ადვილი', ხა'ლან 'ხაქრობა' – ხა'ლან 'საწყენი, სამწუხარო'.

ახლა, როცა გავეცანით გრძელ ნაზალურ ხმოვნებსაც, უნდა შევნიშნოთ, რომ, აკადემიური სიზუსტის თვალსაზრისით, თუშურენოვანი გვარების ნაზალური ანთროპონიმული -წ ფორმანტი ამავე დროს გრძელიცაა: -წ. როგორც მაგალითებში ვნახეთ, სწორედ ამ სახით ვადმოსცემს ეს ფონემა მრ. რ. გენტივის შინაარსს (ზოგიერთი სხვაენოვანი ანთროპონიმული სიდიდეების მსგავსად): ბაძრთლან 'ბართიანთი/ბართიშვილების(ა)', ლავზურან 'ლავაზიანთი/ლავაზიძეების(ა)' (მდრ. დალან 'ღმერთების', თათა 'ჭიანჭველების').

მრ. რ. გენიტივის შინაარსს ატარებს თუშურენოვანი ანთროპონიმიული -ჭ ფორმანტიც (შდრ. ჟაბოჭ/ჟაბოჭ 'ძროხების', ფჰარჩა/ფჰარჩა 'ძაღვების'), ოღონდ, -ჭ-სგან განსხვავებით, ის ნახევრადგრძელია, რის გამოც არ გამოჩნდა გრძელ ნაზალიზებულ ხმოვნებს შორის.

თუ -ჭ ფორმანტიან თუშურენოვან გვარს ჩავსვამთ კითხვით კონსტრუქციაში, ეს ფორმანტი, მომდევნო ხმოვნის გაჩენის გამო, კარგავს რა ნაზალობას, ინარჩუნებს ხანგრძლივობას, რის შედეგადაც თუშურენოვანი გვარი თავისი ჟღერადობით კიდევ უფრო ახლოს მიდის დღევანდელ სვანურ ანთროპონიმიასთან.

როგორც ვხედავთ, აქ ნაზალიზაციის დაკარგვა სინტაქსური საჭიროებით არის გამოწვეული. რაც შეეხება ამ ანთროპონიმიული ფორმანტის ხანგრძლივობას, ის, ოპოზიციურ დაპირისპირებას არ იწვევს რა აქ, იოლად და უმტკივნეულოდ თმობს პოზიციებს: ნელ-ნელა კარგავს მანამდე კუთვნილ ნიშნებს. ასე რომ, თუშურენოვან გვარებში -ჭ ფორმანტის ხანგრძლივობა დღეს ატარებს ოდენ ფონეტიკურ ხასიათს, რის გამოც პირობითად მას შეიძლება ოდენ ვარიანტის კვალითიკაციალა მივაკუთვნოთ.

აქ იმის დამატებლა შეიძლება, რომ აღნიშნული დეტალი კიდევ ერთი სიგნალია თუშური ენის შესაძლო ნათესაობისა ქართველურ ენებთან, კერძოდ – სვანურთან. ყოველ შემთხვევაში, სახეზეა ტიპოლოგიური ადეკვატი.


თუშური ენა, ერთი მხრივ, ჯერ იმდენად შეუსწავლელია თუნდაც დესკრიფციულ დონეზე, ხოლო მეორე მხრივ, იმდენად უხვია თავისი არსით, რომ ყოველ ნაბიჯზე და ყოველ ჟამს შუძლია უზრუნველგვეყოს სულ ახალი და ახალი მასალით: წინამდებარე მონოგრაფიის კორექტირებისას აქ გამოვლინდა კიდევ ერთი გრძელი ნაზალიზებული ხმოვანი ფონემა, რომლისთვისაც ვეღარ მოესწრო ადეკვატური სატრანსკრიფციო გრაფემის შემუშავება,

თუმცა ჩვენ ის სამუშაო ვერსიის სახით გაავითვალისწინეთ, როგორც ხმოვანთა ტაბულაში (შესაბამისად – ტრანსკრიფციაში), ისე ხმოვანთა საერთო რაოდენობაში. ეს არის წინა რიგისა და მაღალი აწეულობის გრძელი ნაზალიზებული ო^ნ.

თუკი გაავითვალისწინებთ ინლაუტისეული ხმოვნის ნაზალიზაციის სტატუსს, მაშინ ლექსებიდან დინა/დეინა ‘ცოც-ხალი’ (ქადაგიძე, ..., 1984, 197) და დინა ‘[სულ] მთელი’ ირიბ ბრუნვებში ვიღებთ მინიმალურ ოპოზიციურ წყვილს გრძელი ნაზალიზებული ო^ნ ხმოვნის გამოსავლენად¹⁰¹: დინა (ადმინე) ‘ცოც-ხალმა ადამიანმა’ – დინა (დენი) ‘მთელი დღე/მთელი დღის განმავლობაში’.

ამასთანავე, დ. და ნ. ქადაგიძეებს ვაკაბულისთვის ლურჯაყრ ‘ლორჯა’ შემოთავაზებული აქვთ ირიბი ბრუნვის სინჩრ ფორმა – სინჩრ დონეხ ლურჯაყრ ალრ ‘ლორჯე ცენსე ლურჯას იტყვიან’ (ქადაგიძე, ..., 1984, 391), რაც, ინლაუტისეული ნაზალიზაციის აღნიშვნის აუცილებლობიდან გამომდინარე, იღებს სახეს: სინჩრ დონეხ ლურჯაყრ ალრ.

ბოლოს, თუშური ენის გრძელი ნაზალიზებული ხმოვნები, რომელთა რაოდენობაც განისაზღვრა რიცხვით 4, სამკუთხედზე იღებენ ასეთ სახეს:




¹⁰¹ შესიტყვების მომდევნო წევრის წინ წინამავალი წევრის ბოლოკიდური ირაციონალური ხმოვანი იკარგება.

§ 10. თუშური ენის თავისუფალი ხმოვნები


აქ უნდა განვასხვაოთ: საკუთრივ თავისუფალი ხმოვნები, თავისუფალი ნაზალიზებული ხმოვნები და თავისუფალი გრძელი ხმოვანი თუშურ ენაში.

საკუთრივ თავისუფალი ხმოვნებია: ა, ი, ო, უ (a, i, o, u). თავისუფალი ნაზალიზებული ხმოვნებია: ა̃, ი̃ (ã, ã). თავისუფალი გრძელი ხმოვანია: ა̄ (ā). ეს ხმოვნები ლექსიკურ წყვილებში მონაწილეობენ, როგორც მნიშვნელობის მადიფერენცირებელი მინიმალური სეგმენტები და სამკუთხედებზე ასე გამოიყურებიან:


საკუთრივ თავისუფალი ხმოვნები:



თავისუფალი ნაზალიზებული ხმოვნები:



თავისუფალი გრძელი ხმოვანი:



აქ წარმოვადგენთ თუშური ენის იმ ლექსიკურ სიდიდეებს, რომლებიც ჩვენ მიერაა მოპოვებული და რომლებშიც, ჩვენი აზრით, ზოგჯერ თუნდაც პარალელურ რეჟიმში თავკიდურ გ-სთან, ანდა მ-თან (მაგრამ არავითარ შემთხვევაში – რომელიმე ჩვეულებრივ ხმოვანთან) ერთად ფუნქციონირებენ თავისუფალი ხმოვნები (ჩვენ ამ პარალელურ ფუნქციონირებასაც და სხვა – სინონიმურ – ეკვივალენტებსაც შეძლებისდაგვარად ავსახავთ ჩვენს მონაცემებში).

აქვე უნდა ვიგულისხმოთ ზოგიერთი ამ სიტყვის მონაწილეობა ფორმათწარმოებაში; მაგალითად: უმ ‘რამე’ – უმში ‘რამეები’, უნახ ‘რალაცა’ – უნახში ‘რალაცები’ და ა. შ. ამასთანავე ნუ გამოგრიცხავთ ლექსემათა მოცემული ნუსხის გაფართოებას, თუკი კარგად ჩავეძიებთ ცოცხალ მეტყველებას: შეიძლება ამჯერად პასიურ მდგომარეობაში მყოფმა მენსიერებამ მომავალში კიდევ რამდენიმე ლექსიკური სიდიდე მოგვაწოდოს, ამჯერად კი ამით ამოვწუროთ ამ ტიპის სიტყვათა რიგი.

დაბოლოს, თუმცა კიდევ უამრავი სიტყვა იწყება თუშურ ენაში ამა თუ იმ ხმოვანზე, მაგრამ ჩვენ სწორედ და მხოლოდ ამ სიტყვებსა თუ ფორმებზე გამოვთქვამთ მოსაზრებას ანლაუტის ხმოვანთა თავისუფალი შემართვის თაობაზე, რაც ამ მოსაზრების მტკიცებულებად ვერ გამოდგება, მაგრამ მის სასარგებლოდ უთუოდ მეტყველებს.

პირველად გამოვეყოფთ რა დამოუკიდებელ ჯგუფად თუშური ენის თავისუფალ ხმოვნებს, გვინდა კიდევ ერთხელ გაფუსვათ ხაზი უახლესი ფონეტიკის ამოცანებს სამეტყველო ბგერათა ბუნების აღწერის სფეროში: „ზოგადი ფონეტიკის ამოცანაა იმ სამეტყველო ბგერათა მაქსიმალურად ზუსტი, დეტალური აღწერა, რომლებიც ადამიანის სამეტყველო ორგანოებით წარმოიქმნება; ამ ორგანოებს შეუძლია უამრავი ბგერის წარმოქმნა, რომელთა

ფიქსირება ჩამწერზეა დამოკიდებული. ამდენად, მეტყველების უწყვეტ ნაკადში ამა თუ იმ ენის ბგერითი ერთეულების გამოყოფა, ანუ მეტყველების სეგმენტიცია, რეალურად არსებული ვითარების ერთგვარ გამარტივებას, სინამდვილესთან გარკვეულ მიახლოებას გულისხმობს“ (გამყრელიძე, ..., 2003, 59).

თუშური ენის უხ?/ვუხ? ტიპის სიდიდეების შემთხვევაში, ისევე როგორც ამ ენის სხვა რთულ უბნებზე, ჩამწერთა (მკვლევართა) მხრიდან დღემდე ვერ მოხერხდა თავკიდურ ხმოვანთა თავისუფალი შეპართვის სწორად აღქმა და გაცნობიერება, ვერ მოხერხდა სამეტყველო ბგერის შესწავლის ფიზიოლოგიური (არტიკულაციური), ფიზიკური (აკუსტიკური) და პერცეფციული (აღქმითი, ანუ სმენითი) სფეროების კონცენტრირება: არტიკულაციური, იკარგება რა აკუსტიკურში, ვერ აღწევს პერცეფციამდე. ამ თვალსაზრისით ვთვლით, რომ პერცეფციულ დონეზე თავად თუშური ენის მატარებლები არანაირ დისკომფორტს არ განიცდიან, თუკი მოისმენენ, ანდა თავადაც წარმოთქვამენ სიტყვებსა თუ ფორმებს თავკიდური თავისუფალი ხმოვნებით. ამასაც ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ ანლაუტის თავისუფალხმოვნაანი სიტყვები თუშურენოვანი ლექსიკის სრულყოფილებიან წევრებს წარმოადგენენ.

§ 11. თუშური ენის ხმოვნები ‘ღა’ კავშირისა და ნაწილაკების როლში

ქართული ‘ღა’ კავშირის (ასევე ‘-ც’, ‘კიდეც’ ნაწილაკების) მნიშვნელობით თუშურ ენაში გვევლინებიან ცალკეული ხმოვნები, რომლებიც, ჩვეულებრივ, განლაგდებიან აუსლაუტში (გაგუა,

1960, 331-337; Дешериев, 1953, 212). ამგვარ კავშირს ა. შიფნერმა უწოდა ემფატიკური (Schiefner, 1859).

დაკვირვება გაჩვენებს და გვარწმუნებს, რომ თუშური ენის ხმოვნები, ჯერ ერთი, ასეთი კავშირის როლში გამოდიან არა მხოლოდ აუსლაუტში, მეორე, ისინი უსათუოდ ერთი საფეხურით უფრო გრძელნი არიან, ვიდრე ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი) ხმოვნები, რაც კარგად ჩანს ფონოლოგიური დაპირისპირებიდან (თვალსაზრისთების წარმოგადგინოთ მახვილიც): ა: და 'არის' – და 'არის და', სა 'სული' – სა 'სული და; სულიც'¹⁰². ე: დე 'დღე' – დე 'დღე და; დღეც', ქე 'ცხვარი' (კრები) – ქე 'ცხვარი და; ცხვარიც'. ი: ხე'ცი? 'იციის?' – ხე'ცი 'ჯდება და'. ი: ვა'ლო 'მოდიხარ' – ვა'ლო 'მოდიხარ და', თე'ლო 'აძლეე' – თე'ლო 'აძლეე და'.

ვიდრე ცოცხალი მეტყველებიდან მოვიყვანდეთ მაგალითებს, უსათუოდ უნდა ითქვას, რომ თუშური ენის 'და' კავშირი არა მარტო ემფატიკურია, არამედ ინტენსიურიცაა – გამეორებადი: თუშურენოვან მეტყველებას ახასიათებს არა მხოლოდ ამ კავშირიანი ფორმები, არამედ – კავშირიანი თხრობა. 'და' ფუნქციის მატარებელი გრძელი ხმოვნები, ენაცვლებიან რა ერთმანეთს, რეფრენის სახით თავიდან ბოლომდე გასდევენ მთელ მეტყველებას (ტექსტს), რითაც ძალიან გვაგონებენ „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციების და-ს: ა-სთვის: ფრიდონა, ავთანდილა, ლუხუმა ლაზქა კნათი ბა ე პამლარგო 'ფრიდონი [და] ავთანდილი და ლუხუმი [და] მართლა კარგი ბიჭები ჰყავთ ამ პაპიანებს'. ე-სთვის: სუან ვალრასე, წმ ადრქვა ბშორწ ცუდ ლაქბალო სო მინახრქა! 'ხემთვის მოვდიოდი და უცებ მკელი არ გამომივარდა საიდანღაც!'; ი-სთვის: ე ფეშკარ მაქ ხეცა, დახ ბა ე მუთაქ იშტუქ ჰეგბადონო 'ეს ბაღლი ზედ ჯდება და იმიტომა ეს მუთაქა ასეთი მოთელილი'. ი-სთვის:

¹⁰² როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ხმოვნები სახელებში '-ც' ნაწილაკის როლსაც ასრულებენ.

ჰალო, აჰო ლილნას ბუსცჰაჰ ‘ზე/ვით/ და ქვე/ვით/ [და] ვიარე მთე-
ლი ლამე’. ჟ-სთვის: ოც ე კნათი ჩუ ხაბჟუ, ბაკალნ ჯალოთ ვაჲ
‘ახლა ეს ბიჭები დასხდებიან და ლუკმას [და] შევჭამთ’.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხმოვნები ამ სახით სახელებ-
ში ასრულებენ აგრეთვე ‘-ც’ ნაწილაკის როლსაც.

თუმცა თვით კვანტიტეტის სავალალო მდგომარეობის გამო
დღეს ყოველთვის როდილა ჩანს ეს საინტერესო ნიშანი. ასე რომ,
თუშურ ენაში ‘და’ კავშირის მისიას წარმატებით ასრულებენ
გრძელი ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები.

იქ, სადაც ემთატიკური კავშირის ადგილია სიტყვაში, მაგ-
რამ ხმოვანი უამისოდაც უკვე გრძელია, მაშინ კავშირის როლის
გამოსახატავად ხმოვნის ხანგრძლივობა კიდევ ერთი საფეხურით
მატულობს. შდრ.¹⁰³ დაწლა ‘იზრდება’ – დაწლან ‘იზრდები’ –
დაწლან ‘იზრდება და’, ვახ-ვაცლა ‘გრძლად ლაპარაკობს’ – ვახ-
ვაცლან ‘გრძლად ლაპარაკობ’ – ვახ-ვაცლან ‘გრძლად ლაპარაკობს
და’. ფორმათწარმოების წყალობით თუშური ენის ‘და’ კავშირი
თავისუფლად შეიძლება აღმოჩნდეს ინლაუტშიც. შდრ. ვაწლან
‘იზრდება და’ – ვაწლანერ ‘იზრდებოდა და’, თელჟ ‘ჯობია და’ –
თელჟერ ‘ჯობდა და’, ხეცნ ‘ჯდება და’ – ხეცნერ ‘ჯდებოდა და’.

იმას, თუ ხმნის რომელ პირზეა საუბარი, ზოგჯერ წყვეტს
ის, თუ დამეზობლებული ხმოვნებიდან რომელს დაეკისრება ‘და’
კავშირის ფუნქცია – სწორედ კვანტიტატიური ნიშნით აღჭურვის
გზით: ღობანლ ‘წავიდეს’ – ღობანელ ‘წადი რა და’ – ღობანელ ‘წა-
ვიდეს რა და’.

იქ, სადაც ვერ ხერხდება ამ დანიშნულებით ხმოვნის
გაგრძელება, ‘და’ კავშირის სემანტიზაციაში, დიახ, ერთვება

¹⁰³ ეს მაგალითები უკვე გამოვიყენეთ ზეგრძელი ხმოვნების დახასიათებისას, მაგ-
რამ თვალსაჩინოებისთვის თავს უფლებას ვაძლევთ, კიდევ ერთხელ წარმოვად-
გინოთ – ახლა უკვე რამდენადმე განსხვავებული რაკურსით.

მანვილი, რომელიც ჩვენთვის არცთუ გასაგები წესრიგით სიტყვა-ფორმის წინა ხაზიდან გადაადგილდება უკანა ხაზში, ბოლოკიდურ მარცვალზე (თუმცა არა ბოლოკიდურ ხმოვანზე): **ღეჭქ** ‘მოვიდა’ – **ღეხქ** ‘მოვიდა და’; **ე’ცტ** ‘აილო/იყიდა’ – **ეც’ინ** ‘აილო/იყიდა და’; **ხეთ** ‘იპოვა’ – **ხეთ’ინ** ‘იპოვა და’.

ჩვეულებრივი ხმოვნებიდან ა ხმოვანი ფართოდ გამოდის ემთავაკური (ემოციური) ხმოვნის როლშიც, განსაკუთრებით ხალხური პოეზიის ძეგლებში – არა მხოლოდ სალექსო სტრიქონის და არა მხოლოდ სიტყვის ბოლოში, რაც არ უნდა შეგვეშალოს ‘და’ კავშირის სემანტიკაში. ა ხმოვანი ამ როლში ჯერ კიდევ ა. შიფნერმა შენიშნა (Schiefner, 1859).

კლასიკურულაში (და არა მარტო კლასიკურულაში) განთავსებული ემთავაკური ხმოვანი, ქმნის რა ტკბილხმოვანებას, ბევრჯერ რითმისა და რიტმის საყრდენია. და საერთოდ: რომელი თუშურენოვანი ლექსიც არ უნდა ავიღოთ ხელში, უსათუოდ დამშვენებული იქნება ემთავაკური ხმოვნებით¹⁰⁴, რომლებიც არცთუ იშვიათად განვითარებულნი არიან ირაციონალური (=უმარცვლო) ხმოვნებისაგან.

ემთავაკურ ხმოვანს თუშურ ენაში ადგილი აქვს მიჩენილი არა მხოლოდ სიტყვის ბოლოში: **მოწოდალინე** სიტყვაში ორი ემთავაკური ხმოვანია – **წ**-ს მიმყოფი **ო** და ბოლოკიდური **ე**. სხვა მაგალითები ინლაუტისეული ემთავაკური ხმოვნით:

დალქა უხუ ვარალო

მოჭ-კნათ დაკდახოდინო (მაკალათია, 1933, 104).

‘ნეტა რა იყო (ეს) ღმერთი (ისეთი),

ქალ-ვაჟისთვის ერთურთის ნდომა რომ ჩაუღვია’¹⁰⁵.

¹⁰⁴ გამორჩეული საუბრის თემა მარიამ ბუქურაულის თუშურენოვანი პოეზია, სადაც თითქმის არ არის გამოყენებული ემთავაკური ხმოვანი.

¹⁰⁵ თარგმანი ნაწილობრივ რედაქტირებულია ჩვენ მიერ.

წოვათუშებს საერთოდაც ახასიათებთ ემთატიკური მეტყვე-
ლება, რაც სულ ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ჩვეულებრივი მოვლენა
იყო უხუცესი თაობის წარმომადგენლებში. მეტიც: მეტყველების ამ
საინტერესო ფენომენს ვაწყდებით წოვათუშთა ქართულენოვან
მეტყველებაშიც. ამის მაგალითად გამოდგება ერთი წოვათუშის
მიერ სამახსოვროდ დატოვებული ქართულენოვანი წარწერაც, რო-
მელიც, როგორც მისი თვითმხილველი და ჩამწერი ბრძანებს, ნა-
სოფლარ წაროს გორანზე, სალოცავის ნიშის ქვების კედლებზეა
ამოკაწრული: **წელატის¹⁰⁶ დღესა წელსა ჩყვ ასეთი მშრლობა**
იყო რომა ჩყენი იარაღები ზედა გვესხა იგრე ვთამაშობდით¹⁰⁷
უნაბდოები (ცოცანიძე, 1990, 80).

ანალიზი ცხადყოფს სულ ცოტა ორ რეალობას. ერთი მხრივ,
'და' კავშირის მსგავსად ინლაუტში განთავსებული ემთატიკური
ხმოვანი გვხვდება მხოლოდ პოეტურ მეტყველებაში, რაც იმას
ნიშნავს, რომ ის აქ გამოყენებულია რიტმის გასაწყობადაც. მეო-
რე მხრივ, ამგვარი ხმოვანი არ გვხვდება იმ სიტყვებში, რომ-
ლებსაც ბოლოკიდურში არ გააჩნიათ კიდევ ერთი ემთატიკური
ხმოვანი, ანუ არა გვაქვს **დოცოდინაჰ, დოწოდალინ, დაკდახოდინ,**
მალოვალინ, ქოთოვიენ, დაყოდალინ ფორმები. ეს იმაზე მიგვა-
ნიშნებს, რომ ის აქ ემსახურება როგორც პოეტურ კეთილხმოვა-
ნებას, ისე პოეტური ექსპრესიის გაძლიერებას (უსლ, 1989, 154).

ამ ანალიზის საფუძველზე, თ. უთურგაიძისგან განსხვავე-
ბით, შეიძლება ითქვას: ჯერ ერთი, **დოცოდინაჰ** 'მოიყვანე' ფორმაში
ო არის არა გრძელი, არამედ ნახევრადგრძელი; მეორე, **დოცოდი-**
ნაჰ ფორმის ინლაუტის ც-ს მიმყოფი ო უნდა ასრულებდეს არა
კოპულას, არამედ ინლაუტისეული ემთატიკური ხმოვნის ფუნქცი-
ას, ანუ **დოცოდინაჰ** ფორმაში (რომელსაც აკლია აუსლაუტისეუ-

¹⁰⁶ წელატის – 'ახალი წლის' < წელტი 'ახალი წელი' (ზედმიწ. 'ახალი წლები').

¹⁰⁷ ვთამაშობდით – აქ: 'ვცეკვავდით'.

ლი ემთავრებული ხმოვანი) ც-ს მიმყოფ ვხედავთ თუშურენოვანი პოეტური მეტყველებისთვის აგრერიგად დამახასიათებელ ემთავრებული ო ხმოვანს.

‘ღა’ კავშირის როლის შემსრულებელი ო ხმოვნის გამოსაკვეთად ოპონიციური წყვილების საშუალებით ის შეიძლება დაფუძნისპიროთ ნახევრადგრძელ ო ხმოვანს, რაც დაგვარწმუნებს მათ არტიკულაციურსა თუ აკუსტიკურ განსხვავებულობაშიც კვანტიტეტის მხრივ: ას სო ვეცნას, ო მან დაჭ ვახჭ ‘*მე მოვედი, ის კი წავიდა*’ – ას სო ვეცნას, ო მან დაჭან ვახჭ ‘*მე მოვდაქვედი, ის კი წადაქვიდა*’.

‘ღა’ კავშირის თუშურენოვანი ეკვივალენტი, რომელიც მუდმივად მიერთებულია სიტყვასთან, დამოუკიდებელი ლექსემის სახით ერთადერთ შემთხვევაში განთავსდება ცალკე და ამავე დროს წინადადების თავში. ეს ხდება ამა თუ იმ მიზეზით შეწყვეტილი საუბრის გაგრძელებისას, ანდა ფიქრის გაგრძელებისას ხმამალა. ამ შემთხვევაში ‘ღა’ კავშირის მნიშვნელობით გვევლინება ე ხმოვნის თავისუფალი გრძელი ე (\bar{E})კორელატი, რომელიც ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ, და ამისი პარალელური ფორმა, რომელიც წარმოადგენს იმავე ე ხმოვნის მოტირებულ მევერსიას. ამათგან, ჩვენი დაკვირვებით, მე ჭარბობს მანდილოსნების მეტყველებაში.

აქ ჩნდება კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ მეორეულ, ვარიანტულ ფორმად სწორედ მე და არა ე?

წარმონაქმნს წარმოადგენს, ჩვენი აზრით, თავკიდური მთუშური ენის მე ‘ღა’ კავშირის ანლაუტიში. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის არსებითი გარემოება, რომ იქ, სადაც ამ კავშირის ადგილია (სიტყვის აუსლაუტი), არც ერთ შემთხვევაში არ გვხვდება მე, არამედ ყოველთვის გვხვდება მხოლოდ -ე, რომელსაც, წინადადების თავში გადაადგილებულს, უბრალოდ, ვეღარც

დავწერდით ამ სახით – დეფისით. თუმცა დიდად არც ამგვარი ორ-
 თოვრათვია ავნებდა საქმეს, რომ არა ხმოვნის შემართვის ფონეტი-
 კური ფაქტორი: აქ ის უნდა იყოს თავისუფალშემართვიანი, რად-
 გან წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ ძლიერი შემართვის შემთხვევა-
 ში, უნდა ვიგულისხმოთ [’ჟ] და, აქედან გამომდინარე, ის უკვე
 აღარ იქნება ‘და’ კავშირი. როგორც უკვე ვთქვით, რწყმულ მეტ-
 ყველებაში ‘და’ კავშირის ეკვივალენტი თავისუფალშემართვიანია
 და გამოიყურება ასე¹⁰⁸: ვაღრაჟ [ვ[~]აღრ[~]ას[~]ჟ] ‘მოვდიოდი
 და’. თუკი ამა თუ იმ გრამატიკული ფუნქციის შესასრულებინებ-
 ლად დაგვჭირდებოდა ამ (ანდა ნებისმიერი სხვა) სიტყვის აუსლა-
 უტისეული ხმოვანი (თავის შემართვიანად) და, თუ მას ამ მიზნით
 აქედან ამოვიღებდით წინადადების თავში წასაღებად, ექნებოდა
 სწორედ ასეთი სახე: [~]ჟ. ასეც მომხდარა: [~]ჟ ‘და’¹⁰⁹; მაგალითი:
 ... [~]ჟ წჭაღრქჟა ბჭორწ ცუღ ლაქბაღ ლა მიჩახრქა! ‘... და
 უცებ მკელი არ გამოძივარდა საიდანღაც!’

სწორედ ამგვარ ხმოვნებს ვუწოდებთ თავისუფალი და აღ-
 ვნიშნით [~]ნიშნით. ასე აღვნიშნოთ აქაც: [~]ჟ, ანუ – კომპიუტერ-
 რული დამუშავების შემდეგ – [~]ჟ. რწყმულად (ბმულად) არტიკუ-
 ლირებულ სიდიდეებს მუსიკაშიც და ლინგვისტიკაშიც აღნიშნა-
 ვენ სწორედ ამ ნიშნით, თუმცა წერილობით მეტყველებაში – ნი-
 შანსაც, ანუ დეფისს ზოგჯერ (მაგალითად, ხმოვნის წინ გან-
 თავსებულს) იგივე ლირებულება აქვს, რაც მუსიკაში აქვს [~]სიმ-
 ბოლოს. აქედან გამომდინარე, ვაღრაჟ ‘მოვდიოდი და’ და სხვა

¹⁰⁸ ვიზუალური სიმარტივისთვის არტიკულაციური ბმულობა აღვნიშნოთ
 მხოლოდ ხმოვნის წინ.

¹⁰⁹ რუსული **Б-ც**, ‘და’ კავშირის თუშურენოვან ეკვივალენტში წარმოდგენილი
 დ-ც უსათუოდ ატარებენ სტილისტურ ელფერს (რუსულში – ირონიის, ხოლო
 თუშურ ენაში – მანდილოსანთა მეტყველებისთვის დამახასიათებელ ნიშანს), რა-
 საც არაფერი აქვს საერთო ბგერის შემართვასთან, რომელსაც ვიკვლევთ.

ამგვარ ფორმებში შემაგალი ნებისმიერი ხმოვანი ტრანსკრიფციაში შეგვიძლია დავწეროთ ასეც: ვაღრასჲ. ნათქვამიდან გამომდინარე, თუკი ვიტყვით, რომ თუშურ ენაში 'ღა' კავშირის როლს ასრულებს ჲ ხმოვანი, უთუოდ უნდა წარმოვიდგინოთ ცუ, რადგან, როგორც ხმოვანთა შემართვაზე საუბრისას შევთანხმდით, ჲ ხმოვანი თავის თავში გულისხმობს არტიკულაციას [ცუ].

თუშური ენის მატარებლებს 'ღა' კავშირი, ცალკეც დაიშვებოდა რა თურმე მისი ფუნქციონირება, შეეძლოთ უკანა ხაზიდან წინა ხაზში გადაესროლოთ:

მენუხა ვაგუხ ბერ ვანორიც, ოჯუს ადღორ ცჰამ ფეშკრეგ, განა ნახგრა ლავლეთამნ... ჲ ო ფეშკარ ნახგრა ლავინა.

რომელიც უფროსი ბერი ყოფილიყო, იმას ეთქვა ერთი ბაღლისთვის, აბა, ხალხს უხმეთო. და იმ ბაღლს ხალხისთვის (ღა) დაუძახა' (მიქელაძე, ..., 2011, 63-64^{4.5}).

თუშურკილოვან მედ 'ღა' კავშირში (ღლონტი, 984, 424) უთუოდ უნდა ვივარაუდოთ თუშურენოვანი მე 'ღა' და ქართულენოვანი -ღ (< და) სიდიდეების სინთეზი. თუშური ენის გავლენით უნდა განვითარებულიყო 'ღა' კავშირის 'ღ' ელემენტის შეზრდაც ლექსემასთან, რადგან სწორედ ამ ენისგან თუ შეეძლო მას გადაეღო ეს ტექნოლოგია, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, მეტყველებრივ იშვიათობას წარმოადგენს. რამდენიმე მაგალითი თუშური კილოდან: შეთესი-ღ' თორღვაჲს ამბავე (უთურგაძე, 1960, 76), სამ ძმისი-ღ' ერთ ღის ზლაპარჲ (იქვე, 81).

'ღა' კავშირის ფუნქციების სარეალიზაციოდ ზოგჯერ ზმნის ამა თუ იმ პირიან ფორმაში ხდება მახვილის გადაადგილება, რასაც შეიძლება მოჰყვეს ბოლოკიდური ხმოვნის ნაზლობის ლიკვიდაცია და, მაშასადამე, მანამდე „ცხვირში წასული“ ნ თანხმოვნის რეგენერაცია: ა'ტარვალჲ 'ვაჩუძღა' – ატარვალი'ნ 'ვაჩუძღა ღა', ვე'ცქ 'მოვიღა' – ვეცქ'ნ 'მოვიღა ღა'. გვაქვს ამ ფორმების პარალელური

– აღრეული – ფორმებიც ბოლოკიდური ირაციონალური ხმოვნე-
ბით: ატარვალი'ნე 'გაჩუქდა და', ვეცე'ნე 'მოვიდა და'.


თუშური ენის გრძელი ხმოვნები ასრულებენ აგრეთვე '-ც'
ნაწილაკის ფუნქციას: ვაშმ ვა სოგო, აშმ 'ძმაცა მყავს, დაც';
ნაჩნ ღაზქ ძალქ სო, დათენა 'ყველიც კარგი გამოძვიდა, ერ-
ბოც'.


ეს ხმოვნები ასრულებენ აგრეთვე 'თუ/თუკი' კავშირის
ფუნქციასაც: დაჭოჩი 'მოგაქვს' – დაჭოჭ 'თუკი მოაქვს', ლეტ-
დოჩი 'უმატებ' – ლეტდოჭ 'თუკი უმატებს'.

§ 12. მოკლედ თუშური ენის მხანგარხმოვნის შესახებ

ცალკე უნდა გამოვეყოთ მ (j) სონანტი, რომელიც ყოველ ნა-
ბიჯზე გვხვდება თუშურ ენაში და რომლის ანალოგიური ბგერაც
ჭქონდა ძველ ქართულს: მამამ. დღეს ის გვაქვს ქართული ენის დი-
ალექტებში: დედამ, მამამ (ახვლედიანი, 1949, 61).

თუკი მხ. და მრ. რიცხვებს მივიჩნევთ მორფოლოგიური ფუნ-
ქციების სარეალიზაციო არეალებად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-
სთან, დ-სთან და გ-სთან ერთად, მ ბგერა აქტიურად მონაწილე-
ობს თუშური ენის კლასის გრამატიკულ პარადიგმაში, რომელიც
ყველაზე უკეთ, ჩვენი აზრით, წარმოადგინა ნ. ანდლულაძემ:



IV. ღ  ა (ანდლოლაძე, 1953, 27)

მაგალითები:

მხ. რ.	მრ. რ.
I. კნათ ვსა 'ვაეი არის'	– კნათი ბსა 'ვაეები არიან'
II. ფსტუფნო მსა 'ქალი არის'	– ფსტი მსა 'ქალები არიან'
გაგა მსა 'კვერცხი არის'	– გაგნი მსა 'კვერცხები არის'
III. დეთ ბსა 'ძროხა არის'	– ჟაბო ბსა 'ძროხები არიან'
ვოო ბსა 'ვაშლი არის'	– ვოო მსა 'ვაშლები არის'
ბჟარკ ბსა 'თვალი არის'	– ბჟარკი მსა 'თვალები არის'
IV. ბაღერ მსა 'ბავშვი არის'	– ბაღერი მსა 'ბავშვები არიან'
ტოტ მსა 'ხელი არის'	– ტოტი მსა 'ხელები არის'

აქ უნდა აღინიშნოს ერთი, ჩვენი აზრით, არცთუ უმნიშვნელო რამ. კლასის კატეგორია გრამატიკულ დახასიათებას აძლევს არსებით სახელს, თუმცა, როგორც ცნობილია და როგორც ამ მაგალითებიდანაც გამოჩნდა ნაწილობრივ, მისი მაჩვენებლები, რომლებსაც ბ, ვ, ღ, მ ბგერებით გამოხატული და აქ წარმოდგენილი პრეფიქსების სახით ვიცნობთ, ჩართულია (განთავსებულია) არა თვით არსებით სახელში, არამედ „უმთავრესად ზმნაში და ზედსართავ სახელებში“ (ჭრელაშვილი, 2002, 204). ანუ თითოეული არსებითი სახელი უსათუოდ მიეკუთვნება ამა თუ იმ გრამატიკულ კლასს, მაგრამ ამ მოცემულობის რეალიზაცია ხდება არა გრამატიკულ, არამედ სემანტიკურ დონეზე, რაც იმასაც ნიშნავს, რომ სახელის კლასის მაჩვენებელი უნდა ვეძებოთ არა თვით სახელში, არამედ მასთან სინტაქსურ კავშირში შესულ სხვა მეტყველების ნაწილში.

რაკი საქმე ეხება ცალკეული ბგერებით გამოხატულსა (და, მაშასადამე, ფონეტიკურ) სიდიდეებს, შევნიშნავთ, რომ ჩვენი მხრიდან შემჩნეულია კლასის მაჩვენებლთა ფუნქციონირება თვით

მიმართულებაში, მაგრამ თუშურ ენაში ამ სახით, მასდარებთან პარალელურად, წარმოდგენილია არსებითებიც, რაც ამ ეჭვს რამდენადმე აბათილებს: **ღუსტარ** ‘გაზომვა’ (ქადაგიძე, ..., 1984, 575) – **ღუსტარ** ‘საზომი’ (ქადაგიძე, ..., 1984, 216), **ქაკარ** ‘არევა (აირევა), შერევა, არეგ-დარევა’ – **ქაკარ** ‘სარევი’ (ქადაგიძე, ..., 1984, 603).

მეტიც, გვაქვს –**არ**-იანი ისეთი სუბსტანტივებიც, რომელთათვისაც ვერ იძებნება მასდარებთან სიანლოვის კვალი: **ბაწარ** ‘მატყლის ძაფი’ (ქადაგიძე, ..., 1984, 84), **მუსტარ** ‘მანახი’ (ქადაგიძე, ..., 1984, 457-458), **ქაზდარ** ‘მიწა’ (ქადაგიძე, ..., 1984, 603).

გვაქვს აგრეთვე ‘სივიწროვე/სიწვრილე’, ‘სიმსუქნე’, ‘სიმსუბუქე’, ‘სიხმელოე’ და ა. შ. ტიპის არსებითების ისეთი თუშურენოვანი ეკვივალენტები, რომლებშიც –**არ** მაწარმოებელი საერთოდ არ ჩანს, მაგრამ, რომლებიც, ჩვენი აზრით, შეიცავენ კლასის მაჩვენებლებს:

ღუტყოლ/ვუტყოლ/ბუტყოლ/ღუტყოლ ‘სივიწროვე/სიწვრილე’,

ღარსტოლ/ვარსტოლ/ბარსტოლ/ღარსტოლ ‘სიმსუქნე’.

ეს კლასის მაჩვენებლები თავიანთ სტა-ტუსს აცხადებენ სინტაქსურ კავშირში; **მდრ. ჰე მაშან ღუტყოლ თაჟგუ** ‘შენს დას სიწვრილე უხდება’ – **სე ვაშან ვუტყოლ ცო თაჟგუ** ‘ჩემს ძმას სიწვრილე არ უხდება’. ბოლოს, მხოლოდითი რიცხვისთვის ვიღებთ კლასის მაჩვენებლებს: **ვ, ღ, ბ, დ.** აქ მრ. რიცხვის მაჩვენებლები იმ მიზეზით არა გვაქვს, რომ ეს სახელები მიეკუთვნებიან აბსტრაქტულ სექტორს.

ეს მეტყველებრივი რეალობა, უდავოდ, შეიცავს დამატებით, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას თუშური ენის კლას-კატეგორიასთან მიმართებაში. თუმცა დაბეჯითებით დაფურთავთ,

რომ ამ თემას სერიოზული დამუშავება სჭირდება, მონაპოვარი კი იძლევა სტიმულს კვლავაც გაგრძელებას ძიება ამ მიმართულებით.

ვუბრუნდებით საკუთრივ დ თანხმოვანს და შევნიშნავთ, რომ მისი ეკვივალენტია რუსული ენის **й^{III}: мой** 'ჩემი', **делай** 'აკეთე!', **я** – [йа] 'მე', **юг** – [йу]г 'სამხრეთი', **даю** – да[йу] 'ვაძლევ' (ახვლედიანი, 1966, 65).

ქართული ენის დ ბგერა მიხნეულია **ნახევარხმოვნად** (ახვლედიანი, 1966, 65). **გ. ახვლედიანის** მიხედვით (XX ს. 60–იან წწ.), **ნახევარხმოვნად** ითვლება ეს ბგერა რუსულსა და ფრანგულ ენებშიც (ახვლედიანი, 1966, 65), თუმცა მალევე (XX ს. 70–იან წწ.) რუსისტიკამ მას საბოლოოდ მიანიჭა **თანხმოვნის** კვალიფიკაცია (Ожегов, 1970, 253; Розенталь, ..., 1976, 436–437).

სწორედ ამ ბგერასთან მიმართებაში შემთხვევით უსვამს ხაზს **გ. ახვლედიანი** იმას, რომ, თუმცა ისინი დღემდე დატოვებულია მეცნიერულ ფონეტიკაში, მაგრამ ტერმინები **ხმოვანი**, **თანხმოვანი**, **ნახევარხმოვანი** არაა ზუსტი (ახვლედიანი, 1966, 65–66). და ეს უზუსტობა ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს დ-ს მაგალითზე.

აქ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვადგინოთ თუშური ენის დ-ის კვალიფიკაციის დინამიკა.

1953 წ.: **ი. დეშერიევს** ის შეტანილი აქვს თანხმოვანთა სისტემაში (Дешериев, 1953).

1962 წ.: **დ. იმნაიშვილთან** ხმოვანთა შორის დ არ არის (იმნაიშვილი, 1962).

1975 წ.: **კ. ჭრელაშვილის** კაპიტალურ ნაშრომში, რომელიც თუშური ენის (და სხვა ნახური ენების) თანხმოვნებს ეთმობა (ჭრელაშვილი, 1975), თუშური ენისთვის თანხმოვნებს შორის არ არის გათვალისწინებული დ.

¹¹¹ რუსულ ტრანსკრიფციაში მას ზოგჯერ გადმოსცემენ **j**-ს სახით.

1979 წ.: არნ. ჩიქობავას არც ხმოვნებში აქვს ის აღნიშნული, არც თანხმოვნებში (ჩიქობავა, 1979).

1983 წ.: რ. გაგუას ის ხმოვანთა სამკუთხედზე განუთავსებია (გაგუა, 1983).

2002 წ.: კ. ჭრელაშვილის ასევე კაპიტალურ (ქართულენოვან) ნაშრომში თანხმოვნებს შორის და კვლავაც გათვალისწინებული არ არის (ჭრელაშვილი, 2002).

2007 წ.: კ. ჭრელაშვილის 2002 წლის ნაშრომის რუსულ ვერსიაში და კვლავაც არ არის თანხმოვნებს შორის, თუმცა მონოგრაფიაში შეტანილია გარკვეული კორექტივები (Чрелашвили, 2007).

როგორც ვხედავთ, თუშური ენის და ბგერის ბედი მისი განდასების თვალსაზრისით დღემდე გაურკვეველია. ეს ის შემთხვევაა, როცა, თვით ბგერის ბუნებიდან გამომდინარე, ძნელდება მისი განდასება, რაზეც უკვე ითქვა ხმოვნებისა და თანხმოვნების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ამის გამო ამ ბგერისთვის, რომელსაც თავისი სინშირით თითქმის პირველი ადგილი უკავია თუშურენოვან მეტყველებაში, ადგილი არ ჩანს არც ხმოვანთა, არც თანხმოვანთა შორის.

რაც შეეხება უ ბგერას, რომელსაც, ზოგჯერ უ-ს სახით გადმოსცემენ რა, ასევე ნახევარხმოვნებს მიაკუთვნებენ და რომელიც თუშური (ასევე ქართული) ენის შემთხვევაში **ჰ** (w) დიფთონგის შემადგენლობაში შედის, ჩვენ მას განვითავსებთ ხმოვნებს შორის, ვთვლით რა, რომ, დასგან განსხვავებით, მის არტიკულაციაში არ აღინიშნება ენის ზურგის მაქსიმალური აწეულობა – სწორედ ისევე, როგორც დანარჩენი მოკლე – ა, ე, ო – ხმოვნების წარმოებაში: ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფონეტიკური (ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური) მომენტი – ენის ზურგის მაქსიმალური აწეულობა და ამით სერიოზული საწარმოთქმო წინააღობის არსებობა –

გვიშლის ხელს მ-ის მიკუთვნებაში ხმოვნებისთვის (თუნდაც მოკლეებისთვის). თუმცა, არცთუ დამაკმაყოფილებლად ვთვლით რა ჩვენსავე ამ არგუმენტებს, მ-ის მიჩნევა ნახევარხმოვნად სრულიად პირობითი აქტია და მეტი არა: ჩვენ უნდა დაველოდოთ უფრო ხელსაყრელ საკვლევადიებო პირობებს მისი სტატუსის ზუსტი განსაზღვრისთვის, თუკი ეს ოდესმე იქნება.

დავაზუსტოთ: სამეტყველო წინალობათა თვალსაზრისით, ამ ბგერებს შორის არსებითი სხვაობაა: მ-ს სერიოზული წინალობა ექმნება სასისკენ მაქსიმალურად აზიდული ენის ზურგის სახით, რის მსგავსსაც სრულებით არა აქვს ადგილი ჟ-ს წარმოებისას – გარდა სამეტყველო ორგანოების ხმოვანთათვის საჭირო მოძრაობებისა თუ მდგომარეობებისა. ხოლო რაც შეეხება ბაგეების მდგომარეობას, რომელიც საჭიროა ჟ-ს არტიკულირებისთვის, ის იდენტურია უ ხმოვნის საარტიკულაციო მდგომარეობისა: ბაგეების სწორედ უ ხმოვნისთვის საჭირო მდგომარეობიდან ვიწყებთ ჟ ბგერის არტიკულირებას, საიდანაც მყისვე გადავდივართ ინდიფერენტულ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, იმ პირობით, რომ, ვცნობთ თუ არა ამას, სამეტყველო წინალობათა ქონა-არქონა ითვლება და რჩება დღესდღეობით ერთადერთ თუ არა, ერთერთ მთავარ, არსებით არგუმენტად ბგერათა განდასებისას ხმოვნებად და თანხმოვნებად, ჟ-ს შეიძლება დავუტოვოთ ტერმინი მოკლე ხმოვანი, მ-ს კი, იმ გაგებით, რომ – წინალობის გამო – ხმოვნობის ხარისხი იმაზე კიდევ უფრო დაბალი ჰქონია, ვიდრე ჟ-ს გააჩნია, მივაკუთვნოთ ნახევარხმოვნის კვალიფიკაცია.

მოკლედ, ამჯერად გვიჭირს რა მ ბგერის ზუსტი კვალიფიკაციის დადგენა და მისი განდასება, ვიცავთ ტრადიციას და ასევე სრულიად პირობითად ვტოვებთ იქ, სადაც დღემდე ჰქონდა განთავსებული ქართულ ზოგად ფონეტიკას – ნახევარხმოვნობაში.

ასე რომ, თუშური ენის დ კვლავაც რჩება ჰარადიგმატიკის (ტაბულის) გარეთ, რაც კვლავაც მეტყველებს თანამედროვე ლინგვისტიკის უძლიერებაზე იმ პრობლემის წინაშე, რომელიც გულისხმობს ხმოვნებისა და თანხმოვნების განმასხვავებელი ნიშნების საბოლოო და ზუსტ განსაზღვრას.

თუშურ ენაში, დ-სთან ერთად, გვაქვს მისი ნაზალიზებული **ძ** (**ǰ**) კორელატიც, რომელიც, როგორც გვეჩვენება, პირველად ჩვენ მიერაა გამოყოფილი დამოუკიდებელ ფონემად, თუმცა ის დაფიქსირებული აქვთ დ. და ნ. ქადაგიძეებს; შდრ. საბჭუდ ‘საბჭოში’ (adit.) – საბჭუდ ‘საბჭოს(ი)'; გაგუდ ‘მუხლები’ – გაგუდ ‘მუხლის(ა)'; ქოცუდ ‘ქვევრში’ (adit.) – ქოცუდ ‘ქვევრის(ა)‘.

როგორც ვხედავთ, ოპოზიცია საკმაოდ მეტადაა აქ გამჭვირვალე.

ნაზალიზებული **ძ** არათონოლოგიურ გარემოში: ვასუდ დო ‘ვასოს ცხენი’, ზაქრუდ წა ‘ზაქროც სახლი’. ორიოდე მაგალითი დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონიდან: ჰადად ჰთებ ‘ტვინის ანთება’ (ქადაგიძე, ..., 1984, 40), ოჯუდ ‘მისი’ (ქადაგიძე, ..., 1984, 45).

მაგალითები ცოცხალი მეტყველებიდან ნაზალიზებული **ძ**-სთვის: ყეფჩო ცომ დეშოგ სე ფეშკრეგ ‘მონუცისას აღარათეერს იჯერებს / ივონებს ჩემი ბალო’, ყეფჩო ცოჰანე უმ დეშეცრ ‘მონუცებისას აღარავინ აღარას იჯერებს / ივონებს აკი‘.

შევნიშნოთ აგრეთვე, რომ ნაზალიზებული **ძ** გვხვდება თუშურენოვან ანთროპონიმებშიც, რაც გამოჩნდა კიდევაც ანთროპონიმულ შესიტყვებაში შაქრან კუდსტა ‘შანქიანთ (შანქიშვილი) კოსტი’. კიდევ რამდენიმე მაგალითი: ბაქდურლარჩ ‘ბაინდურიშვილი’, ლუქგლოზლარჩ ‘მუშტარაული’.

§ 13. თუშური ენის დიფთონგების შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია თუშური ენის დიფთონგები (რთული ხმოვნები, ანუ ორხმოვნები), სადაც ორი სხვადასხვა გვარის ხმოვანი ერთ მარცვლადაა შერწყმული, იქვე წარმოდგენილია ზოგიერთი მათი სახეობა, ცნობილია აგრეთვე მათი ხასიათიც და წარმომავლობაც (იხ., მაგ., გაგუა, 1956; Гагуа, 1983; Дешериев, 1953; Имнаишвили, 1977; Schiefner, 1859).

მიუხედავად ამისა, თუშური ენის დიფთონგები სპეციალურ შესწავლას საჭიროებს ახლაც და მომავალშიც, განსაკუთრებით – ინგუშური და ჩეჩნური ენების დიფთონგებთან შედარებით, რაც ერთობ სერიოზული საქმეა და ბევრ საინტერესო დასკვნებს გვაძრძობს. მათი სრული ანალიზი წინამდებარე გამოკვლევის მიზანს არ შეადგენს. თუმცა, რაკი ნაშრომში ასე თუ ისე ხმოვნებზე (მარცვლის მაწარმოებელ სიდიდეებზე) არის საუბარი, რამდენადმე დამუშავდება რა თუშური ენის ეს მონაკვეთიც, დასახელებული იქნება შემჩნეული და გამოვლენილი ზოგიერთი ახალი სახეობა დიფთონგებისა, გაკეთდება ზოგიერთი სხვა დაზუსტებები. მოკლედ, დიფთონგებს შევეხთ იმდენად, რამდენადაც ისინი მიეკუთვნებიან ხმოვანთა სისტემას.

„საერთოდ, – შენიშნავს ა. შიფნერი, – დიფთონგები ენის ძველი ვითარებისთვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი. დიფთონგები წარმოიქმნენ თანდათანობით, რათა არ ყოფილიყო მრავალმარცვლიანობა, ანდა თანაბარი ღირებულების მარცვლები“ (Schiefner, 1859, 11-12). თუშური ენის ცალკეული ლექსიკური ერთეულების კომპაქტურობა ა. შიფნერის ამ მოსაზრებას მხოლოდ კიდევ ერთხელ ადასტურებს. ამ თვალსაზრისით, ა. შიფნერმა აღმოაჩინა, რომ თუშური ენის „ა და ო ხმოვნები უფრო გამძლენი არიან და, თუ ვერ რჩებიან ადგილზე, იკუმშებიან ან იკვეცებიან, ი,

უ და ე კი, პირიქით, ასეთ შემთხვევაში გადადიან წინამავალ მარცხელში და მის ხმოვანთან ერთად ქმნიან დიფთონგს“ (Schiefner, 1859). აქ თითქმის არაფრის დამატება აღარ შეიძლება.

რ. გაგუა სამართლიანად შენიშნავს, რომ „დიფთონგების წარმოშობა დაკავშირებულია ხმოვანთა რედუქციასთან“ და რომ ხმოვანთა „დამოკლება, ანუ ნაწილობრივი რედუქცია დიფთონგის წარმოშობის ერთ-ერთი წყაროა“ (გაგუა, 1956, 472). კარგა ხნის შემდეგ, უბრუნდება რა ამ საკითხს, მკვლევარი კვლავ შენიშნავს: დიფთონგების წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი თუშურ ენაში უნდა იყოს ისიც, რომ ხმოვანთა ზედიზედ მისვლის შემთხვევაში, რაც თუშური ენისთვის არაბუნებრივი მოვლენაა, ერთ-ერთი მათგანი მოკლდება და სრულ ხმოვანთან ერთად ქმნის დიფთონგს (Garya, 1983, 178).

თუშური ენის დიფთონგები, ჩვეულებრივ, დამავალი სახისაა. ასეთი დიფთონგები თუშური ენისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა (Garya, 1983, 178), აღმავალ დიფთონგებს კი უკიდურესად იშვიათად ვხვდებით.

ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს აღმავალი დიფთონგები ფიგურირებდნენ მხოლოდ ანლაუტში (Garya, 1983, 178) და იმ „თავკიდური j- (ა - ა. ბ.) პრეფიქსით, რომელიც საგანთა კლასის მაჩვენებელია“ (Garya, 1983, 178). ჯერ ერთი, ანლაუტის ამ დიფთონგებით (აღმავალი დიფთონგებით) დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონში ვხედავთ როგორც უკლასო, ისე განსხვავებული კლასების მქონე ლექსიკურ სიდიდეებს, კერძოდ: უკლასო – მა/მაჰ? ‘ჰა? რა?’, მე ‘და’ (კავში.), მეთხ ‘ექვსი’, მუფსტ ‘ხშირი/სქელი’, მუყრქ ‘შუალა’, მუჰალ ‘ვადმა’; დ კლასისა – მეგ ‘ლოდი’; ბ კლასისა – მეთ ‘ძროხა/ფური’ (ქადაგიძე, ..., 1984, 315-322). მეორე, თუკი ამოვალთ ტრიფთონგებთან დაკავშირებით ალ. მაჰამეტოვის მიერ შემოთავაზებული დებულებიდან, რომლის მიხედვითაც

იმ ლექსებში, სადაც თავკიდური **ქ**-ს (ღ-ს) საგანთა კლასის მაჩვენებელად მივიჩნევთ, საქმე გვაქვს არა დიფთონგის სახით წარმოდგენილ ერთ ფონემასთან, არამედ ორ მორფემულ და, მაშასადამე, ორ ფონემურ სიდიდესთან – ღ-სთან და მის მიმყოფ ხმოვანთან (ყურადღება გაგამახვილოთ ‘არის’ დამხმარე ზმნის თუშურენოვან ეკვივალენტზე): **მაშრ** და ‘**და არის**’ – შდრ. **ვაშრ** ვა ‘**ძმა არის**’, **ბაღერ** და ‘**ბავშვი არის**’, **ჯორ** ბა ‘**ვაშლი არის**’ და ა. შ. აქ გვაქვს მორფონოლოგიური სურათი: **ქა, ვა, ღა, ჰა**. დიფთონგი კი, როგორც ზოგადი ფონეტიკა გვასწავლის, განიხილება, როგორც ერთი ფონემური სიდიდე.

რაც შეეხება დიფთონგის პოზიციას, **ღ**. და **ნ**. ქადაგიძეების ლექსიკონი წარმოგვიდგენს ერთ შემთხვევას აუსლაუტის აღმავალი დიფთონგით –**ღე** ‘-ც’ (ქადაგიძე, ..., 1984, 317) და რამდენიმე მაგალითს ინლაუტის აღმავალი დიფთონგით.

თუკი **ღ** კლასის მაჩვენებელს დიფთონგის შემადგენელ ნაწილად ვადიარებდით, მაშინ შეგვეძლო, თუშურ ენაში გველიარებინა ე. წ. ტრიფთონგების, ანდა „ჰიპერთონგების“ არსებობაც. მაგ.: **მაღში** ‘ვალლობის შემთხვევაში’, **მოცფუ**? ‘მოიყვანს?’, **გუ-მაღონორ** ‘გამოჩენილიყო’ და ა. შ. მაგრამ, ისევე როგორც **აღ**. **მაჰომეტოვი** (ი. დეშერიფის დებულებათა კრიტიკის დროს ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩეხურ ენაში), ჩვენც უნდა ამოვიდეთ უბრალო ჭეშმარიტებიდან: „ტრიფთონგი, ისევე როგორც დიფთონგი, წარმოადგენს ერთ ბგერას, მაგრამ რთულს თავისი არტიკულაციით; ისევე როგორც დიფთონგი, ის არ იშლება შემადგენელ ბგერებად“; ხოლო თუ „ტრიფთონგის შემადგენელ ნაწილთაგან ერთ-ერთი რომელიმე ატარებს დამოუკიდებელ მორფოლოგიურ დატვირთვას და შეგვიძლია დამოუკიდებელი მორფემის ანდა ასეთი მორფემის ელემენტის სახით მისი ცალკე გამოყოფა, მაშინ იხსნება ის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც ტრიფ-

თონგს (აგრეთვე დიფთონგს – ა. ბ.) განსაზღვრავს, როგორც დამოუკიდებელ ბგერით სიდიდეს“ (Магомедов, 1974, 131). მართლაც, ამ მაგალითებში „ტრიფთონგის“ ან ერთი, ან მეორე ნაწილი შეიძლება შეეცვალოს სხვა მორფოლოგიური ელემენტით: **ააშხე** (დ კლასი) – **გააშხე** (გ კლასი), **ბააშხე** (ბ კლასი), **დააშხე** (დ კლასი) და ა. შ.

მოკლედ, დიფთონგი ან ტრიფთონგი – ეს არის არა ორი ან სამი სხვადასხვა სახის ხმოვნის მიქანიკური დამეზობლება, არამედ ერთი სოციალური შინაარსისა და დანიშნულების მატარებელი ორგანული მთლიანობა, რომლის გახლეჩაც დამოუკიდებელი მორფონოლოგიური სემანტიკის მქონე ელემენტებად შეუძლებელია. ისევე როგორც გრძელი ხმოვნებისა და ინტენსიური თანხმოვნების შემთხვევაში, არ უნდა ხერხდებოდეს დიფთონგის სემანტიკა სოციალური ღირებულების მქონე ცალკეულ კომპონენტებად. და თუ ასეთი დაშლა მაინც როგორღაც შესაძლებელია, მაშასადამე, დიფთონგთან არ გვექონია საქმე.

ი. **დეშერიევი** თუშურ ენაში ხედავს „დიფთონგისმაგვარ“ აუ და ოუ ბგერათშეერთებებს, რომელთა მეორე ელემენტიც, როგორც იგი უწოდებს მას, წარმოადგენს „არამარცვალმაწარმოებელ“ უ-ს, ანუ **w**-ს და სადაც ეს მეორე ელემენტი ისმის, როგორც არახშიური მჟღერი ვ (Дешериев, 1953, 38). მოჰყავს მაგალითებიც: **ბაჷბორ/ბაwბორ** ‘ხოცავდნენ’, **ნაჷმბარჩ/ნაwმბარჩ** ‘აღაზნისთავი’ (უნდა იყოს **ნაჷმბარჩნ/ნაwმბარჩნ** – ა. ბ.).

უნდა ითქვას, რომ დიფთონგში დღეს ადგილი აქვს არა მხოლოდ უ/ვ (**w**), არამედ ო/ჷ/ვ(**w**) ალტერნაციასაც: **ბაო-ბორ/ბაჷბორ/ბავბორ (ბაwბორ)** ‘ხოცავდნენ’.

აო/აჷ/ავ დიფთონგში სრული ა შეიძლება ზოგჯერ შეცვალოს სრულმა ო-მ: **აოლრი/აჷლრი/ავლრი** ‘აღვირები’, **ნაო-ბარჩნ/ნაჷმბარჩნ/ნავმბარჩნ** ‘აღაზნისთავი’.

გარდა აჲ და ოჲ სიდიდეებისა, თუშურ ენაში დღეს შეიძლება ვცნოთ აგრეთვე ეჲ და იჲ სიდიდეებიც (მოკლე კომპონენტების ასეთივე ალტერნაციათ): ლეზდორ/ლეჲდორ/ლევედორ ‘ამბობდა’, ეზდორ/ეჲდორ/ევედორ ‘ყიდულობდა’, თიზდორ/თიჲდორ/თივედორ ‘ასვენებდა’, დიზდანორ/დიჲდანორ / დივედანორ ‘თესდა თურძე’ და სხვ.

და ეს აჲ, ეჲ, იჲ, ოჲ და ა. შ. სიდიდეები დღეს უნდა აღვიქვათ არა როგორც ოდენ „დიფთონგისმაგვარი“ ბგერათშეერთებანი, არამედ – როგორც ჩვეულებრივი, თუშურენოვანი დიფთონგები.

რაც შეეხება ი. დეშერიევის მიერ წარმოდგენილ და დახასიათებულ დანარჩენ თუშურენოვან არაცხვირისმიერ (ორალურ) დიფთონგებს **აი, ეი, იჲ, ოი, უი** (Дешериев, 1953, 38), თუშურ ენაში არ იძებნება იჲ (**იჲ**) დიფთონგი. ი. დეშერიევის მიერ მოშველიებულ მაგალითებს **допхдиэн** ‘გამბობარი’ (უნდა იყოს **допхдиэнб** – ა. ბ.), **допхдиэ** ‘გაათბო’, **вотвиэ** ‘შეიშალა’, **тагдиэб/диэб** ‘გაკეთე!’ (Дешериев, 1953, 39) შეიძლება ასეთი განმარტება მივცეთ. ჯერ ერთი, ყველა ამ მაგალითში **э** (ე) არის არა დიფთონგისეული რედუცირებული, არამედ სრული, დამოუკიდებელი ფონემა. მეორე, მაგალითებში **допхдиэ, вотвиэ** ბოლოკიდური ხმოვანი არის ნახალური ფონემა – აგრეთვე სრული და აგრეთვე დამოუკიდებელი, არადიფთონგისეული: **დოფხდიეჲ, ვოტვიეჲ** (შდრ. **დოფხდი**¹¹² ‘გაათბობინე’, **ვოტვი** ‘შეშალე!’). მესამე, **тагдиэб/диэб** ფორმები თუშურ ენას არ გააჩნია საერთოდ: ისინი ჩეჩნურის ასოციაციებით უფრო უნდა იყოს ჩაწერილი (თუშურ ენაში გვაქვს და გვექონდა ფორმები **თავდებ** ‘გაკეთე’, **დებ** ‘ჩქქენი!’).

ცხვირისმიერი დიფთონგების დახასიათებისას ი. დეშერიევი ვაჩ ‘ჩვენი (საკუთარი)’, ვაჩ ‘ლორის[ა]’, ჰაჩ ‘შენი (საკუთარი)’,

¹¹² აქ აშკარად სადავოა თავკიდური მარცვლის ო ხმოვნის კვანტიტეტი.

საბ 'ხემი (საკუთარი)' მაგალითებში (Дешериев, 1953, 38) ბოლო-კიდურ ნაზალურ ხმოვანს წარმოგვიდგენს როგორც დიფთონგი-სეულს, ანუ რედუცირებულს. ასევეა დანახული ეს სიდიდე სხვა-განაც (მაგ., გაგუა, 1956, 476). ასეთმა ხედვამ შეიძლება მიგვიყვანოს ისეთ უზუსტობამდე, რომლის მიხედვითაც ერთმარცვლიანი სიტყვების აუსლაუტში **aj** (აჲ) დიფთონგი თითქოს უცვლელი რჩებოდეს (Гарга, 1983, 170), მაგალითად, **ča** [ჩა] 'დათვი' სიტყვის გენიტივში: ***čaĭ** [ჩაჲ] 'დათვისა', რაც ასე არ არის. ეს, შესაძლოა, მოდიოდეს ისეთი ტიპის მაგალითებიდან, როგორიცაა ვაჲ ვაჲჲ ჯჲანი თეგოდრ 'ღორის ტყავისას ქალამნებს აკეთებენ' (ქადაგიძე, ..., 1984, 831).

საქმე ისაა, რომ სინამდვილეში აქ ყველგან გვაქვს სრული წარმოების ბოლოკიდური ნაზალური ხმოვანი: -ბ: ვაბ (ქადაგიძე, ..., 1984, 244)/ვაბ 'ხენი (საკუთარი)' (ინკლ.), ვაბ/ვაბ 'ღორის', ჰაბ (ქადაგიძე, ..., 1984, 867)/ჰაბ 'შენი (საკუთარი)', საბ (ქადაგიძე, ..., 1984, 522)/საბ 'ხემი (საკუთარი)'; აქედან: ჩაბ/ჩაბ 'დათვისა'. რაც შეეხება შესიტყვებას ვაჲ ვაჲჲ 'ღორის ტყავისას', აქ მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნების დროს უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის მორფოლოგიური თავისებურებები, რომლებიც, რუსული ენისაგან განსხვავებით და ქართული ენის მსგავსად, თავს იჩენენ თუშურ ენაში. კერძოდ, აქ ადგილი აქვს ბრუნვისეული ფორმანტის მოკვეცას მსაზღვრელში: ნომ. ვაბ ვაჲჲ/ვაბ ვაჲჲ 'ღორის ტყავი' – მაგრამ: გენ. ვაჲ ვაჲჲ 'ღორის ტყავისა', დატ. ვაჲ ვაჲჲ 'ღორის ტყავს' და ა. შ.

მოკლედ, რაკი ი. დეშერიევს დიფთონგის აღმნიშვნელი დიაკრიტიკული ნიშანი არ გამოუყენებია, იქ ისეც უნდა წავიკითხოთ, როგორც მას უწერია: ვაბ, ვაბ და ა. შ., სადაც ბოლოკიდური ხმოვანი დიფთონგის კომპონენტს არ წარმოადგენს. ასევე იქნება სიტყვისთვის 'დათვისა' – ჩაბ/ჩაბ (**čaĭ/čai**). ეს ისეთივე რეა-

ლობაა, როგორც, მაგალითად, ქართულში გვაქვს არა **чай/čaj** [ჩაჲ], არამედ – **чаи/čai** [ჩაი] ‘ჩაი’.

ასევე არასწორად არის წარმოდგენილი მაგალითი ფსტეფ ‘ქაღებისა’ ნაზალური დიფთონგების დახასიათებისას, სადაც –ეფ მიჩნეულია დიფთონგად (Дешериев, 1953, 40). ბოლოკიდური ნაზალური ხმოვანი აქაც გენიტივის შინაარსს გადმოგვცემს, რაც გამოიხატება არა მოკლე, არამედ სრული წარმოების ნაზალიზებული –ფ ხმოვნით, რომელიც „ეთამაშება“ ნაზალურსავე გრძელ ზ ხმოვანს: ფსტეფფ/ფსტეფფ/ფსტეფფ ‘ქაღებისა’, სადაც ფსტეფფ ფორმა უფრო მარტიბული უნდა იყოს.

მოკლედ, აქ საქმე გვაქვს არა ნაზალიზებულ აფ, ეფ დიფთონგებთან¹¹³, არამედ აფფ/აფ და ეფფ/ეფ ფონემურ სიდიდეებთან. აფ დიფთონგი თუშურ ენაში გვაქვს, მაგრამ – სხვა გარემოებაში.

თუშურ ენაში არ დასტურდება აგრეთვე ი. დეშერიევის მიერ მაგალითის გარეშე დასახელებული ნაზალური ოფ დიფთონგი (Дешериев, 1953, 40). გაჭირვებით შეიძლება მისი მიჩნევა ნაზალური უფ დიფთონგის ვარიანტად.

მთლად ზუსტი არ არის აგრეთვე მოსაზრება, თითქოს ცხვირისმიერი დიფთონგები გვხვდებოდეს მხოლოდ სიტყვის ბოლოში (Дешериев, 1953, 40).

გარდა ამისა, ცხვირისმიერ დიფთონგებზე საუბრისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენთვის უკვე ნაცნობი ერთი თავისებურება თუშური ენისა: მომდევნო ნ თანხმოვანი – თუნდაც აუს–

¹¹³ თუშუა ხმოვნები, ჩვეულებრივ, ნაზალიზაციას ექვემდებარება, მაგრამ, რაკი თუშურ ენას გააჩნია ნაზალიზებული დიფთონგებიც, სადაც „ცხვირისმიერი ელფერის მატარებელი არის დიფთონგის მეორე (დამავალი – ა. ბ.) ნაწილი“ (Дешериев, 1953, 40), დ კომპონენტთან დიფთონგებში ნაზალიზების გადმოცემა გვიწევს ცხვირისმიერი ფ სიდიდით, რომელიც ჩვენი მონოგრაფიით შეტანილია ნახევარხმოვნებში.

ლაუტში და თუნდაც სხვაგან – ყოველთვის როდი ახდენს წინამავალი ბუერის ასიმილაციას (ნაზალიზაციას). მაგ., გვაქვს ყეჟიჩი 'მობუცისა' (< ყეძნიჩი < ყეძნი 'მობუცი'), მაგრამ გვაქვს აგრეთვე დეწლეძიჩი 'სასურველისა' (< დეწლეძნიჩი < დეწლეძნი 'სასურველი'), სადაც, ნაზალიზაციის საერთო კანონის თანახმად, უნდა გექონოდა *დეწლეჟიჩი, მაგრამ არა გვაქვს.

კვანტიტატიური განსხვავების არსებობამ თუშურ ენაში წარმოშვა ისეთი დიფთონგების ნიმუშებიც, სადაც მარცვალმწარმოებელი ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელიც, ნახევრადგრძელიც (რაც არ უნდა პარადოქსულად ჩანდეს ეს) და მოკლეც.


იმ შემთხვევაში, როცა დიფთონგის მარცვლოვანი კომპონენტიც მოკლეა, დიფთონგს პირობით შეიძლება ვუწოდოთ „დაბალი“. ასეთ დიფთონგში მარცვალმომცემი მოკლე კომპონენტი (ხმოვანი), როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, შეიძლება მანვილის ქვეშაც აღმოჩნდეს. „დაბალი“ დიფთონგის არსებობის ეს უპრეცედენტო შემთხვევა გვიბიძგებს იქითკენ, რომ, კვანტიტეტის თვალსაზრისით, საკუთრივ მოკლე ხმოვნებში, ალბათ, უნდა შევიტანოთ კიდევ ერთი მადიფერენცირებელი ნიშანი.


თუშური ენის დიფთონგებში მათი შემადგენლობისა თუ ხასიათის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ 2 გვარი:


I. **ორალური** და

II. **ნაზალიზებული**.

ორალური დიფთონგებიდან გამოიყოფა 3 ჯგუფი:

1. **აღმავალი** (), სადაც პირველი კომპონენტი მოკლეა, მეორე კი – ნახევრადგრძელი;

2. **დამავალი** (), სადაც პირველი კომპონენტი ნახევრადგრძელი ან გრძელია, მეორე კი – მოკლე;

3. „**დაბალი**“ (), სადაც ორივე კომპონენტი მოკლეა.

ამათ შორის, თავის მხრივ, შეიძლება აღვნიშნოთ ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეული ესა თუ ის სახეობა. მაგალითად, დამავალი¹¹⁴ დიფთონგების ჯგუფში უნდა განვასხვავოთ 2 ქვეჯგუფი – დიფთონგები, სადაც პირველი კომპონენტი ნახევრადგრძელია, მეორე კი – მოკლე; დიფთონგები, სადაც პირველი კომპონენტი გრძელია, მეორე კი – ასევე მოკლე. გარდა ამისა, ნაზალური დიფთონგები ამავე დროს დამავალნიც არიან. წარმოვადგინოთ მაგალითებით¹¹⁵:

1. **ორალური დიფთონგები:**

1. **აღმავალი დიფთონგები, სადაც პირველი კომპონენტი მოკლეა, მეორე კი – ნახევრადგრძელი (სრული):**

1. 1) და: და?/დაჰ? ‘ჰა?რა?’

იდა ‘ია’

იმაბო ‘იაბო’

2. 2) დე: დე ‘და’ (კავში.)

დეგ ‘ლოუდი’

3. 3) დო: დოგ ‘სახსარი’

4. 4) დუ: დუფსტჷ ‘ხშირი, სქელი’

დუყრქ ‘შუალა’

2. **დამავალი დიფთონგები, სადაც პირველი კომპონენტი ნახევრადგრძელი ან გრძელია, მეორე კი – მოკლე:**


¹¹⁴ ჩვენ თავს ვიკავებთ ზოგად ფონეტიკაში შემოთავაზებული პარალელური სატერმინო კომპონენტებისგან ნამდვილი (დამავალი დიფთონგებისთვის) და არანამდვილი (აღმავალი დიფთონგებისთვის), რადგან ნამდვილი (დამავალი) დიფთონგებად მიჩნეულია, მაგალითად, რუსულენოვანი ай, ей, ой, уй ბგერათშეერთებებიც (ახვლედიანი, 1949, 104) – მაშინ როცა ფონემატურად დიფთონგები სრულიად უცხო მოვლენაა რუსული ენისთვის (Розенталь, ..., 1976, 98).

¹¹⁵ რ. გაგუას ცნობით (Гагуа, 1983, 177), ა. შიფნერს თუ შური ენისთვის დასახელებული აქვს ai, ei, oi, ui; au, eu, iu, ou; ae, ie, oe, ue, ao, eo, io; ea, ia, oa, ua დიფთონგები (Schiefner, 1859, 11), მაგრამ, მისივე სამართლიანი აზრით, ყველა ეს წყვილი დიფთონგი როდია.

- ა) დიფთონგები, სადაც პირველი კომპონენტი ნახევრადგზრძელია, მეორე კი – მოკლე:
5. 1) ად/ედ: ადთაჲსრ/ედთაჲსრ ‘ნათლია’
 ადტნრ/ედტნრ ‘სიხუძე’
6. 2) აწ (აჲ/ავ/ოჲ¹¹⁶/ოვ): აწღღრი/აჲწღღრი/ავღღრი /
 ოჲწღღრი/ოვღღრი ‘აღვირვები’
 ლაწმრქ / ლაჲმრქ / ლოჲმრქ
 ‘ძთისა/ძთიდან’
 თაჲტჲ¹¹⁷ ‘უხდება’
 (ქადაგძე, ..., 1984, 25)
 ლოჲშმჲ ‘შთა ში’ (adit.)
 (ქადაგძე, ..., 1984, 900)
7. 3) ეწ (ეჲ/ევ): ლეწღღორ/ლეჲწღღორ/ლევეღღორ ‘ამბობდა;
 ყოფილიყო (თურძე)’
 ეწღღორ/ეჲწღღორ/ევღღორ ‘იღებდა/
 ყიდულობდა’
8. 4) იწ (იჲ/ივ): თიწღღორ/თიჲწღღორ/თივეღღორ ‘ასვენებდა’
 დიწღღანორ/დიჲწღღანორ/დივეღღანორ
 ‘ეთესა’
9. 5) ოდ (ოდ/ო): ოდსრ/უდსრ/ოსი ‘ოქ’
 ოდსრქ/უდსრქ/ოსირქ ‘ოქაური’
 ოდშტრ/უდშტრ ‘ისე’
 ოდღღდისანრ/უდღღდისანრ ‘კამოდება/
 ვადაკიდება (ვინმესი)’

¹¹⁶ თუკი ვცნობდით ანლაუტის თავისუფალ ო ხმოვანს და მისით აღჭურვილ ლექსიკას თუშურ ენაში, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, შეიძლებოდა ცალკე გამოგვეყო თავისუფალხმოვნაანი ოჲ დიფთონგის ფუნქციონირებაც აქ; მ. ბუქუჩაშვილთან ვკითხულობთ, მაგალითად: ებე ოჲშმაჲჲ ჰალ თეგდოჩუჲ, დაკლივას, დედლ სო ქორახ ‘ამ ყოველივეს რომ ვაკეთებ (ვაწესრიგებ), ვფიქრობ, ძალმიძს ყოველი’.

¹¹⁷ დ. და ნ. ქადაგძეებთან ბოლოკიდურში გამოყენებულია ო დიაკრიტიკული ნიშანი.

10. 6) უმ: უმნი ‘ონებში’
 უმქმა ‘უქმე’
 ლუმატარ ‘პირქვე’ (მდგომარეობა)
- ბ) დითონგები, სადაც პირველი კომპონენტი გრძელია, მეორე – მოკლე:
11. 1) ად/ჟდ: დამშნორ/დემშნორ ‘გაეპარსა’
 (შდრ. დამშნორ/დემშნორ ‘გამდნარიყო’)
 დამლნორ/დემლნორ ‘სჭეროდა’
 (შდრ. დამლნორ/დემლნორ ‘მოკვდარიყო’)
12. 2) აჟ/რჟ: აჟეკრ/რჟეკრ ‘ცვივა’
 (შდრ. აჟეკრ/რჟეკრ ‘ანთია’)
1. „დაბალი“ დითონგი, სადაც ორივე კომპონენტი მოკლეა:
13. 1) დჟ: მჟთ ‘ძროხა, ფური’
 (შდრ. მჟთ ‘წველე!'; აქედან: კალახ მჟთ ‘ბენრეკი (ძროხა) წველე!’ ან ბეთარ ‘მეწველი ძროხა, კამეხი და სხვ.’ – ქადაგიძე, ..., 1984, 87;
- II. ნაზალიზებული დითონგები ():
14. 1) აძ/ეძ: აძქრშებადარ/ეძქრშებადარ ‘ანგარიში’
 ბაძღურლარ/ბეძღურლარ ‘ბაინდური შვილები’
15. 2) ოძ/უძ: საბჭოძ/საბჭუძ ‘საბჭოსი’
 ვასოძ/ვასუძ ‘ვასოსი’
16. 3) ოჟნ: სოჟნთხეც ‘შენ რა ვიცო’
 ჰოჟნთხეც ‘შენ რა იცი’
17. 4) ჟქ: ლაზთჟქ/ლაზთვექ ‘ლაზათიანი’ (იქვე, 1984, 357)
 ხათრჟქ/ხათრვექ ‘ხათრიანი’

უმ დითონგისთვის სახეზე გვაქვს ერთ წინადადებაში განთავსებული ოპონიცია: ვასუძ ვა ვასუძ ბიძი? ‘ვასოა ვასოს ბიძა?’.

დითონგისეული ნაზალიზებული ძ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე აღწერილი არ არის. თუმცა არც დ. და ნ. ქადაგიძეებსა აქვთ შეტანილი თავიანთ ანბანში ცალკე გრაფემის სახით

აღნიშნული სიდიდე (ქადაგიძე, ..., 1984, 22-23), მაგრამ როგორც ჩანს, ის უკვე ჰქონდათ შემჩნეული, რადგან ჩართული აქვთ ცალკეულ თუ შორეულ ლექსებში: ბაგაძე 'ბაგის', იცხუაძე 'მაგისი', ოცუაძე 'იშისი', საბჭოაძე 'საბჭოსი'.

რწმუნეული მეტყველების დროს დამოუკიდებელი ლექსებების საზღვარზე შეიძლება ასევე ადგილი ჰქონდეს მ-ის ნაზალიზაციას, რომელიც არის არა ფონოლოგიური, არამედ ოდენ ფონეტიკური ღირებულებისა: ლაძნ და [ლაძნა] 'მოსაკვდომია', ცჰაძნ დენი [ცჰაძნენი] 'ერთ დღეს/ერთ დღეში'. მაგრამ თუ ამგვარი შესიტყვება ერთ ლექსემად ჩამოყალიბდება, ფონეტიკური ნაზალიზაცია შესაძლოა გადაინაზრდოს ფონოლოგიურში: ცჰაძნ ჩოგ 'ერთმა ბეწვმა' > ცჰაძნჩონე 'ერთი ბეწვით/ერთ ბეწვზე/კინაღამ'.

ბოლოს, მოვიხმოთ რამდენიმე მაგალითი ცოცხალი მეტყველებიდან, სადაც გამოჩნდება არა მხოლოდ დიფთონგის ხასიათი, არამედ თუ შორი ენის კვანტიტეტისა და ნაზალიზაციის ნიშნებიც:

ბათ-ნანახ ხაძტნორ ბაძსკოს:

– მა, გოგო, ო ჰანახჩიფ ფსტუნბრ დაჰ გელი მაღირ, ლე მნ დენიფ გჟლ მაღუნბრ?

– ზე! – აძლნორ ბათ-ნანახ. – უხ ლევედო, ბასიკო, მიჩაჯდა ძუხ მაღუნ ბრბა მაგიც, ვოყაძლნორ.

'ბათ-ნანახთვის უკითხავს ბასიკოს:

– ჰა, გოგო, ი მავნის ცოლი მოკედა [აღარ მახსოვს], თუ ისევე ცოცხალი უნდა იყოსო?

– იმე! – უთქვამს ბათ-ნანახ. – რას ამბობ, ბასიკო, საცაა უკან მოსვლის დროცა აქვს, ბიჭოო'.

ვოჭგრა ტასის აძლნორ: მოჰეკე მაშხალ კიკალ ნუს ჩუ უდო ჰიფ სწგო, წიჭყუმაჰ დაჰ დეწეწ დახა ადმიწ, ჰაჩ-ჰუნბრ ჰაკეხ თოფნ თოხნაძლნორ.

‘*მიქელაძე ტასის უთქვამს: როგორც კი ჩირაღდნის ქვეშ რბალი დაგიდგება ეზოში, სახლის უკან უნდა გახვიდე ჩადაძიანი და შივ შუბლში თოფი დაიხალოო*’.

ზემოთ დავინახეთ, რომ თუშური ენის დიფთონგების ხასიათიც და შემადგენლობაც საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა ამით არ ამოიწურება მათი რაობა: ისინი სკრუპულოზურ შესწავლას ელიან.

გამოჩნდა, რომ თუშურ ენას გააჩნია განსხვავებული სემანტიკის მატარებელი 17 დიფთონგი. ბაცბოლოგიურ ლიტერატურაში თუშური ენის ხმოვანთა სისტემის კლასიფიკაცია გამოიყურება ასე:

ა. შიფნერთან (Schiefner, 1859, 7)

მარტივი (ჩვეულებრივი) ხმოვნები:

a e i o u

ბ. დეშერიევთან (Дешериев, 1953, 44)

მარტივი (ჩვეულებრივი) ხმოვნები:

а э и о у

გრძელი ხმოვნები:

ā ī¹¹⁸ ō

ნახალური ხმოვნები:

ã ĭ ð ũ

დ. იმნაიშვილთან (იმნაიშვილი, 1962, 238)

მარტივი (ჩვეულებრივი) ხმოვნები:

ა ე ი ო უ

გრძელი ხმოვნები:

ა ე ი ო უ

მოკლე (= ირაც. – ა. ბ.) ხმოვნები:

ა ე ი ო უ

ნახალური ხმოვნები:

ა ე ი ო უ

გრძელი ნახალური ხმოვნები:

ა ე ი ო უ

არნ. ჩიქობავასთან (ჩიქობავა, 1979, 46)

სადა ხმოვნები:

ა ე ი ო უ

ნახალიზებული ხმოვნები:

ა ე ი ო უ

გრძელი ხმოვნები:

ა ე ი ო უ

¹¹⁸ ი. დეშერიევს გამოყენებული აქვს რუსული გრაფიკა, გრაფიკული პრობლემების გადალასწინებით **ī, ĭ, ũ** სახით ვიყენებთ ლათინურ გრაფიკებს.

რ. გაგუასთან (Garya, 1983, 185)

მარტივი (ჩვეულებრივი) ხმოვნები: **a e i o u**

გრძელი ხმოვანი: **ā**

მოკლე ხმოვნები: **ě ĭ ō ŭ¹¹⁹**

ნაზალიზებული ხმოვნები: **ã ě õ ũ**

აქ გაანალიზებულ ხმოვანთა სისტემას ქვემოთ წარმოვადგენთ ტაბულისა და სივრცობრივი (პერსპექტიული) პარადიგმის სახით.

§ 14. თუშური ენის აბლაუტის თაობაზე

თუშური ენის ერთ-ერთ მორფონოლოგიურ ნიშანს წარმოადგენს აბლაუტი, ანუ აპოფონია, რაც გულისხმობს ხმოვანთმონაცვლეობას ზმნის ძირებში მათი ასპექტური ფორმების წარმოებისას.

კავკასიური ენების მკვლევარები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ თუშური ენის მონაცემების მიმართ, „სადაც მთელი რიგი ისეთი ხმოვანთმონაცვლეობანი დასტურდება ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში, რომელთაც მკვეთრად გამოხატული ფუნქციონალური ღირებულება გააჩნიათ“ (გამყრელიძე, ..., 1965, 176). თუშურ ენაში გვაქვს, მაგალითად, ზმნური ფორმები ლერკარ ‘კრეჭა’ – ლარკარ ‘ვაკრეჭა’, მეღარ ‘სმა’ – მაღარ ‘დაღევა’, დეფშარ ‘მსხვრევა’ – დოფშარ ‘დამსხვრევა’, დეპტარ ‘ყლაპვა’ – დოპტარ ‘ჩაყლაპვა’, ხეტარ ‘კითხვა’ – ხატარ ‘წაკითხვა’ და ა. შ., სადაც უსრული და სრული ასპექტების მაჩვენებლებად გვევლინებიან შესაბამისად ე : ა ან ე :

¹¹⁹ ~ ღიაკრიტიკული ნიშნით აქ ყველგან გადმოცემულია ხმოვნები, რომლებიც წინამდებარე გამოკვლევაში წოდებულია ირაციონალურ ხმოვნებად და აღნიშნული გვაქს ^ ნიშნით.

ო. როგორც დაკვირვება გვარწმუნებს, თუშური ენის ეს ზმნური წარმოება არ შემოიფარგლება ოდენ ამ ორი სახის აბლაუტით.

კ. ჭრელაშვილი გვთავაზობს თუშური ენის იმ ზმნების სპეციალურ სიას, „რომლებიც ფუძეში ხმოვანთმონაცვლეობით (აბლაუტით – ა. ბ.) გამოხატავენ ასპექტის მორფოლოგიურ კატეგორიას“ (ჭრელაშვილი, 2002, 507).

დასახელებული სია ჩვენ მიერ რამდენადმე მოდერნიზებულია, კერძოდ, ფორმები დანომრილია, დალაგებულია ანბანურად, დაჯგუფებულია როგორც მონაცვლე, ისე ფორმათა პირველი ასო-ბგერების მიხედვით, ასპექტური სემანტიკის აღმნიშვნელი ხმოვანი გამოყოფილია მუქად, ხოლო თვით ასპექტები დალაგებულია რიგით „უსრულიდან სრულისკენ“ (რადგან მეორე შენდება პირველისგან); კ. ჭრელაშვილისეული სიის (ტაბულის) მიმყოფ შემოთავაზებულია ჩვენს მიერ მოძიებული ფორმები, რითაც ვცადეთ რამდენადმე დაგვეწინაურებინა ეს საიტერესო თემა.

თუშური ენის აბლაუტის კ. ჭრელაშვილისეული ნუსხა

რიგ. № და მონაცვლეობა	ასპექტი	უსრული	სრული
ე : ა			
1.1.		დეკარდარ	დაკარდარ
2.1.		თეგდარ	თაგდარ
3.2.		თერსარ	თარსარ
4.3.		თეფსარ	თაფსარ
5.4.		თეხკარ	თახკარ
6.5.		თეკარ	თაკარ ¹²⁰
7. 1.		კერჩარ	კარჩარ
8. 1.		ლებუარ	ლაბუარ
9. 2.		ლევარ	ლავარ
10. 3.		ლეთარ	ლათარ
11. 4.		ლელოარ	ლალარ
12. 5.		ლერკარ	ლარკარ
13. 6.		ლეტარ	ლატარ
14. 7.		ლეყარ	ლაყარ
15. 8.		ლეჭყდარ	ლაჭყდარ
16. 9.		ლეხარ	ლახარ
17.10.		ლეხკარ	ლახკარ

¹²⁰ თუშტა გვაქვს თეგარ 'გადატანა (ამა თუ იმ გაჭირვებისა)' ფორმატ, რომელიც შეიცავს როგორც უსრული, ისე სრული ასპექტის სემანტიკას (ა. ბ.).

18. 1.	მელისარ	მალისარ
19. 2.	მერცისარ	მარცისარ
20. 3.	მეხკდისარ	მახკდისარ
21. 1.	სერტისარ	სარტისარ
22. 2.	სემსისარ	სამსისარ
23. 3.	სეფსისარ	საფსისარ
24. 1.	ქეკდისარ	ქაკდისარ
25. 1.	წემდისარ	წამდისარ
26. 1.	ხებესარ	ხაბესარ
27. 2.	ხელისარ	ხალისარ
28. 3.	ხერცისარ	ხარცისარ
29. 4.	ხეტისარ	ხატისარ
30. 5.	ხესკისარ	ხახკისარ
31. 1.	ჭებისარ	ჭაბისარ
32. 2.	ჭეფსისარ	ჭაფსისარ
33. 3.	ჭეჭისარ	ჭაჭისარ
34. 4.	ჭეჭყისარ	ჭაჭყისარ
35. 5.	ჭეჭისარ	ჭაჭისარ
ქ : ი		
36. 1.	თეტისარ	თიტისარ
37. 1.	ხეტისარ	ხიტისარ
38. 1.	ნელისარ	ლიკისარ
ქ : ო		
39. 1.	ღებესარ	ღოყისარ
40. 2.	ღეთისარ	ღოთისარ

41. 3.	ღებტარ	ღობტარ
42. 4.	ღებწარ	ღოწარ
43. 5.	ღეფხარ	ღოფხარ
44. 6.	ღეფსარ	ღოსარ
45. 7.	ღეფსარ	ღოფსარ
46. 8.	ღეფცარ	ღოფცარ
47. 9.	ღეფშარ	ღოფშარ
48. 10.	ღებკარ	ღობკარ
49. 1.	ეთარ	ოთარ
50. 2.	ებწარ	ოწარ
51. 3.	ეტარ	ოტარ
52. 1.	თებლარ	თოლარ
53. 2.	თეფხარ	თოფხარ
54. 1.	ხებტარ	ხობტარ
55. 2.	ხეტარ	ხოტარ
56. 1.	ჭეთარ	ჭოთარ
57. 2.	ჭეფსარ	ჭოფსარ

აბლაუტის ჩვენ მიერ მოძიებული ნიმუშები

ა : ე

1. 1. აკლარ – დეკლარ
2. 2. აყარ – დეყარ
3. 4. აჭარ – დეჭარ
4. 5. აჭლარ – დეჭლარ
- 5.1. დათხარ – დეთხარ
6. 1. ლაყარ – დეჟეყარ
7. 2. ლაბლარ – დეჟებლარ

ა : ო

8. 1. ლათ|არ – ოთ|არ

ა : უ

9. 1. აპყ|არ – დუყყ|არ

ე : ა

10. 1. ეტ|არ – დატ|არ

11. 2. ეტი|არ – ატი|არ

12. 1. თეფს|არ – თას|არ

13. 1. ლეს|არ – ლას|არ

14. 2. ლესტ|არ – ლასტ|არ

15. 3. ლეტ|არ ‘დამატება; მიშველება’ – ლატ|არ

შღრ. ლეტ|არ ‘დამატება მცირეოდენისა’ – ლატ|არ

16. 4. ლეფს|არ – ლაფს|არ

17. 5. ლექ|არ – ლაქ|არ

18. 6. ლეჭ|არ – ლაჭ|არ

19. 7. ლეჭდ|არ – ლაჭდ|არ

20. 8. ლექს|არ – ლაქს|არ

21. 1. მელდ|არ – მალდ|არ

22. 1. ყეფს|არ – ყაფს|არ

23. 1. ხეცს|არ – ხაყს|არ

24. 2. ხეცს|არ – ხნყს|არ

25. 1. ეფეს|არ – ეას|არ

26. 2. ეფეს|არ – ეაფს|არ

27. 1. ჰერწ|არ – ჰარწ|არ

ე : ა

28. 1. ლეტ|არ ‘დამატება მცირეოდენისა’ – ლატ|არ

შღრ. ლეტ|არ ‘დამატება; მიშველება’ – ლატ|არ

29. 2. ლესტ|არ – ლასტ|არ

30. 3. ლეტ|არ – ლატ|არ

31. 4. ლეტ|არ – ლატ|არ

32. 5. ლესქ|არ – ლასქ|არ

1. ჭჷელდ|არ – ჭჷმად|არ

- 33. 1. გესტარ – ვასტარ
- 34. 2. გეფსარ – ვაფსარ
- 35. 3. გეფსარ – ვაფსარ
- 36. 1. ჰერწარ – ჰარწარ

ე : ი

- 37. 1. დებლარ – დილარ
- 38. 2. დეთარ – დიშდარ
- 39. 3. დეხკარ – დიხკარ
- 40. 1. თებლარ – თილარ
- 41. 1. ლეტარ – ლიტარ
- 42. 1. მეყარ – დისარ
- 43. 2. მეყდარ – დითარ
- 44. 1. ხეტდარ – ხიტდარ

ე : ო

- 45. 1. დებლარ – დოლარ
- 46. 2. დებლდარ – დოლდარ
- 47. 3. დეტარ – დოტარ
- 48. 4. დეტდარ – დოტდარ
- 49. 5. დეფლარ – დოფლარ
- 50. 6. დეფხდარ ‘გათბობა (ათბობს)’ – დოფხდარ
შდრ.: დეფხდარ ‘ჩაკმევა (აკმევის)’ – დოფხდარ
- 51. 7. დეხარ – დოხარ
- 52. 8. დჷფარ – დოფარ
- 53. 1. ებლარ – ოლარ
- 54. 2. ებწდარ – ოწდარ
- 55. 3. ეტარ – ოტარ
- 56. 4. ეხკარ – ოხკარ
- 57. 1. ეეთარ – ოეთარ
- 58. 2. ეეაწარ – ეოაწარ
- 59. 3. ეეაწდარ – ეოაწდარ
- 60. 4. ეეფსარ – ეოსარ
- 61. 1. ჰეტდარ – ჰოტდარ

- 62. 1. ღეფსარ – ღოფსარ
- 63. 2. ღეფღსარ – ღოფღსარ
- 64. 1. დებღსარ – დოღსარ

ქ : რ

- 65. 1. დფფხღსარ ‘ჩაცქევა (აცქევეს)’ – დოფფხღსარ ‘ჩაცქევა
(ჩააცქევეს)’

შღრ.: დფფხღსარ ‘ვათბობა (ათბობს)’ – დოფფხღსარ

ო : ა

- 66. 1. იხსარ – დახსარ

ო : ე

- 67. 1. ღიტსარ – ჰეტსარ

ო : ა

- 68. 1. დოტსარ – დახსარ

უ : ე

- 69. 1. დფღსარ – დექსარ

როგორც ჩანს, ერთი და იმავე (ამ შემთხვევაში – სრული) ასპექტის შიგნით გვაქვს ვარიანტული აბლაუტიც, მაგალითად: ლაყდარ/ლოყდარ ‘მონდომება, მოსურვება’, ხაყდარ/ხოყდარ ‘ვაგებინება’. გარდა ამისა, თუკი ანალიზში ჩაერთავთ თუშური ენის ზმნათა პირიან ფორმებსაც, აბლაუტი კიდევ უფრო მრავალ-ფეროვან სახეს იღებს (დავასახელოთ თითო მაგალითი):

ა : ე : ი : ა მ

ახკსარ – დეხკსარ – დინკსარ – ამხკსარ

ა : ო : ი : უ მ

ლაოქსარ – ოთქსარ – იოქსარ – უმოქსარ

ე : ა : ი : ა მ

ეტსარ – დატსარ – იტსარ – დამტსარ

ე : ო : ი : უ მ

დეფლქსარ – დოლქსარ – დიფლქსარ – დუფლქსარ

ო : ა : ი : ა მ

დოქტორ – დახარ – იხინორ – დამხინორ

უ : ე : ი

დუღქარ – დექქარ – დიქქარ


პირიანი ფორმების წარმოებაში, როგორც ვხედავთ, ცალფა ხმოვნებთან ერთად, დიფთონგებიც იღებენ მონაწილეობას და, თუკი მათ ხმოვნებად მივიჩნევთ, მაშინ გამოდის, რომ თუშური ენის აბლაუტი კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. ეს გარემოება იძლევა იმის თქმის პირობებს, რომ აბლაუტის სფეროში აშკარად იკვეთება თუშური ენის ტიპოლოგიური იდენტურობა გერმანულ ენასთან იმ გაგებით, რომ აბლაუტს მიიჩნევენ გერმანული ენის სრტუქტურის მარგანიზებელ, განმსაზღვრელ მორფონოლოგიურ მოვლენად, ხოლო გერმანიკული ენებისთვის – ზმნური გრამატიკული კატეგორიების წარმოების ძირითად საშუალებად (ჭრელაშვილი, 2002, 505). თუკი ამ – ტიპოლოგიური – მიმართულებით სპეციალური კვლევა ჩატარდება, შესაძლოა სურათი კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს.

თუშური ენის ხმოვანთა სისტემა ტაბულაზე

№	ხმოვანთა სახეები	აწეულობა	რიგი		
			წინა	შუა	უკანა
1.	ჩვეულებრივი	მალ.	1ი	↙ ↘	2უ
		საშ.	3ე		4ო
		დაბ.	5ა		
2.	მოკლე	მალ.	-	↙ ↘	6უ
		საშ.	7ე		8ო
		დაბ.	9ა		
3.	ირაციონალური	მალ.	10რ	↙ ↘	11უ
		საშ.	12ე		13ო
		დაბ.	14ა		
4.	გრძელი	მალ.	15რ	↙ ↘	16უ
		საშ.	17ე		18ო
		დაბ.	19ა		
5.	ზეგრძელი	მალ.	-	↙ ↘	-
		საშ.	-		20ო
		დაბ.			21ა
6.	ნახალიზებული	მალ.	22რ	↙ ↘	23უ
		საშ.	24ე		25ო
		დაბ.			26ა

7.	გრძელი ნაზალიზებული	მალ.	-			-
		საშ.	27 ^ნ	28 ^ქ	29 ^ჩ	
		დაბ.			30 ^ც	
8.	თავისუფალი	მალ.	31 ^ი			32 ^უ
		საშ.		-	33 ^ო	
		დაბ.			34 ^ბ	
9.	თავისუფალი ნაზალიზებული	მალ.	-			35 ^ჟ
		საშ.		-	-	
		დაბ.			36 ^ჭ	
10.	თავისუფალი გრძელი	მალ.	-			-
		საშ.		37 ^შ	-	
		დაბ.			-	

თუ უფრო ენის სმიდანთა
 პერსპექტიული (სივრცობრივი) პარადიგმატყვა
 (რაოდენობა: 37)



თავი IV თუშური ენის თანხმოვანთა სისტემა

§ 1. ბაგისმიერი თანხმოვნები

ის, რომ ქართული ენის 28-ვე თანხმოვნის აბსოლუტური ეკვივალენტია თუშური ენის 28 შესატყვისი, აქსიომად უნდა მივიღოთ და აღარ დავუქვემდებაროთ რამენაირ გადასინჯვას.

გარდა ამისა, ყოველ ნაბიჯზე რომ არ მოგვიხდეს ამის გაპეორებაც, აღვნიშნოთ, რომ, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, თუშურ ენაში არც ერთი თანხმოვანი (არც სპეციფიკური, არც ქართული თანხმოვნების ეკვივალენტური) არც ერთ გარემოცვაში არ ექვემდებარება პალატალიზაციას. რაც შეეხება დაყრუებას, აქაც სალიტერატურო ქართულის იდენტური მდგომარეობა გვაქვს.

ბოლოს, ვიდრე შევუდგებოდეთ თუშური ენის კონსონანტთა განხილვას, უნდა აღვნიშნოთ ერთი მომენტიც. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სულ რაღაც 3 ერთეულს ანგარიშობს ქართულისგან განსხვავებულს, თუშური ენის თანხმოვანთა სიჭარბეს ა. შიფნერი თვალში საცემად მიიჩნევს იმდენად, რომ მათ ადარებს მაღალ მთებს, რომლებიც, გარს შემორტყმულნი, სუნთქვას აძნელებენ (Schiefner, 1859, 1856). თუმცა აქ, ალბათ, უფრო კონსონანტთა ფონეტიკა იგულისხმება, ვიდრე რაოდენობა, თორემ თუშური ენის თანხმოვანთა საერთო რაოდენობა სინამდვილეში 40-ის ფარგლებშია, რომელთა შორისაც არცთუ ცოტაა სპეციფიკური არტიკულაციის მქონე.

ჩვენ აქ წარმოვადგენთ თუშური ენის თანხმოვნების როგორც ფონეტიკურ, ისე ფონოლოგიურ ნიშნებს. დასათაურებას ბირობითად მოვახდენთ წარმოების ადგილის ნიშნით.

ლათინურ (ასევე ქართულ) გრაფიკაში ჩვეულებრივი ხმოვნების კორელატები წარმოდგენილია ოდენ დიაკრიტიკის დართვით იმავე გრაფემებზე. ეს ერთგვარად აადვილებს კორელატების იდენტიფიკაციას, რასაც ვერ ვიტყვით თანხმომცემების შემთხვევაში. ამის გათვალისწინებით თუშური ენის კონსონანტებს და მათ კორელატებს წარმოვადგენთ ლათინური ანდა სატრანსკრიფციო ეკვივალენტებით ფრჩხილებში.

მ (Mm).

ეს თანხმომცემი, როგორც რაგვარობის, ისე წარმოების ადგილის მიხედვით შერეული ბგერაა. ეს არის ბილაბიალური, მჟღერი (სონორული) ხშული ფონემა. მაგრამ მ ამავე დროს ცხვირისეული (ნაზალური) თანხმომცემიცაა. ბაგეების განხშვის მომენტში, რომელიც მიესაუბრება ხასიათს ატარებს, რბილი სასა კვლავაც დაშვებულია და, მაშასადამე, ცხვირის ღრუ – ღიაა, რის გამოც ხდება ფილტვებიდან ამონადენი საფონაციო ჰაერნაკადის ერთდროული „გასროლა“ როგორც პირის, ისე ცხვირის ღრუებიდან, რაც განაპირობებს მის ხასიათს რაგვარობის ნიშნით.

მ-ს წარმოებისას საარტიკულაციო ორგანოები დაჭიმულია, ამიტომაც წარმოითქმის ენერგიულად.

მიუხედავად ცხვირის ღრუს სახით არსებული წინაღობისა მის არტიკულაციაში, სწორედ იმის წყალობით, რომ ბაგეების განხშვამდეც კი ადგილი აქვს საფონაციო ჰაერნაკადის აქტიურ გადინებას ცხვირში, მ თანხმომცემი გამოირჩევა მაღალი მჟღერობით, რაც „კარგად ჩანს სათანადო ოსცილოგრაშიდან. ხშვის მომენტში ყელის სახმო სიმების რხევა იმდენად ძლიერია, რომ ოსცილოგრაშიაზე იძლევა მაღალი სიხშირის დაბალ ამპლიტუდებს, რომლებიც განხშვის მომენტში უფრო იხვეწება, გამოკვეთილი ხდება და ერწყმის მომდევნო ხმოვნის რხევათა მოხაზულობას“,

რის გამოც ჭირს მკვეთრი საზღვრის გაღება ამ სონანტისა და ვოკალთა ოსცილოგრამებს შორის (ჭრელაშვილი, 2002, 67).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ დაბრკოლებათა რაგვარობის მიხედვით ი. ღეშერიევი თუ შური ენის მ და ნ თანხმოვნებს მიიჩნევს შეესაბამებულ (და, მაშასადამე, ხშულ – ა. ბ.) ბგერებად (Дешериев, 1953, 30), ჩვენ უფრო შესაფერისად მიგვაჩნია გ. ახვლედიანისეული ტერმინი – ხშულ-ნაპრალოვანი (ახვლედიანი, 1949, 61). მეტიც, იგი შენიშნავს: ისინი „მეტად უახლოვდებიან ნაპრალოვნებს, რამდენადაც შესაძლებელია მათი გაგრძელება ცხვირის გზით“ (ახვლედიანი, 1949, 44), რაც აკუსტიკურადაც უპრობლემოდ განისაზღვრება.

ამასთანავე, მ და ნ, როგორც ცხვირისეული თანხმოვნები, უპირისპირდებიან ყველა სხვა არაცხვირისეულ, ანუ სუფთა – ორალოურ – თანხმოვანს.

გვხვდება სიტყვის აბსოლუტურად ყველა პიზიციაში.

მ აქტიურ მონაწილეობას იღებს მინიმალურ ოპონიციურ წყვილებში მნიშვნელობის განმასხვავებელი ფონოლოგიური სიდიდის სახით (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): მათხ ‘შე’ – დათხ ‘ტირის’, მელარ ‘სმა’ – თელარ ‘ძლევა’, მილოდრ ‘სცევა’ – დილოდრ ‘რეცხავს’, მოთ ‘ლოვინი’ – ბოთ ‘ქარქაში’, მუყ ‘ტარი/ვადა’ ბუყ ‘წელი (ანატ.)/თაობა’.

ბ (Bb).

ეს არის ბ/ფ/პ სამეულის პირველი წევრი. ბ ბაგისმიერი – წყვილბაგისმიერი – მეწყვილე ძეღერი ხშული ფონემია. მ-სგან განსხვავებით, ბ-ს (აგრეთვე ფ-ს და პ-ს) წარმოებისას ბაგეების განსშვამდე არ ხდება თუნდაც რამენაირი ჰაერნაკადის გადინება

არც პირში და არც, მით უფრო, ცხვირში¹²¹. ამიტომაც წარმოების ადგილის მიხედვით ის ითვლება წყვილბაგისმიერ ორალურ ბგერად.

ბ იწარმოება ძლიერად დახშული ბაგეების ასევე ძლიერი სკდომით. ამ დროს „სახმო სიმები პერიოდულად ჟღერენ, რაც სმენითაც შეიგრძნობა; თუ ყურები დავიცავით თითებით, გავიგონებთ ერთგვარ ზუზუნს“ (ჭრელაშვილი, 2002, 45). ამიტომ ბ არის მეწყვილე მჟღერი თანხმოვანი ბგერა.

კ. ჭრელაშვილისეული დისტრიბუციული მატრიცის მიხედვით, ბ ფონემა დასტურდება ძირეული მორფემის სამივე პოზიციაში. მჟღერობა-სიყრუის თვალსაზრისით ფ და ჰ თანხმოვნებთან ერთად, ბ მონაწილეობს ბ/ფ/ჰ სამეულში.

გვხვდება ასევე აბსოლუტურად ყველა პოზიციაში. ი. დეშერიევის დაკვირვებით, რასაც უსათუოდ უნდა დავეთანხმობთ, ბ შეიძლება იდგეს ხმოვნის წინ თანხმოვნის მიმყოფ, თანხმოვნის წინ ხმოვნის მიმყოფ, იშვიათად – ინტერვოკალში და კიდევ უფრო იშვიათად თანხმოვნებს შორის (Дешериев, 1953, 29).

ბ შედის როგორც ძირის (ფუძის), ისე აფიქსების შემადგენლობაში.

მინიმალური ფონოლოგიური ერთეულის სახით ბ გვევლინება ოპოზიციურ წყვილებში (წარმოვადგინოთ დისტრიბუციული მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ბაქ ‘პირი’ – წაქ ‘ისარი’, ბეხ ‘ბრალი’ – დეხ ‘სავარცხელი’, ბიკ ‘წაიყვანე!’ (ბ კლ.) – დიკ ‘წაიყვანე!’ (დ კლ.), ბოს ‘ფერი’ – დოს ‘შეშა’, ბუდ ‘მუშტი’ – დუდ ‘ცხენები’.

¹²¹ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა დანარჩენი ბგერის არტიკულირებისას, გარდა, რა თქმა უნდა, ნახალური ბგერებისა (როგორც ხმოვნებისა, ისე თანხმოვნებისა), ცხვირის ღრუ ასევე საიმედოდ არის ჩაკეტილი.

ცნობილია და აქვე შეენიშნოთ, რომ ბ თანხმოვანს, დ, ვ, ზ ბგერებთან ერთად, თუშურ ენაში ეკისრება დიდი მორფოლოგიური მისია: ისინი წარმოადგენენ არსებითი სახელის კლას-კატეგორიის მახვენებლებს მხოლოდით რიცხვში¹²², ოღონდ, როგორც ასევე ცნობილია, ისინი განთავსდებიან არა თვით არსებით სახელში, არამედ – ზმნებში, ზედსართავეებში, რიცხვით სახელში ‘*ოთხი*’, რაც მართლაც უნდა ჩაითვალოს იშვიათ თავისებურებად. მაგალითები ბ თანხმოვნისთვის (კლასის მახვენებელი გამოვყოთ ვერტიკალური ხაზით): ბჰსტ ბია ‘*დივი არის*’, ფსტუ ბია ‘*ხარი არის*’, ფჰუ ბია ‘*ძალი არის*’, ქორთ ბია ‘*თავი არის*’, ჯა ბია ‘*ლორი არის*’, ჯორ ბია ‘*ვაშლი არის*’, ბაჯოქ ქორთო ‘*დიდი თავი*’, ბჰიფჟ ფსტუ ‘*ოთხი ხარი*’; ბარსტენო ჯა ‘*მსუქანი ღორი*’, ბჰიფჟ ჯა ‘*ოთხი ღორი*’. აქ ბ კლას-მახვენებელი იმითაც შეიძლება გამოვყოთ, რომ მრ. რიცხვში მას, როგორც ვნახეთ, შეესაბამება სამი მახვენებელი – ბ, დ და ზ:

მნ. რ.

მრ. რ.

ფეთ ბია ‘*ძროხა არის*’ – ჟაბო ბია ‘*ძროხები არიან*’

ჯორ ბია ‘*ვაშლი არის*’ – ჯორი დია ‘*ვაშლები არის*’

ტარკ ბია ‘*თითი არის*’ – ტარკი დია ‘*თითები არის*’

ფორმათწარმოების რთულ პროცესში კლასის მახვენებელი შეიძლება მოყვეს ინლაუტშიც: წა თეგღარ ‘*სახლის კეთება*’ (შდრ. წა დია ‘*სახლი არის*’), კნათ ვიოქვიარ ‘*ბიჭის მოყვანა*’ (შდრ. კნათ ვია ‘*ბიჭი არის*’).

ზოგჯერ, როგორც გამოჩნდა კიდევაც, კლასის ფორმანტი გამეორებულიცაა – იმავე ფორმათწარმოებლობასთან დაკავშირებით: ფეთ ბიოქბიარ ‘*ძროხის მოყვანა*’ (შდრ. ფეთ ბია ‘*ძროხა არის*’).

¹²² მრ. რიცხვს ქვემოთ შევხებით.

სხვა შემთხვევაში ფორმათწარმოების წყალობით შეიძლება ამ მაჩვენებლის გამრავალმაგებაც კი: *მეო ბოქსბოქსანორ 'ძროხას მოიყვანდა თურმე', მეო ბოქსბოქსანორ 'ძროხას მოიყვანინებდა თურმე', კნათ ვოქსვოქსანორ 'ბიჭს მოიყვანდა თურმე', კნათ ვოქსვოქსანორ 'ბიჭს მოიყვანინებდა თურმე'* და ა. შ.

ბ თანხმოდგანი მონაწილეობს აგრეთვე ბრძანებითი კილოს ფორმირებაში; *მღრ. ღო 'წავა' – ღობ 'წადი', ღო 'მისცემს' – ღობ 'მიეცი.', თეგლო 'აკეთებ' – თეგლებ 'აკეთე.', ლექლო 'ავლებ' – ლექლებ 'ავლე.'*

ფ (Pp).

ეს არის ბ/ფ/პ სამეულის მეორე წევრი. ფ ასევე ბილაბიალური ბაგისმიერი ფონემაა. მისი წარმოთქმისას ბაგეები ნაკლებ არის დაჭიმული და ხშვაც უფრო სუსტია, ვიდრე ბ-ს წარმოებისას. ამ დროს ბაგეების განხშვა ხდება ასპირაციის ფონზე. მბგერი იოგების ინდიფერენტული მგომარეობის გამო ფ არის მეწყვილე ყრუ ბგერა. მისი წარმოთქმისას ბაგეები იმაზე უფრო დაჭიმულია, ვიდრე რუსული ენის **п**-ს არტიკულირებისას.

კ. ჭრელაშვილის დისტრიბუციული მატრიციდან ჩანს, რომ ფ „გვხვდება ძირეული მორფემის ფარგლებში და ფუნქციონირებს, როგორც თავიკიდურ, ასევე ბოლოკიდურ პოზიციაში“ (ჭრელაშვილი, 2002, 45). ი. დეშერიევის აზრით, თითქმის არ მონაწილეობს აფიქსაციაში (Дешериев, 1953, 31).

ფ ბგერას ვხედავთ მინიმალურ ფონოლოგიურ წყვილებში დისტინქტური სიდიდის სახით (დისტრიბუციული სიმწყობრე ხუთივე მარტივ ხმოვანთან მიმართებაში აქ ნაკლებია): *ფალ 'ზლაპა-რი' – გალ 'არყი', ფე 'გვერდი/ფერდი' – შე 'მტკაველი', ფეს 'ახლო' – ჰეს 'გამოქვებული', აფქ 'მწვანე' – ახქ 'ნახევრისა]', ფუქლარ 'შებერვა (უბერავს)' – ვუქლარ 'დაზოგვა'.*

ჰ (Pp).

ეს ბ/ფ/პ სამეულის მესამე წევრია და ბ, ფ ფონემათა ჰომორგანული ბგერაა (ჭრელაშვილი, 2002, 46).

ჰ თანხმოვანი წყვილბაგისმიერი მეწყვილე ყრუ ფონემაა და, ტ, წ, ჭ, კ, ყ თანხმოვნებთან ერთად, აბრუბტივული (ე. წ. უსუნთქველი) ბგერაა. ჰ-ს წარმოთქმისას ბაგეები დაჭიმულია და მათი ხშვა იმაზე გაცილებით უფრო ძლიერი და მტკიცეა, ვიდრე ბ-ს და ფ-ს წარმოთქმისას. ჰ-ს ცალკე არტიკულირების შემთხვევაში (როგორც წესი, აუსლაუტშიც) ყელი დახშულია, რადგან მისი არტიკულირებისთვის სრულიად საკმარისია ზესადგამ მილში არსებული (დარჩენილი) ჰაერის მარაგიც. მბგერი იოგები ამ ღროს არ ირხევიან და, მამსადაძამე, ხმა არ წარმოიქმნება, რის გამოც ჰ თანხმოვანი ითვლება მეწყვილე ყრუ აბრუბტიულ (უსუნთქველ) ბგერად.

ჰ ბგერის ხმარების სინშირე ძალზე დაბალია, – შენიშნავს კ. ჭრელაშვილი და განაგრძობს: – ჩვენ იგი დაგადასტურეთ 15 ლექსიკურ ერთეულში; მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება მინიმალური წყვილების დაძებნა, რაც საფუძველს იძლევა, ჰ ფონეტიკური სეგმენტი მივიჩნიოთ ფონემატურ ერთეულად (ჭრელაშვილი, 2002, 46). ეს ოპოზიციური წყვილები მცირეოდენი ცვლილებებით გადმოგვაქვს კ. ჭრელაშვილისგან: პჰჰ ‘ფრთა’ – ბჰჰ ‘წვერი’, პალრ ‘დღეიდან /V დღეს’ – კალრ ‘დღეიდან V დღეს’, პირ ‘ფარა’ – ქირ ‘შრატ’, ლაპ ‘კიბე’ – ლამ ‘მთა’.

ჰ ბგერა იმდენად სუსტად ფუნქციონირებს ზოგ დაღესტურ ენაში, რომ მისი მიჩნევა ფონემურ სიდიდედ იქ დღემდე ჭირს (ჩიქობავა, ..., 1962).

ვ (Vv).

ეს თანხმომავანი კბილბაგისმიერი – ლაბიოდენტალური – მჟღერი ნაპრალოვანი (სპირანტი, ფრიკატიული) ფონემაა, რომელიც, როგორც კ. ჭრელაშვილი შენიშნავს, თავისი ბუნებით დგას საკუთრივ სპირანტებსა (ზ – ს, ყ – შ, ღ – ხ) და სონანტებს, ანუ სონორებს (ლ – მ – ნ – რ) შორის (ჭრელაშვილი, 2002, 73). წარმოითქმის ქვედა ბაგის მიახლოებით ზედა კბილებთან.

გვხვდება ყველა პოზიციაში მეტ-ნაკლები დისტრიბუციული დატვირთვით, თუმცა, როგორც ი. დეშერიევი შენიშნავს, თითქმის არ გვხვდება თანხმომავნებს შორის (Дешериев, 1953, 30). იძლევა კარგად გამოხატულ ოპოზიციურ წყვილებს: ვათხ ‘ტირის’ – მათხ ‘შხე’, ვე ‘ჩეენ’ – ჟე ‘ცხვარი’ (კრებ.), ვით ‘დატოვე!’ – ქით ‘ტიკი’, ვოჰ ‘ვაჟი’ (იტყვიან ქალები) – მოჰ ‘ქალი’, ვუწარ ‘ვაძლომა’ (გ კლასი) – დუწარ ‘ვაძლომა’ (დ კლასი).

ვ თანხმომავნით გამოხატული ვ- აფიქსი წარმოადგენს მამაკაცთა გრამატიკული კლას-კატეგორიის მაჩვენებელს მხ. რიცხვში; ამ კლასს კი სულ რამდენიმე სიტყვა მიეკუთვნება, ესენია: დალ (ვა) ‘ღმერთი (არის)’, წიბრრ (ვა) ‘წმინდანი (არის)’, სტაკ (ვა) ‘მამაკაცი (არის)’, კნათ (ვა) ‘ვაჟიშვილი (არის)’. შესაბამისადვე გაფორმდება კლასის მაჩვენებლით პროფესიათა, თანამდებობათა, საქმიანობათა, სოციალურ მდგომარეობათა, ნათესაურ მიმართებათა და ა. შ. აღმნიშვნელი ყველა სიტყვა; შდრ. (დანარჩენი კლას-მაჩვენებლები საგნებისაა, რომელთა შორისაც ვხვდებით ქალების დ- მაჩვენებელსაც): დირექტორ ვა ‘დირექტორი (კაცი) არის’ – დირექტორ ღა ‘დირექტორი (ქალი) არის’, დონტურ ვა ‘ექიმი (კაცი) არის’ – დონტურ ღა ‘ექიმი (ქალი) არის’, გარგლჟ ვა ‘ახლობელი (კაცი) არის’ – გარგლჟ ღა ‘ახლობელი (ქალი) არის’.

ვ თანხმოვანი, როგორც ჩანს, პატრიარქატიდან მოყოლებული დღემდე უცვლელად ასრულებს მამაკაცის კლას-კატეგორიის ფორმანტის ფუნქციას (დად ვა 'მამა არის'). ეს აფიქსები წარმოადგენენ საგანთა (მათ შორის, ქალებისა და ბავშვების) კლასის მაჩვენებლებს. ამათგან დ თანხმოვანი ტრადიციულად არის მიჩნეული ე. წ. საწყისი ფორმის აღმნიშვნელად, რის გამოც ვოკაბულაში ლექსიკონებში შეტანილია ხოლმე დ-თი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ფეშკარ 'ბიჭუნა', რომელიც თავდაპირველად საგანთა დ კლასს მიეკუთვნება, მხოლოდ გარკვეული ასაკობრივი ნიშნების გამოვლენის შემდეგ ხვდება მამაკაცთა ვ კლასში: ფეშკარ დია 'ბიჭუნა არის' > კნათ (მანდილოსნები იტყვიან: გოჭ) ვა 'ვაჟი შეილი არის'.

§ 2. წინაენისმიერი თანხმოვნები

ნ (Nn).

მ თანხმოვნის მსგავსად, რომელიც უკვე დავახასიათეთ, როგორც რავგარობის, ისე წარმოების ადგილის მიხედვით ნ შერეული ბგერაა. ეს არის წინაენისმიერი, კერძოდ, ენაკბილისმიერი მჟღერი (სონორული) ფონემა. მაგრამ ნ ამასთანავე ცხვირისეული (ნაზალური) თანხმოვანიცაა.

მიუხედავად ცხვირის ღრუს სახით არსებული წინალობისა მის არტიკულაციაში, სწორედ იმის წყალობით, რომ ენაკბილის განხშვამდეც კი ადგილი აქვს საფონაციო ჰაერწაკადის აქტიურ გადინებას სწორედ ცხვირში, ნ თანხმოვანი გამოირჩევა მაღალი მჟღერობით. ჩანს, ნ-ს ვოკალური სონორობა გამოიყენა თუშურმა ენამ იმისათვის, რათა მისი მატარებლებისთვის შეეთავაზებინა ისეთი ფონეტიკური ნიშანი, როგორცაა ხმოვანთა ნაზალიზაცია. იგულისხმება ნ-ს პოზიციის დასუსტება ხმოვნის მიმყოლ, რის გა-

მოც, სუსტდება რა თვით თანხმოვანიც, ის, როგორც ფონეტიკური სეგმენტი, „ნულის ტოლი ხდება. თუმცა უკვალოდ არ ქრება, ის თავის რეფლექსს იძლევა წინამავალ ხმოვანში, რის შედეგადაც ვიღებთ თვისობრივად ახალ ფონემას – ნაზალურ ვოკალს“, რის წყალობითაც თუშური ენის „ფონოლოგიური სისტემა რთულდება ახალი ფონემური ერთეულებით – ნაზალური ფონემებით“ (ჭრე-ლაშვილი, 2002, 68).

ზემოთ ნაზალურ თანხმოვნებს მივაკუთვნეთ მ-ც. მ-სა და ნ-ს გარდა, ყველა დანარჩენი თანხმოვანი თუშური ენისა ორალური წარმოებისაა.

ნ გვხვდება ძირეული მორფემის თავკიდურსა და ბოლოკიდურში. ეს თანხმოვანი, აქტიურ მონაწილეობას იღებს რა მინიმალური წყვილების ჩამოყალიბებაში, გვევლინება მნიშვნელობის განმასხვავებელი ფონოლოგიური სიდიდის სახით. წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან: ნასტ ‘ძლივს/ძნელად’ – წასტ ‘საიღენძი’, ნეთხბ ‘თხელი’ – დეთხბ ‘ატირდა’, ნიტ ‘ჭინჭარი’ – ლიტ ‘ვაწურე!’, ყანოლ ‘სიბერე’ – ყაპოლ ‘სიმწარე’, ვანუდცი ‘ყოფილა აკი’ – ვალუდცი ‘მოდის აკი’.

იმის წყალობით, რომ მისი პირველი საარტიკულაციო ნაწილი მთლიანად ცხვირის ღრუში სრულდება, ნ თანხმოვანი აქტიურად მონაწილეობს თუშური ენის ნაზალიზებული ხმოვნების წარმოებაში. თვალსაჩინოების მიზნით მაგალითებად ავიღოთ შემოსული სიტყვები: ქართ. გონი > თუშ. ენ. გონ > გო, მაწონი > მაწონ > მაწო, ქოთან > ქოთან > ქოთბ, ქონი > ქონ > ქო; ფრანგ. **ballon** – ball[õ] > რუს. **баллон** > ქართ. ბალონი > თუშ. ენ. ბალონ > ბალო, ფრანგ. **balcon** – balc[õ] > რუს. **балкон** > ქართ. (მომავლ.). აქ აშკარად ჩანს ისიც, თუ როგორ ახდენს თუშური ენა შემოსვლის

პროცესში დაკარგული ვოკალური ნაზალიზაციის რენიშაცია და როგორ იცავს მას, როგორც ლინგვისტურ ფენომენს.

რაც შეეხება მის მორფოლოგიურ მისიას, აქ ნ თანხმოვანი ასრულებს მიც. ბრუნვის ფუნქციას ორივე რიცხვში, შდრ. ნანქ 'დედის' – ნანენ 'დედას' – ნანინ 'დედეებს', კნათქ 'ბიჭის' – კნათენ 'ბიჭს' – კნათინ 'ბიჭებს'. სწორედ ნ თანხმოვნის წყალობით ჩამოყალიბდა თუშურენოვანი ნაზალიზებული –წ და –ქ ანთროპონიმული ფორმანტები, რაშიც ასევე იკვეთება ტაბოლოგიური იდენტურობის კონტურები ფრანგულ ონომასტიკასთან.

დ (Dd).

ეს არის დ/თ/ტ სამეულის პირველი წევრი და წინაენისმიერი – ენაკბილისმიერი – მეწყვილე მჟღერი თანხმოვანი ხშული წარმოებისა. მის წარმოსათქმელად წინაენა ებჯინება კბილებს და, ამგვარად იკეტება რა ფილტვებიდან ამონადენი საფონაცო ჰაერ-ნაკადი, ხდება ხშვა, რასაც მოსდევს მექსეული განხშვა და სკდომა. ამიტომ, წარმოების ადგილის თვალსაზრისით, მას ვუწოდებთ წინაენისმიერსაც (აქტიური ორგანოს მიხედვით) და კბილისმიერსაც (პასიური ორგანოს მიხედვით).

დ-ს არტიკულაციაზე უშუალო დაკვირვების დონეზე ცნობიერდება სახმო იოგების ჟღერა, რაც ადასტურებს იმას, რომ აკუსტიკურად (რავგარობით) ეს არის მჟღერი, კერძოდ, მეწყვილე მჟღერი თანხმოვანი.

სხვა თანხმოვნებთან შედარებით, დ-ს ხმარების სინშირე გამორჩეულად მაღალია, რაც დასტურდება კ. ჭრელაშვილის დისტრიბუციული მატრიცით (ჭრელაშვილი, 1975), ანუ მისი დისტრიბუცია არ არის შეზღუდული და გვხვდება ძირეული მორფემის სამივე პოზიციაში.

დ აქტიურად არის ჩართული გრამატიკული კლასის წარმოებაში: ფეშკარ და 'ბაღლი (ბიჭუნა) არის', ფჰორ და 'ვანშაში არის', ჟაგნ და 'წივნი არის', ღოშ და 'სიტყვა არის', ბუნაგ და 'ჭურჭელი არის'.

დ ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებს მინიმალურ ფონოლოგიურ წყვილებში. დ ბერის ფონოლოგიური იდენტიფიკაცია გვაძლევს უფლებას, ის მივიჩნიოთ თუშური ენის ფონოლოგიური სისტემის ფონემურ ერთეულად (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): დაყრ 'ცხედარი, მიცვალებული' – ბაყრ 'კვიცი', დეშრიკ 'გამგონე, მორჩილი' – თეშრიკ 'ღამჯერე, ვინც ადვილად იჯერებს', ღითხ 'ხორცი' – ღითხ 'ხტება', ღოღანორ 'თურმე შერებოდა ხოლმე' – ღოღანორ 'თურმე წავიდოდა ხოლმე', დუჰ 'პირი (იარაღისა)' – მუჰ 'ტვირთი'.

თ (Tt).

ეს არის დ/თ/ტ სამეულის მეორე წევრი და დ თანხმოვნის ჰომორგანული და ჰომოგენური შესატყვისი. მიიღება წინაენის მიბჯენით კბილებზე, რითაც საფონაციო ჰაერნაკადს ექმნება სერიოზული წინაღობა და წარმოიშობა ბერის ხშულობის მომენტი. ხშვას მოსდევს მეყსეული განხშვა ასპირაციის, ანუ ფშვინვის თანხლებით.

თ თანხმოვანი თუშურ ენაში არ განიცდის დისტრიბუციულ შეზღუდვას და გვხვდება ყველა შესაძლო პოზიციაში.

მინიმალური წყვილები საშუალებას გვაძლევს, თუშურ ენაში დავადასტუროთ თ ფონემა (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): თაგარ 'მონღენა' – დაგარ 'ღანახვა', თეკარ 'კერვა' – ქეკარ 'რევა (ირევა)', თიღარ

‘გაცდენა (გასცდება)’ – ხილარ ‘ყოფნა’, თოჰარ ‘ძილი (სძინავს)’ – დოჰარ ‘შისის არქონა’, თურ ‘ხმალი’ – შურ ‘რძე’.

თ მონაწილეობს ზმნური ფორმების მრ. რიცხვის წარმოებაში: დოლ ‘მოდი’ – დოლათ ‘მოდით’, ვალ ‘ჭამე!’ – ვალათ ‘ჭამეთ!’, მა დო (მაშდო < მა იშტ დო ‘ნუ ასე შერები’) ‘ნუ; ნუ შერები’ – მა დოთ (მაშდოთ) ‘ნუ; ნუ შერებით’.

ტ (Tt).

ეს არის დ/თ/ტ სამეულის მესამე წევრი და დ, თ თანხმოვნების ჰომორგანული და ჰომოგენური ეკვივალენტი, „რომელიც მათგან განსხვავდება არტიკულაციის მეტი დაჭიმულობითა და ძლიერი სწევით“ (ჭრელაშვილი, 2002, 48). ტ-ს ცალკე (იზოლირებულად) წარმოთქმის შემთხვევაში (აგრეთვე აუსლაუტში) ყელი – სახმო სიმები – შეიძლება დანშულიც იყოს, რადგან მისი არტიკულაციისთვის სრულიად საკმარისია სამეტყველო ჰაერის ის მცირე ოდენობაც, რომელიც ზესადგამ მიღშია განთავსებული (დარჩენილი). მბგერი იოგები ამ ღროს არ ირხევიან და, მაშასადამე, ხმა არ წარმოიქმნება, რის გამოც ტ თანხმოვანი ითვლება მეწყვილე ყრუ აბრუბტივად.

„ძირეულ მორფემაში ტ ბგერის განაწილება თავისუფალია, გვხვდება როგორც ანლაუტში, ისე ინლაუტსა და აუსლაუტში“ (ჭრელაშვილი, 2002, 49).

ტ-ს დისტინქტური ღირებულება დასტურდება მინიმალური წყვილების საშუალებით (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მმართვებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ტარკ ‘თითი’ – ცარკ ‘კბილი’, ტე ‘ხსენი’ – შე ‘შტკაველი’, ტიგ ‘ხიდი; ლაგიწი’ – გიგ ‘ზურვიით’, ტოტ ‘ხელი’ – ბოტ ‘ცოძი; თიკანი’, დოტურ ‘მიდიოდა’ – დოსურ ‘ხავი-/ხამოვიდოდა’.

ბ (33).

წინაენისმიერი ბ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ ბგერების აფრიკატებად (რთულ თანხმოვნებად) მიჩნევასთან დაკავშირებით, კ. ჭრელაშვილი, ვფიქრობთ, სამართლიანად შენიშნავს, რომ „ამგვარი ინტერპრეტაცია აღნიშნული ბგერებისა მართებული იქნებოდა მხოლოდ გენეტიურ პლანში, რადგანაც შედეგის მიხედვით ისინი ფონეტიკურ ერთეულს უტოლდებიან“ (ჭრელაშვილი, 2002, 50-51). წარმოვადგინოთ ისინი ცალ-ცალკე.

ბ არის წინაენისმიერი სისინა ც და წ აფრიკატების მჟღერი კორელატი, ხშილი. მისი არტიკულირება ხდება წინანუნებთან ენის წვერის მიბჯენის გზით. მართალია, გვხვდება სამივე პოზიციასში, მაგრამ როგორც კ. ჭრელაშვილიც შენიშნავს, ბ გვხვდება ერთობ შეზღუდული რაოდენობის თუშურენოვან სიტყვებში, ესენია: ბაბ ‘სიმი’, ძროლაყრა ‘ბუნიკი’, ძუძრა ‘პატარა გოგონა’, ბაძრა ‘ბაძო’ (ანთრ.), კაძიკ ‘ცოტა’, ძაძლა ‘ძარღვიანი (ხე)’. ჩვენი მხრიდან დავუმატებდით ლექსემას ბაგარ ‘უხეში (ითქმის მატყლზე და მის ნაწარმზე; ვადატ. – ადამიანზე)’.

გარდა მისი შეზღუდული არეალისა, როგორც კ. ჭრელაშვილი შენიშნავს, ეს ლექსიკა პერიფერიულ სფეროს მიეკუთვნება, გარდა ორი სიტყვისა – კაძიკ ‘ცოტა’ და ძაძლა ‘ძარღვიანი (ხე)’, რის გამოც ჭირს ამ თანხმოვნის ფონოლოგიური იდენტიფიკაცია.

ც (Cc).

ც აფრიკატი ბ ბგერის ყრუ ფშვინვიერი კორელატია. წარმოების ადგილის მიხედვით ბ თანხმოვნის ჰომორგანული და ჰომოგენური ბგერაა.

ნუნისმიერი (წინაენისმიერი) მჟღერი ხშილი ც აფრიკატის წარმოება ხდება წინა ნუნებთან ენის წვერის მიბჯენის გზით, როცა მბგერი სიმები არ ჟღერენ.

კ. ჭრელაშვილის ცნობით, ც უპირატესად გვხვდება ანლაუტსა და აუსლაუტში, ინლაუტში კი – იშვიათად (ჭრელაშვილი, 2002, 52).

ც თანხმომავის ფონოლოგიურ (დისტინქტურ) იდენტიფიკაციას ვახდენთ მინიმალური წყვილების მოშეგლიებით (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ცარკ ‘კბილი’ – ტარკ ‘თითი’, ცენეს ‘წლეულს’ – ვენეს ‘ღვინოს’ (გამსჭვ.), დაცირ ‘მოთიბა’ – დატირ ‘ეყარა’, ცო ‘არ / არა’ – ჰო ‘შენ’, ცუ ‘ქუძელი’ – შუ ‘თქვენ’.

ზმნათა მორფოლოგიაში ც თანხმომავანი ასრულებს ‘აკი/ხომ’ ნაწილაკის ფუნქციას, რითაც მოსაუბრეს ეხმარება, თანამოსაუბრე დაარწმუნოს ინფორმაციის რეალობაში: ვალოს ‘მოვდივარ’ – ვალუდცას ‘აკი/ხომ მოვდივარ’, ხეტოს ‘ვეითხულობ’ – ხეტუდცას ‘აკი/ხომ ვეითხულობ’, დაცოს ‘ვთიბავ’ – დაცუდცას ‘აკი/ხომ ვთიბავ’, ლეტ ‘ეხმაება’ – ლეტიც ‘აკი/ხომ ეხმარება’, ხეც ‘იცის’ – ხეციც ‘აკი/ხომ იცის’.

წ (ცე).

ეს არის წინაენისმიერი აბრუბტივი, რომელიც წარმოითქმის ენის წვერის მიბჯენით წინა ალვეოლებზე. ეს ქმნის ძლიერ ხმვას მისი მომდევნო სწრაფი და ასეთივე ძლიერი განხშვით (სკდომით). წ-ს ცალკე წარმოითქმის შემთხვევაში (ასევე აუსლაუტში) ყელი დახშულია: მისი არტიკულირებისთვის სრულიად საკმარისია ზესადგამ მილში არსებული ჰაერის მინიმალური მარაგი. მბგერი იოგები ამ დროს არ ირხვეიან და, მაშასადამე, ხმა არ წარმოითქმება, რის გამოც წ თანხმომავანი ითვლება მეწყვილე ყრუ აბრუბტივად.

წ-ს ფონოლოგიური ღირებულება ვლინდება მინიმალურ წყვილებში (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): წა ‘სახლი’ – სა ‘სული’, წე ‘ცეცხლი’;

სახელი' – ფე 'გვერდი', წინა 'ახალი' – დინა 'ცოცხალი', ლა-
წოდრ 'იტკიებს' – ლაცოდრ 'დაიჭერს', წურ 'მწკრივი' – შურ
'რძე'.

როცა თუშური კილოს -წ 'აკი/ხომ' ნაწილაკზე საუბრობს,
თ. უთურგაიძე (უთურგაიძე, 1960, 59–60) გვთავაზობს ჰ. ხუბუტიას
მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეს უნდა იყოს 'წავიდა' ზმნის
ნაშთი (ხუბუტია, 1941). ეს მოსაზრება ჩვენთვის არც იმდენად და-
მაჯერებელია, თუმცა აქ იმის თქმა უფრო გესურს, რომ გენეალო-
გიური კავშირები იკვეთება თუშური კილოს -წ და თუშური ენის
-ც ნაწილაკებს შორის, სადაც ც-ს კიდევ უფრო მეტი დაყრუების
გზით უნდა იყოს მიღებული წ; შდრ.

თუშ. კილ.: ლეკიწ (<ლეკიც) მყავის მოკლოლი 'ლეკი ხომ მყავს
მოკლოლი'

ვარიწ (<ვარიც) 'ხომ ვარ; აკი ვარ'

თუშ. ენ.: ვარ 'იყო' > ვარიც 'აკი იყო; ხომ იყო'

დალორ 'მოდიოდა' > დალრიც 'აკი მოდიოდა; ხომ
მოდიოდა'

ჯ (ჯჯ).

ეს სამეულთა ჯ/ჩ/ჭ ჯგუფის პირველი წევრია, მქლევი აფ-
რიკატი. იწარმოება ალვეოლებთან ენის მიბჯენით და სწორედ ეს
წარმოადგენს საწარმოთქმო წინალობას – სრულ ხშვას – ფილ-
ტვებიდან წამოსული საფონაციო ჰაერნაკადისთვის. თუმცა ხშვას
მოსდევს განხშვა და სახმო სიმების ვიბრაცია, რის გამოც ჯ ფო-
ნეტიკურად გვევლინება ალვეოლურ მეწყვილე მქლევი თან-
ხმოვნად.

ვეთანხმებით კ. ჭრელაშვილს იმაში, რომ ჯ-ს სინშირე ძალ-
ზე დაბალია და გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვაში: ბეჯ 'თმა',
ბაჯ/ბაჯ 'ქვისლი', ბლაჯ 'ზღარბი', ჯა! 'არიქა!', ჯა 'ქალამანი',
ჯამარ 'ჯამარ' (ანთრ.), ჯარ 'გუნდა (საჭმლისა)', ჯაჯლარ

‘ფოცხი’, ჯელქ! ‘გეთაყვა; მიდი რა!’, ჯიჯ ‘ჩიჩია’ (ბავშვის ენაზე), ჯოყარ ‘კაჭახნი’, ჯულურ ‘ულამაზო’.

„მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო ბგერა ძალზე შეზღუდულია დისტრიბუციულად, – წერს კ. ჭრელაშვილი, – მაინც ხერხდება მინიმალური ფონოლოგიური წყვილების დაძებნა, რაც ჯ ბგერას გამოგვაყოფინებს, როგორც ფონემურ ერთეულს“ (ჭრელაშვილი, 2002, 53): ჯა ‘ქალამანი’ – ღა ‘სიზმარი’, ბეჯ ‘თმა’ – ბედ ‘ცალოკე’, ჯარ ‘გუნდა’ – მარ ‘ქმარი’, ჯოყარ ‘კაჭახნი’ – თოყარ ‘ყოფნა (ეყოფა)’.

ჩ (Čč).

ჩ არის სამეულთა ჯ/ჩ/ჭ ჯგუფის მეორე წევრი, რომელიც ფიზიოლოგიურად ჯ თანხმოვნის ჰომორგანული და ჰომოგენური ბგერაა, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ჩ-ს არტიკულირებისას სახმო სიმები არ ჟღერენ, რის გამოც ის ითვლება ჯ თანხმოვნის მეწვეილე ყრუ კორელატად. გვხვდება ძირეული მორფემის ფარგლებში – ძირითადად ანლაუტსა და აუსლაუტში, უფრო იშვიათად კი ინლაუტშიც.

ჩ-ს ფონემურ ერთეულად გამოყოფის პირობებს ქმნის მინიმალური ფონოლოგიური წყვილები, რომლებშიც მას ვხედავთ დისტინქტური ელემენტის სახით (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ჩა ‘დათვი’ – ტა ‘ბეჭი’, ჩეჩილ ‘ბულოლა’ – ქექილ ‘ჯიში/ჩამოძავლობა’, ჩიმ ‘ფერფლი’ – ქიმ ‘ნესტო’, ჩო ‘ბეწვი’ – ცო ‘არ/არა’, ჩუე ‘შევანი’ – ყუე ‘მტერი’.

ჭ (Čč).

ეს ალვეოლთა ჯ/ჩ/ჭ ჯგუფის მესამე წევრია. მისი არტიკულირებისას ხდება ენის წვერის მჭიდროდ მიბჯენა ალვეოლებზე,

ამ დროს სამეტყველო ორგანოები დაჭიმულია, ხშივად კი – ძლიერი. ჭ-ს ცალკე წარმოთქმის შემთხვევაში (როგორც წესი, აუსლაუტ-შიც) ყელი დახშულია, რადგან მისი არტიკულირებისთვის სრულიად საკმარისია ზესადგამ მილში არსებული ჰაერის მცირეოდენი მარაგიც. მბგერი იოგები ამ დროს არ ირხევიან და, მაშასადამე, ხმა არ წარმოიქმნება, რის გამოც ჭ თანხმოვანი ითვლება მეწყვილე ყრუ აბრუბტიულ ბგერად.

ჭ თანხმოვანი თუშურ ენაში ატარებს დისტინქტურ ფუნქციას, რაც დასტურდება მინიმალური ფონოლოგიური წყვილებით (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ჭარ 'კანი' – მარ 'ქმარი', ჭეკ 'ურდული; სარის ლობიო' – ნეკ 'დანა', დაჭინრ 'დაღრღნილი' – დატინრ 'ნაყარი', ჭოჭ 'პირი/ხახა' – ქოჭ 'შალის საქსოვი ხელსაწყო ნაწილი', ჭაჭურ 'შეხედავდა/ნახავდა' – ჰადურ 'ამას წინებში'.

ქართული ანბანის ბოლო რიგებში მოქცეული ჭ თანხმოვანი ლამის პირველობის პრეტენზიას აცხადებს თუშურენოვან მორფოლოგიაში: ამ თანხმოვნით გამოხატული სუფიქსი აძლიერებს ან აზუსტებს სიტყვის ამა თუ იმ ნიშნის ხარისხს, რაც ქართულად შეიძლება გავიგოთ დაახლოებით ასე – 'მართლა/მართლაც რომ/პირდაპირ/სწორედ/სწორედ რომ/ზუსტად', აგრეთვე 'ბოლომდე/სრულად/მთლად/მთლიანად' და ა. შ. დ. და ნ. ქადაგიძეებს ჭ გაცნობიერებული აქვთ 'ფრიად' ლექსემის ეკვივალენტად: ვუშ დანატოდან გეთარ ღაზქჭ ნიჭ და 'რამის დანატვის ცოდნა ფრიად კარგი ნიჭია' (ქადაგიძე, ..., 1984, 165); შდრ. ღაზქ 'კარგი' (იქვე, 634). ოღონდ უნდა შეინიშნოს, რომ თარგმნის დროს აქ შესატყვისებული მნიშვნელობები ხან ამავე სახით რჩება, ხანაც რამდენადმე სახეს იცვლის. ჭ თანხმოვნით გამოხატული ეს მორფოლოგიური სიდიდე დაერთვის სახელებსა და ზმნისართებს; შდრ. ე გორ ბა 'ეს ვაშლია' – ე გორაჭ ბა 'ეს სწორედ რომ ვაშლ'

ლია', ღანჭი და 'კარგია' – ღანჭი/ღანჭენაჭ და 'სწორედ რომ კარგია', ში და 'ორია' – შიჭ/შიაჭ და 'სწორედ ორია', ჰო ვაჰო 'შენა ხარ' – ჰოჭ/ჰოაჭ ვა 'ზუსტად შენა ხარ', სქ და 'ჩემია' – სქჭ/სქენაჭ და 'სწორედ ჩემია', ღანში და 'კარგად არის' – ღანშიჭ/ღანშიაჭ და 'მთლად კარგად არის' და ა. შ.

გვაქვს 'ნამეტნავად' სემანტიკის მატარებელი დამოუკიდებელი ლექსემა თუშურ ენაში – წყვეტ. მაგრამ თუკი მას დაემატება ჭ-ც, კიდევ უფრო ამაღლდება „ნამეტნაობის“ ხარისხიც (ოდენობა): წყვეტ/წყვეტაჭ/წყვეტ 'ნამეტნავზე კიდევ უფრო მეტად'.

ასე რომ, ჭ სუფიქსი თუშური ენის სახელებსა და ზმნიზედებში თავისი მორფონოლოგიური ღირებულებით იგვივია, რაც, დაეუშვათ, უ-...-ეს(ი) სუფიქსები ქართული ენის ზედსართავებში ანდა -айш-, -ейш- სუფიქსები რუსული ენის ზედსართავებში. ამიტომაც: დ. და ნ. ქადაგიძეებს თუშური ენის ჭ თანხმობით გამოხატული სუფიქსისთვის ზედსართავებში მიუნიჭებიათ 'უ-...-ეს(ი)' მნიშვნელობაც, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმებით: ატანუჭ 'უადვილესი, მეტად ადვილი' (იქვე, 47).

ჭ სუფიქსმა შეიძლება ინფიქსის პოზიციაც დაიკავოს: მომღნეტელბა 'ნამდვილი' > მომღნეტელბა 'მართლა ნამდვილი', ღანჭი 'კარგი' > ღანჭიჭ 'მართლა კარგი' > ღანჭიჭსა 'მართლა კარგივით' ან ღანშიჭიჭ 'მართლა კარგმა/მართლა კარგით'.

კიდევ უფრო საინტერესოა ჭ-ს ფუნქცია კითხვით კონსტრუქციებში: თუ, როგორც ახლა დავინახეთ, თხრობით კონსტრუქციებში ჭ სუფიქსი საგნის ნიშნის ხარისხს დადებითისკენ ზრდის, აქ, პირიქით, აქვეითებს უარყოფითის მიმართულებით; მდრ. ე უხ და? 'ეს რა არის?' – ე უხიჭ/უხაჭ და? 'ეს რა არის ასეთი წაშინელი?', ე მიქ და? 'ეს ვინ არის?' – ე მიქიჭ/მიხაჭ და? 'ეს ვინ არის ასეთი წაშინელი?', მოლუქ დოს დეხნაჩქი? 'როგორი შე-

შა მოიტანე? – მოლოუჭ/მოლოუნაჭ დოს დეცნა[ჰი? ‘როგორი [სა-
შინელი შეშა მოიტანე?’ და ა. შ.

სხვაგან – კითხვით კონსტრუქციებში – ჭ მაწარმოებლის
სათარგმნელად რთული ქვეწყობილი წინადადების აგება ხდება
საჭირო; შდრ.

უხ მოწონდალო ჰაცხუქ ის ჰე ვაშენ? ‘რა მოეწონა ე მაგისი მაგ
შენს ძმას?’ – უხჭ მოწონდალო ჰაცხუქ ის ჰე ვაშენ? ‘[აკი
დიდს არაფერს წარმოადგენს], რა მოეწონა ე მაგისი მაგ შენს
ძმას?’

მელ გუდწრა ბჰარწნენ? ‘რამდენი აჰკიდე ჯორს?’ – მელჭ
გუდწრა ბჰ არწნენ? ‘რამდენი აჰკიდე ჯორს, რომ ასე
გაუჭირდა?’

ჰან ალორ ჰოგორ ის ამბუქ? ‘ვინ ვითხრა ეგ ამბავი?’ – ჰანჭ ალორ
ჰოგორ ის ამბუქ? ‘[აკი არავინ იცოდა], ვინ ვითხრა ეგ ამბავი?’

ზ (Zz).

კ. ჭრელაშვილი თუშური ენის ფონეტიკურ სისტემაში ადას-
ტურებს სპირანტა სამეულეებრივ სისტემას (ჭრელაშვილი, 2002,
54), სადაც მესამე წევრებს წარმოადგენენ ინტესიური თან-
ხმოვნები, რომლებზეც ცალკე გვექნება საუბარი. ეს სამეულეებია:

ზ/ს/ს

ქ/შ/შ

ლ/ხ/ ხ¹²³

ზ იწარმოება წინა ალვეოლებთან ენის წვერის მაქსიმალუ-
რად მიახლოებით, რომლის დროსაც ენის კიდეები ებჯინება
გვერდითა კბილებს, ენის ზურგის გასწვრივ კი წარმოიქმნება
„ერთგვარი არხი“ (ჭრელაშვილი, 2002, 54), რომელშიც მოძრაობს
(გადის) ფილტვებიდან წამოსული საფონაცო ჰაერნაკადი.

¹²³ ცალკე შევხებით აგრეთვე ლ/ხ/ხ ტრიოს.

წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით ზ არის წინააღმდეგობრივი სპირანტი. აკუსტიკურად ზ მეწყვილე მქდერი თანხმოვანია.

ზ თანხმოვნის დისტრიბუცია ერთობ შეზღუდულია და უპირატესად გვხვდება ანლაუტში. მისი დისტინქტური ღირებულება დასტურდება მინიმალური წყვილებით (ჩვენი აზრით, ზი დისტრიბუცია ვერ იძებნება): ზარ ‘ლასტი’ – ჭარ ‘კანი’, ზეგარ ‘ჭამნიკის აღება’ – თეგარ ‘შერიგება’, ზორდარ ‘გაგულადება (გაგულადება)’ – ქორდარ ‘მოვნა’, ზუზ ‘სევდიანი ღიღინი’ – დუზ ‘ტრამალო’.

ს (Ss).

ეს არის ზ-ს ჰომორგანული და მისი მეწყვილე ყრუ კორელატი. ფონეტიკურად ს არის წინააღმდეგობრივი სისინა სპირანტი.

როგორც კ. ჭრელაშვილი შენიშნავს, ზ-სგან განსხვავებით, ს-ს ხმარების სისშირე უფრო მაღალია (ჭრელაშვილი, 2002, 55). უფრო ხშირად გვხვდება ანლაუტსა და აუსლაუტში.

ს თანხმოვანს დისტინქტური ელემენტის სახით ვხედავთ მინიმალურ წყვილებში, რაც მის ფონემურ ერთეულად გამოყოფის საშუალებას გვაძლევს: საგ ‘ირეძი’ – ღაგ ‘სასთუმალი’, თერსერ ‘ხვინვინება’ – თერქერ ‘ირწეოდა’, სივჰე ‘აქეთ’ – დივჰე ‘იქით’, სო ‘მე’ – ჰო ‘შენ’, სუდ ‘ნაკვერჩხალი’ – ბუდ ‘მუშტი’.

ჟ (Žž).

ჟ ბგერის წარმოთქმისას ენის წვერი აწეულია მაღლა და მაქსიმალურად არის მიახლოებული ალვეოლებთან, თავად ენას აქვს ღარისებური ფორმა. მის წარმოთქმას თან სდევს მბგერი იოგების რხევა, ამიტომაც ის აკუსტიკურად მეწყვილე მქდერი თან-

ხმოვანია, წარმოების ადგილის მიხედვით კი – ალვეოლური შიშინა სპირანტი.

ხმარების სიხშირე ჟ-ს არცთუ მაღალი აქვს. უმეტესწილად გვხვდება ძირეული მორფემის ანლაუტსა და აუსლაუტში, ინლა-უტში კი უკიდურესად იშვიათად.

ჟ-ს ფონოლოგიურ იდენტიფიკაციას ვახდენთ მინიმალური წყვილების საშუალებით, სადაც ამ ბგერას აქვს დისტინქტური დატვირთვა: მაჟარ ‘დები’ – მადარ ‘დაფიცება’, ჟერო/ჟერო ‘ქვრივი’ – დერო ‘ქატო’, დაჟირ ‘ძოვდა’ – დახირ ‘იცხოვრა’, ჟომქ ‘არცთუ დიდი’ – ცომქ ‘ცომისა’, დაჟურ ‘ება (შებმული იყო; გაყრილი ჰქონდა)’ – დაწურ ‘ება (შებმული ჰქონდა; მიბმული იყო)’.

შ (Šš).

შ შიშინა სპირანტის (ნაპრალოვანი თანხმოვანის) წარმოებისას ენის წვერი აწეულია ზევით და ქმნის მომრგვალებულ ნაპრალს ნუნებთან (ალვეოლებთან), ამიტომ ამ ბგერასაც მიაკუთვნებენ ალვეოლურ ნაპრალოვნებს.

შ თანხმოვანი, გვხვდება რა ძირეული მორფემის ანლაუტსა და აუსლაუტში, უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ჟ.

შ ბგერა ლექსიკურ წყვილებში ასრულებს მადიფერენცირებელ როლს, რის გამოც გამოიყოფა დამოუკიდებელ ფონემურ სიდიდედ (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): შარ ‘ღო’ – შარ ‘ქმარი’, შე ‘მტკაველი’ – ლე ‘ან’, შირი ‘დამძაღებული’ – ღირი ‘ბასრი’, შო ‘წელიწადი’ – ქო ‘ხელი’, შუ ‘თქვენ’ – ცუ ‘ქუელი’.

ლ (Ll).

თავისი რაგვარობით ეს არის ლატერალური (გვერდითი), უფრო ზედაშიწვენით ბილატერალური (ორგვერდითი) თანხმოვანი, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი წარმოთქმისას წინაენა ებჯინება ზედა კბილებს, ქვედა კბილით ენება რა ქვედა კბილებსაც, საწარმოთქმო ჰაერნაკადი კი გამოდის ენის ორივე გვერდსა და ლოყების კედლებს შორის. ამრიგად, ლ-ს წარმოებისას ხდება ხშვაც (წინაენისა ზედა კბილებთან) და ადგილი აქვს ნაპრალსაც (ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შორის). ამიტომ ამ თანხმოვანს უწოდებენ **შერეული რაგვარობის** თანხმოვანსაც.

კ. ჭრელაშვილის მიერ დამუშავებული დისტრიბუციული მატრიციდან და შესაბამისი საილუსტრაციო მასალიდან ირკვევა, რომ ლ ძირითადად გვხვდება ანლაუტსა და აუსლაუტში, თუმცა ფიგურირებს ინლაუტშიც (ჭრელაშვილი, 2002, 71).

ლ თანხმოვანი ასრულებს მნიშვნელობის მადიფერენცირებულ ფუნქციას, რის საფუძველზეც ლექსიკურ წყვილებში ის გვევლინება დამოუკიდებელ ფონემად (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ლახ 'მოძებნე!' – ნახ 'ხაღნი', ლეთ 'იბრძვის/ჭიდაობს' – ვეთ 'იცის', ლიტ 'გაწურე!' – ნიტ 'ჭინჭარი', ლო 'მისცემს' – ღო 'წავა', თოლურ 'მოერეოდა' – თოყურ 'ეყოფოდა'.

რაც შეეხება ლ-ს მორფოლოგიური ფუნქციებს.

ანთროპონიმებში ის გამონატავს საალერსო, მოფერებით სემანტიკას: ადრ 'ადო' (ანთრ.) – ადალჟ 'ადალოე', ბაბა 'ბაბა' – ბაბალჟ 'ბაბალოე', თედრ 'თედო' – თედოლჟ 'თედოლოე', კოსტა 'კოსტა' – კოსტალჟ 'კოსტალოე', ნან[რ] 'დედა' – ნანა[რ] 'დედილო'.

შესაძლოა, ოდესღაც ასეთი ლ საერთოდაც ფუნქციონირებდა სახელებში, მაგალითად, ვადალ 'ფაშატი' შეიძლება მომდინარეობდეს ფორმიდან ვად, შატალ 'კლდიდან გამოხადენი შავი

სველი მასა ერთგვარი – ფორმიდან შატ, წაწალ ‘penis’ (ბავშვის ენაზე) – ფორმიდან წაწ (შდრ. ქართ. წაწლობა < *წაწალობა < *წაწალ). ამას გვაფიქრებინებს ის რეალობა, რომ გვაქვს, მაგალითად, ვაშრ ‘ძმა’ – ვაშლაყრ ‘ძამიკო’, მაშრ ‘ღა’ – მაშლაყრ ‘ღაიკო’, შიჩე – შიჩლაყრ ‘ღვიდაშვილი’, სადაც, ლ–სთან ერთად ასპარეზზე გამოდის ც–ც. იქ, სადაც – ნასესხებ სიტყვებში – ლ უკვე ფიგურირებს, მოფერების ფუნქცია ეკისრება სწორედ ც–ს: მადრ–ცხლაყრ (< ქართ. მერცხალი), ნამგლაყრ (< ნამგალა), ტორლაყრ (< ტორლოა), სტადფლაყრ (< სტადფილო) და ა. შ.

კ. ჭრელაშვილი თვლის, რომ თხოვნითი კილოს (მისი ტერმინოლოგიით ბრძანებით–კავშირებითი კილოს) მაწარმოებელია –ალ სუფიქსი (ჭრელაშვილი, 2002, 249), თუმცა ჩვენ რამდენადმე განსხვავებულად ვფიქრობთ. კერძოდ, აქ სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ არა –ალ, არამედ –ლ, რადგან, როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს, სხვა შემთხვევაში – როცა სრულხმოვანება უმისოდაც უზრუნველყოფილია, შეიძლება დაიკარგოს ლ–ს წინამავალი ა ხმოვანი, რომელიც, როგორც ჩანს, გაჩენილია ფონეტიკური აუცილებლობით და არა მორფოლოგიური მოთხოვნილებით, რაშიც გვარწმუნებს ფორმები მის გარეშე; შდრ. დაყალ ‘მომეცი რა’ – დაყლე, განა ‘მომეცი რა, აბა’, ვოლალ ‘მოდო რა’ – ვოლლე, განა ‘მოდო რა, აბა’, ლობალ ‘წადო რა’ – ლობლე, განა ‘წადო რა, აბა’. როგორც ვხედავთ, ა ხმოვნის გარეშე დარჩენილი ლ თანხმოვანი სრულიად თავისუფლად შედის დისტრიბუციაში მეორე ლ–სთან და, ასე გასინჯეთ, თვით ინტენსიურ ლ–სთანც კი. გარდა ამისა, ფონეტიკური და არა მორფოლოგიური მისია აქ შეიძლება შეასრულოს არა მარტო ლ–ს წინამავალმა ა ხმოვანმა: ჯა ‘არიქა!’ – ჯალ/ჯელ ‘არიქა რა!’, ჰანე ‘აპა; აბა!’ – ჰანელ ‘აპა, რა; აბა, რა!’, მა თელოგ ‘ნულარ აძლეგ’ – მა თელგელ ‘ნულარ აძლეგ რა’, მა მეყეგ ‘ნულა რჩები’ – მა მეყეგელ ‘ნულარ რჩები რა’.

თხომენით კილოში არ უნდა აგვერიოს ლ თანხმომენით გა-
მონატული 'აბა' შორისდებულის თუშორენოვანი ეკვივალენტი;
შდრ. ფიხს თიხკა'ელ, მაქ ხიწ ოთდებალ! – 'ფიხნი შეუკეთე რა და
ზედ წყალი დადვი რა!' – ფიხს თიხკა'ელ, წე ლაზიმ დასლა –
'ფიხნი შეუკეთე, აბა, ცეცხლი კარვად დაინთება'.

ლ თანხმომენს ხუთივე ძირითადი ხმომენის წინ ვხედავთ აგ-
რეთვე თუშორი ენის კითხვითი კონსტრუქციების, ასე ვთქვათ, ნე-
ტაობით ფორმებშიც: ვახერ 'ცხოვრობდა' – მოჰაკ ვახელრ? 'რო-
გორ ცხოვრობს ნეტავი?', თელე 'სჯობს' – უნაკ თელელრ? 'რა-
ტომ სჯობს ნეტავი?', ხიხრ 'ჯდება' – მაცანაკ ხეხილრ? 'როდის
ჯდება ნეტავი?', თეგოდრ 'აკეთებს' – უხაკ თეგოდორ 'რას აკე-
თებს ნეტავი?', ვუდტრ 'მიღის' – მიჩაკ ვოტულრ? 'სად მიღის ნე-
ტავი?'. აქ –ლ სუფიქსი თავის ამ საინტერესო ფუნქციას ასრუ-
ლებს კითხვით სიტყვებში განთავსებულსა და კ თანხმომენით გა-
მონატულ სუფიქსთან ერთად, რომელსაც შევეხებით უკანაენის-
მიერ თანხმომენებზე საუბრისას.

ლ (წ).

ეს არის სონანტთა ფონემური კლასის წევრი. ლ იგივე ლ
ლატერალია, ოლონდ – მისი ჰომორგანული ყრუ კორელატია.

თუმცა ზოგად ფონეტიკაში შემხნეულია მ და ნ თანხმომენე-
ბის ფონეტიკური დაყრუებაც გარკვეულ პირობებში (ახვლედიანი,
1949, 44), მაგრამ აქ, ისევე როგორც თუშორივე ენის რ თანხმომენის
შემთხვევაში (იხ.: ქვემოთ), საქმე გვაქვს უნიკალურ მოვლენასთან
იმ გაგებით, რომ ხდება იმ ყველაზე სონორი, ანუ სონანტი ლ თან-
ხმომენის ფონოლოგიური დაყრუება, რომელიც, მ, ნ, რ თანხმომენებ-
თან ერთად, თავისი ღიაობით (ბეერასავსეობით) აღემატება ყველა
თანხმომენს და უახლოვდება ხმომენებს (იქვე, 61). ალბათ, ამ განსა-
კუთრებულობამაც განაპირობა მკვლევართა დაინტერესება ამ და

ამის ანალოგიური თანხმონებებით, კერძოდ, მასზე საუბრობენ: ა. შიფნერი (Schiefner, 1859), ნ. ტრუბეცკოი (ტრუბეცკოი, 1972.), გ. მაჭავარიანი (მაჭავარიანი, 1964.), თ. გონიაშვილი (გონიაშვილი, 1976), ლ. სანიკიძე (სანიკიძე, 1968). გ. ახვლედიანი, ჩვეულებრივ ლ-სთან ერთად, იძლევა ყრუ ლ-ს მოკლე ზოგადფონეტიკურ დახასიათებას (ახვლედიანი, 1949, 42-44).

ლ წარმოითქმის ისევე, როგორც ჩვეულებრივი ლ, ოღონდ, მისგან განსხვავებით, უნდა შევასრულოთ ისეთი მოქმედება, როგორსაც ვასრულებთ მაშინ, როცა, მაგალითად, ენის ზურგზე რაღაც მიგვეწებება ხოლმე. ყრუ ლ-ს წარმოსათქმელად საჭიროა წინაენის მიყრდნობით კბილებზე შევასრულოთ ისეთი საწარმოთქმო მოქმედება, როგორსაც შევასრულებდით ზედა წინა კბილებზე ქვედა ტუჩის მიყრდნობისას რუსული ფ-ს, ანდა დასავლეთევროპული f-ს წარმოსათქმელად. ანუ, მარტივად: ლ-ს არტიკულირებისას ყველაფერი სრულდება ზუსტად ისევე, როგორც ჩვეულებრივი (მაგ., ქართული) მჟღერი ლ-ს წარმოებისას; ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ ყრუ ლ-ს წარმოთქმისას ფილტვებიდან დამატებით უნდა „ამოვისროლოთ“ ჰაერნაკადის გარკვეული ოდენობა, რაც – სამეტყველო ორგანოთა მეტ-ნაკლები დახშულობის პირობებში – გვაძლევს არა ხმას, არამედ ხმაურს, ჩქამს. სწორედ ამ ხმაურში, ჩქამში, ფშვინვაშია ლ თანხმონის სიყრუე. ამ ბგერის სწორად არტიკულირებაში ქართული ენის მატარებელს უთუოდ დაეხმარება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ლ-ს დაყრუებას (ოღონდ ფონეტიკურს და არა ფონოლოგიურს) ადგილი აქვს ქართულ ენაშიც ყრუ თანხმონთანა შუა – სახლს [სახლს], ნისლში [ნისლში] (ახვლედიანი, 1949, 42): და არა მხოლოდ ყრუ თანხმონთანა შუა: ბოთლი [ბოთლი], ალთაფა [ალთაფა], ალხობს [ალხობს], ელჩი [ელჩი].

„ლ“ ფონემისადმი ასეთი ინტერესი, – წერს კ. ჭრელაშვილი, – შემთხვევითი არ არის, რადგანაც ივარაუდება, რომ ის უნდა იყოს ნახურ-დაღესტნურ ენათა ერთიანობის დონის ფონოლოგიური სისტემის წევრი, რომელიც ნახურ ენათა სინამდვილეში შემოგვინახა წოვათუშურმა ენამ. თუ ეს თეორია გავიზიარეთ, მაშინ გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ნახურ-დაღესტნურ ენათა საერთო ფონოლოგიური სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის წოვათუშურ ენაში დადასტურებულ ლ ფონემას“ (ჭრელაშვილი, 2002, 72-73).

კ. ჭრელაშვილის დისტრიბუციული ანალიზის მიხედვით, ლ გვხვდება ძირეული მორფემის აუსლაუტში, ხოლო სიტყვის ფარგლებში საერთოდ – ინლაუტშიც. თავისუფლად აწარმოებს ოპოზიციურ წყვილებს (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან):

აღარ ‘თქმა’ – ატარ ‘გაჩუქება (გაჩუქდება)’

თელერ ‘სჯობდა’ – თეჯერ ‘დაეთრეოდა’

აღირ ‘თქვა’ – ატირ ‘გაჩუქდა’

აღორ ‘იტყოდა’ – ათორ ‘ნაყავდა’

დალურ ‘გაუვიდოდა [ძალისხმევა]’ – დაწურ ‘ება/დასდევდა’

თუშური ენის ყრუ ლ-ს დაპირისპირება თავის „წინაპართან“ – მქლერ ლ-სთან:

დაღარ ‘მიცემა’ – დაღარ ‘მოკვდომა’

დაღარ ‘გამოჩენა’ – დაღარ ‘ჭერა’

ზ (Rr).

ზ სონანტთა რიგის წარმომადგენელია. ეს არის ვიბრანტი (მთრთოლი) თანხმოვანი. მისი წარმოებისას ხდება დაჭიმული ენის წვერის ზედიზედ სწრაფი ხმეები ნუნების მიმართ (სწრაფი მიბ-

ჯენები ნუნებთან), რაც იწვევს თრთოლას, ვიბრაციას. ამ დროს ერთდროულად აქვს ადგილი ხშვასაც და ნაპრაღსაც, რაც იძლევა ბგერის გაგრძელების შესაძლებლობას. ამიტომ არის, რომ რ-ს უწოდებენ შერეული რაგვარობის თანხმოვანსაც.

იხმარება რა საკმაოდ ხშირად, გვხვდება სამივე პიზიციაში, იძლევა ოპოზიციურ წყვილებს, რაც ანიჭებს მას ფონემის სტატუსს: რად ‘ჯერი / რივი’ – ჰად ‘შური / ჯიბრი / ქიშობა’, ჰარე ‘წისქვილში’ (ess.) – ჰადე ‘ტვინში’, დარიც ‘აკი იყო’ – დაშიც ‘აკი დნება’, ყარონ ‘წვიმაში’ (გამსჭვ.) – ყაჭონ ‘ძაფზე’ (გამსჭვ.).

რ (r).

ეს იგივე რ ვიბრანტია, ოღონდ – ყრუ. რ წარმოთქმის ისევე, როგორც ჩვეულებრივი რ, ოღონდ, მისგან განსხვავებით, უნდა შევასრულოთ ისეთი მოქმედება, როგორსაც ვასრულებთ მაშინ, როცა, მაგალითად, რაღაც მიგვეწებება ხოლმე არა ენის ზურგზე, არამედ მის წვერზე. ყრუ რ-ს არტიკულირებისას ყველაფერი სრულდება ზუსტად ისევე, როგორც ჩვეულებრივი (მაგ., ქართული) მქლერი რ-ს წარმოებისას; ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ ყრუ რ-ს წარმოთქმისას, ისევე როგორც ყრუ ლ-ს წარმოთქმისას, ფილტვებიდან დამატებით უნდა „ამოვისროლოთ“ ჰაერნაკადის გარკვეული ოდენობა, რაც – სამეტყველო ორგანოთა მეტ-ნაკლები დახშულობის პირობებში – გვაძლევს არა ხმას, რომლითაც მქლერი რ აღიჭურვებოდა, არამედ, პირიქით, ხმაურს, ჩქამს, ფშვინვას. სწორედ ამ ხმაურში, ჩქამში, ფშვინვაშია რ თანხმოვნის სიყრუე. ამ ბგერის სწორად არტიკულირებაში ქართული ენის მატარებელს უთუოდ დაეხმარება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ რ-ს დაყრუებას (ოღონდ ფონეტიკურს და არა ფონოლოგიურს) ადგილი აქვს ქართულ ენაშიც ყრუ თანხმოვანთა შუა – თეთრს [თეთრს], ფითრს [ფითრს], ფიქრს [ფიქრს] (ახვლედიანი,

1949, 40), და არა მხოლოდ ყრუ თანხმოვანთა შუა: თეთრი [თეთრი], ფითრი [ფითრი], ფიქრი [ფიქრი], არჩილ [არჩილ], არხი [არხი], ირხევა [ირხევა].

ამ თვალსაზრისით, სასარგებლო შეიძლება იყოს ცნობაც იმის შესახებ, რომ, როგორც ტიპოლოგიური დაკვირვებები გვიჩვენებენ, მაგალითად, დასავლეთევროპულ ენებში ყრუ **f** თანხმოვნის წინ, ხოლო რუსულ ენაში ყრუ **ф** თანხმოვნის წინ, გარკვეულწილად ყრუ **x** თანხმოვნის წინ, აგრეთვე აუსლაუტისეული პალატალიზაციის პირობებში (**х** ნიშნის წინ) ადგილი აქვს ამ ენების მკდერი **л** (**l/ɫ**) და **р** (**r/p**) თანხმოვნების არაფონოლოგიურ დაყრუებას, რითაც ისინი ფონეტიკურად ემსგავსებიან თუშური ენის ყრუ **ლ** და **რ** ფონემებს.

კ. ჭრელაშვილის მიერ დახასიათებული 41 თუშურენოვანი თანხმოვანი ბგერიდან ერთ-ერთი გახლავთ ყრუ **რ** ვიბრანტი¹²⁴, რომელსაც იგი აძლევს ერთობ საინტერესო შეფასებას. კერძოდ, მკვლევარი, იძლევა რა ამ რთული ბგერის ერთობ ღრმა ანალიზს, ერთი მხრივ, თუშური „ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე“ არ თვლის შესაძლებლად მის დამოუკიდებელ ფონემად მიჩნევას, რაშიც განსაკუთრებით უშლის ხელს მისი დისტრიბუციული მოდელი (ჭრელაშვილი, 1975, 43), ხოლო მეორე მხრივ, სრულიად სამართლიანად მიუთითებს იმაზე, რომ ეს ბგერა თუშურენოვანი მეტყველების ნაკადში გამოიყოფა, როგორც ფონეტიკური ერთეული (ჭრელაშვილი, 1975, 42).

რ ბგერის ამ გარრებული მდგომარეობის მიუხედავად, მეცნიერი საჭიროდ თვლის მის შეტანას ფონოლოგიურ პარადიგმაში (ტაბულაში), ოღონდ – ფრჩხილების თანხლებით, თუმცა, სამწუხაროდ, იქ (ჭრელაშვილი, 1975, 15) ეს ბგერა არ ფიგურირებს. ეს

¹²⁴ ამ ბგერას ზოგჯერ აღნიშნავენ **რჰ** ასოთა ჯგუფითაც, რაც ნაკლებ მისაღებად მიგვაჩნია.

ბგერა არც მის 2002 წლისა და 2006 წლის მონოგრაფიების ტაბულეებშია შეტანილი (ჭრელაშვილი, 2002; ჭრელაშვილი, 2006). სამაგიეროდ მკვლევარს ის შეუტანია 2007 წლის მონოგრაფიის თანხმოვანთა ტაბულაში (Чрелашвили, 2007, 26-27), რაც ამ ბგერის ფონოლოგიურ სტატუსზე მიგვანიშნებს.

კიდევ უფრო საინტერესოა და მკვლევარსაც თავისი ყურადღება სწორედ იმიტომ შეუჩერებია ამ თანხმოვანზე, რომ „ინგუშურში მას უკვე მოპოვებული აქვს ფონოლოგიური სტატუსი“, რაც, როგორც თავადვე ბრძანებს მეცნიერი, „საყურადღებო ფაქტია თეორიული ფონოლოგიის თვალსაზრისით“ (ჭრელაშვილი, 1975, 44).

რ ბგერა უსათუოდ განთავსდება ლ-ს – ასევე ყრუ – თანხმონის წინ: აძრლ ‘ყიხი’; ბარლ ‘რვა’; ვორლ ‘შეიდი’; თარლარ ‘მსვავსება (ჭვავს)’ და სხვ.

რ და ლ თანხმონების უსათუოდ მიმდებარობასთან დაკავშირებით ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს კითხვები: „აქ ფონეტიკურ პროცესთან – ასიმილაციასთან – გვაქვს საქმე თუ ორ დამოუკიდებელ ყრუ ფონემასთან“ (ჭრელაშვილი, 1975, 42)? თუ პირველს დაეუშვებთ, მაშინ რომელია მასიმილირებელი ბგერა? ხოლო თუ – მეორეს, მაშინ ფონოლოგიური მეთოდებით უნდა დასაბუთდეს ცალ-ცალკე თითოეულის დისტინქტური ფუნქცია“ (ჭრელაშვილი, 1975, 42-43).

თუ ფონეტიკურ პროცესს დაეუშვებთ, – განაგრძობს მსჯელობას კ. ჭრელაშვილი, – მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მკლერ რ ვიბრანტს მოსდევს ყრუ ლ ლატერალი (ჭრელაშვილი, 1975, 43).

ასეთ შემთხვევაში უნდა დაეუშვათ რ > რ ფონეტიკური პროცესი.

მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ლ დაკარგულია, რ კი აღჭურვილია იმ სიყრუით, რო-

მელსაც შექნილად გუთვლით. ეს ეჭვქვეშ აყენებს რ > რ პროცესს აქ: სიტყვებიდან მარლ რ ‘ცხვირი’ და ბაქ ‘პირი’ მიღებულია მარ-ბაქი ‘ცხვირ-პირი’, მაგრამ არა მარ-ბაქი (მდრ. მარ-ბაქდერ ‘ქმარ-შვილი’); სიტყვებიდან ვორლ ‘შვიდი’ და ბარლ ‘რვა’ მიღებულია ვორ-ბარლ ‘შვიდი-რვა’, მაგრამ არა ვორ-ბარლ.

მოკლედ, თუკი რ-ს სიყრუის ნიშანი შექნილი ექნებოდა ლ-სგან, „მაშინ სათანადო პოზიციის მოხსნის შემდეგ“ ის უნდა დაეკარგა (ჭრელაშვილი, 1975, 43), რაც არ მომხდარა.

კ. ჭრელაშვილის აზრით, ანგარიშგასაწვეია ის გარემოებაც, რომ თუშური ენის ფონოლოგიური სისტემის სტრუქტურა იგუებს რ-ს ფონემიზაციის პროცესს, რაშიც მკვლევარი გულისხმობს ცარიელი უჯრის შევსებით რ სონანტის ფონოლოგიური შინაარსის გამდიდრების საჭიროებას, კერძოდ, ერთგანზომილებიან პროპორციულ ოპოზიციას რ – რ, სადაც ოპოზიციის პირველი წევრი გამოდის, როგორც მარკირებული – მკლერი – წევრი (ჭრელაშვილი, 1975, 44), რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ამ საინტერესო ბგერის შემდგომი ბედ-იღბლის შესწავლის საჭიროებასაც.

ასეა თუ ისე, იმის გამო, რომ ფონოლოგიურ წყვილებს არ/ვერ იძლევა, რ თანხმოვანს სრულფასოვან ფონემად, ბუნებრივია, ვერ ვცნობთ, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებლად, ანუ მიმყოლი ლ-ს გარეშე ის მაინც გვხვდება (მარ-ბაქი ‘ცხვირ-პირი’, ვორ-ბარლ ‘შვიდი-რვა’), თუშური ენის თანხმოვანთა საერთო სისტემაში ის მაინც შეგვაქვს. რ არ არის ამ ენაში არარსებული რამ: რაკი გვიწევს მასზე საუბარი, მაშასადამე, არსებობს კიდევაც, ამიტომაც ეკუთვნის მას ადგილი თუშური ენის ბგერებს შორის.

§ 3. უკანაენისმიერი თანხმოვნები

გ (Gg).

ველარული, ანუ უკანაენისმიერი გ, ქ, კ თანხმოვნები იძლევიან ხშულთა სამეულს. „წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით ეს ბგერები ერთმანეთის მიმართ არიან ჰომორგანულნი და ჰომოგენურნი“ (ჭრელაშვილი, 2002, 49).

მათი არტიკულირება ხდება უკანაენის მიბჯენის გზით რბილსასაზე, რაც იწვევს ფილტვებიდან ამონადენი საფონაცო ჰაერ-ნაკადის ხშვას შემდგომი მყისიერი განხშევით.

გ თანხმოვნის არტიკულირებას თან სდევს მბგერი იოგების აქტიური ჩართვა-მონაწილეობა არტიკულაციაში და მათი ჟღერა, რის გამოც ის წარმოადგენს მკლერ თანხმოვანს. მაშასადამე, გ ფონეტიკურად არის ველარული ხშული მკლერი თანხმოვანი ბგერა.

კ. ჭრელაშვილის დისტრიბუციული ანალიზის მიხედვით, „ძირეულ მორფემაში გ ბგერის განაწილება თავისუფალია, ფუნქციონირებს როგორც ანლაუტში და აუსლაუტში, ისე მორფემის შიგნითაც“ (ჭრელაშვილი, 2002, 49).

გვხვდება რა მინიმალურ წყვილებში, გ თანხმოვანი ავლენს თავის სოციალურ ფუნქციას (წარმოგადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): გაგ ‘შულო’ – ტავ ‘ტოტი’, გე ‘ციდა’ – შე ‘მტკაველი’, დაგირ ‘დაინახა’ – დალირ ‘მოკვდა’, ყეგორ ‘ტეხდა’ – ყეფორ ‘ყოფდა’, დაგურ ‘ერია’ – დაწურ ‘ება’.

გ თანხმოვანი ასრულებს ‘-ლა’ ნაწილაკის მორფოლოგიურ მისიას, ოღონდ განთავსდება ზმნაში: ცო დაგადა სო ‘არ მინახია’ – ცო დაგადაგ სო ‘აღარ მინახია’ (ზედმიწ. ‘არ მინახიათა მე’), ცო მადაცვოსრ ‘არ მშია’ – ცო მადაცვოგესრ ‘აღარ მშია’ (‘არ მშიალთ’),

ცო ლატქ სოფ 'არ დაძებმარა' – ცო ლატქგ სოფ 'აღარ დაძებმარა' ('არ დაძებმარაღა ძე').

წართქმით კონსტრუქციებში გ თანხმოვანი თავის თავზე იღებს 'საცაა' სიდიდის ფუნქციას, უკუთქმის შემთხვევაში კი, 'არ' ნაწილაკთან ერთად, ინაწილებს 'აღარ' სიდიდის ფუნქციას: დაღრ 'ძოდის' – დაღოგქ 'საცაა ძოვა' – ცო დაღოგქ 'აღარ ძოვა' (ზეღმიწ. 'არ ძოვაღა'), ღქლა 'რჩება (იკუზნება)' – ღქლაგქ 'საცაა ძორჩება (განიკუზნება)' – ცო ღქლაგქ 'აღარ ძორჩება' (ზეღმიწ. 'არ ძორჩებაღა').

ზმნებში გ თანხმოვანი ატარებს 'თითქმის/ღამის [უკვე]' მნიშვნელობასაც: სტაბო და 'შემოდგომა' – სტაბო მაგქ 'ღამის შემოდგომა [უკვე]', ფსარლო და 'საღამოა' – ფსარლო მაგქ 'ღამის საღამოა [უკვე]'.

რიცხვით სახელებთან გ თანხმოვანს ეკისრება '-ოდე/-ძე' ნაწილაკის როლი: იტ 'ათი' – იტეგ 'ათიოდე', ტყა 'ოცი' – ტყაეგ 'ოციოდე'.

იგივე გ ზმნებს ეხმარება უარყოფის გაძლიერებაში: ცო ვაღრ 'არ ძოდის' – ცო ვაღოგქ 'აღარ ძოდის' (ზეღმიწ. 'არ ძოდისღა'), ცო დაყრ 'არ მიირთმევს' – ცო დაყოგქ 'აღარ მიირთმევს' (ზეღმიწ. 'არ მიირთმევსღა').

სხვა შემთხვევაში გ თანხმოვანი, უბრალოდ, ახდენს საგნისა თუ მოქმედების უარყოფით შეფასებას; მაგალითად, კითხვაზე ფსუნან მოჰ და ჰოგო? 'სიღედრი როგორა გყავს?' ზასუნბი შეიძლება იყოს: თენეგქ 'ძლივსღა დაღასღასებს' (შღრ. თენეგქ 'დაღასღასებს').

ქ (Kk).

ქ თანხმოვნის არტიკულირებისას სახმო სიმები, ინდიფერენტულ მდგომარეობაში არი ან რა, არ ჟღერენ. ამიტომ ფონეტიკუ-

რი თვალსაზრისით, ქ არის ველარული ხშული ყრუ ფშვინვიერი ბგერა.

დისტრიბუციულად ის ფიგურირებს ძირეული მორფემის ან-ლაუტსა და აუსლაუტში.

გვაძლევს მინიმალურ უბოზიციურ წყვილებს (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ქაჩ 'საყელო' – ვაჩ 'წილი/ხვედრი', ქესარ 'შრომა' – ლესარ 'გაცრა (ცრის)', ქით 'ტოკი' – ვით 'ეცემა', ქოკ 'ფეხი' – ღოკ 'გული', ქუმ 'ხელა (ცხენისა)' – გუმ 'ხედვისას (როცა ხედავს)'.

კ (Kk).

კ-ს ცალკე წარმოთქმის შემთხვევაში (როგორც წესი, აუსლაუტშიც) ყელი დახშულია, რადგან მისი არტიკულირებისთვის სრულიად საკმარისია ზესადგამ მილში არსებული ჰაერის მცირე მარაგიც. ამ დროს მბგერი იოგები, ინდიფერენტულ მდგომარეობაში არიან რა, არ ირხევიან და, მაშასადამე, ხმა არ წარმოიქმნება, რის გამოც კ თანხმოვანი ითვლება მეწყვილე ყრუ აბრუპტიულ ბგერად. ფონეტიკურად ეს არის ველარული ხშული აბრუპტივი.

კ. ჭრელაშვილის ანალიზის თანახმად, დისტრიბუციულად კ ბგერა შეზღუდული არ არის: გვხვდება სამივე ბოზიციამი (ჭრელაშვილი, 2002, 50).

კ თავისუფლად ქმნის ობოზიციურ წყვილებს, რითაც ავლენს თავის სოციალურ ღირებულებას (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): კატქ 'რბილი/ხვილი' – ტატქ 'სველი', კერჩარ 'ვარვა (ვარავს)' – ჰერჩარ 'ხვევნა (ეხვევა)', კიკ 'მძივი' – დიკ 'ცული', კორ 'ნახშირი' – ცორ 'ცვარი', კურ 'კვამლი' – შურ 'რძე'.

ნეტაობით ფორმებთან მიმართებაში ლ თანხმოვანზე საუბრისას გაკვირით ვახსენეთ კ თანხმოვნის მორფოლოგიური ფუნქციაც.

ზოგჯერ (უარყოფის შემთხვევაში) კ თანხმოვანი იძენს მნიშვნელობას 'კი არა, არამედ': ე ჟე ჰქ და 'ეს ცხვარი შენია' – ე ჟე ჰენაკ ცო და, სე ვაშქ და 'ეს ცხვარი შენი კი არ არის, არამედ ჩემი ძმისაა'; ე ვორ ბა 'ეს ვაშლია' – ე ვორაკ ცო ბა, სხალ ბა 'ეს ვაშლი კი არა არის, არამედ მსხალია'; ესე[ჰ] დილ ის ჟაგნო 'აქ დადე ეგ წიგნი' – ესეჰაკ მა დებლო ის ჟაგნო, შტოლმაქ დილ 'აქ კი ნუ დებ მაგ წიგნს, არამედ მაგიდაზე დადე'.

კ თანხმოვნით გამოხატული სუფიქსი, თავად განთავსდება რა კითხვითი სიტყვის აუსლაუტში, სერიოზულ ცვლილებებს გვაძლევს ზმნაში, რითაც უზრუნველყოფს ნეტაობითი სემანტიკის ჩამოყალიბებას: მქ და? 'ვინ არის?' – მენაკ/მქკ დალო? 'ვინ არის ნეტავი?'; მიჩე[ჰ] ვარაჰო? 'სად იყავი?' – მიჩეჰაკ/მიჩეჰკ ვარლოჰო? 'სად იყავი ნეტავი?'; მოჰ ვახნ? 'როგორ ცხოვრობს?' – მოჰაკ/მოჰკ ვახელო? 'როგორ ცხოვრობს ნეტავი?'; დად მაცჰ ვალო? 'მაშა როდის მოვა?' – დად მაცანაკ/მაცჰკ ვალოლო? 'მაშა როდის მოვა ნეტავი?'

კ თანხმოვანს შეუძლია 'მხოლოდ/ოდენ /მარტო' მნიშვნელობის გადმოცემაც მეტყველებაში: სტაბო[ჰ] 'შემოდგომაზე' – სტაბოჰაკ 'მარტო შემოდგომაზე', სო 'მე' – სოკ 'მარტო მე', ჰო 'შენ' – ჰოკ 'მარტო შენ', ო 'ის' – ოკ 'მარტო ის'.

კ თანხმოვანი გამოხატავს ამა თუ იმ ნიშნის (თვისების) ხშირ გამეორებადობას საგანში: მელოარ 'სმა' – მელორიკ 'მსმელი (აღადმიანი, რომელიც ხშირად სვამს)', აფუშ 'ტყუილი' – აფუშლიკ 'მატყუარა (აღადმიანი)', სერტარ 'ყწევლა' – სერტრიკ 'აღადმიანი, რომელიც ხშირად იწყევლება', ახარ 'ყეფა' – ახრიკ 'ქაღლი',

რომელიც გაუთავებლად იყუფება', დახკდალარ 'ღობობა' – დახკლარიკ 'იოლად ღობობადი'.

კ ატარებს 'საკმოდ/კია' სემანტიკასაც: ე თავდარ ატჯ და 'ამის ვაკეთება ადვილია' – ე თავდარ ატჯკ და 'ამის ვაკეთება საკმოდ ადვილია/ადვილი კია'.

ბოლოს, კ ფონემით გამონატყული ნაწილაკი შეიძლება მოგვევლინოს სიტყვის მნიშვნელობის გამაძლიერებელი ქართული 'კი' ნაწილაკის, ანდა 'კი...და' მონაცემის როლში; შდრ. კაწკოქ 'პატარა' – კაწკოქკ დარ ო წა, ჰაყი? 'პატარა კი იყო ის სახლი, ხომ?'; დუხ 'უკან' (adit.) – დუხაკ ცო დერწდიქგ სოქ ოჯუს ო საწ ტათებქ, სოქთხეყ! 'უკან აღარ კი დამიბრუნა იმან ის ზემი ფული და მე რა ვიცი!'

ჩვენი დაკვირვებით, კ თანხმოდანს თუშურ ენაში გააჩნია, ასე ვთქვათ, ლატერალური ვარიანტიც, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

ღ (ღყ).

ღ არის სპირანტთა ლოკალური ღ/ხ რიგის პირველი წევრი, მიიღება უკანა ენასა და რბილ სასას შორის არსებული ნაპრალით, მკდერია.

კ. ჭრელაშვილის ანალიზის თანახმად, ღ უპირატესად გვხვდება ძირეული მორფემის ანლაუტსა და აუსლაუტში, ინლაუტში კი უკიდურესად იშვიათად, ასევე დაბალია მისი ხმარების სიხშირე (ჭრელაშვილი, 2002, 56).

ღ თანხმოდანის ფონოლოგიური იდენტიფიკაცია დასტურდება მინიმალური წყვილების მეშვეობით, სადაც ის ასრულებს სოცი-ალურ როლს (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოდანთან): ღაგ 'სასთუმალი' – საგ 'ირემი', ღელღ 'სუსტი/უღონო/ძაბუნა' – ღელღ 'იკინა/იკინეს', ღიბ 'რვი-

ლი' (შალის საქსოვი იარაღი) – ლიბ 'მიეცია', ღო 'ღართულის ერთი ძაფი' – შო 'წელიწადი', ბოლურ 'პალო' – ბოტურ 'მიდიოდა/მიდიოდნენ'.

მორფოლოგიაში თუშური ენის ღ აწარმოებს გარდაქცევით (ვეითარებით) ბრუნვას: ვერ 'ქვა' – ვერედ 'ქვად', ხი 'წყალი' – ხიდ 'წყლად', ფოსტ 'მიწა' – ფოსტარდ 'მიწად'.

ხ (Xx).

ხ არის სპირანტთა ლოკალური ღ/ხ რიგის ყრუ წევრი, მიიღება უკანა ენასა და რბილ სასას შორის არსებული ნაპრალოთ. გვხვდება სამივე პოზიციაში და საკმაოდ ხშირად იხმარება მეტყველებაში.

მისი ფონოლოგიური სტატუსი დასტურდება შესატყვისი მინიმალური წყვილებით (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მინიმალურებში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ხა 'ბარკალი/თეძო/ბარბაყი' – ტა 'ბეჭი/მხარი', ხეხარ 'დასხდომა' – დეხარ 'წაქცევა (წაქცევა)', ხი 'წყალი' – ში 'ორი', ლახლო 'სიდაბლე' – ლაგოლ 'სიმაღლე', ხუხალარ 'შეხვრება' – შუხალარ 'მოწონა'.

მორფოლოგიაში ხ თანხმოვანი, ვ-სთან ერთად, მონაწილეობს ასპექტური ოპოზიციების წარმოებაში: ღახარ 'წართმევა (ართმევს)' – ღაგარ 'წართმევა (წართმევს)', კეჭ მახარ 'ღულილი (ღულს)' – კეჭ მაგარ 'აღულება (აღულებს)'.

§ 4. ფარინგალური თანხმოვნები

სამეცნიერო ლიტერატურაში ფარინგალის კვალიფიკაცია ეძლევა Ɔ თანხმოვანსაც (Дешериев, 1953; ჭრელაშვილი, 1975; ჭრელაშვილი, 2002). ამასთან დაკავშირებით ჩვენ რამდენადმე

განსხვავებული მოსაზრება გვაქვს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ჩვენი ანალიზის მიხედვით, თუშური ენის ფარინგალებს წარმოადგენენ კ, ყ, ზ, ჰ.

ვ (Qq).

კ. ჭრელაშვილი (ჭრელაშვილი, 2002, 57) თუშურენოვანი მეტყველების ნაკადში გამოყოფს ჰომორგანულ ვ და ყ ფარინგალებს (შესაბამისი ინტენსიური გ და ყ კორელატებით, რომლებზეც ცალკე ვისაუბრებთ).

ვ ფარინგალის არტიკულირებისას ენის ძირი ებჯინება ხახის კედელს, ანუ ფარიქსს, რითაც ფილტვებიდან ამონადენ საფონაცო ჰაერნაკადს უქმნის წინალობას, რასაც მოსდევს სწრაფი განხშვა.

ვ-ს წარმოთქმისას მბგერი იოგები არ ვიბრირებენ, რის გამოც ის არის ყრუ ბგერა. მაშასადამე, ვ წარმოადგენს ყრუ ფშვინვიერ ხშულ-მსკდომ ფარინგალს.

გვხვდება აბსოლუტურად ყველა პოზიციაში და უპრობლემოდ იძლევა მინიმალურ ფონოლოგიურ წყვილებს (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ვაჯა 'ტყავი' – თათა 'ხმა'; ვეთარ 'ცოდნა' – ლეთარ 'ჭიდაობა/ბრძოლა'; ვივარ 'დახუთვა; მითვისება' – დივარ 'დათესვა'; ვო 'სამი' – სო 'მე'; ვუყდარ 'დაზოგვა; განებფრება' – ფუყდარ 'ბერვა (უბერავს)'.

მორფოლოგიურად ვ-ს შეუძლია '-ოდე' ნაწილაკის ფუნქციის შესრულება რიცხვით სახელთან ში 'ორი': შივ 'ორიოდე'. ზემოთ ვნახეთ, რომ დანარჩენ რიცხვით სახელებთან (ცჰა 'ერთი' რიცხვითი სახელის გამოკლებით) ეს როლი დაკისრებული აქვს ვ თანხმოვანს.

ყ (Qq).

ვ-ს ლოკალური რივისაა ყრუ თანხმოვანი ყ, რომელიც ამავე ღროს აბრუბტივიცაა (უსუნთქველი). კ. ჭრელაშვილის მიხედვით, ყ საკმაოდ გავრცელებული ბგერაა, დასტურდება მორფემის ფარგლებში, ძირითადად თავკიდურსა და ბოლოკიდურში, რამდენიმე შემთხვევაში – ინლაუტშიც (ჭრელაშვილი, 2002, 57).

ყ მონაწილეობს მინიმალურ ოპოზიციურ წყვილებში (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ყარწოლ ‘სიჭრელი’ – დარწოლ ‘სიშიშვლი’, ყესტარ ‘მო შორება (მო შორდება)’ – დესტარ ‘დასიება’, ყივ ‘ყლორტი’ – დივ ‘დათესე!’, ყობყ ‘ფიფქი’ – დობყ ‘ნაცარი’, დაყარ/დაყურ ‘საჭმელი/სანოვავე’ – დაწურ ‘ება/რდა/სდევა’.

ჭ (G).

ჭ ფარინგალის არტიკულირებისას ექსპირატორული არხის იმ წერტილში, სადაც მისი ფორმირება ხდება, „ენის ძირსა და ფარინქსის უკანა კიდეს შორის რჩება ნაპრალი“ (ჭრელაშვილი, 2002, 61), რის გამოც ის წარმოადგენს სპირანტს (ფრიკატივს). ამ ღროს მბგერი იოგები ჰერიოდულად ირხევიან, რაც ჭ თანხმოვანს სიმქდერეს სძენს.

როგორც წესი, ჭ გვხვდება ინლაუტში უსათუოდ ხმოვნის წინ და ხშული და ნახალური თანხმოვნების მიმყოფ, თუმცა მიგნებული გვაქვს რამდენიმე მაგალითი, როცა ეს ბგერა ანლაუტშია: შოო!/ჭოო! (გაკვირვების გამომხატველი შორისდებულია და შეიძლება შევუსატყვისოთ ქართული ენის შორისდებულს ‘ბიჭოო!/ბიჯოო!’), შიოანრ (ეს არის ხმაბაძვითი სიტყვა, რომლითაც გადმოსცემენ დაუმორჩილებლობას; მაგალითად: სჭ ვაშრ ჰამინაყ შიოანრ ეთე ‘ხეძი ძმა ყველას მაგრად უდგება’), შიო! ‘ეგრე!/ეგრე უნდა [მაგას]!’, შიყ! ‘აი [მე რა მაქვს და შენ – არა]!’

ის რამდენიმე ოპოზიციური წყვილი, რომლებიც შ-სთვის არის სადღეისოდ მოძიებული, უცვლელად გადმოგვაქვს კ. ჭრელაშვილიდან (ჭრელაშვილი, 2002, 61): ბჰჰ ‘წვერი’ – ბჟჰ ‘ძროხა’; ტჰ აკ ‘ტალახი’ – ტყაკ ‘მხოლოდ ოცი’.

ჰ ბგერა სხვა შემთხვევაში: ბჰ ა/ბჰ არჩევ ‘მუღაშ’, ბჰ აგალ ‘მეჭეჭი’, ბჰ აკჰ ‘გულა’, ბჰ არა ‘მარყუჟი’, ბჰ არღარ ‘დახვედრება’, ბჰ არღანარ ‘დახვედრა’, ბჰ არკ ‘თვალი’, ბჰ არწოლ ‘სიბრძავე’, ბჰ არწიქ ‘ბრძა’, ბჰ არწიწ ‘ჯორი’, ბჰ ასტ ‘დივი’, ბჰ აოგ ‘ბელტი; ყამირი’, ბჰ აოკ ‘ბოტი/ვაცი’, ღჰ აყ ‘იარა/ჭრილობა/წყლოლი’, ღჰ აჟჰ (ვითომ შესაშინებლად ხმარებული სიტყვაა), ღჰ აჟგარ ‘მოკვლა’, ღჰ აჟარ ‘გრება’, ღჰ აჟღარ ‘დამწყვედევა’, ღჰ აჟყ ‘ღვიძლი’ და სხვ.

ჰ (Hh).

ჰ ბგერას კ. ჭრელაშვილი მიიჩნევს შ-ს ყრუ კორელატად (ჭრელაშვილი, 2002, 62). ამავე დროს ჰ და შ ჰომორგანულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან. ჰ ასევე ნაპრალოვანი თანხმოვანია. მისი წარმოებისას ენის ძირი უახლოვდება ფარინქსის კედელს ისე, რომ მათ შორის რჩება ნაპრალი, საიდანაც ამოედინება საფონაციო ჰაერნაკადი. ამ დროს სახმო სიმები არ ჟღერენ, რის გამოც ჰ არის ყრუ ბგერა.

შეგლევართ ვეთანხმებით ჯერ კიდევ XX ს. 60-იან წწ. გამოთქმულ იმ მოაზრებაში (Гаприндашвили, 1966, 132), რომელსაც იმეორებს კ. ჭრელაშვილი (ჭრელაშვილი, 2002, 62) და რომლის მიხედვითაც, შ და ჰ, ასევე ღ თანხმოვნების წარმოების ადგილის ზუსტი დადგენისათვის საჭიროა რენტგენოგრაფიული გამოკვლევა, ისე როგორც ეს გაკეთდა დარგული ენის შემთხვევაში.

კ. ჭრელაშვილის დისტრიბუციული ანალიზის მიხედვით, თუშური ენის ჰ ძირითადად გვხვდება ძირეული მორფემის თავკიდურსა და ბოლოკიდურში, იშვიათად ჩანს მორფემის შიგნით. სინშირის მიხედვით ჰ-ს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს თუშურ ენაში. მისი ფონოლოგიური მისია მქდაგნდება მინიმალურ ოპოზიციურ წყვილებში: ჰალარ 'ყორანი' – დალარ 'მოსვლა (მოდის)'; ჰედარ 'დაგვიანება' – ჰეტარ 'გაქცევა'; აჰი? 'შენ?' – ასი? 'მე?'; ჰო 'შენ' – სო 'მე'; ჰჟ 'ტყე' – შჟ 'თქვენი'.

ჰ ბგერა სხვა შემთხვევაში: ჰა 'მაშ/მაშინ', ჰაბდარ 'დაძვრა (საქონლისა); ხსენება (ახსენებს)', ჰად 'ტვინი', ჰადბ 'ბავა', ჰათხ 'წინ', ჰაკ 'შუბლი', ჰებდარ 'გახსენება (ახსენებს)', ჰევარ 'თელ-ვა/ზელა/მოქნა/სრესა', ჰჟ 'შენი' და სხვ.

ისტორიულად ჰ არის მე-2 პირის მხ. რიცხვის ზმნური ფორმის მაწარმოებელი, თუმცა ამ ფუნქციით დღეს ის იშვიათად იხმარება: დაჰოჩჰი 'მოგაქვს', ვახეჩჰი 'ცხოვრობ', ვუდტაჩჰი 'მიდიხარ', ლელეჩჰი 'დადიხარ', თეყეჩჰი 'ენეწები' და სხვ.

მორფოლოგიურად ჰ ასრულებს 'თუ' კავშირის როლს; შდრ. და ჰოგო 'გაქვს' – დაჰ ჰოგო... 'თუ გაქვს...', ვუდტო 'მიდის' – ვოტუჰი... 'თუ მიდის...', მადცოგო 'შია' – მადცოჰი 'თუ შია...', ლადჰი 'სტკივა' – ლადჰიჰი... 'თუ სტკივა...' და ა. შ.

§ 5. ლარინგალური თანხმოვნები

ჰ (Hh).

თუშურ ენაში იშვიათად გვხვდება ლარინგალური ყრუ ფშენიერი ჰ სპირანტი, რომელიც დგას ერთ ლოკალურ რიგში ხშულ ც ლარინგართან. ეს იგივე ქართული ენის ჰ ბგერაა ყველა თავისი ნიშან-თვისებით, იმითაც კი, რომ ნელ-ნელა ტოვებს სამეტყველო ასპარეზს.

კ. ჭრელაშვილის კვლევის თანახმად, ჰ გვხვდება მხოლოდ ანლაუტში და ისიც ხმოვნის წინ (ჭრელაშვილი, 2002, 66).

მიუხედავად ამგვარი დისტრიბუციული შეზღუდულობისა, მაინც თავისუფლად იძებნება მინიმალური ოპოზიციური წყვილები (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივი ხმოვანთან): ჰაჲ ‘პო/კი/ღიახ’ – ხაჲ ‘ღაჯექი!’, ჰერწრ ‘ქეაბი’ – ჰერწრ ‘ართავს’, ჰიკ ‘ტარი’ – დიკ ‘ცული; წაიყვანე!’, ო/ჰო ‘ის’ – დო ‘შერება’, ჰუგ ‘თესლი’ – ჩუგ ‘ფაშვი/შიგნეული’.

რაც შეეხება მორფოლოგიას, ჰ მონაწილეობს ნაცვალსახელებისა და ზმნისართების კნინობითი ფორმების წარმოებაში; შდრ. ეგუს ‘ამან’ > ჰაგუს ‘ემან’, იცხუნ ‘მაგას’ – ჰაცხუნ ‘ე მაგას’, ეგარნ ‘ამათ’ (მიც.) – ჰაგარნ ‘ემათ’, ისი ‘მანდ’ – ჰასი ‘ემანდ’, იშტ ‘ასე’ – ჰაშტ ‘ემგვარად’, იშტჲ ‘ასეთი’ – ჰაშტჲ ‘ემგვარი’.

ჲ (’).

საკმაოდ ბევრი ითქვა უკვე ჲ ლარინგალზე იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში. ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვის ანალიზისას ჩვენც საკმაოდ დაწვრილებით ვისუბრეთ მასზე. თუმცა არ ვთვლით, რომ საკითხი ამით ამოიწურა – მას უსათუოდ დავუბრუნდებით მომავალშიც. ამჯერად კი წარმოვადგენთ ამ თანხმოვნის ყველაზე ტრადიციულ დახასიათებას.

თ. უთურგაიძის მიხედვით, „ჲ არის ლარინგალური ბგერა, ე. ი. სახმო სიმებისმიერი ხშული... კონფიგურაციულად რომ მომდევნო ან წინმდგომ ხმოვანს ჰგავს, ეს ერთხელ კიდევ უსვამს ხასზ ამ ბგერის ლარინგალურობას“ (უთურგაიძე, 1966, 21).

„მიკროფონისა და ლარინგოფონის სინქრონიული ჩანაწერით, – განაგრძობს მკვლევარი, – ნათელი ხდება, რომ უ არის მკვლერი ბგერა“ (უთურგაიძე, 1966, 21)¹²⁵.

რაც შეეხება უ-ს დისტრიბუციასა თუ ფონოლოგიას.

თავისი დასკვნებით თ. უთურგაიძე ეყრდნობა დისტრიბუციულ ანალიზს სრულიად სიტყვის პარამეტრებში, კ. ჭრელაშვილი კი – ანალიზს ძირეული მოფემის ფარგლებში, რის გამოც, როგორც კ. ჭრელაშვილიც ბრძანებს (ჭრელაშვილი, 2002, 64-65), შედეგებიც განსხვავებული გამოდგა: პირველი ანალიზის მიხედვით, უ გვხვდება სამივე პოზიციაში, მეორის მიხედვით კი – მხოლოდ აუსლაუტში. ჩვენთვის მისაღებია ორივე სურათი: მთავარია გიცოდეთ, რაში რა ძვეს.

გამომდინარე ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვებებიდან ანლაუტის ხმოვანთა შემართვაზე – არა მხოლოდ თუშურ ენაში (რანეტ უკვე იყო ვრცელი საუბარი), კ. ჭრელაშვილის კვალდაკვალ ვერ ვაფიზიარებთ თ. უთურგაიძის მოსაზრებას (უთურგაიძე, 1966, 45) იმის შესახებ, თითქოს თუშური ენის ანლაუტში უ უნდა გამოიყოს ფონემის სახით, თუმცა ვერც კ. ჭრელაშვილს (ჭრელაშვილი, 2002, 65) დავეთანხმებით იმაში, რომ თუშური ენის ამავე პოზიციაში უ ვერ გამოიყოფა, როგორც ფონეტიკური ერთეული. თუკი აქ შევჯერდებით კ. ჭრელაშვილის დებულებაზე იმის შესახებ, რომ თუშური ენის ძირეულ მორფემაში ფონემის სახით უ გვხვდება მხოლოდ აუსლაუტში, შეიძლება ოპოზიციური წყვილების წარმოდგენაც (წარმოვადგინოთ დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე მარტივ ხმოვანთან):

ლაჟარ ‘ნდომა’ – ლაცარ ‘გამორთმევა’

ხესერ ‘იცოდა’ – ლესერ ‘სურდა’

¹²⁵ ა. დეშერიევი ლრინგალურ უ-ს მიიხედავს ყრუ ბგერად (Дешериев, 1953, 31), რასაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით.

ხეყირ 'ჯღღებოდა' – ხეთირ 'აზოვა'
დშაყო 'ანთებ/დაანთებ' – დშაპო 'ართავ'
ხაყურ 'დაჯღღებოდა' – ხაბურ 'ობი'

ჟ თუშური ენის ის ბგერაა, რომელსაც ვაცნობიერებთ ქარ-თულენოვან აყ, არაყ სიტყვებში. იგივე ბგერა გვაქვს, მაგალითად, რუსულენოვან სასაუბრო **ой!** 'უე!' სიტყვის აუსლაუტში და ა. შ. რუსულენოვანმა ბავშვმა **кукуруза** 'სიბინდი' ლექსემის მნიშვნელობით შეიძლება თქვას **у'юза** ['y'y]юза (ქართული გრაფიკით: უყუფუზა [ყუყუფუზა]). როგორც ჩანს, ხშულ-მსკდომი კ-ს ჩანაცვლება ხშულ-მსკდომივე ჟ-თი მეტყველებისთვის არცთუ იმდენად უცხო მოვლენაა; შდრ. თუშ. ენ. ხორშაყრ < ქართ. ხორშაკი (ქადაგიძე, ..., 1984, 816).

თუშური კილოსთვის წარმოდგენილია ლექსემები ხმოვნის წინამავალი თავკიდური ჟ-თი, ანუ ხმოვნის ძლიერი (მაგარი) შემართვით: **ყაყიქ** 'იქ/აი იქ', **ყაყგ** 'ავრე', **ყაყხლ** 'ახლა' და სხვ. (უთურგაიძე, 1960, 223).

ჩვენთვის სრულიად გასაგებია ჟ ფონემის როგორც ბუნება, ისე ადგილი ინლაუტსა თუ აუსლაუტში, მაგრამ სრულიდ გაუგებარია ინლაუტში – არა მხოლოდ თუშური კილოსთვის, ანდა თუშური ენისთვის, არამედ საერთოდ: სოცილოურად (დისტინქტურად) რას დაკარგავს ამ ტიპის სიტყვა, თუკი დავწერთ (და, მაშასადამე, წავიკითხავთ) თავკიდური ჟ-ს გარეშე, ანუ პირიქით, რას იძენს ასეთი სიტყვა ჟ-ს დაწერის (და, მაშასადამე, წაკითხვის) შემთხვევაში? თუ – არაფერს, მაშინ სულერთი უნდა იყოს, დავწერთ და წავიკითხავთ მას თუ არა, ხოლო, თუ სიტყვა კარგავს, ან იძენს რამეს, სოციალოურად ღირებულს, მაშინ საქმე გვექონია არა უბრალოდ ხმოვნის ამა თუ იმ (ამ შემთხვევაში – მაგარ) შემართვასთან, არამედ რამდენადმე სხვა ფაქტთან. ვფიქრობთ, არანაირ დახასიათებას არ გვაძლევს, როცა, მაგალითად, თუშური კილოს

(ანდა თუშური ენის) **ც**-ზე საუბრისას, ვამბობთ, რომ ეს ბგერა გვხვდება (ცნობილია და ა. შ.) ზანურშიც, ინგილოურშიც, აჭარულშიც და სხვ. ეს დედუქციას უფრო ჰგავს, რადგან, როგორც გვეჩვენება, ამ ლარინგალის სრული აღწერა ჯერაც არ ჩატარებულია (არა მხოლოდ თუშურ კილოსა თუ თუშურ ენაში).

კერძოდ, თ. უთურგაიძის მიხედვით, თუ თუშურკილოვან ან-ლაუტისეულ „ხმოვანს მოსდევს მკვეთრი **ც**“, მაშინ ეს ანლაუტისეული ხმოვანი(ც) მაგარშემართვიანია: **ცრცყვან** (< * **ცაყყვან**), **ცნწყილ** (< ***ცაყაცილ**) და სხვ. (უთურგაიძე, 1960, 14).

მორფოლოგიურად თუშური ენის **ც** ლარინგალი წართქმით კონსტრუქციებში ასრულებს ‘-ვე’, ‘-ისევ/კვლავ’ ნაწილაკების, ხოლო უკუთქმის შემთხვევაში ‘-ც კი’ სიდიდის ფუნქციას; შდრ. ნანას ცუაყ თელძ თხიძ ‘*დედამ ისევ ქუძელი გვაჭამა*’ – ნანას ცუაყ ცო თელძ თხიძ ‘*დედამ ქუძელიც კი არ გვაჭამა*’; თხე ათავ დეთხ ლიტრაყ ებწრ, შუჩოვ მწ ში ლიტრაყ ცო თელძ ‘*ჩვენი ძროხა ისევ ექვს ლიტრს იწველის, თქვენი კი ორ ლიტრსაც არ იძლევა*’. ‘-ც კი’ ფუნქციის შესრულება **ც**-ს შეუძლია წართქმით წყობაშიც: აფთარ ესერეჩრ ჰუნახეყ და ‘*აფთარი აქაურ ტყეებშიც კი არის*’ (ქადაგიძე, ..., 1984, 49).

ც ლარინგალი, ხ-სთან და ჰ-სთან ერთად, ზმნებში არეგულირებს მიმართულებებს აქეთ და იქით: დაყარ ‘*მოსვლა/მოტანა*’ – დახარ ‘*წასვლა*’/დაჰარ ‘*წალება*’, დაყითარ ‘*გამოტანება/გამოშვება*’ – დახითარ ‘*გაშვება*’/დაჰითარ ‘*გატანება*’.

ც ლარინგალი ზოგჯერ მონაწილეობს ზმნის ასპექტური ფორმების წარმოებაშიც: დაღარ ‘*სვლა აქეთ*’ – დაყარ ‘*მოსვლა*’, დაღარ ‘*მოყვანა (მოპყავს)*’ – დოყდარ ‘*მოყვანა (მოიყვანს)*’.

ყ, გოგუხ/გოგის 'ირგვლივ' ზმნისართთან ერთად, გამო-
ხატავს განფენილობის სრულ მოცულობას: გოგუხუყ 'ირგვლივ
მთლიანად, სრულად'.

ყ კარგად ითავსებს კნინობითობის ფუნქციას: ბურუკ – ბურ-
კაყრ 'ბურგაკი', ლეგჭ 'ლეგანი' – ლეგნაყრ 'ლეგანიკო', ას 'ბოხო-
ლა' – ასაყრ 'ბოხოკა', ლაც – ლაცაყრ 'განუფითარებლობის გამო
მცირე ზომის ნაშეირი'. ყ ლარინგალი აწარმოებს ისეთ კითხვით
კონსტრუქციას, რომელიც თანამოსაუბრეთაგან ვინმეს მიერ ნახ-
სენები საგნის რაობას აზუსტებს:

– ფსარე ვაშ ვარ სოცტ 'ვუშინ ძმა იყო ჩემთან'.

– ვაშოყ? 'ძმაო?'

ბოლოს, უნდა ითქვას, რომ თანხმობანთა მორფოლოგიური
უნარები ჯერაც შესასწავლია.

§ 6. ლარინგ-ფარინგალური თანხმობანი

(ღ = ყ + ჭ, ანუ ღ = ყ & ჭ)

ღ (*).

ამ სიდიდის „ფონოლოგიური ღირებულების შესწავლა და
გარკვევა, – წერს კ. ჭრელაშვილი, – მნიშვნელოვან წვლილს შეი-
ტანდა ნახურ ენათა ფონოლოგიურ სისტემათა სრულყოფილად
შესწავლაში“ (ჭრელაშვილი, 2002, 60). სრულად ვეთანხმებით
მეტნიერის ამ მოსაზრებას, რომელშიც თავისთავად შეიძლება ვი-
გულისხმობთ ისიც, რომ ღ–ს ფონოლოგიური ღირებულება ჯერაც
არ არის ბოლომდე შესწავლილი. ბაცბოლოგია ღ სიდიდეს ერთ
შემთხვევაში მიიჩნევს ლარინგალურ, ანუ ხორხისმიერ (Дешериев,
1953, 29), ხოლო მეორე შემთხვევაში ფარინგალურ, ანუ ხახისმიერ
თანხმობანად (ჭრელაშვილი, 2002, 58–60). ი. დეშერიევიც და კ.

ჭრელაშვილიც ამ ბეგრას თვლიან ხშირად თანხმობენ (Дешериев, 1953, 29; ჭრელაშვილი, 2002, 61).

ამ მართლაც საკმაოდ რთულ საკითხზე სხვა დროს უსათუოდ დაგვჭირდება უფრო დეტალური საუბარი, სპეციალური გამოკვლევის ღირსია აგრეთვე თუშური ენის **ღ** თანხმობის ა. შიფნერისეული ხედვაც, ამჯერად კი შემოვიფარგლოთ ამ ბეგრის ყველაზე აუცილებელი დახასიათებით.

წინასწარ შევნიშნოთ, რომ თუშური ენის ამ ფონეტიკური სიდიდის დაშლადობა თავის დროზე გააცნობიერა ჯერ მ. მიქელაძემ, ხოლო შემდგომ – მისგან სრულიად დამოუკიდებლად წინამდებარე ნაშრომის ავტორმა.

ღ-სთან დაკავშირებული, ჩვენი აზრით, გაუგებრობა (და არა სიძნელეები) გამოწვეულია არა იმით, რომ მისი წარმოების ადგილი ფარინქსის უკანა არეშია – ფარინქსისა და ლარინქსის საზღვართან (ბირიქით, თუკი ეს მაინც არის გარკვეული, ხელსაც კი გვიწყობს მის სწორ კვალიფიკაციაში), არამედ – იმით, რომ ღ-ს დღემდე სწავლობენ არა როგორც შესაძლო ორ, არამედ როგორც ერთ ბეგრას. ასეთ შემთხვევაში მისთვის ერთიანი განმარტების მისადაგება ისევეა არათუ ძნელი, არამედ შეუძლებელიც კი, როგორც, დაფუძვით, ისეთი სიდიდეებისთვის, როგორიცაა ლათინური **x** (ქართულად ქს), ზოგადად დასავლეთევროპული **x** (ქართულად ქს), ანდა ბერძნული **ξ** (ქართულად ქს) და ბერძნულივე **ψ** (ქართულად ფს).

როცა ეს უცხოური ფონეტიკური სიდიდეები შემოტანილი იქნა არაევროპულენოვან, მაგალითად, ქართულ სამეცყველო სივრცეში, ამით თითქოსდა ჩატარდა ერთგვარი „ბუნებრივი (უნებლიე) ტიპოლოგია“ იმ ვაგებით, რომ ამ – ახალ – სივრცეში უფრო თვალსაჩინო გახდა მათი სტრუქტურა, რაც დადასტურდა კიდევაც ქართული გრაფიკით: ქართულმა წერილმეცყველებამ ისინი

გადმოსცა ორ-ორი გრაფემით, რითაც ისიც დადასტურდა, რომ თითოეულ ევროპულენოვან გრაფემაში საქმე გვაქვს თურმე არა თითო, არამედ ორ-ორ ბგერასთან: $\mathbf{x} = \text{ქ} + \text{ს}$, $\xi = \text{ქ} + \text{ს}$, $\psi = \text{ფ} + \text{ს}$

ეს რეალობა უკვე იძლევა იმის საუკეთესო მაგალითსაც და საშუალებასაც, რომ ცალ-ცალკე დახასიათდეს ქ, ს და ფ ბგერების შესატყვისები თვით ევროპულ სამეტყველო რეალობაში.

ღ ასევე შედგება ორი ბგერითი ერთეულისგან. მის დასაშლელად დისტანციური გემინირებული ოკლუზია (\mathbf{DX}) უნდა მოვიშველიოთ.

რაკი – თუშური ენის ფლობის კვალობაზე – გვაქვს ვარაუდი იმისა, რომ ღ-ს პირველი შემადგენელი ბგერა (ელემენტი) უნდა იყოს ც ლარინგალი, გასაანალიზებელი შესიტყვევებისთვის პირველ წევრებად უნდა შევარჩიოთ და მათით შევამოწმოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც მთავრდება ც-ზე. ეს გვაძლევს საშუალებას ავაგოთ ასეთი სამეტყველო სიტუაციები (წარმოვადგინოთ დისტრიბუციული მიმართება ხუთივე მარტივ ხმოვანთან): ბაყ ღაბიკ ‘*მომეცი კოვზი!*’; ლეყ ღელახკა ‘*უნდათ [და]სხდომა!*’; მაყ ღოკ ‘*მომეცი ნამცხვარი!*’; ლეყ ღირღა ‘*უდა [რომი] გაღესოს!*’; დენიყ ღუნალ ‘*მთელი ჯამავირი!*’.

ახლა ეს მონაცემები, სადაც უსათუოდ აქვს ადგილი დისტანციურ გემინირებულ ოკლუზიას (\mathbf{DX} -ს), დავამუშაოთ ტრანსკრიფციულად, ოღონდ სიტყვა გავწყვიტოთ იქ, სადაც კი გაჩნდება უბგერო მომენტი: ბაყ ღაბიკ [ბა \mathbf{DX} ყ...], ლეყ ღელახკა [ლე \mathbf{DX} ყ...], მაყ ღოკ [მა \mathbf{DX} ყ...], ლეყ ღირღა [ლე \mathbf{DX} ყ...], დენიყ ღუნალ [დენი \mathbf{DX} ყ...].

დავაზუსტოთ: აქ სახმო სიმები გვაქვს არა უკვე ც-ს წარმოთქმულ, არამედ ჯერ კიდევ მის წარმოსათქმელად მომზადებულ – დახშულ – მდგომარეობაში და როგორც კი განვანშობთ მათ, სისრულეში მოვა ც-ს არტიკულაციაც. ის ლარინგალური ც, რომელიც მოსდევს დისტანციურ გემინირებულ ოკლუზიას, არის

ამ შესიტყვებათა ყოველი მეორე წევრის ანლაუტისეული ბგერა, ანუ ღაბიკ 'კოეზი', ღამიღ 'სწავლა', ღელახკა 'ღდა/სხდომა', ღეფ 'სირცხვილი', ღოკ 'ნამცხვარი', ღოფღებ 'ღაფაფარი', ღირღა 'გალესვა', ღიტარ 'სირბილი', ღუნალ 'ჯამავირი', ღუე 'მწყემსი' სიტყვებისა თუ ფორმების ანლაუტში (ღ-ს შემადგენლობაში) პირველი უსათუოდ ც ბგერაა.

თუკი გავაგრძელებთ შეწყვეტილ არტიკულაციას, ანუ, თუკი გამოვალთ უბგერო მდგომარეობიდან, ის, ვინც იცნობს ჩვენ მიერ აქ ნაგარაუდევ ბგერას, ვარაუდების გარეშეც უსათუოდ ამოიცნობს ფარინგალურ შ-ს: ღაბიკ [ცშ აბიკ] 'კოეზი', ღელახკა [ცშ ელახკა] 'ღდა/სხდომა', ღოკ [ცშოკ] 'ნამცხვარი', ღირღა [ცშირღა] 'გალესვა', ღუნალ [ცშუნალ] 'ჯამავირი'.

ამიტომაც გაჩნდა აქ წარმოდგენილი შესიტყვებების წევრების საზღვრებზე დისტანციური გემინირებული ოკლუზია. **DX**-ის ერთადერთი მიზეზი გახლავთ ზედიზედ მისული ორი ც (ცც) ლარინგალი, რომელთაგან ერთი არის ყოველი შესიტყვების ყოველი პირველი წევრის აუსლაუტში, ხოლო მეორე განთავსებულია ყოველი მეორე წევრის ანლაუტში.

ახლა ბოლომდე წარმოვთქვათ შესიტყვებათა ის მონაკვეთები, რომელთა წარმოთქმაც ზემოთ გავაფორმეთ უბგერო მდგომარეობებით, ანუ განვახშოთ მბგერი იოგები და, ამასთანავე, დავასრულოთ შესიტყვებების/სინტაგმების არტიკულაციაც: ბაც ღაბიკ [ბა**DX**ცშაბიკ]; ლეც ღელახკა [ლე**DX**ცშელახკა]; მაც ღოკ [მა**DX**ცშოკ]; ლეც ღირღა [ლე**DX**ცშირღა]; ღენიყ ღუნალ [ღენი**DX**ცშუნალ].

მამასადამე, თუშური ენის Ⴚ ფონეტიკური სიდიდე შედგება ორი ბგერისაგან, რომელთაგან პირველია ხშული ც ლარინგალი, ხოლო მეორე – ნაპრალოვანი შ ფარინგალი, ანუ Ⴚ = ც + შ, ანდა Ⴚ = ც & შ (' = ' + Ⴚ, ანდა ' = ' & Ⴚ).

გამოდის, თუშური ენის **ღ** არის აფრიკატი, შერეული, რთული, ანუ **ხშულ-ნაპრალოვანი** თანხმოვანი, რომლის პირველი ნაწილის არტიკულაცია ხდება **ლარინქსში**, მეორისა კი – **ფარინქსში**. თუშური ენის ეს აფრიკატი სერიოზულად განსხვავებულია ჩვენთვის ცნობილი, მაგალითად, ქართული ენის **ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** აფრიკატებისგან, რომელთა დაშლაც დღეს პრაქტიკულად ვეღარ ხერხდება.

ამრიგად, თუშური ენის **ღ** შედგება სრულიად განსხვავებული ბგერებისგან როგორც წარმოების ადგილის, ისე წარმოების წესის მიხედვით. აქ უსათუოდ დგება სხვა საკითხი: თუშური ენის **ღ** ოდენ ფონეტიკურად არის დაშლადი თუ შედგება დამოუკიდებელი ფონემებისგან? იმისათვის, რომ ეს დავადგინოთ, ალბათ, უნდა მივმართოთ ასეთ მსჯელობას:

დავუშვათ, რომ '**წვერი**' სიტყვის თუშურენოვან შესატყვისს, რომელიც ანლაუტში იწყება სრულიად პირობითი ბგერით და რომელიც შეიძლება ასევე პირობით აღინიშნოს **&** გრაფიკული ნიშნით, ბოლოს აქვს **&წ** სახე და, დავუშვათ, ეს გრაფიკული ნიშანი თავის თავში შეიცავს ორ ფონემას – **ბ** და **წ** –ს დაახლოებით ისევე, როგორც, მაგალითად, ლათინური **x** იკითხება ქართული ქს სახით.

ამ **&** სიდიდის ფონემებად დაშლისთვის, ანუ ჩვენ მიერ ამ სიდიდეში ნავარაუდევო ორივე ფონემის გამოსავლენად უსათუოდ დაგვჭირდება არა წყვილფულებრივი (ორწვერიანი) ოპოზიციური კონსტრუქციები, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე მიღებული, არამედ სამეულებრივი (სამწვერიანი) კონსტრუქციების აგება (შედგენა), რათა შესაძლო ორი ფონემიდან თითოეული (ორივე) აღმოჩნდეს დაპირისპირებაში როგორც მესამე ფონემასთან, ისე ერთმანეთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გამოვავლენთ არა

&-ს შემადგენლობაში ნავარაუდევ ორ, არამედ ერთ (ერთ-ერთ) ფონემას, რაც დაახლოებით ასეთი სახით შეიძლება გადმოვცეთ:

* **&ჭ**, ანუ (სავარაუდო ფონემებად დაშლილი) ბჭ *‘წვერი’*
|
ბჭ *‘ფრთა’*

აქ გამოვავლინეთ არა მთლიანად **&**-ს, არამედ მის შემადგენლობაში ნავარაუდევი ბ-ს ფონოლოგიური მიმართება ჰ ფონემასთან, მაგრამ ღიად დარჩა შ კომპონენტის საკითხი იმავე **&**-ს შემადგენელი.

სწორედ ამ საკითხის გასარკვევად უნდა ჩავერთოთ ანალიზში ქესამე წვერიც, რათა ბოლომდე ამოიწუროს ფონემის გამოვლენის შესაძლებლობა:

ბჭ *‘ფრთა’*
|
***&ჭ**, ანუ (ფონემებად დაშლილი) ბჭ *‘წვერი’*
|
ბქ *‘ძროხა/ფური’*

აქ, ერთი მხრივ, ვლინდება ჰ – ბ, ხოლო, მეორე მხრივ, შ – ქ ოპოზიციები, თუმცა ვერ დაიშალა **&**, ანუ დგინდება, რომ ამოიწურა **&**-დან შ-ს გამოვლენის შანსი.

ახლა დაუბრუნდეთ **ღ**-ს. მასში ნავარაუდევი ც და შ სიდიდეების ფონემობის დასადგენად შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ასეთი წყვილი:

ღოკ, ანუ (ფონემებად დაშლილი) ცშოკ *‘ღვე ზელი’*
|
ბშოკ *‘ვატი’*

მაგრამ, ისევე როგორც ***&ჭ** სიდიდის შემთხვევაში, ცშოკ – ბშოკ წყვილით, როგორც ვხედავთ, გამოვლინდა **ღ**-ში შემაჯალი პირველი ც ფონემის, მაგრამ არა ორივე ნავარაუდევი კომპონენ-

ტის ფონოლოგიური მიმართება ბ ფონემასთან, იმავე Ⴀ-ში შემაგალი-
 ლი შ-სთვის კი საჭიროა მოიძებნოს მესამე წევრი, რომელიც ბაც-
 ბოლოგიაში ჯერჯერობით არ ჩანს. რომ გვეჩონოდა თუშურ ენაში,
 დაუშვათ, ასეთი სიტყვა – ***სროკ**, ის, ალბათ, დაგვეჩონებოდა Ⴀ-
 ს მეორე (შ) კომპონენტის ფონემობის გამოვლენაში:

ბშოკ 'ვაცი'

Ⴀოკ, ანუ (ფონემებად დაშლილი) **სშოკ** 'ღვეზელი'

***სროკ** (nons.)

მაგრამ თუშურ ენაში ასეთი სიტყვა არ გაგვაჩნია, რის გა-
 მოც ვერ ვადიარებთ Ⴀ-ში შემაგალი კომპონენტების ფონემობას
 თითოეულისთვის ცალ-ცალკე.

ნათქვამიდან გამომდინარე, უნდა დავკმაყოფილდეთ თუშურ-
 რი ენის ლარინგ-ფარინგალური Ⴀ-ს დაშლით ოდენ ფონეტიკურ
 დონეზე, რაც უკვე შეიძლება მივიჩნიოთ კვლევის ერთგვარ შედე-
 გად.

როგორც კ. ჭრელაშვილიც გვიდასტურებს, თუშური ენის Ⴀ
 ფუნქციონირებს მხოლოდ ანლაუტში და ისიც მხოლოდ ხმოვნის
 წინ, რის გამოც მისი დისტრიბუცია შეზღუდულია ერთი პოზიციით.
 თუმცა გააქტიურებული ინტერფერენციის კვალობაზე, მაგალითად,
ნაჟმბარჩხ 'ალაზნისთავი' ორონიმისთვის, ანდა **ნაბიკ** 'კოვზი'
 სიტყვისთვის ქართული სა- თავსართის დართვის შემთხვევაში, ეს
 თანხმოვანი ექცევა ინლაუტში: **ნაჟმბარჩხ** 'ალაზნისთავი' > **სანაჟმ-**
ბარჩხეთ დეწ სო 'საალაზნისთავედ მიხდა [ძე]', **ნაბიკ** 'კოვზი' > **მო-**
ლოჟ ღაზჟ **სანაბიკ ხჟ ბა** 'როგორი კარგი საკოვზე ხეა' (გვაქვს
 კიდევ რამდენიმე მაგალითი ინლაუტისეული Ⴀ-სთვის).

ინლაუტისეული Ⴀ სპორადულად გვხვდება საკუთრივ თუშურ-
 ენოვან ლექსებშიც: **დოკნარჯი** 'გულშავი, აგულო' (ქადაგიძე, ...,
 1984, 211), **ანნამუდრ** 'შუაღამე', **ანნამურ** 'შუაღამეს'.

–ს ჰონიციური შეხედულობა სულაც არ გვიშლის ხელს გამოვავლინოთ მისი ფონემური ღირებულება დისტრიბუციულ მიმართებაში ხუთივე ჩვეულებრივ ხმოვანთან: *და* ‘*ზამთარი*; *ორ-თქლი*’ – *ტა* ‘*ბეჭი/მხარი*’; *დეფარ* ‘*მიშვერა/შეშვერა*’ – *ლეფარ* ‘*ელფარება (ელფარებს)*’; *ნიტარ* ‘*რბენა (რბის)*’ – *თიტარ* ‘*გაჭრა*’; *ნოკ* ‘*ნამცხვარი/ღვეწელი*’ – *დოკ* ‘*გული*’; *ნუ* ‘*ღამე*’ – *შუ* ‘*თქვენ*.’

–ს შემადგენლობიდან შეიძლება დაიკარგოს *ც*, რაზეც ბაც-ბოლოგიაშიც არის საუბარი: *ნაფარ* [*ცჴ აფარ*] ‘*კვლა*’ – *დჴ ეფარ* ‘*მოკვლა*’, *ნაზდარ* [*ცჴაზდარ*] ‘*ღამწყვდევა (ამწყვდევს)*’ – *დჴეა-დარ* ‘*ღამწყვდევა*’... მაგრამ ეს არის შედეგი არა ფონეტიკური *ღ* → *ჴ* პროცესისა (Дешериев, 1953, 29; ჭრელაშვილი, 2002, 62), არამედ –ს ფონეტიკური დაშლადობისა, რომლის ანალოგიური სურათიც ევროპული ბგერების შემთხვევაშიც იკვეთება: ბერძნ. **larynx** > **laryngos** ‘*ხორხი*’, **pharynx** > **pharyngos** ‘*ხახა*’, ინგლ. **xerox** ‘*ქსეროქსი*’ < ბერძნ. **xeros** ‘*მშრალი*’. მაშ, თავისი ბუნების კვალობაზე თუშური ენის *ღ* არის რთული თანხმოვანი: შერეული ადგილისა (ლარინგ-ფარინგალური) და შერეული რაგვარობისა – ხშულ-ნაპრალოვანი.

§ 7. ინტენსიური თანხმოვნები

გავიმეორებთ: წინამდებარე ნაშრომში თანხმოვნები თემატურად არის დაჯგუფებული მათი წარმოების ადგილის მიხედვით. მაგრამ რაკი ინტენსიურ თანხმოვნებში¹²⁶ გაერთიანებულია წარმოების სრულიად სხვადასხვა ადგილის (ასევე სხვადასხვა რაგვარობის, ანუ წარმოების სხვადასხვა წესის მქონე) თანხმოვნე-

¹²⁶ არნ. ჩიქობავასთან (ჩიქობავა, 1979) ეს ხმოვნები წოდებულია მაგარ თანხმოვნებად.

ბი, აქ გამონაკლისის სახით მივმართოთ მათ განდასებას მათი წარმოების წესის მიხედვით, რათა ერთად მოვეყაროთ თავი თუშური ენის ამ ტიპის თანხმოვნებს.

ვიდრე ცალ-ცალკე დავახასიათებდეთ თითოეულ მათგანს, არათუშურენოვანი მკითხველისთვის გამოვყოთ და აღვწეროთ თუშური ენის ინტენსიური თანხმოვნების ყველაზე ზოგადი არტიკულაციური (ფიზიოლოგიური) ნიშანი.

სატერმინო კომპონენტი ინტენსიური არ გულისხმობს არც იმას, რაც, ე. ახვლედიანთან გაიგივებულია რა ბგერის სიძლიერესთან, „დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ენერგიით ირჩევა მბგერი სხეული“ (ახვლედიანი, 1949, 50-51), და არც სიმაგრეს, რომელიც გამოყენებული აქვს არნ. ჩიქობავას (ჩიქობავა, 1979). აქ, პირიქით, ზოგჯერ არათუ საერთოდ არ ირჩევა მბგერი სხეული, ოკლუზიამდეც კი შეიძლება მივიდეს საქმე.

თუკი, მაგალითად, ქართულში გვექნებოდა ინტენსიური თ, ვიტყოდით ასე: ქართული ენის ინტენსიური თ წარმოითქმის ზუსტად ისევე, როგორც ზედიზედ მისული ორი ჩვეულებრივი თ (ანუ თთ) სიტყვებში ერთთავად, ხუთთან და ა. შ. ანდა ისეთ შესიტყვებებში შემავალი წევრების საზღვარზე, როგორიცაა – ერთ თეთრად [ერთთეთრად], ხუთ თუმნად [ხუთთუმნად] და ა. შ.

ზედიზედ მისული ორი ერთნაირი თანხმოვანი (არა მარტო ქართულში) უნდა წარმოვთქვათ „სავსებით ერთიანი“, ოღონდ გრძელი თანხმოვნის სახით (ახვლედიანი, 1949, 100), ანუ თუშური ენის ინტენსიური თანხმოვნის ყაიდაზე.

თუშური ენის ინტენსიური თ წარმოითქმის ისევე, როგორც ზედიზედ მისული ორი თ (თთ) ქართულ ენაში. მდრ.

ქართ.

თუშ. ენ.

მათთან

– მათან ‘ლოგინს’, ბათან ‘მთვარეს’

ათ თვეში [ათთვეში]

– ათან ‘ძროხას’, ჰათეც ‘მაშინვე’

ანუ აქ გვაქვს გემინირებული ოკლუზია, დისტანციურიც (DX) და არადისტანციურიც, ანუ კონტაქტური (X).

აქ უსათუოდ უნდა გაიჩვენოს კიდევ ერთი რამ. ფონეტიკურად ინტენსიური თანხმოვანი, ჯამია რა ორი ერთნაირი ხარისხის ჩვეულებრივი თანხმოვნისა, ისეთივეა, როგორც გრძელი (გაორმაგებული, გემინირებული) თანხმოვანია, ანუ გარეგნულად გრძელია გრძელი თანხმოვანიც და ინტენსიური თანხმოვანიც. მაგრამ, ფონოლოგიური თვალსაზრისით, ეს ორი მოვლენა მკაცრად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან: კ. ჭრელაშვილის განმარტებით (ჭრელაშვილი, 2002, 77), პოზიციურად შეპირობებული, ანუ „ორი მსგავსი ბგერის შეერთებით მიღებული გრძელი (საკუთრივ გრძელი – ა. ბ.) თანხმოვნების სეგმენტაცია შესაძლებელი ხდება მორფოლოგიური ოპერაციის შედეგად, ინტენსიური თანხმოვნებისა კი შეუძლებელია. შეიძლება, მაგალითად, თუშურენოვანი კათთენ ‘კათათვეს’, დოლლეთ ‘მოდით რა’, ისსა ‘მავასავით’ (nomin.) სიტყვების დაშლა: კათ-თენ, დოლ-ლეთ, ის-სა. მაგრამ შეუძლებელია თუშურენოვანივე მათან ‘ლოგინს’, ბათან ‘მთვარეს’, ათან ‘ძროხას’, ჰათუც ‘მამინვე’, დალარ ‘ღება’, ის ‘ცხრა’ (‘ცხრასავით’ იქნება ისსა [ისსსა]) და ა. შ. სიტყვებისა თუ ფორმების დაშლა, დაეუშვათ, ასეთნაირად: *მათ-თან, *ბათ-თან, *ათ-თან, *ჰათ-თუც, *დალ-ლარ, *ემ-შინრ, *დახ-ხჟ.

თუკი „ინტენსიურის“ ცნებაში ვიგულისხმებდით არტიკულაციის ძლიერ დაჭიმვას, ხმის მომენტის ენერგიულ, ერთიან დაყოვნებას, – წერს კ. ჭრელაშვილი, – „მაშინ საანალიზო ფონემების აღსანიშნავად ყველაზე შესაფერისი ტერმინი იქნებოდა ინტენსიური“ (ჭრელაშვილი, 2002, 78).

ახლა წარმოვადგინოთ თუშური ენის თითოეული ინტენსიური თანხმოვანი.

თ (t).

ინტენსიურობის მატარებელია დენტალური თ-ს ყრუ ფშვინ-ვიერი კორელატი თ, რომლის არტიკულირებისას შესატყვისი სამეტყველო ორგანოები ხანგრძლივად გვაქვს შესატყვისი საწარმოთქმო მდგომარეობაში – იმაზე ორჯერ მეტი ხნით, ვიდრე ეს შესატყვისი ჩვეულებრივ თანხმოვანს სჭირდება (ეს ნიშანი ვრცელდება ყველა ინტენსიურ თანხმოვანზე და ქვემოთ აღარ გავიყო-რებთ).

კ. ჭრელაშვილის დისტრიბუციული ანალიზის თანახმად, თ გვხვდება ძირეული მორფემის ბოლოკიდურში, სოციალურად უპირისპირდება რა თავის წინამორბედ წინაენისმიერ ხშულ ყრუ თ-ს. ინტენსიური თ-ს ფონოლოგიური ღირებულება კარგად ჩანს ოპოზიციურ წყვილებში (აქ ისიც შევნიშნოთ, რომ უკიდურესად შეზღუდულია არა მარტო თ-ს, არამედ, ზოგადად, თუშური ენის ინტენსიური თანხმოვნების დისტრიბუციაც და მათი გავრცელების არეალიც): ლათ ‘ნავავი’ – ლათ ‘იჭიდავებს’; ვეთარ ‘ადგომა’ – ვეთარ ‘ცოდნა (იცის)/დაცემა (დაეცემა)’; დითქ ‘გარეცხა’ – დითქ ‘დატოვა’.

ლ (l).

ეს არის ნარნარა ლ ლატერალის ინტენსიური კორელატი, რომლის დისტრიბუციაც შეზღუდულია ძირეული მორფემის ბოლოკიდურით: დალარ ‘დება (დევს)’ – დალარ ‘ჭერა (უჭირავს)’; დოლარ ‘ხადება’ – დოლარ ‘მოსულოყავი’; ვალა ‘შეჭამა’ – ვალა ‘სამიანი’.

ს (s).

ნაბრალოვანი ყრუ ს სიბილანტის ინტენსიური კორელატია ს: ის 'ცხრა' – ის 'ევ'. გვხვდება კიდევ ერთ სიტყვაში: მოსქ 'ცუ-ლი'.

ტ (t).

აბრუპტიული ხშული ყრუ ტ-ს ინტენსიური კორელატია ტ: ხეტარ 'კითხვა' – ხეტარ 'წყვეტა (წყდება)'; ატარ 'პირღებინება' – ატარ 'ვაჩუძება'; იტ 'ათი' – იტ / ლიტ 'ირბინე'.

ყ (q).

ფარინგალური ხშული ყრუ ყ-ს ინტენსიური კორელატია ყ: დაყდარ 'ვასინჯვა' – დაყდარ 'ვანძობა (ვანძობს)'.

შ (š).

ყრუ შ სიბილანტის კორელატია ინტენსიური შ: ეშინრ 'გი-ქი' – ეშენრ/ეშინრ 'დაკლებული/მოკლებული (ის, რასაც დააკ-ლდა)'.

ხ (x).

უკანაველარული ყრუ ფშვინვიერი ხ-ს ინტენსიური კორე-ლატია ხ: დხარ 'დახრჩობა (დაიხრჩობა)' – დხარ 'ცხოვრება'; დახქ 'გრძელი' – დახქ 'წავიდა/წავიდნენ'.

ჯ (q).

ფარინგალურ ჯ ხშულს უპირისპირდება მისი ინტენსიური კორელატი ჯ: ეჯარ 'გადანტომა' – ეჯარ 'ამათ' (ერგ.).

მაშკაცთა მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს ც ლარინგა-ლის ინტენსიური ც. ვერსია, რომლის ცალკე ფონემად გამო-

ყოფისგან თუშური ენის შესწავლის ამ ეტაპზე თავი შევიკავეთ: ჰაყ, მოლჟ ყარ მოთჱ! 'აუპ, ბიჭებო, როგორი წვიმა დაუშვა!'; ჰაყ, კნათი, მუღლნი ლათჱ ე ლამნი! 'აუპ, ბიჭებო, როგორები დგანან ეს მთები!'

მას ვაძლევეთ ც-ს ვარიანტის კვალიფიკაციას.

თუშურ ენაში შემჩნეულია არასრული მოქმედების, აგრეთვე არასრული ხარისხის მატარებელი მასდარები, მიმღობები და ზედსართავი სახელები, რაც ქმნის მოქმედების ზერელობის, დაუდევრობის შთაბეჭდილებას. ასეთი ფორმები იწარმოება ფუძე-გაორკეცების გზით, ოღონდ გამეორებული ფუძის თავკიდური თანხმოვანი, თუნდაც ის იყოს კლასის მახვენებელი, იცვლება სხვა რომელიმე (მაგალითად, ს, მ, ჭ, ც) თანხმოვნით. ეს თავისებურება კარგად ჩანს ქართულ-თუშური ზედსართავების შედარებისას:

ქართ. თუშ. ენ.

მაღალ-მაღალი - (ა) ლაგ-ლაგჱ 'მაღალ-მაღალი'

(ბ) ლაგ-საგჱ 'არცთუ მაღალი'

გრძელ-გრძელი - (ა) დახ-დახჱ 'გრძელ-გრძელი'

(ბ) დახ-სახჱ 'არცთუ გრძელი'

პატარ-პატარა - (ა) კაწკ-კაწკჱ 'პატარ-პატარა'

(ბ) კაწკ-მაწკჱ 'პატარ-პატარაზე

კიდევ უფრო პატარა'

ხმელ-ხმელი - (ა) დაყ-დაყჱ 'ხმელ-ხმელი'

(ბ) დაყ-ჭაყჱ 'არცთუ ხმელი'

საუბარია (ბ) ტიპის ლექსიკურ მოცემულობებზე თუშურ ენაში, კერძოდ, ზედსართავ სახელებში.

ანალოგიური სურათი გვაქვს თუშური ენის მასდარებსა და მიმღობებში, რაც ქართული ფორმათწარმოებისთვის, როგორც ჩანს, უცხო მოვლენაა. მაგალითები თუშური ენიდან: თეგ-სეგდარ არასრული მოქმედებაა მასდარისა თეგდარ 'კეთება'; ლაგ-გავარ

არასრული მოქმედებაა მასდარისა ლავარ 'ხმის გაცემა, მიხმოვა, გამოლაპარაკება'; თეგ-სეგდიენო არასრული მოქმედება და ხარისხია მიმღობისა თეგდიენო 'ვა/კეთებულო'.

სხვა მაგალითები: თეტინო 'დაჭრილი' – თეტსეტი-ნო/თეტჭეტინო 'უგეშურად, უდიერად დაჭრილი', ატო 'გაჩუქდა' – ატნატო 'ჩაჩუქდასავით', ოწო 'მოწველა/მოიწველა' – ოწნოწო 'ცოტადენი მოწველა/მოიწველა', დოწარ 'გაბბა/მიბბა' – დოწ-წოწარ 'გარკვეუწილად გაბბა/მიბბა' და სხვ.

ზოგიერთმა ასეთმა წარმონაქმნმა დროთა განმავლობაში მოიპოვა რამდენადმე განსხვავებული – საკუთარ სემანტიკაზე ორიენტირებული – ავტონომია; მაგ.: ნიტ-ვიტარ 'უმიზნოდ სირბილი წინ და უკან' (< ნიტარ 'სირბილი'); ლელ-ველარ 'უმიზნოდ სიარული წინ და უკან' (< ლელარ 'სიარული').

ამრიგად, თუ შურ ენაში გვაქვს:

ხმოვანი ფონემა – 37

ნახევარხმოვანი ფონემა – 2

თანხმოვანი ფონემა – 43

ჯამში: 82 ფონემა

თუკი ამ რიცხვს დაეუმატებთ ღიფთონგებსაც, უთუოდ ჩამოგვიყალიბდება გარკვეული წარმოდგენა თუ შური ენის ფონეტიკურ არსენალზე.

შესაძლოა შემდგომმა კვლევა-ძიებებმა ამ ფონემათა რიცხვი რამდენადმე შეცვალონ, არ არის გამორიცხული – მეტობისკენაც.

§ 8. ექსტრალინგვისტური არტიკულაციის შესახებ თუ შურ ენაში

თუ 1990-იან წლებამდე „კვლევის ძირითადი სფერო წერილობითი ენა იყო, – ბრძანებს გამოჩენილი ლინგვისტი დევიდ კრისტალი – 1990-იანი წლების შემდეგ მკვლევარებმა აქცენტი სასაუბრო ენაზე გადაიტანეს“ (გიგაშვილი, 2010, 36), რის გამოც იქნა მიხნეული ლინგვისტიკის დარგის განვითარების ეს ათწლეული რევოლუციურად (იქვე). ხოლო სადაც სასაუბრო ენაა, იქვეა ექსტრალინგვისტიკაც.

ექსტრალინგვისტიკა უნდა გავიგოთ, როგორც ნორმირებული წესებს არდაქვემდებარებული და ამ წესების ფარგლებს გარეთ გასული მეტყველების სფერო, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული „მოლაპარაკე ადამიანის ფუნქციონირებასთან საზოგადოებაში“.

როგორც წესი, არსებულ სიტყვებს, მაგალითად, მათი გამოყენების სფეროების მიხედვით, ვყოფთ და ვანაწილებთ ჯგუფებად, რაც ნიშნავს იმას, რომ უმჯობესია ეს სიტყვები გამოვიყენოთ ჩვენი წერითი თუ ზეპირი მეტყველების შინაარსისა თუ დანიშნულების შესაბამისად, რაც სტილისტიკის სფეროდანაა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ, თუნდაც ერთ რომელიმე სიტყვას – იმასაც კი, რომელიც გაურკვეველი მიზეზებით ჯერაც არ შეგვაქვს ლექსიკონში, უფლება ეკარგება ჩაერთოს ლინგვისტური კვლევის პროცესში: აქ ყველა სიტყვა თანაბარუფლებიანია და, მაშასადამე, თანაბარუფლებიანია ყველა ბგერა, რომლისგანაც კი შედგება ნებისმიერი „ზომისა“ თუ შინაარსის მქონე სიტყვა.

ექსტრალინგვისტური პროდუქცია, როგორც წესი, იმ თავისებურ სიდიდეებს წარმოადგენს, უპრობლემოდ რომ ვიყენებთ

ზეპირმეტყველებაში, მაგრამ გრაფიკულად გადმოცემის საჭიროების შემთხვევაში გარკვეული პრობლემები გვექმნება ხოლმე იმ გაგებით, რომ ხშირად ვწერთ იმას, რაც არცთუ ზუსტად შეესატყვისება მათ ფონეტიკას (არტიკულაციასა და აკუსტიკას). ამგვარ გრაფიკულ პრობლემებზე მეტყველებს ისიც, რომ, მაგალითად, ე. წ. წკლაპუნა ნწ ნაწილაკთან დაკავშირებით გ. ახვლედიანი იძულებულია ფრჩხილებში მიუთითოს, ამ სახით წერენ ხოლმეო (ახვლედიანი, 1949, 26)¹²⁷.

ზოგი დამხმარე სიტყვა „შეიცავს ისეთ ბგერას, რომელიც სალიტერატურო ენაში ხმარებული ასოებით ვერ გადმოიცემა, – წერს ა. შანიძე და დაურთავს: – საჭიროების შემთხვევაში ასეთ ბგერებს ან მიახლოებით გადმოსცემენ, ან სულ აღუნიშვნელად ტოვებენ ხოლმე“ (შანიძე, 1976, 621). მეცნიერი სქოლიოში გვიყვება ერთ, ჩვენი აზრით, უნიკალურ შემთხვევას: „1934 წელს წყალტუბოში ერთმა ჩემი ნაცნობის ბავშვმა (ასე 11-12 წლისამ) მკითხა: შეგიძლია, დაწერო, რაც უნდა სიტყვა გითხრაო? – რატომ არამეთქი? – ვუპასუხე მე. – აბა დაწერეო, მითხრა და წარმოთქვა ეს უკუთქმითი შორისდებული. მის სინარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ვერ დაგწერე და „მაჯობა“ (შანიძე, 1976, 622). ეს სწორედ ის სიტყვაა, რომელიც გვაქვს როგორც ქართულის ყოფით პლასტებში, ისე თუშურ ენაში, „რომელიც თავისი მნიშვნელობით არას ნიშნავს“ და რომლის წარმოსათქმელად „საჭიროა, რომ წინა ენა სასას მიედოს, შემდეგ მოხსლტეს და თანაც ჰაერი, რომელიც პირის ღრუში მოიპოვება, შიგნით იქნეს შეწოვილი“ (ახვლედიანი, 1949, 26).

¹²⁷ სატერმინო კომპონენტი წკლაპუნა მომდინარეობს სიტყვიდან წკლაპუნი, რომელსაც ქართული ლექსიკოგრაფია განგვიმარტავს ასე: „ენითა და ტუჩებით წ-ს მაგვარი ბგერის გამოცემა (ჩვეულებრივ, ჭამის დროს)“; მაგალითად, ტუჩების წკლაპუნი, პირის წკლაპუნი (ქეგლ, 1990, 1223).

როცა ერთმა საინტერესო კახელმა თანამოსაუბრემ იხმარა სიტყვა აჟ, და ა. შანიძის აქ მოშველიებული მონაცოდის კვალობაზე ვკითხეთ, როგორ დაწერდა ამ სიტყვას, მან თვითდაჯერებით გვიპასუხა, ერთი მაგარი ძახილის ნიშნით ბოლოშიო! როგორც მაგარ (ძლიერ) შემართვაზე საუბრისას დაგინახეთ და როგორც ცოცხალ მეტყველებაზე სკრუპულოზური დაკვირვებაც გეიჩვენებს საერთოდ, ამ სრულიად ინტუიციურ პასუხში უსათუოდ ძვეს ლინგვისტური რეალობა.

ნიკოლო პაგანიანი იტალიის ქალაქ ფერარაში გამოსვლისას ვიოლინოთიც კი ზუსტად გადმოსცა – თულუხჩის საზიდარის თვლების ჭრიალი, კასრიდან წყლის შხაპუნი, მეზრის შეძახილი, სახედრის ყროყინი, მამლის ყივილი, ძაღლის შემადრწუნებელი წკაფწკაფი, კატების ჩხავილი და, ბოლოს, ადამიანის ხმის მთელი ასპირაციით გადმოსცა (ვიოლინოთი!) ერთი დამამცირებელი სიტყვა, რომელიც ნიშნავს ‘ბრეყვს’, ‘შამკოს’, და ეს ყოველივე იმდენად ზუსტად იყო იმიტირებული ვიოლინოს ჯადოქრის მიერ, რომ შოკში ჩავარდნილ ფერარელ არისტოკრატას ძლივს გადაურჩა ჩაქოლვას (ვინოგრადოვი, 1964, 167), ჩვენ კი დაგვიტოვა „მამაცთა უგუნურების“ იშვიათი მაგალითი იმისა, რომ ხემით შეიძლება არახემისეული ბგერების რეარტიკულაციაც. მისი ეს ექსტრამუსიკალური ქესტი შესაძლოა მართლაც ერთგვარი პროტესტი იყო, როგორც მაშინდელი – პაგანიანის გაგებით კლასიციტურ ჩარჩოებში ჩაკეტილი – კლასიკური მუსიკის, ისე იქ შეკრებილი საზოგადოების მისამართით გამოხატული. მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესოა არა თვით სახედრის ყროყინი, ანდა კატების ჩხავილი, არამედ ისიც, თუ რამდენად ადეკვატურად შეიძლება მათი გადმოცემა გნებავთ ხმით, გნებავთ წერილობით და აგრეთვე ისიც, თუ როგორი სამუსიკო ნიშნებით ექნებოდა აღნიშნული თავად მაესტროს ეს მუსიკალური ფრაზები.

ერთ-ერთი მაჩვენებელი ამა თუ იმ სხვაენოვანი სპეციფიკური ბგერების რაც შეიძლება ზუსტი განმარტებისა არის ის, თუ რამდენად ახლოს მივიყვანთ მკითხველს ამ ბგერების რეარტიკულაციასთან და, მაშასადამე, არტიკულაციასთან. სწორედ ეს მიზანი იდო იმაში, რომ ზოგადმა ფონეტიკამ ლარინგალური ც-ს ბუნება ახსნა, როგორც ჭინთვა, ანდა კენესა. **ორტეგამ** კი, ვისაც არც ჰქონია გართულება სამეცნიერო ნავიგაციასთან ექსტრალინგვისტიკაში, ენის ასათვისებლად საჭირო სრულიად კონკრეტულ სხეულებრივ პოზებთან დაკავშირებით მოგვცა, მაგალითად, ინგლისური და ფრანგული მეტყველებების ერთობ საინტერესო დახასიათება. კერძოდ, ინგლისურად რომ ვილაპარაკოთ, – წერს იგი, – უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ნიკაპი წამოვიშვიროთ წინ და კბილი მსუბუქად დავაჭიროთ კბილს. ამის შემდეგ ვცადოთ ტუჩებს მივადებინოთ პრაქტიკულად უმოძრაო მდგომარეობა. პირიქით, ფრანგული რომ ვისწავლოთ, საჭიროა მთელი ტანი თითქოსდა მოვიზიდოთ ტუჩებთან, ვითომდა ვაპირებდეთ ვინმეს დაჯილდოებას კოცნით, და მხოლოდ ამის შემდეგ ზედა და ქვედა ტუჩები ვაიძულოთ მსუბუქად ისრიალონ, რათა ისინი ერთმანეთს ეხებოდნენ. მხოლოდ ასე მიიღწევა ის სიმბოლური და უსაზღვრო თვითკმაყოფილება, აგრე რიგად რომ ახასიათებს ფრანგ ობივატელს... (Oprea, 2000, 684).

Omnis ars imitatio est naturae – თქვეს თავის დროზე ლათინებმა: ‘ყოველი ხელოვნება ბაძვას ბუნებისა’.

ამაზე ლინგვისტიკაში იშვიათად თუ წერენ და, მაშასადამე, იშვიათად თუ აქცევენ ამას ყურადღებას, თუმცა არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ, გარდა ზეპირი და წერიითი, აგრეთვე ფიქრითი ანდა სხეულმოდრობითი მეტყველებებისა, გვაქვს საფოკალო (ვოკალური) მეტყველებაც, რომელიც თავიდან ბოლომდე ხელოვნებას მიეკუთვნება. მაგრამ, ჩვენი აზრით, თავისთავადი ხელოვნებაა ავ-

რეთვე თავის ტვინის იმპულსური რეაქციების წყალობით როგორ-
მე სინთეზირებული სათქმელის (აზრის) ჯერ „თავში გაელეება“
(გაფიქრება), მერე მისი რეალიზება სამეტყველო ბგერების სახით,
ბოლოს კი – გრაფიკულად გადმოცემა.

ზემოთ გვცადეთ, დაგვეხასიათებინა თუშური ენის ისეთი სპე-
ციფიკური ბგერები, როგორცაა შ, ჰ, ყ, ლ, რისთვისაც მაქსიმალუ-
რად გამოვიყენეთ ლინგვისტიკაში დღემდე დაგროვილი სამეცნი-
ერო ინფორმაცია.

სწორედ შ თანხმოვანს, როგორც თითქმის არც ერთ სხვა
ბგერას, ესადაგება ტერმინი **ხმაბაძვითი ბგერა**.

თუშურ ენაში გვაქვს სიტყვა **ბჰეჟ**ში ‘ცხვარი’ (ბავშვის ენა-
ზე). ეს ხმაბაძვითი სიტყვაა იმ გაგებით, რომ ცხვარი ბლავის სწო-
რედ ასე: **ბჰჰჰჰეჟე/ბჰჰჰააა!** ანუ, თუკი თუნდაც რამენაირი საუბა-
რია ბგერათა ფონეტიკურ სიზუსტეზე სიტყვებში, ანდა მეტყვე-
ლებაში ზოგადად, მაშინ ერთხმად უნდა ვაღიაროთ, რომ ცხვარი
სიმანდვილეში კი არ ბლავის, არამედ ბჰავის. სწორედ ამ ბჰავილს
მიჰბაძა რა თუშური ენის მატარებელმა, შემოიტანა და დღემდე
დაიცვა თავის სამეტყველო არსენალში ხმაბაძვითი შ თანხმოვანი,
რომელსაც, ისევე როგორც სხვა ბგერებს, მერე და მერე ანდო და
დააკისრა სხვა – არაექსტრალინგვისტური – მისიაც: **ბჰარკ** ‘თვა-
ლი’, **დჰეჟ** ‘ღვიძლი’, **დჰიჟ** ‘ოთხი’, **ბჰო** ‘ჯვარი’.

რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით თუშური ენის ჰ? ქარ-
თულ ენაში გვაქვს სიტყვა **ხეიხეინი** ‘ხმადაბალი ჭიხეინი (ცხენისა)’.
თუკი გასაგებად იქნა ახსნილი ბლავილი/ბჰავილი სიტყუაცაა, მას-
თან პარალელის გავლების გზით შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ხეიხეინი**
სინამდვილეში არის არა **ჭიხეინი**, არამედ **ჰეიჰეინი**. და ვინც ყველა-
ზე კარგად მიჰბაძავს ცხენის ამ ხმიანობას, ის ყველაზე ზუსტად
მოახდენს ჰ-ს რეარტიკულაციასაც.

ც ბგერას გერ მოფუძებნით იმაზე უკეთეს ახსნას, ვიდრე ჭინ-
თვა ან კენესაა.

რაც შეეხება თუშური ენის ღ-ს, უკვე ითქვა, რომ ეს არის ც
და ზ ბგერების ნაერთი.

გვაქვს აგრეთვე მოსაზრება, ექსტრალინგვისტურს მივა-
კუთვნოთ ის არტიკულაციური თავისებურებანიც, რომლებიც არ
ექვემდებარება აკადემიური ლინგვისტიკის ყოველდღიურ გან-
ხილვას და რომლებიც ბევრჯერ აღწერილიც არ არის. ასეთია, მა-
გალითად, ე. წ. II არხის ბგერები, აგრეთვე (ჩვენ ასე ვუწოდებთ
მათ) ინსპირაციული, ანუ შესუნთქვითი (როგორც წკლაჰუნა, ისე
შეწოვნილი) ბგერები და სხვა საარტიკულაციო თავისებურებანი,
რომლებიც გვხვდება როგორც თუშურენოვან, ისე ქართულენო-
ვან ექსტრალინგვისტურ შრეებში.

როცა ვინმე იტყვის ისეთ რამეს, რაც მისი თანამოსაუბ-
რისთვის წარმოადგენს გამაოგნებელს, თანამოსაუბრემ თავისი
დამოკიდებულება ნათქვამისადმი შეიძლება გამოხატოს ასე: ე!..
მაგრამ იგივე დამოკიდებულება იმავე ნათქვამისადმი შეიძლება
გამოვხატოთ „II არხითაც“, ანუ მოკუმული ბაგეებით: „ცმ!.. ამ წარ-
მონაქმნის მეორე ბგერა არის ცხვირში“ („II არხით“) არტიკულირე-
ბული ე ხმოვანი¹²⁸, ხოლო პირველი გახლავთ ცალკე წარმოთქმუ-
ლი ჩვეულებრივი ხმოვნის აუცილებელი თანმხლები და შემადგე-
ნელი ფონეტიკური ელემენტი – მაგარი შემართვა, ანუ ც ლარინ-
გალი, რომლის არსებობასაც აქ გვამცნობს მანამდე მჭიდროდ

¹²⁸ აქ, ისევე როგორც ხმოვანთა ნაზალიზაციის შემთხვევაში, ცხვირისმიერ ნ
თანხმოვანთან დისტრიბუციული მიმართების გამო, ხდება მ თანხმოვნის მხოლოდ
პირველი – ხშული – მონაკვეთის არტიკაცია, რაც ასევე განპირობებულია სწო-
რედ აქტიური სამეტყველო ორგანოების, ამ შემთხვევაში ტუჩების დახშულობით
(მეორე მონაკვეთი იქნებოდა ტუჩების განხშვა, რასაც „II არხის“ შემთხვევაში
ადგილი არა აქვს).

დახშული სახმო სიმების, ანუ ყიის მეცსეული განხშვით გამოწვეული ერთგვარი „გრგვინვა“ ყელში. ასე რომ, „ა არხის“ არტიკულაცია, რომელიც წარმოადგენს ექსტრალინგვისტიკის სფეროს, თავის მხრივ, გვეხმარება ხმოვანთა მაგარი შემართვის გამოვლენაში.

ექსტრალინგვისტიკის სფეროდანაა **ც**-ს დართვა **ვა** შორისდებულის ანლაუტში, რაც ქართულ მეტყველებაში იშვიათად გვხვდება, თუშური ენისთვის კი ჩვეულებრივი მოვლენაა – **ცვა**!

აუდიოჩანაწერებში გვხვდება „ა არხის“ არტიკულაციის ერთი იშვიათი ნიმუში, რომელსაც გადმოვცემთ **„ცჰჰჰჰ! სახით: „ცჰჰჰჰ-აანრ, გაჯარბადვადღონორ ო სქ დად ‘ნუო, ვასწერომოდა ის მა-მაჩეში“**.

ბგერათწარმოთქმა მეტწილად გულისხმობს ფილტვებიდან ამოსუნთქულ ჰაერს, – წერს **გ. ახვლედიანი**. – მასასადაამე, ბგერათწარმოთქმა ჩვეულებრივ ექსპირაციულია“ (ახვლედიანი, 1949, 26).

თუმცა „ბგერა შეიძლება წარმოიქმნას შესუნთქვითაც – ინსპირაციულად“ (ახვლედიანი, 1949, 26). ამის ნიმუშად **გ. ახვლედიანი** ასახვლებს ცხენის ხვიხვის, ადამიანის ხვინვას, შესუნთქულ სტვენას, გაოცების ან შეშინების ბგერას (აჟ), მწვავე ტკივილის ან შეცვიების ბგერას (სსს...) და სხვ. თუმცა, მისი აზრით, „არც ერთი მათგანი ჩვეულებრივ არაა სოციალურად ღირებული სამეტყველო ბგერა, ფონემა. შეგვიძლია ჩვეულებრივი სამეტყველო ბგერებიც კი ვთქვათ ინსპირაციულად, – დაურთავს მეცნიერი, – მაგრამ არც ესენი ჩაითვლება ნორმალური მეტყველების ბგერებად“ (ახვლედიანი, 1949, 26).

მართალია, ადამიანის ხვინვაზე მართლაც ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ თუ, მაგალითად, შესუნთქულ სტვენას არ მიეცემა სოციალური ღირებულება, მაშინ როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს მხატვრულ სტვენას, რომელიც მუსიკალური სფეროს

ერთ-ერთი საინტერესო ფენომენია და სრულდება როგორც ამოსუნთქვით, ისე შესუნთქვითაც? მეორე, ინსპირაციულად წარმოთქმული ბგერები იმიტომ არ ჩაითვლება ნორმალური მეტყველების ბგერებად, რომ ამ ბგერების ამგვარად წარმოთქმელს აქვს მათი ნორმალურად წარმოთქმის პირობებიც, რაც მოცემულ სოციალურ გარემოში ევალდება კიდევაც გააკეთოს.

ზოგად ფონეტიკაში ცნობილია ისეთი ბგერათწარმოთქმაც, როცა ჰაერი მოძრაობს არა ფილტვებიდან, არამედ ფილტვებისკენ.

მოძრავი (სამეტყველო) ჰაერის ოდენობისა თუ საარტიკულაციო წინალობის ქონა-არქონის მიხედვით აქ უნდა გავარჩიოთ წარმოთქმის სულ ცოტა ორი სახეობა.

ერთი მათგანი იძლევა ისეთ ე. წ. **წკლაპუნა** ბგერებს, როგორცაა: **კოცნა, წრუპუნი, ნწ** ნაწილაკი და სხვ. ამ ღროს ბგერა წარმოთქმის ჰაერის იმ უმცირესი „მარაგით, რომელიც ზესადგამ მიღშია“ დარჩენილი (ახვლედიანი, 1949, 26). „მათი წარმოთქმისას ყია და ხრტილებშუა ნაპრალი დაკეტილია, რის გამოც შეწყვეტილია ჰაერნაკადის ამომდინარება (და ჩამდინარებაც – ა. ბ.); შესაძლოა, ყია და ხრტილებშუა ნაპრალი ღიაც იყოს (ახვლედიანი, 1949, 26), მაგრამ ჰაერის მოძრაობა ხდება ხორხის მიმართულებით, ოღონდ – არა ფილტვებამდე, რადგან მისი მოძრაობა მალევე წყდება.

მეორე სახეობა გულისხმობს ჰაერის მოძრაობას ფილტვებისკენ (ფილტვებამდე), ანუ ამ ღროს „ჰაერი შეიწოვება გარედან“ (ახვლედიანი, 1949, 26). ესენი ე. წ. **შეწოვნილი** ბგერებია. აქ უნდა შევიტანოთ გაოცების ან შეშინების ბგერა (აჟ), მწვავე ტკივილის ან შეციების ბგერა (სსს...) და სხვ.

თუკი **ნწუ** სიდიდეს წავიკითხავთ ისე, როგორც არის დაწერილი, ახლოსაც ვერ მივალთ იმ სემანტიკასთან, რომელსაც მას

ანიჭებს განმარტებითი ლექსიკონი – უარყოფასთან არა! (ქეგელ, 1990, 790); ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუკი ერთმანეთს შევა-
დარებთ იდენტური დიტრიბუციის მქონე ნწუ უარყოფასა და თუ-
შორკილოვან ყანწურაყრ ‘?’ (ანდა ანწუხელიძე) სილიდებს.

მაგრამ თუკი ნწუ-ს რამდენადმე გავაკეთილშობილებთ
გრაფიკულად და ამით ექსტრალინგვისტურს რამდენადმე დაეუ-
ახლოვებთ ლინგვისტურს, რამდენადმე ახლოს მივალთ რეალო-
ბასთან.

საქმე ის არის, რომ სინამდვილეში აქ სახეზე გვაქვს არა ნ, წ
და უ ბგერები მათი ჩვეულებრივი არტიკულაციით, არამედ წკლა-
პუნით წარმოთქმული წ თანხმოვანი მისი მიმყოლი ირაციონალუ-
რი ჟ ხმოვნით, რომლის არტიკულაციისთვისაც არ არის საჭირო
არც ექსპირაცია და არც ინსპირაცია: საკმარისია მხოლოდ ტუჩე-
ბის მომართვა. მაგრამ აქ საჭირო ხდება წ თანხმოვნის სწორედ ამ
წკლაპუნა ბუნების განსხვავება ჩვეულებრივი წარმოთქმისგან. ეს
კი შესაძლებელი გახდება წკლაპუნა წ-ს ვიზუალური განსხვავე-
ბის შემთხვევაში ჩვეულებრივი წ-სგან.

თუკი ჩვეულებრივ წარმოთქმას, რომლის დროსაც სამეტ-
ყეგლო ჰაერნაკადს აქვს მიმართულება ფილტვებიდან გარეთ, შე-
ვუსატყვისებთ ჩვეულებრივ კითხვას – მაცხნიდან მარჯვნივ, მაშინ
ჩვეულებრივი წარმოთქმა პირობით შეგვიძლია აღვნიშნოთ ისრით
მარცხნიდან მარჯვნივ (ისარი განვათავსოთ ასოს მარცხენა ზედა
კიდესთან, ნიმუშად კი ჯერჯერობით ავიღოთ ნებისმიერი თან-
ხმოვანი), მაგალითად: →ბ, →გ, →დ და ა. შ. ასეთ შემთხვევაში
წკლაპუნა არტიკულაცია შეიძლება გადმოვცეთ ასეთივე ისრით,
ოღონდ ამჯერად – მარჯვნიდან მარცხნივ, მაგალითად: ←ბ, ←გ,
←დ და ა. შ. თუკი ამ სიმბოლიკით შევმოსავთ წკლაპუნით თქმულ
არა! ნაწილაკის ექსტრალინგვისტურ სემანტიკას, მივიღებთ: ←წჟ!

შემთხვევით არა აქვს დათქმირებული გ. ახვლედიანს ამავე ნაწილაკისთვის ფორმა ნწ: როგორც თუშურენოვან, ისე ქართულენოვან მეტყველებაში გვაქვს უარყოფის ეს ექსტრალინგვისტური ვარიანტიც, რომელიც შეიძლება გაფორმდეს ასე: წწ. აქ საჭირო აღარ არის ტუჩების მომზადებაც კი ირაციონალური ფსთვის.

კოცნის წერილობით გადმოსაცემად ვწერთ ხოლმე მზ-ს. მაგრამ თუკი ამ დაწერილობას შევადარებთ, მაგალითად, სიტყვას მპარავს, სადაც ისევე უნდა წარმოეთქვათ მპ ბგერათა ჯგუფი, დაენახავთ, რომ აქაც შორს ვართ კოცნის ფონეტიკისგან. ხოლო, თუკი ამ სიდიდესაც დავამუშავებთ გრაფიკულად, აქაც რამდენადმე მიუუახლოვდებით რეალობას: წმპ.

თუშურ ენაში გვხვდება 'არა' უარყოფის აღმნიშვნელი კელიქსიც, ოღონდ – ამავე დროს ლატერალური, რადგან იწარმოება სასაზე მიბჯენილი ენის მარცხენა (იშვიათად მარჯვენა) კიდის მყისიერი მოწყვეტით ზედა ნუნებიდან, რის შედეგადაც ხდება მიზერული ჰაერის შესროლა (შეწოვნა) ენასა და სასას შორის არსებულ სივრცეში: წკ.

მწვავე ტკივილის, ან შეციების აღმნიშვნელი სსს... მოცემულობის წაკითხვის შემთხვევაში ისე, როგორც ვწერთ (წერია), მივიღებთ არა მწვავე ტკივილის, ან შეციების გამომხატველ, არამედ სისინის აღმნიშვნელ სიდიდეს, რადგან ეს დაწერილობა იკითხება ჩვეულებრივ – მარცხნიდან მარჯვნივ (→).

რაც შეეხება გაოცების, ან შეშინების ახ ბგერა, მისი ამ დაწერილობით წაკითხვისას უსათუოდ ჩამოყალიბდება არა მწვავე ტკივილის ან შეციების ბგერა, არამედ ის, რისთვისაც თავად გ. ახვლედიანს აქვს მიცემული სამწუხარო გაკვირვების გამოხატვის კვალიფიკაცია, რომელიც, მართალია, მას გადმოცემული აქვს ა' სახით, თუმცა ცნობილია, რომ ' და ხ იდენტური სიდიდეებია (ახ-

ვლედიანი, 1949, 106). მწვავე ტკივილის ან შეციების გამოხატველი აუ სიდიდის სწორად წაკითხვაშიც ისევე ისარი დაგვეხმარება, ოღონდ აქ გვაქვს ამ წარმონაქმნის ორი ვარიანტი: ერთი – ც-თი (←აუ), მეორე – ც-ს გარეშე; ც-ს არქონის შემთხვევაში ა ხმოვანი გამრავალმაგდება (←ააა).

მოულოდნელი გაკვირება-გაოცების გამოსახატავად იყენებენ ხოლმე (უმეტესწილად მანდილოსნები) გამრავალმაგებულ იიი-ს, ოღონდ ასევე შეწოვნის: ოიი. ზოგჯერ ჩვეულებრივ დაწყებულ სიცილს ვასრულებთ შეწოვნით და ბოლოში შეწოვნილი ძლიერი შემართვის/შემართვების დართვით: ჰა→-ჰა→-ჰა→-ჰა→-ჰა→-ჰა→. ცოცხალ მეტყველებაში (თუშურ ენაშიც და ქართულ ენაშიც) მქედრ სშულ-მსკდომ ბ თანხმოვანს აქვს ფონეტიკური ღირებულების მატარებელი ყრუ მთრთოლი (ვიბრანტი) ვარიანტი, რომლის წარმოთქმის დროსაც ორივე ტუჩი თრთის ისე, როგორც თრთის ენის წვერი რ-ს არტიკულირებისას და რომლის რეალიზაციაც ხდება რამდენიმე ხმაბაძვით სიტყვაში (ვიბრაცია პირობით გადმოვცეთ ~ სიმბოლოთი): დბ!.. (ცხენის გასაჩერებელი შეძახილა), ბ!.. (სიცივის შეგრძნების გამოხატველი სიტყვა).

ბოლოს, ვ. გინეკენი თვლის, რომ პირველი სამეტყველო ბგერები სწორედ ე. წ. წკლაპუნა თანხმოვნები უნდა ყოფილიყვნენ (ახვლედანი, 1949, 392). ამ უძველეს თანხმოვანთა გადმონაშთებს ჰოლანდიელი მეცნიერი პოულობს სწორედ კავკასიურ ენებში, მაგალითად, ლატერატების, ანუ ლატერალების სახით (იქვე), რაც კიდევ ერთხელ გვბიძგებს ექსტრალინგვისტურ მოცემულობათა უფრო ღრმად შესწავლისკენ.

აქ წარმოვადგენთ თუშური ენის თანხმოვანთა სისტემის ტაბულას, შედგენილს წინამდებარე ნაშრომის მიხედვით:

თავი V

ინტერფერენციის შედეგები თუშურ ენაში¹²⁹

§ 1. თუშური ენის სიტყვა ფონოლოგიურ ჭრილში

ინტერფერენცია, ანუ ენობრივი გავლენა, არის სხვა რომელიმე ენის ფონოლოგიური და ლექსიკურ-გრამატიკული მოდელების შეღწევა-გავრცელება მეორე ენაში. იგი მძლავრი გარდამქმნელი ფაქტორია და ხანგრძლივი მოქმედების დროს შეუძლია, მნიშვნელოვან შედეგებამდე მიგვიყვანოს. აღნიშნულ პროცესებს ენათა გაჩენასთან ედება სათავე და ისეთივე ძველია ხნოვანებით, როგორც თვით ადამიანის მეტყველება. ენობრივ გავლენას ენათა კონტაქტი განაპირობებს, რომელიც არსებული სოციალურ-პოლიტიკური პირობების ცვლასთან დაკავშირებით გარკვეულ საფეხურზე შეიძლება შეწყდეს მთლიანად ან, პირიქით, გაგრძელდეს ბოლომდე. სწორედ მის ხანგრძლივობასა და ინტენსივობაზეა დამოკიდებული გავლენის სიღრმე და მასშტაბები.

ენობრივი კონტაქტი და სათანადოდ გავლენაც ბილინგვიზმის, ანუ ორენოვნების გზით ხორციელდება. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ინდივიდთა სამეტყველო აზროვნება არის ის ასპარეზი, სადაც სათავეს იღებს ინტერფერენტული პროცესები.

ენას, რომელიც ზეგავლენას ახდენს მეორე ენაზე, **წყარო ენას (S)** უწოდებენ, იმ ენას კი, რომელიც გავლენის ობიექტებია, **მსესხებელი ენა (C)** ჰქვია.

თუშურენოვან სიტყვათა ფონოლოგიური დახასიათებით მიზნად ვისახავთ იმ კონკრეტული წესების დადგენას, რაც საფუძ-

¹²⁹ ეს ბოლო თავი, რომელმაც ერთგვარად უნდა გააკეთოთ შობილოს წინამდებარე ნაშრომი, მომზადებულია მ. მიქელაძის მონოგრაფიის ბაზაზე (მიქელაძე, 2008).

ვლად დაედო ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ადაბტაციის დროს მომხდარ ცვლილებებს.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ პროცესებს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

1. კონტაქტში მყოფი ენების ბგერითი სისტემების ურთიერთმიმართება;

2. თანაფარდობა C და S ენების ფონემათა დისტრიბუციის წესებში და

3. მათივე სიტყვათმოდლელების სხვადასხვაობა.

როგორც უკვე დავინახეთ, მსესხებელი და წყარო ენების სამეტყველო ბგერითი სისტემები სინქრონიულ ასპექტში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუშურ ენას დაცული აქვს ყველა ის 5 ხმოვანი და 28 თანხმოვანი ფონემა, რაც გვაქვს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. გარდა ამისა, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, აქ ირიცხება კიდევ 49 სპეციფიკური ბგერა, რომელთა შორისაც გვაქვს:

15 თანხმოვანი, ამათგან:

8 ინტენსიური (თ, ლ, ს, ტ, ყ, შ, ხ, ჯ)

1 ყრუ ლატერალი (ლ')

1 ყრუ ვიბრანტი (რ')

1 ლარინგალი (ყ)

3 ფარინგალი (ჯ, ჰ, შ)

1 ლარინგ-ფარინგალური (ღ)

32 ხმოვანი, ამათგან:

4 მოკლე (ვ, ე, ო, უ)

5 ირაციონალური (ა, ე, ი, ო, უ)

5 გრძელი (ა, ე, ი, ო, უ)

2 ზეგრძელი (ა̄, ო̄)

5 ნახალიზებული (ა, ე, ი, ო, უ)

4 გრძელი ნაზალიზებული (ჭ, ქ, ძ, წ)

4 თავისუფალი (ა, ი, ო, უ)

2 თავისუფალი ნაზალიზებული (ჭ, ჟ)

1 თავისუფალი გრძელი (ქ)

2 ნახევარხმოვანი: (ა, აჲ)

ამავე ენის სამეტყველო ბგერითი სისტემის თავისებურებას განაპირობებს აგრეთვე 17 დიფთონგი (დიფთონგებზე – ოღნავ ქვემოთ).

ის ფაქტი, რომ, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად განსხვავებული ფონემები აქვს ინტერფერენციის ობიექტს და არა ინტერფერენციის წყაროს, სიტყვათა სესხების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. რაკი სესხება ხდება ქართულიდან და არა პირუკუ, თუ შური ენის „ზედმეტ“ ფონემებს იშვიათად თუ შეეძლო გავლენა მოეხდინა ნასესხებ სიტყვათა ბგერით გარსზე. ამიტომ C ენის ფონემატურ სისტემას აქ დაწვრილებით არ განვიხილავთ.

მაშინაც, როცა გვაქვს C და S ენების ფონემათა რიცხვისა თუ სახეთა დამთხვევა, მოცემულ ენათა ფონოლოგიური სტრუქტურები შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ასეთ შემთხვევაში განსხვავებას ქმნიან ფონემათა განაწილების წესები. როგორც ნ. ტრუბეცკოი წერს: „ფონემათა განაწილების წესები მკვეთრად განასხვავებენ ერთმანეთისგან ენებს. ისინი ენებს გვიხასიათებენ არა ნაკლებ, ვიდრე მათივე ფონემატური შედგენილობები“ (Трубецкой, 1960, 284).

ხმოვნები თუ შურენოვან სიტყვაში სრულ დამოუკიდებლობას ავლენენ წინამავალ თუ მომდევნო ფონემებთან დაპირისპირებისას. ერთადერთი თავისებურება, რაც ამ კლასის ფონემათა დისტრიბუციის წესებში გვხვდება, ხმოვანთა ჰეტეროსილაბიკურ კონსტრუქციებს ეხება და მათი სრული გამორიცხვით აღინიშნება.

მდგომარეობა, როგორც ვხედავთ, ქართულის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ აქ ეს აკრძალვა მორფემათა შესაყარში მოხსნილია (ფოგტი, 1961, 32). სამაგიეროდ იმავე ჰორიზონტალურ ჭრილში ქართული ენის სათანადო სისტემის სათანადო წესებთან შედარებით მნიშვნელოვან განსხვავებას გვიჩვენებენ თუშური ენის თანხმოვანთა განაწილების წესები. ამ მხრივ ჩვენ მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები თითქმის მთლიანად დაემთხვა პროფ. კ. ჭრელაშვილის დასკვნებს, რასაც ის იძლევა 1975 წელს, ასევე 2002-2006-2007 წწ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში როგორც ნახური ენების, ისე საკუთრივ თუშური ენის თანხმოვანთა სისტემების შესახებ (ჭრელაშვილი, 1975; ჭრელაშვილი, 2002; ჭრელაშვილი, 2006; Чрелашвили, 2007). ამიტომ მათ აღარ ვიმეორებთ და საჭირო შემთხვევაში მთლიანად ვეყრდნობით მკვლევარის დასახელებულ ნაშრომებს.

საანალიზო მასალების სისტემატიზაციის პროცესში, როგორც მოსალოდნელი იყო, თუშური ენის სიტყვათმოდულების საკითხიც დაისვა; მრავალმარცვლიანი სიტყვების სესხების თავისებურებებთან დაკავშირებით გასარკვევი გახდა აგრეთვე ამ ენის ფლექსია-დერივაციის სისტემებში ფართოდ გავრცელებული ხმოვანთა რედუქციის კონკრეტული სახეების ურთიერთმიმართება და მექანიზმები. მსესხებელი ენის სიტყვა ამ თვალსაზრისით შესწავლილი არ არის, რის გამოც ქვემოთ მოგვყავს აღნიშნული საკითხების შესახებ ჩვენი დაკვირვების შედეგები.

თუშური ენის სიტყვათმოდელი. თუშური ენის სიტყვა მორფემებად იშლება. ძირის გაფორმება მეტყველების ნაწილად ორგვარად ხდება: მას შეიძლება დაერთოს, ან არ დაერთოს სიტყვასაწარმოებელი აფიქსი. ამის მიხედვით სიტყვათა ორი მორფოლოგიური მოდელი გამოიყოფა:

1. მარტივი სიტყვა – ძირი (ძირეულ სიტყვათათვის);

2. ძირი და დერივატი (წარმოქმნილ სიტყვათათვის).

ძირეულ მორფემათა შესასწავლად კვლავ დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონი გამოვიყენეთ. მასში მოცემული საკუთრივ C ენის ლექსიკიდან გამოიყო 981 მარტივი, დაუშლელი სიტყვა-ძირი თუ ძირეული მორფემა. მათგან 795 ერთმარცვლიანია, დანარჩენი 186 კი – ორმარცვლიანი. როგორც ვხედავთ, რიცხობრივი უპირატესობა აშკარად ერთმარცვლიანთა მხარესაა და ძირთა ამოსავალი მოდელიც სწორედ მას უნდა უკავშირდებოდეს.

ერთმარცვლიანი ძირეული მორფემები რამდენიმე მოდელს გვიჩვენებენ: **V, VC, VCC, CV, CCV, CVC, CCVC, CVCC, CCVCC**.

მხოლოდ ხმოვანი ძირეულ მორფემად სულ რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს, ესენია: არსებითი სახელები ჳ ‘ჭვალი’, ჴ ‘ჩრდილი’; ჩვენებითი ნაცვალსახელები ე ‘ეს’ (ხმარობენ კაცებიც, ქალებიც), ი ‘ეს’ (ხმარობენ მხოლოდ ქალები), ძ ‘ინა’ ო ‘ის’ (საგულისხმოა, რომ მათ აქვთ თანხმოვნის ვარიანტებიც: ეჰ, იჰ, ოჰ). აქვე შეიძლება დავასახელოთ ‘და’ კავშირის თუშურენოვანი უეკვივალენტი, რომელიც, თავისუფალი ხმოვნით გადმოიცემა რა, ცალკე ლექსემის სახით იშვიათად იხმარება, და თავისუფალი ნაზალიზებული ხმოვნით გამოხატული კითხვითი სიტყვები ჳ? ‘ჰა? ბატონო?’, ჴ? ‘რატომ?’. ამით უთუოდ ამოიწურა ერთხმოვნის (ერთბგერის) ლექსემები.

შედარებით უფრო ხშირად გვხვდება **CCV** ტიპის ძირები. ამ მოდელის გამოყენების 21 შემთხვევა გვაქვს, მაგალითად: ფჰე ‘სოფელი’, ფჰო ‘სახელო’, ფხუ ‘ხუფი’, თხო ‘ჩვენ’, ფხი ‘ხუთი’, ტყა ‘ოცი’. საგულისხმოა, რომ ძირთა ეს მოდელი ზმნებში საერთოდ არაა რეალიზებული.

CV ტიპის ძირთა გამოყენება 31 შემთხვევით ამოიწურება. ჩამოსათვლელი აქაც მხოლოდ სახელებია: ვა 'ლორი', ბო 'ნიორი', ჩა 'დათვი', ჩო 'ბეწვი', ხა 'ბარკალი', სო 'მე', ჰო 'შენ', ვო 'სამი'.

CVC მოდელის ძირი 50-მდე დავითვალეთ. ეს მოდელი უმეტესად ზმნებშია წარმოდგენილი. გვაქვს: აფშარ 'ღეჭვა', ახკარ 'თხრა', ებწარ 'აწონვა', დოფცარ 'მოქსოვა', დიათხარ 'ტირილი', დოფხარ 'ხაცმა'. სხვაგან მას უფრო ნაკლებად შევხვდებით: ათხ 'საღოესავი', ატყ 'მშვილდი', უთხ 'ნაჭერი', ისკამხ 'წკიაურტი'.¹³⁰

ძირთა **VC** მოდელის 160 შემთხვევა დადასტურდა. მაგალითების უმეტესობას კლასნიშნიანი ზმნები შეადგენს. ასეთია, მაგალითად: დახარ 'წასვლა', დხარ 'ცხოვრება', დახარ 'დაკარგვა', დატარ 'გაქცევა'. აქვე შემოდის ყველა უკლასნიშნო ზმნა, როგორცაა, მაგალითად: ახარ 'ნთება', აბარ 'კერვა', ელარ 'მოშლა', ეცარ 'ყიდვა', ეშარ 'კლება', ათარ 'ნაყვა', ატარ 'ვაჩუშება'. დანარჩენი მეტყველების ნაწილებიდან მსგავსი ძირი აქვს რამდენიმე სიტყვას: ახ 'ნახევარი', ეც 'მინდორი', ე (<ენ) 'ჩრდილი'.

ყველაზე ფართოდ ძირთა **CVC** მოდელია რეალიზებული – 382 შემთხვევაა მისი ლექსიკონში შესული; მათგან 221 შემთხვევა ზმნებში დასტურდება, 141 – სახელებში, ხოლო 20 – სხვა მეტყველების ნაწილებში. გვაქვს: თახარ 'ჩავლება', ლახარ 'გაცრა', ლახარ 'პოვნა', თოხარ 'დაკვრა', ლიჭარ 'ვაფცქვანა', მოხ 'ქარი', ზოქ 'ნისკარტი', ვავ 'შულო', თურ 'ხმალი', დიკ 'ცულო', მიხ? 'სად?' (adit.), მაქ 'ზედ' (ess.), ჩაგ 'შორს'.

CVCC მოდელის ძირთა გამოყენების 83 შემთხვევა დასტურდება. მათი უმეტესობა ზმნები და სახელებია, გვხვდება სხვა მეტყველების ნაწილებიც. მაგალითად: სემსარ 'ყნოსვა', კორტარ

¹³⁰ ვერტიკალური ხაზით წინ კლას-ნიშნებს გამოყოფთ, ბოლოში კი – სხვადასხვა დანიშნულების სუფიქსებს.

‘მოწყენა’, სარტარ ‘წყევლა’, გარწარ ‘მონაღვა’, თახკარ ‘მოყრა’, ლარკ ‘ყური’, მოხკ ‘ფილი’, გორჩ ‘ქვასანაყი’, ნაჩხ ‘ყველი’, ხოფს ‘ნამცეცი’, მათხ ‘მზე’, ჰათხ ‘წინ’, ნიფს ‘სწორად/სწორედ’.

ძირთა **CCVC** მოდელის 60 შემთხვევა დავითვალეთ. მათი გამოყენება თითქმის მთლიანად სახელებითაა შემოფარგლული, თუმცა ერთხელ ზმნაშიც შევხვდით. გვაქვს: სკივ ‘ნაკვერჩხალი’, სტაკ ‘კაცი’, თხირ ‘თრფილი’, ტჰირ ‘ვარსკვლავი’, ღჰაჰ ‘ჭრილობა’, კჰოკ ‘ორმო’, კმატ ‘კლდე’, სტენარ ‘ლოდინი’.

სულ ხუთი შემთხვევითაა წარმოდგენილი ძირთა **CCVCC** მოდელი, გვაქვს: ბჰარკ ‘თვალი’, ბჰარწო ‘ჯარი’, ბჰორწ ‘მკელი’, ბჰასტ ‘დივი’, ფჰარს ‘მკლავი’, მჰარწ ‘საკმაოდ’. თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებით სახელებში პირველი თანხმოვნითი ელემენტი აქ ყველგან კლასნიშანი ჩანს, მაშინ ფაქტობრივად ერთი მაგალითი დაგვრჩება, რადგან დანარჩენები **CVCC** მოდელს გაჰყვებიან.

გამოყენების სიხშირის მიხედვით ძირთა განხილული მოდელები შემდეგნაირად დალაგდება:

CCVCC – 1 შემთხვევა,

V – 3,

CCV – 21,

CV – 31,

VCC – 50,

CCVC – 60,

CVCC – 87,

VC – 160,

CVC – 382.

ცხადია, ამ რიგის მიხედვით ძირთა ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ბუნებრივი მოდელია **CVC** – მარცვალი, რომლის ექსპლოზიასა და იმპლოზიას თითო თანხმოვანი შეადგენს. ფაქ-

ტობრივად აქვე შეემოდის **VC** მოდელიც, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ზმნებით, სადაც ძირის წინ თითქმის ყოველთვის იგულისხმება კლასნიშანი – თანხმონითი ელემენტი.

მოსალოდნელი იყო, რომ გამოყენების სინშირის მიხედვით მომდევნო ადგილს **CCVCC** მოდელი დაიჭერდა, რადგან აქაც თანხმონითა თანაბარი რაოდენობა გვაქვს მარცვლის ორსავე დასახელებულ პოზიციაში. სინამდვილეში დიამეტრულად განსხვავებული მდგომარეობაა: გვაქვს გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხვევა 542-ის საპირისპიროდ. დაუშვებელი აღმოჩნდა ერთდროულად ორ-ორი თანხმონი ხმოვნის წინ და მის მომდევნოდ, მაშინ როდესაც ცალ-ცალკე ორსავე პოზიციაში თანხმონითა წყვილების გამოყენება საკმაოდ ხშირია.

სინშირის ზრდადობის მიხედვით დალაგებულ ძირთა იმავე რიგიდან გარკვეული დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ აგრეთვე ძირეული მარცვლის ექსპლოზიის შესახებ. ამ რიგს, როგორც ვხედავთ, ღია მარცვლიანი ძირები იწყებენ და დახურულმარცვლიანები ამთავრებენ: 795 შემთხვევიდან ხმოვნით თავდება მხოლოდ 55. ასეთ შემთხვევაში დახურულმარცვლიანობა გამოიკვეთება, როგორც თუშურენოვან ძირთა არსებითი ნიშანი.

როგორც ითქვა, ფართოდ გავრცელებული ერთმარცვლიანი ძირებისა და სიტყვა-ძირების გვერდით **C** ენაში გვხვდება აგრეთვე ისეთი ორმარცვლიანი სიტყვები, რომლებიც ერთი შეხედვით მარტივი, ანუ დაუშლელი ჩანს. სულ 186 ორმარცვლიანი სიტყვა-ძირი შეგვხვდა, მათგან ხმოვანზე ბოლოვდება 87 (გაკრ ‘ბალთა’, ვაშრ ‘ძმა’, ჰერწრ ‘ქვაბი’, ვახე ‘სავ ზალი’, ქორთრ ‘თავი’, კაწქ ‘ლოკვი’, დახკრ ‘თავვი’, ჩაკრ ‘სკამი’), ხოლო თანხმონიანზე – 99 (ცოკალ ‘მელია’, მასორ ‘ფსიტი’, ქანიზ ‘ყურძენი’, ტათებ ‘ფული’, თეგომ ‘მორიგება’, კშაკამ ‘აბელი’, მაგაწ ‘კვესი’).

ასეთ – ორმარცვლიან და თანხმოვანზე დაბოლოებულ – სიტყვებს აუსლაუტში მხოლოდ ერთი თანხმოვანი აქვთ. ეს თანხმოვანი ხშირ შემთხვევაში რომელიმე სონანტია. ჩვენს მასალაში ლ-ზე ბოლოვდება 12 სიტყვა, მ-ზე – 10, ნ-ზე – 11, რ-ზე – 27.

სულ თანხმოვანზე დაბოლოებული 87 ორმარცვლიანი სიტყვიდან ოთხი სონანტი ამთავრებს 60 სიტყვას. ყურადღებას იქცევს აგრეთვე კ და ც თანხმოვნების რეალიზაციის მაღალი დონე: ც-ზე ბოლოვდება 12 ერთეული, კ-ზე – 10; დანარჩენი თანხმოვნებიდან ამ პოზიციაში ზოგი სულ არ გვხვდება, ზოგი კი თითო-როლა მაგალითითაა წარმოდგენილი.

თუშური ენის ერთმარცვლიან ძირთა დაბოლოებაში თავისუფლად მონაწილეობს თითქმის ყველა თანხმოვანი. ასეთ პირობებში ორმარცვლიან სიტყვა-ძირთა აუსლაუტში წარმოდგენილი თავისებური ვითარება გვაფიქრებინებს, რომ აქ სონანტები, ანდა მთლიანად მათი შემცველი ბოლო მარცვალი რაიმე სახის მაწარმოებელია, იქნებ დეტერმინანტიც. ასეთი ვარაუდი შეიძლება სარწმუნო გახდეს, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ენის გარკვეული ტიპის სხვა სიტყვებში დეტერმინანტ სუფიქსთა გამოყოფის შესაძლებლობაზე მითითებას ვხვდებით რ. გაგუასთან (გაგუა, 1943, 73); ასეთივე აზრი დ. იმნაიშვილსაც აქვს გამოთქმული ინგუშური ენის სახელთა ფუძეების შესახებ (Имнаишвили, 1977, 211). ამ მხრივ, მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ სონანტთა შემცველი დეტერმინანტი სუფიქსები ქართულ სახელთა მოდულების აუცილებელ კომპონენტებს შეადგენენ (ჩიქობავა, 1942₂, 119-131).

ზოგ შემთხვევაში მართლაც შესაძლებელი ჩანს თუშური ენის ორმარცვლიანი სიტყვა-ძირების ასეთი დაშლა. მაგალითად: ბაკუმ ‘კვარი’ ეტიმოლოგიურად ბაკარ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს, სადაც ბაკ- ძირია და ‘წვა’-ზე მიუთითებს, -არ კი მასდარებს აწარმოებს. ასეთ შემთხვევაში საძიებელი სიტყვა და-

იშლება და გვექნება: ბაკ- იგივე ძირი, -უმ კი სუფიქსი, რომლის, როგორც მკვდარი მაწარმოებლის, ზუსტი მნიშვნელობის დადგენა დღეს უკვე ჭირს. ვარაუდის დონეზე შეიძლება ვივარაუდოთ მისი წარმოშობა უმ 'რამ/რამე' სიტყვიდან, სადაც თავკიდური თავისუფალი არტიკულაციის მქონე ხმოვანი გვაქვს; შდრ. თივარ 'დასვენება' > თივუმ 'დასვენება რამ', ჰარჩიარ (ჰარჩ- ნაწილი უნდა იყოს დაცემინების ამსახველი ხმაბაძვითი სიდიდე) > ჰარჩიუმ 'დაცემინება რამ'. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ტიპის წარმოებანი სემანტიკურად მართლაც არ არიან სრული მოცულობისანი (შდრ. ქართ. სახლი - სახლი რამ, საქმე - საქმე რამ, ამბავი - ამბავი რამ).

მსგავსივე წყობის ნაზმნარ სახელებს უნდა წარმოადგენდნენ აგრეთვე: თივუმ 'დასვენება', თეშომ 'ხლობა', თეკომ 'მორიგება', ვერლომ 'შიში', ქჭექომ 'სამზადისი'. შესატყვისები მიახლოებითაა, მათი ზუსტი გადმოქართულება არ მოხერხდა; ყველაზე მეტი სიახლოვე, ამ მხრივ, ბოლო ორი სიტყვის თარგმანში უნდა მივუთითოთ (გვაქვს ამავე შინაარსის მასდარებიც: თივარ, თეშარ, თეკარ, ვერლოარ, ქჭექოდარ).

თავისი აგებულებით სახელთა ამავე რიგს მიჰყვებიან: ჰარჩიუმ 'დაცემინება', კშაკამ 'აბედი', ტალამ 'ზრუნვა', ბერლომ 'წაკა'. თუმცა მათ ზმნებთან თითქოს არაფერი აკავშირებთ. ანალოგიური აგებულება უჩანთ სონანტებზე დაბოლოებულ სხვა ორმარცვლიან სიტყვებსაც.

მიუხედავად ამისა, საბოლოო დასკვნისათვის უნდა დაიშალოს თანხმოდანზე დაბოლოებული კიდევ 27 ორმარცვლიანი სიტყვა, ან გაირკვეს მათი ნასესხობის საკითხი. გარდა ამისა, სათანადო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ხმოვანზე დაბოლოებულ ორმარცვლიან სიტყვა-ძირებსაც. ამ უკანასკნელთა შესახებ საინტერესო შეხედულებას გამოთქვამს ა. შიფნერი. მკვლევარის აზრით,

ეს „ბოლო ხმოვნები ოდინდელი ზირაგოგული (კეთილხმოვანი) მეტყველების გადმონაშთია“ (Schiefner, 1859, 19). ვარაუდი სარწმუნო ჩანს იმ მხრივ, რომ ფორმის კეთილხმოვნების მიზნით წოვათუშებს დღესაც შეუძლიათ ხმოვანი დაურთონ ბოლოში ნებისმიერ სახელს, ზმნას, ზმნიზედას, შორისდებულს... გასარკვევია ოღონდ, რატომ მხოლოდ დასახელებულ ძირებს უნდა შეხორცებოდა აღნიშნული ხმოვანი.

სიტყვათა ასეთი დაშლის შემთხვევაში, ერთმარცვლიანობა C ენის ძირთა საზოგადო თვისებად შეიძლება გამოვაცხადოთ. ასეთ განცხადებას მხარს დაუჭერს ის გარემოებაც, რომ ძირები თუშურენოვან ზმნებში ყოველთვის ერთი მარცვლითაა წარმოდგენილი. ზმნა თავისი რთული მორფოლოგიურ-სინტაქსური მოდელებით დღემდე რჩება ამ ენის ყველაზე კონსერვატიულ ნაწილად, რის გამოც ივარაუდება, რომ ის ყველაზე უკეთ არის დაცული სესხებისა და, საერთოდ, ყოველგვარი უცხო ენობრივი გავლენისგან.

ძირთა მოდელებისა და მათივე მარცვლიანობის საკითხების განხილვის შემდეგ იგივე საკითხები წარმოქმნილი სიტყვების მიმართაც უნდა დაისვას. რაკი ძირები ერთმარცვლიანია, ცხადია, სიტყვის საბოლოო სიგრძეს აფიქსების მარცვალთა რაოდენობა გადაწყვეტს.

დერვივატები თუშურ ენაში უმეტესად სუფიქსებია. თავსართად გვხვდება მხოლოდ კლასნიშანი, რომელიც ოდენ თანხმოვნიანი ელემენტია (ვ, ბ, დ ან ნახევარხმოვანი ჟ) და სიტყვის მარცვალთა რაოდენობაზე გავლენას ვერ ახდენს. სამაგიეროდ არსებითი როლი ენიჭება სუფიქსებს, რომლებიც თითქმის ყოველთვის შეიცავენ ხმოვანს ან როგორც ორგანულ ნაწილს, ან როგორც ძირთან მაკავშირებელ საშუალებას (თუშური ენის „სიტყვა-ნოველებზე“ ზემოთ იყო საუბარი).

ყოველივე ამის მიხედვით შეიძლება გვეთქვას, რომ მარტივი სიტყვები ერთმარცვლიანია თუშურ ენაში, წარმოქმნილი სიტყვები კი ისევე ერთ ან ორმარცვლიანები. ასეთ შემთხვევაში ასახსნელი რჩება მასდარული ფორმები და მიმღობები, სადაც ერთმარცვლიან ძირს კვლავ წარმოების წესით ზოგჯერ ორი და სამი სუფიქსი ერთვის, რაც სათანადოდ ზრდის სიტყვის სიგრძეს.

მინიშნებას იმის შესახებ, რომ თუშურ ენაში სიტყვის სიგრძე რეგლამენტირებულია, ვხვდებით ა. შიფნერთან. კერძოდ, როცა მკვლევარი ამ ენის ხმოვნებს ახასიათებს, წერს, რომ „დიფთონგები მრავალმარცვლიანობის შიშის გამო არიან წარმოშობილი ხმოვანთა ეპენტეზისის შედეგად“ (Schiefner, 1859, 12). ნათქვამის მიხედვით იგულისხმება, რომ სიტყვათა მრავალმარცვლიანობა მოქმედი ფონოლოგიური მოდელის მიხედვით არაორგანულია ამ ენისათვის, მაგრამ გარკვევა იმისა, თუ საიდან იწყება მარცვალთა ეს სიმრავლე, მკვლევარს არ უცდია.

ამავე საკითხს ეხება აგრეთვე თუშური ენის პირველი გრამატიკის ავტორი ი. ცისკაროვი, მაგრამ თითქმის მხოლოდ ერთი წინადადებით: აღნიშნავს, რომ „სიტყვები ამ ენაში ძირითადად ერთ-ან ორმარცვლიანება და ძლიერ იშვიათად – სამმარცვლიანი“ (Циссаров, 1848, 71).

ი. ცისკაროვის მიერ დასაბუთების გარეშე წამოყენებული დებულების შემოწმების მიზნით გავაანალიზეთ დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონის საკუთრივ თუშურენოვანი ნაწილი. სულ აქ წარმოდგენილი 5.808 სალექსიკონო ერთეულიდან საკუთარია 3.665 სიტყვა. მათგან გამოვაცალკევეთ კომპოზიტები (150 ერთეული), იდიომატური წყვილები (285 ერთეული) და თანდებულებიან ფორმები (49 ერთეული), შემდეგ კი მარცვალთა რაოდენობის მიხედვით შევისწავლეთ ყველა სხვა დარჩენილი ლექსემა. გარკვეუ-

ლი მოსაზრებით ცალკე განვიხილეთ ზმნები (1.857 ერთეული) და ცალკე – ყველა სხვა მეტყველების ნაწილი (1.324 ერთეული).

ზმნური ერთეულები ლექსიკონში მასდარების სახითაა შეტანილი. ძირეული მორფემა ერთმარცვლიანია, მასდარის მაწარმოებელი კი იცვლება ზმნის გვარისა და კონტაქტის მიხედვით, გვაქვს: -არ, -დარ, -ითარ, -დითარ, -დალარ, -დალითარ. მარცვალთა რაოდენობის მიხედვით მაწარმოებლებს შორის, როგორც ვხედავთ, განსხვავებაა: გვხვდება როგორც ერთმარცვლიანი, ისე ორ- და სამმარცვლიანი წევრებიც. ბუნებრივია, ძირეულ მორფემაზე ერთმარცვლიანი მაწარმოებლის დართვა ორმარცვლიან სიტყვას მოგვცემს, სხვათა დართვა კი სამ- და მეტმარცვლიანებს. ისე, რომ ლექსიკოგრაფის არჩევანის მიხედვით ლექსიკონში შეიძლება შეესულიყო მხოლოდ ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი, ან ოთხმარცვლიანი მასდარული ფორმები. ამჯერად ლექსიკონში ძირითადად ორმარცვლიანი მასდარებია შეტანილი, მაგრამ მეტნაკლები რაოდენობით გვხვდება მათივე სამ- და ოთხმარცვლიანი ფორმებიც.

უკვე აქ თითქოსდა ირღვევა ი. ცისკაროვის დებულება მისი მშობლიური ენის სიტყვათა ორმარცვლიანობის შესახებ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში გარკვეული გამართლებაც შეიძლება დაეძებნოს მას. სახელდობრ: იმის გამო, რომ მასდარულ ფორმათა მაწარმოებელი სუფიქსები -დარ, -დალარ, -დითარ და -დალითარ ცალკე სიტყვებადაც იხმარება (დარ, დალარ, დითარ, დალითარ) და ამიტომ შესაძლებელია სხვა სიტყვებითა და ნაწილაკებით მათი მოკვეთა, ანუ ტმესი ძირეული მორფემისაგან, დასაშვებია მათთვის დამხმარე სიტყვების კვალიფიკაციის მიცემა¹³¹, სადაც (ეს

¹³¹ შდრ. დოფს|დარ 'ვაბერვა' (გარდამ.) – დოფს|კაჟ|დარ 'ოდნაჲ ვაბერვა' – დოფს|გუჟ|დარ 'ხედმეტად ვაბერვა'. დასახელებულ მაგალითებში ტმესის გამოშვები -კაჟ- ოდნობის მაწარმოებელია, -გუჟ- კი – სიჭარბისა.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს) სახეზე გვაქვს კლასის მახვენებელი: -
დაარ, -დალარ, -დაითარ და -დალითარ (მდრ. -ვაარ, -ვაალარ, -
ვითარ, -ვალითარ და ა. შ.).

რაც შეეხება ასახსნელად დარჩენილ თითქოსდა უკლასნიშ-
ნო -ითარ მაწარმოებლიან სამმარცვლიან მასდარებს, რომლებიც
თითქოს ტმესს ვერ იგუებენ, თუკი კარგად გაგაანალიზებთ
მდგომარეობას, აღმოვაჩინთ, რომ -ითარ მაწარმოებელი, ისევე
როგორც ახლახან დასახელებული ფორმანტები, კლასნიშნიანია,
თუმცა გარკვეულ სიტუაციებში მას ის ეკარგება; მდრ.
დალითარ 'დაჭერინება (დაჭერის უფლებას მისცემს)' -
დალიდაითარ 'დაჭერინება (დაჭერას დააფალებს)', ვახითარ
'დათრობინება (დათრობის უფლებას მისცემს)' - ვახსვითარ
'დათრობინება (დათრობინებას დააფალებს)', დასვითარ 'მოშვება
(მოუშვებს)' - დასსვითარ 'მოყვანინება (მოაყვანინებს)'. ახლა
უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამხმარე სიტყვების სახით შეიძ-
ლება გამოვყოთ და გამოვიყენოთ -ითარ-იდან მიღებული კლას-
ნიშნიანი დითარ, ვითარ, დაითარ და ა. შ. ასე რომ, ბოლოს, ისევე ი.
ცისკაროვის ფორმულას მივუახლოვდით.

ზმნებისგან გამოცალკევებული დანარჩენი 1324 სიტყვიდან
365 ერთმარცვლიანია, 832 - ორმარცვლიანი, ხოლო 127 - სამ-
მარცვლიანი. ეს სამმარცვლიანი სიტყვები წარმოქმნილია და ად-
ვილად იშლება. გვაქვს, მაგალითად: ცარკიიწი 'უკბილო',
დადიიწი 'უბატრონობა', დაშარსინ 'სიცარიელე', შურქილიქ
'რძიანი'...

სამმარცვლიანი სიტყვების ხვედრითი წონა აღნიშნულ ლექ-
სიკონში შედარებით მართლაც უმნიშვნელოა, მაგრამ ის რომ
სრული, ანუ უფრო დიდი მოცულობის ლექსიკონი ყოფილიყო, მა-
შინ, ცხადია, გაიზრდებოდა საერთოდ წარმოქმნილი სახელებისა
და მათ შორის სამმარცვლიანთა რიცხვიც.

მიუხედავად ზოგიერთი დაბრკოლებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუშურ ენაში მოქმედი სიტყვათა ერთ-, ორ- და მეტმარცვლიანი მოდულებიდან ძირითადია ორმარცვლიანი მოდული. ამ ენის სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების პარადიგებში ორი მარცვალი ფიგურირებს სიტყვის ზღვრულ სიგრძედ.

თუშური ენის შემთხვევაში (როგორც, ალბათ, იშვიათად ენებში), საჭირო ხდება შევნიშნოთ ერთი რამ. ფონეტიკური ანალიზისას ენათმეცნიერებას, ჩანს, ჯერაც არა აქვს კარგად განსაზღვრული, სახელდობრ, რას ვგულისხმობთ სიტყვაში – მის ძირეულ მორფემას საკუთრივ თუ, ზოგადად, სიტყვას მთელი მისი ფორმათმწარმოებლური არსენალით. ბოლოს და ბოლოს, სიტყვაა ძირიც და ფორმაც.

კარგად ჩანს ისიც, რომ ვერც ოდეს გახდება შესაძლებელი ამ ორი რამის მკაცრად დაშორიშორება ფონეტიკაში, რადგან ფონემებისგან შედგება ნებისმიერი ძირიც (რაც არ უნდა მჭიდრო იყოს იგი) და ნებისმიერი ფორმაც (რაც არ უნდა უსაშველო მოცულობისა იყოს ის). და ესა თუ ის ბგერა თავის უნიკალურ შესაძლებლობებს ერთნაირად ავლენს აქაც და იქაც. სწორედ ამიტომ: ლამის ყოველ ნაბიჯზე ხდება ხოლმე საჭირო მითითება თუ შეხსენება იმისა, ძირეულ მორფემაზეა საუბარი თუ სიტყვის დანარჩენ სექტორზე (ჭრელაშვილი, 1975, 134; Дешериев, 1953, 24 და სხვ.). და რაკი მანაც საჭირო ხდება ამგვარი მითითებაც და შეხსენებაც, გამოდის, რომ არის გარკვეული საშიშროება მკითხველის დაბნეულობისა ენათმეცნიერების ამ სექტორში: „საანალიზო ერთეულად ვიღებთ ძირეულ მორფემას, – წერს კ. ჭრელაშვილი, ვიდრე შეუღლებოდეს ნახური ენების თანხმომავნათა დისტრიბუციულ ანალიზს, – რადგანაც, ჩვენი აზრით, მორფემის საზღვრებშია ფიქსირებული ფონემურ ერთეულთა შედარებით მყარი და ბუნებრივი კომბინაციები, რაც ენის იმანენტური (ნიშანდობლივი – ა. ბ.)

სრუქტურის ლინგვისტური დახასიათების ოპტიმალურ საფუძველს იძლევა. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ისიც, რომ ფონემათა შეერთების კანონები მორფემისა და სიტყვის ფარგლებში განსხვავებულია. ამიტომ ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი მორფემისა და სიტყვის ფარგლებში ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს“ (ჭრელაშვილი, 1975, 134).

ვეთანხმებით იმას, რომ ანალიზის ჩატარება ერთი რომელიმე მიმართულებით (აქ – დისტრიბუციული მიმართულებით) საჭიროა ცალკე მორფემის, ცალკე კი სიტყვის ფარგლებში, რადგან მორფემების საზღვრებშია ფიქსირებული ფონემურ ერთეულთა კომბინაციები. ამასთანავე, ეს კომბინაციები მართლაც არის შედარებით მყარი და ბუნებრივი. თუმიცა ისინი არის არა აბსოლუტურად მყარი და ბუნებრივი. ამიტომაც, რომ ზოგადი ფონეტიკა, არ იცის რა საზღვრები ამ თვალსაზრისით, ბგერებს სწავლობს ყველგან – არათუ ოდენ ძირეული მორფემის, ანდა სიტყვის ფარგლებში, არამედ შესიტყვებათა საზღვრებზეც კი: ზოგადი ფონეტიკა სწორედ აქ აწყდება ისეთ ერთობ საინტერესო მოვლენებს, როგორცაა, მაგალითად, ფრანგული ლიეზონი (‘შეერთება/შეკავშირება’), რომელიც გამოირიცხავს სხვა ენებისთვის არანაკლებ საინტერესო არტიკულაციურ გამოვლინებას – ჰიატუსს (‘ნაპრალო, პირის გაღება’; ‘პირის ღიად დარჩენა’ – ა. ბ.); უცნაურ ხასიათს ავლენენ როგორც ძირეული მორფემის, ისე, ზოგადად, სიტყვის ფარგლებში თუშური ენის ირაციონალური ხმოვნებიც, რომლებიც უკვალოდ იკარგებიან შესიტყვებათა საზღვრებზე; სწორედ ძირისა და თვით ფორმის გარეთ – შესიტყვებათა საზღვრებზე – გახდა ჩვენთვის შესაძლებელი ანლაუტისეულ ხმოვანთა მაგარი შემართვის გამოვლენა (არა მარტო თუშურ ენაში), ამან კი, თავის მხრივ, მიგვიყვანა ხმოვანთა თავისუფალი არტიკულაციის გამოვლენამდე თუშურ ენაში (და არა მარტო აქ).

რა კავშირში შეიძლება იყოს ეს საუბარი თუშური ენის სიტყვათა მოდელბთან მათი ფონემური შემაღგენლობის თვალსაზრისით?

თუშურენოვანი ლექსემის ბგერით შემაღგენლობაზე საუბრისას **ი. დეშერიევი** შენიშნავს, რომ, კავკასიის ზოგიერთი ენის მსგავსად, თუშურ ენაში ჩვენ ვხვდებით სიტყვებს, რომლებიც უკიდურესად მარტივნი არიან ფონემური შემაღგენლობით (**Дешериев, 1953, 24**) და აქვე აკონკრეტებს, რომ აქ გვხვდება სიტყვები, რომლებიც, შედგებიან ორი, სამი, ოთხი, ხუთი-ექვსი ფონემისაგან, ანდა მრავალმარცვლიანი სიტყვები სამი და მეტი ხმოვნით (**Дешериев, 1953, 24-25**). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თუშური ენა არ უშვებს თანხმოვნების თავმოყრას, გარდა ორი-სამისა, რასაც თვით **ი. დეშერიევიც** ადასტურებს (**Дешериев, 1953, 25**), სამ-ოთხ ხმოვნიანი თუშურენოვანი სიტყვა უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება წარმოვიდგინოთ სულ ბევრი 10-12 ფონემის ოდენობით. სინამდვილეში, სიტყვათწარმოების მაღალი ტექნიკის წყალობით, როგორც დავინახეთ, დღეს თუშურ ენაში შეიძლება დავძებნოთ სიტყვები (ფორმები), რომლებიც შედგება 25-30-40 და მეტი ფონემისგანაც.

და როცა **ი. ცისკაროვი** თუშური ენის სიტყვის შემაღგენლობაზე საუბრობდა, უთუოდ ძირეულ მორფემას გულისხმობდა.

ხმოვანთა რედუქცია თუშურ ენაში. თუშური ენის სიტყვათა ფლექსიურსა და დერივაციულ სისტემებს ორგანულად უკავშირდება ხმოვანთა რედუქცია: ორ- და მეტმარცვლიანი თანხმოვანზე დაბოლოებული სახელების ბრუნებისას, როცა ფუძეს დაერთვის ხმოვნის შემცველი სუფიქსი, მოქმედებას იწყებს აღნიშნული პროცესი. ასეა მაშინაც, როცა ხდება ახალი ლექსემის

წარმოქმნა ორი და მეტი მარცვლის შემცველი ძირეული სიტყვი-საგან, და მაშინაც, როცა უღლებიასა ზმნის ძირს, რომელიც ყოველთვის ერთმარცვლიანია, დაერთვის ხმოვნის შემცველი მაწარმოებლები.

რედუქცია ხორციელდება ორი გზით: პირველ შემთხვევაში საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვანი უკვალოდ ამოვარდება მომდევნო ხმოვანი მორფემის, ან ხმოვნიანი მორფემის გავლენით: **ბზღერქი** → **ბზღრი** ‘ბავშვები’, **ბზღერქევ** → **ბზღრევ** ‘ბავშვმა’ (მდრ. **ბზღერ** ‘ბავშვი’); მეორე შემთხვევაში რედუქცია ხორციელდება ეპენტეზისის გზით: ხდება საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვნის გაუმარცვლოება და გადასმა (ეპენტეზისი) წინამავალ ხმოვანთან, რის შედეგადაც ვიღებთ დამავალ დიფთონგს: **დაფერქი** → **დაფერი**? ‘დაიკარგა?’ (მდრ. **დაფირ** ‘დაიკარგა’). პირველს უწოდეს **მარტივი რედუქცია**, ხოლო მეორე სახეობას – **რედუქცია ეპენტეზისის გზით**.

ეს ბგერითი პროცესები სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია (Schiefner, 1859, 57), მაგრამ არაა გარკვეული მათი მექანიზებში. წარმოვადგენთ ჩვენი შესწავლის შედეგებს მოცემულ საკითხზე.

რედუქციის აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით დგება რამდენიმე კითხვა:

1. რა მიმართებაა თუშური ენის ფლექსიისა და დერივაციის სისტემებში მოქმედი რედუქციის ამ ორ სახეობას შორის?

2. რა იწვევს ამ პროცესებს და როგორია მათი მექანიზმი?

ჩვენ გავანალიზეთ რედუქციის თითქმის ყველა შემთხვევა საკუთრივ თუშურენოვანსა თუ ნასესხებ სიტყვებში. აღმოჩნდა, რომ:

(1) თუ ამოსავალი ფუძე ორმარცვლიანია და მას ერთვის ხმოვანი მორფემა, ან ხმოვნის მორფემა, რედუქციის გზით ვინარჩუნებთ სიტყვის ორმარცვლიანობას;

(2) რედუქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა არააქვს მარედუცირებელი ხმოვნის რაგვარობას;


(3) ფუძის პირველი ხმოვანი (მარცხნიდან მარჯვნივ), რომელიც ყოველთვის ძირეული მორფემისაა, არ იცვლება;

(4) ბოლო, მესამე (მარედუცირებელი), ხმოვნის გაგლენით რედუქციას განიცდის მეორე ხმოვანი;

(5) მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათს – მარტივი რედუქცია, თუ რედუქცია ეპენტეზისის გზით – განსაზღვრავს საწარმოებელი ფუძის პირველი და მეორე ხმოვნის მიმართება ლიაობასთან.

ორი ხმოვნის უშუალო ჰეტეროსილაბიკური მიმდევრობა საკუთრივ თუ შორენოვან სიტყვებში არ გვხვდება. ასეთ მიმდევრობას ეს ენა შეძლებისდაგვარად ნასესხებ სიტყვებშიც შლის, მიმართავს რა ამისათვის სხვადასხვა საშუალებას (ბგერის ჩართვა, რედუქცია, დიფთონგიზაცია...). ამჯერად, ვიხილავთ რა როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ მასალას, ვეხებით ხმოვანთა მხოლოდ ისეთ თანმიმდევრობას, როდესაც ხმოვნებს შორის დგას ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი. ხმოვანთა ასეთი სინტაგმატური ურთიერთობისათვის შემოგვაქვს ტერმინი – ხმოვანთა დისტანციური მიმდევრობა ან კომბინაცია (**CVCVC** ან **CVCVCVC**, **CVCCVC** და ა.შ.).

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ ენაში პირდაპირი რედუქციისა და ეპენტეზისის გზით რედუქციის განხორციელებისათვის რელევანტურია ხმოვანთა ლიაობის სამი ხარისხი¹³²:



¹³² ისრის მიმართულებით ლიაობის ხარისხი იზრდება.

რედუქციის ორივე სახეობა შეიძლება აღიწეროს მოცემული სქემის ფორმატში: თუ პირველი ხმოვანი ღიაობით აღემატება მეორეს, რედუქცია ხორციელდება მეორე ხმოვნის დასუსტებისა და ეპენტეზისის გზით; ხოლო, როცა გვაქვს შებრუნებული მიმდევრობა, ანდა თანაბარი ღიაობის ხმოვნები იყრის თავს, რედუქცია ხორციელდება მარტივად (ხმოვნებს ვითვლით მარცხნიდან მარჯვნივ).

თუ ხმოვანთა ღიაობის ხარისხს გამოვხატავთ ^I, ^{II}, ^{III} ინდექსებით, ხმოვანთა ადგილს ფუძეში – ₁, ₂, ₃ ინდექსებით, ხმოვანს კი – **V** სიმბოლოთი, მაშინ:

$V^I = \text{ი, ხოლო}$

$V^I_1 = \text{ი, რომელიც პირველ ადგილზეა,}$

$V^I_2 = \text{ი, რომელიც მეორე ადგილზეა, ხოლო}$

$V^I_3 = \text{ი, რომელიც მესამე ადგილზეა;}$

V^{II} იქნება უ-ს სიმბოლო, ხოლო

V^{III} – ა, ე, ო ხმოვნების სიმბოლო;

V გამოხატავს ნებისმიერ ხმოვანს, ხოლო

\hat{V} – უმარცვლო (ირაციონალურ) ხმოვანს.

მარტივი რედუქციისა და ეპენტეზისის გზით რედუქციის ზოგადი ფორმულები მიიღებს ასეთ კონკრეტულ სახეს¹³⁴.

ა) მარტივი რედუქცია:

I. $[V^I_1 + V^I_2] + V \rightarrow [V^I_1] + V$

II. $[V^I_1/V^I_1 + V^I_2] + V \rightarrow [V^I_1/V^I_1] + V$

III. $[V^I_1/V^I_1/V^I_1 + V^I_2] + V \rightarrow [V^I_1/V^I_1/V^I_1] + V$

ბ) რედუქცია ეპენტეზისის გზით:

I. $[V^{III}_1/V^I_1 + V^I_2] + V \rightarrow [V^{III}_1/V^I_1 + \hat{V}^I_1] + V$

¹³³ როგორც სქემიდანაც ჩანს, ა, ე, ო ფონემებს შორის ღიაობის მოხედვით სხვაობა რედუქციის პროცესისათვის რელევანტური არ არის (იხ. ქვემოთ).

¹³⁴ კვადრატულ ფორხილებში მოვაქციეთ საწარმოებელი ფუძე.

$$\text{II. } [\mathbf{V}^{\text{III}}_1 + \mathbf{V}^{\text{II}}_2] + \mathbf{V} \rightarrow [\mathbf{V}^{\text{III}}_1 + \hat{\mathbf{V}}^{\text{II}}_1] + \mathbf{V}$$

აღნიშნული ფორმულები იძლევა შემდეგ კონკრეტულ რეა-
ლიზაციებს:

ა) მარტივი რედუქცია

$$\text{I ფორმულა} - [\mathbf{V}^{\text{I}}_1 + \mathbf{V}^{\text{I}}_2] + \mathbf{V} \rightarrow [\mathbf{V}^{\text{I}}_1] + \mathbf{V}$$

$$1. [\text{ო} + \text{ო}] + \mathbf{V} \rightarrow [\text{ო}] + \mathbf{V}:$$

დღიობი ‘ტანადი’ → დღიობეს ‘ტანადმა’ (← დღი-
ობისეს)¹³⁵

$$\text{II ფორმულა} - [\mathbf{V}^{\text{I}}_1/\mathbf{V}^{\text{II}}_1 + \mathbf{V}^{\text{II}}_2] + \mathbf{V} \rightarrow [\mathbf{V}^{\text{I}}_1/\mathbf{V}^{\text{II}}_1] + \mathbf{V}$$

$$1. [\text{უ} + \text{უ}] + \mathbf{V} \rightarrow [\text{უ}] + \mathbf{V}:$$

ნუხურ ‘დინგი’ → ნუხრევ ‘დინგმა/დინგიით’ (← ნუხურსევ)

ბუბუკ ‘ყვავილი’ → ბუბკევ ‘ყვავილმა/ყვავილით’

(← ბუბუკსევ)

ძუძრუც ‘ქალაჩუნა’ → ძუძრცეს ‘ქალაჩუნამ’ (← ძუძრუცსეს)

ღუღუჩ ‘დაბღურა’ → ღუღჩეს ‘დაბღურამ’ (← ღუღუჩსეს)

ნუთურ – (ანთრ.) → ნუთრეს ‘ნუთურმა’ (← ნუთურსეს)

$$2. [\text{ო} + \text{უ}] + \mathbf{V} \rightarrow [\text{ო}] + \mathbf{V}:$$

დიშურ ‘იწვა’ → დიშრი? ‘იწვა?’ (← დიშურსი?)

თიფურ ‘ისვენებდა’ → თიფრი? ‘ისვენებდა?’ (← თიფურსი?)

ხილურ ‘იქნებოდა’ → ხილრი? ‘იქნებოდა?’ (← ხილურსი?)

თიშურ ‘დაწმინდავდებოდა’ → თიშრი? ‘დაწმინდავდებოდა?’

(← თიშურსი?)

$$\text{III ფორმულა} - [\mathbf{V}^{\text{I}}_1/\mathbf{V}^{\text{II}}_1/\mathbf{V}^{\text{III}}_1 + \mathbf{V}^{\text{II}}_2] + \mathbf{V} \rightarrow [\mathbf{V}^{\text{I}}_1/\mathbf{V}^{\text{II}}_1/\mathbf{V}^{\text{III}}_1] + \mathbf{V}$$

$$1. [\text{ა} + \text{ა}] + \mathbf{V} \rightarrow [\text{ა}] + \mathbf{V}:$$

მაგაწ ‘კაჭი’ → მაგწევ ‘კაჭმა/კაჭით’ (← მაგაწსევ)

ლაგაზ ‘მოცვი’ → ლაგზევ ‘მოცვმა/მოცვიით’ (← ლაგაზსევ)

ლაწარ ‘ტკივილი’ → ლაწრევ ‘ტკივილმა/ტკივილით’

(← ლაწარსევ)

¹³⁵ მრგვალ ფრჩხილებში ნაჩვენებია გვაქვს ის დიაქრონიული გზა, რომელიც სა-
ფუძვლად უდევს ჩვენ მიერ აღწერილ სინქრონიულ კანონზომიერებას.

ლახარ 'მონახვა' → ლახრეგ 'მონახვამ/მონახვით'
(← ლახარიეგ)

დათხარ 'ტირილი' → დათხრეგ 'ტირილმა/ტირილით'
(← დათხარიეგ)

2. [ე + ე] + V → [ე] + V:

ვევერ 'საწოვარა' → ვევერეგ 'საწოვარამ/საწოვარით'
(← ვევეერიეგ)

ცენეს 'წელს' → ცენესეც 'წელსვე' (← ცენესიეც)

თეშერ 'ენდობდა' → თეშერი? 'ენდობდა?' (← თეშერიი?)

თეყერ 'ეხვეწებოდა' → თეყერი? 'ეხვეწებოდა?' (← თეყერიი?)

ხეცერ 'იცოდა' → ხეცერი? 'იცოდა?' (← ხეცერიი?)

3. [ო + ო] + V → [ო] + V:

მოსოლ 'სიავე' → მოსლეგ 'სიავემ/სიავით' (← მოსოლიეგ)

შოროლ 'სივანე' → შორლეგ 'სივანემ/სივანით'
(← შოროლიეგ)

ყონოლ 'ახალვა ზრდობა' → ყონლეგ 'ახალვა ზრდობა-
ბამ/ახალვა ზრდობით' (← ყონოლიეგ)

თოჭორ 'ეძინა' → თოჭრი? 'ეძინა?' (← თოჭორიი?)

დოლორ 'ჩადებდა' → დოლრი? 'ჩადებდა?'
(← დოლორიი?)

4. [ა + ე] + V → [ა] + V:

საკერ 'კისერი' → საკრეგ 'კისერმა/კისრით' (← საკერიეგ)

ფხანერ 'ბეჭი' → ფხანრეგ - 'ბეჭმა/ბეჭით' (← ფხანერიეგ)

დადერ 'იფიცებოდა' → დადრი? 'იფიცებოდა?' (← დადერიი?)

ლალერ 'ივლიდა' → ლალრი? 'ივლიდა?' (← ლალერიი?)

ხალერ 'ჩაქრა' → ხალრი? 'ჩაქრა?' (← ხალერიი?)

5. [ა + ო] + V → [ა] + V:

ხაკოლ 'წყურვილი' → ხაკლეგ 'წყურვილმა/წყურვილით'
(← ხაკოლიეგ)

მაცოლ 'შემშლი' → მაცლეგ 'შემშლიმა/შემშლით'
(← მაცოლიეგ)

მალოლ 'სიზარმაცე' → მალლეგ 'სიზარმაცემ/სიზარმაცით'

(← მალოლქვე)

ახრობ 'თახლო' → ახრბე 'თახლმა/თახლოთ' (← ახრობქვე)
დალორ 'მოჰყავდა' → დალრი? 'მოჰყავდა?' (← დალორი?)

6. [ე + ა] + V → [ე] + V:

ფეშკარ 'ბალო' → ფეშკრი 'ბალოები' (← ფეშკარი)
ლეხარ 'ძებნა' → ლეხრე 'ძებნამ/ძებნით' (← ლეხარქვე)
თეგარ 'მორიგება' → თეგრე 'მორიგებამ/მორიგებით'
(← თეგარქვე)

დეწარ 'სიყვარულო' → დეწრე 'სიყვარულმა/სიყვარულით'
(← დეწარქვე)

დელარ 'სიცილო' → დელრე 'სიცილმა/სიცილით'
(← დელარქვე)

7. [ე + ო] + V → [ე] + V:

დელოლ 'სისუსტე' → დელლე 'სისუსტემ/სისუსტით'
(← დელოლქვე)

ბერლომ 'წაკა' → ბერლმე 'წაკამ/წაკით'
(← ბერლომქვე)

დეხორ 'სთხოვდა' → დეხრი? 'სთხოვდა?' (← დეხორი?)
ყეგორ 'ამტერედა' → ყეგრი? 'ამტერედა?' (← ყეგორი?)

8. [ო + ა] + V → [ო] + V:

თოხარ 'დარტყმა' → თოხრე 'დარტყმამ/დარტყმით'
(← თოხარქვე)

თოჰარ 'ძილი' → თოჰრე 'ძილმა/ძილით' (← თოჰარქვე)

ლოწარ 'გამობმა' → ლოწრე 'გამობმამ/გამობმით'
(← ლოწარქვე)

ლოხარ 'გაცვეთა' → ლოხრე 'გაცვეთამ/გაცვეთით'
(← ლოხარქვე)

9. [ო + ე] + V → [ო] + V:

ოთერ 'დაღვა' → ოთრი? 'დაღვა?' (← ოთერი?)

მოთერ 'ეგონა' → მოთრი? 'ეგონა?' (← მოთერი?)

თოყერ 'ეყო' → თოყრი? 'ეყო?' (← თოყერი?)

ლოჟერ 'წაიქცა' → ლოჟრი? 'წაიქცა?' (← ლოჟერი?)

დონერ 'გაცვდა' → დონრი? 'გაცვდა?' (← დონერი?)

10. [o + a] + V → [o] + V:

დიკარ 'წაყვანა' → დიკრევ 'წაყვანამ/წაყვენით' (← დიკარიევ)

დისარ 'ღარჩენა' → დისრევ 'ღარჩენამ/ღარჩენით'
(← დისარიევ)

დივარ 'დათესვა' → დივრევ 'დათესვამ/დათესვით'
(← დივარიევ)

დიშარ 'წოლა' → დიშრევ 'წოლამ/წოლით' (← დიშარიევ)

წიწაყ 'ჭუჭრუტანა' → წიწყი 'ჭუჭრუტანები' (← წიწაყი)

11. [o + e] + V → [o] + V:

დივერ 'დათესა' → დივერი? 'დათესა?' (← დივერი?)

დიკერ 'წაიყვანა' → დიკერი? 'წაიყვანა?' (← დიკერი?)

თიტერ 'გაჭრა' → თიტერი? 'გაჭრა?' (← თიტერი?)

ხიტერ 'გაწყდა' → ხიტერი? 'გაწყდა?' (← ხიტერი?)

დითერ 'გარეცხა' → დითერი? 'გარეცხა?' (← დითერი?)

12. [o + ɔ] + V → [o] + V:

ნიფსორ 'თანა|ტოლი' → ნიფსრევ 'თანა|ტოლმა/
თანა|ტოლით' (← ნიფსორიევ)

შიროლ 'სიძველე' → შირლევ 'სიძველემ/სიძველით'
(← შიროლიევ)

დითორ 'დატოვებდა' → დითორი? 'დატოვებდა?' (← დითორი?)

იხორ 'დადიოდა' → იხრი? 'დადიოდა?' (← იხორი?)

დიკორ 'მიპყავდა' → დიკორი? 'მიპყავდა?' (← დიკორი?)

13. [y + a] + V → [y] + V:

დულარ 'ყვირილი' → დულრევ 'ყვირილმა/ყვირილით'
(← დულარიევ)

დუსტარ 'გაზომვა' → დუსტრევ 'გაზომვამ/გაზომვით'
(← დუსტარიევ)

დუწარ 'ავსება' → დუწრევ 'ავსებამ/ავსებით' (← დუწარიევ)

ჯუსარ 'ზოგვა' → ჯუსრევ 'დაზოგვამ/დაზოგვით'
(← ჯუსარიევ)

14. [y + e] + V → [y] + V:

დუღერ 'ყვიროდა' → დუღრი? 'ყვიროდა?' (← დუღერი?)
 დუხერ 'ძმო შარღვა' უნდოდა → დუხერი? 'ძმო შარღვა' უნდოდა?' (← დუხერი?)
 15. [უ + ო] + V → [უ] + V:
 მუსტოლ 'სიმყავე' → მუსტლეე 'სიმყავემ/სიმყავით' (← მუსტოლიეე)
 დუროლ 'სიძლა შე' → დურლეე 'სიძლა შემ/სიძლა შით' (← დუროლიეე)
 დუსტორ 'ზომავდა' → დუსტრი? 'ზომავდა?' (← დუსტორი?)
 ბ) რედუქცია ეპენტეზისის გზით
 I ფორმულა - [V^{III}₁/V^{II}₁ + V^I₂] + V → [V^{III}₁/V^{II}₁ + V^I₁] + V
 1. [ა + ი] + V → [აჲ] + V:
 ქანის 'ყურძენი' → ქანზეე 'ყურძენმა/ყურძნით' (← ქანისიეე)¹³⁶
 დაწირ 'სღია' → დაწრი? 'სღია?' (← დაწირი?)
 თასირ 'ჩაგდო' → თასრი? 'ჩაგდო?' (← თასირი?)
 დალირ 'ემართა' → დალრი? 'ემართა?' (← დალირი?)
 2. [ე + ი] + V → [ეჲ] + V → [იჲ] + V → [ი] + V:
 დეხირ 'სთხოვა' → დიხრი? 'სთხოვა?' (← დიხხრი ← დეხხრი ← დეხირი?)¹³⁷
 თეშირ 'დაიჯერა' → თიშირი? 'დაიჯერა?' (← თიშიხრი ← თეშიხრი ← თეშირი?)
 დეხკირ 'დააბა' → დიხკრი? 'დააბა?' (← დიხხკრი ← დეხხკრი ← დეხკირი?)
 დეფცირ 'იამბო' → დიფცრი? 'იამბო?' (← დიფცხრი ← დეფცხრი ← დეფცირი?)

¹³⁶ უმარცვლო α ($\alpha < \delta < \iota$), რომელიც გადანაცვლების შემდეგ უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდება წინამავალ ხმოვანთან, ხშირად იწვევს მის ასიმილაციას.

¹³⁷ ასიმილაციის ეს საფუძვრები ზოგ შემთხვევაში პარალელურად დასტურდება წოვათუშთა მეტყველებაში, ამიტომ მათი დასახელებული მიმდევრობები ყოველთვის არ ივარაუდება რეკონსტრუქციის დონეზე.

ლეხირ 'ეძება' → ლიხრი? 'ეძება?'
(← ლიხრი ← ლეხრი ← ლეხირი?)

3. [ლ + ი] + V → [ლმ] + V → [ლმ] + V:

ვოწირ 'აჭვიდა' → ვუმწრი? 'აჭვიდა?'
(← ვომწრი ← ვოწირი?)

ღოწირ 'შეაბა' → ღუმწრი? 'შეაბა?' (← ღომწრი
← ღოწირი?)

ღოხკირ 'ხაყარა' → ღუმხკრი? 'ხაყარა?'
(← ღომხკრი ← ღოხკირი?)

ოხკირ 'აახხა' → უმხკრი? 'აახხა?' (← ომხკრი ← ოხკირი?)

ღოფხირ 'ხაიცივა' → ღუმფხირი? 'ხაიცივა?'
(← ღომფხირი ← ღოფხირი?)

4. [უ + ი] + V → [უმ] + V:

ღუღირ 'იყვირა' → ღუღრი? 'იყვირა?' (← ღუღირი?)

ღუსტირ 'გაზომა' → ღუმსტრი? 'გაზომა?' (← ღუსტირი?)

|| ფორმულა - [V^{III}₁ + V^{II}₂] + V → [V^{III}₁ + V^{II}₁] + V

1. [ა + უ] + V → [აჟ] + V → [ამ/ოჟ] + V:

ხაბურ 'ობი' → ხამბრეგ 'ობმა/ობით' (← ხაჟბრეგ
← ხაბურეგ)

დათხურ 'ხავეიწი' → დამთხრეგ 'ხავეიწმა/ხავეიწით'
(დაჟთხრეგ ← დათხურეგ)

ღანკურ 'დამპალი' → ღანმკრეგ 'დამპალმა/დამპალით'
(დაჟმკრეგ ← ღანკურეგ)

დათურ 'ესხა (ხასხმული იყო)' → დამთრი? 'ესხა?'
(დაჟთრი ← დათური?)

2. [ე + უ] + V → [ეჟ] + V → [ემ] + V → [იმ] + V →
[ი] + V:

ჭეჭურ 'უყურებდა' → ჰიჭრი? 'უყურებდა?' (← ჰიმჭრი
← ჰემჭრი ← ჰეჭური?)

ეშურ 'აკლდა' → იშრი? 'აკლდა?' (← ეშური?)

თებურ 'ამბობდა' → თიბრი? 'ამბობდა?' (← თებური?)

ხელურ 'ქრებდა' → ხილრი? 'ქრებდა?' (← ხელური?)

3. [ლ + უ] + V → [ლუ] + V → [ლმ] + V → [უმ] + V:

ბოლურ 'პალო' → ბუმღრეგ 'პალომ / პალოთი'

(← ბომღრეგ ← ბოლურსეგ)

თოყურ 'ეყოფოდა' → თუმყრი? 'ეყოფოდა?' (← თოყურსი?)

ხოყურ 'ხეტეოდა' → ხუმყრი? 'ხეტეოდა?'

(← ხოყურსი?)

დოხურ 'გაცვდებოდა' → დუმხრი? 'გაცვდებოდა?'

(← დოხურსი?)

დოტურ 'მიდიოდა' → დუმტრი? 'მიდიოდა?' (← დოტურსი?)

ამრიგად, ენაში ხმარებული ხუთი ძირითადი ხმოვნის 25 თეორიულად შესაძლებელი ორწევრიანი დისტანციური კომბინაციიდან თუშურენოვან სიტყვებში რეალიზებულია ყველა ვარიანტი. მათგან ზოგიერთი მიმდევრობა ტიპობრივია და ფართოდაა გავრცელებული, ზოგი კი შედარებით ნაკლებად გვხვდება.

როგორც ვხედავთ, მარტივ რედუქციას ექვემდებარება ხუთივე ხმოვანი, ხოლო რედუქციას ებენთეზისის გზით – მხოლოდ ორი. ხმოვანთა დამოწმებული 25 ორწევრიანი დისტანციური მიმდევრობიდან მარტივი რედუქციის სამოქმედოა 18, ხოლო რედუქციისა ებენთეზისის გზით – დანარჩენი 7.

გამოდის, მარტივ რედუქციასა და ებენთეზისურ რედუქციას შორის ზუსტად არის დანაწილებული ენაში არსებული ხმოვანთა დისტანციური ორწევრიანი მიმდევრობები და შედეგად ორივე მათგანს მოსდევს მარცვალოთა რაოდენობის კლება თუშური ენის გრამატიკულ-ლექსიკურ სიტყვათწარმოებაში. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დასახელებულ პროცესთა სახით საქმე გვაქვს ერთი და იმავე ფონემატური ტენდენციის სხვადასხვაგვარ გამოვლინებასთან.

მხოლოდ საკუთრივ თუშურენოვანი სიტყვების ანალიზით რომ შემოვფარგლოყავით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ლექსემათა ფლექსიისა და დერივაციის დროს მოქმედი აღნიშნული

რედუქციის პროცესები წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა და შე-
პირობებულია სუფიქსისეული ხმოვნის ზეგავლენით. რედუქციის
მექანიზმი ნათლად გამოიკვეთება სიტყვათა სესხებისას, როცა
აფიქსის დართვის გარეშე რედუცირდება მრავალი სამმარცვლია-
ნი სიტყვა.

როგორც ცნობილია, თუშურ ენაში ნასესხებ სიტყვებს ყო-
ველთვის ჩამოსცილდება სახელობითი ბრუნვის -ი ფორმანტი,
ასევე სცილდება ფუძეს, ან სუსტდება და კარგავს მარცვლიანო-
ბას აუსლაუტში მოქცეული ყველა სხვა ხმოვანი (გაგუა, 1956,
469). ამიტომ ნასესხები სიტყვების მარცვალთა რაოდენობაზე
მსჯელობისას მათ მხედველობაში არ მივიღებთ. ასე, მაგალითად,
სიტყვებს ანგელოზი, ხიზილალი, ეშმაკობა... თანაბრად განვიხი-
ლავთ, როგორც სამმარცვლიანებს.

სანტერესოა ის გზა, რომელსაც თუშური ენა მიმართავს
სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვების სესხებისას. როგორც ვნახეთ,
ორიენტაცია სამი მარცვლის ფარგლებში ამ ენისთვის ბუნებრივია,
ამიტომ ნასესხებ სამმარცვლიან სიტყვებს ისე ექცევა, როგორც
საკუთარ ორმარცვლიან საწარმოებელ ფუძეს ექცეოდა მესამე
მარცვლის (მარედუცურებელი ელემენტის) დართვისას; კერძოდ,
ადგილი აქვს რედუქციას და რედუქციის სახეობაც (მარტივი თუ
ეპენტეზური) იმავე წესებით განიზრჩევა, რომლებიც ზემოთ განვი-
ხილეთ:

ა) მარტივი რედუქცია: ალაზანი → ალზან, ხელოსანი →
ხელსან.

ბ) რედუქცია ეპენტეზისის გზით: პაპიროსი → პაპროზ,
გაბრიელი → გამბრალ.

ოთხ- და მეტმარცვლიანი პოზიცია ამ ენისთვის უჩვეულო
და ძნელად მოსაგლეღია, ამიტომ აღნიშნული ტიპის მრავალ-
მარცვლიან ნასესხებ სიტყვებში, სადაც მახვილი მანამდე ილტვო-

და ბოლოდან მესამე მარცვლისკენ, თითქოს სიტყვიდან გამოითი-
შაო – უყურადღებოდ რჩება ყოფილი მანვილიანი მარცვალი,
სიტყვის დანარჩენი ნაწილის მიმართ კი ენა განახორციელებს
ისეთსავე კანონზომიერებებს, როგორსაც სხვა სიტყვების მიმართ
იყენებდა; მაგალითად: მოუხერხებელი → მო'უხერხებელ, გაუ-
ნათლებელი → გა'უნათლებელ.

იმ ვითარების მიხედვით, რაც ნასესხებ მრავალმარცვლიან
სიტყვათა საწყის ფორმებში წარმოგვიდგება, შეუძლებელია ვი-
საუბროთ თუშური ენის აფიქსების ხმოვანთა მარედუცირებელ
როლზე; როგორც ცნობილია, სახელობითი ბრუნვა ამ ენაში უნიშ-
ნოა, გაუფორმებელი. ამ შემთხვევაში, გამორიცხულია რა სუფიქ-
სთა ყოველგვარი გავლენა ფუძისეულ ხმოვნებზე, ვასკენით, რომ
რედუქციის გზით თუშურ ენაში რეგულირდება მარცვალთა რაო-
დენობა ცალკეულ ფორმათა ფარგლებში; შეიძლება ენის სწრაფ-
ვა სიტყვათა გაორმარცვლიანებისკენ, სუფიქსისეული ხმოვნები
კი რედუქციაში მონაწილეობენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც
ზრდიან სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ სამ-
მარცვლიანი სიტყვები, რომელთაც სესხებისას ზემოაღნიშნული
გზით უკვე დაკარგეს თითო ხმოვანი და გაორმარცვლიანდნენ,
როცა ჩაერთვიან ამ ენის ბრუნების სისტემაში, კარგავენ კიდევ
ერთ ფუძისეულ ხმოვანს იმ შემთხვევაში, თუ ჩნდება ხელახალი
გასამმარცვლიანების საშიშროება. იქ, სადაც ბრუნვის ფორმანტი
ხმოვანს შეიცავს, სესხებისას გაორმარცვლიანებული ფუძე ამჯე-
რად უკვე ერთმარცვლიანი ხდება, რის შედეგადაც მთლიანი სიტ-
ყვა კვლავ ორმარცვლიანობას ინარჩუნებს, მაგალითად:

- სახ. მოლზონ 'მონაზონი', ერგ. მოლზნეს (← მოლზონის)
- სახ. აღზა 'აღაზანი', ერგ. აღზნეს (← აღზანის)
- სახ. სოლმონ 'სოლომონი', ერგ. სოლმნეს (← სოლმონის)

სახ. მადრამ ‘მარიამი’, ერგ. მადრმეს (← მადრამქეს)

სახ. სუდრელ ‘სულერი’, ერგ. სუდრლეს (← სუდრელქეს)

ბრუნებისას რედუქციის პროცედურა ხორციელდება აგრეთვე ნასესხები მრავალმარცვლიანი სიტყვების ბოლო ორი მარცვლის ფარგლებში. მაგალითად: სახ. საკერბელ ‘საკერებელი’, ერგ. საკერბლევ (← საკერბელქევ); სახ. საფარბელ ‘საფარებელი’, ერგ. საფარბლევ (← საფარბელქევ).

იმისათვის, რომ რედუქციის განხილულ პროცესებს მიეცეს სიტყვის სიგრძით შეპირობებული კვალიფიკაცია, უნდა გაირკვეს, რატომ იკარგება, ან სუსტდება ხმოვანი ორმარცვლიანი სიტყვების აუსლაუტშიც მაშინ, როცა სარედუქციო პოზიცია თუშურ ენაში სამმარცვლიანია.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქაც გარკვეული კანონზომიერება მოქმედებს:

1. ი და უ ხმოვნები იკარგებიან უკვალოდ, ან გადაინაცვლებენ წინა ხმოვანთან, თუ ეს უკანასკნელი დიაობით აღემატება მათ;

2. დასუსტებული, ან მოკვეცილი ა, ე და ო იწვევენ წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელებას მხოლოდ ორმარცვლიან ფუძეებში, მეტმარცვლიანებში კი უკვალოდ იკარგებიან.

საილუსტრაციოდ შეიძლება დაფასახელოთ როგორც საკუთარი, ისე ნასესხები სიტყვები: ქართ.: ყოჩი → თუშ. ენ.: ყუაჩ, ქორი → ქუდრ, წაბლი → წაბლ, შარა → შარ, ფარა → ფარ, მოლა → მრლ, დელე → დელე, მოსე → მრსე, წყარო → წყარო, მარო → მარო, ნათელა → ნათელ, პეპელა → პეპელ, ფანცქალა → ფანცქალ/ფანცალ, სანთებელა → სანთებელ.

ორმარცვლიან სიტყვებში სუფიქსის დაურთველად მიმდინარე აუსლაუტის ხმოვანთა დასუსტება-მოკვეცის რედუქციის აღნიშნული პროცესები შეუძლებელია კვლავ მარცვალოთა რაოდენობის შემცირების ტენდენციით ავხსნათ. ამ მხრივ საგულისხმოა

ორმარცვლიანებში მიმდინარე წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელების ტენდენცია. ვფიქრობთ, როცა ორ- თუ მეტ-მარცვლიან სიტყვათა აუსლაუტში ხმოვანი რედუცირდება, თავს იჩენს ენის მისწრაფება – ღიამარცვლიანი სტრუქტურების ფორმები გარდაქმნას დახურულმარცვლიანი სტრუქტურის ფორმებად. მოვლენის ასეთ ახსნას მხარს უჭერს ქართველურ ენებში (ქართულსა და სვანურში) მოქმედი სიტყვის ბოლო მარცვლის დახურვის ანალოგიური ტენდენცია (გამყრელიძე, ..., 1965, 114).

საინტერესოა, რომ C ენაში მოქმედი ხმოვანთა რედუქციის მექანიზმი ამ სახით მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს ქართველურ ენებში მოქმედ ხმოვანთა დაკლების წესებთან. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მხრივ პარალელები აკად. გ. თოფურიას მიერ დადგენილ ხმოვანთა რედუქციის წესებთან თანამედროვე სვანურ ენაში (თოფურია, 1964).

§ 2. შემოსულ სიტყვათა ბგერითი გარსის მორფონოლოგიური ადაპტაცია

მრავალსაუკუნოვანი ორენოვნების პირობებში ასობით და ათასობით ქართული და ქართულის გზით ნასესხები სიტყვა შეეთვისა თუშური ენის ლექსიკურ ფონდს, გახდა მისი ორგანული ნაწილი. დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“, სადაც ორიენტაცია ძირითადად საკუთრივ თუშურ სიტყვებზეა აღებული, შესწავლილი 3.665 თუშურენოვანი სიტყვის გვერდით 2.143 ქართულ სიტყვას ითვლის, რაც გვაძლევს შეფარდებას 3,6:2,1. ქართულ სიტყვათა რიცხვი უკვე წლობით კი არა, თვეებით და დღეებით მატულობს.

ქართულიდან ნასესხებ სიტყვათა ბგერითმა გარსმა რიგი ცვლილება განიცადა. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს ცვლილებები შეპირობებულია კონტაქტში მყოფ ენათა ფონოლოგიურსა და მორფოლოგიურ სისტემებს შორის არსებული სხვადასხვაობით და მის უშუალო ასახვას წარმოადგენს.

იმის გამო, რომ განხილულ ენათა მორფოლოგიური სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, C ენაში ქართულ ლექსემებს ტრანსფორმაცია დასჭირდა ახალი გარემოს შესაბამისად. მათი ბგერითი გარსი იმგვარად გარდაიქმნა, რომ აგებულიების მიხედვით ეს უკანასკნელნი მსესხებელი ენის სიტყვებს დაემსგავსნენ; მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთვნენ ისინი მსესხებელი ენის სიტყვათმომოქცევის ნაკადში.

ქვემოთ ჩვენ აღნიშნული ორი ენობრივი სისტემის განმასხვავებელ მორფოლოგიურ ნიშნებს განვიხილავთ და ვაჩვენებთ მის კონკრეტულ გამოხატულებას ლექსემათა სესხების პროცესში.

ივარაუდება, რომ თავის ღრობე, როცა ორენოვნება ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა, ნასესხებ სიტყვათა ბგერით გარსში უნდა ასახულიყო C და S ენათა მორფოლოგიურ სისტემებს შორის არსებული ყველა განსხვავება. დღეს, რაკი ორენოვნება საყოველთაო გახდა, როგორც ეს პირველ თავში უკვე აღვნიშნეთ, უცხო სიტყვათა ასიმილაციის პროცესი მაქსიმალურად გამარტივდა, ამიტომ ჩვენი მსჯელობა ხშირ შემთხვევაში რელიქტურ ფორმებს ემყარება.

1. ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ფონოლოგიური

ადაპტაცია

1. ძირის მარტივი (CVC) კონსტრუქციის მიუხედავად, დღეს ქართული სიტყვის ანლაუტში განვითარებულია თანხმოვანთა

უკიდურესად რთული ჯგუფები, სადაც წევრების რიცხვი შეიძლება აღწევდეს ხუთსა და ექვსსაც კი (ფოგტი, 1961, 12).

ამ მხრივ აშკარად საპირისპიროა თუშური ენის ვითარება, სადაც თავკიდურ პოზიციაში უმეტესად ერთი თანხმომიანი ფუნქციონირებს; წყვილი თანხმომიანი შეგვხვდება თითქმის მხოლოდ მაშინ, როცა ეს თავმოყრა იძლევა **OF** თანმიმდევრობას¹³⁸.

როგორც ცნობილია, **C** ენის სიტყვათა ანლაუტში გამოირჩეხულია ერთი და იმავე კლასის წევრთა ურთიერთკომბინაციები (**OO**, **FF**, **SS**) და, საერთოდ, სონანტთა მონაწილეობა წყვილ-თანხმომიან კომპლექსებში (რეალიზებულია მხოლოდ ორი ასეთი კომპლექსი: **მჟ**, **ნჟ**).

ანლაუტის თანხმომიანთა განაწილების ეს წესები საბაბი გახდა ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში მომხდარი რიგი ცვლილებებისა:

ა) უცხო სიტყვათა ანლაუტის წყვილთანხმომიან კომპლექსებში, როგორც უჩვეულო, სისტემატურად დარღვეულია ხშულისა და სონანტის ყოველგვარი მიმდევრობა. ამ მიზნით მსესხებელ ენაში ისეთი სხვადასხვა საშუალებაა გამოყენებული, როგორცაა ანაპტიქსური (უფუნქციო) ხმომიანი ჩართვა კომპლექსის წევრებს შორის და რომელიმე კომპონენტის დაკარგვა.

ანაპტიქსური ხმომიანი როლში ყველაზე უფრო ხშირად ა გვევლინება. ეს გარემოება, ვფიქრობთ, იმან განაპირობა, რომ **C** ენის სიტყვათა ძირებში, რომლებიც, როგორც წესი, სიტყვებში ყოველთვის პირველ ადგილზე დგანან, ხმომიანიდან ყველაზე უფრო ხშირად რეალიზებულია სწორედ ა.

დავასახელებთ ანაპტიქსური ხმომიანი სონანტის შემცველი თანხმომიანთა კომპლექსის დაშლის მაგალითებს (განემარტავთ

¹³⁸ **O, F, S** სიმბოლოებით შესაბამისად აღვნიშნავთ ხშულებს, ნაპრალოვნებსა და სონანტებს.

მხოლოდ იმ ერთეულებს, რომელთა მნიშვნელობაც ქართულისაგან განსხვავებულია მთლიანად, ან ნაწილობრივ): ქართ.: **ჩრდილი** → თუშ. ენ. **ჩარდილ, ვრდალი** → **ვადალ** ← **ვარდალ** (< **მვრდალი**)¹³⁹, **ღრძილი** → **ღარძილ** (გვერდითი საღეჭი კბილი)¹⁴⁰, **ჩრჩილი** → **ჩარჩილ, ჭლიკვი** → **ჭალკო, კრჩხა** → **კარჩხო, ქრთამი** → **ქართამ** (საჭმელი, ჩვეულებრივ პური, რომელსაც მოწველის წინ აძლევენ ძროხას, თუ რძეს არ იძლევა)¹⁴¹, **ფლასი** → **ფალაზ ‘ფარდავი’**¹⁴², **კრახმალი** → **კარხმალ, წმელა** → **წამდარ** (დარ მეშველი ზმნაა), **ზნე** → **ზან** ← **ზანე**.

შეგვხვდა იმავე ფუნქციით ი ხმოვნის გამოყენების ორი შემთხვევა: **გრკალი** → **კირკალ, ზღმარტლი** → **სიმაღრტყლ** ← **ზღმარტლ**.

თითოჯერ აღნიშნული ფუნქციით ო და უ ხმოვნებიც დადასტურდა: **შრომანი** → **შორშან, ყრუ** → **ყურუ**¹⁴³.

სავარაუდოა, რომ ბოლო ორ მაგალითში ახალი ხმოვანი კი არ ჩაერთო თანხმოდანთგამყარად, არამედ იმავე ფუნქციით ძირისეულმა ხმოვანმა გადაინაცვლა ერთი პოზიციიდან მეორეში; ეს შეეძლო შეეპირობებინა მისწრაფებას სიტყვის ამოსავალ ფორმასთან ეტიმოლოგიური კავშირის შენარჩუნებისაკენ. გარდაქმნის მსგავსი გზაა სავარაუდებელი აგრეთვე **კრახმალი** → **კარხმალ** შემთხვევაშიც.

¹³⁹ შდრ. ძვ. ქართ. ხადუმი ‘საჭურისი/მოახლე’ < არაბ.

¹⁴⁰ შინაარსი გადატანილია მნიშვნელობით ახლო მდგომ საგანზე. **სულხან-საბას განმარტებით**, ის „კბილთ საყრობი ვორცია“ (ორბელიანი, 1966, 257).

¹⁴¹ მნიშვნელობა გაფართოებულია. **საბასეული განმარტება** „საცოდავი ძღვენი“ (ორბელიანი, 1966, 233), რა თქმა უნდა, მხოლოდ აღაშინებს ეხება.

¹⁴² **სულხან-საბას** მიხედვით, ის „ბალნის ძაძას“ ნიშნავს, „ბალნისაგან ხშირად ქსოილს“ (ორბელიანი, 1966, 1951).

¹⁴³ გამოყოფილია მაზედსართავებელი სუფიქსი.

ჩვენ მიერ დასახელებული ანაბტიქსურხმოვნისანი მაგალითების გარკვეული ნაწილი, როგორც მკვლევართა რიგი ნაშრომებიდან ირკვევა, ანაბტიქსურივე ხმოვნით დასტურდება აგრეთვე ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში, კერძოდ, თუშურში – ჩირდილი, ღირძილი, გირკალი (უთურგაიძე, 1960, 194); ხევსურულში: ღირძილი, კირკალი, კირჩხა (ჭინჭარაული, 1960, 29-31).

შეიძლება გვეფიქრა, რომ **C** ენამ ეს სიტყვები მზა ფორმით შემოიტანა დასახელებულ დიალექტთა ენობრივი ინვენტარიდან, მაგრამ ასეთ ვარაუდს ხელს უშლის რამდენიმე გარემოება:

1. მთის ქართული დიალექტები თანხმოვანთგასაყარად ი ხმოვანს იყენებენ, აქ კი ა გვაქვს;

2. რამდენიმე ფორმა მხოლოდ თუშურ ენაში დასტურდება და მათი ამ სახით სესხება დიალექტებიდან გამორიცხულია (ესენია: წმელა → წამღარ, ფლასი → ფალაზ, ჳრღალი → ჳაღალ, კრახმალი → კარხმალ, ჳნე → ჳან);

3. თუშური ენის ფონოლოგიური მოდელის ფონზე სიტყვათა ასეთი გარდაქმნა სავსებით კანონზომიერი ჩანს. რამდენიმე მაგალითი, სადაც ანაბტიქსურ ხმოვნად გამოყენებულია ი, შეიძლება, მართლაც უკვე შეცვლილი, მზა სახით იყოს შესული თუშურ ენაში მეზობელი ენობრივი სამყაროდან.

ბ) ნასესხებ სიტყვათა # – **V** პოზიციაში სონანტის შემცველ თანხმოვანთკომპლექსებს თუშური ენა ხშირად აღწევს თავს რომელიმე წევრის, კერძოდ, სონანტის დაკარგვით. ასე მივიღეთ: მკათათვე → კათათ, მთათუშეთი → თათუშითან, მწითევი → წითავ, მსახური → სახურ, მკითხავი → კითხავ, მკალავი → კალავ, მკედარი → კედარ, მწვანელი → წონილ, მთავარანგელოზი → თავარანგლოზ, მჭედელი → ჭედელ, მწევარი → წევარ, მწვადი → წოდ, მჭახელ → ჭახით.

იგივე ვითარება გვაქვს შებრუნებული მიმდევრობის კომპლექსებშიც: ფლანელი → ფანელ, კლანჭი → კაჭ.

საგულისხმოა, რომ სიტყვის თავში სონანტის დაკარგვის მსგავსი ტენდენცია ქართულ დიალექტებსაც ახასიათებს; ამიტომ აქაც ისმის კითხვა: ხომ არაა ეს სიტყვები შზა სახით მეზობელი დიალექტების შემონატანი? ასეთი შესაძლებლობა, ცხადია, არაა გამორიცხული, მაგრამ, რადგან სათანადო გარდაქმნათა საფუძველს თუშურენოვან სიტყვათა აგებულებაშიც ვხედავთ, ფფიქრობთ, უმეტესობა თვით C ენაში უნდა იყოს მიღებული (გადამუშავებული). ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ბილინგვთა უფროსი თაობა უსონანტოდ ხმარობს ისეთ უახლეს ნასესხობებსაც, რომლებიც უშუალოდ სალიტერატურო ქართულიდანაა შესული. მაგალითად, სახელი შზია ამ ენაში სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინათ გავრცელდა; ახალგაზრდები უცვლელად წარმოთქვამენ მას, ხანშიშესულთა მეტყველებაში კი შია ისმის. ისმის აგრეთვე თავრობ 'მთავრობა', ხეც 'მხეცი', ნათობ 'მნათობი'.

სონანტის მეზობლობა სხვა თანხმოვნებთან, როგორც წესი, ირღვევა სამ- და ოთხწევრიან კომპლექსებშიც. ასეთი კომპლექსები თუშური ენისთვის უჩვეულოა რამდენიმე თვალსაზრისით: ჯერ ერთი, რომ სონანტს შეიცავენ სხვა თანხმოვანთან მეზობლობაში და, მეორეც, კომპლექსის წევრთა რიცხვი აღემატება ორს. შეუსაბამობათა გასწორება ხდება რაოდენობრივად ზედმეტი ბგერების დაკარგვით, ან გადაადგილებით. მაგალითად: ქართ.: ფრთხილი → თუშ. ენ.: თხილო ← ფთხილო ← ფრთხილო.

გ) ცალკე უნდა განვიხილოთ ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში ფ-ს შემცველი თანხმოვანთკომპლექსების ცვლილება. აქ ხმოვნისწინა პოზიციაში თანხმოვნის მომდევნოდ მდგარი ვ თითქმის ყოველთვის იკარგება. სულ ერთია, რომელი მარცვლის იმ-

პლოზიაში იქნება ის მოქცეული: სიტყვის ანლაუტისა, ინლაუტისა თუ აუსლაუტისა. დაკარგვისას ეს ბგერა რეფლექსს ტოვებს მომდევნო ი, ა, ე ხმოვნების ლაბიალიზაციის სახით. ო და უ ხმოვნები ამ პოზიციაში ქართულ სიტყვებს, როგორც ცნობილია, არ ახასიათებს (უთურგაიძე, 1976, 15).

ფ-ს ასეთი დაკარგვის მაგალითებია:

1) მომდევნო ა-ს ლაბიალიზაციით: ქართ.: ძვალი → თუშ. ენ.: ძოლ, კვალი → კოლ, ჯვარი → ჯორ, ღვარი → ღორ, ცვალი → ცორ, ზვაგი → ზოვ, სვაგი → სოვ, საყვავე → საყოვ, მოძღვარი → მოძღორ, სირსვალი → სირსოლ, ხვალი → ხოდ, ბიკვანი → ბიკო, დაცვა → დაცოლდარ, ტანჯვა → ტანჯოლდარ, ხატვა → ხატოლდარ, ხარჯვა → ხარჯოლდარ, წვალეზა → წოლბადარ, ცხრილვა → ცხრილოლდარ, მართვა → მართოლდარ, წირვა → წიროლდარ.

2) მომდევნო ი-ს ლაბიალიზაციით: ჭიჭკვიტა → ჭიჭკოტ, ლელვი → ლელრ, ფესვი → ფესრ, ვერხვი → ვერხრ, ნესვი → ნესრ, ძარღვი → ძარღრ.

3) მომდევნო ე-ს ლაბიალიზაციით: მარჯვე → მარჯრ, ქვეითად → ქუითათ (← ქოითათ).

საინტერესოა, რომ, როცა სიტყვაში ორჯერ შეიქმნა ფ-ს ანალოგიური დაკარგვის შესაძლებლობა, მოსალოდნელი გარდაქმნა ორივეჯერ განხორციელდა; მხედველობაში გვაქვს სიტყვა გვალვა, რომელმაც C ენაში მოგვცა კანონზომიერი შესატყვისი გოლრ.

გვაქვს სიტყვათა ერთი წყება, სადაც იმავე პოზიციაში მდგარი ფ უკვალოდ დაიკარგა. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს კანონზომიერი გამონაკლისებია. ფ-ს ასეთი უკვალოდ დაკარგვა ხდება:

1) როცა უშუალოდ მის წინ დგას ბაგისმიერი თანხმოვანი, მაგალითად: შეღებვა → შეღება|დარ, შენიღბვა → შენიღბა|დარ, გაქლიბვა → გაქლიბა|დარ, ჩხიბვა → ჩხიბა|დარ, დანამევა → დანამა|დარ, შხამევა → შხამა|დარ, დახუფვა → დახუფა|დარ, დაღუპვა → დაღუპა|დარ, მიტყეპვა → მიტყეპა|დარ.

2) როცა მისი შემცველი თანხმოვანთკომპლექსი მოს-დევს ბაგისმიერ ხმოვანს: ჟონვა → ჟონა|დალარ, ფუთვა → ფუთა|დალარ, გაწუწვა → გაწუწა|დარ, შებოჭვა → შებოჭა|დარ, ცოცვა → ცოცა|დალარ, ფოფხვა → ფოფხა|დალარ, დაკუწვა → დაკუწა|დარ, ზრუნვა → ზრუნა|დალარ, გაწურვა → გაწურა|დარ.

დ) კონკრეტული წესი იმის შესახებ, რომ სიტყვათა ანლაუტში გამორიცხულია ერთი და იმავე კლასის წევრთა ურთიერთკომბინაციები, საფუძვლად დაედო ანაპტიქსური ხმოვნით თანხმოვანთა გათიშვას სიტყვაში: ქართ. ჭდე → თუშ. ენ. ჭადრ. ასახსნელი რჩება, რატომ უნდა გაჩენილიყო ამ მაგალითში ე-ს ადგილას ო.

II. ხმოვნის მომდევნო პოზიცია შედარებით თავისუფალია თუშურ ენაში. თუ ამ ენის სიტყვათა თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთა კომპლექსები ნაკლებად გვხვდება, ბოლოკიდურ პოზიციაში თანხმოვანთა თავმოყრა საკმაოდ ხშირია და გამოყენებულია ხშულთა, ფრიკატივთა და სონანტთა თითქმის ყველა შესაძლო წყვილწევრიანი კომბინაცია, გვაკლია მხოლოდ **FF** მიმდევრობა. ასეთ შემთხვევაში ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ბედს წყვეტს არა მხოლოდ ამა თუ იმ მოდელის ქონა-უქონლობა, არამედ ისიც, თუ ცალკეულ მოდელთა რომელი კონკრეტული შემთხვევებია გამოყენებული მსესხებელ ენაში. მაგალითად:

ა) თუშური ენის სიტყვათა **V - #** პოზიციაში სონანტისა და ხშულისგან შემდგარი **OS** მოდელის მხოლოდ სამი შემთხვევაა რეალიზებული: **ბლ, ფლ, ტრ**. ამით აიხსნება, რომ ნასესხებ სიტ-

ყვებში ამ მოდელის ყველა სხვა შემთხვევა დაირღვა. გვაქვს: ქართ.: მადლი → თუშ. ენ.: მადელ, ჩექმა → ჩაქამ, დაფნა → დაფან, მოცლა → მოცალადარ.

ბ) იმავე პოზიციაში საკმაოდ ფართოდ არის რეალიზებული სონანტისა და ხშულის SO ტიპის კომპლექსები, მაგრამ მათ შორის არ გვხვდება ლქ. ამას უნდა მიეწეროს ის, რომ ქართულიდან ნასესხები სიტყვა ჩულქი დამკვიდრდა ჩულაქ ფორმით.

ეს არის სულ, რაც თუშური და ქართული ენების ურთიერთობის აღრინდელ საფეხურებზე შესრულებულ ნასესხობათა დღემდე მოღწეული მაგალითების მიხედვით შევძელით გვეთქვა თანხმოვანთა უჩვეულო ბოლოკიდური კომპლექსების რღვევის პროცესის შესახებ. ჩანს, ეს პოზიცია ადრევე დათმო C ენამ. ამას ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ მორფემიზებული კომპლექსები ამ ენაში თითქმის მხოლოდ სიტყვის ბოლოს გვხვდება. როგორც ცნობილია, ბოლოკიდური პოზიციის კომპლექსებს თავკიდური პოზიციის კომპლექსებთან შედარებით მეტი თავისუფლება ახასიათებს და ისინი ადვილად იცვლებიან მორფოლოგიური მოდელის დაწოლით (ერთელიშვილი, 1964, 147).

III. სიტყვათა ანლაუტისა თუ აუსლაუტის თანხმოვანთ-კომპლექსები ერთ საერთო ფონოლოგიურ წესს ექვემდებარება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყრუ თანხმოვანთან შეიძლება იდგეს მხოლოდ ყრუ ბგერა. აქედან გამომდინარე, როცა ნასესხებ სიტყვებში ფუძისეული ხმოვნის, ან თანხმოვნის რედუქციის შემდეგ მიიღება ისეთი კომპლექსები, სადაც აღნიშნული წესი დარღვეულია, ხდება მისი აღდგენა – კომპლექსში შემავალი მჟღერი ბგერა სათანადო ყრუ ბგერით იცვლება. ასე, მაგალითად: ქართ.: ჯოჯოხეთი → თუშ. ენ.: ჯოჩხითან ← ჯოჯხითან, მარჯაკელი → მარჯკელ ← მარჯკელ, ყოჩალათ → ყოჩხათ ← ყოჩლათ, აბრე-

შუმი → აფშუღ ← აბშუღ, ღვთიშობელი → ხვთიშობელ ← ღთიშობელ.

IV. თუშური ენის სიტყვათა აუსლაუტში ხმოვნის შემდეგ მდგარი ნ დასუსტდა და დაკარგა დამოუკიდებელი არსებობა, რასაც შედეგად მოჰყვა წინამაგალი ხმოვნის ნაზალიზაცია. ამ არტიკულაციური მოვლენის მეცნიერული ახსნა მოგვცა ნ. ტრუბეცკოიმ. მკვლევარის აზრით, ანალოგიურ შემთხვევაში (ასე ხშირად ემართებათ სონანტთა კლასის წევრებს) ხდება თანხმოვნის ზედმეტი გაღიაგება, რის გამოც მცირდება ჰაერის ხახუნი. ამის შედეგად ბგერის შედგენილობაში მატულობს ტონი, როგორც საშენი მასალა, და თანხმოვანი ემსგავსება ხმოვანს (Трубцкой, 1960, 69) და პირიქით.

ამ გზით მივიღეთ C ენაში: ა ← ან ‘ჭვავი’, ჰქ ← ჰენ ‘შენი’, ჰჭ ← ჰჭან ‘ფრთა’, ღო ← ღონ ‘ცხენი’.

აღნიშნული კომბინაციური ბგერათვლილობის შედეგად თუშური ენის სიტყვათა აუსლაუტში ხმოვნის მომდევნოდ მდგარი ცალი თანხმოვნის განაწილების წესების სისტემას ახალი წესი შეემატა: ძირეულ მორფემათა V – # პოზიციაში არ შეიძლება შეგვხვდეს თანხმოვანი ნ. C ენის საკუთარ სიტყვებში ეს წესი უგამონაკლისოა და ასევე გავრცელდა ის ნასესხებ ლექსემებზედაც ყველგან, სადაც აუსლაუტის ხმოვნის სავალდებულო რედუქციის შედეგად ნ აკრძალულ პოზიციაში მოჰყვა. მაგალითად: ქართ.: დარვანი → თუშ. ენ.: დარგა , ქოთანი → ქოთა, ფრთოსანი → ფრთოსა, მგოსანი → მგოსა, ხვარტანი → ხვარტა, ორდენოსანი → ორდენოსა, დანარჩენი → დანარჩე , განაჩენი → განაჩე, შევარდენი → შევარდე, წვენი → წვე, ჟინი → ჟი, რეზინი → რეზი, არშინი → არში, ღხინი → ღხი, ღიღინი → ღიღი, შალაშინი → შალში, გარმონი → გარმი, ბატონი → ბატი, მირონი

→ მიწა, საპონი → საპა, ხონი → ხა, ქონი → ქა, გონი →
გა, თუთუნა → თუთა, წუნი → წა.

როგორც საკუთარი, ისე ნასესხები სიტყვების აუსლაუტის ცვლის ეს წესი მითითებული და განხილული აქვთ მკვლევართ: ი. დეშერიევს (Дешериев, 1953, 47), რ. გაგუას (გაგუა, 1956, 475).

ჩვენი მხრივ, მას მხოლოდ მაგალითებს ვუმატებთ და აუსლაუტის ვითარებას ვიხილავთ საერთოდ მარცვლის დასასრულის მიმართ მთლიანი სიტყვის ფარგლებში. როგორც მოსალოდნელი იყო, ნ-ს ასეთ დასუსტებას ადგილი აქვს არა მარტო სიტყვის ბოლოს, არამედ სიტყვის შიგნითაც, ნებისმიერი მარცვლის ექსპლოზიაში. მაგალითად:

ქართ.: მანქანა → თუშ. ენ.: მჭჭა, წინაგორი → წაგორა,
ტანკი → ტჭკ, მანკი → მჭკ, მანდილი → მაძლი, ღანძილი →
ღაძილი, ინსტიტუტი → ანსტიტუტა, კონსერვი → კაწსერვა, მენ-
დალი (← მედალი) → მაქდალი, კონსპექტი → კაწსაქექტი, ინგუშური
→ აწგუშური, ანკეტა → აწკექტი, ანდერძი → აწდერძი, აჯანყება
→ აჯაწყება.

ალბათ, იმის გამო, რომ ბგერათმეზობლობის წესით მომდევნო მარცვლის იმპლოზიის თანხმომავანი რამდენადმე ასუსტებს ნ-ს ასეთი გაზრდილი ღიაობის ხარისხს და ის გარდამავალ საფეხურს იკავებს სუსტიდან ჩვეულებრივ თანხმომავნამდე, მკვლევარნი მისი ინლაუტის პოზიციის შესახებ არაფერს ამბობენ. ამ მხრივ, გამოსარჩევია ნ-ს მეზობლობა უკანაენისმიერ თანხმომავნებთან, სადაც განსაკუთრებით ხელშესახებია მისი დიდი ღიაობა ჩვეულებრივთან შედარებით¹⁴⁴.

V. ნასესხები სიტყვათა ბგერით გარსში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა აგრეთვე თუშური ენის სიტყვათა მოდელე-

¹⁴⁴ უფრო დეტალურად ნ-ს რელექციური თვისებები უკვე წარმოვადგინეთ წინამდებარე ნაშრომის საკუთრივ ფონეტიკურ ნაწილში.

ში მოქმედ ხმოვანთა განაწილების თავისებურ წესს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ორი სრული ხმოვანი არ შეიძლება უშუალო მიმდევრობაში იყოს ერთმანეთთან.

ღიაქრონიულ ასპექტში თ. უთურგაიძე იმავე ძირითად კანონზომიერებას აღადგენს ქართული ენის ვოკალური სისტემისთვისაც, მაგრამ დღეისათვის ამოსავალი მოდელი იქ მნიშვნელოვნად შეცვლილია (უთურგაიძე, 1976, 17).

ცხადია, აღნიშნული სხვადასხვაობით აიხსნება ბილინგვთა მიერ ხმოვანთა უშუალო ჰეტეროსილაბიკური მიმდევრობის დამლა ქართულსა და ქართულის გზით ნასესხებ სიტყვებში. ამ მიზნით რამდენიმე საშუალებაა გამოყენებული.

ა) იქ, სადაც კომპლექსის წევრები ისე იყო განლაგებული, რომ ფართო (ა, ე, ო) ხმოვანს მოსდევდა ვიწრო ხმოვანი (ი, უ), ლექსემათა ადაპტაციის პროცესი დიფთონგიზაციით დამთავრდა¹⁴⁵; მაგალითად: ქართ. ფაიტონი → თუშ. ენ. ფადტო, ყაისნალი → ყაფსნალ, ბაირალი → ბადრახ, მაიმუნი → მამმუ, ქუთაისი → ქუთაფს, ფეიქარი → ფექარ ← ფეიქარ ← ფეფარ, ბაიყუში → ბაყუშ.

ბ) იქ კი, სადაც შებრუნებული იყო ხმოვანთა მიმდევრობა, ე. ი. ვიწრო ხმოვანს მოსდევდა ფართო, აკრძალულ კომპლექსთა რღვევის იგივე პროცესი ერთ-ერთი ხმოვნის დაკარგვით დაბოლოვდა. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ხმოვანი იქნებოდა შენარჩუნებული, მახვილის მიხედვით გადაწყდა; კერძოდ: მახვილიან პოზიციაში ვიწრო ხმოვანს მიეცა უპირატესობა, უმახვილო პოზიციაში – ფართო ხმოვანს. აღსანიშნავია, რომ დაკარგული ფართო ხმოვანი კვალს ტოვებს წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელების სახით, ვიწრო ხმოვნის დაკარგვის შემთხვევაში კი დარჩენილი ხმოვნის გაგრძელება აღარ ხდება.

¹⁴⁵ ფონოლოგიურად ა, ე, ო ხმოვნები თუშურ ენაში ხმოვანთა ერთ კლასს ქმნიან.

მასწავლებლის პოზიციაში ხმოვანთა ასეთი წყვილწევრიანი კომპლექსების გამარტივების მაგალითებია: ქართ.: ჭიანური → თუშ. ენ.: ჭინურ, ჭიაფერი → ჭიფერი, ვმიადი → ვმიდ, ზიარება → ზირება, დაგვიანება → დაგვიანებ, დაზიანება → დაზინება, განიავება → განიავა-დარ, ნიადაგ → ნიდაგ, ნიასურ → ნისურ, იათ → იათა.

უმახვილო პოზიციაში იმავე ხმოვანთა წყვილწევრიანი კომპლექსების გამარტივების მაგალითებია: ქართ.: ქრისტიანი → თუშ. ენ.: ქრისტა, ნისათ → ნისათ .

შეგვხვდა რამდენიმე შემთხვევა, სადაც ისევე უმახვილო პოზიციაში მოქცეული სხვადასხვა ლიაობის ხმოვანთა ასეთივე მიმდევრობა ფართო ხმოვნის დაკარგვით დაირღვა. ესენია: ქართ. ებრაული → თუშ. ენ. ებრულ (Schiefner, 1859), ყარაული → ყარულ, აზნაური → აზნურ (Schiefner, 1859), გარეული → გარულ (Schiefner, 1859)¹⁴⁶.

ვეფქრობთ, აქ მორფოლოგიური მოდელის გავლენამ იზინა თავი: აღნიშნულ სიტყვათა -ურ, -ულ დაბოლოებები ქართულიდან ნასესხებ -ურ (დისიმილაციით -ულ) სუფიქსთან იქნა გათანაბრებული და უ-ს შენარჩუნებაც იმიტომ მოხდა.

იმ ერთი მაგალითის მიხედვით, რისი დაძებნაც შეეძლოთ, ირკვევა, რომ ხმოვნის დაკარგვის აღნიშნული პროცესი მოქმედებდა მაშინაც, როცა აკრძალულ კომპლექსს თანაბარი ლიაობის წევრები ქმნიდნენ. ეს მაგალითია: ქართ. ყანაოზი – თუშ. ენ. ყანოზ (ქადაგიძე, ..., 1984, 648).

გ) როცა სიტყვა ორმარცვლიანი იყო, ჩანს, ხმოვანთ-კომპლექსების დასაშლელად ზოგჯერ თანხმოვნის ჩამატებას ამჯობინებდნენ. ეს იმიტომ, რომ დიფთონგიზაცია და რედუქცი-

¹⁴⁶ როცა სიტყვა დასახელებული ფორმით ხანშიშესულთა მეტყველებაშიც აღარ იხმარება, მაშინ გვერდით წყაროს მივუთითებთ, რომელსაც ვეყრდნობით.

აც, დაიცავდა რა აღნიშნული წესის მოქმედებას, დაარღვევდა თუშური ენის სიტყვათა ორმარცვლიანობის პრინციპს. ამ რიგისაა: ქართ.: ბუერა – თუშ. ენ.: ბუჰარ.

VI. თუშური ენის ლექსემათა ბოლოს ძირითადად დახურული მარცვალი ფუნქციონირებს. აღნიშნული თავისებურება უნდა გამხდარიყო ნასესხებ სიტყვათა ბევრით გარსში მიმდინარე ზოგიერთი გარდაქმნის მიზეზი; კერძოდ:

ა) სუსტდება, ან მთლიანად იკარგება ნასესხებ სიტყვათა აუსლაუტში მდგარი ხმოვანი ბგერა. ეს წესი თანაბრად ეხება ორი და მეტი მარცვლის შემცველ ყველა ფუძეს, უცვლელოდ მხოლოდ ერთმარცვლიანი ლექსემები რჩება.

ა-ზე დაბოლოებული სახელები, როგორც წესი, ხმოვანს მთლიანად მოიკვეცენ. არა აქვს ამისათვის მნიშვნელობა, საკუთარია სახელი, თუ საზოგადო. მაგალითად:

ქართ.: ა → თუშ. ენ.: #: მაკა → მაკ, ნათელა → ნათელ, საბედა → საბედ, რებეკა → რევეკ, არსენა → არსქ, შოთა → შოთ, ყუყუნა → ყუყუქ, მაგდანა → მაგდჷ, ბათა → ბჷთ, ჩალა → ჩალ, კამა → კჷმ, მამა → მჷშ, კალათა → კალათ, ძერა → ძჷრ, ქერა → ქჷრ, ზომა → ზჷმ, ბრძოლა → ბრძოლ, ხალიჩა → ხალიჩ, თექა → თჷქ, თემა → თჷმ, ფუნხულა → ფუნხულ, კელა → კჷლ, ჩადუნა → ჩადუქ, გვირილა → გვირილ.

ამ პოზიციაში ო და უ ხმოვნებს დაახლოებით ერთნაირი რეფლექსები ახასიათებს. მათზე დაბოლოებული ორ- და მეტ-მარცვლიანი ნასესხები სიტყვები თითქმის ყოველთვის ინარჩუნებენ აუსლაუტში სათანადო სუსტ – ირაციონალურ – ბგერას. მაგალითად:

ო → რ: მარო → მარრ, კატო → კატრ, ცარო → ცარრ, მიხაკო → მიხაკრ, ქეთო → ქეთრ, მედიკო → მედიკრ, ელიკო → ელიკრ, თებრო → თებრრ, ტასო → ტასრ, ვასო → ვასრ, მი-

ტო → მიტრ, ხარაჩო → ხარაჩრ, ხელეჩო → ხელეჩრ, თარაზო → თარაზრ, თარო → თარრ, წყარო → წყარრ, უწესო → უწესრ, სახალისო → სახალიზრ, სანადირო → სანადირრ, სითბო → სითბრ, სოკო → ზოკრ, კოლო → კოდრ, ურჯულო → ურჯულრ, ბოლო → ბოდრ.

უ → უ: ნუნუ → ნუნუ, კენგურუ – კენგურუ.

ე-ზე დაბლოებული ქართული ფუძეები თუშურ ენაში სუსტი (ირაციონალური) ე-თი, ან ე-მოკვეცილი ფორმით იხმარება. სუსტ ხმოვანზე დაბლოება სიტყვებისა ასაკოვანთა მეტყველებას ახასიათებს, ხმოვანმოკვეცილ ფორმებს კი ახალგაზრდები ხმარობენ.

ე → ე/ #: ფორე → ფორე/ფორ, მოსე → მოსე/მოს, ელე-ნე → ელენე/ელა, კოტე → კოტე/კოტ, ბაბალე → ბაბალე/ბაბალ, მოსამართლე → მოსამართლე/მოსამართლ, საქათმე → საქათმე/საქათმ, მეჯოგე → მეჯოგე/მეჯოგ, მოწმე → მოწმე/მოწმ, მეთეგზე → მეთეგზე/მეთეგზ, სილამაზე → სილამაზე/სილამაზ, სიკეთე → სიკეთე / სიკეთ, სათავე → სათავე/სათავე, მოწაფე → მოწაფე/მოწაფ.

ი-ფუძიანი სახელები სესხების საფენურების მიხედვით სხვადასხვაობას გვიჩვენებენ. მათი აღრე ნასესხები ფენა რედუქციის სავალდებულო წესს ემორჩილება, გვიან ნასესხები სიტყვები კი ცვლილებების გარეშე მკვიდრდებიან. დასუსტების შედეგად, როგორც ეს სხვაგან აღვნიშნეთ, აუსლაუტის ი თითქოს ორად იყოფა, რის შემდეგაც ერთი ნაწილი გადაინაცვლებს წინამავალ ხმოვანთან, მეორე კი თავის ადგილას რჩება. გვაქვს აღრე ნასესხები: ქართ.: გიორგი → თუშ. ენ.: გიუმრგ ← გიომრგ, იობი → იუმბ ← იომბ, გოგი → გუმგ ← გომგ, ტასია → ტამს ← ტასი, ანდრია → ანდრ ← ანდრი, კოსტია → კუმსტ ← კოსტი, როსტია → რუმსტ ← რომსტი ← როსტი, ზაქარია → ზა-

ქადრი ← ზაქარი, ქალი → ქადრი / ქალი (ქალის საკუთარი სახელია), ვაჟი → ვაჟი (ვაჟის საკუთარი სახელია).

მაგალითების რაოდენობა შეზღუდულია, ასეთი სახელები დღეს თითქმის უკვე ყოველგვარი ცვლილებების გარეშე მკვიდრდებიან. გვაქვს გვიან ნასესხები: ქართ.: გოგი → თუშ. ენ.: გოგი, ბადრი → ბადრი, მერი → მერი, ლილი → ლილი, ლალი → ლალი, დალი → დალი, აკაკი → აკაკი, გივი → გივი.

როგორც მაგალითებიდან ირკვევა, აუსლაუტში მოქცეული ხმოვნის რედუქციის აღნიშნულ წესს თავის დროზე თანაბრად ექვემდებარებოდა ყოველგვარი სახელი: საკუთარიც და საზოგადოც. ადაპტაციის პროცესში ა მთლიანად იკარგებოდა, ე, ი, ო, უ ხმოვნები კი სუსტდებოდა. დღეისათვის საკუთარ სახელებში ამ წესის მოქმედება შეიზღუდა, რასაც შედეგად რიგი შემოსული სიტყვების უცვლელად დატოვება მოჰყვა.

აუსლაუტის ხმოვნებთან დაკავშირებით სახელობითის – ი ფორმანტის საკითხიც ისმის, მით უფრო, რომ სახელთა უმეტესობა ქართულში თანხმოდანფუძიანია და დაირთავს სწორედ ამ უკანასკნელს. როგორია C ენის პოზიცია აღნიშნული მაწარმოებლის მიმართ?

საერთო წესით თუშურ ენაში ამ ფორმანტს სრული, ან ნაწილობრივი რედუქცია უნდა განეცადა. სრული რედუქციის შემთხვევაში ორმარცვლიან ნასესხებ სიტყვათა ძირისეული ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელება უნდა მომხდარიყო, ნაწილობრივი რედუქციის შემთხვევაში კი – დასუსტებული ხმოვნის ეპენტეზისი წინამავალ ხმოვანთან. მრავალრიცხოვან მაგალითებში მხოლოდ ცხრა შემთხვევა აღმოვაჩინეთ, როცა რედუქცირებულმა სახელობითის – ი ფორმანტმა მოსალოდნელი კვალი დატოვა ფუძეში. ესენია: ქართ.: აბი → თუშ. ენ.: აბ, ქორი → ქურბი (← ქორბი), კაპლი → კამპლი, წაბლი → წამბლი, მახათი → მახამი (ქადაგიძე, ...,

1984, 430), ყოჩი → ყუაჩი (← ყოაჩი), ბოტი → ბუატი (← ბოატი), კლასი → კლას, კომში → კუაში.

სამაგიეროდ ასობით ნასესხებ თანხმომავანთუმიან სახელში აღარსად ჩანს აღნიშნული ფორმანტის კვალი. გვაქვს: ქართ.: ნოდარი → თუშ. ენ.: ნოდარ, ეთერი → ეთერ, ლევანი → ლევან, დავითი → დავით, ფოთოლი → ფოთოლ, მინდორი → მინდორ, ძირი → ძირ, ირემი → ირემ, მეზობელი → მეზობელ, მეგობარი → მეგობარ, ოთახი → ოთახ, კედელი → კედელ, სურათი → სურათ, ყავარი → ყავარ, ხალი → ხალ, ჯერი → ჯერ, ცერი → ცერ.

სახელობითის ი-ს სისტემური დაკარგვის ფაქტში ი. დეშერევი ისევ აუსლაუტის ხმოვნის დასუსტება-დაკარგვის ზოგადი წესის მოქმედებას ხედავს (Дешериев, 1953, 45). რ. გაგუას აზრით კი, „არსებით სახელთა სესხებისას სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ უტოლდება ფუძისეულ ხმოვნებს. სახელობითის -ი მხედველობაში არ მიიღება და სახელები გააზრებულია, როგორც თანხმომავანთუმიანი“ (გაგუა, 1956, 470).

სიტყვის აუსლაუტის ხმოვანთა მოკვეცისა თუ დასუსტების შემთხვევაში, როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, ადგილი აქვს წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელებას. მრავალმარცვლიან სიტყვებში ხმოვანთა ეს სიგრძე ფაკულტატიურია: ზოგი ბილინგვი გრძელ ხმოვანს წარმოთქვამს, ზოგი მოკლე ხმოვანს ირჩევს და ამით აღსანიშნისადმი სიტყვის მიმართების საკითხში არაფერი იცვლება – სიტყვა თანაბრად გასაგებია ორსავე შემთხვევაში. რაც შეეხება ნასესხებ ორმარცვლიან სიტყვებს, აქ მოკვეცილი ხმოვნის საკომპენსაციოდ ფუძეში დარჩენილი ერთადერთი ხმოვნის გაგრძელების წესს განსაკუთრებული თანმიმდევრობა ექმნევა – ის სავალდებულო ხასიათს ატარებს. ასეთ შემთხვევაში

გრძელი ხმოვანი ფონემატურ ღირებულებას იძენს და მისი შეცვლა ჩვეულებრივი ხმოვნით შეუძლებელი ხდება.

იმის გამო, რომ ხმოვანრედუცირებული ფორმა წინამდებელი ხმოვნის გაგრძელების გარეშე ზოგჯერ მსგავსი აგებულების თანხმოვანფუძიან სახელებს დაემთხვეოდა, ერთი შეხედვით შეიძლებოდა აქ დაგვეჩინა ბილინგვების ცდა სიტყვიერი ომონიმების თავიდან აცილებისა. გვაქვს, მაგალითად:

ერთი მხრივ		მეორე მხრივ	
ქართ.	თუშ. ენ.	ქართ.	თუშ. ენ.
მოლა	→ მოლ	მოლი	→ მოლ
სარა	→ სარ	სარი	→ სარ
შარა	→ შარ	შარი	→ შარ
ფარა	→ ფარ	ფარი	→ ფარ
პარა	→ პარ	პარი	→ პარ
ვაზა	→ ვაზ	ვაზი	→ ვაზ
შოთა	→ შოთ	შოთი	→ შოთ
თემა	→ თემ	თემი	→ თემ

ნასესხებ სიტყვათა ამ ორ რიგს, მართლაც, მხოლოდ გრძელი და ჩვეულებრივი ხმოვნების დაპირისპირება განასხვავებს, მაგრამ ამათივე გვერდით გვაქვს ისეთი ხმოვანფუძიანი ნასესხები სიტყვები, სადაც სწორედ ხმოვნის გაგრძელების გამო მივიღეთ ომონიმური დაწყვილება მსესხებელი ენის საკუთარ მასალასთან. მაგალითად, გვაქვს:

- | | |
|-----------------------|-----------------|
| ქართულიდან ნასესხები: | საკუთარი: |
| ღწვ 'ღაფა', | - ღწვ 'შეელიე!' |
| ღწლ 'ღაღა', | - ღწლ 'ცინე' |
| წწრ 'წერა (ბედი)', | - წწრ 'ერქვა' |
| მწშ 'მაშა' | - მწშ 'შალი' |

როგორც ვხედავთ, ეს დამთხვევა ხელისშემშლელი არ აღმოჩნდა ხმოვნის გაგრძელების სავალდებულო წესისათვის. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნასესხებ თუ საკუთარ ორმარცვლიან სიტყვებში რედუცირებული ბოლო ხმოვნის საკომპენსაციოდ დარჩენილი ერთადერთი ხმოვნის გაგრძელების წესს ომონიმიურ წყვილებთან არაფერი აქვს საერთო. მისი სახით საქმე გვაქვს ამავე ენებში მოქმედი სიტყვის ორმარცვლიანობის პრინციპის თავისებურ გამოვლენასთან. ჩანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთმანეთს შეხვდა C ენის ორი სხვადასხვა ფონოლოგიური წესი: წესი ბოლო მარცვლის დახურვისა და წესი ფუძეში ორი მარცვლის შენარჩუნებისა.

აუსლაუტის ხმოვანთა რედუქციის პროცესი დახურული მარცვლისაკენ ენის მიდრეკილების გამოსახულებად მივიჩნით. მის შესახებ სხვა თვალსაზრისიც არსებობს: რ. გაგუა (გაგუა, 1956, 472) და ი. დეშერიევი (Дешериев, 1953, 24) აქ თუ შორი ენის ძლიერი მახვილის გავლენას ხედავენ. როგორც ცნობილია, ამ ენას სიტყვის თავში მოქმედი ძლიერი დინამიკური მახვილი აქვს, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კი დაახლოებით იმავე პოზიციაში მოქმედი სუსტი დინამიკური მახვილია გამოვლენილი (ჩიქობავა, 1942, 303). მახვილს ასეთი განსხვავების დროს, ცხადია, შეეძლო სათანადო გავლენა მოეხდინა სიტყვის აუსლაუტზე.

ეს ორი ახსნა ერთმანეთს არ გამოირიცხავს. ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა აქ ორივე ფაქტორის ერთობლივი მოქმედება დავგენახა, მით უფრო, რომ აუსლაუტის ხმოვნის რედუქცია ერთადერთი ფონოლოგიური წესია, რომელიც დღემდე განაგებს ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ბედს. მისი მოქმედების ასეთი ხანგრძლივობა, ჩვენი აზრით, სწორედ მის ორმაგ ბუნებას შეეძლო შეეპირობებინა.

ბ) დახურული მარცვლისკენ მიდრეკილების გამოვლენად მიგვაჩნია ის შემთხვევებიც, როცა ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებს ბოლოში თანხმოვანი უვითარდება; მხედველობაში გვაქვს ქართულიდან ნასესხები მასდარები.

ქართული მასდარები უმეტესად ა ხმოვანზე ბოლოვდება; სხვა მაწარმოებლების როლი აქ უმნიშვნელოა. თუშურ ენაში კი ზმნურ ძირს, რომელიც ყოველთვის დახურული მარცვლითაა წარმოდგენილი, მასდართა საწარმოებლად დარ ან დალარ მეშველი ზმნები დაერთვის. სესხების პროცესში ქართული –ა მაწარმოებლიანი მასდარები გააზრებულ იქნა, როგორც ზმნური ძირი, და მეშველი ზმნაც მას დაერთო. ამ დროს, C ენის ძირთა სავალდებულო დახურულმარცვლიანობის პრინციპის შესაბამისად, საჭირო გახდა ბოლო ა-ზე რაიმე თანხმოვნის დართვა. როგორც ცნობილია, ამ მიზნით დ იქნა გამოყენებული. ჩვენი აზრით, არჩევანი უნდა გადაეწყვიტა თანხმოვანთა სრული კონტაქტური ასიმილაციის ნახური ენებისთვის დამახასიათებელ წესს (Дешериев, 1960, 108). ეს წესი დღეს ისევ მოქმედია ჩეხურში და მის კვალს სპორადულად თუშურ ენაშიც ვხვდებით¹⁴⁷. მოცემულ შემთხვევაში მეშველ ზმნათა დასაწყისის დ-ს წინ მდგომი ძირისეული თანხმოვნისათვის დ-ს სახის მიცემაც ასიმილაციის იმავე წესის გამოვლენად მიგვაჩნია.

ასე, ფონეტიკურ-მორფოლოგიურ ფაქტორთა ერთობლივი მოქმედებით ნასესხებ მასდართათვის შემდეგი მოდელი ჩამოყალიბდა: ქართული მასდარი + დ + დარ/დალარ.

ა. შიფერის მიერ საუკუნენახევრის წინათ შედგენილ თუშური ენის სიტყვათა ლექსიკონში შესული 68 ნასესხები მასდარი-

¹⁴⁷ მაგალითად, გელრ 'მერმისი' –ლრ მაწარმოებლის დართვით არის მიღებული გქ < გენ 'მერე' სიტყვისაგან. მის მიერ განვლილი გზა ასეთია: გენ-ლრ > გელ-ლრ > გელლრ > გელრ.

დან ასეთი დონიანი ფორმითაა მოცემული 62, უდონოდ გვხვდება მხოლოდ ნ. გვაქვს, მაგალითად: არევა → არევა|დ|დარ, კურთხევა → კურთხა|დ|დარ, ქადაგება → ქადგება|დ|დარ, შერგება → შერგება|დ|დარ, სესხება → სესხა|დ|დარ, დაშლა → დაშ-
ლა|დ|დარ, დაბეჭდვა → დაბეჭდა|დ|დარ, მიღება → მიღე-
ბა|დ|დარ, მოწერა → მოწერა|დ|დარ, მილოცვა → მოლო-
ცა|დ|დარ.

დღეს უკვე აღნიშნული მოდელი ნასესხები მასდარებისა ახალმა, დ-ჩამოცილებულმა ფორმებმა შეცვალა და ისინი პარალელურად იხმარებიან მოუბართა ასაკობრივი დონეების შესაბამისად. ამრიგად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ნასესხები სიტყვების ქართულთან დაახლოების გზაზე, რის გამოც აღნიშნულმა მოდელმა შემდეგი, უფრო მარტივი სახე მიიღო: ქართული მასდარი + დარ/დალარ.

არსებობს ზემოთ განხილული დ-ს სხვანაირი ასსნაც. დოც. რ. გაგუა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შეიძლებოდა აქ ძველი ქართულის ვითარებით ბრუნვიანი ინფინიტიური ფორმების გავლენა გვეჩვენა, ან კიდევ გაქვავებული კლასის ნიშანი (გაგუა, 1972, 25). ჩვენი აზრით, კლასის ნიშანი აქ ნაკლებად საგარაუდოა, რადგან თვითონ C ენის მასდარებს ამ პოზიციაში კლასნიშანი არა აქვთ. ნაკლებადაა მოსალოდნელი ძველი ქართულის ვითარებით ბრუნვიანი ინფინიტივების გავლენაც, რადგან ისინი თვით ქართულშიც ძლიერ ცოტა ხანს იხმარებოდა (Имнаишвили, 1977, 751).

შეგვხვდა აგრეთვე რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როცა ანალოგიური დანიშნულებით თანხმოდანი დაერთო ხმოვანფუძიან არსებით სახელთა აუსლაუტს; ასეთია: ქართ.: ყუა → თუმ. ენ.: ყუყ/ყუ, ძუა → ძუგ/ძუ, კუ → კუგ/კუ, ცრუ → ცრუგ/ცრუ, ზოია → ზუყ ← ზოყ ← ზოი.

VII. ზემოთ გაკვრით შეგვხვთ საკითხს იმის შესახებ, რომ თუშური ენის სიტყვათმოდელის მარეგულირებელი მარცვალდაკლების პროცესი აქტიურად აკონტროლებს ნასესხები სიტყვების სიგრძესაც. ამჯერად უკვე აღნიშნულ პროცესს ვრცლად წარმოვადგენთ ნასესხებ სიტყვათა ფონოლოგიური ადაპტაციის თვალსაზრისით.

თუშური ენის სიტყვებში ძირითადად ორმარცვლიანი მოდელი ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტენდენცია ამ ენისა, რაც თავს იჩენს სესხების პროცესში, არის სწრაფვა უცხო ლექსემათა გაორმარცვლიანებისკენ. ამ მიზნით ბილინგვები ფუძის შიგნითა ხმოვნის რედუქციას მიმართავენ. აღნიშნული თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ, ხელუხლებელი რჩება რა ორმარცვლიან ნასესხებ სიტყვათა ვოკალური მოდელი, მარცვალდაკლების პროცესს ექვემდებარება მხოლოდ სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვები¹⁴⁸.

ხუთი მარტივი ხმოვნის 25 წყვილწევრიანი დისტანციური მიმდევრობა სარედუქციო სეგმენტის ხმოვანთა სინტაგმატური მიმართებების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ერთ შემთხვევაში მარტივი რედუქცია ხდება, მეორე შემთხვევაში კი გვაქვს რედუქცია ეპენტეზისის გზით (როცა დასუსტებული ხმოვანი გადაინაცვლებს წინამავალ ხმოვანთან და მასთან ერთად ქმნის დიფთონგს).

როგორც საკუთრივ თუშურენოვან, ისე S ენიდან ნასესხებ სიტყვებში სარედუქციო პოზიცია სამმარცვლიანია. პირველი მარცვალი რედუქციის საყრდენ სეგმენტს წარმოადგენს, მეორე მარცვალი რედუცირებადი სეგმენტია, მესამე მარცვალი კი – მარედუცირებადი სეგმენტი (მარცვალთა რიგს მარცხნიდან, სიტყვის თავიდან ვითვლით). მარტივ რედუქციას ექვემდებარება ხუთივე

¹⁴⁸ სესხების პროცესში აუსლაუტის ხმოვანი უმარცვლოვდება, რის გამოც უცხო ლექსემათა სიგრძეზე მსჯელობისას ის მხედველობაში არ მიიღება.

ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ), ეპენტეზისის გზით რედუქციას კი – მხოლოდ ორი (ი, უ).

რედუქციის შედეგებში გასათვალისწინებელია, რომ დავიწროებისა და გადაადგილების შემდეგ უ ხშირად იცვლება მოკლე ო-დ (ა-დ); მიღებულ ა-ს შეუძლია წინამავალი ხმოვნის ასიმილაცია და მაშინ ო იძლევა უ-ს, ა კი – ე-ს; ზოგჯერ ადგილი აქვს გადანაცვლებული ა-ს დაკარგვას და მიღებული დიფთონგის მონოფთონგიზაციას.

სამზე მეტმარცვლიან ნასესხებ სიტყვებში სარედუქციო პოზიციას შეადგენს ბოლო სამი მარცვალი. მისი გამოყოფა ხდება მახვილის საშუალებით, რომელიც ბოლოდან მესამე მარცვალზე კეთდება. თითქოს სიტყვის შედგენილობიდან გამოირიცხაო, უყურადღებოდ რჩება მახვილიანის წინა მარცვლები.

მარცვალდაკლების შემთხვევები თავს იყრის ზემოთ წარმოდგენილი საკუთრივ თუ შერეოვან სიტყვათა რედუქციის ხუთი ძირითადი ფორმულის ირგვლივ. დაფასახელებთ მაგალითებს:

მარტივი რედუქცია:

1. $o + o + V \rightarrow o + V$:

ქართ.: ირბათ \rightarrow თუშ. ენ. ირბათ, ხიზილალია \rightarrow ხიზლალ

2. $u + u + V \rightarrow u + V$:

მუგუზალი \rightarrow ნუგზურ, მუჯღუგუნი \rightarrow მუჯგ

3. $i + u + V \rightarrow i + V$:

გიჟურათ (გიჟურად) \rightarrow გიჟრათ, ჩინურათ \rightarrow ჩინრათ,
დიდურათ \rightarrow დიდრათ

4. $a + a + V \rightarrow a + V$:

შალაშინი \rightarrow შალშ, ქარაგანი \rightarrow ქარგ, ალაჩოცი \rightarrow
ალჩოყ, ანგარიში \rightarrow აგრში, ტლაგარი \rightarrow ტლგარ,
მარგალიტი \rightarrow მარგლიტ, არჯაკელი \rightarrow არჯკელ, გასაქანი
 \rightarrow გასქ

5. ე + ე + V → ე + V:

გენერალი → ღენრალ, დაჯერებით → დაჯერბით, მოსვენებით → მოსვენბით, მოფერებით → მოფერბით, დასასვენებელი → დასასვენბელ, ასაფეთქებელი → ასაფეთქბელ, დაუბერებელი → დაუბერბელ

6. ო + ო + V → ო + V:

სოლომონი → სოლმონ

7. ა + ე + V → ა + V:

სარგებელი → სარგბელ, დარეჯანი → დარჯან, მიუკარებელი → მიუკარბელ, აუჩქარებელი → აუჩქარბელ

8. ა + ო + V → ა + V:

საგალობელი → საგალობელ, მანათობელი → მანათბელ, მახარობელი → მახარბელ, მადლობელი → მადლობელ

9. ე + ა + V → ე + V:

ეშმაკობა → ეშმაკობ, დეკანოზი → დეკანოზ

10. ე + ო + V → ე + V:

ხელოსანი → ხელსან, ერბოკვერცხი → ერკვერცხ

11. ო + ა + V → ო + V:

ორგული → ორგულ, მონაზონი → მოლზონ

12. ო + ე + V → ო + V:

საგორბელი → საგორბელ, შესაცოდებელი → შესაცოდბელ, მოუშორბელი → მოუშორბელ

13. ი + ა + V → ი + V:

ბიძაშვილი → ბიძშვილ, თიბათური → თიბთურ

14. ი + ე + V → ი + V:

აუცილებელი → აუცილბელ, მოურიდებელი → მოურიდბელ, გაკვირებით → გაკვირბით, დაყინებით → დაყინბით, ახირებით → ახირბით

15. ი + ო + V → ი + V:

ნიკლოზი → ნიკლოზ, კიდობანი → კიდბან

16. უ + ა + V → უ + V:

მუშახელი → მუშხელ

17. უ + ე + V → უ + V:

[და]ხურება → [და]ხურბა[დარ], [მო]რჯულება →

[მო]რჯულბა[დარ], ყურბელა → ყურბლაცრ, [შე]ძლება

→ [შე]ძლბა[დარ], წურბელა → წურბლაცრ, [ლორ]მუცე-

ლა → [ლორ]მუცლაცრ

18. უ + ო + V → უ + V:

ბუღობა → ბუღბა[დლარ], ხუმრობა → ხუმრბა[დლარ],

ქურდობა → ქურდბა[დლარ]

რედუქცია ეპენტეზისის გზით:

1. ა + ი + V → ად + V:

ლათინური → ლადთხურ, აპრილი → ადპრალ, ამირანი →

ადმრპ, ხასიათი → ხადსათ, მარიაში → მადრამ

2. ე + ი + V → ედ + V → იდ + V → ი + V:

ბედნიერი → ბიდნერ, მეცნიერი → მიცნარ, ბნედიანი →

ბნიდქ, მოწერილობა → მოწირლობ, დადგენილება →

დადგინლებ

3. ო + ი + V → ოდ + V → უდ + V:

მოციქული → მუდცქულ, გონიერი → გუნდარ, ზომიერი

→ ზუნდარ

4. უ + ი + V → უდ + V:

კუდიანი → კუნდქ, კუზიანი → კუნდქ

5. ა + უ + V → აჟ + V → ად (აძ) + V:

ქართულათ → ქადრთლათ, ქაჯურათ → ქადჯურათ, ფრანგულად

→ ფრადგლათ, მოქარგულობა → მოქადრგლობ, მონახულობა

→ მონადზლობ,

განკარგულება → განკადრგლებ, ზამბულაკი → ზაჟმბლაკ

(ქადაგიძე, ..., 1984)

6. ე + უ + V → ეჟ + V → ედ + V → იდ + V → ი + V:

გაბედულათ → გაბიდლათ, აგებულება → აგიბლობ, უწე-

სურათ → უწისრათ

7. $\alpha + \psi + V \rightarrow \alpha\psi + V \rightarrow \alpha\alpha + V \rightarrow \psi\alpha + V$:

სომხურათ \rightarrow სუდმხრათ, ოსურათ \rightarrow უდსრათ

ისეთი ნასესხები სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვა, სადაც ბოლო სამმარცვლიანი ჰოზიციის პირველ ორ მარცვალში გვექნებოდა ხმოვანთა დისტანციური $\psi + \alpha$, $\psi + \epsilon$, და $\psi + \alpha$ მიმდევრობა, C ენაში ვერ დავადასტურეთ.

რადგან მარცვალდაკლების პროცესს ექვემდებარება სარედუქციო სეგმენტის ხმოვანთა ყოველნაირი მიმდევრობა, მოსალოდნელი იყო, რომ სესხების პროცესში თითო მარცვალს მოიკლებდა ყველა სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვა, მაგრამ ასე არ ხდება. იმ ნასესხები სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვების გაანალიზებით, რომლებიც არ დაექვემდებარნენ მარცვალდაკლების წესს, შეიძლება დავადგინოთ, რომ თუშურ ენაში:

1. რედუქციის წესი უგამონაკლისია მხოლოდ მაშინ, როცა შედეგად ორი თანხმოვნის თავმოყრა ხდება;

2. როცა რედუქციის შემდეგ დარჩენილ ხმოვნებს შორის ერთად ექცევა სამი თანხმოვანი, მაშინ რედუქცია მოხდება მხოლოდ ზოგიერთ – განსაზღვრულ – შემთხვევაში;

3. რედუქციას საერთოდ არ ექვემდებარება ორი თანხმოვნით დაბოლოებული სიტყვები.

ნასესხები ლექსემების განხილვა ბგერითი გარსის ადაპტაციის თვალსაზრისით ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ მომხდარი გარდაქმნები C და S ენათა ფონოლოგიურ სისტემებში არსებული განსხვავებების ზუსტი ასახვაა; მათი თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება წინასწარ ვივარაუდოთ მოსალოდნელ გარდაქმნათა ხასიათი და, პირუკუ, გარდაქმნათა მიხედვით წარმოდგენა შევიქმნათ მსესხებელი ენის ფონოლოგიური სისტემის თავისებურებათა შესახებ.

2. ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის მორფოლოგიური ადაპტაცია.

ქართულიდან ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ადაპტაციის ზოგიერთ შემთხვევას საფუძვლად უდევს C ენაში მოქმედი ლექსემათა აგებისა თუ მათივე მეტყველების ნაწილებად გაფორმების თავისებური წესები, კერძოდ:

1. გეოგრაფიული სახელები ამ ენაში ქართულისგან რამდენადმე განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ; სოფლების, ქალაქებისა თუ ქვეყნების სახელწოდებებში საგანგებოდ აღინიშნება ამ პუნქტების განფენილობა, სივრცობრივი ხასიათი და დაახლოებით ისეთი შინაარსის ტოპონიმები გვაქვს, როგორცაა ქართული აქაურობა, მანდაურობა. ამ სპეციფიკურ შინაარსს გადმოსცემს გრძელი $\bar{\alpha}$ ხმოვნით გამოხატული სუფიქსი, ზოგჯერ კი – $\bar{\alpha}$ -ც.

აღნიშნული გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ ნასესხებ გეოგრაფიულ სახელებს, როგორც წესი, ფუძეზე ემატება ხმოვანი $\bar{\alpha}$. თავდაპირველად აქ უნდა გვექონოდა აჟ → აჰ, სადაც ხმოვანთა შერწყმამ ბოლოს მოგვცა გრძელი ხმოვანი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია წინამავალი ხმოვნის დავიწროება. ამიტომაც, რომ ეს ერთიანი წესი გეოგრაფიული სახელების სესხებისა სხვადასხვა წყობის ფუძეებში სხვადასხვაგვარად ვლინდება:

ა) ქართულ გეოგრაფიულ სახელთა -ეთ-, -ელ-, -ეტ-, -ან-სუფიქსების ადგილას თუშურ ენაში გვაქვს -ითან-, -ილან-, -იტან-, -ინან- დაბოლოებები. მაგალითად: ქართ.: თიანეთი → თუშ. ენ.: თინითან, ქორეთი → ქორითან, საფრანგეთი → საფრანგითან, ქარელი → ქარილან, ყვარელი → ყვარილან, ახმეტა → ახმეტან, ახტალა → ახტალან, ბარსელონა → ბარსელონან, ბუშეტი → ბუშეტან, მატანი → მატინან, ახშანი → ახშინან¹⁴⁹.

¹⁴⁹ ორ- და მეტმარცვლიანი ნასესხები სახელები თუშურ ენაში აუსლაუტის ხმოვნის სრულ ან ნაწილობრივ რედუქციას განიცდიან.

ბ) ისეთ ფუძეთანხმოვნთან გეოგრაფიულ სახელებში, სადაც ფუძის ბოლო მარცვლის ხმოვნად გვაქვს ი, ბგერითი გარსის ადაბ-ტაცია მხოლოდ ახალი -ს სუფიქსის დართვით განისაზღვრება, ო-სა და უ-სთან კი იმავე პოზიციაში ჩნდება ი, რომელიც სუსტდება და წინამავალ ხმოვნებთან ერთად ქმნის დიფთონგს. გვაქვს: ქართ.: ინგლისი → თუშ. ენ.: ინგლისან, დუისი → დუისან, მანგლისი → მანგლისან, კოჯორი → კოჯუდრან (← კოჯოდრან), ყადორი → ყადუდრან, ბათუმი → ბათუმიან.

გ) ფუძეხმოვნთან გეოგრაფიულ სახელებს აუსლაუტისეული ა-სა და ო-ს ადგილას ა და ო უჩნდება, რადგან მათ ეკისრება აღნიშნული სუფიქსის ფუნქცია, ე ხმოვანი კი ეკვეცება და ა-თი იცვლება (უ-ზე დაბოლოებული ნასესხები გეოგრაფიული სახელი ვერ დავადასტურებთ); გვხვდება: ქართ.: შუამთა → თუშ. ენ. შუამთან, მარაბდა → მარაბდან, უჯარმა → უჯარმან, საქართველო → საქართველონ, იყალთო → იყალთონ, საქობო → საქობონ, საინგილო → საინგილონ, ველისციხე → ველისციხან, საცხენე → საცხენან.

დ) ერთმარცვლიანი ფუძეების შიგნით ცვლილებები არ ხდება: წყნეთი → წყნეთან, ქედი → ქედან, გორი → გორან, ფოთი → ფოთან.

II. ზედსართავ სახელებს სხვა მეტყველების ნაწილებისგან ბოლოში დართული ნაზალური ხმოვანი განასხვავებს; ყველაზე უფრო ხშირად ამ ფუნქციით ნაზალური ქ გამოიყენება. ქართულ ენაში, როგორც ცნობილია, ნაზალური ხმოვანი საერთოდ არა გვაქვს და მაზედსართავებელი ფუნქციისაა სხვადასხვა სუფიქსი, რომლებიც, თავის მხრივ, ყველა უცხოა თუ შერი ენისთვის.

ქართულიდან ნასესხებ -იან დაბოლოების მქონე ზედსართავ სახელებს აუსლაუტის ნ-ს წინ მდგარი ხმოვნის სავალდებულო ნაზალიზაციის ფონოლოგიური წესით ეს სუფიქსი -იან სახით უნდა

შესტვლოდათ, მაგრამ სიტყვათა ადაპტაციის პროცესში თავი იჩინა მორფოლოგიურმა ფაქტორმაც და ნაზალური ჯ თუ შური ენის ზედსართავებისათვის უფრო ბუნებრივმა ნაზალურმა ქ-მ შეცვალა. ასე მივიღეთ: ქართ.: **ღალიანი** → თუშ. ენ.: **ღაღლქ** ← **ღაღლწ** ← **ღალიწ**, **კუდიანი** → **კუდღქ** ← **კუდღწ** ← **კუდიწ**, **კუზიანი** → **კუზღქ** ← **კუზღწ** ← **კუზიწ**, **მადლიანი** → **მადღქ** ← **მადღწ** ← **მადლიწ**, **წუწიანი** → **წუღქ** ← **წუღწ** ← **წუწიწ**¹⁵⁰.

შეიძლება გვეფიქრა, რომ დასახელებულ შემთხვევაში ჯერ მოხდა ძირეული არსებითი სახელების შესხება, ხოლო შემდეგ მათზე საკუთარი მაწარმოებლის დართვით ზედსართავთა წარმოება, მაგრამ მაშინ ზედსართავებს სხვა სახე უნდა მისცემოდა. მაგალითად, სიტყვები: **ღალა** და **კუდი** ფონოლოგიური წესების დაცვით **ღალ** და **კუდ** შესატყვისებს მოგვცემდნენ, მათზე ნაზალური ქ-ს დართვით კი გვექნებოდა ზედსართავები: **ღაღქ** და **კუდღქ**. ჩვენგან დამოწმებულ ფორმებში **ღ-**ს სახით დაცულია დასუსტებული და ადგილგადანაცვლებული **-იან** სუფიქსისეული **ი-**ს კვალი, რაც უგულვებლყოფს მოცემულ შემთხვევაში ჰიბრიდული კვლავწარმონაქმნების საკითხს.

III. რთული სახელების მიღების წესები **C** და **S** ენებში ძირითადად ერთნაირია, მაგრამ ზოგჯერ გზვდებით სხვადასხვაობასაც. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ თუშურ ენაში ფუძეგაორკეცებული ზედსართავი სახელების თხზვისას კომპოზიტის პირველ ნაწილად იღებენ ამოსავალი სიტყვის მხოლოდ ძირს, მეორე ნაწილად კი – მთლიან ფუძეს. ასეა აგებული მრავალი ერთეული. გვაქვს, ერთი მხრივ, მარტივი ზედსართავები **ღაღქ** ‘*მალაღი*’, **წეღქ** ‘*წითელი*’, **ღაზქ** ‘*კარგი*’, ხოლო, მეორე მხრივ, მათგან მი-

¹⁵⁰ მრავალმარცვლიანობის თავიდან ასაცილებლად სათანადო ფონეტიკურ გარემოში **C** ენის სიტყვებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა ებენთეზისი.

ღებულის რთული ზედსართავები: ლაგ-ლაგქ 'მაღალ-მაღალი',
წიგ-წიგქ 'წითელ-წითელი', ლაზ-ლაზქ 'კარგ-კარგი'.

აღნიშნული განსხვავება დაედო საფუძვლად ზოგიერთი ნა-
სესხების ქართული კომპოზიციის ბგერითი გარსის ცვლას. გვაქვს,
მაგალითად: ქართ.: მაღალ-მაღალი → თუშ. ენ.: მაღ-მაღალ, და-
ბალ-დაბალი → დაბ-დაბალ, ლამაზ-ლამაზი → ლამ-ლამაზ,
არეულ-გარეული → არ-გარეულ, ნახევარ-ნახევარი → ნახ-ნა-
ხევარ.

IV. თუშურ ენაში მასდარულ ფორმებს მეშველი ზმნები დარ
'ქმნა/კეთება' და დალარ 'გახდომა/გარდაქცევა' აწარმოებს.
განსხვავება მათ შორის გარდამავლობა-გარდაუვლობაშია. ქარ-
თული ენა სათანადო მაწარმოებლის როლში უმთავრესად ა ხმო-
ვანს იყენებს, ხოლო, რაც შეეხება გარდამავლობის კატეგორიას,
ამ ენის მასდარული ფორმები მას იშვიათად გამოხატავენ.

ეს სხვადასხვაობა სესხების შემთხვევაში იმით სწორდება,
რომ, როგორც აღნიშნული აქვს რ. გაგუას, მზა, გაფორმებულ
ქართულ მასდარებს თუშური ენა ხელახლა ურთავს სუფიქსებად
გამოყენებულ -დარ და -დალარ ზმნებს (გაგუა, 1972, 25). გვაქვს
მაგალითად: წერადარ, თოგნადარ, ხერხადარ, დაშლადარ, აყ-
რადარ, კენესადლარ, გლეჯადლარ, აფრენადლარ.

V. თუშურ ენაში გეზსა და ორიენტაციას ცალკე მდგომი
ზმნიზედა აღნიშნავს, ასპექტი კი ზმნის ძირეული მორფემის ხმო-
ვანთა მონაცვლეობით გადმოიცემა. თანამედროვე ქართულში
სამსავე დასახელებულ ფუნქციას ზმნისწინი ითავსებს, რის გამოც
ასპექტის გამოსახატავად ძირითადია ზმნისწინიანი და უზმნისწი-
ნო ფორმების დაპირისპირება.

ეს უთანაბრობა აღნიშნული ენებისა უკვე სწორდება. რო-
გორც გარკვეული აქვს რ. გაგუას, S ენის ძლიერი გავლენით თუ-
შურმა ენამ შეითვისა ასპექტის გამოსატვის ახალი სისტემა, მაგ-

რამ გამოიყენა მხოლოდ ქართულიდან ნასესხებ ზმნებში (გაგუა, 1962). მართალია, დღეს ამ მიზნით ყველა ქართული ზმნისწინი ემსახურება თუშურ ენას, მაგრამ, ჩანს, ორენოვნების განვლილ საფეხურზე მხოლოდ ერთი (და-) ზმნისწინი გამოიყენებოდა. არჩევანი იმას უნდა განეპირობებინა, რომ სხვა ზმნისწინებს შორის გენისა და ორიენტაციის საკითხში ის ყველაზე ზოგადი მნიშვნელობისა და ხშირად მხოლოდ ასპექტის გამოხატვა აკისრია. თუშურენოვან ზმნიზედებსაც სწორედ ეს ერთი – ასპექტის გამოხატვის – ფუნქცია აკლდა ქართულთან შეპირისპირებით.

ვფიქრობთ, ორენოვნების ამ საფეხურს გამოხატავს ა. შიფნერის თუშური ენის გრამატიკაზე დართულ ლექსიკონში და-ზმნისწინით შესული ისეთი მასდარული ფორმები, რომლებიც ქართულში, ჩვეულებრივ, სხვა ზმნისწინებს დაირთავს (Schiefner, 1859). გვაქვს: ქართ.: გა|გრილება → თუშ. ენ.: და|გრილბად|დარ, მო|ხიბლვა → და|ხიბლად|დარ, გა|რკვევა → დარ|კვევად|დარ, გა|რკვევა → დარ|კვევად|დარ, გა|თოხნვა → და|თოხნად|დარ¹⁵¹.

ორენოვნების ამავე საფეხურზე და ამავე მოტივით უნდა იყოს შესული თუშურ ენაში ქართული აბსტრაქტული სახელი გაჭირვება → დაჭირებ სახით.

უცხო სიტყვათა შეთვისებამ კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო ამ ორი ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის საბჭოურ პერიოდში, როცა ორენოვნება წოვათუშებს შორის საყოველთაო გახდა, ქართული ენის ცოდნის დონე კი ისე ამაღლდა, რომ მშობლიურისას გაუტოლდა. დიდ ნაკადად მოძალებულ უცხო ლექსიკას ენა ვეღარ მოერია. მოვლენათა განვითარებაში დიდი როლი შეასრულა იმანაც, რომ სიტყვათა შეთვისება ძირითადად უკვე წიგნური გზით ხდებოდა.

¹⁵¹ ორენოვნების ამ საფეხურზე C ენის ზმნურ ფუძეთა დახურულმარცვლიანობის გავლენით ნასესხებ მასდარულ ფორმებს მეშველი ზმნის წინ დონი ერთვოდა.

აღნიშნულ ფაქტორთა ერთობლივი მოქმედებით ნასესხებ სიტყვათა ცვლის მორფოლოგიურ წესებში, რაც, თავის წილ, იცავდა თვით საკუთრივ C ენის სიტყვებს ქართული ენის სათანადო მოდელების გავლენისაგან, მოხდა გარღვევები, საიდანაც მსესხებელ ენაში გადავიდა და დაშკვიდრდა ერთეული უცვლელად დატოვებული ფორმები. ამ ერთეული დაშვებული გამონაკლისების მეშვეობით წინათ უცხო და მიუღებელი ფორმები დროთა სვლაში ჩვეულებრივი გახდა, რასაც მსგავსი წყობის მრავალი სიტყვის უცვლელად შეთვისება მოჰყვა.

დაიწყო C ენის მორფოლოგიურ სტრუქტურაზე S ენის მორფოლოგიური სტრუქტურის გავლენის აშკარა პროცესი. თითქმის უკვე დამთავრდა ნასესხებ სიტყვათა მორფოლოგიური ადაპტაციის C ენაში მოქმედი ბევრი წესის უკუგანვითარება. ნასესხებ სიტყვათათვის ენაში გაჩნდა ახალი მორფოლოგიური მოდელები: თითქმის უცვლელად შედის ახლად ნასესხები ლექსიკური ერთეულები, „გასწორდა“ ძველად შეცვლილი ბევრი ქართული სიტყვა. ადაპტირებული ფორმები ასეთ შემთხვევაში ორენოვნების განვლილ საფეხურს ასახავს და შემორჩენილია ენობრივი ტრადიციის ძალით. ასე, მაგალითად:

1. სესხების პროცესში აღარაა სავალდებულო ზედსართავ სახელთა ქართული დაბოლოებების C ენის დაბოლოებით შეცვლა. გვხვდება ახლად ნასესხები: **მარილიან, თოვლიან, წვიმიან, დარდიან, ხალისიან, სახელიან, ყვავილიან, ბარაქიან.**

პარალელები გაუჩნდა ადრე ნასესხებ სიტყვებს: **მადღაქ/მადლიან, ღაღაქ/ღალიან, კუძნქ/კუზიან, კუძაქ/კუდიან.**

2. ჩვეულებრივი გახდა ისეთი რთული სიტყვების უცვლელად სესხება, სადაც ფუძის კომპონენტები სრულადაა დაცული: **დამპალ – დამპალ(ი), მართალ – მართალ(ი), წითელ – წითელ(ი).**

გვერდიგვერდ იხმარება: მალ-მაღალ/მაღალ-მაღალ, ლამ-
ლამაზ/ლამაზ-ლამაზ, ნახ-ნახევარ/ნახევარ-ნახევარ.

3. ერთი ნასესხები და- ზმნისწინის ადგილას გაჩნდა ყველა
სხვა თოთხმეტევე ზმნისწინი. გვაქვს: მო|წერა|დარ, ჩა|გდება|დარ,
წა|შლა|დარ, ამო|ფხეკა|დარ, გა|თლა|დარ, შე|ჩვევა|დალარ, გა-
მო|თლა|დარ.

პარალელურ ხმარებაშია: და|გრილბა|დარ / გა|გრილბა|დარ,
და|ხიბლა|დარ/მო|ხიბლა|დარ, და|რკვევა|დარ/გა|რკვევა|დარ,
და|თოჯნა|დარ/გა|თოჯნა|დარ .

დღეს C ენაში უცვლელად ფუნქციონირებს მხოლოდ გეოგ-
რაფიულ სახელთა ადაპტაციისა და მასდარული ფორმების მეშვე-
ლი ზმნებით გაფორმების წესები; ერთეული დარღვევები თუმცა
აქაც უკვე შეინიშნება, მაგრამ საერთო სისტემა ჯერ ისევ მწყობ-
რი და თანმიმდევრულია.

3. ცვლილებები ფონემათა დისტრიბუციის წესებში

ყველაფერი, რაც აქამდე განვიხილეთ ნასესხებ სიტყვათა
ბეგრითი გარსის ადაპტაციის თვალსაზრისით, გაამართლებდა სა-
ერთო სათაურს „თუშური ენის გაგლენა ქართულზე“, უფრო ზუს-
ტად კი – „თუშური ენის მორფონოლოგიური სტრუქტურის გაგ-
ლენა ქართული ენის სათანადო სტრუქტურაზე“. ალბათ, წოვათუ-
შების აღრინდელ თაობებს ქართულად რომ ელაპარაკათ, სწორედ
ასეთი იქნებოდა მათი ქართული, რადგან მათ მეტყველებაში ყვე-
ლა უცხო სიტყვა მშობლიური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიუ-
რი მოდელების შესაბამისად შეიცვლებოდა.

უცხო ენის სიტყვათა ცვლის განხილული მორფონოლოგი-
ური პროცესები C ენაში კიდევ დიდხანს იმოქმედებდნენ, კონ-
ტაქტში მყოფ ენობრივ კოლექტივთა ურთიერთობა მკვეთრად
რომ არ შეცვლილიყო. ბარში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით

შემჭიდროებულმა კონტაქტმა და მის შედეგად განვითარებულმა კოლექტიურმა ორენოვნებამ შედარებით მოკლე დროის მანძილზე ამ ენაში შემოიტანა უამრავი ახალი სიტყვა, რომელთაგან ბევრი თავისი აგებულებით მიუღებელი იყო მსესხებელი ენისათვის. უცხო სიტყვათა მოძალება კიდევ უფრო საგრძნობი გახდა **C** და **S** ენათა ურთიერთობის მესამე – საბჭოურ პერიოდში, როცა ორენოვნებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო: გაძნელდა დიდ ნაკადად მოძალებული უცხო ლექსიკის მოვლა, ანუ ადაპტაცია, გადაამუშავება.

მოხდა გარღვევები თუშური ენის ფონემათა დისტრიბუციის წესებში. მსესხებელ ენაში, ცხადია, გადავიდა და დამკვიდრდა ჯერ ერთეული უჩვეულო ფორმები, შემდეგ კი ამ ერთეულ დაშვებულ გამონაკლისებს მიჰყვა მსგავსი წყობის უცვლელად დატოვებულ სიტყვათა მთელი რიგი: წინათ უცხო და მიუღებელი ბგერათვანაწილებები ახლა ჩვეულებრივი გახდა.

აქედან დაიწყო უკვე შებრუნებული პროცესი, პროცესი საკუთრივ უცხო ენის ფონოლოგიური სისტემის აშკარა გავლენისა მსესხებელი ენის ფონოლოგიურ სისტემაზე. „მცდარად“ ახლა უკვე ლექსიკურ ნასესხობათა ადაპტირებული ფორმები ითვლება, „სწორად“ კი უცვლელად დატოვებული. შეფასება ნასესხები სიტყვების ბგერითი გარსისა ამ დროს უცხო ენის ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით ხდება. აღრე ნასესხებ ადაპტირებულ სიტყვებს პარალელები უჩნდება მათივე ხელახლა ნასესხები უცვლელი, ან ნაკლებად შეცვლილი ფორმების სახით. ესაა ფონოლოგიური სისტემების ცალმხრივი ზეგავლენის ბოლო სტადია. როგორც **ნ. ტრუბეტკო** წერს: „მხოლოდ უკიდურესად განვითარებული ორენოვნების დროს ხდება მიუღებელი ბგერათმომდევრობების შემცველი სიტყვების სესხება ისე, რომ აღარ შეიგრძნობა მათი უჩვეულო აგებულება. ეს უკვე ნიშნავს, რომ მსესხებელი

ენის სიტყვათა მოდელეებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა“ (Трубецкой, 1960, 284).

მიუხედავად იმისა, რომ ორენოვნების დასაწყის საფეხურზე თითქოს მსესხებელი ენა მოქმედებდა სესხების ობიექტზე, ჩვენ საბოლოოდ იქაც ისევ უცხო ენის გავლენას ვხედავთ: იმის გამო, რომ შეუძლებელია ნასესხობათა აბსოლუტური ადაპტაცია, რაღაცა ახალი და უცხო, თუნდაც სულ უმნიშვნელო, თითქმის ყველა უცხო სიტყვას სდევს. ზღუდავს რა მსესხებელი ენის სიტყვათწარმოებას, თითოეული უცხო სიტყვა ამზადებს ნიადაგს ახალ ნასესხობათათვის. ისე რომ, თავიდან ბოლომდე (ერთი სიტყვის სესხებით დაწყებული და გათავებული ასობით სიტყვათა სესხებით) გვაქვს უცხო ენის ფონოლოგიური სისტემის გავლენის ერთიანი პროცესი, რომელიც ორ – ფარულ და აშკარა – პერიოდებად იყოფა.

თუშურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის სინამდვილეში კარგა ხანია დადგა ეს მომენტი, როცა დაიწყო S ენის ფონოლოგიური სისტემის აშკარა გავლენა C ენის ფონოლოგიურ სისტემაზე. დაიწყო და თითქმის უკვე დამთავრდა ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ადაპტაციის თუშურ ენაში მომქმედი თითქმის ყველა კანონზომიერი პროცესის უკუგანვითარება; გაჩნდა ბგერათა განაწილების ახალი მოდელეები; გასწორდა ძველად შეცვლილი ბგერი ქართული სიტყვა; თითქმის უცვლელად შევიდა ბოლო დროს ნასესხები ლექსიკური ერთეულები; მთლიანად ასიმილირებული ფორმები დღემდე შემორჩენილია მხოლოდ ენობრივი ტრადიციის ძალით და უპირისპირდება ახალს, როგორც საკუთარი – ნასესხებს. ჯერხანად ისევ მოქმედებენ მხოლოდ ფუძის ბოლო ხმოვნის დასუსტებისა და ნაზალიზაციის ფონოლოგიური კანონები. მოიშალა უცხო სიტყვათა ადაპტაციის ყველა სხვა მოთხოვნა.

თუშური ენის ფონოლოგიურ სისტემაზე ქართული ენის სა-
თანადო სისტემის გავლენის საკითხების რამდენადმე თანმიმდევ-
რული განხილვა ნიშნავს, ხელახლა მივუბრუნდეთ ნასესხებ სიტ-
ყვათა ფონოლოგიური ადაპტაციის ყველა წესს და დავსვათ თი-
თოეული მათგანის რღვევის საკითხი. ასე:

I. დავიწყებას მიეცა წესი, რომელიც გამორიცხავდა სიტყვის
დასაწყისში სონანტის რაიმე სახის კომბინაციას ამავე, ან რომე-
ლიმე სხვა კლასის თანხმოვანთან. ამიტომ მოხდა, რომ ყოველგვა-
რი ცვლილებების გარეშე დარჩა თანხმოვანთა ასეთი კომპლექსე-
ბი გვიან ნასესხები სიტყვების ანლაუტში, მაგალითად: მნათობ,
მხიარულ, მხეც, მშვიდ, მშვენიერ, მძახალ, მწერალ, მწყერ,
რგოლ, რთველ, რვეულ, რჯულ, ლხწ, ბლანტ, გლეხ, გპირ, დრო,
კრავალ, კრამიტ, კრუხ, კრან, კლიტ, კლეიტ.

აღრე ნასესხებ ფონოლოგიურად სახეცვლილ სიტყვებს პა-
რალელური ფორმების უფლებით გვერდით ამოუდგა ანლაუტის
შეუცვლელად ნასესხები იგივე სიტყვები, გვაქვს: ქართამ/ქრთამ,
კარხმალ/კრახმალ, ზან/ზნე, შორშან/შროშან, ხარდილ/ხრდილ,
ხარხილ/ხრხილ, სახურ/მსახურ, კითხავ/მკითხავ, თათუშითა/მთა-
თუშითა, კალავ/მკალავ, ღებარ/მღებარ.

II. იგივე ითქმის ნასესხებ სიტყვათა აუსლაუტის თანხმოვან-
თა შესახებაც: განსაზღვრული წყვილთანხმოვანი კომპლექსების
მაგიერ დღეს ამ პოზიციაში უცვლელად რჩება ნებისმიერი კომ-
პლექსი. მაგალითად, შეგვხვდება: ხადრ, სიმამრ, სიდედრ, სწავლ,
წყველ, ხევენ, თხვენ, ასლ, თესლ, გესლ, ქარვასლ, ჯავრ, აზრ,
ლიბრ, ქაღალდ, ორთქლ, აწლ, ყრქლ, ჭირხლ, ვერცხლ, აფო-
რიზმ, კომუნიზმ. ძველი წესით, რომლის მიხედვითაც, ნასესხებ
სიტყვათა აუსლაუტში ირღვეოდა C ენის სიტყვათათვის უჩვეუ-
ლო თანხმოვანთ კომპლექსები, დასახელებულ მაგალითებში მოსა-

ლოდნელი იყო ანაბტიქსური ხმოვნის გაჩენა, ან კომპლექსის რო-
მელიმე წევრის დაკარგვა.

ფორმალური პარალელები გაუჩნდა აკრძალული კომ-
პლექსების შემცველ უკვე ადაპტირებულ სიტყვებს. გვაქვს: მა-
დელ/ მადლ, ჩაქამ/ჩექმ, დაფა/დაფნ, იფა/იფნ, მოცალდარ/მოც-
ლადარ.

III. ხმოვნისწინა პოზიციაში აღარ იკარგება თანხმოვნის მომ-
დევნო ვ. ბოლო დროს უცვლელად დამკვიდრდა მრავალი სიტყვა,
სადაც ვ-ს აღნიშნული პოზიცია ეკავა. გვაქვს: რთველ, მარცვალ,
ხალვარ, მხატვარ, ნიაღვარ, ნამცხვარ, ბოკვერ, მოზვერ, წვერ,
ძვირ, საყვირ .

ვ-ს დაკარგვით ნასესხებ მრავალ სიტყვას დღეს C ენის სიტ-
ყვათხმარებაში მეტოქეობას უწევს მათივე ახალი, უცვლელი
ფორმები. ერთმანეთის გვერდით იხმარება: ტკორ/მკტვარ,
კოლ/კვალ, სირსოლ/სირსვალ, მაყოლ/მაყვალ, ჰალორ/ჰალოვ,
ცოლ/ცვარ, ჯოლ/ჯვარ, ზოგ/ზვაგ, გოლორ/გვალვ, მარჯოთ/მარ-
ჯვეთ.

IV. დასაშვები გახდა წყვილი ხმოვნის უშუალო ჰეტეროსი-
ლაბიკური მიმდევრობა, რაც ადრე უჩვეულო და მიუღებელი იყო.
ამ მიზეზით, უცვლელი დარჩა ხმოვანთა აღნიშნული კომპლექსები
მთელ რიგ ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: ზეიმ, ქეიფ, მაის, ნიაგ,
იარალ, იასამა, იაღა, იასაულ, მიამიტ, ნიაღვარ, თიაქარ, ზეჩკალ,
ქლიავ, პიონერ, თურაშაულ, იამზე, ზეინაბ.

ფორმალური პარალელები გაუჩნდა ადრე ნასესხებ ადაპტი-
რებულ სიტყვებს. გვერდიგვერდ იხმარება: ფადტო/ფაიტო,
ყადსნალ/ყაისნალ, ბადყუშ/ბაიყუშ, მადმიჟ/მადმიჟ, ჭინურ/ჭიანურ,
ზირებ/ზიარებ, დაგვირებ/დაგვიანებ, დაზინებ/დაზიანებ,
ნინურ/ნიანურ, ჩადნიკ/ჩაინიკ, ბუჰარ/ბუერ.

V. აღარ ექცევა ყურადღება სიტყვის დახურულმარცვლიანობის მოთხოვნას. დიდი ხანია, მივიწყებულ იქნა ნასესხები მასდარებისთვის ამ წესის შესაბამისად შემუშავებული დონიანი მოდელი. უდონო მოდელი დღეს ერთადერთი მოქმედი მოდელია ლექსიკის ამ უბანზე. ჩვეულებრივია: წერადარ, ფურცლადარ, ფურჩქნადარ, ხვევადარ, ღებადარ, შენბადარ, გრეხადარ, კვებტადარ, ფენადარ, ჩენადარ.

მეტყველების არქაული სტილის კუთვნილებად იქცა მათი დონიანი ფორმები: წერადიდარ, ფურცლადიდარ, ფურჩქნადიდარ, ხვევადიდარ, ღებადიდარ, შენბადიდარ, გრეხადიდარ, კვებტადიდარ, ფენადიდარ.

VI. ახალგაზრდა თაობისთვის გაუგებარი გახდა სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში ფუძის შიგნითა ხმოვნის რედუქციის წესი, რომელიც, როგორც მსესხებელი ენის ფონოლოგიური მოდელით შეპირობებული, თავის დროზე სავალდებულო ხასიათს ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ დაცულია სარედუქციო პოზიციის ყველა მოთხოვნა, მარცვალდაკლების გარეშე მკვიდრდება: კარამელ, პარალელ, ხერხემალ, ნაგერალ, რწმუნებულ, ფაფანაკ, საყვედურ, საქანელ, სახელურ, კოწახურ, ტარაკა, ჩემოდან.

პარალელურად იხმარება ძველი, რედუცირებული ფორმები და იმავე სიტყვათა ახლად შესრულებული, ურედუქციო ფორმები: მარტკელ/მატჭკალ, ფალგა/ფალაგა, ორგულ/ორაგულ, ღენრალ/გენერალ, ხეტჯურ/ხეტჯურ, დაშორბით/დაშორებით, საკერბელ/საკერებელ, ტალვარ/ტალავარ, მოფერბით/მოფერებით, ირბათ/ირიბათ, გიჟრათ/გიჟურათ, გაუნათლებელ/გაუნათლებელ, სამართებელ/სამართებელ, დარჯან/დარეჯან.

VII. ნასესხები სიტყვების ბგერითი გარსის ადაპტაციის ორი ფონოლოგიური კანონილა მოქმედებს C ენაში:

1. კანონი აუსლაუტის ხმოვნის დასუსტებისა და

2. კანონი ნ-ზე დაბლოკებული თანხმომავანთუძიანი სახე-
ლების ბოლო ხმოვნის ნაზალიზაციისა.

ერთეული გარღვევები ორივეგან შეინიშნება, მაგრამ საერთო სისტემა ჯერ ისევ მწყობრია.

გამონაკლისებს ამ წესებიდან ჯერჯერობით მხოლოდ ადამიანთა ზოგიერთი საკუთარი სახელი გვიჩვენებს. გვაქვს:

ა) ბოლო ხმოვნის დასუსტების გარეშე: აკაკი, ლილი, მერი, გიგი, შოთა, ნინა, ნორა, ლელა, კოსტა, მიშა, კოლა, ცარო, შარო, იამზე, ნუნუ.

ბ) ფუძის ბოლოში მდგარი ნ-ს დასუსტებისა და წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციის გარეშე: ლევან, მანან, თინ, ან, მარინ.

როგორც ზემოთ ითქვა, ამ ორ წესს თავის დროზე განსაკუთრებული თანმიმდევრულობა ახასიათებდა C ენაში. მას თანაბრად და უგამონაკლისოდ ექვემდებარებოდა ყოველგვარი სახელი: საკუთარიც და საზოგადოც, დღეს კი ამ წესებმა გარკვეული რღვევა განიცადა და ეს რღვევა აქ ადამიანთა საკუთარ სახელებს შეჰყვა. უეჭველია, საკუთარი სახელებისათვის დაშვებული ეს გამონაკლისები მომავალში საყრდენად იქცევა საზოგადო სახელების უცვლელი ფორმებისათვის და მაშინ მოქმედებას შეწყვეტს ეს უკანასკნელი წესებიც. ამრიგად, ერთეული გამონაკლისებით ჩვენ თვალწინ უკვე ეძლევა დასაბამი ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ადაპტაციის დადგენილი წესების რღვევის დიდ პროცესს.

სამოქმედო არეთა მოცულობის მიხედვით ამ ორ შემორჩენილ წესს შორის დიდი განსხვავებაა: პირველი მოიცავს სახელების მთელ კლასს, მეორე კი – მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, ისეთ ერთეულ შემთხვევებს, სადაც სახელობითის ფორმანტისათუ ფუძის აუსლაუტის ხმოვნის რედუქციის შემდეგ სიტყვა დამთავრდება ნ-ზე, რომელიც უშუალო მიმდევრობაში იქნება წინამავალ ხმოვანთან. ნასესხებ სიტყვებში მეორე წესის მოქმედებას

ფაქტობრივად პირველი წესი განაპირობებს. თუ თანხმომოგანფუძია-
ნებს ოდესმე მართლაც გადაწყვეთ სახელობითის -ი ფორმანტი,
ხმომოგანფუძიანებს კი - ბოლო ხმოვანი, ცხადია, ქართულიდან ნა-
სესხებ სიტყვებს თანხმომოგანი ნ საერთოდ აღარ დაამთავრებს, გარ-
და რამდენიმე ნაცვალსახელისა და ზმნიზედისა (მხედველობაში
გვაქვს ლექსემები: გვიან, მაშინ, გუშინ, შარშან, წინ, უკან, ვინ,
მან, თვითონ). ისე რომ, როგორც კი მოქმედებას შეწყვეტს პირვე-
ლი წესი, მექანიკურად შეწყდება მეორე წესის მოქმედებაც.

ნათქვამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ თუშურ
ენაში ფაქტობრივად ერთი წესილა განაგებს სიტყვათა ადაპტაცი-
ის პროცესს. ამ წესის დიდი გამძლეობა იმით უნდა იყოს შეპირო-
ბებული, რომ მას ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი იცავს:
მარცვლის დახურვის ფონოლოგიური წესი და სიტყვის თავში
მოქმედი ძლიერი დინამიკური მახვილი.

VIII. ყოველგვარი სისტემა და, მაშასადამე, ენობრივი სისტე-
მაც მჭიდრო კავშირს გულისხმობს მის რგოლებს შორის: ერთის
ცვლა მეორის ცვლას იწვევს და პირუკუ. C ენის ფონოლოგიური
სისტემის ცვლაც არ შემოფარგლულა ნასესხებ სიტყვებში ბგე-
რათა განაწილების წესების ცვლით: ის შეეხა C ენის ფონემატურ
სისტემასაც.

თუშური ენის ფონემატური სისტემის ცვლილება კონკრე-
ტული გზით მიიმართება - მოქმედების არე უფიწროვდება ფონე-
მებს, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულს აკლია
მასთან შეპირისპირებით. სახელდობრ:

ა) ნასესხებ სიტყვებში, როგორც აღინიშნა, ადგილი აღარა
აქვს ხმოვანთა დიფთონგიზაციის პროცესს. როგორც ამის უშუა-
ლო შედეგი, გაჩნდა ტენდენცია, აღრე ნასესხებსა თუ საკუთარ
სიტყვებში ჩამოაცილონ დიფთონგებს ნახევარხმოვანი, ან კიდევ
ხმოვანთა კომპლექსის მონოსილაბიკური წარმოთქმა შეცვალონ

ჰეტეროსილაბიკურით. დასახელებულთაგან საკუთარ სიტყვებში ბილინგვები მიმართავენ პირველ გზას, ნასესხებ სიტყვებში კი, კონკრეტული პირობების მიხედვით, ერთსაც და მეორესაც. არჩევანი არაა ნებისმიერი: ხმოვანთა უშუალო ჰეტეროსილაბიკური მიმდევრობის დაშლით მიღებულ დიფთონგებში ნახევარხმოვნის სრულ ხმოვანამდე აღდგენა ხდება, დასუსტებული ხმოვნის ეპენთეზისით მიღებულ დიფთონგებში კი – ნახევარხმოვნის დაკარგვა. მაგალითად, გვაქვს:

1. თუშური ენის საკუთარ სიტყვათა ასეთი პარალელური ფორმები: მადე/მეჯ ‘პური’, ღუმფხ/ღუმფხ ‘სამოსი’, მამდარ/მეხდარ ‘დაფასება’, ღამჰკ/ღეჰკ ‘რკინა’, ამხნ/ქხნ ‘ძაფი’.

2. ნასესხებ სიტყვათა შემდეგი სახის პარალელური ფორმები: ფადტო/ფაიტო, ჩადნიკ/ჩაინიკ, ყადსნალ/ყაისნალ, მამჰ/მამჰ, თამგულ/თაიგულ.

ბ) ასეთივე ბედი ეწია სუსტ (ირაციონალურ) ხმოვანებასაც – დაიწყო მათი დაკარგვის პროცესი, სულ ერთია, სიტყვა საკუთარი იქნება, თუ ნასესხები. მთელ რიგ ლექსებში ახალგაზრდობა მათ აღარ წარმოთქვამს. ისე რომ, ასაკობრივი დონეების მიხედვით აქაც პარალელური ფორმები მივიღეთ. გვაქვს, მაგალითად:

1. თუშურენოვან სიტყვათა პარალელები: ამრლო/ამრლო ‘ყო-ჩი’, თუმხნ/თუმხნ ‘მარილი’, ყადტჰ/ყადტ ‘ღუქარდი’, მჰ ამრნ/მჰჰრ ‘ფრჩხილი’, ამჰნ/ამჰ ‘ნაწლავი’, ღუმტო/ღუმტო ‘მიდიან’.

2. ქართულ სიტყვათა პარალელები: ქუმრნ/ქუმრნ ‘ქორი’, გიუმრგნ/გიუმრგნ ‘ვიორგი’, ალიქსნ/ალიქს ‘აღუქსი’, კოტე/კოტ ‘კოტე’, იათამჰნ/იათამჰნ ‘იათამჰე’, სათავგ/სათავგ ‘სათავე’.

გ) თავისებური მდგომარეობა შეიქმნა ჯ და ხ ფონემათა დისტრიბუციამში.

ორივე ეს ბგერა დამოუკიდებელი ფონემებია C ენაში და დაახლოებით თანაბარია მათი რეალიზაციის დონე. ფონემა **ც** გვხვდება 46 მარტივ ძირში, ხოლო **ხ** – 42 ძირში (ვგულისხმობთ საკუთრივ თუ შორენოვან ძირებს). რაც შეეხება მათ პოზიციურ განაწილებას, აქ მნიშვნელოვან განსხვავებას ვხედავთ: **ც** უმეტესად # – V პოზიციაში გვხვდება (37 შემთხვევა) და არ ქმნის კომბინაციებს სხვა თანხმოვნებთან; ყრუ ფრიკატივი **ხ** კი თანაბრად იხმარება როგორც ხმოვნისწინა პოზიციაში (16 შემთხვევა), ისე ხმოვნის მოძღვენო პოზიციაში (11 შემთხვევა); ის ქმნის აგრეთვე გარკვეულ კომბინაციებს სხვა თანხმოვნებთან (15 შემთხვევა).

ც არ წარმოადგენს რაიმე განსხვავებულს საერთო კავკასიური ბგერითი სისტემიდან: ის ახასიათებდა ძველ ქართულს და აქამდე შემორჩა მთის დიალექტებსა და ზოგიერთ ბარის დიალექტსაც. იმ სიტყვებში, რაც **C** ენამ აღრევე ისესხა სალიტერატურო ქართულიდან, ეს ბგერა თავის დროზე უცვლელი დარჩა. გვაქვს, მაგალითად: **ცსენებ**, **ცშირ**, **ცეობ**, **ცემწიფე**, **ცელოსა**, **აოცრებ**, **გენა**, **საჯმარ**, **საჯსარ**, **თი**, **ჯოჯობ**, **ჯვედ**, **თო**.

დღეს, როცა გაძლიერდა სალიტერატურო ქართულის გავლენა, რომელმაც დიდი ხანია დაკარგა უკვე ეს ფონემა და მისი ფუნქციები **ხ**-ს დააკისრა, **C** ენაში დაიწყო შესაბამისი ნასესხობის გასწორება. გაჩნდა პარალელური ფორმები: **ცსენებ/ხსენებ**, **ცშირ/ხშირ**, **ცეობ/ხეობ**, **ცემწიფე/ხელმწიფე**, **ცელოსა/ხელოსა**.

როგორც ვხედავთ, ნასესხებ სიტყვებში **ც/ხ** მონაცვლეობა თავისუფალი გახდა. მათგან განსხვავდება საკუთრივ თუ შორენოვანი სიტყვები, სადაც აღნიშნული ბგერათდაპირისპირება ჯერ კიდევ ფონემათა დონეზე რჩება. ფონემატური სისტემის ინტერფერენტული ცვლის თვალსაზრისით საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოება, რომ, ხანდაზმულთა მეტყველებისგან განსხვავებით, ახალგაზრდა ბილინგვების მეტყველებაში შეიმჩნევა მათი მშობ-

ლიური ენის სპეციფიკური თანხმოვანი ბგერების უფრო მოდუნებული არტიკულაცია, თუ არა მიხუმათება. ამ ორი თაობის მეტყველებაში საგრძნობი განსხვავებაა სიტყვათმახვილის სიძლიერის საკითხშიც: ახალგაზრდათა მეტყველებას აქაც კორექტივი შეაქვს. ვფიქრობთ, რომ S და C ენების ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობა უნდა შეფასდეს, როგორც **ზებილინგვიზმი**.

დასკვნები

შეიძლება ითქვას, რომ ი. დეშერიევის შემდეგ თუშური ენის ფონეტიკურ სტრუქტურაში არსებითად არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ თავად ენას კიდევ რამდენიმე ათეული წლით შეუმოკლდა არსებობის პერსპექტივა. დღესაც სიტყვასიტყვით შეიძლება გავიმეოროთ ის, რაც მეცნიერმა ბრძანა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ – ასრულებს რა თავის არსებობას, თუშური ენა ისტორიიდან მიდის იმ მაღალი ლინგვისტური ღირსებით, როგორითაც იარა მრავალი და მრავალი საუკუნის მანძილზე, უმწიკვლოდ შეინარჩუნა თავისი სამეტყველო ბაზისი – ფონეტიკა: «Действующие в настоящее время специфические особенности бацбийской фонетики свидетельствуют о том, что, несмотря на сильное влияние грузинского языка, она сохранила свою исконную, собственно бацбийскую основу и продолжала функционировать, как и бацбийски язык в целом, по своим внутренним законам развития» (Дешериев, 1953, 24).

კვლევის პროცესში ნათლად გამოჩნდა უთუოდ, რომ მართლაც საკმაოდ რთულია თუშური ენის ბგერათა სისტემა – როგორც ხმოვნებისა, ისე თანხმოვნებისა. სამეტყველო ორგანოებს ნებისმიერ მდგომარეობაში ძალუძთ, აწარმოონ სრულიად სოცია-

ლური ღირებულების მატარებელი ბგერითი სიდიდეები, რაც უზრუნველყოფს ლექსემათა იმ საოცარ კომპაქტურობასაც, რომელიც ბევრი ენისთვის უთუოდ შესაშურ უპირატესობას უნდა წარმოადგენდეს.

ვცადეთ რა, შეძლებისდაგვარად შეგვეცხოოთ თუშური ენის წინამორბედ მკვლევართა დაკვირვებები, მივედით შემდეგ დასკვნებამდე:

1. ზოგადი ფონეტიკით გათვალისწინებული ხმოვანთა კვანტიტეტის ხუთი შესაძლებელი (ნახევრადგრძელი, მოკლე, ირაციონალური, გრძელი, ზეგრძელი) სახეობიდან თუშურ ენას დღეს გააჩნია ხუთივე სახეობა.

2. კვანტიტატიური მრავალფეროვნების ასეთი კონცენტრაცია ერთ ენაში უთუოდ უნიკალურ, თვალსაჩინო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ მსოფლიო სამეცნიერო სინამდვილის ფონზე.

3. სხვადასხვა მიზეზთა გამო თუშური ენის ხმოვანთა კვანტიტეტი დღეს რღვევისა და გაორების რთულ და მძიმე გზაზე დგას, რაც ერთგვარად მოგვაგონებს იმ მოვლენას, რომელსაც XV-XVI საუკუნეებში ჰქონდა ადგილი ინგლისურ ენაში და რომელიც ცნობილია „ხმოვანთა დიდი გადაწევის“ ფონეტიკური კანონის სახელწოდებით.

4. თუშურ ენაში გვაქვს საკმაოდ კარგად გამომხატული ნაზალიზაცია ხმოვნებისა; გვაქვს მოკლე ნაზალიზებული და გრძელი ნაზალიზებული ხმოვნები.

5. თუშურენოვანი ხმოვნების ნაზალიზაცია უნდა ვცნოთ როგორც აუსლაუტში, ისე ინლაუტსა და ანლაუტში.

6. ნაზალური ხმოვნები, სხვა ფუნქციებთან ერთად, თვალსაჩინო, წამყვან როლს ასრულებენ თუშურენოვან ანთროპონიმიკაში.

7. ერთი მხრივ, კვანტიტატიური მრავალფეროვნების არსებობა, მეორე მხრივ, ხმოვანთა ნაზალიზაციის ფაქტი, ხოლო, მესამე მხრივ, ამ ორი მოვლენის ურთიერთშერწყმა თუშურ ენას, მის ხმოვანთა სისტემას კიდევ ერთხელ აძლევს ენათა უმრავლესობისაგან განსხვავებულ, განუყოფებელ და განსაკუთრებულ იერსახეს.

8. მათი კვანტიტატიური და ნაზალური ნიშნების გათვალისწინებით, თუშურ ენაში იკვეთება აღმაფალ და დამაფალ ჯგუფებში შემავალი დიფთონგების 17-მდე სახეობა.

9. დიფთონგებში შემავალი არამარცვალმოცემი (მოკლე) კომპონენტის აღნიშვნას შესატყვისი დიაკრიტიკული ნიშნით მეტი სიცხადე შეაქვს როგორც თუშურენოვან ტექსტებსა თუ საილუსტრაციო მასალაში, ისე თვით სამეცნიერო-კვლევით შრომებში.

10. თუშური ენის ფონემატური (ფონოლოგიური) სისტემა შენარჩუნებულია. ეს შესაძლოა იმის შედეგით იყოს, რომ თუშური ენის გავრცელების არეალი მიკროსკოპულად მცირეა და მასში შესაძლებელი დიფერენციაციის (დიფერენციის) პროცესი სტაენაციაშია, ხოლო ინტეგრაციის (კონვერგენციის) პროცესი, პირიქით, პროგრესს განიცდის ქართულ ენასთან (ლექსიკასთან) მჭიდრო კავშირში და ფონეტიკა, ლექსიკისგან განსხვავებით, ვერ ასწრებს რაიმე არსებითის გათავისებას.

11. თუშური ენის ხმოვანთა სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ 5 ძირითადი (სადა, მარტივი, ჩვეულებრივი) ხმოვანი ასო-ბგერით – ა, ე, ი, ო, უ, რომლებსაც კორელაციის გზით საერთო ჯამში შეუძლიათ 30-ზე მეტი ფონემური (სოციალური) ხასიათის გადმოცემა. მათ შორის ვხედავთ ე. წ. თავისუფალ ხმოვნებსაც, რომლებიც, რა თქმა უნდა, სერიოზულ გადამოწმებას საჭიროებენ.

თუკი ამ ჯამს მივამატებდით დიფთონგებსაც, თუშური ენის ხმოვანი ფონემების ოდენობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

12. ხმოვანთა ცალკეული სამკუთხედები გვაქვს ქართულშიც, რუსულშიც... მაგრამ დასახელებული სამი ოპოზიციური ნიშნის (ენის აწეულობის, ლოკალური რიგისა და ბაგეების მონაწილეობის) გარდა, თუშური ენის ხმოვნებს ახასიათებს კვანტიტეტიც, ნაზალობაც და შემართვისეული თავისებურებანიც. აქედან გამომდინარე, თუშური ენის ხმოვანთა მთელი ფონოლოგიური არსენალი მოითხოვს სამკუთხედების მთელ რიგს, რომელიც პარადიგმატიკის სახით განივრცობა. კერძოდ, გვიწევს არა ერთი სამკუთხედის განთავსება წინხედში (როგორც ეს ქართული, რუსული და სხვა ენებისთვის კეთდება), არამედ – სამკუთხედების რიგის განთავსება პერსპექტივაში, რათა ამ მართლაც საინტერესო სისტემის მთელი სიმდიდრე და, აქედან გამომდინარე, პარადიგმატული მრავალფეროვნება წარმოვიდგინოთ გლობალურად და არა ერთ სიბრტყეში (როგორც ეს ტაბულაზე ან ცალკეულ სამკუთხედზე კეთდება ხოლმე), არამედ – სივრცეში.

13. თუშური ენის ხმოვანთა სისტემაში არსებული და აქ აღწერილი მიკროფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ამ უმწერლობო ენაზე ცოცხალი დაკვირვებისას შეიძლება დღემდე მიუკვლეველ მოვლენებს გადავაწყდეთ ხან აქ, ხან იქ. თუმცა ეს უმწერლობა ამავე დროს აფერხებს და აძნელებს თუშური ენის ბგერათა საბოლოო, მწყობრ იდენტიფიკაციას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის როგორც იბერიულ-კავკასიური, ისე ზოგადი ენათმეცნიერების წინაშე მდგომი ამოცანების სრულსა და საბოლოო გადაჭრას.

14. წინამდებარე ნაშრომით სულაც არ ამოიწურება თუშური ენის მდიდარი და თვითმყოფადი თავისებურებანი თუნდაც მხოლოდ ბგერით სისტემაში – ამისგან ჯერ ერთობ შორს ვართ. ვფიქრობთ, რომ ფართო ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მოვლე-

ნაც თუშურ ენაში, როგორსაც წარმოადგენს ე. წ. თავისუფალი ხმოვნები. მომავალში უსათუოდ საჭიროა მათი სერიოზული ანალიზი, რაც უფრო გაამდიდრებს იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში დღემდე დაგროვილ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას.

15. თუშურ ენაში ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი კონსონანტთა ფონემატური სისტემა, გვაქვს საინტერესო კორელატები.

16. თუშურ-ქართული ორენოვნება მკვეთრად გამოხატული ცალმხრივ მიმართული ინტერფერენტული პროცესების სამოქმედოა: ქართული წყაროა გავლენისა, თუშური ენა კი – ობიექტი.

17. ძნელია მონახოს ინტერფერენტულ პროცესთა წარმართველი ფაქტორების სხვა, უფრო ხელსაყრელი ერთობლიობა, რომელიც ასეთ ოპტიმალურ პირობებს შექმნიდა ცალმხრივი, ღრმად გამჭოლი და შეუქცევადი გავლენისათვის.

18. ორენოვნების პერიოდების მიხედვით იცვლებოდა ორენოვნების ხასიათი და უცხო ენის ცოდნის დონე, პარალელურად კი სულ უფრო მეტ განფენილობას იძენდა უცხოენობრივი გავლენის პროცესები, იზრდებოდა ინტერფერენციის მასშტაბები და სიღრმე.

19. წყარო ენის გავლენა მსესხებელ ენაზე, როგორც ყველგან, აქაც ლექსიკით დაიწყო. პირველ პერიოდში „თეთრი ლაქების“ შემავსებელი ცალკეული სიტყვების სესხების მოკრძალებული პროცესი მომდევნო პერიოდებში უცხო სიტყვათა არნახული მოძალებით შეიცვალა.

20. ენის მობილურობისა და გამძლეობის თვალსაზრისით მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი სიტყვების უცხო პარალელიზმებით შეცვლის მოძალებულ ტენდენციას გადაულახავ ბარიერს უქმნის თუშური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ყველაზე ხშირადხმარებულ სიტყვათა საკმაოდ დიდი ფენა.

ახლაც კი, ორენოვნების ბოლო პერიოდში, როცა უკვე დაწყებულია ქართულ ენაზე ბილინგვთა გადართვის შეუქცევადი პროცესი, ქადაგიძეთა ლექსიკონში შესული 1.080-მდე თუშურენოვანი სიტყვა ლექსიკური პარალელის გარეშე რჩება. თუშური ენის მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგადი ენათმეცნიერების ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ყველა ენაში გამოიყოფა ლექსიკის გარკვეული ფენა, რომელიც სესხების პროცესისადმი მდგრადია.

21. თუშურ ენაში დადასტურდა ლექსიკურ ნასესხობათა ყველა ის ტიპი, რომელიც კი არის ცნობილი ზოგად ლინგვისტიკაში. გვაქვს ნასესხები სიტყვებისა და შენაცვლებული ნასესხობების 2 კლასი მათივე 4 ქვეკლასით და სათანადო ქვეჯგუფებით.

22. ლექსიკური ნასესხობანი პირველ ხანებში მსესხებელი ენის ფონოლოგიურ წესებს ექვემდებარებიან და, გავლენის თვალსაზრისით, რაიმე საფრთხეს თითქოს არც უქმნიან მის თავისთავადობას. სინამდვილეში, იმის გამო, რომ შეუძლებელია აბსოლუტური ადაპტაცია, რაღაცა ახალი და უცხო თითქმის ყველა ნასესხებ სიტყვას მოსდევს. გარდა ამისა, ზღუდავს რა მსესხებელი ენის სიტყვათწარმოებას, თითოეული უცხო სიტყვა საყრდენი ხდება სხვა, ახალი ნასესხობისათვის.

23. ინტერფერენცია ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე ზუსტი კანონზომიერებით ვითარდება. ამ მხრივ გამონაკლისს არც ფონოლოგიური სისტემა ქმნის. სანამ ორენოვნება ინდივიდუალურია და წყარო ენის ცოდნის დონე – დაბალი, ბილინგვები საკუთარი ენის ფონოლოგიური მოდელის მიხედვით ცვლიან, ანუ „ასწორებენ“ ნასესხების სიტყვების ბგერით გარსს. თუშური ენის ფონოლოგიურ კანონებსა და ორენოვნების საწყის სტადიაზე ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ადაპტაციის წესებს შორის ზუსტი შესატყვისობა დგინდება. აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელო-

ვანია ის გარემოება, რომ ყველა განსხვავებამ, რაც ამ ორი ენის სიტყვათმოდლეებსა და ბგერათა განაწილების წესებში დასტურდება, თავი იჩინა სიტყვათა სესხების პროცესებში, კერძოდ:

ა) იმის გამო, რომ თუშურ ენაში ძირითადად სიტყვის ორმარცვლიანი მოდელი ფუნქციონირებს, ყველა შესაძლო შემთხვევაში ნასესხებ ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს დააკლდა მარცვალი, კერძოდ, მისი ხმოვნითი ელემენტი. მარცვალდაკლების საშუალებად გამოყენებულ იქნა ამ ენაში ფლექსიისა და დერივაციის დროს სიტყვის მოსალოდნელი „გამეტმარცვლიანების“ წინააღმდეგ მოქმედი ხმოვანთა რედუქციის კანონი.

ბ) სიტყვის ანლაუტსა თუ აუსლაუტში დაიშალა თანხმოვანთა ყველა ისეთი კომპლექსი, რაც უზვეულო იყო თუშური ენის საკუთარ სიტყვებში. ამისთვის გამოყენებულ იქნა „ზედმეტი“ თანხმოვნის დაკარგვისა თუ კომპლექსის წევრთა ანაბტიქსური ხმოვნით გათიშვის გზები; ის კონკრეტული მაგალითები, სადაც მოხდა სიტყვათა ანლაუტისა თუ აუსლაუტის თანხმოვანთკომპლექსების დაშლა, გვიჩვენებს, რომ ენათა ფონოლოგიური სისტემების სხვადასხვაობისთვის არსებითია არა მხოლოდ ამა თუ იმ მოდელის ქონა-უქონლობა, არამედ ისიც, თუ ცალკეულ მოდელთა რომელი კონკრეტული ვარიანტებია რეალიზებული თითოეულ შესაძარებელ ენაში.

გ) იმის გამო, რომ თუშურენოვან სიტყვებში არ გვხვდება ხმოვანთა უშუალო ჰეტეროსილაბიკური მიმდევრობები, დიფთონგიზაციის, რედუქციისა თუ მათ შორის თანხმოვნის ჩართვით ასეთი მიმდევრობა ნასესხებ სიტყვებშიც დაიშალა.

დ) თუშურენოვან სიტყვათა აუსლაუტი ძირითადად დახურულმარცვლიანია, ეს გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ სესხების პროცესში თავი იჩინა ღია მარცვლით დაბლოლებულ მრავალმარცვლიან სიტყვებში ბოლო ხმოვნის გაუმარცვლოების ფონო-

ლოგიურმა ტენდენციამ. ამავე პროცესს უწყობდა ხელს თუშურ ენაში მოქმედი და ქართულისაგან განსხვავებული ძლიერი, დინამიკური მახვილის მოქმედებაც.

ე) სიტყვათა აუსლაუტში ხმოვნის მომდევნოდ არ გვხვდება თანხმოვანი ნ; გამონაკლისს მხოლოდ მიცემითი ბრუნვის ფორმები შეადგენენ. ამან განაპირობა, რომ ნასესხებ სიტყვათა იმავე პოზიციაში მდგარი ნ დასუსტდა და წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაცია გამოიწვია. ნათქვამის მიხედვით იგულისხმება, რომ, თუ კონტაქტში მყოფი ენების ფონოლოგიური მოდელების შეპირისპირებით წინასწარ შეიძლება ზუსტად განისაზღვროს ნასესხებ სიტყვათა ბგერით გარსში მოსალოდნელი გარდაქმნები, მეორე მხრივ, ამ გარდაქმნების მიხედვით შეიძლება საკმარისი სიზუსტით აღვადგინოთ მსესხებელი ენის ფონოლოგიური სისტემა.

24. უცხო სიტყვათა ბგერითი გარსის ცვლას ზოგჯერ მსესხებელი ენის მორფოლოგიური მოდელები განაპირობებს. ჩვენს მასალებში ასეთი რიგისაა: ა) ფუძეთანხმოვნიან გეოგრაფიულ სახელებზე ასეთი სახელების მაწარმოებელი საკუთრივ თუშურენოვანი სუფიქსების დართვა; ბ) ზედსართავ სახელთა ქართული დაბოლოების გადასხვაფერება; გ) ფუძეგაორკეცებით მიღებული ქართული კომპოზიტების პირველი კომპონენტებისთვის ბოლო მარცვლის მოკვეცა; დ) ქართულ მასდარულ ფორმებზე მეშველი ზმნების დართვა; ე) ნასესხებ ზმნებში სხვადასხვა სახის ქართული ზმნისწინების შეცვლა ნასესხები, ისევე ქართული და- ზმნისწინით.

25. საგულისხმოა, რომ თავდაპირველი სესხებისას C ენის ფონოლოგიურ სისტემაზე აწყობილი S ენის სიტყვების ბგერითი გარსი დროთა სვლაში, კონტაქტის შემჭიდროებასთან დაკავშირებით, წყარო ენის ფონოლოგიური სისტემის მიხედვით ხელახლა იცვლება. ეს ცვლილება თანდათანობითია და მისი საფეხურებრივი ხასიათი კარგად ჩანს ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვა

დროს შესრულებულ ნასესხობათა მთლიანად ასიმილირებული, ნაწილობრივ ასიმილირებული და უცვლელად დატოვებული ფორმების ფონზე. ასეთი ფორმები ზოგჯერ ერთდროულადაც გვხვდება თუშურ ენაში, როგორც ერთი და იმავე სიტყვის სინონიმური და ფორმალური პარალელიზმები.

26. ორენოვნების ბოლო საფეხურებზე, როცა უცხო ენის ცოდნის დონე მშობლიურისას უტოლდება, ან უკვე აღემატება მას, ნასესხებ სიტყვათა ბევრითი მოდელების შეფასება უცხო ენის ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით ხდება: თუ ადრე სიტყვათა ამოსავალსა და ადაპტირებულ ფორმებს შორის კავშირი შეიძლება იყოს ნულამდე შემცირებულიყო, ახლა დღის წესრიგში მისი სრულად შენარჩუნების მოთხოვნა დგება. აქედან გამომდინარე, C ენის ფონოლოგიურ სისტემაზე S ენის სათანადო სისტემის გავლენის საკითხების რამდენადმე სრული განხილვა ნიშნავს, ხელახლა მივუბრუნდეთ ნასესხებ სიტყვათა ბევრითი გარსის ადაპტაციის ყველა შემთხვევაში აღმნიშნულ წესს და დავსვათ თითოეული მათგანის უკუგანვითარების საკითხი. თუშურ ენაში დღეისთვის უკვე დაირღვა უცხო სიტყვათა ადაპტაციის თითქმის ყველა სავალდებულო მოთხოვნა, მოქმედებას აგრძელებს მხოლოდ აუსლაუტის ხმოვნის დაკარგვა-დასუსტების ერთადერთი წესი.

27. თუშურ-ქართული ორენოვნების მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ლექსიკური გავლენა ერთი ენისა მეორეზე არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვათა სესხებას, ან კანონზომიერ ცვლილებებს ადგილობრივი სიტყვების სემანტიკაში. ორენოვნების მაღალი დონე წყარო ენის გავლენით მსესხებელი ენის საკუთარი სიტყვების დაკარგვასაც გულისხმობს. ასეთ დაკარგვას ერთ შემთხვევაში სიტყვის მიერ უცხოენობრივი პარალელის შექმნა იწვევს, მეორე შემთხვევაში კი იგივე პროცესი შეპირობებულია მსესხებელი ენის მხარეს არსებული „მეტობით“. ეს ის შემთხვევე-

ბია, როცა, მსესხებელ ენასთან შედარებით, წყარო ენას აკლია ესა თუ ის ცნებაც და სათანადო ტერმინიც. ასეთი „მეტობით“ გამოწვეული დაკარგვა სპეციფიკურია იმ მხრივ, რომ უშუალოდ არის დაკავშირებული წყარო ენის სააზროვნო მოდელის სტრუქტურასთან და ნიშანდობლივია ორენოვნების მაღალი დონისთვის.

28. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზებილინგვიზმის დროს უხვად მოძალებულ ლექსიკურ ნასესხობებს და უცხო სიტყვათა ბგერითი გარსის უცვლელად შენარჩუნების წამლეკავ ტენდენციას სათანადო შედეგები არ მოჰყოლია მსესხებელი ენის საკუთარ სიტყვათა ფონოლოგიურ მოდელებში. ამჯერად თუშურ ენაში ერთმანეთის პარალელურად მოქმედებს ორი ფონოლოგიური სისტემა: ერთი C ენას ეკუთვნის და მის საკუთარ სიტყვებში ფუნქციონირებს, მეორე კი წყარო ენისაა და ნასესხებ სიტყვებშია რეალიზებული.

საინტერესოა, რომ პარალელური სისტემების ანალოგიური მოქმედება C ენის მორფოლოგიაშიც შეინიშნება; მაგალითად, როცა თუშურმა ენამ ნასესხები ქართული ზმნებისთვის მყოფადის წარმოების ქართულისებური მოდელი დაუშვა, საკუთარი ზმნები ამ მხრივ ხელუხლებელი დატოვა.

პარალელური ფონოლოგიური სისტემების დაახლოების გარკვეული ცდები მხოლოდ ზებილინგვიზმის პერიოდში შეინიშნება ახალგაზრდა ორენოვანი ინდივიდების მეტყველებაში. ცვლილებები C ენის ფონეტიკური სისტემის სტრუქტურაში ხდება, სიტყვათა ფონოლოგიური მოდელები კი დღემდე უცვლელი რჩება. შეიმჩნევა: ა) ღიფთობგთა მონოფთონგიზაციისკენ მიდრეკილება; ბ) განსხვავებული თანხმოვანი ფონემების მოდუნებული არტიკულაცია; გ) მშობლიური ენის ძლიერი მახვილის წყარო ენის სუსტი მახვილისკენ გადახრა.

29. ისევე წყარო ენის ლექსიკური გავლენის ერთიანი პროცესის გაგრძელებად გვესახება თუშური ენის ორიგინალური ფრაზეოლოგიზმების იმავე შინაარსის კალკირებული ფრაზეოლოგიზმებით შეცვლა, რაც განსაკუთრებით ნათლად აისახა იდიომატურ გამოთქმათა ქართულიდან თარგმნილ შესატყვისებში. გავლენის ინტენსიურობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფრაზეოლოგიზმებს ბილინგვები ძალიან ხშირად უკვე უთარგმნელად იმოწმებენ მშობლიურ ენაზე მეტყველების დროს, რადგან მისი შინაარსი თანაბრად გასაგებია და ახლობელი როგორც მოსაუბრისთვის, ისე თანამოსაუბრისთვის.

30. შეიძლება ნათქვამი შევაჯამოთ და აღვნიშნოთ, რომ თუშურ ენაზე ქართული ენის ხანგრძლივსა და ინტენსიურ ლექსიკურ ზეგავლენას შედეგად მოჰყვა: 1) C ენის ფონემატური სისტემის გარკვეული დაახლოება S ენის სათანადო სისტემასთან; 2) ე.წ. საკუთრივ ნასესხები სიტყვების განსაკუთრებული სიმრავლე; 3) ნასესხებ სიტყვათა მთლიანად ასიმილირებული, ნაწილობრივ ასიმილირებული და უცვლელად დატოვებული ფორმები; 4) ჰიბრიდული ნასესხობანი; 5) რთული კალკები; 6) ლექსიკური პარალელიზმების მოძალება; 7) თხზვისა და წარმოქმნის პროცესების შეზღუდვა; 8) გაფართოებული ნასესხობანი; 9) დავიწროებული ნასესხობანი; 10) სიტყვათა დაკარგვა შინაარსობრივი პლანის „მეტობით“; 11) გადასწორებული ფრაზეოლოგიზმები; 12) მეტყველების ნაწილთა ღიაობის ზრდა.

31. ის, რაც წინამდებარე გამოკვლევაში გამოჩნდა, რა თქმა უნდა, ნაწილია იმ დიდი განძისა, რომელიც ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების სახით ძვეს თუშურენოვან მეტყველებაში. ნუ ჩავთვლით, რომ წინამდებარე ნაშრომში ყველაფერი, მით უმეტეს, დასკვნები უდავოა. მთავარი ისაა, რომ ყველაფერი ექვემდებარება ცოცხალ მეტყველებაზე ხანგრძლივ დაკვირვებასა თუ ფიქრს.

რეზიუმე

წინამდებარე მონოგრაფია არის პირველი მცდელობა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში, წარმოვადგინოთ თუშური ენის ფონეტიკისა თუ ფონოლოგიის რამდენადმე სრული სურათი.

პირველად თუშური ენის კვლევის ისტორიაში:

1) შემოთავაზებულია ქართული ანბანის ახალი მოდელი როგორც თუშური ენის, ისე სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ქართულენოვანი საკვლევაძიებო საჭიროებისათვის.

2) გამოვლენილია: ა) ფუძისეული მოკლე ხმოვნები; ბ) ახალი გრძელი ხმოვნები; გ) ზეგრძელი ხმოვნები; დ) ნაზალიზებული გრძელი ხმოვნები; ე) თავისუფალი ხმოვნები; ვ) თავისუფალი ნაზალიზებული ხმოვნები; ზ) თავისუფალი გრძელი ხმოვანი; თ) ნახევარხმოვანი [j] ფონემის ნაზალიზებული [j̃] კორელატი, რის წყალობითაც ნახევარხმოვანი ფონემების რაოდენობა განისაზღვრა რიცხვით 2.

3) ტიპოლოგიურ დონეზე შემუშავებულია იდეა ხმოვანთა კვანტიტატიური განსხვავების შესახებ სალიტერატურო ქართულში;

4) შემუშავებულია თუშური ენის ხმოვანთა პერსპექტიული (სივრცობრივი) პარადიგმატიკა; თუშური ენისთვის დადგენილია ხმოვანი ფონემების განსხვავებული რაოდენობა – 37 – და თანხმოვანი ფონემების განსხვავებული რაოდენობა – 43;

5) ხმოვნებიდან გამოყოფილია ირაციონალური ხმოვნები;

6) დადგენილია თუშური ენის ფონემათა საერთო რაოდენობა – 82;

7) გამოვლენილია თუშური ენის ზოგიერთი ფონოლოგიური სიდიდის ახალი სინტაქსური ფუნქციები;

8) შემჩნეულია პირველი არსებითი სახელები კლასის მაჩვენებლებით;

9) შემოთავაზებულია იდეა ახალი ხელსაწყოთა შემუშავების საჭიროებისა თუ აუცილებლობის შესახებ სამეტყველო ბგერათა ლაბორატორიული კვლევისათვის;

10) შემუშავებულია არააპარატურული ხერხები სამეტყველო ბგერათა შიზოფონიისთვის („განლენისთვის“);

11) შიზოფონიის გზით თუშურ ენის [ღ] ([ღ]) თანხმოვნიდან გამოყოფილია ფონეტიკური ელემენტები [ʔ] და [⚭];

12) ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნებიდან ტიპოლოგიურ პლანში ასევე შიზოფონიის დონეზე გამოყოფილია შემართვისეული ლარინგალური [ʔ] ელემენტი – არა მხოლოდ თუშურ ენაში;

13) ტიპოლოგიურ პლანში გამოვლენილია ანლაუტის ხმოვანთა ე. წ. თავისუფალი შემართვა – ასევე არა მხოლოდ თუშურ ენაში;

14) აღწერილია როგორც თუშურენოვანი, ისე ქართულენოვანი ექსტრალინგვისტური წარმონაქმნები; წარმოდგენილია, მაგალითად, ე. წ. II არხის ბგერები, აგრეთვე ინსპირაციული (შესუნთქვითი) ბგერები და სხვა საარტიკულაციო თავისებურებანი;

15) შეძლებისდაგვარად გადამოწმდა და ჩასწორდა როგორც თეორიული, ისე ფაქტობრივი ხასიათის უზუსტობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბაცბოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

16) მსჯელობის პროცედურაში ჩართულია სხვადასხვა სახის ახალი – განსხვავებული – მოსაზრებები.

17) ყოველივე ეს ასე თუ ისე გვაახლოვებს ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალ (თუ მომავალ) იმ გზასთან, რომელიც შემდგომ გამოკვლევებში შეიძლება მოიხაზოს ჩვენ მიერ.

18) თუშურ-ქართული ორენოვნების ფონზე დეტალურად არის აღწერილი ინტერფერენტული პროცესების ის შედეგები, რომლებმაც განსაზღვრეს ამ ენის ბედი.

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს თუშური ენის ბგერათა სისტემების კვალიფიციენტებისა თუ კლასიფიკაციის გარკვეულ მცდელობას თეორიული ენათმეცნიერების უახლესი მიღწევებისა თუ მოთხვენების მეტ-ნაკლები გათვალისწინებით, თუმცა ბევრ შემთხვევაში (მაგალითად, უახლესი საერთაშორისო სატრანსკრიფციო ნიშნების გამოყენების ნაწილში) შენარჩუნებულია ტრადიციული ფონეტიკური სწავლების სტილი. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს გარკვეული მოუმზადებლობა ამ მიმართულებით როგორც თვით მონოგრაფიის ავტორისა, ისე, შესაძლოა, მკითხველი საზოგადოებისაც: ჩანს, სამეცნიერო სიახლესთან მიმართებაშიც, ისევე როგორც სხვა სიახლეების შემთხვევაში, ერგვარი ადაპტაციაა საჭირო.

ამ ნაშრომში, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ თუშური ენის ბგერების დახასიათება და აქედან გამომდინარე დასკვნები (რაც მეტ-ნაკლებად უკვე არის გაკეთებული იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში), არამედ ის ასოციაციებიც, რომლებიც ამ დახასიათებამ და ამ დასკვნებმა შეიძლება გამოიწვიოს მკითხველში.

Summary

The monograph is the first attempt to present somewhat a complete picture of Tush language phonetics and phonology in the history of Iberian-Caucasian linguistics.

For the first time in Tush language research history:

1) We offer a new model of Georgian alphabet for the needs of Georgian language researches in Tush, as well as in the other Iberian-Caucasian languages.

2) There are revealed:

a) Root short vowels;

b) New long vowels;

c) Too long vowels;

d) Nasal long vowels;

e) Free vowels;

f) Free nasal vowels;

g) Free long vowel;

h) The nasal [j̃] correlative of semi-vowel [j] phoneme and with the help of which the number of semi-vowel phonemes was defined by number 2.

3) The idea about the vowel quantitative differences in Georgian literary language is developed on the typological level.

4) The perspective (spatial) paradigmatic of Tush language vowels are worked out: Different amount of vowel (37) and consonant (43) phonemes are ascertained for Tush language.

5) Irrational vowels are singled out of the vowels.

6) Thus, the common amount of Tush language phonemes is established that is: 82.

7) New syntactical functions of several phonological bulk of Tush language are presented.

8) First nouns with the class indicators are marked.

9) The idea about the needs of making new instruments, as well as about the necessity of laboratory researches of speech sounds is offered.

10) Non-apparatus ways for Shizophony (“split”) of the speech sounds is worked out.

11) Phonetic elements [ʻ] and [ω] are revealed from Tush language consonant [ǣ] ([ʻ]), by the way of Shizophony.

12) Excursion (to adjust the mouth for pronouncing the sound) laryngeal [ʻ] element is singled out from the common vowels of Anlaut (first sound of the word) in typological sphere as well as on the level of Shizophony – not only in Tush language.

13) So called free excursion of Anlaut vowels is shown in typological sphere – also not only in Tush language.

14) Both Tush language and Georgian language extra linguistic forms are described; for example, so called II channel sounds (the sound which is pronounced with the closed mouth) as well as inspirational (breathing in) sounds and other articulation peculiarities are presented.

15) Theoretical as well as factual type inaccuracies, which took place in the Batsbiological scientific literature, were checked and edited as far as it was possible.

16) Different type, new – various – ideas are involved in discussion procedure.

17) All this somehow makes us be closer to the way that is leading from vowels to consonants, which we can outline in farther researches.

18) The results of interfering processes, which determined the fate of this language, are described in detail on the background of Tush-Georgian bilingualism.

The given monograph represents certain attempt to classify or qualify Tush language sound systems, which partially takes into consideration the newest demands and achievements of theoretical linguistics. Though in many cases (for example: in the part of the newest international transcription marks’ usage) traditional phonetic teaching style is preserved. The reason of it is the fact that the author of this monograph and perhaps the reader as well was not prepared in this trend. It seems that we need some time to adapt to the scientific innovations, as well as to any other novelties.

We think that not only the description of Tush language sounds and the conclusions resulting from it is interesting, but also the associations that this description and conclusions can cause in the reader.

წყაროები

1. ალვანელი, 1993 – ა. ალვანელი, გრიგალო, იყუჩე..., თბ., 1993.
2. ბერთლანი, 2010 – ა. ბერთლანი, 1919: ოლე, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი, 1 (17), 2010.
3. გარსევანიძე, 1980 – ს. გარსევანიძე, ჰო მაგარ დენიე ჯენას და, ლექსი: მისივე პირადი არქივი სოფ. ზემო ალვანში (ახმეტის რაიონი), 1980.
4. გიულდენშტედტი, 1964 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბ., 1964.
5. მაკალათია, 1933 – ს. მაკალათია, თუშეთი, ტფ., 1933.
6. მაკალათია, 1983 – ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983.
7. მიქელაძე, ..., 2011 – მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, ქ. გიგაშვილი, მ. ცისკარიშვილი, წოვათუშური ტექსტები, ნაწ. I, თბ., 2011.
8. ორბელიანი, 1966 – ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV₂, თბ., 1966.
9. უთურგაიძე, 1960 – თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
10. ქადაგიძე, ..., 1984 – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
11. ქადაგიძე, 2009 – ე. ქადაგიძე, წოვა-თუშური ტექსტები, თბ., 2009.
12. ქეგლ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 1990.
13. ჩოხელი, 2007 – გ. ჩოხელი, ცასწავლა, თბ., 2007.
14. ჭრელაშვილი, 1975 – კ. ჭრელაშვილი, ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა, თბ., 1975.
15. ჭრელაშვილი, 2002 – კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბ., 2002.
16. Дешериев, 1953 – Ю. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953.

17. Карасаев, ..., 1978 – А. Карасаев, А. Мациев, Русско-чеченский словарь, М., 1978.
18. Чрелашвили, 2007 – К. Чрелашвили, Цова-тушинский (бацбийский) язык, М., 2007.
19. Schiefner, 1859 – A. Schiefner, Versuch über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien: Mém. VI Série, Sc. politiques ets., IX, St.-Pétersbourg, 1859.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ანდლულაძე, 1953 – ნ. ანდლულაძე, გრამატიკული კლასების რაოდენობა იბერიულ-კავკასიურ ენებში, საკანდ. დის., ხელნაწერი, 1953.
2. ანდლულაძე, 1997 – ნ. ანდლულაძე, **Homo cantor**, თბ., 1997.
3. ახვლედიანი, 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
4. ახვლედიანი, 1966 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966.
5. ახვლედიანი, 1942 – გ. ახვლედიანი, ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისაგან განსხვავების საკითხისათვის: სმამ, 3, №9, თბ., 1942.
6. ბართიშვილი, 1998₁ – ა. ბართიშვილი, კავკასიოლოგიური ინტერპრეტაციები გერმანელი მეცნიერების მექვიდროების შუქზე; 1. თუშურის ენის ხმოვანთა ე. წ. თავისუფალი არტიკულაციის დადგენის ცდა (პრობლემის მისადგომებთან): საქართველო/Georgia, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი, №3, თბ., 1998.
7. ბართიშვილი, 1993 – ა. ბართიშვილი, რამდენიმე მოსაზრება ხმოვანთა სისტემისათვის წოვათუშურ ენაში: პროფესორ-მასწავლებელთა 59-ე საინსტიტუტთაშორისო სამეცნ. სესია, თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. სახ. პედ. ინსტიტუტი, თბ., 1993.
8. ბართიშვილი, 2003 – ა. ბართიშვილი, წოვათუშური გვარების აგებულებისათვის (გვარების ეთნიკური ფესვებისაკენ): იკეწ, 22, თბ., 2003.

9. ბართიშვილი, 1998₂ – ა. ბართიშვილი, წოვათუშური ენის [?] ლარინგალის ინტერპრეტაციის ცდა: არნ. ჩიქ. სახ. ენათმეცნ. ინსტიტუტის 57-ე სამეცნ. სესიის მასალები, თბ., 1998.
10. ბართიშვილი, 1995₁ – ა. ბართიშვილი, ხმოვანთა სისტემა წოვათუშურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. კოტე ჭრელაშვილი, ხელნაწერი, 1995.
11. ბართიშვილი, 1995₂ – ა. ბართიშვილი, ხმოვანთა სისტემა წოვათუშურ ენაში, სადისერტაციო მაცნე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 1995.
12. ბართიშვილი, 1995₃ – ა. ბართიშვილი, ერთი თავისებურების შესახებ წოვათუშური ენის ხმოვანთა სისტემაში: ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნ. კონფერენცია, თეზისები, თბ., 1995.
13. ბართიშვილი, 1995₄ – ა. ბართიშვილი, ხმოვანთა სივრცე-სიმოკლისათვის წოვათუ-შურში: ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, № 2, ქუთაისი, 1995.
14. ბერთლანი, 2002 – ა. ბერთლანი, ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შეპართვის გამოვლენის ცდა თუშურ კილოში: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.
15. ბერთლანი (ბართიშვილი), 1999 – ა. ბერთლანი (ბართიშვილი), ერთი ფონეტიკური საკითხის გამო თუშურ ენაში: თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბ., 1999.

16. ბერთლანი (ბართიშვილი), 1998 – ა. ბერთლანი (ბართიშვილი), კავკასიოლოგიური ინტერპრეტაციები გერმანელი მეცნიერების მემკვიდრეობის შუქზე; 2. თუშური ენის ხმოვანთა ე. წ. თავისუფალი არტიკულაციის დადგენის ცდა (staccato – legato): საქართველო/Georgia, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი, № 4, თბ., 1998.
17. ბერთლანი, 2009₁ – ა. ბერთლანი, რამდენიმე მაგალითი სხვა თავისუფალი ხმოვნების (გარდა უ-სი) გამოსავლენად თუშურ ენაში: კულტურათაშორისი კომუნიკაციები, საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული გამოცემა, 8, 2009.
18. ბერთლანი, 2009₂ – ა. ბერთლანი, წოვათის ნისლეები (ხანდაზმული ნაფიქრალი), სათქმელი პირველი: პატარა ხატი დიდ ეკლესიაში, ტერმინოლოგიური წესრიგისთვის ქვეყანაში, თბ., 2009.
19. ბერთლანი, 2004 – ა. ბერთლანი, ქართულ ვოკალთა მაგარიშემართვის გამოვლენის ცდა: თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, XV-XVI, თელავი, 2004.
20. ბერთლანი, 2011 – ა. ბერთლანი, ხმოვანთა კვანტიტატიური განსხვავებისათვის თანამედროვე ქართულ ენაში: III საერთაშორისო სიმპოზიუმი, იბერიულ-კავკასიური ენები: სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, ეძღვნება აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის დაბადების 100 წლისთავს, თბ., 2011.
21. ბერთლანი, 2008 – ა. ბერთლანი, ხმოვანთა ხასიათისა და გენეზისის ზოგადფონეტიკური საკითხები წოვათუშურის მასალის მიხედვით: II საერთაშორისო სიმპოზიუმი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები, მასალები, თბ., 2008.

22. გაგუა, 1962 – რ. გაგუა, ბაცბური ზმნის ასპექტი და რიცხვის გამონატვის საშუალებანი: იკე, XIII, თბ., 1962.
23. გაგუა, 1956 – რ. გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში: იკე, 8, თბ., 1956.
24. გაგუა, 1960 – რ. გაგუა, კავშირი ბაცბურ სახელთან და ზმნასთან: იკე, 12, თბ., 1960.
25. გაგუა, 1972 – რ. გაგუა, სესხების ზოგადი წესები ბაცბურში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1972.
26. გაგუა, 1943 – რ. გაგუა, ძირითადი და ერთთანდებულობის ბრუნვები ბაცბურში, საკანდ. დის., თბ., 1943.
27. გამყრელიძე, ..., 2003 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნანა შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
28. გამყრელიძე, ..., 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
29. გვარჯალაძე, ..., 1974 – თ. გვარჯალაძე, ი. გვარჯალაძე, ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბ., 1974.
30. გიგაშვილი, 2010 – ქ. გიგაშვილი, საფრთხეში მყოფი ენები – ლინგვისტთა საყოველთაო ზრუნვის საგანი, ენების ბედი გლობალიზაციის პირობებში: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის ბიულეტენი, 1, თელავი, 2010.
31. გიულდენშტედტი, 1962 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962.
32. გოგოჭური, 1991 – ც. გოგოჭური, კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი: ახალგაზრდა ივერიელი, 19 ოქტ., 1991.

33. გონიაშვილი, 1976 – თ. გონიაშვილი, თანხმოვანთა ზოგი კომპლექსი ნახური ჯგუფის ენებში: მაცნე, I, თბ., 1976.
34. ერთელიშვილი, 1964 – ფ. ერთელიშვილი, მორფემიზებული კომპლექსები ქართულში: იკე, XIV, თბ., 1964.
35. ვინოგრადოვი, 1964 – ა. ვინოგრადოვი, პაგანინის განკიცხვა, თბ., 1964.
36. თოფურია, 1964 – ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იკე, I, თბ., 1964.
37. იმნაიშვილი, 1962 – დ. იმნაიშვილი, ხმოვანთა ასიმილაციის ზოგი სახე ნახური (ჩახნური) ჯგუფის ენებში: იკე, 13, თბ., 1962.
38. კოტეტიშვილი, 1979 – ვ. კოტეტიშვილი, წინასიტყვაობა: ეთერ თათარაიძე, იმედის გვირილა'ო, თბ., 1979.
39. ლაღარია, 2002 – ნ. ლაღარია, სოციოლინგვისტიკა, თბ., 2002.
40. მაჭავარიანი, 1964 – გ. მაჭავარიანი, ლატერალურ თანხმოვანთა სისტემის ევოლუციის ზოგიერთი საკითხი ნახური ჯგუფის ენებში: იკე, XIV, თბ., 1964.
41. მიქელაძე, 1978 – მ. მიქელაძე, ინტერფერენტული პროცესები ბაცბურ ენაში (ბაცბურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით), საკანდ. დის., ხელნაწერი, 1978.
42. მიქელაძე, 2008 – მ. მიქელაძე, ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში (წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით), თბ., 2008.
43. მიქელაძე, 1993 – მ. მიქელაძე, რეცენზია ა. მ. ბართიშვილის წლიური კვლევითი თემისა „თუშური ენის ვოკალიზმის ირაციონალიზმი“, ხელნაწერი, თელავის ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი, 1993.
44. ნებიერიძე, 1991 – გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

45. რევიშვილი, 1968 – შ. რევიშვილი, ისევ ლიტერატურული ლექსიკონების შესახებ: მნათობი, 12, 1968.
46. სანიკიძე, 1968 – ლ. სანიკიძე, ბაცბურ ლ და რ თანხმომვანთა შესატყვისობისათვის ჩაჩხურ-ინგუშურში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნ, კონფერენცია, თეზისები, თბ., 1968.
47. სანიკიძე, 1976 – ლ. სანიკიძე, ზოგ ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება ბაცბურში: იკეწ, 3, თბ., 1976.
48. სარჯველაძე, 1975 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
49. ტრუბეცკოი, 1972 – ნ. ტრუბეცკოი, ჩრდილო კავკასიურ ენათა ლატერალური თანხმომენები: მიმოძხილველი, 6-9, თბ., 1972.
50. უთურგაიძე, 1960 – თ. უთურგაიძე, ზოგიერთი ნასესხები და საერთო წარმოშობის სიტყვა ბაცბურ-ჩაჩხურსა და ქართველურ ენებში: გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, გორი, 1960.
51. უთურგაიძე, 1960 – თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
52. უთურგაიძე, 1966 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966.
53. უთურგაიძე, 1976 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
54. უსლ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი), 1989.
55. ფლ (ფილოსოფიური ლექსიკონი), თბ., 1987.
56. ფოგტი, 1961 – ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.
57. ქსე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია), 1978, III.
58. ქსე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია), 1986, X.
59. ქუთელია, 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005.

60. ქურდიანი, 2009 – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემა: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2-6, თბ., 2009.
61. ქურდიანი, 2007 – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათეცნიერების საფუძვლები, თბ., 2007.
62. შანიძე, 1970 – ა. შანიძე, თუშები: მნათობი, 2, 1970.
63. შანიძე, 1960 – ა. შანიძე, რედაქტორისაგან: უთურგაიძე, 1960 – თედო უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
64. შანიძე, 1976 – ა. შანიძე, ქარული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფ., თბ., 1976.
65. ჩიქობავა, 1965 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
66. ჩიქობავა, 1979 – არ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1979.
67. ჩიქობავა, 1942₁ – არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, №2, 3, თბ., 1942.
68. ჩიქობავა, 1942₂ – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
69. ჩიქობავა, ..., 1962 – არნ. ჩიქობავა, ილია ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962.
70. ჩხიკვაძე, 1939 – გ. ჩხიკვაძე, მუსიკის ელემენტარული თეორია, თბ., 1939.
71. ცოცანიძე, 1990 – გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე (ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში), თბ., 1990.
72. ჭინჭარაული, 1960 – ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

73. ჭრელაშვილი, 1979 – კ. ჭრელაშვილი, ერთი ხმოვნის ფონოლოგიური ექსპერიმენტული ანალიზი წოვათუშურ ენაში. – წიგნში: კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური და ქართული ენის ლექსიკისა და მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1979.
74. ჭრელაშვილი, 1975 – კ. ჭრელაშვილი, ნახური ენების თანხმობანთა სისტემა, თბ., 1975.
75. ჭრელაშვილი, 2006 – კ. ჭრელაშვილი, ნახური ენების თანხმობანთა სისტემის პარადიგმატული და დისტრიბუციული ანალიზი, თბ., 2006.
76. ჭრელაშვილი, 2002 – კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბ., 2002.
77. ხუბუტია, 1941 – ზ. ხუბუტია, წ ნაწილაკისათვის მათუშურში, ენიკის მოამბე, X, 1941.
78. ჯავახიშვილი, 1937 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, II, ქართული და კავკასიური ენების თასდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
79. ჯალაბაძე, 1967 – გ. ჯალაბაძე, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967.
80. Schiefner, 1859 – A. Schiefner, Versych über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien: Mém. VI Série, Sc. politiques ets., IX, St.-Pétersbourg, 1859.
81. Bertlani, 2010 – A. Bertlani, Description of one phonetic detail in English and Tush languages: TeSaU Journal of Caucasian Studies, 2010.
82. Keller, 1994 – R. Keller, On Language Change The invisible hand in language, 1994.
83. Бартишвили, 1998₁ – А. Бартишвили, К вопросу о сильном приступе анялутных гласных на примере окклюзии в тушинском языке: Вопро-сы изучения русского языка и литературы, Влади-кавказ, 1998.

84. Бартишвили, 1998₂ – А. Бартишвили, Предпосылка презентации т. н. свободной артикуляции гласных тушинского языка: Вопросы изучения русского языка и литературы, Владикавказ, 1998.
85. Бертлани, 2006 – А. Бертлани, На подступах к вопросу о взаимоотношениях гласных и согласных: Интеллект, периодический научный журнал, 2 (25), Тб., 2006.
86. Бертлани, 2005 – А. Бертлани, Опыт выявления сильного приступа гласных в русском языке: Сборник научных трудов Тесау, 2 (18), 2005.
87. Бертлани, 2009 – А. Бертлани, Перкличка украинского и тушинского языков на типологическом уровне: Наукові записки, Філологічні науки, І, Ніжин, 2009.
88. Бертлани, 2007 – А. Бертлани, Соображения для уточнения взаимоотношений гласных и согласных: Интеллект, периодический научный журнал, 1 (27), Тб., 2007.
89. БСЭ (Большая советская энциклопедия), 1970, II.
90. БСЭ (Большая советская энциклопедия), 1973, XII.
91. БСЭ (Большая советская энциклопедия), 1978, XXX.
92. Гагуа, 1983 – Р. Гагуа, Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского языка: Ежегодник ИКЯ, 10, Тб., 1983.
93. Гаприндашвили, 1966 – Ш. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка, Тб., 1966.
94. Гумбольдт, 1984 – В. Гумбольдт, Избранные труды по языкознанию, М., 1984.
95. Гумбольдт, 1985 – В. Гумбольдт, Язык и философия культуры, М., 1985.

96. Дешериев, 1953 – Ю. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953.
97. Дешериев, 1960 – Ю. Дешериев, Современный чеченский литературный язык, Фонетика, I, Грозный, 1960.
98. Дешериев, 1992 – Ю. Дешериев, Пути совершенствования алфавитов и орфографии младописьменных языков: Ежегодник ИКЯ, 18-19, Тб., 1992.
99. Имнаишвили, 1977 – Д. Имнаишвили, Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тб., 1977.
100. ЛЭС (Лингвистический энциклопедический словарь), М., 1990.
101. Магомедов, 2003 – А. Магомедов, Об одной неизданной рукописи П. К. Услара: Ежегодник ИКЯ, XXII, Тб., 2003.
102. Магомедов, 1974 – А. Магомедов, Система гласных чечено-ингушского языка, Грозный, 1974.
103. Марр, 1922 – Н. Марр, Кавказские племенные названия и их местные параллели, Петрогр., 1922.
104. Мартине, 1960 – А. Мартине, Принцип экономии в фонетических изменениях, М., 1960.
105. Морган, 1935 – Л. Морган, Древнее общество или исследование линий человеческого прогресса от дикости через варварство к цивилизации, Л., 1933.
106. Музехольд, 1925 – А. Музехольд, Акустика и механика человеческого голосового органа, М., 1925.
107. МЭ (Музыкальная энциклопедия), 1973, I.
108. МЭ (Музыкальная энциклопедия), 1976, III.
109. МЭ (Музыкальная энциклопедия), 1981, V.
110. Немецко-русский словарь, М., 1962.

111. Ожегов, 1970 – С. Ожегов, Словарь русского языка, М., 1970.
112. Ортега, 2000 – Х. Ортега-и-Гассет, Избранные труды, М., 2000.
113. ПКРЯ (Практический курс русского языка), I, Ред. А. Г. Хмара, Л., 1980.
114. Розенталь, ..., 1976 – Д. Розенталь, М. Теленкова, Словарь-справочник лингвистических терминов, М., 1976.
115. Трубецкой, 1960 – Н. Трубецкой, Основы фонологии, М., 1960.
116. Трубецкой, 1987 – Н. Трубецкой, Избранные труды по филологии, М., 1987.
117. Услар, 1887 – П. Услар, Этнография Кавказа, I, Языкознание, Тифл., 1887.
118. Успенский, 1962 – Л. Успенский, Слово о словах; Ты и твоё имя, Л., 1962.
119. Цискаров, 1848 – И. Цискаров, Краткая Тушино-цовская грамматика, составленная священником Троицкой тушинской Алванской Церкви Иовом Цискаровым, 1848, Рукоп., Архив востоковедов в Петербурге.
120. Чрелашвили, 2007 – К. Чрелашвили, Цова-тушинский (бацбийский) язык, М., 2007.
121. ЭМС (Энциклопедический музыкальный словарь), М., 1966.

მონოგრაფია შეიქმნა
 მრავალ და მრავალ ადამიანთა
 ფინიკური თუ მორალური თანადგომით,
 რისთვისაც გულისწიველ მადლობას ვუცხადებთ ყველას!

ავტორი მკითხველთაგან ელოდება
 საქმიან შენიშვნებსა თუ რჩევებს.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
ტრანსკრიფცია	10
შესავალი.....	19
§ 1. კვლევის ისტორიიდან.....	19
§ 2. კვლევის მეთოდი, მიზანი და მნიშვნელობა	27
§ 3. კვლევის მეცნიერული სიახლე	43
თავი I. რამდენიმე კერძო საკითხი თუშური ენის ფონეტიკასთან მიმართებაში	
§ 1. ქართული ანბანის ახალი მოდელის საჭიროების შესახებ	46
§ 2. ხმოვანთა და თანხმოვანთა უთიერთმიმართების საკითხისათვის	51
თავი II. თავკიდურ ხმოვანთა ბუნების ორი ასპექტის შესახებ – არა მხოლოდ თუშურ ენაში	
§ 1. უფრო დეტალურად ოკლეზიის შესახებ	66
§ 2. მოკლედ ანლაუტის ხმოვანთა ძლიერ (მაგარ, ხშულ, მკვეთრ) შემართვაზე	74
§ 3. მოკლედ ანლაუტის ხმოვანთა თავისუფალ შემართვაზე	101
§ 4. ფონეტიკური შემართვა-დამართვის შესწავლისათვის	138
თავი III. თუშური ენის ხმოვანთა სისტემა	
§ 1. ხმოვანთა კვანტიტეტი ზოგადად და თუშურ ენაში	146
§ 2. თუშური ენის ნახევრადგრძელი (ჩვეულებრივი) ხმოვნები; მახვილი თუშურ ენაში	164
§ 3. თუშური ენის მოკლე ხმოვნები	185
§ 4. ხმოვანთა კვანტიტატიური განსხვავების შესახებ ქართულში (მინიშნებები იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობაზე)	199
§ 5. თუშური ენის ირაციონალური ხმოვნები	207
§ 6. თუშური ენის გრძელი ხმოვნები	228
§ 7. თუშური ენის ზეგრძელი ხმოვნები; თუშური ენის ხმოვანთა კვანტიტეტის აწმყო და მომავალი	243

§ 8. თუშური ენის ნახევრადგრძელი ნაზალიზებული ხმოვნები251

§ 9. გრძელი ნაზალიზებული ხმოვნები თუშურ ენაში268

§ 10. თუშური ენის თავისუფალი ხმოვნები273

§ 11. თუშური ენის ხმოვნები ‘ღა’ კავშირისა და
 ნაწილაკების როლში275

§ 12. მოკლედ თუშური ენის დნახევარხმოვნის შესახებ283

§ 13. თუშური ენის დიფთონგების შესახებ291

§ 14. თუშური ენის აბლაუტის თაობაზე304

თავი IV. თუშური ენის თანხმოვანთა სისტემა

§ 1. ბაგისმიერი თანხმოვნები316

§ 2. წინაენისმიერი თანხმოვნები324

§ 3. უკანაენისმიერი თანხმოვნები347

§ 4. ფარინგალური თანხმოვნები352

§ 5. ლარინგალური თანხმოვნები356

§ 6. ლარინგ-ფარინგალური თანხმოვანი;
 ღ = ք + ჭ, ანუ ღ = ք & ჭ361

§ 7. ინტენსიური თანხმოვნები368

§ 8. ექსტრალინგვისტური არტიკულაციის შესახებ
 თუშურ ენაში375

თავი V. ინტერფერენციის შედეგები თუშურ ენაში

§ 1. თუშური ენის სიტყვა ფონოლოგიურ ჭრილში387

§ 2. შემოსულ სიტყვათა ბგერითი გარსის
 მორფოლოგიური ადაპტაცია417

დასკვნები459

რეზიუმე.....470

Summary473

წყაროები476

დამოწმებული ლიტერატურა.....478